

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა

## ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული მნობები ქველ ქართულ მწერლობაზე

ანტონ ბაგრატონი

# წყობილსიტყვაობა

გამოსაცემად მოამზადა, გამოკვეევა, კომენტარები  
და ლექსიკონი დაურთო.  
ი ვ ა ნ ე ლ ო ლ ა შ ვ ი ლ შ ა



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა შეუდგა ქართული ისტორიული ბიბლიოგრაფიის შესწავლასა და მისი წყაროების გამოცემას. ამ მიზნით ახლა ქვეყნდება ანტონ ბაგრატიონის «წყობილსიტყვაობა», რომელიც შეიცავს მრავალ ბიო-ბიბლიოგრაფიულ ცნობას ძველ ქართველ მწერალთა, მთარგმნელთა, პოეტთა და საერთოდ ბრძენ კაცთა შესახებ. მისი ტექსტი მეცნიერულ-კრიტიკულად დაადგინა ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით მკვლევარმა პროფ. ივანე ლოლაშვილმა; მას წაუმძღვარა ფილოლოგიური ნარკვევი, რომელშიც მოხილულია ძეგლთან დაკავშირებული უმთავრესი საკითხები, და დაურთო კომენტარები და ლექსიკონი.

წიგნი განკუთვნილია ქართული ლიტერატურის სპეციალისტების, ბიბლიოგრაფებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: შოთა ძიძიგური

## წიგნის ტყვე

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული შესწავლა იწყება იმ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობების შეკრებითა და ანალიზით, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან ამა თუ იმ თხზულების წარმოშობასა და ოდინდელობაზე, ავტორისა და შემკვეთ-გადამწერის ვინაობასა და სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე. ამგვარი ცნობები უხვად მოიპოვება ქართულ ხელნაწერებში. ისინი თავმოყრილია ან სპეციალურ შრომებში (ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობა“, იოანე ბაგრატიონის „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, თეიმურაზ ბაგრატიონის „წიგნნი საღმრთონი და საერონი ქართულისა ენისანი“), ან ჩართულია აგიოგრაფიულ და საერო-მხატვრულ თხზულებებში (ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების შრომათა ნუსხები, სტროფი — „ამირანდარეჯანის ძე მოსეს უქია ზონელსა“, არჩილის „ძველთა და ახალთ საქართველოს მედექსეთა“), ან შეტანილია შეწირულებათა და სამონასტრო საინვენტარო დანიშნულების საბუთებსა და ძეგლებში (პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წიგნების სია, დავით-გარეჯის წიგნთა ნუსხა, შედგენილი ონოფრე მაჭუტაძის მიერ; მზითვის წიგნები), ან კიდევ მიმოფანტულია თარგმნილ თუ ორიგინალურ თხზულებათა წინაბჭვებში, ანდერძებსა და მინაწერებში (ეფრემ მცირის „მოსავსენებელი მცირე სუმეონისთვის ლოლოთეტიისა“, „თხრობაჲ დიდისა დიონუსისთვის და წიგნთა მათთვის მის მიერ აღწერილთა“; პროკლე დიადოხოსის „კავშირთა“ კომენტარების „ბოლოსიტყვა“, შეთხზული ჭოანე პეტრიწის მიერ, გრიგოლ ჩახრუხაიძის ანდერძი და მრავალი სხვა).

ძველქართული ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობების შეგროვებასა და შესწავლას კარგა ხანია ექცევა ცხოველი ყურადღება. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვით XIX და XX საუკუნეების ისტორიკოსებსა და ფილოლოგებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. მათ ნაყოფიერი ხანგრძლივი შრომა გასწიეს საქართველოსა და საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებში დაცული ხელნაწერების

მოპოვების, დაცვის, აღწერისა და მეცნიერულად შესწავლის საქმეში. მათი წყალობით გამოძეურდა უამრავი უნიკალური ხელნაწერი, უცნობი თხზულება თუ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობა, რომლებიც ამჟამად, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეცნიერული კვლევა-ძიების ბრუნვაშია მოქცეული. ახლა უკვე დროა შევუდგეთ ამ ცნობათა სისტემატიზაციას შინაარსობრივი და ქრონოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, ერთმანეთთან კრიტიკულ შეპირისპირებას, წყაროების გარკვევას, ავთენტურობის დადგენას, მათი ისტორიული რეალიებისა და მათში მოხსენიებულ პიროვნებათა ვინაობის ცხადყოფას, თუ კი ჩვენს ხელთ არსებული მასალები ამის შესაძლებლობას იძლევიან. ეს შექმნის მყარ მეცნიერულ საფუძველს ქართული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიის დასაწერად.

წინამდებარე წიგნი ეთმობა ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობას“. აქ პირველად ქვეყნდება მისი მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი, დადგენილი ყველა ხელნაწერის შესწავლის შედეგად. უძღვის ფილოლოგიური ნარკვევი, რომელშიც განხილულია თხზულების სტრუქტურა, დაწერის თარიღი, ლიტერატურული წყაროები, მხატვრული მხარე და ტექსტობრივი საკითხები. ერთვის სახელთა და არქაულ სიტყვათა ლექსიკონი, კომენტარები და ვარიანტები.

ივანე ლოლაშვილი



„წეობილსიტყვაობა“ როგორც  
ლიტერატურულ-ისტორიულ-  
ბიბლიოგრაფიული წყარო და  
მისი ტექსტის საკითხები

ფილოლოგიური ნარკვევი

„ერთი ორთაგან თანა გუაც, რათა ანუ თუთ სიბრძნის-  
მოყუარე ვიქმნეთ, ანუ სხუათა სიბრძნის-მოყუარებისა პა-  
ტივის-მცემელ ვიყვნეთ, უკუეთუ ოდენ არა გუნებავს სრუ-  
ლიად განვრდომაჲ კეთილისაგან“...

**გრიგოლ ნაზიანზელი**

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ანტონ პირველი კათალიკოსის (ბაგრატიონის) „წყობილსიტყვაობა“ ძველი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უნიკალური თხზულებაა. იგი ყურადღებას იპყრობს ლიტერატურული და ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით; საინტერესოა თავისი მრავალმხრივი შინაარსით, ორიგინალური კომპოზიციითა და ენობრივ-სტილისტური თუ მხატვრული თავისებურებებით; წარმოადგენს იამბიკური ლექსით დაწერილ პოეტურ ძეგლს, რომელშიც თავმოყრილია საღვთისმეტყველო ტრაქტატები, საგალობლები, ქართველი მეფეებისა და მწერალ-მოდგაწეებისადმი მიძღვნილი სახობბო ლექსები, ენკომიები და ეპიტაფიები. ისინი შემკობილია ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებით, ბრძნული გამონათქვამებითა და მხატვრული სახეებით.

„წყობილსიტყვაობა“ გვაძლევს ცოდნას XVIII საუკუნის ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების ვითარებაზე, მაშინდელი ლიტერატურათმცოდნეობისა და წყაროთმცოდნეობის მეცნიერულ დონეზე, ქართველი ინტელიგენციის ინტერესებსა და ესთეტიკურ გემოვნებაზე.

ავტორი — ანტონ ბაგრატიონი არის განათლებული მეცნიერი, ქართული მწერლობის უბადლო მცოდნე, მხატვრული სიტყვის ოსტატი და ლიტერატურათმცოდნეობის დარგის მეთაური. მას, როგორც ბრძენსა და სხვათა სიბრძნის დიდ დამფასებელს, თანამედროვენი (ტრიფილე მონაზონი, გაიოზ არქიდიაკონი, იესე ოსეს ძე და სხვა მწერლები) აღზევებული ქებით ამკობენ.

ტრიფილე ასე აღიღებს თავის მოძღვარს (029)<sup>1</sup>:

ეს ოქრო-ნილოს უშრეი, უხუად მდინარი,  
ეს ოქრო-სიტყუა, სწავლათ წმ-მომდინარი,  
ეს ქრისტეს პირი, მწერ-სავსთ ბაგეთ მკუდინარი,  
ეს ღმრთის-მზრახველი, გულ-მძიმეთუს მკინივარი  
ზესთ იარახებს, აქ მრავალ წყულულ-მომმინარი.

<sup>1</sup> „წყობილსიტყვაობის“ ციტატები მითითებულია წინამდებარე გამოცემის მიხედვით.

გაიოზი ასე აქებს (03):

ესერა მწყემსი — სამღუდლო მღუდლო-მთავარი,  
ბუტე დავითისი, მეფეთ შარაჲანდელი,  
არვეთა მმწყსელი, მსტუელი, ტპილ სასმენთ მოქმელი,  
ლექს-შუენიერი, არნადი შემხუაველი,  
სამ-დიდებული, ბრძენთ შორის ძუელებული.

ხოლო ტარასი არქიმანდრიტი შესტრფიან იმ მოწაფეებს, რომელთაც ანტონისგან მიიღეს სწავლა-განათლება (0112):

დავანატრი დროთა შენთა მოწაფეთასა,  
ოღეს ჰბრძმედევედი მათ, რკინათ, ოქროდ წმიდად,  
და-ცა-აწრთობდი ზესთა ბუნებისა ტბასა.  
ვაჲ, თუ წელთ ჩემთაც ესწრაფა მათთან შერთვა  
და მკურებოდა უხუთ წვმათ შენთა ცუარნი!

\* \* \*

„წყობილსიტყვაობის“ დაწერის იდეა ანტონს გაუჩნდა მაშინ, როდესაც რუსეთიდან დაბრუნდა საქართველოში და ერეკლე მეფის დახმარებით შეუდგა სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენას (თუ სხვა ენიდან გადმოკეთებას). 1763—1770 წლებში მან თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიებში მოსწავლე ახალგაზრდობას მიაწოდა რამდენიმე წიგნი — „რიტორიკა“ (დამუშავებული ქართულ მასალაზე მხითარ აბეასტიელის ამავე სათაურით ცნობილი წიგნის მიხედვით), „კატეგორია-სიმეტნე“ (გადმოღებული „სქოლასტიკოსთა და ახალთა ფილოსოფოსთა განსაზღვრებათაგან“ „კმასა ზედა არისტოტელისსა“), „საქრისტიანო მოძღვრება“ (ანუ კატეხიზმო), ფრიდერიკოს ბაუმისტერის „განსაზღვრება ფილოსოფიისა“, მისივე „ფიზიკა“ (შემკობილი ანტონის კომენტარებითა და წინასიტყვაობით) და „ლოლიკა“, აგრეთვე ორიგინალური ფილოსოფიური ტრაქტატი „სპეკალი“ და „ქართული გრამატიკა“. ჩამოთვლილმა წიგნებმა დიდად წასწიეს წინ საქართველოში სწავლა-განათლების საქმე. ამავე პერიოდში შეთხზა ანტონმა „წყობილსიტყვაობაც“, როგორც ერთ-ერთი სახელმძღვანელო საქართველოს გამოჩენილ მეფეთა და წმინდანთა ცხოვრება-წამებისა და ქართველ მწერალ-მოღვაწეთა ლიტერატურული საქმიანობის გასაცნობად. 1909 წელს მ. ჯანაშვილი ამის შესახებ უკვე წერდა „ქართული მწერლობის“ მეორე წიგნში, რომ: XVIII

საუკუნეში „პეტრიწის შესწავლა“ გაცხოველებული ყოფილა სკოლებსა თუ კერძო ოჯახობაში. სწორედ ამ დროს ანტონ კათალიკოსს ქება და შესხმა მიუძღვნია მისთვის თავის «წყობილსიტყვაობაში» და ეს თავისი თხზულება მაშინდელი სკოლებისა და სემინარიებისთვის სახელმძღვანელოდ დაუდგია საბას ლექსიკონითურთ“ (გვ. XXIII). ალბათ, ამით აიხსნება, რომ ანტონის მოწაფეებმა — ტრიფილემ და გაიოზმა თხზულების დამთავრებისთანავე მოამზადეს ხელნაწერი გამოცემა: ტექსტს წაუძღვარეს წინასიტყვა, რომელიც მთავრდება აკროსტიქული სტროფით — „ანტონიტინობს, მოწაფე წინასიტყვობს“ (01—026), დაურთეს პინაქსი (ანუ შინაარსი) და ანდერძი.

ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილია რამდენიმე სამაგიდო წიგნი; „ქართლის ცხოვრება“ (საისტორიო თხზულებათა კრებული, რომლის უკანასკნელი რედაქცია შეიქმნა ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილმა „სწავლულ კაცთა კომისიამ“), გიორგი მთაწმიდელის „დიდი სვინაქსარი“ (მსოფლიო მართლმადიდებელ ქრისტიან წმინდანთა მოსახსენებლებისა და განგებათა კრებული), არსენ იყალთოელის „დიდი სჯულისკანონი“ (ქრისტიანული საეკლესიო სამართლის ძეგლთა 14-ტიტლოვანი კრებული); იოანე პეტრიწის, არსენ ბულმანისიმის ძისა და ანტონ ბაგრატიონის მიერ გალექსილი „სათვეო სვინაქსარი“ (იგივე „პროლოღია“ ანუ „გალობანი ყოველთა წმიდათანი“), რომელიც შეიცავს იამბიკოვნად დაწერილ მცირე მოსახსენებლებს; ქართველი წმინდანების აგიოგრაფიულ საკითხავთა კრებული (შედგენილი XVIII საუკუნეში დომენტი კათალიკოსის, ხოლო შევსებული ბესარიონ ორბელიანის მიერ) და ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. „წყობილსიტყვაობაც“ ერთ-ერთი სამაგიდო წიგნია. თავდაპირველად საზოგადოებას აძლევდა ის ზოგად წარმოდგენას საქართველოს გამოჩენილ მწერალ-მოღვაწეთა და ქრისტიანობისათვის თავდადებულ მოწამეთა ვინაობასა და საქმიანობაზე, დღეს კი ითვლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ წყაროდ, რომელიც გვაწვდის მრავალ ცნობას ქართული მწერლობის ისტორიის შესასწავლად.

## „წყობილსიტყვარვის“ შინაარსი და აღნაგობა

„წყობილსიტყვარვას“ აქვს რთული შინაარსი და ღრმად გააზრებული აღნაგობა. მასში დანახულია პოეტური თვალთ ქართული სასულიერო და საერო მწერლობა, მის მესვეურთა და მოამაგეთა ღვაწლი. ძეგლი შედგება შვიდი ნაწილისაგან. დანაწილებას საფუძვლად უდევს ქრისტიანულ-თეოლოგიური თვალსაზრისი, რომელიც გნომების სახით წარმოდგენილია ბიბლიურ წიგნებში — სოლომონის „იგავებსა“ და იოანეს „გამოცხადებაში“.

სოლომონ ბრძენი ამბობს: „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი და ქუეშე შეუდგნა მას შუდნი ჰუეტნი“ (იგავნი 9,1), ხოლო იოანეს „გამოცხადებაში“ ნათქვამია: „შუდნი სასანთლენი შუდნი ეკლესიანი არიან“. (1,20). ამ ციტატებს ანტონი „წყობილსიტყვარვის“ დასაწყისშივე იხსენიებს (86):

საიღუმლოთა ეკლესიისა რიცხუნი  
შუდ-ნათელისგან სასანთლისა ვისწავეთ.  
ვითარ იგავთა შუდ სუეტად თქუა სოლომონ,  
ეგრეთვე კრება მსოფლოთ მითვე რიცხუთ  
ეკლესიისა მოეცა მამათაგან.

თხზულების შვიდი ნაწილიდან ოთხი შეიცავს მართლმადიდებლურ მოძღვრებას ქრისტიანობის არსზე, სამი ეთმობა ისტორიულ პირთა დახასიათებას. ქრისტოლოგიის ნაწილებია: 1. „ღმრთისმეტყუელებისათჳს“ (1—100), 2. „თჳს უფრომსა წმიდისა ღმრთისმშობელისა“ (101—200), 3. „თჳს ცხოველს-მყოფელისა ქუარისა“ (202 — 301) და 4. „თჳს ყოველთა წმიდათა“ (302 — 401).

პირველ ნაწილს აქვს ექვსი თავი, რომლებშიც წარმოდგენილია მოძღვრება ქრისტიანულ დოგმებსა და ცნებებზე (სამობასა და ერთობაზე, ღმრთის განკაცებაზე, ანუ ქრისტეს შობაზე, მის მიმოსვლასა და ამადლებაზე, საღმრთო საიდუმლოებასა და შვიდ მსოფლიო კრებაზე).

მეორე ნაწილი შედგება ორი თავისაგან: აღნუსხულია

ბიბლიურ პატრიარქთა და წინასწარმეტყველთა საიდუმლო სახით-  
მოსწავებანი ძე-ღმერთის განხორციელების შესახებ და შექებუ-  
ლია მარიამ ღვთისმშობელი.

მესამე ნაწილი შეიცავს სამ თავს: ჩამოთვლილია ბიბ-  
ლიურ პატრიარქთა და წინასწარმეტყველთა მოსწავებანი ცხოველ-  
ყოფილი ჭვარის შესახებ, ამავე ჭვარის სასწაულნი და ნიშნი, გან-  
დიდებულია საღმრთო კვართი, რომელიც ქრისტეს ჭვარცმისას  
წილად ჰხვდათ მცხეთელ ებრაელებს.

მეოთხე ნაწილი დაყოფილია ცხრა თავად და ეხება ან-  
გელოზთა დასებს, მოციქულებს, ბიბლიურ მამათმთავრებსა და წი-  
ნასწარმეტყველებს, ეკლესიის მოძღვართ, სარწმუნოებისთვის წა-  
შებულთ, მართლმადიდებელ აღმსარებელთ, ღირსეულთ, ქალწულთ,  
შართალთა და ყრმათ.

თვითელი ნაწილი შეიცავს ას-ას სტროფს, ოთხივე ერთად —  
ოც თავს, ანუ ოთხას სტროფს. მათ განლაგებას აქვს ერთგვარი  
სიმბოლიური გააზრება. აი, რას წერს გაიოზ არქიდიაკონი (021—  
023):

შვდ-ნაწილადი შიგნი წყობილ-სიტყუათა,  
შვდ ვარსკულავ-მნათი, პყრობილ ყოველთ მექმისთა:  
ოთხნი კერძონი რიცხვთ რვა ერგასობენ,  
ოთხთ ცხოველთ სახე, აღსავსე თუალებითა,  
ზესთ-ვანცხადებით ხილული ღმრთის-მეტყუელთა.

პირველ ნაწილი რიცხვთა ასეული —  
მსგავს ცხოველისა, ლომად წოდებულისა.  
ესთა მეორე რიცხუთა მექონ არს მათვე  
და მოაქუნ სახე მეორისა კუროის,  
მელერნი ტბილ-კმათა სამ-წმიდათ ვალობათა.

კულად მესამე რიცხვთ ასეულობს-ვე  
მორფკაკის მქონებ, სულითა შემოსილებ,  
ხოლო მეოთხე რიცხუთა ასეულობათ  
იფრთეჭუშეობს სახითა არწივებრთა  
ორთა თან-მკმებნი, მელერნი ტბილებრთა კმათა.

გაიოზი აქ იმეორებს იოანეს „გამოცხადების“ შემდეგ ადგილს:  
„და შვდნი ლამპარნი ცეცხლისანი იწვებოდეს წინაშე საყდარ-  
სა მისსა, რომელნი არაან შვდნი იგი სულნი ღმრთისანი... და შო-  
რის საყდრისა და გარემო საყდრისა ოთხნი ცხოველნი, სავ-  
სენი თუალითა წინადთ და უკუანადთ: და პირველი იგი ცხოველი

იყო ლომისაჲ, და მეორე ცხოველი მსგავსი იყო კურომსაჲ, და მესამე ცხოველსა აქუნდა პირი კაცისაჲ, და მეოთხე — მსგავსი არწივისა მფრინველსა“ (4,5 — 8).

„წყობილისიტყვაობის“ თეოლოგიური ნაკვეთის აღნაგობა და შედგენილობა ამ ციტატის სიმბოლიკას ემთხვევა და დასტურდება, რომ თხზულების სტრუქტურა გააზრებულა ბიბლიური სანსიმეტყველებითი ცნებებით. ანტონი მას თეორიულ საყრდენსაც უძებნის. აი, რას წერს იგი (852 — 856):

„ღმრთისმეტყუელება დავსდევ წინასა შინა“, რადგანაც: 1. ყველა ქმნილი მოვალეა ჯერ აქოს ზესთ-არსი (ღმერთი) იმის სამადლობლოდ, რომ მან ადამიანს არსებობა მიანიჭა. რაკი ღმრთისმზრახველი მოსე გვასწავლის, რომ ადამიანს საღმრთონი საიდუმლონი მარად უნდა ახსოვდეს, „ამად ვიპიტყუენ მეცა საიდუმლონი“; 2. ასევე უნდა ვახსენოთ მარიამ ღვთისმშობელი, რომელმაც „ნამდვილ სატრფოი ჰშვა კორციელად ჩუენდა“, განვადიდოთ და ვაუწყოთ ყველას მისთვის თქმული წინასწარმეტყუელებანი და ნიშნი; 3. ამის მსგავსად „თანა-გუაც“ გამოვაცხადოთ ჯვარის მოსწავება იგავით, მისი ძლიერება და ნიშ-მადლობა, რათა, ვისაც „თვთ ცნობა ვერ ძალ-უც“, ჩემგან ისწავლოს, და 4. რაკი „მეგობარნი ღმრთისანი სადიდებლად არიან მორწმუნეთად“, ჩვენც მათთვის უნდა გამოვთქვათ სამკებრო ლექსები.

ანტონის თეოლოგიური შეხედულებები შემუშავებულია ეპოქის სულიერი განწყობილების შესაბამისად და საეკლესიო ნორმატივების ზუსტი დაცვით. ქართული ეკლესიის მესვეურისგან სხვა რამ არცაა მოსალოდნელი, რადგანაც ანტონი მოვალე იყო გამოჰხმაურებოდა შერყეული ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებლად და საღვთისმეტყველო ცოდნის ასამაღლებლად ყველა იმ აუცილებელ მოთხოვნილებას, რომელთაც უყენებდა მაშინდელი საზოგადოება თავის მოღვაწეებს. ამიტომაც მან დაწერა დიდტანიანი შრომები — „ღმრთისმეტყუელება“ (ოთხ ტომად) და „მზამეტყუელება“ (ანტიმონოფიზიტური პოლემიკური თხზულება). ამ ძეგლებში ჩამოაყალიბა ვრცლად ყველა ძირითადი დებულება, რომლებიც მოცემულია კონსპექტურად „წყობილისიტყვაობის“ პირველ მონაკვეთში. უდავოა, ანტონი უხვად სარგებლობდა ხანებულის ორი ნაშრომით, როდესაც თავის რელიგიურ შეხედულებებს იამბიკური შაირსიტყვაობით ალაგებდა და გვაცნობდა.



„წყობილსიტყვაობის“ მეორე (ისტორიული) ნაკვეთი შეიცავს ქართველი წმინდანების, მეფეების, კათალიკოს-პატრიარქების, ეპისკოპოსთა, მეცნიერთა, მწერალთა და პოეტთა სადიდებლად შეთხზულ ლექსებს. ამის შესახებ ანტონი შემდეგს იუწყება (857 — 858):

გვქმდა ესეცა ჩუენათესცა წმიდათა  
 კსენება მათი არ-დავიწყებად, ქებად.  
 ამისთეს ვლექსენ მათთესცა განმკარგველმან  
 ეგსახედ ჩუენთა მეფეთა ღირსთა ქებით,  
 მწერალთათესცა და თარგმანთა და ბრძენთა.

წილი მეხუთე არს ქართველთა წმიდათად,  
 ხოლო მეექვსე — მეფეთა ქართველთადმი,  
 კუალად მეშვიდე — მწერალ-ღრამატიკოსთად  
 და კაცთა ბრძენთად, ცნობად ქუმდებარებთად  
 და ზედ-ღართული სხუათათესცა მიზეზთა.

მართლაც, თხზულების ისტორიული ნაკვეთი (V—VII ნაწილები) აგებულია იმგვარად, როგორადაც ავტორი გვაცნობს მის შინაარსს.

მეხუთე ნაწილი ეთმობა ქართველ წმინდანებს; შეიცავს 143 სტროფს, გაყოფილია ცამეტ თავად; წარმოადგენს საგალობელთა კრებულს, რომლებშიც სამქებრო ლექსები განლაგებულია კალენდარულად თვეების მიხედვით სექტემბრიდან აგვისტომდე. მხოლოდ სამი საგალობელია მოძრავ თარიღებთან დაკავშირებული. შექმნილია 30 წმინდანი შემდეგი რიგით:

თავი I: 13 სექტემბერს — ქეთევან დედოფალი (403—410),  
 15 სექტემბერს — ოსებ ალავერდელი (411—414),  
 16 სექტემბერს — ისაკ და ოსებ კარელნი (415—416),  
 18 სექტემბერს — ბიძინა, შალვა და ელიზბარი (417—424),

თავი II: 2 ოქტომბერს — დავით და კონსტანტინე (425—427),  
 5 ოქტომბერს — გრიგოლ ხანძთელი (428—430);  
 28 ოქტომბერს — ნეოფიტე ურბნელი (431—435),

თავი III: 10 ნოემბერს — კონსტანტი კახაჲ (436—441);  
 17 ნოემბერს — მიხაილ-გობრონი (442—447),  
 19 ნოემბერს — ილარიონ ქართველი (448—452);  
 29 ნოემბერს — აბიბოს ნეკრესელი (453—455);

თავი IV: 2 დეკემბერს — ისე წილენელი (456—459);

თავი V: 8 იანვარს — აბო ტფილელი (460—462),  
 14 იანვარს — წმიდა ნინო (463—469),

- 19 იანუარს — ანტონ მარტყოფელი (470—474),  
 26 იანუარს — დავით აღმაშენებელი (475—483);
- თ ა ვ ი VI: 15 აპრილს — სუქია (484—485);
- თ ა ვ ი VII: 7 მაისს — იოანე ზედაზნელი (486—490);  
 9 მაისს — შიო მღვიმელი (491—495),  
 13 მაისს — ეფთვიმე ათონელი (496—501),  
 17 მაისს — დავით და ტირიქანი (502—504);
- თ ა ვ ი VIII: 21 ივნისს — არჩილი და ლუარსაბი (505—508);  
 27 ივნისს — გიორგი მთაწმიდელი (509—513);
- თ ა ვ ი IX: 12 ივლისს — იოანე, ეფთვიმე და გაბრიელი (514—519),  
 29 ივლისს — ვესტათი პიქეთელი (520—522);
- თ ა ვ ი X: 3 აგვისტოს — რაჟდენ პირველმოწამე (523—528),  
 28 აგვისტოს — შუშანიკ დედოფალი (529 — 532);
- თ ა ვ ი XI: ბრწყინვალე კვირის მომდევნო ორშაბათიდან პარასკევამდე—გარეჯე-  
 ლი მოწამენი (533—536);
- თ ა ვ ი XII: აღესებიდან მეშვიდე ორშაბათს — დოდო გარეჯელი (537—542);
- თ ა ვ ი XIII: აღესების მეხუთე ხუთშაბათს — დავით გარეჯელი (543—545).

მ ე ე ქ ე ს ე ნ ა წ ი ლ ი „თვს“ ქართველთა რომელთამე მეფეთა  
 ჩინებულთა“ შედგება ექვსი თავისაგან (98 სტროფისაგან); მასში  
 დახასიათებულია ოცი მეფე მირიანიდან (IV ს.) ერეკლე მეორემ-  
 დე (XVIII ს.). ესენი არიან:

- თ ა ვ ი I: მირიან ხოსროვანი (548—550), ვახტანგ გორგასალი (551—554), არჩილ  
 I (555—560);
- თ ა ვ ი II: გურამ კურაპალატი დავითიანი (561—562), ბაგრატ III (563—566),  
 ბაგრატ IV (567—568);
- თ ა ვ ი III: დავით აღმაშენებელი (569—580), გიორგი III (581—583), თამარ  
 მეფე (584—595);
- თ ა ვ ი IV: დმიტრი თავდადებული (596—597), გიორგი ბრწყინვალე (598—  
 599), ბაგრატ V (600—601), ალექსანდრე I დიდი (602—607), ლუ-  
 არსაბ I (608—609), სვიმონ I (610—612), ლუარსაბ II (613—  
 618);
- თ ა ვ ი V: თეიმურაზ I (619—622), ვახტანგ VI (623—626), თეიმურაზ II  
 (627—631);
- თ ა ვ ი VI: ერეკლე II (632—642).

მ ე შ ვ ი დ ე ნ ა წ ი ლ ი — „თვს“ ქართველთა სიბრძნის-მო-  
 ყუარეთა კაცთა მწიგნობართა“ შედგება რვა თავისაგან (170 სტრო-  
 ფისაგან). უძღვის ერთსტროფიანი შესავალი (645); აქ ავტორი ამ-  
 ბობს: სასურველია ვახსენოთ ის ბრძენ-კაცნიც, რომლებიც გულ-  
 წრფელად ემსახურებოდნენ სიბრძნეს; მათ იცოდნენ, რომ სიბრძნე  
 არის ჯონებისა და განსჯის შეერთება და გაპირობებულთა მეცნიე-  
 რული ცოდნით. ამის შემდეგ იწყებს ის მწერალ-მთარგმნელების,

პოეტებისა და მწიგნობართა ქებას. სულ შექმებულია სამოცი პირო (646—815).

„წყობილსიტყვაობა“ არსებითად მთავრდება განწილული შვიდი ნაწილით. მართალია, მას ერთვის დამატებად კიდევ ხუთი თავი (816 — 850), მაგრამ ეს დამატება თხზულების შინაარსს თუ აფართოებს, თორემ მის საერთო სტრუქტურას არა სცვლის. უკანასკნელი თავი — ათი სტროფი (851 — 860) შეიცავს ბოლოთქმას.

ამრიგად, „წყობილსიტყვაობა“ აგებულია წინასწარშემუშავებული გეგმით: აქვს მას გონივრულად გააზრებული სტრუქტურა, რაც ვლინდება ნაწილებად და თავებად დაყოფასა და სახობო ლექსთა თანმიმდევრობაში. თუ გავიხსენებთ სოლომონის ზემოთდამოწმებულ იგავს — „სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი და ქუეშე შეუდგნა მას შუდნი სუეტნი“ — და გავითვალისწინებთ თხზულების კომპოზიციას, ნათელი გახდება, რომ ანტონს თავისი შრომა წარმოუსახავს სიმბოლიურად სოლომონისეულ სიბრძნის სახლად, რომელსაც შედგმული აქვს შვიდი სვეტი, და ეს შვიდი სვეტია, მისი აზრით, ძეგლის შვიდი ნაწილი: სწავლა ღვთისმეტყველებისათვის; ღვთისმშობლის, ცხოველმყოფელი ჭვარისა და წმიდათა დიდება, სასწაულნი და ნიშნი; ქართველ მოწამეთა, წარჩინებულ მეფეთა და სიბრძნის მოყვარე კაცთა ხსენება, მათი ჭეშოვნის დაფასება.

## თხზულების დაწერის თარიღი

„წყობილსიტყვაობის“ დაწერის თარიღი ღღესაც არ არის დადგენილი. ამის შესახებ ხელნაწერებში დაცულია საყურადღებო ცნობები. საქმის ვითარება მოკლედ ასეთია: თხზულების დამთავრებისთანავე ანტონის მოწაფეებს — გაიოზსა და ტრიფილეს გაუმზადებიათ ხელნაწერი გამოცემა: გადაუწერიათ ტექსტი, წაუმძღვარებიათ „წინასიტყვა“, დაურთავეთ ანდერძი და გაუვრცელდებიათ. მართალია, ეს პირები თავიანთ დანართ ლექსებში არას ამბობენ, თუ ძეგლი როდის შეითხზა, მაგრამ ისტორიულ-ლიბლიოგრაფიულ ცნობათა ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას ზუსტად განვსაზღვროთ ძეგლის დაწერის თარიღი.

გაიოზი ანტონს უწოდებს მღვდელმთავარს (03), ხოლო ტრიფილე მას ასე მიმართავს (031):

რამაჲ საკადრნი სიტყუანი გიძღუნეთ ძეთა  
სხუა ოქროპირსა ჩუენდა ანუ სხუა პავლეს:  
მეფის ძეებრნი ანუ მ ა მ ა თ მ თ ა ვ რ ე ბ რ ნ ი ?

აქედან ჩანს, რომ როცა ანტონს „წყობილსიტყვაობა“ დაუმთავრებია, მაშინ ის უკვე მამათმთავარი ყოფილა.

ძეგლში დაცულია ამის საწინააღმდეგო რეალიაც, რომლიდანაც ირკვევა, თითქოს თხზულება დაწერილი იყოს ანტონის ეპისკოპოსობის დროს. 201-ე სტროფში ავტორი ლეთისმშობილს ევედრება, რომ მიიღეს

ანტონის მიერ უნდო ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს  
ნათქუნი სურვილით მირთმად შენდა, ქალწულო,  
ტრფილებითნი წყობილ-სიტყუობანი.

მეტცი: S 1 (E) ხელნაწერის ანდერძის მიხედვით უკრობს ე. თაყაიშვილი, რომ ეს ნაწარმოები 1745 წლის 21 მარტს უკვე დასრულებული ყოფილა<sup>2</sup>. S 1 გადაწერილია ნეოფიტეს და

<sup>2</sup> Е. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей, 1, 1902-1904, с. 1.

მისი გადაწერის თარიღი ისეა დაწერილი, რომ კაცი უნებლიედ 1745 წელს ამოიკითხავს, მაშინ როდესაც შეიძლება ის წავიკითხოთ 1795 წლად. ე. თაყაიშვილის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. რჩეულებში დაცულია ისეთი რეალიები, რომელთა მიხედვითაც ამისი შექმნა არ შეიძლება XVIII საუკუნის 60-იან წლებზე ადრე ვივარაუდოთ. აი, ისინიც:

ა. ანტონი იხსენიებს თეიმურაზ მეორეს გარდაცვლილ მეფედ, მასზე წერს (630):

ამან ქრისტებრი აჩუნა სიყუარული,  
მეგობართჱს ანუ სამეფოსათჱს  
სულს-დადება ორგზის უცილობელად;  
ჭორცთა დამტვეის სული მიჰკუარა ქრისტეს.  
კესენება მისი იყავნ უკუნისამდე!

თეიმურაზი გარდაიცვალა 1762 წლის 8 იანვარს პეტერბურგში. მაშასადამე, „წყობილსიტყვაობა“ არათუ 1745, არამედ 1762 წლის დასაწყისშიც არაა დასრულებული.

ბ. 1764 წელს თბილისში დაიბეჭდა „კურთხევანი“ ერეკლე მეფის ბრძანებითა და ანტონ კათალიკოსის კურთხევით. მის პირველ გვერდზე მოთავსებულია „აკროსტიხურნი დასდებელნი, ქმნილნი ანტონი საქართველოსა პატრიარხისა, რომლისა კიდურწერილობა [იტყვს]: «ირაკლი მეფე საქართველოსა»,“ ზედწარწერილის ქვეშ კი იკითხება „წყობილსიტყვაობის“ ოთხი სტროფი (632 — 635), რომელიც უძღვის ერეკლე მეფის სადიდებლად დაწერილ ხოტბას<sup>3</sup>. აკროსტიქული ძღვნის ბოლო ტაეპში (635,5) დაცულია მნიშვნელოვანი რეალია: ერეკლე არისო „ორგზის მახლი წიგნთა საბეჭდავისა“ (ანუ ქართული სტამბის ორჯერ განმარტებელიაო). ვიკონი VI-ის სტამბა, რომელიც დახურული იყო დიდი ხნის განთავსებაში, ორგზის განახლა ერეკლე II-მ: პირველად — 1749 წელს, მეორედ — 1763 წელს<sup>4</sup>. მაშასადამე, ერეკლესადმი მიძღვნილი ჭემა (632 — 742) დაწერილია 1763 — 1764 წლებში, აბილის სტამბის მეორედ განახლებიდან „კურთხევანის“ დაბეჭდვამდე. იაკი ესვე ჭემა შეტანილია „წყობილსიტყვაობის“ ტექსტშიც, ცხადია, ანტონი ამ ძეგლზე მუშაობას შესდგომია 1764 წლის შემდეგ.

<sup>3</sup> ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია. I, 1941, გვ. 55.

<sup>4</sup> ო. კანკაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, 1973, გვ. 71—79.

გ. თხზულების სამ (ABC) ხელნაწერს მოეპოვება თავფურცელი ასეთი სათაურით: „ანტონისა, არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოხსა საქართველოხსა, დავითიან-ბაგრატიონისა, ქმნილი ანუ თქმული წიგნი «წყობილსიტყუაობა», ესე იგი არს, განზომილსიტყუაობა, ბრძენათჳს კეთილ-შესაქცევი, დროსა ყოვლად ბრწყინვალისა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა ზემოხსა საქართველოხსა, ხოლო მამათმთავრობისა თვისისა წელსა დასაბამითგან სოფლისა — 7276, ვორციელად შობითგან სიტყუსა ღმრთისა — 1768, თთუესა მეოთხესა, რიცხუსა 20“ (აქვე, გვ. 133).

ამ ზედწარწერილში მითითებულია თარიღი — 1768 წლის 20 აპრილი, რაც აღნიშნავს „წყობილსიტყუაობის“ დამთავრების დროს.

ასე რომ, ანტონს თავისი თხზულებისათვის საბოლოო ლიტერატურული ფორმა მიუცია ერეკლე მეორის მეფობის დროს, 1764 — 1768 წლებში.

ისიც უნდა ითქვას, რომ ძეგლის ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი (თუ თავი) ანტონს ადრევე ჰქონია დაწერილი სხვა მიზნითა და სხვა ლიტერატურულ საქმიანობასთან დაკავშირებით. ესენია:

1. „ხუმუტკლედნი დასდებელნი ერგასეულნი“ („წყობილსიტყუაობის“ პირველი ნაწილის ადრეული ვარიანტი, „შეთხზული „მზამეტყველების“ დამთავრებისთანავე, 1750—1752 წლებში)<sup>5</sup>.

2. მესამე ნაწილის ბოლო თავი — „თჳს საღმრთოხსა კუართისა“ (298 — 301), ამოღებული ანტონისავე „სადღესასწაულოდან“, რომელიც გადაწერილია ტრიფილე მონაზონის მიერ 1759—1760 წლებში<sup>7</sup>.

3. მეხუთე ნაწილი — „თჳს ქართველთა წმიდათა“, შედგენილია აკროსტიქული და რამდენიმე ჩვეულებრივი სტროფის გამოკლებით იმავე „სადღესასწაულოდან“ გამოკრებილი საგალობლები-საგან<sup>8</sup>.

<sup>5</sup> ამ ხელნაწერების აღწერილობა იხ. აქვე (გვ. 86—88). შდრ.: თ. შორდანიძე, ქრონიკები, III, 1967, გვ. 305—306.

<sup>6</sup> მზამეტყველება, ქმნილი ანტონი I საქართველოს კათალიკოზისაგან, პ. კარბელიძის მიერ, სრულდებოდა, 1892, გვ. 606—613 (შდრ. A 279). აქ მოთავსებულია შემდეგი სტროფები: 1—4, 18—21, 27—53, 62—63, 72—75, 77, 86, 100.

<sup>7</sup> S 1464, ფ. 113v—114 r.

<sup>8</sup> „სადღესასწაულოში“ (S 1464) დაცული სტროფები მითითებულია ქვემოთ

4. დანართი იამბიკოები — ფრიდერიკოს ბაუმისტერის „ფილოსოფიის განსაზღვრების“ წინასიტყვა (816—818), „კატეგორიის“ წინასიტყვა (819—827), „კატეხიზისის“ შესავალი (828—832) და ეპიტაფიები (833—850), რომლებიც დაწერილია 1760—1767 წლებში<sup>9</sup>.

ყოველი თქმული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ:

„წყობილსიტყვაობის“ დაწერა ანტონ ბაგრატიონს განუზრახავს რუსეთიდან დაბრუნების (კერძოდ, 1764 წლის) შემდეგ და დაუმთავრებია 1768 წლის 20 აპრილს. მას 1764—1768 წლებში შეუთხზავს კრებულის ძირითადი ტექსტი: თეოლოგიური მონაკვეთი (პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები) ზემოაღნიშნული 50 სტროფის გამოკლებით და ისტორიული მონაკვეთის მეექვსე და მეშვიდე ნაწილები; ხოლო ნაწილი მეხუთე, რომელიც მიმობნეულია „სადღესასწაულოში“, შეუვსია ძირითადად აკროსტიქული სტროფებით. ამავე დროს ზოგი რამ მას თავისი ძველი (კათალიკოსობის პირველი პერიოდისა და ვლადიმირში ყოფნის დროინდელი) ნაწერებიდან ამოუღია, გადაუმუშავებია, გაუვრცია და ისე შეუტანია თხზულებაში ახალი რედაქციით (ეს ითქმის უპირველესად პირველსა და მეხუთე ნაწილებზე, აგრეთვე დამატებათა შესახებ).

---

P ნუსხის აღწერილობაში, ხოლო ის სტროფები, რომლებიც ანტონს შეუვსია წმინდანთა საგალობლები, აღნიშნულია სათანადო შენიშვნებით თვით ტექსტის სქოლიოებში. „სადღესასწაულოსა“ და „წყობილსიტყვაობას“ შორის არსებულ ურთიერთობაზე უკანასკნელ ხანს საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა მ. ქავთარიაშ (XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1977, გვ. 78—85).

<sup>9</sup> S ფონდის ხელნაწერები: 41, 69, 84, 129. შტრ.: ი. ლოლაშვილი, ხელნაწერთა აღწერილობა (ლიტერატურის მატანე, V, 1949, გვ. 9—10).

## „წყობილსიტყვაობის“ ლიტერატურული წყაროები

„წყობილსიტყვაობის“, როგორც ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობების შემცველი თხზულების, მეცნიერული ღირებულების გარკვევა და ჯეროვანი შეფასება დამოკიდებულია მისი ლიტერატურული წყაროების დადგენასა და ისტორიული რეალიების სწორ კომენტირებაზე. დღემდე ეს საკმე ჯერ კიდევ არ არის გაკეთებული: მისაგნებია ზოგიერთი ცნობის წყარო; დასადგენია ზოგიერთი შექებული პირის ვინაობა, მათი მოღვაწეობის დრო და აგრეთვე ის, თუ ვის რა თხზულება დაუწერია.

მეცნიერთა ერთი ნაწილი ძეგლის მიმართ ავლენს მკაცრ კრიტიკულ დამოკიდებულებას, მეორე ნაწილი კი — პირიქით მას დიდი ნდობით ეკიდება, თუმცა არც ერთი მხარის პოზიცია არაა სათანადოდ დასაბუთებული.

„წყობილსიტყვაობის“ პირველი შეფასება მოგვცეს ე. ბოლხოვიტინოვმა, პ. იოსელიანმა და ნ. ბერძნიშვილმა. პ. იოსელიანი თხზულების გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „წიგნი ესე «წყობილსიტყვაობა» დიდად სახმარია ისტორიისათვის ლიტერატურისა ანუ ქართველთა მწერლობისა“ (გვ. XVIII)<sup>10</sup>; ხოლო ნ. ბერძნიშვილი ამბობდა: ეს წიგნი თავისი საფუძვლიანი შინაარსით საერთო სახალხო ინტერესს იწვევს. მისი სარგებლობა უეჭველია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენში წერა-კითხვის გავრცელება სახალხო განათლების ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა, ხოლო მწიგნობრობა თავის მიზანს მაშინ აღწევს, როდესაც კითხვის მოთხოვნილება კმაყოფილდება რაიმე დადებითი, სასარგებლო და არსებითი მოვლენებით, „წყობილსიტყვაობა“ ამას ყოველივეს საკმარისი ზომიერებით აერთიანებს<sup>11</sup>.

<sup>10</sup> წყობილსიტყვაობა, ქმნილი ანტონისგან პირველისა, კათალიკოს-პატრიარქისა ყოვლისა საქართველოჲსა, დაბეჭდილი ტფილისს, 1853, XXVI+318 გვ.

<sup>11</sup> Кавказ, 1853, № 12 (იხ. ნ. ბერძენოვის რეცენზია).



ძეგლს მაღალ შეფასებას აძლევდა აგრეთვე ა. ხახანაშვილი: იგი არისო „ფრიად მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც შეიცავს უამრავ ბიბლიოგრაფიულ მონაცემს ძველი ქართული მწერლობის შესახებ“<sup>12</sup>... „ხოლო ე. თაყაიშვილი ასე გვაცნობდა მას: „საერთოდ თხზულება გვაძლევს მოკლე, მაგრამ ზუსტ დახასიათებას ყველა ძველი ქართველი მოღვაწისას, რომელნიც კი ცხოვრობდნენ XVIII საუკუნის ნახევრამდე... ზოგიერთი მასალა და მწერლის თხზულება, რომლებითაც სარგებლობდა ჩვენი ავტორი, ჩვენამდე მოღწეული არ არის. ამიტომაც ბევრი ცნობისათვის ანტონ კათალიკოსის «წყობილსიტყვაობას» პირველი წყაროს მნიშვნელობა აქვს“<sup>13</sup>.

1923 წლიდან ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში დაიწყო ანტონის შრომის გადაფასება, რაც გამოწვეული იყო ძველი ქართული მწერლობის შესახებ ტრადიციული ცნობებისადმი პიპერკრიტიკული დამოკიდებულებით. აი, რას წერდა მაშინ კ. კეკელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში. (გვ. 8—9):

„მეთვრამეტე საუკუნეში ანტონ პირველმა კათალიკოსმა დაწერა, სხვათა შორის, თხზულება «წყობილსიტყვაობა»... წიგნი შედგება შეიდი ნაწილისაგან და დაწერილია იამბიკოდ; ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით საყურადღებოა მეშვიდე ნაწილი, რომელსაც სათაურად აქვს «თვს ქართველთა სიბრძნის-მოყვარეთა კაცთა მწიგნობართა». აქ ავტორს განუზრახავს მოგვეცეს მოკლე მიმოხილვა ძველი ქართული მწერლობისა, როგორც ეკლესიურის, ისე საეროსი... მწერლები და მოღვაწენი ჩამოთვლილია უმთავრესად მეთვრამეტე საუკუნიდან ავტორის დრომდე; ავტორი მათ ახასიათებს სქოლასტიკურ-რიტორიკული იამბიკოებით და ზოგიერთ შემთხვევაში მასალასაც ასახელებს. აქ ჩვენ ბევრ ისეთ სახელს ვხვდებით, რომელთაც, როგორც მწერლებს, სხვა წყაროებიდან არ ვიცნობთ. მართალია, ბევრი რამ ავტორს გარდამოცემისა და ზეპირსიტყვაობიდან შემოაქვს, ბევრი ცნობა მისი სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ, როგორც

<sup>12</sup> А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, III, 1901, с. 296 (მდრ.: ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, 1904, გვ. 538).

<sup>13</sup> Е. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей, I, с. 1—2.

პირველი ცდა ისტორიულ-ლიტერატურული სისტემატიზაციისა, თხზულება საპატიოა“<sup>14</sup>.

ამ მოსაზრებას კ. კეკელიძე ავითარებდა 1960 წელსაც, როდესაც მან „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეოთხე გამოცემა გამოაქვეყნა“ (გვ. 17).

1937 წელს ამავე თვალსაზრისს იზიარებდნენ შ. ნუცუბიძე და ს. ყაუხჩიშვილი, როდესაც განიხილავდნენ XII საუკუნის ქართველ მოაზროვნეთა შესახებ ტრადიციულ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს. აი, რას წერდნენ ისინი: „ანტონ კათალიკოსის ცნობები თავის თავად საბუთად ვერ გამოდგება. მის დამკველობითს მეტად აქტიურ განწყობილებას რომ თავი დავანებოთ, იგი („წყობილსიტყვაობა“, ი. ლ.) ხშირად არასწორ და შეუმოწმებელ ცნობებსაც შეიცავს. ასე მაგ., ანტონი ეფრემ მცირის მასწავლებლად ასახელებს იოანე პეტრიწს, რაც, როგორც ირკვევა, სრულიად ეწინააღმდეგება ქართული აზროვნების ისტორიულ პერსპექტივებს“ და ა. შ.<sup>15</sup>

ამგვარ მოსაზრებათა გამო ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მოიკიდა ფეხი უნდო დამოკიდებულებამ „წყობილსიტყვაობაში“ დაცული ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებისადმი. მართალია, უკანასკნელ ხანს აღინიშნა, რომ ანტონის ეს თხზულება წარმოადგენს „არა მარტო ეროვნული მწერლობის ისტორიის შექმნის პირველ ცდას, არამედ ამ მწერლობის პირველ დიდ შეფასებასაც“, რომ მასში თავმოყრილია „უაღრესად საყურადღებო და სანდო ცნობები საქართველოს ისტორიიდან“, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ „ჩვენი ისტორიის მრავალი საკითხის გარკვევისათვის“<sup>16</sup>, მაგრამ ეს თვალსაზრისი ავტორის მიერ არაა დასაბუთებული. საქმე ისაა, რომ ანტონის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ ცნობათა ავთენტიკურობის განსაზღვრა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ გაირკვევა ამ ცნობათა წყაროები და დადგინდება მათი ურთიერთმიმართება.

როგორც ითქვა, იმის დასასაბუთებლად, თითქოს „წყობილსიტყვაობა“ შეიცავს „არასწორ და შეუმოწმებელ ცნობებს“, აღ-

<sup>14</sup> დაყოფა სხვათა ციტატებში აქაც და ქვემოთაც ყველგან ჩემია,

<sup>15</sup> იოანე პეტრიწის შრომები, II, 1937, გვ. CV—CVI (შდრ.: შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები. ფილოსოფია და კულტურა, 1965, გვ. 203—204).

<sup>16</sup> ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, 1972 (რ. ბარამიძის შეკავალი წერილი).

ნიშნავენ, რომ „ანტონი ეფრემ მცირის მასწავლებლად ასახელებს იოანე პეტრიწს“, რაც შეცდომააო. მაგრამ აქ ანგარიში არ ეწევა იმ ფაქტს, რომ ანტონი იმეორებს ეფრემ მცირის სიტყვებს (748):

იტყვას თვთ ეფრემ მოძღუარ-ყოფასა თსიად  
იოანესა საღმრთო ფილოსოფოსის,

რომელიც წაუციტხავს მას არეოპაგიტული კორპუსის („საღმრთოთა სახელთათვის“ ტრაქტატის) ეფრემისეული ქართული თარგმანის ანდერძში (A 110, ფ. 195)<sup>17</sup>. ეფრემი აქ ამბობს: „ლოცვა ყავთ... იოანეს თვის საღმრთოდ ფილოსოფოსისა და კორციელად ღრამატიკოსისა, რამეთუ... იგი იქმნა პირ და გონება და სიტყუა პირუტყუთა უუგუნურესისა ეფრემ მცირისა, რომელი აღვიარებ, ვითარმედ: არა თუმცა იგი ყოფილი ყო მთქლუარ და ძალ-მწე ჩემდა, მიხედვადმცა ვერ ვიკადრებდი მზის თუალსა ამის წიგნისასა“. ცხადია, განცხადება, თითქოს ანტონი არასწორ და შეუღოწმებელ ცნობებს გვაწვდისო, შეცდომად უნდა ვცნოთ, რადგანაც ირკვევა, რომ მწერალს ხელთ ჰქონია პირველხარისხოვანი ძველი ცნობა — თვით ეფრემ მცირის ანდერძი, რომელიც დაწერილია დაახლოებით XI საუკუნის 90-იან წლებში და ჩვენამდე მოღწეულია XIII საუკუნის ხელნაწერით<sup>18</sup>.

ანტონის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობების ზოგიერთი წყაროს მიუგნებლობამ წარმოშვა მცდარი კომენტარებიც, რომელთაც განაპირობებს უნდო დამოკიდებულება ამ წყარომიუგნებელი ცნობებისადმი. მართალია, „წყობილისიტყვაობის“ გამოქვეყნებით პ. იოსელიანმა დიდი საქმე გააკეთა (მართო რად ღირს ის, რომ ხსენებული გამოცემა დღესაც ემსახურება ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას!), მაგრამ მანვე ძეგლს ისეთი შეუღოწმებელი და ფრაგმენტული ხასიათის კომენტარები დაურთო, რომ ამან ექვის ქვეშ დააყენა ზოგი კარგი ცნობის ვარგისიანობა.

ზოგიერთი თანამედროვე მეკლევარი პ. იოსელიანის შეცდომებისგან დღესაც ვერ განთავისუფლებულა. ცხადვით თქმულნი ფაქტობრივი მონაცემებით. მაგ., თუ პ. იოსელიანს დავუჭერებთ, 654—656-ე სტროფებში შექმბული იოანე კათალიკოსი ყოფილა ის იოანე

<sup>17</sup> პეტრი იბერიელი (ფსევდო-დონისე არეოპაგელი). შრომები, გამოსცა ს. ენუქაშვილმა, 1961, გვ. 020.

<sup>18</sup> ამის შესახებ ვრცლად იხ. წიგნი: იოანე პეტრიწი, სათნობათა კიბე. გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევია, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, 1968, გვ. 36—40.

ნე (თითქოსდა თამარ მეფის მიერ დადგენილი კათალიკოსი), „რომელიც იბრძოდა სომეხთა სარწმუნოებისათვის“ (გვ. 219)<sup>19</sup>. მართლაც, „ისტორიათა და აზმათა“ მატიანეში თამარის თანაშემწეად იხსენიება იოანე კათალიკოსი, „სულმობერებული, კაცი ანგელოზთა მოსაგრე“, რომელმაც სომეხებთან გამართული საეკლესიო პაექრობისას დამშეულ ძალს სეფისკვერი მიუგდო შესაქმელად<sup>20</sup>. მაგრამ ამ უხამსი ექსპერიმენტის ინიციატორი მღვდელთმთავარი ანტონის ქება-დიდებას ვერ დაიმსახურებდა. „წყობილიტიყვაობაში“ დახასიათებული კათალიკოსი არის „მმარხუელი შიოს ლოცვით შობილი ვინმე“, „ბერწის ძე“ (ან „სხუა ბერწის წული“) და „უდაბნოს მოყუარე“, რომელიც ჯერ შიო-მღვიმეში მოღვაწეობდა მონაზვნად, შემდეგ კი „მწყემსობა ღირსად მიიღო“ (654 — 656). ცხადია, ეს იოანე არის არა თამარისდროინდელი მოღვაწე, არამედ ბასილი კათალიკოსის მიერ „შიოს სასწაულთა თხრობაში“ მოხსენიებული „იოანე ქართლის კათალიკოსი, რომელი ყოვლითურთ იქმნა სწორ იოანე ოქროპირისა“. მისი მამა იყო „კაცი წარჩინებული, სახელად გიორგი“, ხოლო დედა — ბერწ. იშვა იგი შიო მღვიმელის სასწაულმოქმედების შედეგად. ერთი წლის ყრმა ემბაზიდან ამოიყვანა ელია მემღვიმემ და მანვე ათი წლის ასაკიდან აღზარდა შიო-მღვიმეში; შემდეგ მან მიიღო კათალიკოსობა. ბასილ ვაჩეს ძის (X ს.) ცნობით, ამ იოანეს „სათნოებანი და საქმენი“ აღუწერიათ წიგნად, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ანტონისთვის ცნობილია ბასილის თხზულება. მასში იოანე კათალიკოსის შობა აღწერილია მეთერთმეტე სასწაულად<sup>21</sup>.

ანალოგიურია მეორე კომენტარიც. იგი ერთვის არსენ კათალიკოსისადმი მიძღვნილ 649 — 651-ე სტროფებს (გვ. 210). პ. იოსელიანი აქ შენიშნავს: „ეს არსენი იყო იმერეთ-აფხაზეთისა კათალიკოსი, აღჰყვანილი ამა ხარისხსა 1390 წელს ნებითა და ბრძანებითა გიორგი იმერთა მეფისა, რომელიცა იყო ძე ალექსანდრე მეფისა“<sup>22</sup>. მართლაც, 1390 წელს „აფხაზთა კათალიკოსად დასვეს არსენი“<sup>23</sup>, რომლის სამწერლო საქმიანობა ჩვენთვის უცნობია. ანტონს ეს არსენი არ ჰყავს მხედველობაში. იგი ხოტბას ასხამს მხო-

<sup>19</sup> შტრ: А. Х а х а н о в, Очерки, III, 1901, გვ. 270.

<sup>20</sup> ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 81—90.

<sup>21</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ილია აბულაძემ, 1955, გვ. 207—210.

<sup>22</sup> შტრ: А. Х а х а н о в, Очерки, III, 1901, с. 269.

<sup>23</sup> თ. უ რ დ ა ნ ი ა, ქრკ., II, 1897; გვ. 191; ქ. ცხ., IV, 1973, გვ. 803.

ლოდ ქართლის კათალიკოსებს და მათ შორის მოხსენიებული არსენი, ცხადია, საძიებელია მხოლოდ ქართლის კათალიკოსებში. ეს არსენი არის მწერალი, რომელიც „პელოპის, ღმრთის-მეტყუელებს, რიტორებს“ და ამკობს ეკლესიას. მას განუვრცია ერთი შრომა: „გ ა ნ ვ რ ც ო მ ა შენი შეუნიერ თქმათა შინა“ (651). თუ გავიხსენებთ „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ზედწარწერილს — „გ ა ნ ა ხ ლ ა და გ ა ნ ა ვ რ ც ო წმიდამან მამამან ჩუენმან ქრისტეს მიერ ა რ ს ე ნ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ს მ ა ნ“<sup>24</sup>, უდავო გახდება, რომ აქ ანტონი აქებს არა XIV საუკუნის არსენ იმერთა კათალიკოსს, არამედ — X საუკუნის არსენ II ქართლის კათალიკოსს (955 — 980 წწ.), გამოჩენილ მწერალსა და საეკლესიო მოღვაწეს, „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორს.

3. იოსელიანის კომენტარებში აღნიშნულია ასევე შეცდომით ზოგიერთი ისტორიული პირის ცხოვრების (ან გარდაცვალების) თარიღები. მაგ., ვკითხულობთ: შუშანიკ დედოფალი გარდაიცვალა 578 წელს (გვ. 168), გიორგი ოლთისელი — 1072 წელს (გვ. 251), ნიკოლოზ ორბელიანი (სულხან-საბას ძმა) — 1725 წელს (გვ. 228), თეიმურაზ II — 1744 წელს (გვ. 203); ბიძინა, შალვა და ელიზბარი აწამეს 1622 წელს (გვ. 119); ამავე წელს მოხდა გარეჯელ ბერთა ამოხოცვა მოწამეთში (გვ. 170); „ესე გრიგოლი, ახალ აბრაამად წოდებული, ჰსცხოვრებდა 1050 წელს“ (გვ. 236); საბასეინელი „ჰსცხოვრებდა 1150 წელსა“ (გვ. 265), შოთა რუსთაველი, „მონაზონად აღკვეცილი, გარდაიცვალა იერუსალიმს 1215 წელსა“ (გვ. 284) და სხვა. ამ თარიღთაგან ყველა მცდარია. ერთ-ერთ კომენტარში აი რას ვკითხულობთ (გვ. 263): „მონაზონი, რომელი ჰსძლევდა ტფილისს მანმედიანთა სიბრძნითა თჳსითა“ (759—761), „სცხოვრებდა თემურ ლანგისა დროსა“, მაშინ როდესაც მისი პაექრობის ისტორია აღუწერია არსენ იყალთოელს XII საუკუნის პირველ მეოთხედში (S 1463, ფ. 309 — 312)<sup>25</sup>.

რაც შეეხება განმარტებათა მესამე მხარეს — ვინ რა თხზულება დაწერა, იგიც მოუწესრიგებელია. კ. კეკელიძე პ. იოსელიანის ზოგიერთი ლიტერატურული ცნობის შესახებ ამბობს: „ეს ცნობა მტკნარი სიცრუეა“, „აქ უბრალო აღრევაა ლიტერატურული ფაქტებისა“, „ეს არის ფაქტების ჩვეულებრივი აღრევა, რაც გაუ-

<sup>24</sup> ასურელ მოღვაწეთა წიგნთა ძვ. რედაქციები, გვ. 2; ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქციით, III, 1971, გვ. 83.

<sup>25</sup> ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, არსენ იყალთოელი, 1978, გვ. 88—100.

გებრობაზეა დამყარებული და ასე ახასიათებს პლ. იოსელიანის ისტორიულ-ლიტერატურულ ექსკურსებს“ და სხვა<sup>26</sup>.

უდავოდ სწორია კ. კეკელიძის ასეთი მკაცრი შეფასება. მაგ., იოანე ტარიჭისძე ჩვენთვის უცნობი პიროვნებაა: არ ვიცით, როდის მოღვაწეობდა და რა თხზულებები დაწერა. ჩვეულებრივ მას იხსენიებენ ფერემ მცირესთან, თეოფილესა და არსენ იყალთოელთან ერთად გვარ-სახელით და ამის მიხედვით თვლიან მას მათ თანამედროვედ. ანტონმაც მხოლოდ მისი გვარ-სახელი იცის, მაგრამ პ. იოსელიანი აი რას გვაუწყებს: „იოანე ტარიჭისძე ანუ ტარიჭისძე ჰსცხოვრებდა დავით აღმაშენებლის დროსა (1089 — 1130). ათონით მოვიდა საქართველოს და აქენდა აქა სასწავლებელი ყრმათათვის. ამან ჰთარგმნა ბერძნულიდან «დილაქტიკა», პორფირის «შეყვანილება», «კატელორია» დამასკელისა, «ათორმეტთა ქვათათვის» ეპიფანე კვიპრელისა, საგალობელნი წმიდათანი“ (გვ. 264). აქ აღნიშნული ბიოგრაფიული ცნობები მოგონილია<sup>27</sup>; არც ხსენებული ხუთი თხზულება ეკუთვნის იოანე ტარიჭისძეს. აქაც ლიტერატურული ფაქტების აღრევასთან გვაქვს საქმე<sup>28</sup>.

ამგვარი მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლება, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია<sup>29</sup>. რა თქმა უნდა, ყოველივე თქმული არ ნიშნავს, რომ პ. იოსელიანის ყველა კომენტარი მცდარია. ცნობილი ფაქტებისა და ავტორების შესახებ წიგნში მოცემულია მოკლე და მართებული განმარტებანი; შეცდომები დაშვებულია იმ პირთა ცხოვრებისა და სამწერლო საქმიანობის შესახებ, რომელნიც შორეულ ეპოქებში ცხოვრობდნენ და რომელთა გარშემო ცოტა რამ ვიცით. მიუხედავად ამისა პ. იოსელიანს დიდი ამაგი მიუძღვის ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული ფილოლოგიის დონე იმდენად დაბალი იყო, რომ „წყობილსიტყვაობის“ ტექსტის კრეტიკული გამოცემა და კომენტირება მაშინდელი მეცნიერის ძალას აღემატებოდა და პ. იოსელიანის შეცდომებიც ამით აიხსნება.

<sup>26</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 187, 338.

<sup>27</sup> მიუხედავად ამისა მათ გ. თავზიშვილის წიგნში (ეუშალესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში“, 1938, გვ. 57) ფართო ადგილი ეთმობა.

<sup>28</sup> იოანე ბეტრიჭი, სათნობათა კიბე, გვ. 32—36.

<sup>29</sup> დაინტერესებულ პირთ ზოგჯერ მათგანის ნახვა შეუძლია აქვე საქუთარს სახელთა ლექსიკონში. ♣

ანტონ ბაგრატიონი იყო მეცნიერი ღვთისმეტყველი, ძველი ქართული მწერლობის უბადლო მცოდნე. მის განსწავლულობას ადასტურებს მრავალი ფაქტი, განსაკუთრებით კი ის, რომ „წყობილსიტყვაობაზე“ მუშაობისას გამოუყენებია დიდძალი ლიტერატურა — ბიბლიური წიგნები, აგიოგრაფიული და საერო-მხატვრული ძეგლები, საგალობლები, სწავლა-მოძღვრებანი, ფილოსოფიური ტრაქტატები, საისტორიო თხზულებანი, ბიბლიოგრაფიული წყაროები და მემუარული მასალები. ანტონი ამ ლიტერატურას, ჩანს, ეცნობოდა დავით-გარეჯაში, გელათში, მცხეთასა და თბილისში, ე. ი. ქართული კულტურის იმ ცენტრებში, სადაც სამონასტრო თუ სამეფო ბიბლიოთეკები არსებობდა<sup>30</sup>. ძველიდანვე ამ კერებში თავმოყრილი იყო მრავალი უნიკალური ძველქართული ხელნაწერი, რომელთაგან ჩვენამდე მოღწეულია მცირედი ნაწილი. რაკი ანტონი ათეული წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ჯერ დავით-გარეჯის უდაბნოში, შემდეგ — გელათში, ბოლოს — მცხეთა-თბილისში, მამასადამე, მას კარგი შესაძლებლობა ჰქონდა, რომ თავისუფლად ესარგებლნა მდიდარი წიგნადი ფონდებით და, როგორც ირკვევა, ეს შესაძლებლობა ჩინებულადაც გამოუყენებია.

„წყობილსიტყვაობის“ წყაროთა ერთი ნაწილი ადვილი დასადგენია (ეს ითქმის ცნობილი ფაქტების შესახებ). საჭიროა მათი სტატისტიკური აღნუსხვა და სისტემაში მოყვანა. წყაროთა მეორე ნაწილი საძიებელია და მისაგნებია. საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ ანტონი არასწორ და შეუძომოწმებელ ცნობებს არსად არ იძლევა. შეცდომაა ისიც, თითქოს „ბევრი რამ ავტორს გარდამოცემისა და ზეპირსიტყვიერებიდან შემოჰქონდეს“ თხზულებაში, ან „ბევრი ცნობა მისი სიმართლეს არ შეესაბამებოდეს“. პირიქით, ანტონი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ ცნობათა დამოწმებისას ზუსტია. მის ყველა ციტატას (ან ცნობას) მოეპოვება წყარო. ანტონი არც არაფერს იგონებს. შეიძლება მისი ზოგიერთი მოსაზრება მიუღებელი იყოს, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ანტონი დიდი პასუხისმგებლობის მეცნიერია, რაც მისი შრომების ანალიზიდან საუცხოოდ დასტურდება.

<sup>30</sup> ალბათ, კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა თვით ანტონსაც.

ანტონი წყაროს ხშირად ზუსტად ასახელებს. ამ შემთხვევაში საჭიროა ქართულ ხელნაწერთა დაჩხრეკა, წყაროს მიგნება და დამოწმებული ციტატის შემოწმება. თუ რომელიმე მითითებული ძეგლი ვერ ვნახეთ, ეს არ ნიშნავს, რომ იგი საერთოდ არ არსებობს: მისი უპოვნელობა არ გამოდგება დაეჭვების საფუძვლად. ანტონს თავის გრამატიკაში მოაქვს ქართული ხელნაწერებიდან თოთხმეტი ციტატა, მათ შორის — შოთა რუსთაველის ფრაზაც, რომელიც მას ამოუღია „თამარ მეფის ცხოვრებიდან“. რუსთაველის ეს თხზულება ჭერჭერობით საძიებელია (თუმცა მის გარშემო რამდენიმე ჰიპოთეზა შეეშუშავდა)<sup>31</sup>; რაკი ცამეტი ციტატის შემცველი ტექსტები ნაპოვნია, მეთოთხმეტე ციტატას, რომელიც რუსთაველს მიეწერება და, მაშასადამე, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, წყაროს უპოვნელობის გამო ვერ გამოვაცხადებთ საეჭვოდ, რადგანაც ყველა შემთხვევაში ანტონი იცავს ციტაციის წესს: დედნიდან ამონაწერი მოაქვს სწორად და წყაროსაც სწორად უთითებს. სანიმუშოდ განვიხილოთ „წყობილისიკვაობის“ რამდენიმე ციტატა.

მწერალი იოანე ფილოსოფოსის ქებას იწყებს ამგვარად (731):

„ორთაგან ერთი უეჭველად თანა გუჟას:  
 ან ფილოსოფოს-ყოფა სიბრძნის მოყუარედ,  
 ან პატივს-ცემა სხუათა ფილოსოფოსთა“ ; —  
 ამას გუჟასწავებს ღმრთისმეტყუელი გრიგორი  
 ირონის მიმართს შინა ფილოსოფოსის.

გრიგოლ ღმრთისმეტყველის აქ დასახელებული თხზულება — „ირონის მიმართ ფილოსოფოსისა, ექსორიობით აღმოყვანებული-სა“ თარგმნილია ქართულად ბერძნულიდან XI საუკუნეში ეფრემ მცირის მიერ (A 292) და მასში ვკითხულობთ ანტონის მიერ დამოწმებულ ციტატას. გრიგოლ ღმრთისმეტყველი. წერს (219 r):

„ფილოსოფოსსა ვაქებდეთ დაღაცათუ უძღურნი კორცითა, არამედ მეც და ფილოსოფოსივე, და ვაქებდნე ფრიადცა სამართ-

<sup>31</sup> ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ (ენიქის შრომებ, III, 1938, გვ. 201—207); ი. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, 1960, 86 გვ.; კ. გრიგოლია, თამარის ისტორიის ბოლონაკვეთის საკითხისათვის (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI—XVII, 1972, გვ. 315—327), მისივე, თამარის კიდევ ერთი მემკვიდრე-ისტორიკოსი, 1977, 68 გვ.



ლად, რამეთუ მისი ფილოსოფოსობა სიბრძნის-მოყუარებად გამოი-  
თარგმანების, ხოლო ჩემი ესე მეტყუელებად მსახურებად შეირაცხე-  
ბის სიბრძნისა. რამეთუ დაღათუ სხუთა არაჲდ, ამითლა სადმე  
უეჭველად ფილოსოფოს ვიქმნე, რათა საკვრველ ვყო ფილოსოფო-  
სი, რამეთუ ფრიად ესე მე ვიტყვ: ერთი ორთაგანი დანა გუაყ,  
რათა ანუ თუთ სიბრძნის-მოყუარე ვიქმნეთ, ანუ სხუთა სიბრძნის-  
მოყუარებისა პატივის-მცემელ ვიყენეთ, უკუეთუ-ოდენ არა გუნე-  
ბავს სრულიად განვრდომად კეთილისაგან“...

ბოლო ფრაზა ემთხვევა ანტონის იამბიკოს. მაშასადამე,  
ანტონს არა მარტო გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვები გაუ-  
მეორებია უცვლელად, არამედ წყაროც სწორად დაუსახელებია.

„წყობილსიტყვაობიდან“ სხვა ანალოგიური ნიმუშების მოყ-  
ვანაც შეიძლება. მაგ., თხზულების თეოლოგიურ მონაკვეთში დაი-  
ძებნება მრავალი ბიბლიური ციტატა, რეალია ან პასაჟი. ყველა  
მათგანი მითითებულია აქვე ტექსტის სქოლიოებში, აქ მხოლოდ  
რამდენიმე მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას.

მეორე ნაწილის პირველ თავში ჩამოთვლილია ბიბლიურ მა-  
მათმთავართა და წინასწარმეტყველთა „სახითმოსწავებანი“ მარიამ  
ღვთისმშობლის შესახებ. იქ, ერთ ადგილს (140 — 142), მცირე წი-  
ნასწარმეტყველთა წიგნებიდან ამოღებულია ხუთი ციტატა, რომ-  
ლებშიც თითქოს სიმბოლიურად ივარაუდება მარიამ ღვთისმშობე-  
ლი. ანტონი წერს:

მ თ ა დ — სადაჲთ ლოდი გამოეკუეთა, ქრისტე,  
მ თ ა დ — მაწოთლებელ სიტკბობისა უხუად,  
ბორცუ — მადენ სძისა და სახლ უფლისა, სადაჲთ  
გამოვალს წყალი, ეკალთ ნაღუარევისა  
მომრწყველი, რათა განრყუნილ იქმნას ეგკბტე;

სიტკბობისა კუალად მ თ ა დ მწოთლვარედ,  
რათა ყოველნი ბორცუნი იქმნეს ნერგოვან,  
და მ თ ა დ უფლისა თხემთა ზედა მათასა,  
სადა ისწრაფეს ერთა მისლვად მისდამი;  
კუალად მ თ ა დ ჩრდილოდ შმიდისა მოსლვად ჩუენდა.

ამათ მათაგან პირველად თქუა დ ა ნ ი ე ლ,  
მერმე — ი თ ი ლ, შესამედ მერმე — ა მ ო ს,  
მ ი ქ ე ა დიდმან — მეოთხედ შორის მათსა,  
ხოლო მეხუთედ მოასწავა ა მ ბ ა კ ო მ

• საღმრთო მარიამ — დედა ემანუილის.

დამოწმებული სტროფების შესატყვისი მუხლები წინასწარ-  
მეტყველთა წიგნებში იკითხება ამგვარად:

დანიელ: „გამოეკეთა ლოდი მთისაგან“ (2,34);

იოველ: „მოაწოთ მათა სიტკბოება და ბორცუნი აღენდენ სძესა. და ყოველნი გამოსატევებელნი იუდასნი აღიღებდენ წყალთა, და წყარო სახლისაგან უფლისა გამოვიდეს, და მორწყვიდეს ნალუარევესა ეკალთასა. ეგვპტე განსარყუნელად იყოს და იღუმია ველად განრყუნილებისად იყოს“ (3,18—19);

ამოს: „და მოაწოთ მათა სიტკბოება და ყოველნი ბორცუნი ნერგოან იყვენ“ (9,13);

მიქეა: „და იყოს უკუანასკნელთა დღეთასა საჩინო მთა უფლისა, განმზადებულ თხემებსა ზედა მათასა და განსაცხრომელ იქმნეს ზეშთა ზედათ ბორცუთასა და მიისწრაფოდენ მისდამი ერნი მრავალნი“ (4,1);

ამბაკუმ: „ღმერთი თემანით მოვიდეს და წმიდა მთისაგან ჩრდილოსა მალნარისასა“ (3,3).

ასევე ზუსტად იმოწმებს ანტონი სხვა ბიბლიურ ციტატებსაც.

ზოგჯერ ის ერთი ფრაზით აღწერს მთელ სასწაულებრივ ამბავს, რომელსაც ბიბლია ერთ ან ორ თავში მოგვითხრობს. მაგ., „წყობილსიტყვაობაში“ ვკითხულობთ (219):

აპრონის კუერთხი, შთამნჭი მოგუთა კუერთხებთა,  
მესასწაულე წყალთა სისხლად ცვაღვისა,  
კუალად მუჟართა დამფარვი ეგვპტის  
და კუალად მუმლის მამრავლე საგუემელად  
ჯუარსა ჰსახვიდა, ეშმაკთა საგუემელსა.

არონის კუერთხის სასწაულები „გამოსლვათა“ წიგნში ასეა აღწერილი:

„მიაგლო არონ კუერთხი წინაშე ფარაოსსა და წინაშე მსახურთა მისთა და იქმნა იგი ვეშაპ. მოუწოდა ფარაო ბრძენთა მათ მეგვპტელთა და გრძნეულთა. და ყვეს გრძნეულთა მათ ეგვპტისთა ბრძანებითა მათითა ეგრეთვე: და მიაგლო კაცად-კაცადმან კუერთხი თვისი და იქმნეს ვეშაპებ. და შთანთქა კუერთხმან მან არონის მან კუერთხები იგი მათი“ (7,10-12). შემდეგ „განიპყრა არონ კუერთხი იგი მისი, დასცა წყალსა მას მდინარისასა წინაშე ფარაოსსა და მსახურთა მისთა. და გარდაიქცეს ყოველნი წყალნი მდინარისანი სისხლად“ (7,20—21). მერმე „განირთხა კელი თვისი [კუერთხითა] წყალთა მათ ზედა ეგვპტისათა და ამოიყვანა მუჟარი. და აღმოჰქდა მუჟარი“

იგი და დაფარა ქუეყანა ეგვიპტისა“ (8,6). და ბოლოს, „განირთხა უკუე არონ კელითა თვისითა კუერთხი იგი, დასცა მიწასა ქუეყანისასა და იყო მუმლი კაცთა ზედა და ოთხ ფერკთა ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა“ (8,18).

დავიმოწმით კიდევ ერთი პარალელი:

ანტონს აპრონის კვერთხის განედლება და აყვავება მიიჩნია სამართო ჯვარის გამოსახვის სიმბოლოდ. იგი წერს (229):

ათ-ორთა შორის კუერთხთა მხოლოდ აპრონის  
აღუუაენა კუერთხი. განედლდა საკვრველად,  
გამომღე ფურცლის, ყუაილის ნაყოფითურთ...

ეს სასწაული მოთხრობილია „რიცხუთა“ წიგნში (17,6 — 8):

მოსეს ბრძანებით მთავრებმა „მოსცეს ათორმეტი კუერთხები და კუერთხი აპრონისა საშუალ კუერთხთა მათთა. და დასხნა კუერთხნი იგი მოსე წინაშე უფლისა კარავსა მას საწამებლისასა. და იყო ზვალისაგან და შევიდეს მოსე და აპრონ კარვად საწამებელისა და, აჰა, ესერა კუერთხი იგი აპრონისი განედლებულ იყო სახლსა ზედა ლევისასა. და გამოიღო ფურცელი. და გამოიღო ყუავილი და გამოიღო ნაყოფად ნიგოზი“...

ხმელი ხის განედლება, რომელსაც ახდენს ღმერთი თავისი ნების აღსასრულებლად და მართალი სამართლის დაცვის მიზნით, ქრისტიანულ ლიტერატურაში დიდად გავრცელებული მოტივი იყო. მაგ., „ხარლამპეს წამებაში“ მოთხრობილია ასეთი ამბავი: მეფემ უბრძანა ხარლამპეს, რომ ქვრივ დედაკაცთან დაწოლილიყო, რათა ამით მას თავისი სიქალწულე დაეკარგა. ხარლამპეს აღთქმული ჰქონდა ღვთისადმი სიწმიდით ცხოვრება და არ უნდოდა ამ ბრძანების აღსრულება, მაგრამ იძულებით წავიდა ის ქვრივის სახლისაკენ; ხალხის თვალში რომ ხარლამპეს წრფელი ზრახვა გამოქვლივნიდებოდა, მისი საქციელი ღმერთმა ღვთაებრივი სამართლით განსაჯა; მოახდინა სასწაული: როდესაც მღვდელ-მოწამე მიეახლა ქვრივი დედაკაცის ეზოში მდგომარე ჰევტს, მყისვე „განედლდა ჯმელი იგი, მრავალთა წელთა ეგრეთ მდგომარე, და გამოიხუმა რტონი, ვიდრემდის დაფარეს ზედა კერძო სახლი რტოთა მათ, და იქმნეს ესრეთ მაღალ და ვრცელ“ (A 188, ფ. 229 v). ხმელი ხის განედლება მოთხრობილია აგრეთვე „გრიგოლ აკრაკანტელის ცხოვრებაში“ (იერ. 3), რომელიც ქართულად უთარგმნია დავით

ტბელს, ხოლო აი რას ვკითხულობთ «სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში»: როგორც კი სერაპიონმა ზარზმის შემოგარენში დანერგა „რტოა ბაიაჲსაჲ მრავალ-ჟამეული“, იგი „შემოდგომად მცირედისა განედლდა და რტო-გარდაფენით ქადაგებდა დიდებულსა მას სასწაულსა“<sup>32</sup>. აგიოგრაფთა წარმოდგენით ამგვარ სასწაულებს იქმონდა ღმერთი „მართალი სამართლის“ წარმოსაჩენად. ეს სამართალი კაცობრივ სამართალზე უზენაესად ითვლებოდა, რაკი იგი ვლინდებოდა ხმელი ხის განედლების სასწაულით. ეს ჩინებულად იცოდნენ კლასიკური ხანის ქართველმა პოეტებმა, როდესაც წერდნენ: „ესა მართალი ე სამართალი ხეს შეიქმს კმელსა წყალმოდინარედ“ (იოანე შავთელი), ან „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ (შოთა რუსთაველი).

\* \* \*

ბიბლიური წიგნებიდან და ეკლესიის მამათა თხზულებებიდან ციტატების ზუსტად ამოწერა და წყაროს მითითება სავალდებულო იყო ყველა მწერლისათვის. ამიტომაც შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ანტონი ამგვარ სიზუსტეს იცავს მხოლოდ თეოლოგიურ მონაკვეთში, ისტორიულში კი მას პლატატობსო, მაგრამ ეს ასე არ არის. მას ციტაციის საკითხი ყველგან მოწესრიგებული აქვს, რადგანაც კარგად ჰქონდა შეგნებული წყაროთა სწორად დამოწმებისა და მითითების მნიშვნელობა. ანტონმა რუსეთში „საფუძვლიანად გაიცნო რუსული და ევროპული საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ლიტერატურა“ (კ. კეკელიძე), რომელშიც ციტაციის წესი დატულია მკაცრად. მართალია, მან ეს წესი ადრევე იცოდა, მაგრამ ამას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ.

„წყობილსიტყვაობა“ პოეტური ძეგლია და მის ავტორს არ მოეთხოვებოდა ციტაციის იმ წესის დაცვა, რომელიც მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ამის მიუხედავად მწერალი ცდილობს აქა-იქ ბიბლიურ წიგნებთან ერთად დაასახელოს სხვა წყაროებიც. მაგ., თხზულებაში ვკითხულობთ:

ვითარ გუასწავა ღმრთის-მეტყუელმან კ ი რ ი ლ ე (2,5),  
 ღმრთის მეტყუელისა გ რ ი გ ო რ ი ს თ ა თქმათაებრ (24,5),  
 გუაენობებს წრფელად სამლუდლო ა მ მ ო ლ ო ქ ე (45, 5)  
 ესე გუასწავა სამლუდლომან ა თ ა ნ ა ს ი (44,5),

<sup>32</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963, გვ. 336.

თქუა რა ეგნატი მწყემსმან ანტიოხიას (75,2),  
ვითარცა დასწერს საღმრთო დიონისიოს  
იერთეოსს მუნ ღმრთის-მმეტყუელუბელსა (192,2—3),  
ვითარ გუასწავებს საღმრთო დიონისიოს“ (314,5) და სხვა.

ამ ტაეპებში დასახელებული არიან უცხო ავტორები — კირი-  
ლე ალექსანდრიელი (გარდ. 444 წ.), გრიგოლ ღმრთისმეტყველი  
(329 — 390 წწ.), ამფილოქე იკონიელი (გარდ. 395 წ.), ათანასე  
ალექსანდრიელი (გარდ. 373 წ.), ეგნატე ანტიოქელი (გარდ. 115  
წ.), ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, იეროთეოსი; იქვე დამოწმე-  
ბულია მათი თხზულებებიდან ამოკრებილი გამონათქვამები და  
შოსაზრებანი. ანტონი ამ ავტორებს იცნობს ძველი ქართული  
თარგმანებით, რომლებიც ხელნაწერებად იყო დაცული ანტონის-  
დროინდელ დიდ ბიბლიოთეკებში.

• • •

ახლა გადავავლოთ თვალი „წყობილსიტყვაობის“ ისტორიულ  
ნაკვეთს.

ამ ნაკვეთის შესწავლა წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით  
ადასტურებს ისევ იმ უცილობელ ფაქტს, რომ ანტონი არც ისტო-  
რიულ პირთა დახასიათებისას გვთავაზობს „არასწორ და შეუმოწ-  
მებელ ცნობებს“. მეხუთე და მეექვსე ნაწილების წერისას ის იყე-  
ნებდა ქართულ აგიოგრაფიულ და საისტორიო ძეგლებს, რომლებიც  
იმხანად თავმოყრილი იყო დომენტი და ბესარიონ კათალიკოსთა  
მიერ შედგენილ ქართულ აგიოგრაფიულ კრებულში, „სწავლულ  
კაცთა“ მიერ რედაქტირებულ „ქართლის ცხოვრებაში“ და ვახუშ-  
ტი ბაგრატიონის „საქართველოს სამეფოს აღწერაში“, ხოლო მეშ-  
ვიდე ნაწილისათვის ხელთ ჰქონდა ორიგინალური ქართული სასუ-  
ლიერო და საერო-მხატვრული თხზულებანი. ამ წყაროთა შესწავ-  
ლა-დამუშავების საფუძველზე მოგვცა ანტონმა ქართველი მწერ-  
ლების, მეცნიერებისა და საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწეთა  
პორტრეტული დახასიათებანი.

\* \* \*

1. მეხუთე ნაწილის წყაროები. ანტონი არის ქართული აგიო-  
გრაფიული მწერლობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი.  
მან ქართველი წმინდანების „წამებათა“ და „ცხოვრებათა“ შესწავ-

ლის საფუძველზე შეთხზა მარტვილობათა მომთხრობელი მეტაფრასული საკითხავები, რომელთაც თავი მოუყარა დიდ აგიოგრაფიულ კრებულში. ეს კრებული მან 1769 წელს თავის მოწაფეებს გადაწერინა კიდევ სათაურით — „მარტირია. მოწაჲეთა ქართველთა შესხმა და მოთხრობა“. იგი შედგება ოცი ნარკვევისაგან. ესენია: საკითხავნი ქეთევანისთვის, ლუარსაბისთვის, არჩილისთვის, შუშანიკისთვის, აბიზოსთვის, ნეოფიტესთვის, რაჟდენისთვის, დავით და კონსტანტინესთვის, ბიძინასთვის და ერისთავთა, მოწამეთათვის გარეჯისათა, ევსტათისთვის, აბოსთვის, ათთა ბევრთათვის ტფილისს ვნებულთა, კონსტანტინესთვის კახისა, გობრონისთვის, შალვასთვის ახალციხელისა, ქვაბთახევს ვნებულთა ბერთათვის, სუქიელთათვის და წმიდისა გრიგორისათვის (Q 78)<sup>33</sup>. მათი შინაარსობრივი შესწავლა ადასტურებს უცილობელ ფაქტს, რომ ანტონს ზედმიწევნით შეუსწავლია ქართული აგიოგრაფია (კიმენური, მეტაფრასული და სვინაქსარული საკითხავები). თვით „წყობილსიტყვაობის“ მეხუთე ნაწილიც „თვს ქართველთა წმიდათა“ დაწერილია ამ ლიტერატურის გათვალისწინების შედეგად: საგალობელთა ყველა რეალიას მოეპოვება თავისი წყარო (თვითეული მათგანი მითითებულია საკუთარ სახელთა ლექსიკონში). ანტონი არ იცნობს მხოლოდ ორ დიდად მნიშვნელოვან ძეგლს — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას“. მან ამ თხზულებათა არსებობაც კი არ იცის. სერაპიონ ზარზმელს საერთოდ არ ასახელებს, გრიგოლ ხანძთელს კი ამკობს ისეთი ზოგადი ფრაზებით, რომ, ჩანს, მას ხელთ უჭირავს ამ საეკლესიო მოღვაწის მცირე მოსახსენებელი, რომელიც „აღორძინების ხანის“ ლიტურგიკულ კრებულებს მოეპოვებათ. ანტონის „სადღესასწაულოში“ (S 1464) 5 დეკემბრის თარიღზე შეტანილია ერთი ასეთი მოსახსენებელი — „ამასვე დღესა ღირსისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ხანძთელისა“ (123 v), ზოლო მის ქვეშ იკითხება ანონიმური „დასდებელი“, რომელსაც მიჰყვება ანტონის იამბიკური სტროფები — „მტირალი ღამე“ და „უკუეთუ ღმერთ არს“. იქვე მოთავსებულია

<sup>33</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, 1980. 1882 წელს მ. საბინინმა „საქართველოს სამოთხეში“ დაბეჭდა მხოლოდ შვიდი საკითხავი — ნეოფიტესთვის (გვ. 303—312), ისაკ და იოსებ კარელთათვის (გვ. 351—362), შალვა ახალციხელისთვის (გვ. 531—541), ტფილისს ვნებულთა ათთა ბევრთათვის (გვ. 542—553), ქვაბთახევს ვნებულთა ბერთათვის (გვ. 554—567), მოწამეთათვის გარეჯისათა (გვ. 568—579) და ქეთევანისთვის (გვ. 583—597).

მისივე „კანონი, რომლისა კიდურწერილობა [იტყუს]: «გრიგორის, მმარხუელთა ხატსა სიტყუერსა, ვაქებ»“ (124r—125v). ამ კანონიდანაც ჩანს, რომ ანტონს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ არ ჰქონია წაკითხული. აქ გრიგოლის ვინაობის შესახებ ძლიერ თავშეკავებულად მსჯელობს: კმაყოფილდება ზოგადი სამქებრო სიტყვებით.

გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებანი“ უცნობი ყოფილა აგრეთვე დომენტი და ბესარიონ კათალიკოსებისათვის; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მწიგნობარნი ამ ძეგლებს უეჭველად შეიტანდნენ ქართულ აგიოგრაფიულ კრებულში. აღსანიშნავია ისიც, რომ გრიგოლ ხანძთელის ვინაობა არა სცოდნია პ. იოსელიანს. იგი „წყობილსიტყვაობის“ კომენტარებში წერს (გვ. 124): „არა ვუწყვი, ნამდვილ ცინ იყო წმიდა ესე და ოდეს ჰსცხოვრებდა. დროთა ჩემდამი არა მოაწია ცხოვრება მისი, რომელსაცა დღესასწაულობს ეკლესია 5 ნოემბერსა. მხოლოდ ამ სახელით ვჰპოვე სომეხთა ისტორიათა შინა გრიგორი ხანზოხათი, რომელიცა ჰსცხოვრებდა 1411 წელსა“. მას ჰგონია, რომ ეს ვილაც ხანზოხათი (XIV—XV საუკუნეების გრიგორიანელი სომეხი) არის გრიგოლ ხანძთელი! ამის თაობაზე ნ. მარი სამართლიანად შენიშნავდა: „ქართველოლოგიის ისტორიკოსისათვის ჰკუის სასწავლებელია, რომ 1853 წელს, ანტონ კათალიკოსის «წყობილსიტყვაობის» გამოცემისას, ქართული ეკლესიის ისტორიკოსი პ. იოსელიანი თანახმა იყო, ქართული ეკლესიის მღვდელთმთავრის მიერ შექმნილი ჩვენი გრიგოლ ხანძთელი შეერაცხა XV საუკუნის სომეხ იერარქად!“<sup>34</sup> განა „მზამეტყველების“ ავტორი შეაქებდა გრიგორიანული ზარზმუნოების აღმსარებელ პირს?!

\* \* \*

2. მეექვსე ნაწილის წყაროები ადვილი დასადგენია, რამდენადაც ავტორი ძირითადად იყენებს „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ თხზულებებსა და ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერას სამეფოსა საქართველოსას“. სახელდობრ, ძველი „ქართლის ცხოვრებიდან“ მას ზელთ ჰქონია შემდეგი ძეგლები: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“, ჭუანშერის „ვახტანგ გორგასალის ცხოვრე-

<sup>34</sup> Георгий Мерчул, Жизнь Григория Хандзтийского. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, СПб. 1911, с. XXXVIII.

ბა“, „მატიანე ქართლისაჲ“, სუმბატ დავითისძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღიანი“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ და უამთა-ალმწერელის მათიანე. მასვე გამოუყენებია „ახალი ქართლის ცხოვრება“, არჩილის „თეიმურაზიანი“ და თვითმხილველთა და თანადამხედურთა ცნობები XVII-XVIII საუკუნეების მეფეთა შესახებ. ცხადვით ესეც ზოგიერთი თვალსაჩინო მაგალითით:

ა. ანტონი მირიან მეფის შესახებ წერს (549):

ს ხ უ ა ს ა ე ლ ე იქმნა მირიან რჩეულ წმიდა:  
გუემული ს ი ბ რ მ ი თ , განგებთ შ თ ა ქ რ ი ლ ცხენთ,  
ამის ტყვსაგან თავისუფალ, ტყუობის  
მცნობელი და მსწრაფლ განღვებული ღმრთისად,  
კერპთ მშუსრი, ქრისტეს ა ღ მ მ ა რ თ ე ბ ი ? უ ა რ ი ს ა .

აქ ივარაუდება „ნინოს ცხოვრების“ ცნობილი ლეგენდა: შუა ღამისას თხოთის მთაზე სანადიროდ გასულ მირიან მეფეს რომ მზე დაუბნელდა; შეშფოთებული იგი უგზო-უკვლოდ დააქენებდა ცხენს, თავის კერპებს ემუდარებოდა გათენებას, მაგრამ ამაოდ. ზოლო როცა ის ნინოს ღმერთს შეევედრა, მაშინვე „განთენა და გამობრწყინდა მზე. და გარდახდა მეფე ცხენისაგან“, სცნო ქრისტე ღმერთი და ნათელ ილო; შემდეგ მცხეთაში აღმართა სვეტი-ცხოველი და ჯვარი პატიოსანი<sup>35</sup>.

ანალოგიური გადმოცემა დაცულია „მოციქულთა საქმეშიც“ (თ. 9): წარმართი საელე ქრისტიანებსა სდევნიდა. ერთხელ მას, დამასკოში მიმავალს, გამოეცხადა გზად ქრისტე და დიდი ბრწყინვალეობით დააბრმავა იგი. ბრმა საელე დამასკოში მიიყვანეს თანამგზავრებმა. იქ უსმელ-უჭმელი სამ დღეს ამაოდ ლოცულობდა. მერმე მასთან მივიდა ანანია, მავედრებელ ჭაბუკს თავზე ხელი დაადო და უთხრა: „საულ ძმაო, უფალმან მომავლინა მე, იესო, რომელი გეჩვენა გზასა მას, რომელსა მოხვდოდე, რათა აღიხილნე თუალნი შენნი და აღიესო სულითა წმიდითა. და მყის გარდამოვიდეს თუალთაგან მისთა ვითარცა ნაქუთენნი, და მეყსეულად აღიხილნა, და აღდგა და ნათელ ილო“.

ანტონი მირიანის პორტრეტს გვიხატავს მკაფიოდ და ლაკო-

<sup>35</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963, გვ. 134—137, 147—157; ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 109—124.



ნიურად: «სხუა (-მეორე) საველე იქმნა მირიან რჩეული წმიდა». აქ მწერალი იუწყება, რომ ორივე წარმართი (საველე და მირიანი) გაქრისტიანდა მზის დაბნელების (ნათლის დავსების) და კვლავ განათების (მეცსეულად აღზილვის) სასწაულმოქმედებათა შედეგად: სტროფის შინაარსობრივი ანალიზი ადასტურებს, რომ მას ხელთ ჰქონია „ნინოს ცხოვრება“ და „საქმე მოციქულთა“.

ბ. ვახტანგ გორგასალით, — ამბობს ანტონი, — იყო „დამცემი ორთა გოლიათთა ჟუართა“ (552,2). აქ ივარაუდება ვახტანგის გალაშქრება ოვსთა წინააღმდეგ, როდესაც ქართველმა მეფემ სძლია თარხანსა და ბაყათარს (ქცხ., I, გვ. 153—155).

გ. ანტონს გუარამ ერისთავი მიაჩნია პირველ მეფედ დავითიან-ბაგრატიონთაგან: „ესე პირველობს მეფეთა დავითიანთ“—ო (562,1). აქ ამ თქმაში ნავარაუდევია სუმბატის მატიანეს ცნობა, რომ გუარამ ქართლის ერისთავი არის ტომით დავითიანი, „დავითის ნათესავთაგანი“ და „მამა ბაგრატიონთა“, რომ „ესე ქართლისა ბაგრატიონიანი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამიანი“ (I, გვ. 373—374).

დ. ანტონი წერს: ბაგრატ მესამემ იმეფა „ოცდაათოთხი წელიწადი“ (566,1), ხოლო გიორგი მესამემ — „ოცდაოთხი“ (583,1). ამ ცნობათა წყაროა ვახუშტის „აღწერა“, სადაც ნათქვამია: „მეფე ბაგრატ ლდ [34] წელი მეფა“ (IV, გვ. 137), „მეფე გიორგი კდ [24] წელი მეფა“ (იქვე, გვ. 165).

ე. ძეგლში ზოგან დასახელებულია თვით საისტორიო წყაროც. მწერალი წერს დიმიტრი თავდადებულის შესახებ, რომ:

ამას წერილი ჩუენთა ისტორიათა,  
რომელთა შორის მოთხრობის მეფენი,  
ზედწოდებულ ჰყოფს საკუთრად თავდადებულ (597).

ცხადია, „წერილი ჩუენთა ისტორიათა“, რომელიც მოგვითხრობს მეფეთა ცხოვრებას, არის „ქართლის ცხოვრება“. უამთაღმწერელი გვიყვება, თუ „ვითარ დადვა მეფემან [დიმიტრი] სული თვისი ერისა მისთვის“ (II, გვ. 287—291), ხოლო ვახუშტი ამბობს: „მოკჳეუთეს თავი მეფესა ბილწთა მათ... ამისთვის ეწოდა თ ა ე და დ ე ბ უ ლ“ (IV, გვ. 236).

მწერალი არ კმაყოფილდება მხოლოდ საქმეები პირის ირგვლივ არსებული ერთი ან ორი საისტორიო წყაროს გამოყენებით, არამედ ის ცდილობს გაიცნოს არაპირდაპირი მასალებიც და მსოფ-

ლიო ისტორიიდან მოიშველიოს საჭირო პარალელებიც. მისი ამგვარი მცდელობა ვლინდება დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და ქეთევან დედოფლის პორტრეტული დახასიათებისას.

აი, როგორ აქებს ანტონი თამარს (587 — 590):

იტყვან ძუელად ს ე მ ი რ ა მ ი დ ა ს ვისმე,  
მეფასა ვისმე, ცოლსა ნინოს მეფისას,  
კვროსის უმძლესს, ალექსანდრეს უდიდესს,  
პროპონტოს კიდით მფლობსა კიდედ ინდას,  
შუენიერ-მდიდარს, უმდიდრესს ძლიერებით;

კუალად სხუას ვისმე მდედრსა ესეგუარ დიდებით —  
ცოლსა ქსერქსისსა, დედასა არტაქსერქსისს,  
ხოლო მცირისა კუალად კვროსისასა,  
კვროს დიდისა საყდრისა დედოფალსა,  
შვილთა მბრძანებსა ნებისაებრ თვისსა;

კუალად ეგვპტის მეფასა კლეოპატრას,  
მოკუნებულსა იოსიპოსის მიერ,  
ძალითა დიდსა წინააღმდეგობთა მძლესა;  
კუალად კესარის დედასა ანტონიას.  
გაიოსისსა სარაცხსა თქმულთა თანა.

ესენი, რაცა ჰშუენის ქმნულთა მსახურთა,  
ეს გუარნი იყვნეს: ოდენ კუამლებრ ნაცხადნი;  
გუშინ ჩნდენ და დღეს განქარდენ, დასცხრენ ყოფით;  
მაგრა თამარის საქმენი ჩანნ ღმრთის შორის,  
ხოლო ნიდაგ განგრძელდეს უცვალებელ.

აქ მოხსენიებულია მსოფლიოში ცნობილი ოთხი სახელოვანი ქალი:

1. სემირამიდა, ლეგენდური მეფე-ქალი, ქალღმერთი ასტარტეს შვილი და მეფე ნინის მეუღლე, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ გამეფდა ასურეთში. მან დალაშქრა ეგვიპტე, ეთიოპია და ინდოეთი, გახდა პროპონტოს (მარმარილოს ზღვის) სანაპიროებიდან ინდოეთამდე ქვეყნების მფლობელი. მისი ისტორიული პროტოტიპია შამურამატი, ასურეთის მეფე-ქალი (809—806 წწ. ჩვ. ერამდე)<sup>36</sup>;

2. პარისტოიდა, სპარსთა მეფის დარიოს II-ის ცოლი, არტაქსერქსისა და კვიროსის დედა, ყოვლისშემძლე და ცბიერი დე-

<sup>36</sup> Всеобщая история, I, М., 1955, с. 538.

დოფალი, რომელიც შვილებს თავის ნებაზე ათამაშებდა (V—IV სს. ჩვ. ერამდე)<sup>37</sup>.

3. კლეოპატრა, ეგვიპტის დედოფალი, განთქმული სილამაზით, ჭკუითა და ცბიერებით (I საუკ. ჩვ. ერამდე)<sup>38</sup>.

4. ანტონია უმცროსი, ანტონისა და კლავდიას შვილი, დრუზის მეუღლე; გაიოს კეისრის (37—41 წწ.) ბებია, ხოლო კლავდიოს კეისრის (41—54 წწ.) დედა, 37 წელს მოწამლა იგი გაიოსმა<sup>39</sup>.

თამარ მეფეს ანტონი ამ სანელმოხვეჭილ ქალებზე მალა აყენებს, ამბობს: მათი საქმენი კვამლსა ჰგავს: „გუშინ ჩნდენ და დღეს განქარდენ“, მაგრამ თამარის ღვაწლი „ღმრთის შორის“ მარად სამახსოვრო იქნებაო.

ხსენებულ ქალთა შესახებ ცნობები მწერალს ამოუღია იოსებ ფლავიოსის „ისტორიიდან“ და არსენ იყალთოელისა და არჩილის მიერ თარგმნილი ხრონოლოგებიდან, რომლებიც ანტონისთვის ხელმისაწვდომი იყო.

\* \* \*

3. მეშვიდე ნაწილის წყაროები. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამ ნაწილში დახასიათებულნი არიან სიბრძნისმოყვარე ქართველი მწიგნობრები: კათალიკოსები, ეპისკოპოსები, სასულიერო-საერო მწერალ-მთარგმნელები და პოეტები. მათი პორტრეტები მოცემულია ლიტერატურათმცოდნეობის მაშინდელ დონეზე. ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები ანტონს ამოუკრებია საისტორიო მატრიანეებიდან, სასულიერო და საერო-მხატვრული თხზულებებიდან, საეკლესიო სიგელ-გუჯარებიდან. ზოგან ის წყაროს ასახელებს, ზოგანაც ისეთ რეალიაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ წყაროს დადგენა ადვილად ხერხდება. ასე, მაგ:

ა. ნიკოლოზ გულაბერიძეზე ამბობს, რომ მისი მოქალაქობა „ვიციით მეფეთა «ისტორიათა» შინა“ (652). ეს „ისტორია“ არის ანონიმური „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“, რომელშიც ნი-

<sup>37</sup> К с е н о ф о н т, Анабазис. М., 1951, с. 7—9; П л у т а р х, Сравнительные жизнеописания, III, М., 1964, с. 349—368; М. Дьяконов, Очерки истории древнего Ирана, М., 1961, с. 100—104.

<sup>38</sup> Всеобщая история, II, М., 1956, с. 384—393.

<sup>39</sup> Г а й С в е т о н и й, Жизнь двенадцати цезарей, М., 1966, с. 104-129.

კოლოზ კათალიკოსი მოხსენებულა როგორც „პირ-მეტყველი მთიები“, კათალიკოსობიდან გადამღვარი „სიმდაბლის ძლით“ და თამარის მიერ მოწყობილი საეკლესიო კრების მეთაური (II, გვ. 117—118).

ბ. იქვე იფანე შავთელის შესახებ წერს (771,1—3):

შოთა თქუა მისთჳს: „უქესო ლექსი შავთელს“.  
და თამარ დიდის „ისტორიათა“ შინა  
შარ-გამომთქმელ და წმიდად მოითხრობის.

აქ იგულისხმება ფსევდო-რუსთველური სტროფის მეორე ტაეპი — „აბდულ-მესია (უქია) შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“ (1669,2) და თამარის პირველი ისტორიკოსის ფრაზა — შავთელი იყო „კაცი ფილოსოფთაი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოლუაწებათა შინა განთქმული“ (II, გვ. 95).

გ. სარგის თმოგველის შესახებ იუწყება: „თუთ შოთა იტყჳს: „დილარგეთ უქია მას“ (803,4). ამასვე ვკითხულობთ ფსევდო-რუსთველურ სტროფში: „დილარგეთ (უქია) სარგის თმოგველსა, მას ენადაუშრომელსა“ (1669,3).

დ. ძველ ქართველ მთარგმნელთა შორის პირველად ასახელებს ილარიონ ქართველს, ხოლო ერთგან მას მიმართავს როგორც ახლისა და ძველი რომის მახარებელს (686):

შენ მზე აღმოჰკედ აზიათ განათლებად,  
განჰფინენ სხინი ევროპის კიდურებად,  
ახალს და ძველს რომს ახარე შენდა მომართ.

აქ იგულისხმება „ცხოვრება ილარიონ ქართველისა“, რომელშიც აღწერილია ილარიონ კახის მოღვაწეობა ევროპის ქალაქებში — რომსა და კონსტანტინეპოლში (ახალ რომში)<sup>40</sup>.

ე. იქვე არსენ ბულმაისიმიძის შესახებ გვაუწყებს (659):

არსენი, სურვილს ვარდანის, აბუსერის  
სრულ-მყოფი, ჰგალობს ქრისტეს ხატისა მიმართ,  
ნივთისად კეცის, ვერ-სათქმოდ დაბეჭდულის,  
მაღალ-ფრას-რიტორ სძნობს ღმრთის მეტყუელურად-რე,  
მგზავნი გელათით აბუსერ მთაერისადმი.

<sup>40</sup> ათონის კრებული 1074 წლისა აღაპებით, 1901, გვ. 69—108; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 10—37.

აქ ივარაუდება არსენის „გალობანი კელით უქმნელის ხატისანი“ და წერილი, მის მიერვე გაგზავნილი გელათიდან აბუსერ მთავრისადმი. ორივე ტექსტი მოთავსებულია A 95 ხელნაწერში (287v—294v). ეპისტოლეს უძღვის ასეთი ზედწარწერილი (293v):

„ამის ზემოთნი, მეოთხის გუერდნი გალობანი, ვარდანისგან შეხუეწითა თქმულნი, ამით მეორითა გალობითა განაშუენნა. ვინათგან პიროვანნი საქცევნი ფსალმუნისგან აღმოტყფრნა საღმრთოთა გამოცხადებითა, ამისთჳს ძმამან ჩუენმან აბუსერი არსენის მიმართ გალობათა თქუმისა მოიგონა საღმრთოთა პირისათჳს, რომლისა მოგონებასა ამით ეპისტოლითა აბუსერის მომართითა ესევე არსენი აქებს, რომელი მო[ს]წერა გელათით ამათვე გალობათა თანა“<sup>41</sup>.

არსენს „გალობანი კელით უქმნელის ხატისანი“ დაუწერია ვარდანის შეხვეწითა და აბუსერის თხოვნით, როგორც აქ დამოწმებული ზედწარწერილი მეტყველებს. მასვე აბუსერ მთავრისათვის გელათიდან გაუგზავნია წერილი — ფრიად საყურადღებო XIII საუკუნის აზროვნების ისტორიისათვის. ამიტომაც არის, რომ არსენი „წყობილსიტყვაობაში“ დახასიათებულია როგორც ვარდანისა და აბუსერის „სურვილის სრულმყოფი“ და წერილის „გგზავნი გელათით აბუსერ მთავრისადმი“<sup>42</sup>.

\* \* \*

მეშვიდე ნაწილში კათალიკოსების, ეპისკოპოსების, სასულიერო და საეკლესიო მწერალ-მთარგმნელთა და მეცნიერთა გალობანი წარმოდგენილია ქრონოლოგიურად თავების მიხედვით და იმის გათვალისწინებით, თუ ვინ რომელ წყაროშია დასახელებული. ანტონს ქართველ მთარგმნელ-მწიგნობართა სია „წყობილსიტყვაობის“ დაწერამდე ჰქონია შედგენილი. „ქართული გრამატიკის“ პირველი რედაქციის წინასიტყვაში იგი წერს:

„ხოლო ესენი არიან საღმრთონი მამანი მეთარგმანენი ქართველთანი, რომელთა სახელები მოიხსენებიან აქა: [ა.] იოანე გრძელიძე; იოანე, მამა ევთიმესი; წმიდა ევთიმე; წმიდა არსენი, ნინო-წმიდელი ეპისკოპოსი; ღირსი იოანე ხახულელი, რომელსა ზედწო-

<sup>41</sup> თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 108—109; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A ფონდი), I<sup>1</sup>, 1973, გვ. 289.

<sup>42</sup> ქ. კ ე ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 328.

დებულ ჰყოფენ ოქროპირად; ნეტარი გრიგოლ, რომელი ზედწოდებულ იყო აბრაამ ახლად; ზაქარია მირდატისძე; არსენი, მაგრა არა იყალთოელი, არცა კათალიკოზი, არამედ სხუა; [ბ.] გიორგი შეყენებული; ილარიონ დიდი თუალელი, მოძღუარი გიორგი მთაწმიდელისა; წმიდა გიორგი მთაწმიდელი; იოანე პატრიკ ნამყოფი; სტეფანე; გიორგი ოლთისარი; ვასილი ბაგრატიის ძე ხახულელი და ესე საგონებელ მიჩნს ძედ მეფისად; [გ.] იოანე საღმრთო ფილოსოფოსი, რომელსა ჩუეულ ვართ ზედწოდებასა პეტრიწად; ნეტარი ეფრემ მცირე; თეოფილე ღირსი; არსენ იყალთოელი; იოანე ტარიჭის ძე და სხუანი მრავალნი“<sup>43</sup>.

აქ ჩამოთვლილია X — XII საუკუნეების ქართველი მწერალ-მოღვაწენი, რომლებიც ცხოვრობდნენ ბაგრატ III-ის (975 — 1014 წწ.), ბაგრატ IV-ის (1027 — 1072 წწ.) და დავით აღმაშენებლის (1089 — 1125 წწ.) ეპოქებში. ისინი განიყოფებიან სამ წრედ:

ა. პირველი წრის მწიგნობარ-მთარგმნელნი არიან ეფთვიმე მთაწმიდელი და მისი უფროსი და უმცროსი თანამედროვენი, რომელნიც მოიხსენებიან „იოანე და ეფთვიმეს ცხოვრებაში“. ესენი არიან: იოანე და თორნიკე ათონელები, აგრეთვე ის „ღირსნი და წმიდანი კაცნი“, რომლებიც ეფთვიმეს ამოუდგნენ მხარში და „განათლდებოდეს ზილგითა მისითა, ვითარცა სახედ: იოვანე გრძელისძე და არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი და ღირსი იოვანე ხახულელი და ოქროპირი და სხუანი მობაძვენი მათნი; მერმე ნეტარი ბერი გრიგოლ, ახალ აბრაამ სტუმრის-მოყუარე, და ზაქარია მირდატის ძე და არსენი და სხუანი მობაძვენი მათნი, რომელნი იგი ვითარცა მამამან სახიერმან შეიტკბნის და ყოვლითა განსუენებითა განუსუენის“<sup>44</sup>. ცხადია, ანტონი ამ მწერლებს გულისხმობს ბაგრატ მესამისადმი მიძღვნილ იამბიკოში, როდესაც წერს (566):

ვითარმედ მის ზე მრავალნი დიდებულნი  
აღყუავენს, ბრძენნი ქართველთაგანნი ღირსნი,  
წიგნთა თარგმანნი, ღრამატიკოსნი საღმრთოდ.

<sup>43</sup> თ. ქორდანია, ქრონიკები, I, 1892, გვ. 237.

<sup>44</sup> მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 430; ათონის კრებული, გვ. 62; გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი, 1946, გვ. 51; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 95.

შემდეგ ის თვითეულ მათგანს სახელდებით უძღვნის სამკებრო ლექსებს ასეთი თანმიმდევრობით: არსენი ნინოწმიდელი (669—670), იოანე ათონელი (689—691), თორნიკე ერისთავი (692—693), ეფთვიმე ათონელი (694—697), იოანე გრძელისძე (698—699), იოანე ხახულელი ოქროპირი (700—701), ზაქარია მირდატის ძე (702—703), გრიგორი, ახალი აბრაჰამ ზედწოდებული (704—705). მათი ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული მასალები ანტონის მიერ ამოღებულია ორი აგეოგრაფიული თხზულებიდან — „იოანე და ეფთვიმეს ცხოვრებიდან“ და „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებიდან“.

ბ. მეორე წრის მწიგნობარ-მთარგმნელნი არიან გიორგი მთაწმიდელი და მისი უფროსი და უმცროსი თანამედროვენი, რომლებიც მოიხსენებიან „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“<sup>45</sup>. ესენი არიან: გიორგი შეყენებული, „გურიტი უბიწო და ტრედი უმანკოა, კაცი ზეცისაა და ანგელოზი ქუეყანისაა, ყოვლითურთ უცხო და განშორებული კორცთაგან და კორციელთა ზრუნვათაგან“, „დიდი მნათობი ნათესავისა ჩუენისა“ (გვ. 121), „დიდი ილარიონ თუალელი, რომელი-იგი მას ეამსა ვითარცა მთიები ბრწყინვიდა კრებულსა შორის მამათასა“ (გვ. 116), „არსენ ფარსმან-ყოფილი“, გიორგი მთაწმიდელის მოწაფე (გვ. 136), „ღმერთმემოსილი ანტონ მნათე“ (გვ. 116), „დიდი ბასილი ბაგრატის ძე... რომელი-იგი მას ეამსა იყო მოძღუარი და განმანათლებელი ჩუენისა ქუეყანისა“ (გვ. 116), იოანე პატრიკ-ყოფილი (გვ. 148), გიორგი ოლთისელი, „კაცი ღმრთისა, პატროსანი ბერი, წინამძღუარი და მამასახლისი“ (გვ. 200), და გიორგი ხუცესმონაზონი — „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ ავტორი. ანტონი ამ საეკლესიო მოღვაწეებს გულისხმობს ბაგრატ მეოთხისადმი მიძღვნილ იამბიკოში, როდესაც წერს (568):

ამას ეეტინი აქუნდა ყოვლად ბედნიერ,  
 ვითარმედ: ბრძენნი თარგმანნი, კულად სხუანი  
 ამისა დროსა მეფობითსა განბრწყინდეს —  
 გიორგი დიდით ღმრთის-მეტყუ-ფილოსოფოსნი,  
 გარნა ქართველნი, სოფლის კიდეთა მნათნი.

<sup>45</sup> ბ. ს ა ბ ი ნ ი ი, საქართველოს სამოთხე, გვ. 437—487; ათონის კრებული, გვ. 279—351; ჩუენი საუნჯე, I, 1960, გვ. 337—412; ძველი ქართული აგეოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 101—207 (ესარგებლობ უკანასკნელი გამოცემით).

შემდეგ ის ქვემოთ თვითოეულ მათგანს სახელდებით უძღვნის სახოტბო ლექსებს ამგვარი რიგით: ილარიონ თვალელი (706—712), არსენი [ფარსმან-ყოფილი] (713—714), ანტონ მნათი (715—716), ბასილი ბაგრატის ძე (717—718), გიორგი [მცირე] (719—720), გიორგი შეყენებული (721—722). ვაბრიელ ათონელი (723—724), იოანე პატრიკ-ყოფილი (725—726), გიორგი ოლთისელი (727—728) და სტეფანე ათონელი (729—730).

ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები ამ მოღვაწეთა შესახებ ამოღებულია „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებიდან“. აქვე გათვალისწინებულია „მატიანე ქართლისაჲს“ სამი ჩანართიც: ბაგრატ მესამის თხრობიდან — „ამის მეფობისა ზე იყო წმიდა მამა ჩუენი ეფთვიმე ქართველი, მთარგმნელი წიგნთა ჩუენთა ქართველთანი. შეიწყალენ კურთხეული“ (I, გვ. 280), ბაგრატ მეოთხის თხრობიდან — „ამის ეამში იყო წმიდა გიორგი მთაწმიდელი მთარგმნელი, თან ახლდა დედოფალს მარიამს. ქრისტეს აქეთ ჩაჲ [1068 ?] (I, გვ. 294) და აგრეთვე — „მთარგმნელნი ამ ეამთა იყვნენ: იოვანე პატრიკ-ყოფილი, პეტრიწი ფილოსოფოსი და სტეფანე“ (I, გვ. 312), რომელიც დატულია ვახუშტის „აღწერაში“ (IV, გვ. 151).

უკანასკნელ პირთაგან იოანე პატრიკ-ყოფილი მოხსენიებულია „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“. იგი იყო ათონელი ბერი, ცნობილი ტექსტოლოგ-გადაამწერი. მას გადაუწესებდა გიორგი მთაწმიდელის წიგნები; თითოეული მათგანისათვის დაუერთავს „ზანღუკი და ანდერძი ღმრთივ-შუენიერად და ბრწყინვალედ“ და „წულილ-წულილად“ აღუწახავს „გალობაჲ და დასდებელი ფრიადითა შრომითა და გულსმოდგინებითა“ (გვ. 371). „პეტრაწი ფილოსოფოსი“ არის იოანე პეტრიწი-ჭიმჭიმელი, ხოლო სტეფანეს ვინაობა გაურკვეველია. რაკი იოანე პატრიკ-ყოფილი და სტეფანე მოხსენიებული არიან იოანე ფილოსოფოსის გვერდით, ანტონი მათაც ფილოსოფოსებად თვლის, წერს: იოანე პატრიკ-ყოფილი იყო „წიგნთა თარგმანი, ფილოსოფოსი საღმრთოჲ“ (725,4), ხოლო სტეფანე „ნათელს სთოვს ჩუენდა ფილოსოფოსობისას“ (729,4) და ჩვენთვის, მისი მოწაფეებისთვის, ცნობილია სტეფანეს „მოძღურება საღმრთო“ და „წიგნთა თარგმანობა“ (730,1), მაგრამ ჩვენ დღეს არაფერი არ ვიცით, თუ მათი ასეთი განდიდება რითაა გამოწვეული. ეს ითქმის განსაკუთრებით სტეფანეზე, რომლის შესახებაც, როგორც სამართლიანად შენიშნავს კ. კეკელიძე, ბიოგრაფიული



ცნობები საერთოდ არ მოგვეპოვება<sup>46</sup>. პ. იოსელიანი ამბობს: „სტეფანე გარდაიცვალა ათონის მთასა 1069 წელსა. მისგან ნათარგმნნი წიგნნი არიან: 1. «კლიტე», ქმნილი იოანე ოქროპირისაგან, რომელსაცა შინა განიმარტების საუცხოოდ სიტყუა სათნოებისათვის, 2. «ფუტკარი» მისივე ოქროპირისა“ (გვ. 252). რა წყაროდან არის აღებული ეს ცნობები, არ ჩანს. „კლიტე“ ეკუთვნის გაბრიელ მცირეს (XVIII ს.)<sup>47</sup>, მისი სტატიები გამოკრებილია იოანე ოქროპირის „ასკეტიკონიდან“, რომელიც ბერძნულიდან უთარგმნია ქართულად თეოფილე ხუცესმონაზონს<sup>48</sup>, ხოლო „ფუტკარი“, რომელსაც კ. კეკელიძეც სტეფანეს აკუთვნებს, შედგენილი უნდა იყოს იაკობ შემოქმედელის მიერ (XVII ს.). თუ სტეფანე გარდაიცვალა ათონზე 1069 წელს, უნებლიეთ იბადება კითხვა: ხომ არ არის იგი მოხუცებული ბერი სტეფანე, რომელმაც 1065 წელს, კონსტანტინეპოლში როცა გარდაიცვალა გიორგი მთაწმიდელი, უთხრა „ვისმე მღვდელთაგანსა, თავით კერძო ნეტარისა მის მდგომარეს“, რომ „დაასხენ კელნი თუალთა მისთა წმიდათა, განმანათლებელთა ჩუენთა“? ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: ანტონს სცოდნია, რომ სტეფანე ყოფილა წიგნთა მთარგმნელი. საჭიროა მოიძებნოს წყარო, რომელიც მის მთარგმნელობას დაადასტურებს. შეიძლება ეს წყარო იყოს ბაგრატ მუხრან-ბატონის „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთა“, რომელშიც მოხსენიებულია სტეფანე, როგორც მთარგმნელი წიგნებისა ბერძნულიდან ქართულად, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს სტეფანე არის სანანოისძე, რომელიც დავით ტბელის თანამედროვე ყოფილა<sup>49</sup>.

სტეფანესთან ერთად ანტონი აქებს აგრეთვე გაბრიელ ათონელს:

მრავალ ასეულთ ათონისა მამათა  
 მხოლოდ გაბრიელ იქმნა რჩეულ სარწმუნოდ  
 მიღებად ხატის ანგელთგან დიდებულს  
 მარამისი, ღმრთისა საკუთრად მშობლის (724),

ან კიდევ:

აბრწყინვე ხედვა, აელვე იგი საქებ,  
 ბრძენო გაბრიელ, ვინა ზღუათაცა ზედ-მდგომ,  
 რომლით ღმრთის დედის სახე განისაკუთრე (519).

<sup>46</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 234.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 402.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 246. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, 1957, გვ. 69—71.

<sup>49</sup> Н. М а р р, Из книги царевича Баграта... ИАН, 1899, X, №2, с. 239.

ეს გაბრიელი მოღვაწეობდა ეფთვიმე მთაწმიდელის დროს, იყო მკაცრი ასკეტი: „პირსა მისსა მსოფლიოჲ სიტყუჲა არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთო და სულიერი“. მის სახელთან დაკავშირებულია მარიამ ღვთისმშობლის (პორტაიტის) ხატის ლეგენდა, რომელიც დიდად იყო გავრცელებული ზეპირი გზით ათონელ ბერებს შორის. მისი შინაარსი მოკლედ ასეთია: ხატმბრძოლობის დროს თეოფილე მეფის მალემსრბოლი ნიკეაში წავიდა რაღაც საქმეზე. ქალაქში მისულმა მან დაივიანა ერთი ქვრივი დედაკაცის სახლში. აქ ნახა ღვთისმშობლის ხატი. განრისხდა იგი, იხადა მახვილი და ხატს დასცა. დახეული ხატიდან სისხლი გადმოვიდა და ხატმბრძოლს უბე და კალთა აუვსო. შეშინებულმა მიატოვა ქვრივის სახლი და გაიქცა, ქვრივმა კი ეს ხატი ზღვაში ჩააგდო. „ამის შემდგომად გამოჩნდა ხატი იგი ზღვასა შინა პირისპირ მთაწმიდისა, რამეთუ იხილვებოდა მნთებარისა ცეცხლისა სახედ მრავალჲამ“. ათონელი ბერები ნავებით გაეშურნენ მის სახილველად, მაგრამ რამდენადაც მას უახლოვდებოდნენ, იმდენად „შორს ივლტოდა ბრწყინვალეზა იგი მათგან“. ბერები ძლიერ მკმუნვარე შეიქმნენ. უცბათ მათ მოესმათ ზმა: ამ ხატის ნაპირზე გამოყვანელი არის გაბრიელ ქართველიო. უმაღვე მოძებნეს იგი, ნავში ჩასვეს და ზღვაში შეცურდნენ. როგორც კი ბერები ხატს მიუახლოვდნენ, „ცეცხლმნთებარე იგი მოეახლოვა“ მათ. მაშინ გაბრიელი ზღვაზე ფეხით გავიდა, ხატი წყლიდან ამოასვენა. ბერებმა იგი მოწინებით მიიტანეს ათონის ივერიის მონასტერში და მარიამ ღვთისმშობლის ტაძარში დაასვენეს<sup>50</sup>.

ეს ლეგენდა ძველ ქართულ წყაროებში არ შემხვედრია. გიორგი მთაწმიდელი გაბრიელ ათონელს „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ რამდენჯერმე იხსენიებს, მაგრამ ის პორტაიტის ხატის შესახებ არაფერს არ ამბობს. ჩანს, ეს გადმოცემა გვიანდელი წარმოშობისაა. ანტონს შეეძლო იგი გაეცნო ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაში“, ან, რაც უფრო სავარაუდოა, მოესმინა თვით ტიმოთესგან. როგორც ითქვა, გაბრიელი ეფთვიმე ათონელის-დროინ-

<sup>50</sup> ტ ი მ თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა, 1956, გვ. 18—19. შტრ. А. Натроев, Иверский монастырь на Афоне. 1910, с. 94—105 (აქ პორტაიტის ხატის ლეგენდა განხილულია კრიტიკული თვალსაზრისით). ანალოგიური თქმულებები უხედავრცელდებოდა სხვადასხვა ვარიანტით ბიზანტიურ მწერლობაში განსაკუთრებით ხატმბრძოლობის პერიოდთან (Византийские легенды, издание подготовила С. В. Полякова, Л., 1972, 162—169).

დელი მოღვაწეა და გაუგებარია, ანტონმა რატომ მოაქცია ის გიორგი მთაწმიდელის დროინდელ მწიგნობრებს შორის.

გ. მესამე წრის მწერალ-მთარგმნელნი არიან იოანე ფილოსოფოსისა და არსენ იყალთოელის უფროსი და უმცროსი თანამედროვენი. ესენი იოანე პეტრიწის გამოკლებით იმ თანამედევრობით არიან ჩამოთვლილნი, როგორითაც დაუცავს „ქართლის ცხოვრების“ რუმინაცვეისეული ხელნაწერის ჩანართს, რომელიც ასე იკითხება: „ამის ეამთა შვეიდენ მთარგმნელნი წიგნთანი: ეფრემ მცირე, და თეოფილე, და არსენ იყალთოელი, და იოვანე ტაიჭის ძე. ქრისტეს აქათ ქკსა ჩროდ [1174]“ (I, გვ. 334). შდრ.: იოანე ფილოსოფოსი პეტრიწი-ჰირტიმელი (731—742), ეფრემ მცირე (743—748), თეოფილე (749—750), არსენ იყალთოელი (751—758) და იოანე ტაიჭის ძე (762—763). ამათი ქების დროს ანტონი ავლენს ძველი ქართული ფილოსოფიური მწერლობის კარგ ცოდნას. აქ მას გამოუყენებია იოანე პეტრიწის შრომები — პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“ და მისი კომენტარები (739,1)<sup>51</sup>, ფილოსოფიური ტრაქტატი — „სათნოებათა კიბე“ (739,4—5)<sup>52</sup>, გალექსილი „სათვეო სვინაქსარი“ (ანუ „გალობანი ყოველთა წმინდათანი“), რომელიც შეიცავს სექტემბერ-იანვრის თვეთა მცირე მოსახსენებლებს (740,1—2)<sup>53</sup>, ეფრემ მცირის „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“ (746—747)<sup>54</sup>, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებათა ეფრემ მცირისეული თარგმანები (302—330, 748)<sup>55</sup>, არსენ იყალთოელის „დოღმატიკონი“ (754)<sup>56</sup>, ანდრეა კრი-

<sup>51</sup> იოანე პეტრიწის შრომები, I (1940 წ.), II (1937 წ.).

<sup>52</sup> გამოცემულია ჩემს მიერ 1968 წელს.

<sup>53</sup> A 85, ფ. 197v—213v; A 67, ფ. 92r—105r (ტექსტი გამოაქვეყნა თ. კუკავაძე — იოანე პეტრიწის წიგნი „ათ-ორ თვისა“ („პროლოღია“), 1978, გვ. 36—76. სამწუხაროდ, მასში დაშვებულია მრავალი ფაქტობრივი და ტექსტობრივი ხასიათის შეცდომა).

<sup>54</sup> ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე, უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქცენების, თ. ბრეგაძის რედაქციითა და გამოქვეყნებით, 1959, გვ. 3—12.

<sup>55</sup> პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი ე ლ ი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ე ფ რ ე მ მ ც ი რ ის თარგმანი; გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ე ნ უ ქ ა შ ვ ი ლ შ ა, 1961, გვ. 1—258.

<sup>56</sup> S 1463 (წარმოადგენს არსენისეულ რედაქციას); გულ. 23. მისი შედგენილობა იხ. წიგნში: ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, 1978, გვ. 104—157.

ტელის „კანონთა“ არსენისეული თარგმანი (755,1)<sup>57</sup> და არსენის „დასდებელ-სტიხნი“ (757,2). „დოღმატიკონის“ მიხედვით მასვე შეუთხზავს ქება „თვს მამისა მონაზონისა, რომელი სძლევდა ტფილისს მახმედიანთა სიბრძნითა თუსითა“ (759—761)<sup>58</sup>.

\* \* \*

ანტონმა „წყობილსიტყვაობაში“ შეაქო XII—XVIII საუკუნეების ქართველი საეკლესიო მწერლებიც. ისინიც სამ წრედ განიყოფებიან.

დ. მეოთხე წრის მწიგნობარნი არიან XII—XIII საუკუნეების სასულიერო პოეტები: დემეტრე მეფე (781—782), საბა სვინგელოზი (764—765), იეზეკიელი (766—767), პეტრე გელათელი (768—769) და იოანე შავთელი (770—771). ანტონისთვის ცნობილი ყოფილა ამ ავტორთა შემდეგი თხზულებანი: საბა სვინგელოზის საგალობელი, თქმული ხელთუქმნელი ხატის სადიდებლად<sup>59</sup>; იეზეკიელის აკროსტიქული იამბიკოები (მათი მიბაძვით შეთხზულია 409—410-ე სტროფები)<sup>60</sup>; პეტრე გელათელის იამბიკოები, რომლებიც ჩართულია იოანე სინელის „კლემაქსის“ პეტრიწისმიერ ქართულ თარგმანში<sup>61</sup>; დემეტრე მეფის „სტიხნი მალაშაირნი“, რომელთაგან „შენ ზარ ვენახი“ ანტონის დროს იგალობებოდა კიდევ<sup>62</sup>; ბიობიბლიოგრაფიული უწყებანი იოანე შავთელის შესახებ, რომლებიც დაუცავთ თამარის პირველ ისტორიკოსსა და „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორს (ოლონდ ანტონმა არ იცის, რომ ამ იოანეს ეკუთვნის „თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა“, რადგანაც ეს სახობო ძეგლი XVIII საუკუნეში ცნობილი იყო არჩილ მეფის ქებად და მიეწერებოდა იაკობ შემოქმედელს)<sup>63</sup>.

<sup>57</sup> სხ. 70. შდრ. Н. М а р р, Описание грузинских рукописей Спайско-го монастыря, 1940, с. 196—205.

<sup>58</sup> S 1463, ფ. 309v—312v. ტექსტის შინაარსობრივი ანალიზი იხ. წიგნში: ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, 1978, გვ. 88—100.

<sup>59</sup> ჩვენი საუწყე, I, 1960, გვ. 546—550.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 524.

<sup>61</sup> A 39, ფ. 217v. იოანე პეტრიწი, სათნოებათა კბე, 1968, გვ. 64—68.

<sup>62</sup> ჩვენი საუწყე, I, 1960, გვ. 527; კ. კეკელიძე, იქვე გვ. 314—316.

<sup>63</sup> ძველი ქართველი მეხოტბენი, II, იოანე შავთელი—აბდულმესიანი. გამოსა-

ყველა დასახელებული წყარო, რომლებითაც ანტონს ამ შემთხვევაში უსარგებლნია, ძველია და სანდო. მიუხედავად ამისა მას მაინც ერთი შეცდომა მოსვლია: დიმიტრი პირველი (1125—1154 წწ.), დავით აღმაშენებლის შვილი, რომელიც გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე შედგა ბერად დავით გარეჯაში დამიანეს სახელით, რატომღაც მიუჩნევია დიმიტრი მეოთხედ და XVII საუკუნის პოეტ-ჰიმნოგრაფთა შორის მოუქცევია. დაუჯერებელია, რომ არა სცოდნოდა დემეტრე მეფის ვინაობა, რადგანაც მისადმი მიძღვნილ იამბიკოში ამბობს: დიმიტრი იყო მეფე-ყოფილი მონაზონი, დავითიან-ბაგრატიონი, მისი პორტრეტი, დახატული დავით-გარეჯის მონასტერში, მიხილავსო (781—782). მაგრამ შეცდომის საფუძველი მაინც უცნობია.

ე. მეხუთე წრის მწიგნობარნი არიან ქამთაღმწერლის მატია-ნეში მოხსენიებული საეკლესიო პირნი — ბასილი ათონელი (ეფთვიმე კათალიკოსის ბიძა) (772—773), პიმენ სალოსი (774—776) და ანტონ ნაოხრებელის ძე (777—778), რომელნიც მოღვაწეობდნენ დიმიტრი თავდადებულის მეფობის დროს, XIII საუკუნის მეორე ნახევარში. მათ შესახებ ქამთაღმწერელი წერს (II, გვ. 282—283):

„მათ ქამთა (1280 წლის ახლო ხანში, ი. ლ.) მთაწმიდით მოიწია ბასილი მონაზონი, ბიძა ეფემიოს კათალიკოსისა, საღმრთოთა წესითა აღსაუსე და წინასწარცნობისა მადლითა განბრწყინებულნი; მოიწია წინაშე დიმიტრი მეფისა, გამოცხადებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა, და ვითარცა მოციქული ძლიერად ამხილებდა და წინა აღუდგებოდა მეფესა უწესოჲსა მისთვის ქორწინებისა... ამათვე ქამთა ბრწყინვიდა პიმენ სალოსი, რომელი გარესჯით წარმოვიდა და დაემკვდრა ბელაქანს, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა. ამას თანა ბრწყინვიდა დიდიცა იგი მოღვაწე ანტონი ნაოხრებელის ძე, ნათესავით მესხი“.

ანტონის ცნობით ბასილი იყო „მეფეთ მამხილებელი“ (772,3), ასევე პიმენიც — „მეფეთად დიდი მამხილებელი“ (774,3) და ანტონ ნაოხრებლისძეც — „პიმენისაებრ მამხილებელი მეფეთ“

ცემად მოაზნადა, გამოკლევა, კომენტარები და ლექსიონი დაურთო ი. ლოლავილიძე, 1964, გვ. 23—30, 43—51.

(777,3). უამთააღმწერელი კი იუწყება, რომ მხოლოდ ბასილი „ამხილებდა და წინააღუდგებოდა მეფესა“. სამაგიეროდ ვახუშტი ამბობს: დიმიტრი მეფეს „ეგრეთვე ჰიმენ სალოსი გარესჯელი ამხილებდა და არც მას უსმენდა“ (IV, გვ. 233), ზოლო უამთააღმწერელის ზოგიერთი გადაწერი უმატებს: ანტონიკა „ამხილებდა მეფესა და ყოველსა ერსა, გარნა არარაჲ ისმინეს“ (II, გვ. 283). ცხადია, „წყობილისტყვაობის“ ავტორს ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ჩანართებიანი ნუსხა და ვახუშტის „აღწერა“.

ამავე წრის მწიგნობართა შორის თხზულებაში იხსენიება ჰიმნოგრაფი „ნიკოლოზ ქართველთა მნათობი“ (779—780), რომელსაც უმოღვაწია XIII—XIV საუკუნეთა მიჯნაზე, დიმიტრი თავდადებულის ძის — ვახტანგის დროს. პ. იოსელიანის ცნობით, „სრულნი მისნი საგალობელნი“ დაცული ყოფილა ათონის ივერიის მონასტერში (გვ. 272). მასალების უქონლობის გამო ამ ცნობის ნამდვილობის დადასტურება ჭირს<sup>64</sup>.

ანტონი აღნიშნავს, რომ

ამან უზომოდ წკმისა გარდამოსლვის  
დასაყენები შექმნა აკოლოთია,

რომელიც არისო „მეტურვალ-სავედრი ღმრთისადმი ერისაგან“ და შეთხზული „მალალ-გამოთქმით“ (780). ეს აკოლოთია მართლაც არსებობს, დაბეჭდილია „კურთხევეანში“ (1826, გვ. ფნგ — ფნთ).

ვ. მეექვსე წრის მწიგნობარნი არიან XVII—XVIII საუკუნეების საეკლესიო მოღვაწენი — ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (783—786), კოზმა ხუცეს-მონაზონი (789—790), იობ პითარელი (791—792) და გერმანე ხუცეს-მონაზონი (793—794). მათი ცხოვრება და საქმიანობა ანტონმა კარგად იცოდა, ზოგიერთ მათგანს პირადადაც იცნობდა. ამდენად მის ცნობებს ჩვენთვის პირველ წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. მაგ., ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის დახასიათება, რომელსაც გვაძლევს ანტონი, დადასტურებულია საისტორიო წყაროებითაც: მისი თქმით, ნიკოლოზი იყო „მრავალფერ ენათ გამოთქმელი შუენიერად; აზიას შინა, ევროპას და აფრიკას მავალი სიბრძნით, კაცი სიბრძნის-მოყუარე, ღრამატიკოსი“, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „არვეთ ჰმსთავრობდა“ და თავისი მოძღვრებით

<sup>64</sup> კ. კ ე ლ ი ძ ე, იქვე, გვ. 336—337.

„განაშეენებდა კახთა, მეგრელ-ქართველთა“<sup>65</sup>; პეტრე ჩხატარაიშვილმა მოგვითხრო ალექსანდრე მაკედონელის ისტორია „შირთა შინა სიბრძნით“ (785)<sup>66</sup>, გრიგოლ დოდორქელმამო,

ამან სიბრძნის ქუემდებარემან კაცმან  
ისტორიკოსა ქეთავან დიდისათვის,  
რამეთუ ლუაწლნი მოუთხრნა ამან მისნი,  
ვრცელ და წესიერ ბრწყინეალებ, არა-ბნელად (787)<sup>67</sup>.

მანვე გამოთქვა ამავე ქეთევანისადმი მიძღვნილი აკოლოთია (788,1—2)<sup>68</sup>, კოზმა ხუცეს-მონაზონმა შეთხზა „ქეთევან მეფას შესხმის-სიტყუაობანი“ (790)<sup>69</sup>; იობ ფიტარეთელი იყო „სამღუდელოთა წერილთა“ ზედმიწევნით მცოდნე (791,2),

კეთილ მწერალთა და შუენიერად მკითხველ,  
მუსიკობითა ქართულითაჲ გამოცდილ (792,1—2)<sup>70</sup>;

ხოლო გერმანე ხუცეს-მონაზონი — ბობოქარი და

კაცი მდიდარი სიტყვთ და სათნოებით (793,3);  
ამისნი იყვნეს მსმენთად ქადაგებანი  
სასამოვნო, არა უმეარ ნასიტყუ (794,1—2)<sup>71</sup> და ა. შ.

ყველა ეს ცნობა უაღრესად ფასეულია ხსენებულ პირთა სამწერლო საქმიანობის შესაწავლად.

\* \* \*

მეშვიდე ნაწილის მერვე თავი ეთმობა საერთო მწერლების დახასიათებას. აქ ანტონი დასაწყისიდანვე აცხადებს (795):

<sup>65</sup> კ. ქ ე ლ ი ძ ე, ეტიულები, II, 1945, გვ. 292—324; გ უ ლ ჩ ი ნ ა ა კო-  
თ ა შ ვ ი ლ ი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი — ნიკიფორე ორ-  
ბახნი, 1977, 78 გვ.

<sup>66</sup> ა. ბ ა რ ა შ ი ძ ე, ნარკვევები, 11, 1940, გვ. 235—246.

<sup>67</sup> ტ რ. რ უ ხ ა ძ ე, ახლად აღმოჩენილი ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფ-  
ლისა, ლიტერატურული ძეგანი, V, 1949, გვ. 229—267.

<sup>68</sup> S 1464, ფ. 47v—48r.

<sup>69</sup> ეს თხზულება ჟერჯერობით არ არის ნაპოვნი (მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 71; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძე. ქართ. მწერლო-  
ბის კერები, I<sup>2</sup>, 1962, გვ. 309).

<sup>70</sup> ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიიდან, მაც-  
ნე, 1965, № 2, გვ. 155—157.

<sup>71</sup> ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძე. ქართული მწერლობის კერები, I<sup>1</sup>, გვ. 311; მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 136—139.

არღაცა მათი ქსენება დავიდუმო.  
რომელნი სიბრძნის ქუემდებარები სთქმიდეს  
ერისკაცთანი საქებელთა წერილთა.

ამის შემდეგ ის ამკობს ცამეტ საერო მწერალს. მათ ჰყოფს სამ ჯგუფად და აქებს თავიანთი რანგის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით:

I. „აღორძინების ხანის“ მეფე-პოეტები: თეიმურაზ პირველი (795—796)<sup>72</sup>, არჩილი (797—799), ვახტანგ მეექვსე (800)<sup>73</sup> და თეიმურაზ მეორე (801)<sup>74</sup>.

II. თამარ მეფისდროინდელი მწერალ-პოეტები: შოთა რუსთაველი (802), სარგის თმოგველი (803) და ჩახრუხაძე (804).

III. ანტონის თანამედროვენი: სულხან-საბა ორბელიანი (805—806), იესე ქსნის ერისთავი (807), დიმიტრი ორბელიანი (808), ვახტანგ ორბელიანი (809—810), ვახუშტი ბაგრატიონი (811—812) და დიმიტრი ციციშვილი (813—815).

ყველა მათგანი დახასიათებულია სხარტად და ლაკონიურად. აბა მოეუხსმინოთ თვით ანტონს:

ეს მწერლები დაექვემდებარნენ სიბრძნეს, გახდნენ „სამქებარო წერილთა“ გამომთქმელნი და მეც ამიტომ ვიკადრე მათი შემკობაო. თეიმურაზ პირველი არის „შუენიერ-მეტქვ, მალალ-პიტიკოსი“ (795,5), „საზეოა მისნი შაირ-თქმანი“ (619,3), ტკბილად სასმენი და „ფრას-შემკობილი“. ამიტომაც ჩვენ გვიხარის დიდად, რადგანაც „მისნი ტრფიალ-მოყუარებანი“ სიბრძნისადმი იმსახურებს საგალობო ლექსით შექებასო (622). ასევე

არჩილ მრავალნი თქუნა შაირნი ნაბრძნულნი,  
თარგმანება ჰქმნა „ხრონოღრაფისცა“ კეთილ —  
ბერძენთ მეფეთა ისტორია-წერილთა,  
ხოლო ბიბლია — სამლუდელოი წერილი  
ბნეული ჰკრიბა, თანად დააწყო სიბრძნით (797).

ან კიდევ:

ვახტანგ შაირნი შეაწყუნა შუენიერად;  
სიბრძნის-მოყუარე დაემოწაფა სიბრძნეს,  
ძნელნი გამოსთქუნა ალფავიტათა ზედა (800).

<sup>72</sup> შდრ.: სტრ. 619—622.

<sup>73</sup> შდრ.: სტრ. 623—626.

<sup>74</sup> შდრ.: სტრ. 627—631.



## ხოლო თეიმურაზ მეორემ

ქცევანი მეფეთ, ანუ მთავართ, ან სხუათა —  
ან ნადირობის, ანუ ასპარეზობის  
შაირთა შინა შეაწყუნა შუენიერად(801).

ამ ამონაწერთა ერთი თვალის გადავლებითაც საკმარისია გავითვალისწინოთ, ანტონს რა კარგად სცოდნია ხსენებულ მწერალთა ნაწერები. ირკვევა, რომ მას წაკითხული ჰქონია თეიმურაზ პირველის სამიჯნურო პოემები<sup>75</sup>, არჩილის დიდაქტიკურ-დამრიგებლობით: შაირნი („სტიხნი ნაბრძნულნი“)<sup>76</sup>, „საქართველოს ზნეობანი“ (ანტონის თქმით — „მეფობითნი და საპატრონო-ყმობითნი ქცეულებანი“)<sup>77</sup>, საისტორიო პოემა „თეიმურაზიანი“<sup>78</sup>; მის მიერვე რედაქტირებული „ბიბლია“<sup>79</sup> და რუსულიდან გადმოქართულებული „ხრონოლოგია“<sup>80</sup>; ვახტანგ მეექვსის „სიბრძნე მაღალბოელი“ და „ანბანთქებანი“<sup>81</sup>; თეიმურაზ II-ის „დღისა და ღამის გაბაასება“<sup>82</sup>.

ირკვევა, რომ ამ საერო-მხატვრული ლიტერატურის ერთი ნაწილი ანტონს შეუსწავლია ჯერ კიდევ ერისკაცობაში. „შაჰნავაზიანის“ ხელნაწერს ერთვის ასეთი ბოლომოკვეცილი მინაწერი: „მეფის შაჰნავაზის ამბავსა მიმთხუეულმან თეიმურაზ, ძისწულის ძემან იჰა მეფის შაჰნავაზისამან“ და ა. შ.<sup>83</sup>, რითაც დასტურდება, რომ ანტონს (იმავე თეიმურაზ-ყოფილს) „მეფის შაჰნავაზის ამბავი“ წაუკითხავს ბერად შედგომამდე. ფაქტია, ისიც, რომ ანტონი საერო-

<sup>75</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, 1934, გვ. 1—167.

<sup>76</sup> არჩილიანი, I, 1936, გვ. 65—123.

<sup>77</sup> იქვე, გვ. 3—16.

<sup>78</sup> არჩილიანი, II, 1937, გვ. 1—130.

<sup>79</sup> კ. კ ე ქ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 426—427.

<sup>80</sup> ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVIII სს., 1960, გვ. 229; რ. მ ი რ ი ა ნ ა შ ე ი ლ ი, ხრონოლოგია ანუ მსოფლიო ისტორია და მისი ქართული თარგმანი, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII—VIII, 1976, გვ. 171—184.

<sup>81</sup> ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ე ს ე, ლექსები და პოემები, ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედ., 1975, გვ. 63—68, 98—157.

<sup>82</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე, თხზულებათა სრული კრებული, 1939, გვ. 1—101.

<sup>83</sup> საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი, № 19192 (ფოტოკოპირი), ფ. 193.

მხატვრულ ძეგლებს ეცნობოდა კათალიკოსობის დროსაც. „ქეთევან დედოფლის შესხმა-მოთხრობაში“ მას გამოუყენებია თეიმურაზ პირველის „ქეთევან დედოფლის წამება“, არჩილის „თეიმურაზიანი“, გრიგოლ დოდორქელის „ქეთევან დედოფლის წამება“, ბესარიონ კათალიკოსის „დოღმატ-ისტორია“, ვახუშტის „აღწერა“, არაქელ სომხის „ისტორია“, ნიკოლოზ მროველის (ორბელიანის) „სტიხოლოლია“, იტალიელი კაპუცინების მოგონებანი და სხვადასხვა ხასიათის ჰიმნოგრაფიული მასალა<sup>84</sup>. „ქეთევან დედოფლის შესხმა-მოთხრობაში“ ანტონი ხშირად იმოწმებს არჩილს, თეიმურაზ პირველს; ამბობს: „იტყვს მეფე, ძე მისი“ (ე. ი. ქეთევანისი), ან მოკლედ — „იტყვს მეფე“. ერთგან ამასაც აღნიშნავს: „გარნა ჟსარწმუნოესად მიჩნს თქმულნი ესე არჩილ იმერთა მეფისანი, მით რომელ დროსა მეფისა არჩილისსა კახთა ზედა მეფობისასა მრავალნი იყვნეს თუალით მხილველნი კაცნი, რომელნიცა დროსა წმიდისა მის ქეთევანისა ღუაწლისასა იყვნეს რომელნიმე ყრმა და რომელნიმე ჭაბუკ. და ყოველივე ამისთვის თანამედროვეთა მახსოვართაგან უწერიეს“ (იქვე, გვ. 591—592). ეს მსჯელობა იმის მაუწყებელია, რომ ანტონი მის ხელთ არსებულ მასალას კრიტიკულად აფასებდა. დაბოლოს, ანტონი „წყობილისიტყვაობაში“ იმოწმებს სულხან-საბა ორბელიანის „სამოთხის კარს“; უწოდებს მას „ჯოჯოხეთის ბჭეს“ (805,4)<sup>85</sup> და ლექსებს, რომლებშიც არაა შერეული კათოლიკური წვალება (806)<sup>86</sup>; იესე ქსნის ერისთავის „აკოლოთიას“, აკროსტიქულად თქმულს ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავთა სადიდებლად (807)<sup>87</sup>, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანის ლექსებს<sup>88</sup> და სხვა. ანტონი მაღალ შეფასებას აძლევს შოთა რუსთაველს, სარგის თმოგველსა და ჩახრუხაძეს,

<sup>84</sup> მ. ს ა ბ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, გვ. 583—598.

<sup>85</sup> ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, III, 1963, გვ. 225—334; ი. ლ ო ლ ა შ ე ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, 1958, გვ. 104—132.

<sup>86</sup> ივარაუდება „ქილილა და დამანას“ ლექსები (ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, VI, 1975, გვ. 158—202).

<sup>87</sup> იგულისხმება „გალობანი შუალამისანი. იამბიკონი, რომლისა თვენი იტყვენ: ქრისტეს მოწამეო შალვა, შეიწყალე ძის ძე შენი იესე“ (მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, XVII—XVIII სს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან. იესე ერისთავის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა, კრებული „მრავალთაგი“, III, 1973, გვ. 157—175).

<sup>88</sup> ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დიმიტრი ორბელიანი (საიუბილეო კრებული „სულხან-საბა ორბელიანი“, საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1959, გვ. 151—175).

როგორც ერის კაცთა შორის გამოჩენილ მწერალ-პოეტებს: ჩახრუ-  
ხაძეს აცხადებს ის პოეტთა გვირგვინად, შოთას კი — მაღალ  
ღვთისმეტყველად<sup>89</sup>.

ყოველივე თქმული მოწმობს, რომ „წყობილსიტყვაობის“ ავ-  
ტორი, რომელიც თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამო  
თითქოს უნდა ჩაკეტილიყო ქრისტიანული თეოლოგიის ჩარჩოებში,  
გვევლანება ქართული საერო-მხატვრული მწერლობის უბადლო  
მცოდნედ და მისი მეცნიერული ღირებულების ჭეროვან დამფა-  
სებლად.

\* \* \*

ამით ვამთავრებ „წყობილსიტყვაობის“ ლიტერატურული წყა-  
როების საერთო მიმოხილვას.

ეს მიმოხილვა, ცხადია, არ ამოსწერავს მთლიანად იმ წყა-  
როებს, რომელთაც იცნობდა და იყენებდა ანტონი, მაგრამ, ვფიქ-  
რობ, იგი მკითხველს ზოგად წარმოდგენას მაინც შეუქმნის ხსენე-  
ბული თხზულების ლიტერატურულ, ისტორიულ და ბიბლიოგრა-  
ფიულ ღირებულებაზე. რაკი ეს ძეგლი დაიწერა XVIII საუკუნის  
60-იან წლებში, ამიტომაც არ გვაქვს უფლება მასში დაცულ ცნო-  
ბებს აღრე-ფეოდალური და კლასიკური ხანის ქართველ მწერალ-  
თა შესახებ უნდო თვალთ შევხედოთ. ანტონის ლიტერატურული  
შემკვიდრეობა არ არის ამისი ღირსი. მწერლის ფართო მეცნიერუ-  
ლი განათლება და წყაროებისადმი დიდი პასუხისმგებლობითი და-  
შოკიდებულება უდავო საწინდარია იმისა, რომ „წყობილსიტყვაო-  
ბის“ ცნობებს მივაქციოთ ჭეროვანი ყურადღება და გამოვიყენოთ  
ისინი ისტორიული ჭეშმარიტების აღსადგენად. ხელალებით თქვა,  
თითქოს ანტონი გვაწვდიდეს არასწორ და შეუძომწმებელ ცნობებს,  
ან მისი ბევრი ცნობა სინამდვილეს არ შეეფერებოდეს, ეს იქნებო-  
და პირველხარისხოვანი ძეგლის გაუფასურება, ვიდრე მისი მეც-

<sup>89</sup> უკანასკნელ ხანს პრ. რატინმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ანტონ ბაგრატი-  
ონი „წყობილსიტყვაობაში“ შოთა რუსთაველს თვლის არა ერისკაცად, არამედ სა-  
ერო მწერლობის წარმომადგენელ ეპისკოპოსად (მ ი ს ი, ვეფხისტყაოსანი და  
შისი ავტორი, 1975, გვ. 225—236.) მაგრამ ეს თხზულების შინაარსობრივი ანალიზი-  
დან არ დასტურდება. „წყობილსიტყვაობის“ სტრუქტურისა და საქები მწერლე-  
ბისადმი მიმართვითი ლექსიკიდან ირკვევა, რომ ანტონს რუსთაველი მიაჩნია არა  
მართო საერო მწერლობის წარმომადგენლად, არამედ ერის კაცად.

ნიერულ-კრიტიკული შესწავლა და მნიშვნელოვან მხარეთა სათანადო გათვალისწინება.

ანტონის ნაწერებში ვხვდებით ზოგიერთ ცნობას, რომელთა წყარო არ ირკვევა. მაგ., „სპეკალში“ ნათქვამია, რომ იოანე ფილოსოფოსი „ოპიზას, მონასტერსა წმიდისა იოანე წინამორბედისასა, მიიწია ძმათა თანა, და მალალთა მათ ზესთ ღმრთის-მეტყუელებითთა წილ იმყო უნდოდა კელლინი და სამეუფოთა წილ სამოსთა — ძაძად“ (ე. ი. ბერად შედგა ოპიზის მონასტერში: ჩაიცვა ძაძა და დაბინავდა სენაკშიო). სიიდან მოდის ეს ცნობა, არ ვიცით, მაგრამ არ გვაქვს უფლება მისი ნამდვილობა არ ვირწმუნოთ, რადგანაც პეტრიწის გარშემო ანტონის მიერ მოწვედილი ყველა ცნობა სანდოა და დადასტურებულია ძველ-ქართული წყაროებითაც. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მწერალს თავისით არ შეეძლო ამგვარი რამის მოგონება. ანტონმა იგი, ალბათ, ამოიკითხა ჩვენთვის უცნობ რომელიღაც ძველ ხელნაწერში, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

როგორც ზევით ითქვა, მას ხელი უწევდებოდა დავით-გარეჯის, გელათის, მცხეთის საკათალიკოსო და თბილისის სამეფო წიგნსაცავების ფონდებზე. მოგეხსენებათ ისიც, რომ თბილისის სამეფო ბიბლიოთეკა 1795 წელს მთლიანად განადგურდა ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების გამო; კარგი დღე არც დავით-გარეჯის სამონასტრო წიგნსაცავს დაადგა: XVIII საუკუნეში რამდენიმე გზის ააოხრეს ლეკებმა; საგრძნობლად დაზიანდა მცხეთისა და გელათის ბიბლიოთეკებიც. მართალია, ჩვენამდე საერთოდ ბევრმა ქართულმა ხელნაწერმა მოაღწია, მაგრამ ბევრიც დიდუბა მტრისა თუ უფიცი მოყვრის ხელით. ამიტომაც აპრიორულად უნდა ვივარაუდოთ, რომ ანტონს „წყობილსიტყვაობის“ წერისას ხელთ ეჭირა ზოგიერთი დღემდე უცნობი ხელნაწერიც. მამასადაამე, დიდი სიფრთხილე გვმართებს იმ ცნობათა ავთენტურობის გარკვევისას, რომელთა წყარო ჯერ კიდევ აღმოჩენილი არაა.

ყოველივე თქმული, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ანტონს ბრმად ვენდოთ და არ შევამოწმოთ და არ მოვძებნოთ ცნობილი თუ უცნობი წყაროები. უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს ზოგიერთ ძველ ქართველ მწერალზე უფრო მეტი ვიცით, ვიდრე ანტონმა იცოდა (მაგ. შეიძლება დავასახელოთ გრიგოლ ხანძთელი, ბასილი ბაგრატიის ძე, გიორგი მცირე და სხვა). ანტონი, როგორც აღამიანი, არც აღამიანური ცდუნებისგანაა დაზღვეული. იგი ზოგჯერ

ანაქრონისტულ შეცდომებს უშვებს (ზოგიერთი მათგანი ზევით აღვნიშნე). მას აქვს ერთგვარი ტენდენციაც, რომ ძველი მწიგნობრები, რომლებიც დღეს მხოლოდ გადამწერებად არიან ცნობილნი, განადიდოს, უწოდოს მათ საღმრთო ფილოსოფოსი (ან წიგნთა მეთარგმნე) და ა. შ. მაგ., ის საღმრთო ფილოსოფოსად აცხადებს არა მარტო იოანე პეტრიწს (748,2) და ეფრემ მცირეს (745,5), არამედ გიორგი შეუენებულსაც (721,5), იოანე გრძელიძესაც (698,4) და იოანე პატრიკ-ყოფილსაც (725,4); მაგრამ ცნობილია, რომ უკანასკნელი სამი მოღვაწე ფილოსოფიურ საქმიანობას არ ეწეოდა, ყოველ შემთხვევაში გიორგი მთაწმიდელი და გიორგი მცირე ამაზე არაფერს არ ამბობენ. ასევე განდიდებულად სახავს ანტონი იეზეკიელსა და პეტრე გელათელს (766, 768); წერს:

იეზეკიელს ვიცნობთ თვისით სიტყუებით,  
სხუასა პეტრიწსა, სხუას დიდსა იოანეს,  
სხუასა არსენის, ორთავე თანასწორსა;  
უცხოოდ გამომთქმელს, საკვრველს პიტიკოსს,  
ღმრთის-მეტყუელ-რიტორს, კემმარიტ ფილოსოფოსს.

ანდა:

სტიხნი პეტრესნი იეზეკიელისთა,  
ან იოანესთ ჰგუანან ფილოსოფოსის,  
ანუ არსენის იყალთოელის დიდის,  
ანუ ეფრემის ქართველთა მნათობთაჲსა.  
ესე კმა ქებად, შირწმუნე ესე, მსმენო!

ხსენებულ პოეტთა ამგვარი განდიდების საფუძველი საერთოდ არ არსებობს. მართალია, ისინი განათლებული მწიგნობარნი არიან. მაგრამ ვერ შეედრებიან იოანე პეტრიწს, არსენ იყალთოელსა და ეფრემ მცირეს, ვერც ლიტერატურული პროდუქციით, ვერც გონებრივი დიაპაზონითა და ვერც მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნებით. ცხადია, ანტონი მათ აქებს გადაჭარბებულად. მისი აღზევებული ქება ვლინდება სხვა მწიგნობართა დახასიათების დროსაც. მაგ., არსენ ნინოწმიდელიო, — ამბობს ანტონი, — იყო „სწავლით მომრწყველი სოფლის, ღრმათ გამომეტყვი, ძნელთა ადვილ-ალმცსნელი“ (670,2—3), მაშინ როდესაც არსენის ასეთი განდიდება გიორგი მთაწმიდელისა და გიორგი მცირის შრომებით დადასტურებული არ არის. ცნობილი ფაქტია, რომ წარსულის მოტრფიალად ადამიანი ცდილობს მისგან დროით დაშორებული პიროვნებანი გაიდვალებულად წარმოსახოს, რათა ამით მკითხველი ან მსმე-

ნელი სიყვარულით განაწყოს მათდამი. ასე იქცევა ანტონ ბაგრატიონიც; იგი ამადლებული პატრიოტული სულისკვეთებით გვიხატავს ძველ ქართულ კულტურას, აქებს და აღიღებს მის ყველა წარმომადგენელს, რაც ნაკარნახევია მის მიერ აწმყოსადმი მელასქოლიური დამოკიდებულებით, მაგრამ, რაც მთავარია, ფაქტებს არ ამახინჯებს. პირიქით, ამ ფაქტების უკან დგას მეცნიერი თეოლოგი, რომელიც ექვემდებარება აზროვნების კანონებს და ანგარიშს უწევს რეალურ ვითარებას. ამიტომაც „წყობილსიტყვაობა“ შეიძლება ვცნოთ ისეთ უნიკალურ მხატვრულ და ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ წყაროდ, რომელშიც თავმოყრილია დიდძალი მნიშვნელოვანი მასალა საერთოდ ძველი ქართული მწერლობის შესასწავლად, კერძოდ მისი ავტორის განათლებისა და მეცნიერული დონის დასადგენად, ასევე XVIII საუკუნის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ცოდნის გასაცნობად და ქართული პოეტური სიტყვის კულტურის გასათვალისწინებლად.

„წყობილსიტყვაობა“ დიდი ლიტერატურული ძეგლიცაა, რომელიც ცხადპყფს ანტონის სიმპათია-ანთიპატიებს ძველი ქართული ლიტერატურული ფაქტებისა და მოვლენებისადმი. მასში ქართველი მწერლები დანახული და შეფასებული არიან XVIII საუკუნის ლიტერატურათმცოდნის თვლით, პატრიოტული განწყობილებითა და მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების პოზიციებიდან, რაც ერთგვარად ჩრდილს აყენებს თხზულების ჭეშმარიტ ბიობიბლიოგრაფიულ ცნობათა ავთენტურობას. ამ მხრივ უთუოდ სწორია ჯ. ჭუმბურიძის დაკვირვება, რომ: ანტონი „მწერალთა შეფასებას საერთოდ დადებითი დახასიათების ფორმით გვაწვდის“, ხოლო მისი „კრიტიკა ორი მიმართულებით ვლინდება: ავტორი ან საერთო თემატიკას უწუნებს ზოგიერთ მწერალს, ანდა განაქიქებს მართლმადიდებლობიდან გადახვევის გამო“<sup>90</sup>.

---

<sup>90</sup> ჯ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, I, 1974, გვ. 76.

## „წყობილსიტყვაობის“ მსატყვეველი ანალიზი

ანტონ ბაგრატიონი ქართული ჰიმნოგრაფიული სამოძღვრო პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მას სასულიერო ლირიკის ისტორიაში დიდი წვლილი უღევს. რამდენიმე თხზულება დაწერა მან იამბიკური საზომით: „წყობილსიტყვაობა“, რომელსაც ეძღვნება წინამდებარე შრომა; „სათვეო სვინაქსარი“ (იენის-იელის-აგვის-ტოს თვეთა მოსახსენებლები); „კლემაქსი“, რომელიც წარმოადგენს იოანე სინელის ამავე სათაურით ცნობილი პეტრიწული ქართული თარგმანის (A 39) გამოკრებილ ლექსით რედაქციას<sup>91</sup>, და სხვადასხვა ფილოსოფიური თუ ღვთისმეტყველური ტრაქტატების წინასიტყვანი (თუ ბოლოთქმანი). ამ თხზულებებში ანტონი ცდილობს წარმოაჩინოს იამბიკური ლექსის ყველა თავისებურება, რომლებიც კი ახასიათებდა მას ქართული პოეზიის განვითარების მანძილზე. იგი ჰბაძავს იოანე პეტრიწს, იეზეკიელს, დიმიტრი მეფეს, პეტრე გელათელს, არსენ ბულმაისიმისძესა და ნიკოლოზ ორბელიანს; ჰქმნის ასევე ორიგინალურ ვერსიფიკაციულ სტროფებსაც. მისი ლექსი შემკულია აკროსტიქებით, შინაგანი ან გარეგანი რითმებით, მაგრამ დამძიმებულია ხელოვნური სიტყვაწარმოებითა და არქაული სინტაქსური კონსტრუქციებით. მწერალი ყველგან მკაცრად იცავს იამბიკურ საზომს — თორმეტმარცვლედს: სტრიქონში არსად არ არღვევს მარცვალთა რაოდენობას (12) ან მუხლებს (5+7). ამიტომაც ზოგიერთ ხელნაწერში ყოველი ტაეპის ხუთმარცვლედის შემდეგ დასმულია ცეზურის ნიშანი (აპოსტროფი). აი, ერთი ნიმუში (405):

სამკაულნი თუ' არიან სასქლო-სამკნი,  
ვინა ცხედარიც' ჰჳამს შესაბამი მათი;  
ესე მუსმარნი' მახვლ-განცეცხლებულნი

<sup>91</sup> იო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, სათნოებათა კიბე, 1968, გვ. 124—126 და 92—94.

„წყობილსიტყვაობის“ ყველა სტროფი შეიცავს ხუთ-ხუთ თორმეტმარცვლოვან ტაქსს და თვითეული მათგანი შედგება სამოცი მარცვლისაგან. თუ სადმე ეს საზომი დარღვეულია, იგი ავტორის კალმისმიერი ან გადამწერთა მექანიკური შეცდომაა და ტაქვი უეჭველად გასაწორებელია. ავტორი იცავს იამბიკური ლექსის კლასიკურ ფორმას.

სტროფების უმეტესობა დაწერილია ურითმოდ, მაგრამ აქა-იქ გვხვდება გარეგან და შინაგანრითმიანი სტროფებიც, რომელთა ავტორობას არ ითაკილებდა არც ერთი გამოჩენილი ჰიმნოგრაფი. აი, რამდენიმე მაგალითი:

-ალი: ეს ქრისტეს სძალი, იასპ-მქვრვალი ლალი,  
არ ნათელ-მცხრალი, არ ყუავეილ-ფერით მზრალი!  
აქუს საღმრთო ალი, ვითა ცხოველი წყალი;  
გული უძს სალი, მით დასცა მძღავერი მწყრალი!  
ამას იქმს ქალი, ბუნებით კირთა მკრთალი (406)<sup>92</sup>.

-ული: პირ-ოქრო ქსული, ნივთი, ზენათ ქმნული,  
არ-წმასნით სთული, მარტივ რაიმე თხზული,  
ღოღმატი თნული, შენი ჩუენდამო თქმული,  
შენ მიერ ზმნული, მოძღურება საღმრთოდ ბრძნული!  
მას უკუე სული სწამებს ზეცით მოსრული (455).

-ადე, -ალეს: საღმრთო საწადე სახარებისა ბადე  
სულით განშაღეს, ზღვთ ზეცისად განსცვალეს;  
მეორედ მბადე, სიტყვერთ' დასაქადე,  
ცხად არა მალეს, გულნი აღატრფეს-ალეს  
ქებად საკულადე, ყოველთა სათანადე (333).

-ახენი: რათა ბაგენი უწმიდონი ვახენი,  
ხოლო ნათელნი დაუვალნი ვნახენი;  
მნებავს, წერილით დაესხნე მისნი სახენი,  
კეთილ-მსახურთა საამონი, ვა, ხენი,  
ვისგან დიკსნნეს მტერთა ბოროტ მახენი (202).

-ეფე: დავით მესამე — ფილოსოფოსი მეფე  
ვინ ჰქმნა გონება, უზადოასა მზის სეფე,  
სიტყვერს წალკოტს სულისა ყუავეილთ მკრეფე,  
მტერთა ჭუართა მადენ, მდიდრად სისხლთ მჩქეფე,  
ღმრთის-მეტყუელ მგალობ, იადონ მსტენავ-მეყეფე (571)<sup>93</sup>.

<sup>92</sup> შდრ.: ბორენა დედოფლის იამბიკო (ჩვენის საუნჯე, I, 1960, გვ. 498).

<sup>93</sup> ამ სტროფიდან ჩანს, რომ ანტონის კარგად სცოდნია საერო-მხატვრული პო-



-ოვრება: დაღათუ ესე ფინიკიას მძოვრება,  
ორდანისა უღაბნოთა მყოვრება,  
მქეცთა ახლვიდა, შორად კაცთა შოვრება,  
განქმელ-გუალულთა ქუეყანათა ცხოვრება,  
მაგრა მნათობი სოფლის კიდელ მთოვრება (687).

ამგვარივეა სხვა გართმული სტროფებიც: ორმარცვალრითმიანი —  
-ადრე (605), -ალეს და -ული (335), -არნი (576), -გენი (501),  
-ება (640), -ელი (364, 500, 598), -ენტა (454), -ენი (456, 579, 641),  
-ესა (453, 683), -ვანი (578), -ველმან (577), -იდი (580, 629),  
-იდსა (660), -ისე (459), -რენი (368), -ული (455), -ულმან (575),  
-ურნი (625), სამმარცვალრითმიანი — -ავსება (574), -არესა (457),  
-ენანი (367), -იანი (617), -იანნი (741), -ინანი (742), -ობილი (363)  
და -ოველი (427).

თხზულებას შოვრება მაჯამური სტროფებიც, მათ შორის სა-  
ყურადღებოა 458-ე სტროფი. მის პირველ ტაეპში იგულისხმება  
„სამოთხე“, მეორეში — „სამ-ოთხე“, მესამეში — „სა(დ) მოთხე“  
(-კოლოფი, ყუთი), მეოთხეში — „სამ-ოთხე(დ)“, ხოლო მეხუთეში  
„სამოთ ხე“ (-საამო ხე). იქვე გვხვდება გართმული სტროფები,  
რომელთა ყოველი მეხუთე ტაეპი რეფრენია (358—360). მათი გა-  
რეგანი რითმაა -ობას, ხოლო რეფრენი — „და ყრმაებულის საუ-  
კუნოდ-რე ფლობა“ (358,5; 359,5 და 360,5). რეფრენი შოვრე-  
ბა აგრეთვე 355—357-ე სტროფებს: მათში ყოველი მეხუთე ტაე-  
პია „წინა თქუეს სულით, ვით ქმნილად-რე ნივთათაჲს“ (355,5;  
356,5; 357,5). ანტონის შეუთხზავს ერთსტროფიანი ანბანთქებაც  
(460), რომელიც აბო ტფილელის საგალობელს უძღვის.

„წყობილსიტყვაობაში“ დატულია 30 აკროსტიქული სტროფი.  
თითოეული მათგანი ხელნაწერებში გამოყოფილია ხუცური ასოე-  
ბით წითურად ან შავად. ყველას წაკითხვა შესაძლებელია. ზოგი  
კიდურწერილობა ვერტიკალურია (ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზე-  
ვით ან აღმავალ-დაღმავალი და დაღმავალ-აღმავალი წყობით),  
ზოგი — ჰორიზონტალური, ზოგიც: ჯვარედინი<sup>84</sup>. მაგ.:

ვზია და კერძოდ — იოანე შავთელის „აბღულმესიანი“ და შოთა რუსთაველის „ვე-  
ფხისტყაოსანი“, რომლებშიც დატულია ანტონის მიერ გამოყენებული რითმები.  
შდრ.: „თამარ მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფესა“ (აბღ. 11,1), ან „მოგელნილო და  
მორკმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფო“ (ეფთხ. 1318, 3), ანდა თეიმურაზ I-ის  
„ლეილაქუნნიანიდან“ — „ორ ღღე შეექცის, ნახვილის ელთა სისხლისა მჩქეფეთა“  
და „ხმა უღარიან მგოსანთა, ვარღუნდ ბულბულთა მყეფეთა“ (100).

<sup>84</sup> ბუქდურ გამოცემებში აკროსტიქული სტროფები ისეა დაბეჭდილი, რომ წა-  
კითხვა კირს ან საერთოდ ვერ ხერხდება.

1. ვერტიკალური კიდურწერილობა ზევიდან ქვევით, ნიშნავს — „ნინას ანტონი უგალობ“ (469):

ნელსაცხებ შენსა	აღმტრფობი ვრბი, სიძეო,	სთქუ;
იოვლისფერე	ნივთნი სასძლონი	საკარგ,
ნინა, ყოვლად მე,	ტრფილმან	უკუდავისა,
აქა საუკუდავ	ოფლნი შეჰქმენ	საცვალებელ,
საღმრთონი	წიჳნი — ბრძენთ	საქებელ-საგალობ.

ამგვარადვე იკითხება: „ანტონი“ (150, 201, 408, 422), „მოწამეო, მიითუალენ გალობანი ძისაგან“ (410), „ერისთავათაჲს“ (421), „მამაო ილარიონ, მოსავი შენი დაიცევ, ანტონის“ (452), „მამაო ანტონი, დაიცევ თანსახელი შენი“ (470), „სუქიას ვაქებ“ (484), „გაქებ, მამაო იოანე“ (486), „მეფეთა ყოვლად დიდებულთა უგალობ სურვილით მგალობელი ყოვლად ბრწყინვალისა ვნებისა მათისა, ანტონი“ (505—508), „ოქროსა ნაკადითა მომრწყე, გიორგი, ანტონი“ (509), „ეესტათისათჲს“ (520) და „ირაკლი მეფე საქართველოსა“ (632—635).

2. ვერტიკალური კიდურწერილობა ქვევიდან ზევიით, ნიშნავს — „ლუარსაბ, კეთილ ხარ ჩემდა და ფრიად კეთილ“ (618):

სურვილი	შენი	ჩ ე მ დ ა დ	აღატყდა აწ	აღ
რამეთუ	აქათ.	რ ბ ო ლ ა	იახლა	დიდი,
არ	ანკანაყე,	ა რ ა მ ე დ	რაგუარ	საკეთ.
უცხო	მეკობ,	ხდილ ხომ,	ფრიად საქურვ, ვით სარკე	
ლუარსაბ,	კინა	ლ ა მ ე ე	აღსლვად მუნა	ზესთდ

3. კიდურწერილობა აღმავალ-დაღმავალი წყობით, ნიშნავს — „მეფესა დავითს მიერთმოდელ ქებანი ესე“ (483):

ხაწინმეტყუ	მტილსა	ე მ ო რ ჩ ი ე რ	ბრძენ	წმიდა,
ესგუარ	ნამდვილად	იმ	ძირით	შენ,
ფსალმუნთ	მექმისა,	მ ა გ რ ა მ	ქრისტებრმცა	მძნობი,
ე ქ ლ ე ს ი ე ბ რ ი ვ;		ს ა ლ მ რ თ ო	დავით,	მთან-ქმავ
მ მ უ ს ი		თუთ	ტბილად,	ერთ-სახელ მშული ესე.

ამგვარადვე იკითხება: „ჰსცევდ ანტონის, მამაო იოანე“ (518), „რაჲდენს ვაქებ გალობითა“ (523) და „მეფესა დავითს უძნობ ქებასა ამას“ (570).

4. კიდურწერილობა დაღმავალ-აღმავალი წყობით, ნიშნავს — „გაბრიილს ვაქებ მე აწ“ (519):

გონება სწმიდ  
აბრწყინვე ხედვა,  
ბრძენო გაბრიელ,  
რომლით ღმრთის დედის  
იოიანე,

ქვენი უბრყვლო  
აელვე იგი  
ვინა ზღუათაჲა ზედ  
სახე  
ლატრიათ ძღუნის-მრთელობ აწ.  
სარკე,  
საქებ,  
მდგომ  
განისაკუთრე,

5. ჰორიზონტალური კიდურწერილობა ნიშნავს — „სიხარული-  
სა თან-სახელ ხარ, ევთიმი დიდო“ (496):

საქმე — საწადი, ზედვა, რომელი შეამკუ, —  
ლითონ ძვრფასი, სხუათა თან საქებელთა,  
ნეტარ არს, აღსახ, ევთიმი და საამელ.  
ხატ წმიდა რამე, ვარდ — არა-ხრწნად მდგომი ზესთ,  
იკინთ, საკაზმ იად-ირისელ, დიდო.

6. ჭვარედინი კიდურწერილობა ნიშნავს — „ანტონი დავითია-  
ნი“ (419):

ასოთ განთესვა, თუ სთქუა, წულილ-სერძობად,  
რომლითა დიან მდიდრად სისხლთა ნაკადნი,  
ძნელთ ვნებათ ტვირთვა დაითმინა ახოვნად  
და გონებითი სამთავრო განწმედილი  
ანიშან-მსხუერპლნა წმიდა მოძრაობანი.

7. ვერტიკალურ-ჭვარედინი კიდურწერილობა ნიშნავს — „ში-  
ოს უგალობ ანტონი“ (491):

შენი, მამაო, მიართუ სტიხნი საგალობ,  
იკინთ-მქვრეო, ვით მარგალიტ-ლად-აღსხმულ  
ოდენ გარნა აღკატ არ-შესაბამი შენდა,  
სურვილით საგანგ-ქმნილი; სძლენ აკროსტიხორ  
უფროჲს მნათობმან ჩუენმან დღის მნათობისა.

ერთი აკროსტიქული სტროფი ანტონს შეუთხზავს იეზეკიე-  
ლის მიბაძვით.

ჩვენამდე მოღწეულია იეზეკიელის ათმარცვლოვანი ორსტრო-  
ფიანი აკროსტიქული ლექსი, რომლის კიდურწერილობა იმეორებს.  
მეხუთე ტაეპების სიტყვებს — „ანთებ თუათა ჩემთა ეონად მუნ-  
თა აღისად, უჩინო ყოფად“. ლექსის შინაარსი ასეთია (აკროსტი-  
ქი იკითხება აღმავალ-დაღმავალი წყობით)<sup>85</sup>:

<sup>85</sup> ჩვენი საუნჯე, I, 1960, გვ. 524 (კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყ-  
ვები აღდგენილია ჩემს მიერ კონტექსტის მიხედვით).

ბუნებითა	მათ	აღძრვათამთ	ესე
ელვა	მედღესე	თუთ ნათელ	იყო,
თ ხ ე მ ო ვ ა ნ თ ა ც ა		მთენ, უკუეთუ	შენ
ნათხზთა	რა ამათ	ესე	ვითართა
ანთებ	თეთათა	ჩემთა	ეონად.

აწ	წამებრივთა	ოუფლის [მიერ	მე] ყ,
თულთა თუ	ნამღვილ	ნ[ათელი	ილ]ო,
ნიეთო ზესთ	მბრწყინავი	იქმნე	კეთილ-მორფ
უტკბილ-	მოწლევს	ჩემდ ჰყოფდე	თქმითა
მუნთა	ალისად	უჩინო	ყოფად.

ანტონს აუღია ამ ლექსის კიდურწერილობა ორი ბოლო სიტყვის („უჩინო ყოფად“) გამოკლებით და მის მიხედვით შეუთხზავს იეზეკიელისებური აღმავალ-დაღმავალი აკროსტიქიანი იამბიკური სტროფი, რომლის მეხუთე ტაეპი თოთხმეტმარცვლოვანია წინა ოთხი ტაეპისგან განსხვავებით და იმეორებს კიდურწერილობის სიტყვებს — „ანთებ თეთათა ჩემთა ეონად მუნთ ალისად“ (409). აი, მისი ტექსტიც:

ბუნებით	წებით ანთებ	მზე	აღ-	შემოსილ.
ელვარებ	მადღე თულთა	უბინდო	თ უ ა ლ ი,	
თულვით	მირონსა მისცემ	ძღუნ	ნელ-	საცხებელს,
ნათელს, მექმს	ნათელთ ეს	გუარსა	უ ბ ი წ ო ს	ა.
ანთებ	თეთათა ჩემთა	ეონად,	მუნთ	— ალისად.

ანტონი ამგვარი ვერსიფიკაციული ფორმებით აღფრთოვანებულია. ამ მხრივ იგი იეზეკიელს თავისი პოეტური ხელოვნების განმამდიდრებელად თვლის. მას ასე მიმართავს (767):

შენნი შიირნი, იეზეკიელ დიდო,  
 აკროსტიხორნი იასპ-ჰურვენ, სარდიონ...  
 ძურფას-სპეკლობენ. კმა ჩემდა განსამდიდრად.

ანტონის კიდურწერილობანი ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი ფორმების გამეორებაა. მათ ვხვდებით იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბეში“, სადაც თითოეული თავი იწყება ვერტიკალური კიდურწერილობით. ეს იმდენად ნათელი ფაქტია, რომ პარალელური ნიმუშების დამოწმება არცაა საჭირო. მეტიც: ანტონი იოანე ფილოსოფოსს ჰბაძავს სიტყვათა წარმოებაშიც. მე მქონდა შემთხვევა გაკვრით აღმენიშნა, რომ პეტრიწი უხვად ხმარობს სახელწმინათა ხელოვნურ ფორმებს<sup>96</sup>. მაგ., არსებობს ცნებები — „ზეციის

<sup>96</sup> იო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, სათნოებათა კიბე, 1968, გვ. 127. ამის შესახებ საყურადღებო დაკვირვებანი გავაკეთე შ. ლლონტმა (იხ. მისი „ფეხისტიკოსის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა“, 1961, გვ. 138—146).

კარვის მღდელი“, „ახალი ნიში“, „მშვიდობის რული“, „მრავალ-საზრუნველი“, „ოქრო-მურ-გუდრუკი“ და ა. შ. იოანე ამ ცნებებს აზმნავეებს ამგვარად: „აზეცისკარვისმღდელებს“, „აახალნიშებს“, „მიიმშვიდობისრულებს“, „მრავალსაზრუნველებს“ და „მიოქრო-მურგუნდრუკებს“. ასევე იქცევა ანტონი. მაგ., „სათვეო სვინაქსარის“ ანტონისეულ ნაწილში გვხვდება ასეთი გაზმნაებული ცნებები:

ძლევის ნიში — იძლევისნიქა (6.VI);

ძლევის გვრგუნოსანი — იძლევისგვრგუნოსნა (3.VII);

ნიშ-მრავალი — ნიშმრავლობს (10.VI);

მზე ცისკროვანი — უმზეცისკროვნებოდა (18.VI);

იასპი მკროლოვარე — იასპმკროლოვარებს,

ილეკროს ფერი — ილეკროსფერებს,

ოქროსფერი სხივი — ოქროსფერსხივებს,

იაკინთი მკვრი — იაკინთმკვრობს (20.VI);

ცის კიბე — იცადკიბებს (18.VIII),

აღმსარებელი მოწამე — აღმსარებელმოწამებს (24.VIII) და სხვა.

ანალოგიური სიტყვათწარმოების ნიმუშები მიმოზნეულია უხვად „წყობილსიტყვაობაშიც“. აი, რამდენიმე მაგალითი:

ჭური რჩეული — აჭურ-რჩეულებს (281,3),

მოციქულთა ზენა — ამოციქულთზენაებს (281,3),

ზეცის სუფევა — აზეცის-სუფევე (473,5),

წულილი ჰოგრიო მოქმედება — იწულილ-ჰოგარ-მოქმედებდეს (497,2),

ზეცის კამარა — იზეცისკამრე (498,5),

ღმრთის სახელი — იღმრთის-სახელებს (499,5),

ღმრთის კელი — აღღმრთის-კელნეს (533,5),

ნართაული სახელი — ინართაულ-სახელა (646,4),

ღმრთის-მეტყუელის სახელი — იღმრთის-მეტყუელ-სახელა (763,2),

ღმრთის-მტის თანსერობა — ითან-სერობ-ჰურის-მტეს (488,4),

სარდიონ-მარგალიტი — სარდიონ-მარგარიტებენ (767,3),

ძვირფასი სპეკალი — ძვრფას-სპეკლობენ (767,4) და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით ბევრია სახელი, წარმოქმნილი ი-ნიანი ვნებო-თის მესამე პირის ზმნის ფორმით: იბერწისწულე (347,4), ითავ-დგმულეს (398,4), იმეინახეს (488,4), ისაჩინოვა (512,5), იიოანე (519,5), ითეზბიტელა (776,3) და სხვა. გვხვდება ასეთი გაზმნაე-ბული სახელებიც: აქუმეღებარე (477,4), ელიადოხე (738,5), აპიი-ტიკე, აშაირ-ალამაზენ (740,2), აღისუფევეებს (688,1), საპფირონებ (709,4), აღამატინებ (709,4), ეშესაბამის (671,5) და ა. შ. ზოგ-ჯერ ერთ ტაეპში ამგვარი ზმნების მთელი სერიაა მოცემული. მაგ.:

შენ ჰქაისიებ, ბალასან-კინამობე,  
მირონ არმატ წარმოცილილ ჰნელსაცხებლემ,  
ყარამფილ-ვარდებ, იაკოსტ-ყაყაჩობე,  
რტო კიპარისებ, ია-შაშპრა-სოსანებ,  
ხოლო წალკოტებრ მრავალ-ყვაილიერებ (559).

ანალოგიური წარმოების ზმნებითაა შეთხზული 613-ე სტროფიც.

შეინიშნება სახელთა ამგვარი წარმოებაც: მკაზმე-მაკეთო (552,4), მომგე (552,5) მმზახლე (567,4), მაახლი (635,5), მთარგმნე (750,5), მპაექრი (754,3), მექმი (564,1), მეზესთღმრთისმმეტყუელები (745,3) და მისთანები.

• • •

„წყობილსიტყვაობა“ განსაკუთრებით მდიდარია მხატვრული სახეებით: ვხვდებით მასში შედარებებს, ეპითეტებს, მეტაფორებს, ანაფორას, გამეორებასა და მხატვრულ ჩამოთვლას. ანტონი დავალებულია დიდად ბიბლიური სახეებით. მაგ., იგი ცამეტ ასურელ მოღვაწეთა მისიონერულ საქმიანობას მეტაფორულად ასე გვისახავს (471):

აღმოსავალით აღმოსრულმან მთიებმან<sup>97</sup>  
სხივთ კრთოლუანი რა განუტევენა ათორმეტ<sup>98</sup>,  
თუთომან სხივთა მწუერვალმან ივარსკულავა  
თუთოეულთა თემებთა განცისკრებად...

მწერალი ზოგჯერ ერთი და იმავე სიტყვის რამდენჯერმე გამეორებით აძლიერებს თავის აზრს და მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმ საგანსა და მოვლენაზე, რომელთა ცხადად დანახვებაც სურს მას. მაგ.:

სისხლი მარტულთა ეკლესიისა მიმართ  
იქმნა პორფირად, იქმნა ნელსაცხებელად,  
იქმნა სიმტკიცედ, იქმნა წინადად ღმრთისადმი,  
იქმნა მშულდ-ნიშან და მაყენებულ რისხვის  
და იქმნა ზიარ სისხლის ღმერთ-მამაკაცის (381).

<sup>97</sup> იგულისხმება იოანე ზედაზნელი.

<sup>98</sup> იგულისხმება იოანე ზედაზნელის თორმეტი მოწაფე, რომლებიც მოღვაწეობდნენ ქართლ-კახეთის სხვადასხვა სამონასტრო ცენტრში.

ან:

შენ ფილოსოფოსთ საქმე მონასმინანი,  
შენ სტოიკებრნი სიტყუთ სპეკალ-მინანი,  
შენ პერიპატოს ცნობანი სალხინანი  
მოაქართულენ, ქართლს ჰქმენ ათინანი... (742).

ანდა:

შენ — პურ შეცხოვილ ვნებისა საცხობელსა,  
შენ — ტევან წნეხილ საწნახელსა ლუაწლისას,  
შენ — ყუაილ წურვილ, საღმრთოდ-რე ნელსაცხებელ;  
ლუარსაბ დიდო, ხარ ჩუენდა ქება მდილარ,  
ხან ჩუენდა მცეელად მეორედ ქრისტეს მიმართ (616).

ანაფორასა და გამეორებას ანტონი ეფექტურად იყენებს უფრო მაშინ, როდესაც მას სწადია ვინმეს განდიდება. ამ შემთხვევაში აქცენტი გადააქვს სახოტბო პირთა სახელებზე და მათ რამდანჯერმე იმეორებს, რომ პერსონაჟის ქება მკითხველისათვის იყოს ძლიერ შთამბეჭდავი და ამაღლებული. მაგ.:

არსენი ტკბილსა აღინებს ნაჯადულსა,  
არსენი ოხრის ეკლესიისა შორის,  
არსენი ჰგალობს, ღმრთის-მეტყუელებს, რიტორებს,  
არსენი ჟღერავს გონებისა განსაჯაროდ.  
ქეშმარიტად ტკბილ არს პირსა ესეენება მისი (649).

ან:

არსენი ჰგალობს ტკბილი „კანონთა“ შინა,  
უხუ და შუენიერ და მშკობელ-შემწყობელი.  
არსენი სტუნავს ოქრო-მუსიკათა კმათა;  
არსენი ჟღერავს ოქრო-შუენიერ-ეყუანს;  
არსენი უბნობს: „დასცხერინ ცრუნი კმანი!“ (755).

პირველი სტროფით შექმნილია არსენ II კათალიკოსი, მეორით კი — არსენ იყალთოელი. აღზევებული რიტორული ენაწყლიანობითაა შეთხზული ეფრემ მცირისა და ეფთვიმე მთაწმიდელისადმი მიძღვნილი იამბიკოებიც (743—745 და 694—695 სტროფები). მათში თავმოყრილია ანაფორის, გამეორებისა და ეპითეტების ნიმუშები. მართალია, აქ ანტონი იშვიათად იყენებს ზმნას, კმაყოფილდება მხოლოდ გაბზული ზედშესრული და სახელნართაული სიტყვების ჩამოთვლით, მაგრამ ზოგჯერ ის თხზავს ისეთ სტროფებს, რომლებშიც ვლრნდება ზმნათა სიუხვეც. მაგ., აი, რას ვკითხულობთ არსენ იყალთოელის შესახებ (753—754):

ოქრო სდის, სტროის, სწვმს, შხეფავს საკრველად  
არსენის ღაწუთაჲთ სარწყუელად გონებათა;  
ოქრო-საყვირი სცემს, ჰბერავს, განგულუძებს,  
ილეკროს-ფერად ელავს, აკრთოლებს შუქთა,  
ირის-ლამაზებს მქვერ-თქმობა არსენისა.

ურთბუნებიანთ სომეხთათ ჰქუხს არსენი,  
სტყორცს ცეცხლთ, განმეხავს, სწვავს, აღნობს, განაქარევს;  
სიტყუს მპაექრი, სულის მომღები თესად,  
აღმოაჩინებს ჰეშმარიტთ დოღმატთა;  
ვერავის ძალ-უძს დარღუევა ან უკუთქმა.

ანტონს არსენი ესახება უდიდეს მქვერმეტყველად, მქუხარე  
მოპაექრედ, ცეცხლის მტრქვეველად: იგი მოწინააღმდეგეთ „სწვავს,  
აღნობს, განაქარევსო“. არსენის მქვერთქმობა ცისარტყელასავით  
ლამაზი და მრავალფეროვანია. მისი ღაწუებიდან ჩვენი გონების  
მოსარწყველად ოქრო „შხეფავს საკრველად“. ის აყვირებს ილეკ-  
როსფერად მოელვარე ოქრო-საყვირს, გვალვიძებს და აღმოგვი-  
ჩენს ჰეშმარიტ დოღმატებს, რომელთა დარღუევა და უარყოფა  
არავის არ შეუძლიაო.

\* \* \*

ანტონის ჰკუამახვილობა და მხატვრული ალლო თვალსაჩინოდ  
ვლინდება ბიბლიურ ანალოგიებსა და შედარებებში: თამამად უნ-  
და ითქვას, რომ აქ მწერალი თავის სტიქიაშია: ჰქმნის ახალ-ახალ  
მხატვრულ სახეებს.

ცნობილია, რომ ეკლესიის მამები ძველი აღთქმიდან იმოწმე-  
ბენ ისეთ ანალოგიებს, რომლებშიც თითქოს მინიშნებულია სიმ-  
ბოლიურად ახალი აღთქმის მოტივები. მათი მიზანძვით ანტონიცა  
თხზავს რიგ თავებს სასწაულებრივ წინასწარმეტყველებათა აღსა-  
ნუსხავად. ავიღოთ ერთი მაგალითი. 225-ე სტროფში კვითხულობთ:

ოდეს სურისა უდაბნოით მერრანად  
იაკობისმან დაიხანავა სახლმან,  
სადა სიმწარე წყლისა განჰკურნა მოსე  
ჩუენებულითა ძელითა უფლისაგან,  
ძელი ჭუარისა დაიხატვოდა საღმრთოდ.

ამ სტროფს შეესატყვისება შემდეგი ბიბლიური ამბავი (გა-  
მოსლ. 15, 22—25):

„წარმოიყვანნა მოსე ძენი ისრაელისანი (-იაკობისნი, ი. ლ.)



ზღვთ მეწამულით და მოიყვანნა იგინი უდაბნოსა მას სუ-  
რიასა. და ვიდრდეს იგინი სამ დღე უდაბნოსა მას ზედა და არა  
პოებდეს წყალსა, რათამცა სუეს. მოვიდეს იგინი მერარად.  
და ვერ ეძლო წყალი იგი მერარისა სუმად, რამეთუ მწარე  
იყო. ამისთვის ეწოდა ადგილსა მას სიმწარე: დრტყვიდა ერი  
იგი მოსესთვის და ეტყოდეს, ვითარმედ: რაჲ ვსუათ? ღალად ყო  
მოსე უფლისა მიმართ. და უჩუენა უფალმან ძელი და  
შთაგდო იგი წყალსა მას და დატკბა წყალი იგი.  
მუნ დაუდვა ერსა მას სამართალი და მსჯავრი და მუნ გამოსცა და  
იგინი“.

ყოველივე ეს ანტონს ერთ სტროფში ისე ლაკონიურად და  
სისრულით აქვს გადმოცემული, რომ მკითხველი მის სხვაგვარ მოკ-  
ლე პერიფრაზს ვერც კი წარმოიდგენს. მწერალს სიტყვის ეკონო-  
მიურობით ასახავს ლეგენდას, თუ მოსე წინასწარმეტყველმა მერა-  
რის მწარე წყალი როგორ დაატკბო უფლის მიერ ნაჩვენები ძე-  
ლით, რომელიც მას ჭვრის სიმბოლოდ ესახება. აქ ბიბლიური პა-  
საჲი მოხმობილია სიმბოლიური ცნების ასახსნელად.

„წყობილსიტყვაობაში“ მოპოვება ისეთი ბიბლიური ანალო-  
გიებიც, რომლებითაც ანტონი ზუსტად ახასიათებს ამა თუ იმ ის-  
ტორიულ მოვლენას (თუ პიროვნებას). ამ მხრივ ფრად საგულისხ-  
მოა თამარ მეფისადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელიც თამამად  
შიეძღება ვცნოთ სახობო პოეზიის ერთ-ერთ საუცხოო ნიმუშად.  
ანტონი იძლევა თამარ მეფის ასეთ დახასიათებას (592—595):

ეს ემსგავსა მარიამს, დასა მოსეს,  
დებორას კუალად, იედიოს, ესთერს და სხუასა,  
კეცის ჭურითა მომკლველს აბიშელიქის,  
ანას, ლოციითა ღმრთისადმი აღმვლენელსა,  
სსუას კუალად მხილველს ანას ანგელოსისა:

მარია მს, რომელ მოსცა ღმერთმან ერსა მძღუნს;  
დებორას, რომელ ამან სხუა ვინ სისარა  
ლაშქრითა დასცა ნუქარდინ ლოციითა-რე;  
იაილ იქნა, რამეთუ მას მანაი,  
ჭუარი, განმსკუალა, აკუდინა, დასცა მძღავრი.

კუალად დებორებრ მსჯელი რჩეულის ერის,  
იედიოებრი მქსნელი განსაცდელთაგან,  
ესთერებრ ძელსა უხილავის ამანის.  
მომშობი, ხოლო ერთა დამკველი მათი,  
ლოცვის აღმყვანი, მომღე თხოვის სრულ-ყოფის.

კეცის ჭურთხა ძლიერი აბიშელიქ  
ხალიფა დასცა მდღერმან, მამრი, ანაზღად,  
ესე იგი არს, არა-სწორ ძლიერებით;  
კეცის ჭურს შინა ღმრთივის მეცნიერებით  
ეკლესიანი ამკუნა, ჰვრცელა მეფობა.

მწერალი აქ იხსენიებს რამდენიმე ბიბლიურ გმირ-ქალს და მათთან შეპირისპირებით ცდილობს წარმოაჩინოს თამარის სახელ-მწიფოებრივი საქმენი და მათი მნიშვნელობა. ყველა ეს გმირი-ქალი ცნობილია გაბედული პატრიოტული თავგანწირვითა და ძლევამოსილი გამარჯვებით. გავეცნოთ თითოეული მათგანის ღვაწლს და ნათელვყოთ ანტონის შედარებათა შინაარსობრივი და მხატვრული მხარე.

ა. მარიაში მოსე წინასწარმეტყველისა და აპრონის დაა. მის შესახებ ბიბლიაში დაცულია ასეთი გადმოცემა: ეგვიპტის მეფე ფარაომ გასცა განკარგულება, რომ ყოველ ახლადშობილთაგან წული მდინარეში გადაეგდოთ, ქალი კი ცოცხალი დაეტოვებინათ. იმ ხანად ლევის ჩამომავალთაგან დაიბადა წული. მშობლები მას საში თვის განმავლობაში ჰფარავდნენ, მაგრამ ბოლოს დედამისმა მოატანინა კილობანი, მოფისა ნავით, შიგ ჩააწვინა ყრმა და კილობანი მდინარის პირას დადგა. ამას შორიდან თვალს ადევნებდა მარიაში, რათა ენახა, რა შეემთხვეოდა ძმას. მაშინ მდინარეზე საბანაოდ ჩავიდა ფარაოს ასული, შენიშნა კილობანი, შიმურვანებს მოატანინა, გახსნა და ნახა: შიგ იწვა ჩვილი ყრმა. ამ დროს მასთან მიიბრინა მარიაშმა და ფარაოს ასულს უთხრა: თუ გნებავთ, მოვიყვან დედაკაცს, რომელიც ძუძუს მოაწოვებსო. როგორც კი მან თანხმობა მიიღო, წავიდა იგი დედამისთან და ფარაოს ასულთან მიიყვანა. უკანასკნელმა დედაკაცს უთხრა: შემინახე ეს ყრმა, აწოვე ძუძუ და სასყიდელს მოგცემო. დედაკაცმა წაიყვანა ყრმა, გაზარდა და მიჰგვარა ფარაოს ასულს. მან იგი შვილად აიყვანა, „დასდვა სახელი მისი მოსე და თქუა: წყლისაგან გამოვიღე ეგე“ (გამოსლვათა 2,1—11). ასე გადაარჩინა მარიაშმა თავისი ძმა მოსე, რომელიც ებრაელთა ერს წინამძღვრობდა ეგვიპტოდან გამოსვლისას. მაშინ მარიაშიც თავის ერს მოსესთან ერთად მიუძღოდა წინ. როდესაც ებრაელნი მეწამულის ზღვას გავიდნენ და ფარაო ლაშქრითურთ ზღვაში დაინთქა, მაშინ „მოიღო მარიაშ წინასწარმეტყველმან, დამან არონისმან, ბობლანი კელითა თესითა, და განვიდოდეს ყოველნი დედანი მისთანა ბობლნებითა და მძნობრითა“. მარიაშმა მათ გალობით მიმართა: „უგალობდით უფალსა, რა-

მეთუ დიდებით დიდებულ არს! მკედრები და უნები შთათხია ზღუასა მას!“ (იქვე, 15,20—21). ამიტომაც არის, რომ ანტონი ამბობს: თამარი ემსგავსა მარიამს, რამეთუ იგი „მოსცა ლმერთან ერსა მძლუან“ (593,1).

ბ. XIII საუკუნის დასაწყისში ჩახრუხადე წერდა: თამარს ვერ შეედრება დებორა ქველიო (X,12), ანტონი კი ამბობს: თამარი მიემსგავსება დებორას, რადგანაც მან ლოცვით გაანადგურა ლაშქრითურთ მეორე ვილაც სისარა („სხუა ვინ სისარა“) — რუქნადინი. ამით თამარი იქმნა იაილიც, რომელმაც სისარა პალოთი დამსჭვალა მიწაზე და „აკუდინა, დასცა მძლავრი“ (593).

დებორა იყო ცოლი ლაფილოთისა, წინასწარმეტყველი და მსაჯული; ეფრემის მთაზე იჯდა, „დანაკის კუდსა ქუეშე“, რამათსა და ბეთილს შორის, და მსაჯულობდა. მან თავისი წინასწარმეტყველებით ისრაელებს ძლევაგამოსილი გამარჯვება მოაპოვებინა. ეს მოხდა ასე: ქანაანელთა მხედართმთავარი სისარა, რომელსაც ჰქონდა „ცხრაასი ეტლი რკინისა“, ისრაელებს ფრიად აპირებდა ოც წელიწადს. დებორამ წინასწარ განსაზღვრა, რომ სისარა დაილუპებოდა დედაკაცის ხელით, და ურჩია ბარაკს, რომ ჯარი შეეგროვებინა, თაბორის მთაზე ასულიყო და იქიდან უტბად დასხმოდა თავს სისარას. იგი, მართლაც, ასე მოიქცა: ათი ათასი მხედრით თაბორზე დაბანაკდა. სისარა ეტლებითურთ მის წინააღმდეგ გაემართა. ბარაკი მთიდან ჩამოვიდა ველზე და მტრის ლაშქარს დაესხა თავს. შემკრთალი სისარა ეტლიდან გადმოხტა და გაიქცა. ბარაკმა მისი ლაშქარი გაანადგურა, ხოლო სისარა „ივლტოდა ფერკითა და თუსითა კარვად იაილისა, ცოლისა ქაბერისაჲ კენეველისა... გამოვიდა იაილ შემთხვევად სისარასა“ და თავის კარავში შეიყვანა, კარვის კალთის ქვეშ დამალა, წყლის ნაცვლად რძე დაალევინა, თავზე სამოსელი დააფარა. სისარა შეევედრა იაილს, არ გაეთქვა ადგილსამყოფელი, მაგრამ მწარედ მოტყუვდა ლტოლვილი: „მოილო იაილ ცოლმან ქაბერისმან მანაჲ კარვისაჲ და აღილო ჟუედა ქელითა თუსითა და შევიდა მის მდუმრად და დაასვა მანაჲ იგი ყურიმალსა მისსა და დამსჭულა იგი ქუეყანასა. და იგი მიმოდგორვიდა მძინარე და მოკუდა“. ისრაელებმა რაკი სისარას სიკვდილი შეიტყეს, შეთხზეს გამარჯვების ჰიმნი, სადაც შექმებულია იაილ (მსაჯულთა 5,24—27):

იკურთხენ დედათა შორის იაილ...

[სისარა] წყალსა სთხოვდა მას და სძე მოართვა ფილითა...

ქელი მარცხენ მისი მიჰყო მანასა,  
და მარჯუენ თესი მიჰყო ქუედასა სამუშაოსა  
და მოკლა სისარა: დაასვა ყურმალსა მისსა მანან  
და განავლინა თავსა თესსა.  
შორის ფერკთა მისთა იგორჯა  
და მოკუდა შორის ფერკთა მისთა  
და მუნ დაეცა უბადრუკი იგი.

გ. ივდითი იყო გმირი-ქალი, რომელმაც ისრაელნი გადაარჩინა ასურთაგან დალაშქრვისაგან: ასურთა მხედართმთავარმა ოლომფრემ ქ. ბეთილს ალყა შემოარტყა. ისრაელთ სიმაგრეში გაუჰკირდათ ყოფნა, ტყვედ ჩაბარება გადაწყვიტეს. მაშინ ქვრივმა ქალმა ივდითმა გაიხანდა საქვრივო სამოსელი, ჩაიცვა ძვირფასი სამოსელი და მტრის ბანაკში შევიდა. ასურელებმა ის შეიპყრეს და ოლომფრეს მიჰგვარეს: ქალმა მხედართმთავარს მოახსენა, რომ ღვთის მოწოდებით მივიდა მასთან, რათა ბეთილში შესასვლელი გზები ასწავლოს. ოლომფრემ დაუჯერა მას, თავისთან დაიტოვა თავისუფლად და მისადმი ტრფობა მოინდომა. ივდითმა მოტრფილად ღვინით დაათრო და მძინარეს თავი მოჰკვეთა, მერმე ფარულად განვლო მტრის ბანკი და ბეთილს მივიდა. მეორე დღეს ასურთა ლაშქარში პანიკა შეიქმნა. ამით ისარგებლეს ისრაელებმა, გავიდნენ სიმაგრიდან და მტერი განდევნეს. ივდითმა თავისი გმირობით სახელი გაითქვა. რაკი ანტონი ამბობს, რომ თამარი არის „ივდითისაებრ მკნეელი განსაცდელთაგან“, ცხადია, მწერალი გულსხმობს ერთი მხრივ ივდითის იმ გულადობას, რომელიც მოთხრობილია „ივდითის წიგნში“, მეორეს მხრივ — თამარის სიმტკიცესა და შეუპოვრობას, რომელიც გამოავლინა მან ბასიანის ომის წინ, როდესაც რუქნადინმა თამარს მუქარის წერლით აცნობა თავისი ვერაგული განზრახვა.

დ. ერთხელაც ისრაელნი განსაცდელისგან იხსნა ესთერ დედოფალმა, არტაქსარის მეუღლემ. მან შეფეს საბლით მოაშთობინა ბოროტი და ზვიადი დიდებული ამანი, რომელმაც არტაქსარის სახელით მთელს სამეფოში გაგზავნა ეპისტოლე: „მოსწყვიდენ ნათესავნი ჰურიათანი დღესა შინა ერთსა“ (წიგნი ესთერისი). ანტონი ამ ქალს ამგავსებს თამარს იმით, რომ თამარმაც ესთერივით გაანადგურა ფარული მტრები, ლოცვა-ვედრებით დაიცვა ქართველი ხალხი და იქმნა „მომღე თხოვის სრულ-ყოფის“.

ე. მეხუთე ქალს, რომელსაც ემსგავსა თამარი, ანტონი სახელ-

დებით არ იხსენიებს, მაგრამ მას უწოდებს „კეცის ქურითა მომ-  
კლველს აბიმელიქის“ (592,3). ვინ არის ეს ქალი? მის შესახებ  
„მსაჯულთა“ IX თავში ვკითხულობთ:

იყო ვინმე დიდებულთაგანი, სახელით აბიმელიქ, ბოროტი და  
უკეთური, რომელიც სამ წელს მთავრობდა „ისრაელსა ზედა“. მას  
სიკიმელნი აუჯანყდნენ. აბიმელიქმა შეთქმულნი დაამარცხა, გარე  
მოადგა თებას და დაიპყრო. ამ ქალაქში აღმართული იყო ერთი  
„გოდოლი, მტკიცე და დიდი“. შევიდნენ შიგ მოქალაქენი, დახშეს  
მისი კარი და გამაგრდნენ. აბიმელიქ მიუახლოვდა გოდოლს და  
მოინდომა მისი კარის დაწვა ცეცხლით. ამ დროს ერდოდან „გარ-  
დამოუტევა დედაკაცმან ნატეხი ერთი საფეკველისა თავსა ზედა აბი-  
მელიქისსა და შთასტეხა თხემი მისი“. აბიმელიქმა მაშინვე თავის  
მონას ნიჟორგარს უბრძანა: „იკადე მახვლი შენი და მომკლ მე,  
რათა არა თქუან, ვითარმედ: დედაკაცმან მოკლა იგი“. მონამაც  
შეასრულა მისი ბრძანება. „ვითარცა იხილეს კაცთა მათ ისრაელი-  
სათა, რამეთუ მოკულა აბიმელიქ, და ივლტოდეს და წარვიდეს  
კაცად-კაცადი ადგილსა თუსსა ზედა. და მიაქცია ღმერთმან უკეთუ-  
რება იგი აბიმელიქისი“.

ამ ანალოგიით ანტონი ცდილობს დაასურათოს დიდი ისტო-  
რიული ფაქტი — ხალიფა ნასირის წაქეზებით ათაბაგ აბუბაქრის  
ლაშქრობა ქართველთა წინააღმდეგ და მისი დამარცხება ქ. შამ-  
ქორთან 1195 წელს. სწორედ მაშინ „დასცა ხალიფა მდედრმან,  
მამრი, ანაზად“.

8. დასასრულ, ანტონი წერს, რომ თამარი ემსგავსა კიდევ ორ  
ქალს — ანა წინასწარმეტყველს, ფანოელის ასულს, „რომელი არა  
განეშორებოდა ტაძრისა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსა-  
ხურებითა დღე და ღამ“ (ლუკა 2,36—37), და „სხუას კუალად  
მნახველს ანას ანგელოსისა“ — მანოეს ცოლს, რომელსაც გა-  
მოეცხადა ანგელოზი და უთხრა: „შენ ეგერა ბერწ ხარ და არა გი-  
შობიეს, ხოლო აწ მიუდგე და შეე ძე“. მართლაც, ამ „სხუამ ანამ“  
შვა ძე, რომელსაც სახელად უწოდეს სამფსონ (მსაჯ. თ. 13). ეს  
ქალები არიან ღვთისმოსავნი და, რაკი ანტონი მათ ამსგავსებს თა-  
მარს, ამით მწერალი აჩენს თამარის ღვთისმოსაობასა და სარწმუნ-  
ოებრივ სიმტკიცეს.

თამარ მეფის ამგვარ შეფასებაში საუცხოოდ მოჩანს ანტონის  
უნარი მხატვრულ სახეთა შექმნაში და მისი ეროვნული სულისკვე-  
თებაც. მისაღებია დ. ლაშქარაძის მოსაზრება, რომ „წყობილისი-  
ტყვაობით“ მისი ავტორი „ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყო-

ფობისათვის ამაგდარ გმირებს უმთავრესად იმიტომ აღუვლენდა ლაღადის, რომ თანამემამულეებში ეროვნული ღირსების შეგნება გაელვძიებინა, ერის ძალისადმი რწმენა განემტკიცებინა და მის საკეთილდღეოდ აემოქმედებინა ისინი“<sup>99</sup>. ამას ანტონი აღწევს პოეტური ნიჭითა და პატრიოტული შეგნებით.

ყოველივე თქმული მაძლევს საფუძველს დაეასკვნა: ანტონის პოეტური კულტურა მაღალია და ესთეტიკური. მისი ფრაზა შთამბეჭდავია, ღრმად შინაარსიანი და ლაკონიური. მწერალი ჰქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულებს, ახალ მხატვრულ შედარებებს, ისტორიულ და ბიბლიურ ანალოგიებს, რითმოვან და აკროსტიქულ იამბიკოებს და თავის ნაზრევს გვაცნობს ზუსტი მხატვრული სახეებით, მჭევრმეტყველური ენით, სიმბოლიურბ ცნებებითა და მკაცრი ლოგიკური მსჯელობებით.

---

<sup>99</sup> დ. ლ ა შ ქ ა რ ა ძ ე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, 1977, გვ. 135.

## „წყობილსიტყვაობის“ ტექსტის საკითხები

### გამოცემა

თხზულება პირველად გამოაქვეყნა პ. იოსელიანმა 1853 წელს თბილისში: „წყობილსიტყვაობა, ქმნილი ანტონისაგან პირველისა, კათოლიკოს-პატრიარქისა ყოვლისა საქართველომსა, პორტრეტითურთ თვთ ანტონისა; დაბეჭდილი ქ. ტფილისს, სტამბასა შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისა. 1853“ (გვ. I), „ბრძანებითა კავკასიის ნამესტნიკისა; უგანათლებულესისა კნიაზის მიხაილ სუმონის ძის ვორონცოვისა“ (გვ. II).

ტექსტი შედგება 860 სტროფისაგან (გვ. 1—306); უძღვის „წინასიტყვაობა“ (გვ. V—XIX), რომელსაც ერთვის პ. იოსელიანის ხელმოწერა და დაწერის თარიღი — „14 იანვარს, 1853 წელს. ქ. ტფილისს“. მას მისდევს „წინასიტყვაობა წინამღებარისა წიგნისა ხუთტაეპოვანთა სტიხთა ანუ შაირთა, ქმნილი გაიოსის მიერ არხიდიაკონისა“ (გვ. XX—XXVI; შდრ.: აქვე სტროფები 01—026). სქოლიოებად ერთვის კომენტარები (სულ — 169), რომელთაგან ზოგი ბიოგრაფიული ხასიათისაა, ზოგიც — ბიბლიოგრაფიული. ისინი ასახავენ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურათმცოდნეობის დონეს.

რედაქტორი წინასიტყვაობაში გვაცნობს ანტონის ბიოგრაფიას, მისი მოწაფეების ვინაობას, მეცნიერული თუ მხატვრული ნაწერების სიას, იუწყება გამოცემის რაობაზეც. „წიგნი ესე წყობილსიტყვაობა... დაეპბეჭდუ თვით ნამდვილხედ, რომელიცა აღეწერა არხიდიაკონსა მისსა ტრიფილეს და გაესწორებინა თვით კათოლიკოზ ანტონის“ (გვ. XVII). ამის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ თხზულება გამოქვეყნებულია ავტოგრაფული ხელნაწერის საფუძველზე, მაგრამ ასეთი ვარაუდი მცდარია, რადგანაც ამგვარი ნუსხა ჩერჩერობით მიგნებული არაა. საეჭვოა იგი აღმოჩნდეს, რადგანაც პ. იოსელიანს ხელთ არა ჰქონდა ანტონის მიერ ნას-

წორები ხელნაწერი. გამოცემაში დამკვიდრებულია ისეთი შეცდომები, რომლებიც ავტორიზებულ ნუსხაში შეუძლებელია ყოფილიყო: ნაბეჭდ ტექსტს არა აქვს ზედწარწერილი (ვრცელი სათაური), რომელშიც აღნიშნულია, თუ ვინაა „წყობილისტიკვაობის“ დამწერა, ვისი ბრძანებითა და როდის დაიწერა ეს თხზულება და რა ეწოდება მას სახელად. თუ ასეთი ზედწარწერილი პ. იოსელაანმა ტექსტიდან ამოიღო, მას უეჭველად დაიმოწმებდა წინასიტყვაობაში, როგორადაც იმოწმებს ტრიფილეს ანდერძსა და მისსავე ლექსს, შეთხზულს ანტონის სახელწოდების დღესთან დაკავშირებით (გვ. XVII—XIX)<sup>1</sup>. ავტორიზებულ ნუსხაში გამორიცხულია არსებულიყო აზრობრივად გაუმართავი ტაეპები:

განჯად სულისა ბოროტის სულისაგან (242,4),  
ნაძუნი იგი აცურავნა ზემო ნათქუნი (408,5),  
და ვნების სისხლით საქურუ მღონისოფელი (427,3),  
შენნი ბაგენი ქრისტესდა დაამაგენი (501,1),  
ესე სახენი არ აღვილ აღსაყარნი (576,5) და სხვა.

რაც შეეხება ცნობას, რომ რედაქტორს ჰქონდა ხელთ ტრიფილეს მიერ გადაწერილი ხელნაწერი, უნდა ითქვას, რომ ტრიფილეს მართლაც გადაუწერია „წყობილისტიკვაობა“ (ეს ირკვევა ანდერძიდან, რომელიც თხზულების ყველა დღემდე ცნობილ ნუსხას მოეპოვება), მაგრამ ეს ნუსხა დაკარგულია, ჩვენამდე მოღწეულია მისი რამდენიმე პირი, რომლებიც სხვადასხვა დროს გადაუნუსხავთ XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე გამამწერებს.

ტექსტობრივი ანალიზი ადასტურებს, რომ გამოცემის დედანში არსებულია მრავალი დამახინჯებული წანაკითხი, გამოცემაში კი დამკვიდრებულია ბეჭდვითი და რედაქტორული ჩარევის შედეგად წარმოშობილი შეცდომები. ასე მაგ:

1. „წყობილისტიკვაობა“ დაწერილია ხუთთაეპიოვანი იამბიკური ლექსით; თითოეული ტაეპი შეიცავს თორმეტ მარცვალს (5+7). ამიტომაც ხელნაწერებში ყოველი ხუთი მარცვლის შემდეგ დასმულია ცენზურის ნიშანი (აპოსტროფი); გამოცემაში კი ხშირად შეიმჩნევა მარცვალმეტობა (450,3: „ველით უდაბნოთ იორდანი-სათ, დიდო“), ან მარცვალნაკლებობა (407,5: „ღრუბლებრ ცურევ-

<sup>1</sup> პ. იოსელიანი წერს, რომ ტრიფილემ მეორე იამბიკო ანტონს მოახსენა შესხმად „1783 წელს, დღესა სახელწოდებისა მისისა“ (გვ. XVII), მაგრამ ეს თარიღი არასწორია. ხსენებული იამბიკო შეტანილია „წყობილისტიკვაობაში“ უკვე 1781 წელს (H 192, ფ. 109r).



თა ქეთევან დიდსახელობს“), ანდა ნაბეჭდში აპოსტროფი გადმო-  
ტანილია სასვენ ნიშნად — „მძიმედ“ (,)². მაგ. 703-ე სტროფი ასე  
იკითხება:

ამას ჰშუენოდა, თქმულთაგან თუსთა ქება,  
ვინათგან რიტორ, ქებულ არს ყოველთაგან,  
და საქებელ არს, სიტყუა მოქმედთადმი,  
მაშა სადამე, თუსთა თქმულთაგან ჰკამღა,  
ამისი შესხმა, და არა უცებთაგან.

2. ზოგჯერ გამოტოვებულია (ან გამეორებულია) ტაეპები. მაგ.,  
659-ე სტროფს აკლია მეხუთე ტაეპი — „მგზავნი გელათით აბუ-  
სერ მთავრისადმი“; 85-ე სტროფსაც მეხუთე ტაეპი აკლია — „არა  
დაფენით ძალთადმი დასათრგუნველ“. 458-ე სტროფის შემდეგ  
გამორჩენილია ისე წილკნელის საქებრად დაწერილი იამბიკო —  
„აბბაებ, დიდო“, რომელიც დაუცავს არა მარტო „წყობილსიტყვა-  
ობის“ კარგ ხელნაწერებს, არამედ ანტონის „სადღესასწაულოსაც“  
(S 1464, ფ. 260. r). ბასილი ბაგრატის ძისადმი მიძღვნილი 717-ე  
სტროფი ხელნაწერებში იკითხება ამგვარად:

ვასილი, წარმო მეშუთაგან ჩინებულთა,  
ძე ბაგრატისი, ვგონებ, რეცა მეფისა;  
ღმართის-მშეტყუელები, ფილოსოფოს-რიტორი,  
თარგმანი წიგნთა, დიდ-დიდება ქართველთა,  
ფრას-შუენიერი, განმერცომ ფრიად ქებული.

გამოცემაში ხაზგასმული ტაეპების ნაცვლად გამეორებულია  
ანტონ მნათისადმი მიძღვნილი 716-ე სტროფის ბოლო სამი ტაეპი  
(გვ. 345—346):

ქრისტეს შედგომა, ქრისტესად მოქმედება  
მისთა მცნებათა ნიადაგ დამცველობით  
აწ წესებულებს წმიდათა თანა მკვლრად.

3. მეხუთე ნაწილში („თუს ქართველთა წმიდათა“) სამქებრო  
ლექსები განლაგებულია კალენდარული თანმიმდევრობით სექტემ-  
ბრიდან აგვისტომდე იმის მიხედვით, თუ ამა თუ იმ ქართველი  
წმინდანის ხსენება თვის რა რიცხვშია დადებული. ამიტომაც თი  
თოთეულ საგალობელს უძღვის მოსახსენებელი დღის მაჩვენებელი

² შტრ.: 20,5; 21,3; 22,3; 26,4; 31,2; 172,2; 180,2; 189,1; 385,3; 408,5, რო-  
მლებშიც დარღვეულია საზომი, და 217, 218, 219, 226, 232, 236, 238, 242, 243 და  
სხვა სტროფები, რომლებშიც ცუზურის გამოფი ნიშანი გადმოტანილია „მძიმედ“.

ზედწარწერილი — „თთვესა სეკდენბერსა 13“, „თთვესა სეკდენბერსა 15“ და ა. შ. იქვე ზოგიერთ საგალობელში ჩართულია ჰიმნოგრაფიული ტერმინები: „დიდება“, „აწდა ჭუარისა“, ანდა „ჯუარღმრთისმშობელისა“, „აწდა დღესასწაულისა“ და მისთანები. გამოცემაში ყველა ზედწარწერილი გამოტოვებულია<sup>3</sup>, რის გამოც ძეგლის კომპოზიციის გათვალისწინება შეუძლებელი ხდება.

4. ხელნაწერებში ყველა აკროსტიქი ძირითადი ტექსტისაგან გამოყოფილია მრგლოვანი (ან მხედრული) ასოებით წითურად (ან შავი მთავრულით), თვით აკროსტიქული სტროფები კი ტექნიკურად ისეა გამართული, რომ თითოეული მათგანი ნაწილდება ვერტიკალურ სვეტებად, რომელთა კიდური ასოები გამოხატავენ აკროსტიქის შინაარსს. გამოცემაში ეს წესი უგულვებელყოფილია: ყველა აკროსტიქული სტროფი გაუმართავია არა მარტო ტექნიკურად, არამედ შინაარსობრივადაც. მართალია, რედაქტორი ზოგჯერ უთითებს, თუ რა შინაარსისაა აკროსტიქი, მაგრამ არსად მისი კიდური ასოები ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული შრიფტით არაა დაბეჭდილი, რის გამოც მრავალ სტროფში კიდურწერილობათა წაკითხვა ხელნაწერთა დაუხმარებლად თითქმის შეუძლებელია<sup>4</sup>.

5. კორექტურული შეცდომების. (ან წანაკითხის მცდარი ამოკითხვის). გამო დამახინჯებულია სიტყვები (ზოგჯერ გამოთქმებიც). მაგ., დაბეჭდილია: დედათა შინა (108,5), ორგანხგული ილიასი ხალენი (255,1), ქუ მყნ იერი სა ყოვლისა სურვილისა (317,4), ჰკახენ ქეთევანს (405,5), უმადოსადმი (427,1), ხანძოელისა (428), ეელით უდაბნოთ (450,3), მატყლი და სული (466,1), ჰახულს აღმომზე (700,2) და სხვა. უნდა იყოს: დედათა შორის, ორგანხეული ილიასი ხალენი, ქუეშეურისა ყოვლისა სურვილისა, ჰკახმენ ქეთავანს, უზადოსადმი, ხანძთელისა, ველით უდაბნოთ, მატყლი და სელი, ხახულს აღმომზე<sup>5</sup>.

<sup>3</sup> ზოგიერთი წმინდანის ხსენების დღე აღნიშნულია კომენტარებში (გვ. 112—175).

<sup>4</sup> იხ. სტრ.: 409, 410, 421, 422, 453, 469, 470, 486, 491, 496, 505—509, 520, 523, 570 და სხვა.

<sup>5</sup> ამ შეცდომების ერთი ნაწილი შენიშნა და გაასწორა რ. ბარამიძემ: „წყობილ-სიტყვაობის ტექსტისათვის“ (ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, 1964, გვ. 151—154. შტრ.: ე ნ ტ ო ნ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, წყობილსიტყვაობა, 1972, გვ. 6—8).

ვფიქრობ, დამოწმებული მასალა საკმარისია იმის გასათვალის-  
წინებლად, თუ რა მდარე ტექსტობრივი ღირებულების ხელნაწე-  
რი ჰქონია ხელთ პ. იოსელიანს.

\* \* \*

უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ „წყობილსი-  
ტყვაობის“ პირველი გამოცემა ემყარება ხელნაწერს, რომელიც  
ამჟამად ინახება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-  
მცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში E 65  
(E 79) N-ით. მაგრამ ეს მოსაზრებაც მიუღებელია. E 65 (=N)  
გადაწერილია 1840 წელს ი. ნაზაროვის მიერ მ. ბროსესათვის. მი-  
სი დედანია დავით რექტორის მიერ 1800 წელს თელავში გადაწე-  
რილი ნუსხა — H 2307 (=F), რომელიც დაცული იყო თბილისის  
სასულიერო სემინარიაში და 1838 წელს პ. იოსელიანმა მ. ბრო-  
სეს გაუგზავნა პეტერბურგში<sup>7</sup>. თუ გამოყენებაზე მიდგებოდა საქ-  
მე, რედაქტორი ისარგებლებდა დავით რექტორისეული ნუსხით და  
არა მისი ასლით, რომელიც მ. ბროსეს საკუთრება იყო. მეტიც:  
თხზულების გამოცემისას პ. იოსელიანს არ გამოუყენებია არც  
ერთი ხსენებული ნუსხა. ეს ირკვევა იქიდან, რომ მათში მრავალი  
შემოაღნიშნული დამახინჯებული წანაკითხი სწორი ფორმითაა და-  
ცული. ამასთან, 458—459-ე სტროფებს შორის ჩართულია ერთი  
უცნობი სტროფი, რომელიც გამოცემას არ მოეპოვება. აი, იგიც:

შეუბღავევლის სულისა მოძრაობით,  
კიდევან კმნითა სოფლისა ვნებათვან  
ქუემდებარები, ვნებისა ბნელსა მფლობი,  
უხილავი რა დაეცი უკუნქცევით  
და შეეერთე ზენათ თუალთ-შეუღამის.

ასე რომ, E 65 (N) ხელნაწერი და მისი დედანი H 2307 (F)  
„წყობილსიტყვაობის“ პირველ გამოცემას არ დასდებია საფუძე-  
ლად.

მაშ, რომელი ხელნაწერით სარგებლობდა პ. იოსელიანი?

— მას ჰქონდა ასეთი ჩვეულება: ასაწყობად სტამბაში მიჰ-  
ქონდა გამოსაცემი თხზულების ძველი ხელნაწერი (ან მისი გვიან-

<sup>6</sup> ა ნ ტ ო ნ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, წყობილსიტყვაობა, 1972, გვ. 6.

<sup>7</sup> მათ შესახებ იხ. ვრცლად აქვე, ხელნაწერთა აღწერილობაში.

დელი პირი). მაგ., მან ტ. გაბაშვილის „მიმოსლვა“ ააწყობინა სტამბურად დავით რექტორის ნუსხიდან, ხოლო იოანე შავთელის „აბდულმესიანი“ — ნ. ბალინოვისეული ხელნაწერიდან, რომელიც გადაწერილია 1835 წელს<sup>8</sup>. ასევე მოქცეულა პ. იოსელიანის „წყობილსიტყვაობის“ გამოცემის დროს. ამწყობებს ტექსტი აუწყვიათ 1808 წელს გადაწერილ ხელნაწერიდან — H 2152 (H), რომელიც მომდინარეობს H 225 (G) ნუსხიდან. ამჟამად ეს დედანი დაშლილია რვეულებად, ხოლო რვეულები — ფურცლებად; აქვს მას პ. იოსელიანის მინაწერები (112 v); წმიდათა ხსენების დღეების მიმანიშნებელი ზედწარწერილები გადაშლილია შავი მელნით, ხოტბები დანომრილია საკომენტაროდ თვით რედაქტორის მიერ; ფურცლებს კი ეტყობა შრიფტის შავი ლაქები (ასოთამწყობის ნათითრები). სწორედ ამ ხელნაწერშია გამეორებული (ფ. 94v—95r) ანტონ მნათის საგალობლის ტაეპები (716,3—5) ბასილი ბაგრატიძის საგალობელში (717,3—5); აქვე გამოტოვებულია (ფ. 87v—88r) არსენ ბულმაისიმისძის ხოტბის ბოლო ტაეპი „მგზავნი გელათით“ (659,5). ასე რომ, პირველ გამოცემას საფუძვლად დასდებია H ნუსხა, რომელშიც ტექსტი დაცულია ცუდად. სწორედ ამან განსაზღვრა გამოცემის დაბალი დონე.

1853 წელს ნ. ბერძინიშვილმა პ. იოსელიანის გამოცემას ასეთი შეფასება მისცა:

„პატივცემულმა გამომცემელმა წიგნს დაურთო წინასიტყვისაგან დამოუკიდებლად საკმაოდ დაწერილებითი შენიშვნები და განმარტებები. ამგვარი შენიშვნა არის ასსამოცდა ცხრა. თითოეული მათგანი შეიცავს მოცემულ პირთა შესახებ ბიოგრაფიულ ცნობებსა და სხვა წვრილმანს. უნდა ვირწმუნოთ სინამდვილე, რომ მხოლოდ მეცნიერებისადმი გულწრფელი სიყვარული და სურვილი — იყო სამშობლოსათვის სარგებლობის მომტანი — შეაძლებინებდადამიანს ამგვარ შრომას, რომელიც დროისა და შრომის-მოყვარეობის დიდ მარაგს მოითხოვს“<sup>9</sup>.

ეს შეფასება, რამდენადაც არ უნდა გადაჭარბებული იყოს, მაინც საყურადღებოა, რადგანაც იგი XIX საუკუნის 50-იანი წლე-

<sup>8</sup> ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ელ. მეტრეველის გამოცემა, 1956, გვ. 069; ი. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, II, 1964, გვ. 34—35.

<sup>9</sup> Кавказ, 1853, № 12 (ბიბლიოგრაფია).

ბის ლიტერატორთა აზრს გამოხატავს. მართლაც, ზემოაღნიშნული ნაკლის მიუხედავად პ. იოსელიანმა თავის დროისათვის „წყობილ-სიტყვაობის“ გამოცემით უდავოდ კარგი საქმე გააკეთა.

• • •

ანტონის თხზულება მეორედ გამოაქვეყნა რ. ბარამიძემ 1972 წელს (გამომცემლობა „მეცნიერება“, 208 გვ.). მას უძღვის პატარა შესავალი „ანტონ ბაგრატიონის «წყობილსიტყვაობის» ტექსტისათვის“ (გვ. 3—13). რომელშიც მოცემულია მოკლე ცნობები ძირითად ხელნაწერებზე, ზოგიერთი გასწორება და მათი დასაბუთების ცდა. ჯერ კიდევ 1964 წელს გამომცემელმა დაბეჭდა წერილი „«წყობილსიტყვაობის» ტექსტისათვის“<sup>10</sup>, რომელშიც წარმოადგინა ტექსტის რამდენიმე საინტერესო გასწორება. ასე მაგ.:

**პირველ გამოცემაშია**

**გასწორდა**

ჰკახენ ქეთევანს (405,5)  
 უდაბნოებრნი ღუარძლნი (655,3)  
 უმადოსადმი (427,1)  
 გვკობს ეკლესიათა (711,4)  
 უხრწნილოსა (31,2)  
 უძღუნი სიტყვერ ღექსთა (455,5)  
 მატყლი და სული (466,7)  
 კარხულს აღმომზე (700,2)  
 საბნლად და სასმელად

ჰკახენ ქეთევანს...  
 უდაბნოებრნი ღუაწლნი...  
 უზადოსადმი  
 გვკობს ეკლესიათა...  
 უქორწინოსა...  
 უძღუნი სიტყვერ ძღუენთა...  
 მატყლი და სელი...  
 ხახულს აღმომზე...  
 საბანლად და სასმელად...

ყველა ეს გასწორება შეტანილია მეორე გამოცემაში, რის წყალობითაც დამოწმებულ ტაეპთა შინაარსი აქ უფრო უკეთ არის გამართული, ვიდრე პირველ გამოცემაში. მაგრამ მაინც მასში დარჩენილია „რიგი გაუგებრობანი, ბუნდოვანი და ზოგჯერ სრულიად უაზრო წაკითხვები“ (გვ. 6).

რ. ბარამიძე იუწყება, რომ მეორე გამოცემა „მთლიანად ეყრდნობა ლენინგრადის ხელნაწერს E 65 (E 79)“ (გვ. 12), მაგრამ მისი მეცნიერული შესწავლიდან ეს არ მართლდება. რედაქტორი სამი გვერდის წინ (გვ. 9) ამბობს: რვა ხელნაწერი უნდა მივიჩნიოთ იმ ძირითად ხელნაწერებად, რომლებზედაც დაყრდნობით შეიძლება „წყობილსიტყვაობის“ ტექსტის გამართვა და სასტამბოდ

<sup>10</sup> ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, 1964, გვ. 151—154.

მომზადება“. მაგრამ იქვე ამასაც წერს: H 2117 ხელნაწერი (გადაწერილი 1818 წლის შემდეგ) სტროფთა ნუმერაციის მხრივ „ყველაზე ნაკლებ სცოდავს“ და მისი „წაკითხვებიც სხვებთან შედარებით უფრო მართებულია“. თუ ეს ასეა, მაშინ გაუგებარია, მკვლევარი რატომ ეყრდნობა E 65 ნუსხას, ან წანაკითხების მხრივ რატომ აძლევს უპირატესობას H 2117 ხელნაწერს, თუ ტექსტს საფუძვლად დაუდრო E 65? ან საკონტროლოდ რატომ გამოიყენა S 1 ხელნაწერი? განა XVIII საუკუნის სხვა ნუსხები მასზე მდარე ხარისხისა არიან? შესავალში ამ კითხვებზე არაფერია ნათქვამი. სამაგიეროდ რედაქტორი მკითხველს ეუბნება: „ანტონის ენის თავისებურებების“ დაცვის მიზნით ტექსტის გამართვისას თავი შევიკავეთ გასწორებებისაგან“-ო (გვ. 13). სამწუხაროდ, მისი „თავშეკავება“ იქამდე მიდის, რომ ზოგჯერ ტექსტში დატოვებულია მცდარი წაკითხვა, ვარიანტად კი გატანილია სწორი ფორმა (ან სიტყვა). ამის გამო მეორე გამოცემასაც მოეპოვება მეტნაკლებად ყველა ის ნაკლი, რომლებიც პირველი გამოცემის ტექსტობრივი ღირებულების მიმოხილვისას აღვნიშნე. აი, ამისი დამადასტურებელი ფაქტებიც:

1. სტროფებში არაა დაცული იამბიკური საზომი: ხან შეიმჩნევა მარცვალნაკლებობა (11,2; 19,2; 24,1; 32,1; 33,1; 40,1; 72,1; 119,1; 152,1; 156,1; 165,2; 168,5; 169,4; 173,1; 324,5; 406,1; 425,3; 484,1 და სხვა), ხანაც — მარცვალმეტობა (48,1; 72,5; 102,1; 164,3; 190,4; 228,5; 249,4; 409,2; 409,4; 450,3; 460,1; 501,1 და სხვა); 2. ხშირად არეულია სასვენი ნიშნები; ზოგჯერ აქა-იქ ტაეპებში გადმოტანილია ცენზურის გამყოფი აპოსტროფი „მძიმედ“ (;); 3. აკროსტიქიანი და ანბანთქებიანი სტროფები არ არის გამართული შინაარსობრივად და ტექნიკურად (408—410, 460, 469—470, 484, 486, 491, 496, 505—509, 520, 632—635 და სხვა); 4. მეხუთე ნაწილში, რომელიც ეთმობა ქართველ წმინდანებს, არსად არ იკითხება ზედწარწერილები, რომლებიც მიუთითებენ წმიდათა ხსენების დღეებს; 5. თხზულებას გამოცემაში არ უძღვის ვრცელი სათაური, რომელიც XVIII საუკუნის სამ (ABC) ხელნაწერს მოეპოვება; 6. დაშვებულია კორექტურული შეცდომები. იკითხება: გაუამოვნების, გეუჭცხადა (13,4), თვთება (17,1) გაუამსა (41,3), განმხილუველ (48,1), მანიქველთა (72,1), გამოსახადა (84,3), მშუილობის (103,2), ჯუჭრთხი (226,1), უემოწოდება (355,4), მიპირიდა (465,1), შესებამ, მიძლუარ (579,1) პსერქსისსა (588,2), მოვდ (620,1), ჰსმნობს (659,4), ასისთვს (661,5), პარიკ (725, 1)

და ა. შ. უნდა იყოს: გუამოენების, გუშცხადა, თვთება, გუამსა, განმხილველ, მანიქვეელთა, გამოსახვიდა, მშვიდობის, კუშრთხა, უკმოწოდება, მიპრიდა, შესაბამ, მოძღუარ, ქსერქსისსა, მოვედ, ამისთვის და პატრიკ. ერთგან ამოვარდნილია ორი ტაეპიც (456/455):

შენ მიერ ზმნული, მოძღურება საღმრთო ბრძნული,  
მას უკუე სული ჰსწამებს ზეციით მოსრული, —

ხოლო მათ მაგიერ დაბეჭდილია წინა სტროფის (455/454) ბოლო ორი ტაეპი:

ბნელთა მათენთა, მადლ-სოლინარ-მადენთა,  
მეოხთა ჩუენთა უძღუნი სიტყვერ ძღუენთა

ამავე გამოცემაში ანტონ მნათის საქებრად შეთხზული სტროფის სამი ტაეპი (716,3 — 5) გამეორებულა შეცდომით ბასილი მაგრატის ძისადმი მიძღვნილ 717-ე სტროფში (გვ. 168). როგორც უკვე ითქვა, ეს შეცდომა მოსვლია გადამწერს, ხოლო ხელნაწერიდან გადასულა ორივე გამოცემაში. საჭირო იყო მისი გასწორება, მაგრამ მეორე გამოცემის რედაქტორს სწორი წაკითხვა ვარიანტში ჩაუტანია, მცდარი კი ძირითად ტექსტად გამოუქვეყნებია. მასვე პროზად აუწყვია „წყობილსიტყვაობის“ დამატების (816—860) სათაური („გარდა შვდთა ნაწილთა“ და ა. შ.), რომელიც ხელნაწერებში გამოყოფილია წითურით, და მეშვიდე ნაწილის ბოლოსთვის მიუბამს (გვ. 192); 469-ე აკროსტიქული სტროფი („ნელსაცხებელსა შენსა“) კი, რომელიც მიძღვნილია ნინო განმანათლებლისადმი (გვ. 112), უცვლელი სახით 111-ე გვერდზე ვარიანტებშიც გამოუქვეყნებია. ამგვარი გამეორება არ იყო საჭირო. 7. გამოცემაში დამახინჯებულია მრავალი ხელნაწერისეული სწორი წაკითხვა, რის გამოც ტაეპთა (თუ სტროფთა) შინაარსის გაგება ჭირს, თუ ხელნაწერები არ მოვიშველიეთ<sup>11</sup>. 8. გამრცემაში არ არის გამოყენებული ყველაზე კარგი ნუსხები — A (A 334) და C (სცა 325). ამავე დროს ჯეროვნად არ არის გათვალისწინებული B და D ხელნაწერების ვარიანტული მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან პირველი გამოცემის წყაროსა და ლენინგრადული ნუსხისაგან, აგრეთვე P ნუსხა, რომელიც შეიცავს ავტორიზებულ სტროფებს.

ყოველივე თქმულს ემატება ისიც, რომ გამოცემაში ვხვდ-

<sup>11</sup> ამის შესახებ იხ. აქვე ქვეთავი „უმთავრესი გასწორებანი“.

ბით ტექნიკური ხასიათის შეცდომებს: ა. ტიტულზე თხზულების სათაური ჩასმულია ბრკელებში; ბ. სტროფებს აქვს ორგვარი ნუმერაცია (რომაული და არაბული). ამას რედაქტორი იმით „ამართლებს“, რომ ხელნაწერებში სტროფების ნუმერაცია ერთმანეთისაგან განსხვავდება, რის გამოც „მათი მიდევნება, თანხედრა შეუძლებელია; ამიტომ ვარიანტულ წაკითხვებს მიეუთითებთ არა სტროფთა ნომრების მიხედვით, არამედ ამა თუ იმ საგალობლის სტროფის რომაული ციფრის აღნიშვნით, ხოლო სტროფის — არაბული ციფრის აღნიშვნით“ (გვ. 121). ჯერ ერთი, ხელნაწერებში თხზულების დაყოფა ნაწილებად, თავებად და საგალობლებად ისე კარგადაა მოწესრიგებული, რომ მცურეოდენი სხვაობის მიუხედავად სტროფის პოვნა ძლიერ ადვილია. მეორეც, მათ პოვნას აადვილებს თვით გამოცემული ტექსტის არაბული ნუმერაცია. მაშ, რა საჭირო იყო მისი დამძიმება რომაული ციფრებითაც? გ. ქვესათურებისათვის შერჩეული შრიფტი უვარგისია; თანაც ზოგი სათაური დაყოფილია, ზოგიც — არა. დ. დარღვეულია ვარიანტებში მითითების წესი (პირობითი ნიშნები არაა განმარტებული). მაგ.: „L ეკონომოს | ევრომოსის K — M“ (გვ. 16), ან: „L მათი | ამით K — M“ (გვ. 15) და მრავალი ამგვარი მითითება რას ნიშნავს, გაუგებარია. არც ლიტერია გაშიფრული.

• • •

ყოველი ზემოთქმულის შემდეგ ვფიქრობ, ცხადია, რომ „წყობილისიტყვაობის“ ორივე (1853 და 1972 წლების) გამოცემა არ აკმაყოფილებს თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების დონეს; ძეგლის კრიტიკული ტექსტი ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება, მისი შემცველი ხელნაწერები კი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით მეცნიერულად შესასწავლია. ამის გამო საჭიროა პირველ რიგში დამუშავდეს თხზულების ყველა ნუსხა, გაირკვეს მათი ტექსტობრივი ღირებულება, მათგან გამოიყოს ის ხელნაწერები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ძეგლის კრიტიკულ გამოცემას, და მათი წანაკითხების სისწორე დასაბუთდეს კონტექსტისა და ძველი ქართული ლექსიკის გათვალისწინების შედეგად. ეს არის უპირველესი წინა პირობა, რათა განხორციელდეს ისეთი კრიტიკული გამოცემა, რომელიც ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქცევა ანტონ ბაგრატიონის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების შესასწავლად, მის მიერ მოწვდილი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობე-



ბის სისწორისა და სანდოობის დასადგენად და ქართული იამბიკური პოეზიის ისტორიის ვასათვალისწინებლად.

### ხელნაწილები

„წყობილსიტყვაობის“ ხელნაწერები დაცულია საბჭოთა კავშირის სამ სამეცნიერო დაწესებულებაში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების (ყოფ. სააზიო მუზეუმის) ხელნაწერთა კოლექციებში. ესენია:

- A—A 334 (1768 წ.)
- B—S 346 (1768 წ.)
- C—ცსა 325 (1788 წ.)
- D—H 192 (1781 წ.)
- E—S 1 (1795 წ.)
- F—H 2307 (1800 წ.)
- G—H 225 (1802 წ.)
- H—H 2152 (1808 წ.)
- J—A 638 (1810 წ.)
- I—H 2117 (1818—1820 წწ.)
- K—S 121 (1820 წ.)
- L—A: 602 (1820 წლის ახლოს)
- M—H 383 (1825 წ.)
- N—ლთვ. E 65/79 (1840 წ.)
- O—Q 617 (1810 წ.)
- P—S 1464 (1759—1760 წწ.)<sup>12</sup>.

<sup>12</sup> რ. ბარამიძე ასახელებს „წყობილსიტყვაობის“ კიდევ სამ ხელნაწერს — S 1981 (გვ. 13), S 1081 (გვ. 6) და S 1089 (გვ. 9). ამთგან S ფონდში 1981 და 1081 ნომრებზე ძეგლის არც ერთი ხელნაწერი არაა დაცული (იხ. აღწ., I, 1959, გვ. 633—634; III, 1963, გვ. 178), ხოლო S 1089, რომელსაც შეკლევარი დეფექტურ ნუსხად თვლის, „აღწერილობაში“ (I, გვ. 638) მართლაც დასათაურებულია როგორც „ანტონ ბაგრატიონი — წყობილსიტყვაობა“, მაგრამ იგი ანტონის სხვა თხზულების

ყველა ეს ხელნაწერი აღწერილია<sup>13</sup>; მათი არსებობაც ცნობილია სამეცნიერო წრეებისათვის, მაგრამ თითოეული მათგანის ტექსტობრივი ღირებულება და ურთიერთმიმართება ჯერ კიდევ სათანადოდ არაა გარკვეული. ამის ცხადსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ორივე გამოცემა ეყრდნობა მდარე ხელნაწერებს. ხოლო 1818—1820 წლებში გადანუსხული ხელნაწერის (H 2117) წინაკითხები სხვებთან შედარებით უფრო მართებულად არის აღიარებული, მაშინ როდესაც მისი უვარგისობა ცხადია პალეოგრაფიული და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით.

• • •

1. A (A 334) ნუსხა აღწერა თ. ჟორდანიამ (Опис., I, გვ. 323—324); შეიცავს 118 ფურცელს (ზომით 11 X 16 სმ.); ჩასმულია მუყაოს ტყავგადაკრულ ტვიფრულ ყდაში; გადაწერილია მხედრულად (სათაურები, აკროსტიქები და სტროფის საწყისი ასოები ასომთავრული სინგურით) 1768 წლის ოქტომბერში „პალატა შინა საპატრიარხოსა, კელითა ანჩისხატის დეკანოზის გიორგისითა“ (116v). აქვს მას ვრცელი სათაურის შემცველი თავფურცელი (1r), რომელსაც მისდევს: ა. გაიოს არქიდიაკონის წინასიტყვა (3r—6v)<sup>14</sup>, ბ. პინაქსი (7r—12v), გ. თხზულების ტექსტი, შეიცავს 861 სტროფს (14r—115v), დ. ტრიფილე დიაკონის ანდერძი (2r—v) და „თვს სახელწოდებისა მისის უწმიდესობისა“ (2v).

თ. ჟორდანია წერს, რომ ეს ხელნაწერი დღემდე ცნობილი ვარიანტებიდან ყველაზე უკეთესია (გვ. 324). ეს მართლაც ასეა: იგი გადაწერილია თხზულების დამთავრებისთანავე და მომდინარეობს ანტონის დედნიდან.

2. B (S 346) ნუსხა გადაწერილია 1768 წელსვე სიონის ეკლესიის პროტო-პრესვიტერის ნიკოლაოსის მიერ ნუსხურად (სა-

---

ფრაგმენტია. ერთი ხელნაწერი — „სტიხნი, სრულიად იამბად და აკროსტიქულად თქმულნი, რომელსა ეწოდების წყობილისიტყვაობა ანტონის მიერ პირველისა“ — დაკული ყოფილა თეიმურაზ ბაგრატიონის ბიბლიოთეკაში (კატალოგი წიგნთ-საცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1948, გვ. 8), მაგრამ იგი ჭერაჭერობით არა ჩანს.

<sup>13</sup> ლიტერატურა მითითებულია თითოეული ხელნაწერის აღწერილობასთან.

<sup>14</sup> ამის შემდეგ სტროფთა ნუმერაცია მითითებულია ჩემი გამოცემაში.

თაურები, სტროფის საწყისი ასოები და აკროსტიქები — ასომთავრული სინგურით)<sup>15</sup>; აღწერილია S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ პირველ ტომში (1959, გვ. 399—400); შეიცავს 236 გვერდს (ზომით 17 X 11,5 სმ.); აქვს ტყავგადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა. მისი მფლობელი ყოფილა ნიკოლოზ დადიანი. პირველ ფორზაცზე აქვს მხედრულად მინაწერი: „ანტონე, ყოვლად ბრძენო ფილოსოფოსო, ეს წიგნი მაქვს სახსოვრად შენგან, რომელსა მიყვარს ენაშუიობა შენი და ლექსმკობილება მშვენი. შენი მეუფების მონა ნიკოლაი დადიანოვი“.

ხელნაწერს აქვს სატიტულო ფურცელი A-ს მსგავსი ზედწარწერილით (გვ. 1). მას მისდევს: ა. გაიოს არქიდიაკონის „წინასიტყვაობა“ (გვ. 3—8), ბ. პინაქსი (გვ. 11—12), გ. თხზულების ტექსტი (გვ. 25—233), დ. ტრიფილეს ანდერძი (გვ. 235) და შესხმა ანტონისი, თქმული სახელწოდების დღეს (გვ. 236).

ამ ნუსხაში ტექსტს აკლია რამდენიმე სტროფი.

3. C (სცა 325) აღწერილია საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის „ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობის“ პირველ ტომში (1949, გვ. 294—295); შეიცავს 114 ფურცელს (ზომით 20,5 X 15 სმ.); აქვს ტყავგადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა; დაწერილია შავი მელნით მხედრულად (სათაურები, სტროფის საწყისი ასოები და აკროსტიქები წითური ნუსხურით); გადაწერელია ანტონის მოწაფის იოანე ოსეს ძის მიერ 1788 წელს სიონის ტაძარში A (თუ მისგან მომდინარე) ნუსხიდან.

ხელნაწერი იწყება ვრცელი სათაურიანი ზედწარწერილით (1r). მას მისდევს: ა. გაიოსის „წინასიტყვაობა“ (2r—4r); ბ. პინაქსი (5r—9r), გ. თხზულების ტექსტი, რომელიც შეიცავს 861 სტროფს (10r—103r), დ. ტრიფილე დიაკონის ანდერძი (103v) და „თუ სახელწოდებისა მისის უწმიდესობისა“ (104r). ამის შემდეგ დართულია ეპიტაფია ანტონისი, ქმნილი იოანე ოსეს ძისა მიერ 1788 წლის 29 თებერვალს (105r—112r); იამბიკო ხუთეული, თქმული ვახტანგ ბატონიშვილის მიერ (112r—v), და ანდერძი, თქმული იამბიკოვნად და აკროსტიქურად იოანე ოსეს ძის მიერვე (113r).

თხზულების ტექსტი აქაც შენახულია საუცხოოდ.

<sup>15</sup> ნუსხას არა აქვს გადაწერის ანდერძი, მაგრამ ხელის, მელნისა და სხვა პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ იგი გადაწერილია ნიკოლოზ ალექსიძის მიერ (შდრ.: Q 78).

C ნუსხა XIX საუკუნის დასაწყისში ხელთ ჰქონია ცნობილ მწიგნობარსა და გადამწერს გიორგი ავალიშვილს. 1805 წლის 1-ელ თებერვალს მას 113-ე გვერდზე მიუწერია ოთხსტროფიანი იამბიკური ლექსი<sup>16</sup>:

აღმავსო შურმან წყობილისტყვაობისმან  
ნეტარისა მის მამათ-მთავარისამან,  
ტკბილ-უნბობითა საქებრად დანათხზენმან  
ოსეს ძის მიერ [იკონომოს]-მღრდელისა,  
ნიკის კრებულთა თან-სწორობის ღირსისა,

ღიადიმისა სიბრძნისა შებლსა მხურსა,  
იმეცნე [ბ] რასა დიდებით მისსა ზმნულსა?  
დ[ა მეც, გალობა-ქებისა] ძლუნისა მსურსა,  
ს[აგულხმოდ ქსვად, თუ თქმულისად ვინ მომხდ]ურსა,  
აწ[ნახვენ თხზულსა, არ ჩემებრ ეპიკ]ურსა.

ეთერებრ მფენსა შარავანდ-ბრწყინვალესა,  
მეფეთა სქესსა, ცხებულთ სისხლთაგან ღენილს,  
ინდოთგან კრძალვით სახელ-საგონებელსა,  
მჭევრ-მეთქუ-რიტორსა, ორგუარად ცხება-მოსილს:  
რავდენ — სიბრძნითა, ესდენ — ღმრთულ-მთავრობითა.

თქმად ვერ ძალ-მდები, მისდამი მსხვერპლთა ქების,  
მიმრთმევად გული ცნობითურთ მრწემებრ კრთების,  
ელისეს წიაღს იგი ბრძენთა ზე დგების,  
ღალ-მჭვირვალ საყდარს გვირგვინი ფაენით ჯღების,  
„ოსანანს“ ხმობდეს, ვის ძისგან წვრთნა-ზრდა ჰხედების.

სტატსკი სოვეტნიკი თავადი გიორგი ავალოვი.  
წელსა ჩუენ-ს [1805], თებერვლის ა-ს [1].

1813 წელს ეს ხელნაწერი შეუძენია (ალბათ, გ. ავალიშვილი-საგან) ვინმე საბას, რასაც 113r ფურცელზე არსებული მინაწერი ადასტურებს: „ესე წყობილისტყვაობა მე, საბამ, ვიყიდე ფასითა ჩემითა თებერვლის ით [19] დღესა, პარასკევსა, წელსა ჩუენ [1813], ქრონიკონსა ფა [501 + 1312 = 1813]. საბა“ (ხვეულად). ამის შემდეგ ნუსხის მფლობელი გამხდარა დავით აფხაზოვი (1r და 113r). ცენტრარქივში შემოსულა 1925 წელს პ. კარბელაშვილი-საგან.

<sup>16</sup> ტექსტი ადგილ-ადგილ აღარ იკითხება მელნის გაფერმკრთალების გამო. კა-  
ვებში ჩასმული სიტყვები ამოკითხულია ჩემს მიერ.

4. D (H 192) ნუსხა, აღწერილი H ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ პირველ ტომში (1946, გვ. 132), შეიცავს 110 ფურცელს (ზომით 20 X 17 სმ.); აქვს ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა; გადაწერილია მხედრულად (სათაურები, სტროფის საწყისი ასოები და აკროსტიქები ნუსხურად ჯერ — სინგურით, შემდეგ — შავი მელნით) 1781 წელს ვინმე იოასაფის მიერ (ფ. 109r). შეიცავს: ა. გაიოსის „წინასიტყვაობას“ (1r—3v), ბ. პინაქსს (4r—7v), გ. თხზულების ტექსტს (10r—108r), დ. ტრიფილეს ანდერძსა (108v) და ანტონის სახელწოდებასთან დაკავშირებულ ქებას (109r).

საერთოდ ტექსტი კარგადაა გადაწერილი, თუმცა შეიმჩნევა შეცდომებიც: 213-ე სტროფის მეორე ტაეპი „სადა საყურნი და ღმერთნი საძაგელნი“ გადამწერს გამორჩენია, იქვე შეუნიშნავს ეს და არშიის ბოლოს მიუწერია ასეთი განმარტებით: „ეს მეორე ტაეპია, ზემოთ შეცდომით დამრჩა“ (32v). ასევე, გამორჩენია (თუ შეგნებულად არ გადაუწერია) სტროფი „აბბაებ, დიდო“ (459). აქ მის ნაცვლად იკითხება სტროფი „აღმოსავალსა“ (458), რომელსაც მიჰყვება 461 N-ით აბო ტფილელის სამქებრო ანბანთქება „აბო ბრძენ-გნომ“ (60r). 96r ფურცელზე 765 ნომრით მოთავსებულია სტროფი „საბასგან ქმნილი“, მის თავზე არშიაზე კი სწერია: „აქ ერთი აკლია «საბა ვარდანსა» და დედანშიც ასე ეწერა“. საერთოდ, სტროფთა ნუმერაცია ადგილ-ადგილ არეულია; 101r—102r ფურცლებზე მოთავსებულ სტროფებს ნომრები არ უსხედს. ხელნაწერს აქვს გვიანდელი მინაწერი: „ეს წიგნი ეკუთვნის ზაალ ბაგრატიონ-დადიანოვის ასულს. კნეინა ელისაბედ ერისთავის ასული“ (14r).

5. E (S 1) ნუსხა შეიცავს 107 ფურცელს (ზომით 18 X 11 სმ.); ჩასმულია ტყავგადაკრული მუყაოს ტვიფრულ ყდაში; გადაწერილია ნეოფიტეს მიერ 1795 წელს წერილი მდივანმწიგნობრული ხელით მხედრულად (სათაურები, სტროფის საწყისი ასოები და აკროსტიქები — ნუსხური წითურით). ტექსტის ბოლოს მოთავსებულია გადამწერის ანდერძი, დაწერილი ლექსად (იხ. აქვე, გვ. 124). და უზის მას თარიღი: „თთუესა მარტსა 21, წელსა 1795“ (107r). ამ თარიღს ზოგი მკვლევარი კითხულობს ასე: „1745“ (ციფრი 9 ისეა დაწერილი, რომ 4-ს ჰგავს). აღწერილია ორჯერ (E. Такашвили, Описание, I, გვ. 1—2; S ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, 1959, გვ. 7—8).

ხელნაწერში დაცულია: ა. გაიოსის „წინასიტყვაობა“ (1r—3v), ბ. პინაქსი (4r—8r), გ. თხზულების ტექსტი (10r—105v), რომელიც შეიცავს 858 სტროფს, და დ. ტრიფილეს ანდერძი (106r—v) და ქება ანტონისი (106v). აქაც თხზულების ტექსტი კარგადაა შენახული, ოღონდ აკლია დავით და ტირიქანის საგალობელი (502—504). ხელნაწერის დედანი უცნობია.

6. F (H 2307) ნუსხა, აღწერილია H ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ მეხუთე ტომში (1949, გვ. 211—212), შეიცავს 272 გვერდს (ზომით 21,5 X 15 სმ.); აქვს ტყავადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა; გადაწერილია 1800 წელს თელავში დავით რექტორის მიერ მოლურჯო ქალაღზე მხედრულად (სათაურები, სტროფის საწყისი ასოები და აკროსტიქები — ნუსხური სინგურით).

ხელნაწერში დაცულია: ა. გაიოსის „წინასიტყვაობა“ (გვ. 1—7), ბ. პინაქსი (გვ. 9—21), გ. თხზულების ტექსტი (გვ. 22—262), რომელიც შეიცავს 861 სტროფს; დ. ტრიფილეს ანდერძი (გვ. 263—264) და „თვს სახელწოდებისა მისის უწმიდესობისა“ (გვ. 264). ამათ მიჰყვება ვადაშწერის ანდერძი (გვ. 265):

„სრულ იქმნა წელსა განვორციელებითგან სიტყუსა ღმრთისა — 1800. ჩუ, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა ზედა უჰმ (488 + 1312 = 1800), ალექსის ძის რექტორის დავითისაგან ქალაქსა თელავს, სამეფოსა კახეთისასა, ხოლო პალატსა სამეფოს თუთ სხოლასა შინა, კელიასა სემინარიისასა, თთუესა ნოენბერსა, რიცხუსა კ [20], მეფობასა გიორგი მეათსამმეტისა, ძისა ირაკლი მეორისა დავითიან-ბაგრატიონისასა, ხოლო მწყემსთ-მთავრობასა მეორისა ირაკლი მეფის ძის, ამავე მეფის ძმის ანტონი კათალიკოსისა“ დავითიან-ბაგრატიონისასა. ალექსიძე რექტორი დავით [ხვეულად]. გამართული და ჩაითხულია“.

თხზულებას უძღვის სატიტულო ფურცელი, რომელზედაც წარწერილია: „წყობილსიტყუაობა. Discours en vers par le catholico Antonii 1-er“. ხოლო ტექსტის ბოლოს (გვ. 271) ერთვის ორი მინაწერი: პ. იოსელიანის — ქართულად და მ. ბროსესი — ფრანგულად. ქართულია: „სემინარიის ბიბლიოთეკა ჩავიბარე 1838-სა, ნოემბრის 15-სა. და ამა დღითგან დაინიშნა ჯამაგირი პლ. იოსელიანის“, საიდანაც ირკვევა, რომ დავით რექტორისეული ნუსხა თბილისის სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკის საკუთრება ყოფილა. ფრანგული მინაწერი კი ასე იკითხება:

„Ce livre étant arrivé à l'Académie en Mars 1838; il y a ici erreur d'un chiffre“ (-ეს წიგნი აკადემიას მოუვიდა 1838 წლის მარტში. აქ აღნიშნული თარიღი შეცდომაა).

1. ხელნაწერში ჩადებულია მ. ბროსეს ინფორმაცია რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიისადმი (ორი ნაბეჭდი ფურცელი). მისი სათაურია: „Encore un manuscrit géorgien offert à l'Académie par M. Ioséliani. Rapport de M. Brosset (lu le 16 mars 1838)“, ე. ი. კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი, მიძღვნილი ბ. იოსელიანის მიერ აკადემიისადმი. მ. ბროსეს რაპორტი (წაკითხულია 1838 წლის 16 მარტს). ეს ინფორმაცია წარმოადგენს ამონაბეჭდს პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ბიულეტენიდან (ტ. VI, № 4). მასში აღნიშნულია, რომ „ბ-ნმა პლატონ იოსელიანმა, თბილისის სემინარიის ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებელმა, აკადემიას უძღვნა ერთი ქართული ხელნაწერი, სახელად „წყობილსიტყვაობა“. შემდეგ მოკლედ დახასიათებულია თხზულება შინაარსობრივი და მხატვრული თვალსაზრისით, ხოლო ბოლოს ნათქვამია: ეს ხელნაწერი ქარგი ხელითაა გადაწერილი და უშეცდომოა... შემომაქვს წინადადება, რომ მადლობა შევეუთვალოთ მის შემომწირველს.

7. G ნუსხა (H 225), აღწერილი H ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ პირველ ტომში (1946, გვ. 164), შეიცავს 107 ფურცელს (ზომით 22 X 16 სმ.); აქვს ტყავადაკრული ხის ტვიფრული ყდა; გადაწერილია 1802 წელს დიმიტრი ალექსიძის მიერ მოლურჯო ქაღალდზე მხედრულად (სათაურები, სტროფის საწყისი ასოები და აკროსტიქები — ნუსხური სინგურით), ცოტა ნაჩქარევად; 134—136-ე გვერდებზე გამორჩენილია რამდენიმე ტაეები და ყველა მათგანი თავთავის ადგილას არშიაზება მიწერილი წვრილად (ფ. 20v).

ხელნაწერში დაცულია: ა. გაიოსის „წინასიტყვაობა“ (2r—4v), ბ. პინაქსი (5r—8v), გ. თხზულების ტექსტი (10r—106v), დ. ტრიფილეს ანდერძი (106r—107r) და „თვს სახელწოდებისა მისის უწმიდესობისა“ (107r—v). ამათ მისდევს გადაწერის ანდერძი: „დიკასტირიის მწერალ-მწიგნობარი ალექსიძე დიმიტრი. გამართულია წელსა ჩუბ [1802], ივლისის ივ [13]“ (107v).

ტექსტი შეიცავს 860 სტროფს. მართალია, ბოლო ნომერია 861, მაგრამ 59v ფურცელზე 459-ე ნომრის შემდეგ იწყება 461

(ჩაგდებულია 460, რომელიც ზოგი ნუსხის მიხედვით შეიცავს სტროფს „აბბაებ, დიდო“, დავით რექტორის ნუსხით კი — „შეუბლაღველის სულის“). აქვე ჩართულია უნომროდ ორი იამბიკური სტროფი, რომლებშიც შექმებულია ნიკიტა მესტიხე (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

8. H (H 2152) ნუსხა, აღწერილი H ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ მეხუთე ტომში (1949, გვ. 110), შეიცავს 118 ფურცელს (ზომით 20 X 16 სმ.); აქვს ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, რომელიც მოგლეჯილია; მთლად დაშლილია; გადაწერილია 1808 წელს დავით დიაკონის მიერ მოლურჯო ქაღალდზე (სათაურები, სტროფის საწყისი ასოები და აკროსტიქები — ნუსხური სინგურით). ანდერძში ვკითხულობთ: „სრულ იქმნა წელსა 1808, თთუესა თებერვალსა 11, დავითისაგან დიაკონისა პალატსა შინა საპატრიარქოსა“ (113r). იქვე დაცულია ხელნაწერის მფლობელის მინაწერი: „ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი ალექსიევის არის. წელსა ჩუი (1810). დიმიტრი“ (ხვეულად). შემოსულა იოანე ბატონიშვილის ბიბლიოთეკიდან.

ამავე დავითს გადაუწერია „წყობილსიტყვაობის“ JO ნუსხებიც. ხელნაწერის შედგენილობა და წანაკითხები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ გადამწერის შეცდომებს) ემთხვევა G ნუსხას. უნდა ვიფიქროთ, რომ H გადაწერილია G-დან.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, H ნუსხა არის სწორედ ის ცალი, რომლიდანაც მომზადდა პ. იოსელიანის ბექდური გამოცემა. ტექსტი სტამბურად აწყობილია აქედან. ამას ადასტურებს პ. იოსელიანის მინაწერები, ფურცლებზე არსებული შავი ლაქები და გამოცემისა და ამ ხელნაწერის ტექსტობრივი ნონსენსები. ასე რომ, მცდარია პ. იოსელიანის ცნობა, თითქოს მან „წყობილსიტყვაობა“ დაბეჭდა „თვით ნამდვილზედ, რომელიცა აღწერა არხიდიაკონსა მისსა ტრიფილეს და გაესწორებინა თვით კათალიკოზ ანტონის“ (გვ. XVII). მიუღებელია თხზულების მეორე გამოცემლის ვარაუდიც, თითქოს „პ. იოსელიანის გამოცემა არ არის ერთი ხელნაწერის პირი, არამედ სხვადასხვა ხელნაწერებით (შეიძლება გასწორებებით, მინაწერებით) ხელმძღვანელობს და ისე მართავს ტექსტს“ (გვ. 120).



9. J (A 638) ნუსხა, აღწერილი თ. ჟორდანიას მიერ 1902 წელს (Опис., II, გვ. 124), შეიცავს 157 ფურცელს (ზომით 18 X 11 სმ.); აქვს ტყავგადაკრული ყდა (აღდგენილი); გადაწერილია წერილი ასოებით 1810 წელს G (ან მისგან მომდინარე) ნუსხიდან მხედრულად (საბაურები, სტროფის საწყისი ასოები და აკროსტიკები — ნუსხური სინგურით). თხზულებას ერთვის ანდერძი: „[სრულ იქმნა] 1810 წელსა, 1 აგვისტოს. დიდება ღმერთსა! ამინ. დავით ინანაშვილის დიაკონისგან“ (შდრ.: აქვე HO ნუსხები).

10. I (H 2117) ნუსხა, აღწერილი H ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ მეხუთე ტომში (1949, გვ. 72), შეიცავს 149 ფურცელს (ზომით 20,2 X 15,8 სმ.); აქვს ტყავგადაკრული მოოქრული ყდა, ფურცლების კიდეებიც მოოქრულია, საცავი ფურცლები კი დაფარულია იისფერი აბრეშუმით; გადაწერილია მხედრულად 1818—1820 წლებში (სათაურები, სტროფის საწყისი ასოები და აკროსტიკები ნუსხური სინგურით); ჰვირნიშანი უჩვენებს 1818-ს.

ხელნაწერის შედგენილობა ემთხვევა A ნუსხას, ოღონდ უკანასკნელთან შედარებით თხზულების ტექსტს აკლია სტროფი „აბბაებ, დიდო“ (459). 764-ე სტროფის („საბასგან ქმნილი“) წინ დართულია სტროფი „საბა ვარდანის სურვილს“. ციფრის „503“-ის შემდეგ იკითხება „506“ (ჩაეარდნილია 504—505. ციფრები). გადაწერილი უცნობია. შემოსულია პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ძველი ფონდიდან (ძვ. № 654).

11. K (S 121), აღწერილია S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ პირველ ტომში (1960, გვ. 132), შეიცავს 302 გვერდს (ზოგი 22 X 18,5 სმ.), აქვს კოლენკორგადაკრული მუყაოს ყდა, გადაწერილია ტარასი არქიმანდრიტის მიერ 1820 წელს პეტერბურგში I ნუსხიდან. ტექსტს ერთვის ტარასის მიერ შეთხზული სამქებრო ოდა „დიდისა მის ავქსონისადმი გადაწერისა მიერ უქვენაესი კადრი“, რომელიც შედგება ხუთი იამბიკური სტროფისაგან, და იამბიკოვნად თქმული ანდერძი „ტარასი“ აკროსტიკით (0110—0115). ამას მისდევს მინაწერი: „აღიწერა სანკტპეტერბულს. ლავრასა შინა აღექსანდრე ნეესკისასა, წელსა 1820, აგვისტოს 1“ (გვ. 291). ფურცლების კიდეები აჭრელებულია შავი ფანქრით შესრულებული მინაწერებით, რომლებშიც განმარტებულია „წყობილსიტყვაობაში“ არსებული არქაული და უცხოური წარმოშო-

ბის სიტყვები (ყველა მნიშვნელოვანი განმარტება აქვე მითითებულია K ლიტერით თხზულების ლექსიკონში) ხელნაწერი წერაკითხვის საზოგადოებისათვის შეუწირავს ეგნატე იოსელიანს.

12. L ნუსხა (A 602), აღწერილი თ. ქორდანიას მიერ 1902 წელს (Опис., II, გვ. 109), შეიცავს 106 გვერდს (ზომით 24 X 20 სმ.); აქვს ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა, კიდეები — მოოქრული; გადაწერილია უცნობი პირის მიერ XIX საუკუნის 20-იან წლებში K ნუსხიდან მხედრულად (სათაურები, სტროფის საწყისი ასოები და აკროსტიქები — ნუსხური სინგურით), ალბათ, პეტერბურგშივე.

13. M ნუსხა (H383), აღწერილი H ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ პირველ ტომში (1946, გვ. 383—384), შეიცავს 125 ფურცელს (ზომით 32 X 19,6 სმ.); აქვს ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; გადაწერილია 1825 წელს დავით თუმანიშვილის მიერ მხედრულად (სათაურები, სტროფის საწყისი ასოები და აკროსტიქები შავი მთავრული ასოებით). 4v ფურცელზე დახატულია ფერადი აკვარელით ანტონის სურათი, ერთვის ქვეწარწერა: „ესე სახე არს მისის უწმინდესობის საქართველოს მეფის იესეს ძის ანტონი კათალიკოსისა. მე, აღმწერელმან ამა წიგნისამან, თავადმან დავით ეგნატი მდივნის ძემ, დავხატე, რაოდენ ძალ-მედვა. მხილვენო, ნუ მგმობთ“.

გადამწერს დედნად აულია E ნუსხა. აქედან ტექსტი 508-ე სტროფამდე რომ გადაუწერია, მაშინ უნახავს G (თუ მისი ტიპის რომელიღაც სხვა) ნუსხა, რომლიდანაც იქვე არჩილისა და ლუარსაბის მოსახსენებელისათვის მიუყოლებია დავით და ტირიჭანის საგალობელი (502—504), რაც არ მოეპოვება E-ს. მასვე იმავე ნუსხიდან ანტონის ბოლოსიტყვის (851—860) წინ (100v) მოუთავსებია ნიკიტა მესტიხეს ზოტბა, ხოლო შემდეგ ტრიფილეს ლექსებისათვის (027—033) მიუყოლებია E-ს ბოლოს დაცული ანდერძი-იამბიკო ნეოფიტესი ზედწარწერით: „მოწაფისა მისისა ნეოფიტ მღუდელ-მონაზონის თქმული, რომელი იყო ოს-ყოფილი“ (103r). დასასრულ, იქვე დაურთავს თავისი ანდერძიც: „ხოლო სრულ იქმნა ძალითა ღმრთისაჲთა წელსა ქრისტესსა 1825-სა, თთუჴსა მისისა 29-სა, კელითა მდივნის ეგნატის ძის თავადის დავით თუმანოვისაჲთა“.

M ნუსხა „წყობილსიტყვაობის“ ერთგვარ კრიტიკულ გამო-

ემას წარმოადგენს. გადამწერს გამოუყენებია E და G (თუ მისი ტიპის) ხელნაწერები, აგრეთვე — ანტონის „სადღესასწაულო“ (P). უკანასკნელიდან ამოუკრებია მას მეხუთე ნაწილის ზედწარწერა-ლები, რომლებიც მიუთითებენ საეკლესიო ხსენების დღეებს, და ისინი წმინდანთა საგალობლებისათვის თავზე წაუწერია. უნდა ვიფიქროთ, რომ, რაკი პ. იოსელიანი კომენტარებში უთითებს წმინდანთა ხსენების დღეებს, მას საამისო ცნობები M ნუსხიდან ამოუკრებია.

14. N ნუსხა (ლენ. E 65/79) დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში. მისი მიკროფილმი გამომიწერა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექციამ (დირექტორი ს. ხალური). ამავე ბიბლიოთეკამ დაამზადა ფოტოპირიც, რომელიც შეიცავს 139 ფურცელს (ზომით 24 X 30 სმ.), თითოზე მოთავსებულია ხელნაწერის ორი გვერდი. ტექსტი გადაწერილია მხედრულად (სტროფის საწყისი ასოები და აკროსტიქები — მსხვილი მთავრულით). ბოლო გვერდზე (ფ. 139) შემორჩენილია ცნობა გადამწერის ვინაობასა და იმ ხელნაწერ დედანზე, საიდანაც N ნუსხა გადაიწერა. აქ ნათქვამია:

„[დედანი] აკადემიას გაგზავნილი იყო მარტში, 1838. პლატონ იოსელიანის გაგზავნილის ნამდვილისაებრ გადმოიწერა ნაზაროვის მიერ. 1840. უკანასკნელს გვერდში სწერია: ძემინარიის ბიბლიოთეკა ჩავიბარე წ. 1838-სა, ნოემბრის 15-სა დღესა და ამა დღით-გან დაინიშნა ჯამაგირი. პლ. იოსელიანი“.

ხელნაწერს უძღვის ორი ზედწარწერილი: პირველი დაბეჭდილია სტამბურად, მეორე- ხელნაწერია. აი, მათი შინაარსიც:

ა. „51. (№ 133—21,5 X 18 cm. 140 fol. 20 lin.)—G. Discours en vers, par le catholicos Antoni I<sup>er</sup>, copié par Ioseb Nazarof. (1840).~BA. n° 66 p. 112“ (ფ. 1).

ბ. „Discours en vers, par le catholicos Antoni I<sup>er</sup>, copié Ioseb Nazarof. ბროსეტ (ხვეულად). 1840. წყობილ-სიტყვაობა (ნუსხურად)“ (ფ. 2).

იქვე (მეორე გვერდზე) მ. ბროსეს მიერ მიწერილია ფრანგულად: თხზულება გამოაქვეყნა 1853 წელს პ. იოსელიანმა; ვახ. „Кавказ“-ში (№ 12) დაიბეჭდა ნ. ბერძენოვის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა.

ამ მასალების მიხედვით ირკვევა, რომ 1838 წელს პ. იოსელიანს გაუგზავნია „წყობილისიტყვაობის“ რომელიღაც ხელნაწერი პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში მ. ბროსესათვის, რომელსაც 1840 წელს პლატონისეული ნუსხიდან იოსებ ნაზაროვისათვის დაუვალებია წინამდებარე N ნუსხის გადაწერა, და ამ ნაზაროვს იგი გადაუწერია კიდევ. პ. იოსელიანი მ. ბროსეს ერთ-ერთ წერილში, რომელიც დათარიღებულია 1838 წლის აპრილით, ატყობინებს კიდევ: „წარმოგზავნილსა ჩემგან წყობილისიტყვაობასა», ვპოვნებ. აქამდე მიიღებდით“<sup>17</sup>. ეს არის ზემოთაღწერილი F ნუსხა (გადაწერილი დავით რექტორის მიერ 1800 წელს თელავში), რომელსაც მოეპოვება მ. ბროსეს მინაწერები ფრანგულ ენაზე. ასე რომ, ექვი არაა, N-ი გადაწერილია F ნუსხიდან. მასში თავიდან ბოლომდე შეტანილია არა მარტო ანტონის თხზულება დამატებითურთ, არამედ — დავით რექტორის ანდერძიც კი.

დასასრულ, ერთი შენიშვნაც: „წყობილისიტყვაობის“ მეორე გამოცემის შესავალ წერილში აღნიშნულია, რომ „პლატონ იოსელიანის მიერ გამოცემული ტექსტი მთლიანად ემყარება ერთ ხელნაწერს, რომელიც ამჟამად ინახება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში E. 65 (E. 79)“ (გვ. 6). რაკი პლატონ იოსელიანი წერდა, რომ მე ხელთ მქონდა დედანი, რომელიც თვით ანტონის მიერ იყო გასწორებულიო, ვფიქრობდი, რომ ლენინგრადული ხელნაწერი ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მისი ფოტოპირი როცა მივიღე, ნათელი გახდა, რომ ხელთ მქონდა არა ავტოგრაფული მნიშვნელობის დედანი, არამედ გვიანდელი თბილისური ნუსხის ასლი, რომელსაც არავითარი ფასი არა მქონდა ტექსტის დადგენისათვის. ამიტომაც უნებლიე ეჭვი დამებადა: ლენინგრადელებმა სხვა ხელნაწერის ასლი ზომ არ გამოგზავნეს-მეთქი. ამ ეჭვს ისიც აძლიერებდა, რომ ნუსხას ეწერა „51. (№ 133...)“. მაშინვე წერილი გაუგზავნე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოფილ თანამშრომელს განსვენებულ საურმაგ კაკაბაძეს, რომელიც იმხანად ლენინგრადში ცხოვრობდა, და მას ჩემი ეჭვი გაუზიარე, თანაც ვთხოვე, განემარტა, თუ E 65 (E 79) ნომრით ჩემს მიერ გამოწერილ ხელნაწერს რატომ აქვს ორი ნომერი? ს. კაკაბაძემ 1974 წლის 6 სექტემბერს პაცნობა შემდეგი (წერილი ინახება ჩემთან):

<sup>17</sup> პ. იოსელიანის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ. ის რედაქციითა და შენიშვნებით, ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, I, 1941, გვ. 151.

„წყობილსიტყვაობა» აქ დაცულია ერთადერთი ნუსხით. ესაა E 65 (ძველი შიფრით E 79), რომლის მიკროფილმი თქვენ გაქვთ. ის მართლაც გადაწერილია იოსებ ნაზაროვის მიერ 1840 წელს. არის კიდევ მ. ბროსეს ხელნაწერი C 54 (ძვ. შიფრი C 31), გადაწერილი თვით ბროსეს მიერ, შიგ ჩართული მისივე თარგმანით ფრანგულ ენაზე. ეს არის და ეს. «წყობილსიტყვაობის» სხვა ნუსხები ჩვენს ინსტიტუტში არაა... აქაური შიფრების ისტორია ასეთია: თავდაპირველად, XIX საუკუნეში, ხ. ფრენის მიერ ხელნაწერებს მიცემული ჰქონდა შიფრი G (გეორგიკა), მაგრამ რამდენადაც ერთი ნომრის ქვეშ ხშირად მოთავსებული იყო რამდენიმე ხელნაწერი, ამიტომ 1936 წ. ალ. კობახიძემ შემოიღო ახალი შიფრები. მაგრამ მაშინაც ბოლომდე ეს არ იქნა გაკეთებული და რუს. ორბელმა 1952 წ. შემოიღო ახალი შიფრები. ამიტომ ყოველთვის ეუთითებთ ჯერ ახლანდელ შიფრს, შემდეგ კი — ფრჩხილებში წინანდელ შიფრებს».

ამის შემდეგ ჩემთვის ცხადი გახდა, რომ „წყობილსიტყვაობის“ პირველი გამრცემის წყარო საძიებელი იყო არა ლენინგრადის ქართულ ხელნაწერებში, არამედ აქ, საქართველოს სიძველესაცავებში, და მართლაც, როგორც ზევით ითქვა, ეს წყარო აღმოჩნდა კიდევ თბილისში H 2152 ნუსხის სახით.

15. O ნუსხა (Q 617), აღწერილი ახალი (Q) ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ მეორე ტომში (1958, გვ. 73), შეიცავს 111 ფურცელს (ზომით 17 X 21 სმ.); გადაწერილია დავით ინანიშვილის მიერ 1810 წლის ივლისის მოლურჯო ქალაქდზე მხედრულად (სათაურები, სტროფის საწყისი ასოები და კიდურწერილობანი სინგური ნუსხურით). თავისი შედგენილობით ემთხვევა HJ ნუსხებს.

16. P ნუსხა (S 1464) არ არის „წყობილსიტყვაობის“ ხელნაწერი; იგი წარმოადგენს ლიტურგიკულ კრებულს — „საღვთისაწაულოს“; შეიცავს 853 ფურცელს (ზომით 29,5 X 18 სმ.); აქვს ტყავ-გადაკრული მუყაოს ტვიფრული ყდა; გადაწერილია წერილი მხედრულით 1759 წლის 15 ნოემბრიდან 1760 წლის 24 სექტემბრამდე ტრიფილე მონაზონის მიერ (7r). ტექსტი რედაქტირებულია ანტონისაგან, რასაც მისივე ხელმოწერა ადასტურებს: „მდაბალი და ყოვლად უნდოა არხიეპისკოპოსი ანტონი ვლადიმირისა და იეროპოლისა“ (იქვე). შრომას უძღვის ანტონისავე ვრცელი წინასიტყვა,

რომელიც ერთ-ერთ საუცხოო დოკუმენტად ითვლება ქართული ლიტურგიკის ისტორიაში<sup>18</sup>. ნუსხა აღწერილია S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ მეორე ტომში (1961, გვ. 229).

„სადღესასწაულოში“ დაცულია მხოლოდ „წყობილსიტყვაობის“ ფრაგმენტები: „თჳს საღმრთოჲსა კუართისა“ (298—301) (113v—114r) და მეხუთე ნაწილის („თჳს ქართველთა წმიდათა“) შემდეგი სტროფები: 407—408 (52v), 411—414 (64v), 417, 423—424 (75r), 425—426 (120r), 430 (125v), 431-435 (164v), 436—441 (185v), 442—447 (205v), 448—451 (211v), 453—455 (246v), 456—459 (260r), 463—468 (427v), 471—474 (442v), 475—482 (842r), 487—490 (596r), 497—500 (612r), 505—508 (655r), 510—513 (671r), 514—517 (706r), 524—528 (761v), 529—532 (813r), 533—536 (827r), 537—542 (831r), 543—545 (835r).

ეს ხელნაწერი ავტოგრაფული მნიშვნელობისაა, რაკი სანქტირებულია ანტონის მიერ.

• • •

აღწერილ ხელნაწერთა ფილოლოგიური ღირებულება სხვადასხვანაირია:

„წყობილსიტყვაობის“ ტექსტი ყველაზე კარგად შენახულია A ნუსხაში (მომზადებულია გასაერცელებლად თხზულების დამთავრების უმაღლეს). წანაკითხთა ავთენტურობას ადასტურებენ მისგან გადაწერილ (თუ სხვა პირებიდან მომდინარე) BCDEF ხელნაწერები. მხოლოდ P ნუსხა შეიცავს ავტორიზებულ ფრაგმენტებს. დანარჩენი ხელნაწერები მომდინარეობენ ACDEF ნუსხებიდან: G-ს წყაროა D-ს მსგავსი ნუსხა, რომელსაც დანართად ჰქონია ნიკიტა მესტიხეს იამბიკოები; FG-ს ემთხვევა JO; G-ს მსგავსია H. C-დან მოდის I, ამ უკანასკნელიდან კი გადაწერილია K. K-ს ასლია L. M-ის წყაროა E და G; N-ი იმეორებს F-ს.

ამრიგად „წყობილსიტყვაობის“ მეცნიერულ-კრიტიკულ ტექსტს საფუძვლად უნდა დაედოს ABCDEFP ხელნაწერები, დანარჩენი ცხრა ნუსხა შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ძეგლის სტროფუ-

<sup>18</sup> კ. კ ე ლ ი ძ ე, ანტონ კათალიკოსის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან (მის წიგნში — ეტიუდები, IV, 1957, გვ. 175—186).

ლი შედგენილობის განსასაზღვრავად და აგრეთვე იმის დასადგენად, თუ თხზულება მის ბექდურად გამოქვეყნებამდე რა ინტერესს იწვევდა ქართველ საზოგადოებაში<sup>19</sup>.

„წყობილსიტყვაობის“ ბიბლიოგრაფიის

„წყობილსიტყვაობის“ ტექსტის ფილოლოგიურად გამართვისას ყურადღებას იპყრობს ხუთი რამ: 1. თხზულების სტროფული შედგენილობა და თანმიმდევრობა, 2. წმიდათა საგალობლების ზედწარწერილები, რომლებიც მიუთითებენ საეკლესიო ხსენებას დღეებს; 3. წინაკითხები, რომლებიც გამოცემებთან შედარებით ტაეპთა შინაარსს სცვლიან (ან აზუსტებენ), 4. ორთოგრაფიული მხარე და 5. ვარიანტები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

1. სტროფული შედგენილობა და თანმიმდევრობა ყველა ხელნაწერში არ არის ერთნაირი, შეიმჩნევა სხვაობა. ჩვენ არ ვიცით, ავტოგრაფი (ან ტრიფილეს ნუსხა) რამდენ სტროფს შეიცავდა. პირველი გამოცემა შედგება 860 სტროფისაგან. ეს შედგენილობა ემყარება ხელნაწერთა ტრადიციას, რომელიც XIX საუკუნეში განმტკიცებულა. სხვაგვარი ვითარებაა ABCDEF და მათ მიმყოფ ნუსხებში: ზოგან 861 სტროფია, ზოგან — 858, ზოგანაც — უფრო ნაკლები.

ა. ABCP ნუსხებში ისე წილკნელის ხოტბა შედგება ოთხი სტროფისაგან (სამის ნაცვლად). მეოთხის შინაარსი ასეთია (A, 62v):

აბბაბ, დიდო, მლუღელ-მთავრებ წმიდად, ისე;  
დოდმატებ წრფელად, ღმრთის-მეტყუელებ ზესთ, ისე;  
მწყემსობ ურულ-თუალ, მგელთ ჰსდევნი მათდა მქისე,  
ადენ ნაკადთა, ნიშებ აწ მარადმდისე,  
და მსრბოლებ აქათ მუნ ზეცის კაშარისე.

<sup>19</sup> „წყობილსიტყვაობის“ 16 სტროფი ჩართულია „მარტირიკას“ (Q 78) სქოლოებში. ესენია: 406 (6r), 415 (289r), 419(136r), 427 (123r), 435 (95r), 439 (201r), 444 (230r), 453 (83r), 460 (185r), 484 (279r), 520 (168r), 523 (108r), 539 (153r), 531 (66r), 559 (51r) და 617 (25r). ყველა გადაწერილია 1769 წელს ნიკოლოზ ალექსიძის მიერ B ნუსხიდან. თხზულების რამდენიმე სტროფი (298, 411, 425, 436, 447, 448, 456, 471, 475, 487, 497 და სხვა) დატულია XIX საუკუნის ერთ დღეპქტურ კრებულში (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი ე. ნიკოლაძის მიერ, II, 1964, გვ. 234—240). მოსალოდნელია,

ეს სტროფი მოეპოვება EMP ნუსხებსაც („წყობილსიტყვაობაში“ შესულია P-დან). მაშასადამე, იგი ძეგლის ერთ-ერთი ძირითადი სტროფთაგანი ყოფილა.

ბ. ACIKL ნუსხებში საბა სვინგელოზის ქება შედგება სამი სტროფისაგან. მათში ეს ქება ასე იკითხება (A, 102v):

საბა, ვარდანის სურვილს, მამისა თვისი,  
სრულ-მყოფი, ჰგალობს ქრისტეს ხატისა მიმართ,  
რომელი კეცის ნიეთსა გამოისახა,  
მოხმული დიდის ანტონის მარტომყოფის.  
შუენიერ, მაღალ უძნობს ამას სუნგელი.

საბასგან ქმნილი ვჰნახენ კანონი რამე,  
კელით უქმნელის ხატისთვის ძნობილი;  
მეკეთა ფრასი, გამიყურდა შენაქსვი  
ფილოსოფოსებრ, გარნა მარტივ, არა-ძნელ,  
პიიტიკებრი საქები, უცხო-გუარო.

საღმრთო სინგელი, მეთქვ, ფრას-საკვრველი,  
შუენიერ-მქვერი, უხუ-მკობით განმკარგველი,  
ქართველთ დიდება, იმიერთა გურგვნი,  
ოდიშართ მნათი, მესხთ, გურიელთ სიკეთე;  
კახთა, აფხაზთა შუენიერება დიდი.

B ნუსხაში მესამე სტროფი („საღმრთო სვინგელი“) არ არის დაცული, იგი ამოღებულია. D-ში არის მეორე და მესამე სტროფები, პირველი კი აკლია. არშიაზე მიწერილია: „აქ ერთი [სტროფი] აკლია «საბა ვარდანის». დედანშიაც ასე ეწერა“ (96v). აქედან ჩანს, რომ ზოგიერთ გადამწერს „საბა, ვარდანის“-სტროფი ზედმეტად მიუჩნევია. მართლაც, იგი არ მოეპოვება E და F ნუსხებსა და გამოცემებს. ეს აიხსნება იმით, რომ „საბა ვარდანის“ და „საბასგან ქმნილი“ სტროფები შინაარსობრივად ერთმანეთს ემთხვევიან. თავის მხრივ პირველი სტროფი თითქმის მთლიანად იმეორებს არსენ ბულმაისიმისძისადმი მიძღვნილ სტროფს (659), რომელიც გამოცემებსა და ხელნაწერებში ასე იკითხება (A, 88v—89r):

არსენი, სურვილს ვარდანის, აბუსერის  
სრულ-მყოფი, ჰგალობს ქრისტეს ხატისა მიმართ,  
ნიეთისა კეცის, ვერ-სათქმოდ დაბეჭდულის,  
მაღალ-ფრას-რიტორ ჰსძნობს ღმრთისმეტყუელურად-რე,  
მგზავნი გელათით აბუსერ მთავრისადმი.

რომ ამგვარი ფრაგმენტები აღმოჩნდეს სხვა ხელნაწერ კრებულებშიც, მაგრამ საეჭვოა, მათ ტექსტოლოგიური თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეთ.



ეს დამთხვევა უგრძობია B-ს გადაშვრს და ტექსტიდან ამოუ-  
ლია არა მარტო 765-ე („საბა სვინგელი“), არამედ 659-ე სტროფიც.  
ისმის კითხვა: რომელი მათგანი უნდა დარჩეს ძირითად ტექსტ-  
ში: „საბა ვარდანის სურვილს“ თუ „არსენი სურვილს ვარდანის“?  
ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ხსენებულ სტროფთა წყარო — A 85  
ხელნაწერი. აქ მოთავსებულია არსენ ბულმაისიმისძის „საგალობე-  
ლი ხატისა ველით-უქმნელისაჲ“, რომელსაც ერთვის მცირე გან-  
მარტება:

ეს ხატი „მეორედ ვინაფთგან მიემადლა ნათესავსაცა ჩუენსა  
მოწყალებითა ღმრთისაჲთა ღირსისა მამისა ჩუენისა ანტონი მარ-  
ტოდმყოფელისა მიერ და დღესა ფერისცვალებასა ვემთხუევით  
კეცსა ზედა გარდამოხუფრულსა ტილოესა მიერ, ამისთვის ესე  
«უფალო, დალადყავი» ითქუა არსენის მიერ კათალიკოზისა“, ხო-  
ლო ამავე საგალობლის „მესამის გუერდნი ითქუნეს საბაჲს მიერ  
სუნგელოზისა“.

არსენს შეუთხზავს აგრეთვე „თვთ ძლისპირნი ზესთგამოთქუ-  
მისა ველით უქმნელისა ხატისანი“ და მის ზემოთ მოთავსებული  
„მეოთხის გუერდნი გალობანი“. ხელნაწერში ამ უკანასკნელის  
შესახებ ნათქვამია:

„ამის ზემოთნი, მეოთხის გუერდნი გალობანი ვარდანისა  
საგან შეხუეწითა თქმულნი ამით მეორითა გალობითა  
განაშუენნა; ვინაფთგან პიროვანნი საქევენი ფსალმუნისაგან აღ-  
მოტუფრნა საღმრთოჲთა გამოცხადებითა, ამისთვის ძჲამა[ნ] ჩუენ-  
მან აბუსერის არსენის მიმართ გალობათა თქუმის იძულებჲაჲ  
მოიგონა საღმრთოესა პირისათვის რომლისა მოგონებასა ამით ების-  
ტოლითა აბუსერის მიმართ ესევე არსენი აქებს, რომელი მოწერა  
გელათით ამათვე გალობათა თანა“<sup>20</sup>.

დამოწმებული ტექსტი არის 659-ე სტროფის წყარო. ირკვევა,  
ვარდანისა და აბუსერის სურვილის სრულ-მყოფი ყოფილა არა  
საბა სვინგელოსი, არამედ არსენ ბულმაისიმისძე, რომელმაც აბუ-  
სერ მთავარს გელათიდან მისწერა ფილოსოფიური შინაარსის  
ეპისტოლეც კი. აქ საბა სვინგელოსი არაფერ შუაშია. ამიტომაც  
659-ე სტროფი დავტოვე თავის ადგილას, ხოლო სტროფი „საბა  
ვარდანის სურვილს“ აღარ შევიტანე ტექსტში, მიუხედავად იმი-  
ნსა, რომ იგი AC ნუსხებს მოეპოვება.

<sup>20</sup> A ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, I, 1974, გვ. 288—290.  
შდრ.: თ. ჯორდანიას, ქრონიკები, II, 1897, გვ. 107—110.

გ. P ხელნაწერს შემოუნახავს წმიდათა სამკებროდ შეთხზული ჩამდენიმი სტროფი, რომლებიც „წყობილისიტყვაობის» არც ერთი წესხით ქვემოთ მითითებულ სტროფებთან არ იკითხება. ესენია:  
ნეოფიტე ურბნელის საგალობლიდან „აწდა [ღმრთისმშობლისა]“, მისდევს 435-ე სტროფს (164r):

მიდგომილება უთესლო ქალწულისა  
არა თუ გუამსა დახატავს კაცისასა,  
გარანა იგივე ზეცით გარდამოსული  
სიტყუა, შობილი ღმრთაებისაგან, წყაროს  
ჰყოფს შეერთებას ბუნებათასა უცხოს.

ი კონსტანტინე კახაძის საგალობლიდან „აწდა ღმრთისმშობლისა“, მისდევს 439-ე სტროფს (185v):

სისხლთაგან სძლისა უქორწილომსა სიტყუა  
კორცთა შემზადებს საკუთარ ღმრთის ტაძარ  
და შეიერთებს მგონებელს თანა სულსა  
განუშორებლად თვისისა ღმრთაებისა,  
რომლით კაცთ-ქმნასა სრულსა ექსცნობთ სიტყვასა.

ეკლავ იმავე საგალობლიდან ორი სტროფი „აწდა ღმრთისმშობლისა», მისდევს 441-ე სტროფს (185v):

უკეთუ ღმერთ არს შობილი მარიამის,  
დედა სადამე ძისა განკაცებულის  
არს ჰეშმარიტად და საკუთარ ღმრთისმშობელ,  
ვინათგან სიტყუა სრულ კაც იქმნა მის შორის.  
ამით მარიამს ვიცნობთ მშობელ სიტყუს.

მტირალი ღამე ჰსტიროდა მწარედ სამე  
სიკეთეთათეს ცვალებულთა სადამე,  
ოდეს კაცთათეს მოკულდა უკუდავი, ექსწამე,  
და თან მკოვარ ვინც იყო სადა ღამე,  
უბიწო სძალი მგლოვარი, განაღა მე.

ამათგან სტროფი „მტირალი ღამე“ P-ს მიხედვით იკითხება როგორც „აწდა ღმრთისმშობლისა“ ევსტათი მცხეთელის მოსახსენებელთან (741v). თხზულებით ეს სტროფი წარმოადგენს გრიგოლ ხანძთელის საგალობელის შემადგენელ ნაწილს. იგი დაცულია ყველა ხელნაწერში და შეტანილია ორივე გამოცემაშიც (431 №-ად), თუმცა გრიგოლის დახასიათებას არაფერსა ჰმატებს. პირიქით, მას ამძიმებს შინაარსობრივად. ამის გამო აღნიშნული სტროფი, როგორც ამ ხოტბასთან შემთხვევით მიტმასნებული, ტექსტი-

დან ამოვიღე. ასევე უარყავ P ნუსხით ცნობილი სხვა ნამატი სტროფებიც, რადგან ორი მათგანი შეტანილია თეოლოგიურ ნაწილში (სტრ. 35—36).

დ. F ნუსხით ისე წილკნელის საგალობლის მეორე (457) და მესამე (458) სტროფებს შორის ჩართულია ერთი იამბიკო. მისი ტექსტი ზევით დავიმოწმეთ სხვა დანიშნულებით, მაგრამ აქ საჭიროა გავიუმოროთ:

შეუბღალველის სულისა მოძრაობით,  
კიდევან ქმნითა სოფლისა ვნებათაგან  
ქუემდებარები, მნებისა ბნელთა მფლობი,  
უხილავი რა დაეცი უკუნქცევით,  
და შეიერთე ზენათ თუალთ-შეუღვამის.

ეს ერთხუთეული საიდან მოხვდა დავით რექტორისეულ ნუსხაში, არ ვიცი. იგი არ მოეპოვება „წყობილსიტყვაობის“ სხვა ნუსხებს და არც „სადღესასწაულოშია“ მოთავსებული (260 რ). როგორც ითქვა; ABCEP ნუსხებში მის ნაცვლად იკითხება „აბბაებ, დიდო“ (459). G-ში მითითებულ ადგილას არც „შეუბღალველის“ სტროფია და არც „აბბაებ, დიდო“, არამედ უბრალოდ ნომერია ჩაგდებული: „459“-ის შემდეგ წერია „461“, რითაც მინიშნებულია, რომ რომელიღაც გადამწერს ერთი სტროფი გამოჩენია. ამიტომაც იბადება კითხვა: F-ის ნამატი სტროფი ხომ არ არის შეთხზული დავით რექტორის მიერ იმ მიზნით, რომ სტროფთა ნუმერაციაში არსებული ხარვეზი შეეცნო? როგორც ცნობილია, დავით რექტორს ამგვარი ინტერპოლაციები ხელეწიფებოდა.

ე. M ნუსხაში 850-ე სტროფის შემდეგ მოთავსებულია ორი იამბიკური სტროფი ასეთი ზედწარწერითა და შინაარსით (100v):

ესე დაპშთომილ იყო, მე ვპპოვე და ჰშთავპსწერე,  
თაეაღმან დავით თუმანოვმან:

თჳს მამისა ნიკიტა შესტიხესი

ნიკიტას ვისმე გუეტყუან, მესტიხესა,  
საკკრე-რიტორსა, მაღალსა მეშაირეს;  
აჩუენებენცა, ვითარმედ: ამან დიდმან -  
გრიგორის დიდის ნაზიანზელის სტიხნი  
ჩუენებრ გეთარგმნა, ვითარმედ აღგუქსნა ძნელნი.

ამისნი სტიხნი პეტრიწის ლამაზ სტიხთა,  
თუ ჰსთქუა, ჰსჯობანცა, მაგრამ განსაკკრებელ  
არიან, ბრძნულნი, ნუუმე ვითარმედ სხუაცა

სინელისათა გამონი თქუენი რაამე,  
პიტიკოსთა მეგრ წესისა ტურფანი.

ეს ტექსტი დ. თუმანიშვილს, ალბათ, ამოუღია Ⴀ-დან (95v — 96r), რომელშიც ნიკიტა მესტიხის ქება ჩართულია პეტრე გელათელისა (768—769) და იოანე შავთელის (770—771) ზოტბათა შორის. Ⴀ-ს გადამწერს იგი ჯერ უნომროდ შეუტანია ძირითად ტექსტში, შემდეგ ოთხკუთხოვან ზაზებში მოუთავსებია და თან მიუწერია მისთვის: „ამ ნიკიტას მუკლებს ნურც ვრთს ნუ დასწერ. იოანე შავთელისა იწყე“.

„ნიკიტას ქება“ „წყობილსიტყვაობის“ სხვა ხელნაწერებს არ მოეპოვება, თუმცა იგი შეთხზული უნდა იყოს ანტონის მიერ. ანტონის ავტორობას ადასტურებს არა მარტო ის, რომ შინაარსით იგი «წყობილსიტყვაობის» ნუსხებს უკავშირდება, არამედ მისი ენობრივ-სტილისტური მხარეც. მაგ., გამოთქმა „ამისნი სტიხნი პეტრიწის ლამაზ სტიხთა, თუ ჰსთქვა, სჯობანცა“, ძლიერ ჰგავს ანტონის სხვა ფრაზებს:

იეზეკიელს ვიცნობ თვისით სიტყუებით,  
სხუასა პეტრიწსა, სხუას ღიდსა იოანეს (766,1—2),

ანდა:

სტიხნი პეტრესნი იეზეკიელისთა  
- ან იოანესთა ჰგუანან ფილოსოფოსის (768,1—2).

ნიკიტა მესტიხეს, როგორც ქართველ პოეტს, რომელსაც თითქოს უმოღვაწნია XI—XIII საუკუნეებში, ქართული ლიტერატურის ისტორია არ იცნობს. ავტორს მოსვლია შეცდომა: მას წაუკითხავს არსენ იყალთოელის იამბიკოები, რომელთა კიდურწერილობაში იხსენიებიან „ნიკიტა, არსენი“<sup>21</sup>. ისინი ერთვის ნიკიტა სტილს (სტოდელთა მონასტრის ხუცეს-მონაზონის). თხზულებას „სიტყუას სულისათვს კაცობრივისა“. პირველი სტროფი ასე იკითხება:

ნათელთა წყაროდ პირველად ნათლად მიმართ  
იმსთობდ მესამე მეორეთა ძლუანვითა,  
კრეტსაბმელი რაჲ კორცთა სიზრქისაჲ განჰვლე,

<sup>21</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 279.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ კიდურწერილობაში მოხსენიებული ნიკიტა ანტონს მიუჩნევია ქართველ პოეტად, რაკი მეორე სტროფის აკროსტიქში იკითხება „არსენი“, და აქედან გაჩენილა „ნიკიტა მესტიხე“ პეტრე გელათელისა და იოანე შავთელის გვერდით. ამას დაპრთვია მეორე შეცდომა. ეს ნიკიტა მესტიხე ანტონს გაუიგივებია ნიკიტა სერონელ მიტროპოლიტთან (პაფლაღონელთან), რომელმაც გრიგოლ ნაზიანზელის (ღმრთისმეტყველის) იამბიკობებსა და თექვსმეტ სიტყვას დაურთო „კომენტარები“ (A 109, A 711)<sup>23</sup>, და ამგვარი აღრევის შედეგად წარმოშობილია მისივე ცნობა, რომ „ნიკიტა მესტიხემ“ „გრიგოლ დიდის ნაზიანზელის სტინნი<sup>24</sup> ჩუენებრ გვთარგმნა, ვითარმედ აღგვესნა ძნელნი“. ირკვევა ისიც, რომ ეს შეცდომა ანტონს (თუ მის მოწაფეს) გაუსწორებია და დამოწმებული ორი იამბიკური სტროფი „წყობილსიტყვაობაში“ აღარ შეუტანია. ბუნებრივია, იგი არც ამ გამოცემაში მოხვდა.

ვ. E ნუსხაში არ არის დავით და ტირიქანის საგალობელი (502 — 504). მართალია, „სადღესასწაულოში“ (P) 18 მაისის თარიღზე აღნიშნულია: „ამასვე დღესა წმიდათა მოწამეთა ორთა ძმათა დავით და ტირიქანისა“ (წითურად), მაგრამ იქვე მიწერილია: „აკალოტია ამათი ყოველივე მოწამეთა იძიე საზიაროთაგან“ (615r). M ნუსხის ძირითად ტექსტში კი, რომელიც გადაწერილია E-დან და შევსებულია სხვა ხელნაწერებიდან ამოკრებილი სტროფებით, იგი ჩაწერილია უნომროდ. ამ ნუსხის „პინაქსში“ (7r) შეტანილია საგალობლის სათაური: „თვს წმიდათა ორთა ძმათა მოწამეთა დავით და ტირიქანისა“, ხოლო იქვე (მარჯვენა არშიაზე) წვრილად

<sup>22</sup> ეს იამბიკო მოთავსებულია არსენ იყალთოელის „დოღმატიკონში“ (S 1463, ფ. 271v). აქედან შეუტანიათ სხვა კრებულებშიც. XVI საუკუნის ერთ ნუსხურ ხელნაწერში (A 482) მას აქვს ზედწარწერილი — „არსენი მეტყუელებს ამათ იყალთოელი“ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით, I, 1946, გვ. 376—377; შდრ.: ჩუენი საუნჯე, I, 1960, გვ. 522—523). ანტონი კარგად იცნობდა „დოღმატიკონს“ (ერთ-ერთი ნუსხა — A 64 გადაწერილია 1751 წელს ანტონის დაკვეთით). მას შეეძლო ხსენებულ იამბიკოს გასცნობოდა მის ხელნაწერებში, რომლებიც XVIII საუკუნეში ადვილად ხელმისაწვდომი იყო.

<sup>23</sup> ქ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, V, 1957, გვ. 38, 103; თ. ბ რ ე ვ ა ძ ე, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები (მრავალთავი, I, 1971, გვ. 456).

<sup>24</sup> იგულისხმება გრიგოლ ღმრთისმეტყველის ასი იამბიკო, გადმოღებული ქართულად ეფრემ მცირის მიერ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია, I, გვ. 364—372).

მიწერილია: „ამას რიცხვნი არ უსხედს. მწერალს შესცდომია და მეც შევეცი. სხუას დედანში ვნახე და იქილამ ვადმოვქსწერე დ. თუ-მანოვმან. მეფეთ არჩილ და ლუარსაბს ქვევით მოვაქციე, რადგანაც იქამდის დაწერილი მქონდა“. მართლაც, დავით და ტირიქანის ქება M-ში მოთავსებულია უნომროდ არჩილისა და ლუარსაბის საგალობლის (505—508) შემდეგ (62r) და სათაურს ზევით, ორხაზოვან მოგრძო ხარჩოში, ჩაწერილია შენიშვნა: „ეს რომელიცა ამის ქუეით სწერია, რომლის დედნიდამაც ვქსწერდი, იმაში არ ეწერა და რიცხვი ერთი მეორეზე დამოკიდებული იყო. და თუ რიცხვში ჩამეგდო, დედანი წახდებოდა. ამისთვის ურიცხვოდ დავწერე“. უნდა ვიფიქროთ, რომ E-ს გადამწერს დავით და ტირიქანის ქება შემთხვევით გამოჩენია დედნიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ იქნებოდა დაცული ABCDFGH და მათგან მომდინარე ნუსხებში.

ზ. B ნუსხაში თხზულების ტექსტს აკლია თავები — „თვს მამისა ნიკოლას კათალიკოსისა“ (652—653), „თვს მამისა ანტონი ჰყონდიდელისა“ (673—674) და სტროფები — „არსენი სურვილს“ (659) და „საღმრთო სჯგელი“ (765). თუ ორი უკანასკნელი სტროფის ამოღება ტექსტიდან, გადამწერის მოსაზრებით, თითქოს მოტივირებული ჩანს, გაურკვეველია, რატომ არაა მასში ხსენებული ორი თავი, მაშინ, როდესაც ისინი ყველა ნუსხას მოეპოვება.

შ. დასასრულ, აღსანიშნავია, რომ ABCIKL ნუსხებით „წყობილსიტყვაობის“ სტროფული თანმიმდევრობა მეხუთე ნაწილში ტრადიციულისაგან რამდენადმე განსხვავდება: 469-ე სტროფი („ნელსაცხებს შენსა“) გადატანილია 463-ის („ტარიგი რქითა“-ს) წინ, 483-ე სტროფი („საწინ-მეტყუ მტილსა“) — 475-ის („დავით ელვითას“) წინ, 518—519 სტროფები („ანგელებრ კაცთ“ და „გონება ჰსწმიდე“) — 514-ის („ჰშუენის დლისასა“) წინ. ეს გადაჯგუფება გამოწვეულია იმით, რომ აკროსტიქული სტროფები მოექცეს საგალობელთა დასაწყისში, როგორც ეს მიღებულია წესად ანტონის „კლემაქსში“ (A 711). მაგრამ მათი გადაჯგუფება რაიმე აუცილებლობით არაა გამოწვეული: იგი შინაარსობრივ მხარეს არ არღვევს. ამიტომაც ტრადიციული ტექსტის სტროფული თანმიმდევრობა, რომელიც წარმოდგენილია გამოცემებსა და რამდენიმე ძირითად (DEFG) ხელნაწერში, აღარ შევეცვალე, რადგანაც იგი უკვე ჩვენს მეცნიერებაში კანონიკურად იქცა.

ამრიგად, „წყობილსიტყვაობის“ კრიტიკული ტექსტი შეიცავს 860 სტროფს: მასში შეტანილია 459-ე N-ით სტროფი „აბბაებ, დი-

დო“, ხოლო გრიგოლ ხანძთელის საგალობლიდან ამოდებულია სტროფი „მტირალი ღამე“ (წინა გამოცემებით № 431-ე).

2. წმიდათა საგალობლების ზედწარწერილები, რომლებიც მიუთითებენ ამა თუ იმ ქართველ წმიდათა ხსენების დღეებს, „წყობილსიტყვაობის“ ძირითად ხელნაწერებში წარმოდგენილია სხვადასხვანაირად. ყველა ზედწარწერილი მოეპოვება მხოლოდ M ნუსხას. ალბათ, მისმა გადამწერმა ისინი ამოკრიბა „სადღესასწაულოდან“ (P-დან). თუ პირველი გამოცემის დედანს (H-ს), რაიმე ზედწარწერილი ჰქონდა, პ. იოსელიანს ყველა გადაუხაზავს შავი მელნით, რომ ისინი ამწყობს არ აეწყო. მე აუცილებლად ვცან ყველა ზედწარწერილის აღდგენა და ტექსტში ჩართვა, რადგანაც ანტონს წმიდათა საგალობლები დაულაგებია საეკლესიო კალენდარული თანმიმდევრობით სექტემბრიდან აგვისტომდე იმის მიხედვით, თუ ვისი ხსენება როდისაა დადებული. ამისათვის ძირითად წყაროდ ავიღე P ნუსხა, დამხმარედ კი — AM ნუსხები. აქვე მოვასწეროთ თავების თანმიმდევრობაც: მოსახსენებლები დავყავი თვეების მიხედვით და თავების სათვალავი ისე წარმოვადგინე. ამ მხრივ ხელნაწერები სხვაგვარ სურათს იძლევიან. მაგ., A ნუსხაში თავები გამოყოფილია შემდეგი სტროფების წინ: I (403), II (417), III (425), IV (436), V (448), VI (460), VII (463), VIII (475), IX (486), X (505), XI (514), XII (523), XIII (533). თავების თანმიმდევრობა მცირეოდნად შეცვალე თხზულების მეშვიდე ნაწილშიც: 645-ე სტროფი გამოყავ შესავლად და IV თავი გადავიტანე 704-იდან 706-ის წინ, ხოლო V თავი — 725-იდან 731-ის წინ.

3. უმთავრესი გასწორებანი. „წყობილსიტყვაობის“ ძირითად ხელნაწერებში გვხვდება მრავალი ისეთი წანაკითხი, რომლებიც გამოცემათა ბუნდოვან (ან დამახინჯებულ) სტროფებს, ტაეებს, გამოთქმებსა და ტერმინებს ასწორებენ და მათს შინაარსს ნათელსაჰხდიან. ტექსტის დადგენისას ყველა ასეთი წანაკითხი გავითვალისწინეთ. აქ წარმოვადგენ მხოლოდ ძირითად გასწორებათა ნუსხას. გასასწორებელ ტექსტად აღებულია მეორე გამოცემა. გასწორებული წანაკითხები დადასტურებულია თითქმის ყველა ძირითად (უპირველესად კი ABC) ხელნაწერში:

დაბეჭდილია

15,3 ძის სულის შეეთუსოს რამე  
21,3 რომელსა... მივიღეთ

გასწორდა

ძის სულს შეეთუსოს რამე.  
რომელსა... მივიღებთ.

22,5 ძალათებრ უწყებულნი	ძალათებრ უწყებულნი.
26,4 ვითა იჩუქრა	ვითა იჩუქრა (იჩურჩუტა, იბო- და) <sup>25</sup> .
90,4 ნესტორ უკუმთქმან	ნესტორ უკუმთქმან <sup>26</sup> .
100,5 ქართულ გონების	ქართველთ გონების.
119,1 ველმოანსა შინა ვენახად	ველმოანსა შინა ვენაცად..
246,1 კემმოანსა ვენაჯი	ველმოანსა ვენაჯი.
131,5 და კელით ქმნილნი შეჰსძი- ნა ეგვპტისანი	და კელით-ქმნილნი შესძრნა ეგვპტისანი <sup>27</sup> ..
156,3 ყოვლად დაზავებული	ყოვლად დაზავებული (ამალ- ლებული).
157,4 ზრახუდის ღუთისა მარად	ზრახუდის ღმერთსა მარად.
166 მოივლინების გავრიილ ნა- ზარეთად...	მოივლინების გაბრიელ ნაზა- რეთად...
და ანგელოსად მისა ზედწო- დებულებს,	და ანგელოსად, მისად ზედწო- დებულებს,
სახლსა დიდსა დანიშნულსა ცნობითა,	სახელსა დიდსა, დანიშნულსა ცნობითა
მხოლოდ ღუთისა დაპნიშნავს ესე კმითა <sup>28</sup> .	მხოლოდ ღმრთისათა, დაპნი- შნავს ესე კმითა.
188,4 მათგან დიდება შესხმისა	მათგან დადება შესხმისა <sup>29</sup> .
242,4 რომელსა ჰსძნობდის დავით, ღუთისა მამაი,	რომელსა სძნობდის დავით, ღმრთისა მამაი,
განჯდად სულისა, ბოროტის სულისგან.	განჯდად სულისა ბოროტის საულისგან <sup>30</sup> .

<sup>25</sup> შლრ.: „უსმენელმან ვ ი ჩ უ რ ე ნ“ (დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები, 1978, გვ. 528).

<sup>26</sup> სახ. უკუმთქმ-ი, მოთ. უკუმთქმ-მან (უკუმთქმელმა).

<sup>27</sup> შლრ.: აქვე სტროფი 181,4: „მჯდომარე შე ს ძ რ ა ვ ს ე გ ვ პ ტ ი ს ა ნ ი კ ე რ პ ე ბ თ ა“. აგრეთვე იხ. არსენ იყალთოელი: „ეგვპტედ ივტროდა, ვითარცა-კაცი, რომელმან შე მ უ ს რ ნ ა ჯ ე ლ ი თ-ქ მ ნ უ ლ ნ ი ე გ ვ პ ტ ი ს ა ნ ი“ (ძვ. ქართ. ავოგრაფიული ლიტ. ძეგლები, III, 1971, გვ. 8).

<sup>28</sup> დამახინებულია ზზრი, არც სასვენი ნიშნებია სწორად დასმული.

<sup>29</sup> ნიშნავს შესხმის დაწერასა და საგალობოდ დაწესებას.

<sup>30</sup> რედაქტორს „საულისგან“ გაუსწორებია სიტყვით „სულისგან“, რაც შეეცდომაა. ანტონი გულისხმობს ბიბლიურ თხრობას: „ოლეს იქნებოდა ს უ ლ ი ბ ო - რ ო ტ ი ს ს ა უ ლ ი ს ზ ე დ ა, მოიღებდა დავით და ჰკრვიდა ქელითა თესითა-ებანსა და განისვენებდა საულ... და განეშორებოდა მისგან ს უ ლ ი ბ ო რ ო ტ ი“ (I მეფეთა 16, 23).



255,1	ორ-განხგული... ხალენი	ორ-განხეული... ხალენი <sup>31</sup> .
255,5	საუკუნოდ ცხორებად	ხრწნილებით უხრწნელებად.
266,4	შთანთქმული ჯოჯონეთო	შთამნთქმელი ჯოჯონეთო.
270	ჯუარსა ზედაჲ, სახიერებით სიტყუა უჰსჯულოთა რა, თანა-შერა- ცხსაცა ქუჲ-მდებარები, წყევითსა ძელსა ზედა, ჰსჯულსა მამათად, დადებულ- სა სამოთხედ, ჰკურნავს ახლითა, ძელის- ძლითითა წამლით <sup>32</sup> .	ჯუარსა ზედაი სახიერებით სი- ტყუა, უსჯულოთა რა თანა შერაცხვი- სათა ქუემდებარები წყევითსა ძელსა ზედა, სჯულსა, მამათად დადებულსა სამოთხეს, ჰკურნავს ახლითა ძელის-ძლი- თითა წამლით.
273,3	დაკლული ღმერთ-ტარიგი და ღმერთ-დაკლული	დაკლული ღმერთ-ტარიგი და ღმერთ-ზუარაკი.
299,3	ოფლმან სიტყუამან	ოფლმან სიტყუსამან <sup>33</sup> .
317,4	ქუჲყინიერისა... სურვილისა	ქუჲშეურისა... სურვილისა.
324,5	ჰგზავნიან მადლითა <sup>34</sup> ...	ჰგზავნიან მადლთა საღმართთ.
331,3	ეგრეთვე ბრძენი ზესთ იე- რუსალიმის	ესფერვე ბჰენი ზესთ იერუსა- ლიმის <sup>35</sup> .
337,5	არწივს აღმფრენ უზევს	არწივს აღმფრენ-უზევს.
345,3	ტრფიალებითა და სხუთა	ტრფიალებითა და სხუთა.
346,3	აბრაჰამითგან დაეითისადმ- დე თქმულნი, შესაბამ თქმუ- ლნი...	აბრაჰამითგან დაეითისადმდე მშუდის შესაბამ თქმულნი...
349,2	საეკლესიო არის სიქადუ- ლობა	ეკლესიო არის საქადულობა.
351,2	მმსთავსა ეშმაკთა	მმსთავრა ეშმაკთა...
355,4	უკმოწოდება	უკმოწოდება
368,5	-მრომელნი, შედგომით და- მაშურენი	მშრომელნი, შედგომით და- მაშურენი.

<sup>31</sup> იგულისხმება წამოსასხამი, რომელიც ელია წინასწარმეტყველის ცად ამაღ-  
ლების დროს ორად გაიხია (IV მეფეთა 2,8—15).

<sup>32</sup> არეულია სასვენი ნიშნები, რის გამოც გაბუნდოვანებულია სტროფის აზრი.  
მისი შინაარსი დაკავშირებულია ოთხ სიტყვასთან: „სიტყუა (ქრისტე) სჯულსა ჰკურ-  
ნავს წამლით“.

<sup>33</sup> იგულისხმება ქრისტეს მიერ ჯეარცამდე დაღვრილი ოფლი.

<sup>34</sup> გამეორებულია პირველი გამოცემის შეცდომა.

<sup>35</sup> ანტონს თორმეტი მოციქული ესახება სამოთხის თორმეტ ბჰედ.

377,1 აღმატება ესე დაუვსო	აღტება ესე დაუვსო <sup>36</sup> .
379,4 ნებით შეიწყნარეს	წებით შეიწყნარეს <sup>37</sup> .
391,4 მიმგებებელი სიძინად	მიგვებული სიძინად,
395,3 არ-ხილულნი	არ სულიერნი.
398,1 მართალთა უფროსითა	მართალთა უფლისათა.
410,5 ეთერიო ძალისაგან	ეთერიო ძალისაგან <sup>38</sup> .
415,1 განიკუთა სასანთლე	დანიკუთა სასანთლე...
425,3 მრავალ-მნათობსა ქრისტეს	მრავალ-მნათობსა ქრისტეს ეკ-
ეკლესიისა სამყაროსსა...	ლესიისა სამყაროსსა...
	უგალობს.
427,3 სისხლით-საჭურუჭლნი სო-	სისხლით საჭურველი სოველი.
ფელნი	
438,5 ღირსნი, რამე, ძლუწნი	ღირსი რამე ძლუენი მიიღენ,
მიიღე, ღირსო	მენეო.
449,3 ეელით, უდაბნოთ იორდა-	ველით უდაბნოთ იორდანი-
ნისათ	სათ.
464,2 მიხედნა წინა	მიხედნა წინა <sup>39</sup> .
471,4 თემებთა განციხვრებად	თემებთა განციხვრებად.
484,1 სისხლთ მარტულთა ეზიარა	სისხლი მარტულთა ეზიარა
სისხლს საღმრთოს	სისხლს საღმრთოს.
501,1 შენნი ბაგენი ქრისტესდა	შენნი ბაგენი, ქრისტესდა და-
ღამაგენი	მაგენი.
533,4 აღარ-უსასყიდლო-ჰყუნეს	ოლარ უსასყიდლო ჰყვენს <sup>40</sup> .
545,2 ღუთისადმი მკადრო მიმღებ-	ღმრთისადმი კადრთა მომღებ-
მან	მან.
546,3 ვინ ქართულეებრსა შეეწია	ვინ ქართულეებრსა შეეწია ენა-
ენასა	სა.
549,2 მირიან ... გუჴმული სიბრ-	მირიან... გუჴმული სიბრმით <sup>41</sup> .
ძნით	

<sup>36</sup> „იყო აღტება (შფოთი, ხმობა) მათ შორის“ (იუზევილი 30,9).

<sup>37</sup> „წებით“ დაქარაგმებული სიტყვაა, ნიშნავს: ან „წამებით“, ან „წმინდებით“<sup>40</sup>. სიტყვა „ნებით“ მიღებულია წ-სა და ნ-ს აღრევის შედეგად.

<sup>38</sup> შდრ.: „სფერო ეთერიო მსა ცეცხლისა“ (იოანე პეტრიწის შრომები, II, გვ. 89). ეთერიო (*αιθηρ*, *αιθερ*) ეთერი, მზის ჰაერი; ცა.

<sup>39</sup> ერთმანეთშია არეული ნ და წ.

<sup>40</sup> „ოლარი“ არის მღვდლის ყელსაკიდი, გრძელი და ვიწრო, ოქრო-მკედით ნაქარგი. ეს სიტყვა ზოგ ხელნაწერში იკითხება როგორც „ალარ“. აქედან მიღებულია „ალარ“.

<sup>41</sup> იგულისხმება მზის დაბნელება. მაშინ მირიანი სიბნელემ დააბრმავა.

567,4 ბაგრატ ... კერატ-პალატ- სევასტოს	ბაგრატ... კურაპალატ-სევას- ტოს <sup>42</sup> .
576,5 ესე სახენი, არ აღულ აღსა- ყარნი	ესე საქიენი, არ-ადვილ აღსა- ყარნი <sup>43</sup> .
600,4 სტიხნი-შემთხვევა ვერ კე- თილ ჰხულა	ტიხი-შემთხვევა <sup>44</sup> ვერ-კეთილ ჰხულა.
615,5 კინიშო	კინამო
624,5 თავსა საწადელთასა	თავსა საწადისასა.
659,3 ნიეთისად კაცის	ნიეთისად კეცის <sup>45</sup> .
668,5 დავითის ძმობის ღირსი	დავითის ძმობის ღირსი <sup>46</sup> .
662,4 კამსა სიბრძნესა გუაუწყე- ბენ	კამსა სიბრძნესა გუაუწყებენ <sup>47</sup> .
703,3 საქებელ არს სიტყუა მოქ- მელთადმი	საქებელ არს სიტყუსა-მოქმედ- თადმი.
709,2 მრჩობლთა შინა ფილოსო- ფოსთა	მრჩობლთა შინა ფილოსო- ფიათ <sup>48</sup> .
747,1 ავაზა გასთუსცა	ავაზგაისთუსცა <sup>49</sup> .
816,2 ნიეთნი სიბრძნით ბინანი	ნიეთნი საბრძნოთ შინანი <sup>50</sup> .
817,4 იმარხვა ესე	იმხარკა ესე <sup>51</sup> .

ამ ძირითად გასწორებათა გარდა კრიტიკულ ტექსტში გამარ-  
თულია ტექნიკურად და შინაარსობრივად ყველა აკროსტიქული  
და ანბანთქებიანი სტროფი; გასწორებულია გამეორებული ტაეპები  
(455, 4—5; 717, 3—5), მარცვალმეტი და მარცვალნაკლული მუხ-

<sup>42</sup> ხელნაწერებშია: „კურატპალატ“ (შდრ.: ქ. ცხ., I, გვ. 315).

<sup>43</sup> საქიენი — ბორკილი, უღელი (მონობისა).

<sup>44</sup> შდრ.: „ესთა ტიხთათეს სიბრძნითა ჰკაზმავს სტიხთა“ (018). „ტიხი“  
ბერძნული სიტყვაა ძაჯი და ნიშნავს: ბედს, ხვედრს; ვითარებას, შემთხვევას.

<sup>45</sup> იგულისხმება კეცის (თიხის) ბარელიეფი ქრისტესი (იხ. აქვე, გვ. 101).

<sup>46</sup> სტროფი ეხება დომენტი ბაგრატიონს, რომელიც ჩამომავლობით დავითია-  
ნად ითვლებოდა. ამიტომაც „შეშობა“ შეედომა.

<sup>47</sup> ერთმანეთშია არეული ქ და კ.

<sup>48</sup> იგულისხმება გარეშე და საღმრთო ფილოსოფია.

<sup>49</sup> „ავაზგია“ არის იგივე ავაზგია (ავხაზეთი). ანტონს აქ მხედველობაში აქვს  
ეფრემ მცირის თხზულება „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“. მასში ვკო-  
თხულობთ: „ითქუმის ჩუენთსცა მიოსლესა შინა წმიდათა მოციქულთასა ანდ-  
რია პირველ-წოდებულისა მიერ ქადაგებაჲ შორის ა ვ ა ზ გ ი ა ი ს ა , რ ო მ ე ლ  
ა რ ს ა დ ხ ა ზ ე თ ი“ (გვ. 4). ა ნ უ ს ხ ა შ ი ა : ა ვ ა ზ ა გ ა ი ს თ ს ც ა .

<sup>50</sup> ერთმანეთშია არეული ნუსხური ყ და ქ.

<sup>51</sup> იმხარკა იზრუნა, იმუშაკა.

ლები, დამახინჯებული გრამატიკული ფორმები და აღდგენილია იმ სტროფთა შინაარსი წყაროებთან შეპირისპირებით, რომლებშიც სასვენი ნიშნები დასმული იყო არასწორად. ერთი სიტყვით, წინამდებარე ტექსტი დადგენილია თანამედროვე ფილოლოგიის პრინციპების დაცვით, რაც ემყარება ძირითადი ხელნაწერების კრიტიკულ ანალიზს.

4. ორთოგრაფიული მხარე ხელნაწერებსა და გამოცემებში მოუწესრიგებელია:

ა. არეულ-დარეულია მ-ს, ვ-ს და კ-ს ხმარება; უმარცვლო უ-ნი კი ხშირად ჩართულია იქ, სადაც ამისი საჭიროება არაა. მაგ., გვხვდება ასეთი წანაკითხები: შული, ქუა (ქსა), რუა (რუსა), ვოლო, კატი, კალკიდონელთა; შიშულიუ, იგურდიუ (იიგურდიუა), ელუა (ელუითა, აელუშ), ცუალუა (ცუალუთა), განწუალუა, ცოდუა, შეწირუა, დახატუა, მუსრუა, მწთოლუარე, მწყურუალი, მწუჭრუალი, წარმლტოლუარე, კდომუა, განუალს (განვალს), აღუსთქვ (აღვსთქვი) და სხვა.

ბ. როგორც წესი, ყველგან, სადაც უმარცვლო უ-ნს მოსდევს ე-ნი, დაცულია უშ-ჯგუფი (მაგ. ჩუშნ, შემთხუშვა, კუშრთხი და ა. შ.), მაგრამ ბევრგან იგი ნახმარია არასწორადაც. მაგ.: განკრუშბული, დასათრგუნუშლი, მომრწყუშლი, მაწთოლუშბელი, მცუშლი, მფარუშლი, საკურუშლი, ქართუშლი, პირუშლი, მისუშ (მისეე), კაცადუშ (კაცადეე), მითუშ (მითეე), ეგრეთუშ (ეგრეთეე), წინათუშ (წინათეე) და სხვა.

გ. სახელებსა და ზმნებში ჩვეულებრივია ჰემეტობა: მჰსჯელი, პრჩეული, განპრჩევა, მჰსმელი, ჰსძალი, ჰეშირი, მჰსგავსი (ემჰსგავსა), ჰენსა (დაჰენსა), პრწმუნვა, მჰპარსი, ევჰსტატი, მჰსოვნა, მჰწავლა (განჰწავლულება), პრღუევა, ჰენენება, გარეჰსჯელი და სხვა.

დ. ზოგი გავრცელებული სიტყვა იხმარება სხვადასხვანაირად. მაგ., გვხვდება — საღმრთო, ღმრთაება, ღმრთის, ღმრთივ, ღმრთით, ხანაც — საღუთო, ღუთაება, ღუთის, ღუთივ, ღუთით (ან სამღთო, მღთაება, მღთის, მღთივ და მღთით). ასევე, ხან იკითხება — მოსულა (მოსვლა), ხანაც — მოსლუა (მოსლვა), გამოსულად (გამოსვლად), ან გამოსლუად და ა. შ.

ე. არც საკუთარი და გეოგრაფიული სახელების დაწერილობაა უნიფიცირებული. გვხვდება პარალელური ფორმები, იღნატი, იგნატი; გავრიილ, გაბრიილ, ნიკია, ნიკეა, ზახარია, ზაქარია; ვავილონი, ბაბილონი (შდრ. ვარვაროსი, ბარბაროსი); ტობია, ტოვია; ჰარონ,

აპრონ, აპრონ, აარონ, არონ; ამბაკუმ, ავაკუმ; იერუსალიმი, იეროსალიმი; ივა, იბა, ვესპასიანე, ოვესპასიანე და სხვა.

ვ. ზმნებში აღრეულია ჰ და ს პრეფიქსები. ჰ იხმარება ყველგან, სადაც კი მისი გამოთქმა შესაძლებელი ჰდება: ა. შანიძის სიტყვებით თუ ვიტყვით, „იგი ყველა პირშია თანხმონით დაწყებულ ზმნებში, ხოლო თუ ზმნას პრეფიქსად ს უნდა მოუდიოდეს, მასაც წინ უჩნდება ჰ (ჰს). ამას გარდა, თუ ზმნა იწყება ერთ-ერთი ამცხრა ბგერათაგანით (ტდთ, წძც, ჭჯჩ), მის წინ ყველა პირში იხმარება ჰს ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რამდენ პირიანი ზმნა და რომელი სერიისაა მისი ფორმა“<sup>52</sup>. მაგ., ერთპირიანი ზმნები ხელნაწერებში ასე იკითხება: დაჰსჯდა, ჰზის, ჰსტკებდა, გამოჰსჩნდა, განვჰსცოცხლდე, წარმოჰსდგა, ვჰპრბი, განჰსქდეს, ჰპრწყინავს, მიჰსდრკების და ა. შ.

ორპირიან და სამპირიან ზმნებში ამგვარი სურათია:

ტ-ს წინ: დაჰსტირს, ჰსტიროდეთ...

დ-ს წინ: სახელ-ჰსდებს, დაჰსდგა, ჰსდევნის, ჰსდევს...

თ-ს წინ: ჰსთქუა, ჰსთრგუნა, დაჰსთხია...

წ-ს წინ: ჰსწამებს, დაჰსწერს, აღჰსწებეს, დაჰსწუნა...

ძ-ს წინ: ჰსძნობდის, შეჰსძრავს, ჰსძლო, ჰსძლეს...

ც-ს წინ: ჰსცნა, დაჰსცემს, განჰსცუალეს, აღჰსცილდეს, განჰსცდი...

ჭ-ს წინ: ჰსჭრუეტდე, განჰსჭრას, ჰსჭვირან, მოჰსჭრიდეს...

ჯ-ს წინ: ჰსჯიდა და მრავალი სხვა.

„წყობილსიტყვაობის“ ორივე გამოცემა დაბეჭდილია ამ აქრელებული ორთოგრაფიით, რაც დაუშვებლად მიმაჩნია. წინამდებარე გამოცემაში ეს მხარე შესაძლებლობის ფარგლებში მოწესრიგებულია მაქსიმალურად: დატულია მკაცრად ძველი ასოების — უმარცვლო უ-ნის, ვ-ს და ჯ-არის ხმარების წესი ისე, როგორც ეს მიღებული იყო საუკუნეების განმავლობაში; ამოღებულია ჰ სახელებიდან, ჰს ან მხოლოდ ჰ — ერთპირიან ზმნებიდან (თუ იგი არ არის მეორე პირის სუბიექტის ნიშანი); ორ და სამპირიან ზმნებში ჰ და ს დატოვებულია იმ შემთხვევაში, თუ იგი მესამე პირის ობიექტური ნიშანია და მისი ხმარება აუცილებელია; უნიფიცირებულია აგრეთვე დ და ე პუნქტებში ჩამოთვლილი სახელებისა და გარ-

<sup>52</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე... (ძველ ქართული ენის კათედრის შრომები, IX, 1964, გვ. 49).

კეცებული თანხმონიანი სიტყვების დაწერილობაც. ტექსტი მომზადებულია ისე, რომ მისი გაგება და მოხმარება ადვილი იყოს.

5. ვარიანტები. „წყობილსიტყვაობის“ ტექსტი ძირითად ნუსხებში შენახულია კარგად. მართალია, მისი ორთოგრაფია ჭრელია, მაგრამ შინაარსობრივად იგი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. თუ რაიმე მასში დამახინჯებულია, ეს გვიანდელ გადამწერთა ბრალია. ამიტომაც ხელნაწერთა შესწავლისას ვარიანტები გამოვლინდა მცირე რაოდენობით. რაკი ამგვარი სხვაობა დაკავშირებულია ტექსტის გაგებასთან, მიზანშეწონილად ვცან ეს მცირედი სხვაობაც აქვე გამოვაქვეყნო:

9,1 არსება ზედ-შესრულთა] არსებაზედ შესრულთა AC; 9,3 ვითარ] ვითა ABCDEF; 11,5 ბილწთა] ბიწთა D; 13,1-მთავრებრი] მთავრები D; 16,2 თუთებათ] თუთებად C; 19,2 უგონებოი] უგიობელი D; 23,1 იწამების] იწოდების C; 30,2 იშენებს] იშუშბის D; 35,5 ჰყოფს] ჰფენს D; 37,1 სიტყუსა — D; 46,4 ორად — D; 057 სათაურში არ იკითხება „და ზეცად ამალღებისა“ C; 69,5 გვიყოცა] გვიყოცა D; 73,2 ერმანიტელთა] ერმანიელთა D; 78,3] მარილილით E; 81,2 ამათი] ამითი D; 97,1 ვიცით] ვუწყით E; 100,1 ჩემ (კონიექტურა)] მე ABCDEF; 104,1 აღყუავილება] აღყუაებაი D; 104,4 კიდე] კიბე D; 112,3 სმა] სამ D; 118,4 შეენებთა შემოსილ] შეჴნიერებთა D; 125,2 ესთერ] ესრეთ D; 131,5 შესძრნა] შემუსრნა D (კარგი ვარიანტია, მაგრამ ტაეპში იწვევს მარცვალმეტობას); 132,4 უფიდოდესო] უადოდესო D; 135,4 ორთავად C; 147,1 სუეტის] სიტყუს D; 147,4 ზირაქის] ზაქარიას D; 159,1 ჩუენგან] ჩემგან D; განუბებლად] განუბელად D; 0202 სათაურში: ცხოველს-მყოფელისა ჟუარისათა] მუკლთავან სამღუდელთა წერილთა C; 221,4 შესთხიეს] შეჴსთხოეს D; 226,1 რაფიდინს წყლის] რაფინდს წყლისა ABCDEF; 228,3 ლევიტელთ (კონიექტურა)] ლევიტთა ABCDEF; 231,5 ქრისტეთურთ] ქრისტე ერთ D; 237,3 ტავარჯუხს] ტავარჯოხს ABCDEF; 238,3 მალამან] საღმრთოჲან CDEF (AB-ს წაკითხვა ვამჯობინე იმიტომ რომ ტაეპში „საღმრთოჲან“ გამეორებულია); 243,3 სულნი არა-წმიდანი (კონიექტურა)] სული არა წმიდაი ABCDEF; 255,3 განაპებდა] განაგებდა D; 258,3 „ესთერს“] ერთსა D; 259,5 იგავითობით] იგივეობით E; 265,1 სიტყუა] სიბრძნე AB; 281,1 პავლეს] სავლეს ACDE; 286,1 მძლუანსა] მყუანსა ABDF; 308,3

შინა] მიმართ AB; 319,3 მიფენა] მიღება E; 331,2 რიცხვთ] ლოდ-  
 ნი DEF (წინა ტაეპიდან გამეორებული სიტყვაა); 345,3 სვთა]  
 სსვთა ABDEF (აქედან მიღებულია „სხვთა“); 349,2 ეკლესიათ]  
 საეკლესიო ABDEF; 367,1 იდგნეს (კონიექტურა)] იდგეს ABC  
 DEF (ზმნის ობიექტი მრავლობითშია — „ენანი“); 370,3 განფენ-  
 დეს D; 377,5 ღრმას] ღრამს D; 380,4 ზემონათქუნი (კონიექტუ-  
 რა)] ნათქუნი ზემო ABCDEF; 381,4 დასაყენებელ] დამაყენებელ  
 C; 385,3 ალეგზის] ალეგის C (წერითი შეცდომაა); 392,1 აჰა]  
 აჰა D; 463,1 ტარიგი] ვერძ-მდედრი E; 463,2 ბუტკით] ბუტთ C  
 (წერითი შეცდომაა); 480,1 სიმყრალისა] სიმართლისა D; 0486 სა-  
 თაურში: მოწაფეთა] მყოფთა D; 487,2 ბრძენო] პირუშლ D;  
 499,2 სპერა] სქერა AB; 500,4 ნათელი] მნათობი P; 509,1  
 თქორ] თქო AC; 514,4 სპერისა] სფერისა ABC; 515,1 მთოვარისა]  
 მთავრობისა D; 564,1 შემაერთი] შეერთების ABC; 576,4 მნათი]  
 მათნი D; 578,5 გუყავს (კონიექტურა)] გუაქუს ABCDEF; 579,2  
 ჰყვანდა (კონიექტურა)] აქუნდა ABCDEF; 598,1 ნათელი] სული  
 D (კარგი წანაგითხია: „განუტევა სული“ resp. „განუტევენა სულნი“,  
 მაგრამ იგი მარცვალნაკლულია); 600,4 ტიხი] სტიხი E, ტიხნი B;  
 601,3 განჰყარგნა] განყარგნა DF, განყაზმნა ABC; 624,4 მიაგნის]  
 მიაგის D; 625,3 საწურნი] საცურნი D; 628,2 ნიადაგ] — C; 635,4  
 მესისთა (კონიექტურა)] მისისთა ABCDEF; 651,3 დამეტრობის]  
 დამერთობის D; 654,3 სამოელ] სამო C; 659,1 ვარდანის] ვარ-  
 დანს D; და თან-მედროთა] დათან-მკედროთა D; 664,4 ჰმწყსიდა],  
 ჰსცვდა D; 676,2 შურებოდა] ჰშუშნოდა D; 681,1 კიდულნი] კი-  
 დურნი D; 695,5 დიდებად] დადებად D; 700,1 ოქრო-ჯმა] ორ-  
 ჯმა D; 701,5 ნათლით] მადლით DE; 751,2 ღირსო] დიდო B;  
 816,2 ჰქმნნა] ჰყუნა AC; 849,3 შენ თავსა] შენთასა AC; 849,4  
 დაწუ-წარბ-წამწამთა (კონიექტურა)] დაწუ წარბ-წამთა AC, დაწუ-  
 თა წარბ-წამთა BDEF; 859,1 ჩემ] მე ABCDEF.

მე შეგნებულად შევიკავე თავი ორთოგრაფიული ხასიათის  
 ვარიანტების მითითებებისგან. ეს ვარიანტები არც შინაარსს ჰმა-  
 ტებენ რაიმეს და არც იმ ორთოგრაფიულ მხარეს სცელიან, რომ-  
 ლის შესახებაც ზევით იქონდა საუბარი. მათი ამოწერა მხოლოდ გა-  
 დატვირთავდა ისედაც უამრავი წვრილმანით აღსაყვ ნარკვევს. და-  
 ინტერესებულ მკითხველს ჩემი ნათქვამის სისწორეში შეუძლია  
 დარწმუნდეს „წყობილსიტყვაობის“ პირველი და მეორე გამოცე-  
 მების გადაკითხვისას.

ტექსტის გაგებ-სათვის ყველა საჭირო ცნობა მოცემულია გამოკვლევასა და ლექსიკონში, რომელშიც სრულადაა შეტანილი და განმარტებული იშვიათი და არქაული სიტყვები. მათ ნაკლს ავსებს ტექსტის სქოლიოებში ჩართული კომენტარები და წყაროთა მითითებანი. აუცილებლობის გამო ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ავციდი გამეორებას, რაც ლექსიკონში აღნიშნულიცაა.

დასასრულ, ესლა დამრჩენია სათქმელად: ჩემს მიზანს შეადგენდა მკითხველისათვის მიმეწოდებინა „წყობილსიტყვაობის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი ფილოლოგიური გამოკვლევით, ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონით. რამდენად შევძელი ამ მიზნის განხორციელება, ამისი ობიექტური განსჯა მკითხველისათვის მიმინდვია.

საქმიანი შენიშვნებისათვის ყველას წინასწარვე მადლობას მოვახსენებ.





ՄԻՆ ԻՆԻՄԻՆ ԵՏԸՈՒՄ ԶՈՒՄԻՆ

715

Ընթացի թատի Գառայնեան ընդմիջող  
Նոցայտ ըստմիտ զհմարի պ զլուս թ հմ  
Իրացի ըստմիտ ըրի Նոհմեմ թ պայան  
Բոցեան ըստմեմ զհմար Նոհմեմ ՈՒՄԻՋԵՄԻՆ  
Երգի պեպ Նոցայտ Գնեմարի թ զմեմ

716

Երգի ըստմիտ ըրի Նոհմեմ  
Գնեմարի պեպ ըստմեմ ըրի Նոհմեմ  
Գնեմարի պեպ ըստմեմ ըրի Նոհմեմ  
Գնեմարի պեպ ըստմեմ ըրի Նոհմեմ  
Գնեմարի պեպ ըստմեմ ըրի Նոհմեմ  
Գնեմարի պեպ ըստմեմ ըրի Նոհմեմ

ՄԻՆ ԻՆԻՄԻՆ ԵՏԸՈՒՄ ԶՈՒՄԻՆ

717

Ինտերի Բան ըստմեմ ըրի Նոհմեմ  
Երգի ըստմիտ ըրի Նոհմեմ  
ՈՒՄԻՋԵՄԻՆ ըստմեմ ըրի Նոհմեմ  
Երգի ըստմիտ ըրի Նոհմեմ  
Երգի ըստմիտ ըրի Նոհմեմ  
Երգի ըստմիտ ըրի Նոհմեմ

718

Երգի ըստմիտ ըրի Նոհմեմ  
Երգի ըստմիտ ըրի Նոհմեմ  
Երգի ըստմիտ ըրի Նոհմեմ  
Երգի ըստմիտ ըրի Նոհմեմ  
Երգի ըստմիտ ըրի Նոհմեմ  
Երգի ըստմիտ ըրի Նոհմեմ

Գնեմարի

სადაც არაფერია (სადაც არაფერია)  
დაც დასრულებულია, დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია, დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია :

დასრულებულია დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია :

დასრულებულია დასრულებულია :  
დასრულებულია დასრულებულია, დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია, დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია :

დასრულებულია დასრულებულია დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია, დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია, დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია  
დასრულებულია დასრულებულია  
დასრულებულია :

დასრულებულია დასრულებულია დასრულებულია  
დასრულებულია :

- დასრულებულია დასრულებულია - - - 1766 :
- დასრულებულია დასრულებულია - 1768 :
- დასრულებულია დასრულებულია - - - 20 :

S 346 (B) ნუსხის თავფურცელი, გადაწერილი სიონის პროტო-პრესვიტერის ნიკოლაოსის მიერ. შტრი: Q 78 ხელნაწერის თავფურცელი (1r), ანდერძი (341v), წერის მანერა და მელანი (პირველი გადაწერილია 1768 წელს, მეორე 1769 წელს).





ՄԵՐՈՒՄԻՆ ԾԻՄՈՒՄԿԱՆԵՆ 2

ԵՍԵ ԻՆՎԵՏԻՐ ԿՈՄԻՏԵ ԶԵՆԻՄԵՆ ԻՈՎՈՒՄԻՆԵՆ ԿՍԻ  
ԻՆՎԵՍՏԻՐ ԿՈՄԻՏԵՆԵՆ ԶԵՆԻՄԵՆ Կ

Կարգադրումը կատարվում է ըստ հետևյալի: 437

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

Եթե հարկերը մեծ են, ապա հարկերը կտրվեն:

ՄԵՐՈՒՄԻՆ ԾԻՄՈՒՄԿԱՆԵՆ 2



ჩაგლითა შუათა შექმნილნი ნივთი ესე  
ქრთმითა და სიბრძნითა ანს დატვირთული ვართან.  
მადამცე შინებს წყევლით სიკვდილისა და სიკვდილისა.  
და აღწავლის აწივლის მადლს მამისა და  
წინა ეს ხელს აწივლის სიკვდილისა.

ცთილსა. მარტის. 21: წელი. 1745.

S 1 (E) ნუსხის გადამწერის ნეოფიტეს ანდერძი. კიდურწერილობა: „ნეოფიტე“  
დაწერილია წითურად. თარიღი, „1795“ ისეა დაწერილი, რომ კაცმა შეიძლება  
წაიკითხოს „1745“-ად.





ღაქონ ზნა. რქონს ცუჯანთა მათუნთ.

მის ზეცუენსა აღბნა ვა. მისთა ზეცუნსა ვის წყოს.

შენსა ვინა ვიქნა ანუ ვინ თუ ვინა ვიქნა.

სამამ საყდრნი სოცუენთა ვიძღუენთა მათა.

სამამ ღაქონ ვინა. სოცუნთა ანუ სხუთა უაყდრნი.

შეუეს ვიქნა ვინა. ანუ შამათა ვიქნა ვინა.

ქონ აღბნად უაყდრნი სიმბნით ანუ ვინა მისა ვიქნა.

მაქნათა ქნა ვინა. მისთა ზეცუნსა ვინა. მათსა ვინა.

ღაქონ ზნა. რქონს ცუჯანთა მათუნთ.

სამამ

ღაქონ ზნა. რქონს ცუჯანთა მათუნთ.

სამამ ღაქონ ვინა. სოცუნთა ანუ სხუთა უაყდრნი.

შეუეს ვიქნა ვინა. ანუ შამათა ვიქნა ვინა.

ქონ აღბნად უაყდრნი სიმბნით ანუ ვინა მისა ვიქნა.

მაქნათა ქნა ვინა. მისთა ზეცუნსა ვინა. მათსა ვინა.

ღაქონ ზნა. რქონს ცუჯანთა მათუნთ.

სამამ ღაქონ ვინა. სოცუნთა ანუ სხუთა უაყდრნი.

შეუეს ვიქნა ვინა. ანუ შამათა ვიქნა ვინა.

ქონ აღბნად უაყდრნი სიმბნით ანუ ვინა მისა ვიქნა.

მაქნათა ქნა ვინა. მისთა ზეცუნსა ვინა. მათსა ვინა.

სამამ

H 2307 (F) ნუსხის გადაწერის ანდერძი. ხეულად იკითხება: „ალესისძე რეცორი დავით“.

სადაც იქნა ჩადსა უნდა წაიკლინებოდეს სიყვარულსა

სა მისას : 1800 : 14 : 15 :

მოდის ჭარბიდან ქმის ზოდის : 1800 : 14 : 15 :

სიყვარულსა მის სიყვარულსა შავიდან : ქალაქის  
ქალაქის სიყვარულსა მისიდან : უნდა უნდაც  
სიყვარულსა ქვით სიყვარულსა შინა ხელისა სიყვარულსა  
მის :

ქვით სიყვარულსა ქვით სიყვარულსა : 14 : 15 :

სიყვარულსა უნდაც სიყვარულსა მის უნდაც  
სიყვარულსა შავიდან უნდაც სიყვარულსა :

უნდაც სიყვარულსა მის უნდაც სიყვარულსა  
სიყვარულსა უნდაც სიყვარულსა უნდაც სიყვარულსა  
სიყვარულსა უნდაც სიყვარულსა :

სიყვარულსა უნდაც სიყვარულსა უნდაც სიყვარულსა \*  
სიყვარულსა უნდაც სიყვარულსა უნდაც სიყვარულსა \*

სიყვარულსა უნდაც სიყვარულსა უნდაც სიყვარულსა

H 2307 (F) ნუსხის გადამწერის ანდერძი. ხეუღლად იკითხება: "ალექსისძე რეკტორი დავით".

ჩაწერილია პ. ტავი უ

თავს მდევრის მდევრის რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა მდევრის რამდენს

447 ვინმის მსგავსი რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა

458 რამდენს უნა მდევრის რამდენს  
მდევრის რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა

459 მდევრის რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა

460 მდევრის რამდენს უნა  
მდევრის რამდენს უნა

ჩაწერილია

H 2307 (F) ნუსხის 146-ე გვერდი, 459-ე სტროფად იკითხება „შეუბღალველის სულის მოძრაობით“, რომელიც შეთხზული უნდა იყოს თვით ვადაშვილის მიერ (მღრ.; აქვე E 65/79 ნუსხის ფოტოპირი).

ხსენი...  
 457...  
 458...  
 459...  
 460...

ლენინგრადის E 65/79 (N) ნუსხა, გადაწერილი იოსებ ნაზაროვის მიერ  
 1840 წელს დავით რექტორის ნუსხიდან.

214 წიგნი ზღვათა . ქალაქნი მსხვერპლნი .  
გაჲრა შაჲრა . სამხედრო სიგნალი .  
შინათ ქოთათ . ჲე თბა სასიგნო .  
წინ სიგნალი . სამხედრო . სიგნალი .  
წინ სიგნალი . სამხედრო სიგნალი .

215 წიგნი სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .

216 წიგნი სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .

217 წიგნი სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .

218 წიგნი სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .  
სამხედრო სიგნალი . სამხედრო სიგნალი .

29

~~29~~  
30

ბ ბ

H 2152 (H) ხელნაწერის 94v გვერდი, გადაწერილი 1808 წელს დავით დიაკონის მიერ (ეს ხელნაწერი დაედო საფუძვლად „წუობილისტყვაობის“ პირველ გამოცემას. ციფრები „29“ და „30“ მიწერილია პ. იოსელიანის მიერ კომენტარებისათვის).



133

Discours en vers, par le catholique  
Antoni son.  
copié par Joseph Lagarof.



édité par A. Lottin le 1860  
— à Paris, chez M. Lottin —  
— 1860, chez M. Lottin —  
— à Paris, chez M. Lottin —

POB LPOI

ლენინგრადის E 65/79 (N) ნუსხის თავფურცელი. ფრანგული  
ზედწარწერილი, ხელთრვა „ბროსეტ. 1840“ და სათაური „წყობილისტყუობა“  
ეკუთვნის მარი ბროსეს.



სადიდებლად ცხოველს-მყოფელისა თანა-არსისა და განუყოფელისა სამებისა — მამისა და ძისა და სულისა წმიდისა —

## ანტონისაგან არსნიჲჲსკოკოსისა

ყოვლად ზემოასა საქართველოასა, დავეითიან-ბაგრატიონისა, ქმნილი ანუ თქმული წიგნი —

## ფ ყ ო ბ ი ლ - ს ი ტ ყ უ ა ო ბ ა

ესე იგი არს განზომილ-სიტყუაობა, ბრძენთათჳს კეთილ-შესაქცევი, დროსა ყოვლად ბრწყინვალისა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა

## ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ი ს ა ,

მეფისა ყოვლისა ზემოასა საქართველოასა,

ზოლო მამათ-მთაერობისა თჳსისასა წელსა დასაბამითგან სოფლისა — 7276, კორციელით შობითგან სიტყჳსა ღმრთისა — 1768, თთუესა მეოთხესა, რიცხუსა 20.

ბიბლიოთეკის დასაღებად გამოყენებულ ძირითად ხელნაწერთა სია

- A — A** 334 (მხედრული, 1768 წ., გადაწერილია გიორგი ალექსიძის მიერ),
- B — S** 346 (ნუსხური, 1768 წ., გადაწერილია ნიკოლოზ ალექსიძის მიერ),
- C — სცა** 325 (მხედრული, 1788 წ., გადაწერილია იოანე ოსესძის მიერ),
- D — H** 192 (მხედრული, 1781 წ., გადაწერილია იოასაფის მიერ),
- E — S1** (მხედრული, 1795 წ., გადაწერილია ნეოფიტეს მიერ),
- F — H2307** (მხედრული, 1800 წ., გადაწერილია დავით რექტორის მიერ),
- P — S** 1464 (მხედრული, 1759 — 1760 წწ., გადაწერილია ტრიფილე მონაზონის მიერ. შეიცავს 298 — 301-ე სტროფებსა და მეხუთე ნაწილის იამბიკებს).

## ნაწილი პირველი

### ღმრთის-მეტყუელებისათვის

#### თ ა ვ ი I

##### თვის სამოგისა და ერთობისა

1. ერთი არს ზესთა დაუსაბამო კეთილ,  
ზესთ-ნათლოვანი, ერთობა სამ-პირებით,  
უდასაბამო და უმიზეზო-ყოფის,  
ერთის წყაროვან ორნი ნექტარნი მყოფნი,  
ვითარ მზისაგან შარავანდი და ბრწყინება.
2. გამოაბრწყინებს მისგან გამოკრთოლვილსა  
სიტყუას გონება ზესთა საესედ ნათლოვანდ,  
ვითარ მზე მისგან ნაბრწყინსა შარავანდსა,  
განუშორებლად ყოვლად მას შინა მყოფად,  
ვითარ გუასწავა ღმრთის-მეტყუელმან კირილე.
3. სულიცა მისვე გონებისაგან წყაროვს  
გამოვალს, ვითარ დაგვწერეს მამათა,  
არა თუ შობის გუარი არს გამოსლვაი.  
გარნა სხუად ვიცნობთ შობას, სხუაგუარ — გამოსლვას  
აღწერილთაებრ ღმრთის-მეტყუელთ თეატროთა.
4. მნებავეს მამისა უფროვს თქმა, რომლისაგან  
სწორება სწორთა ორთა აქუს მათდა ყოფა,  
გარნა მეშინის დასაბამის, ნუ სადა  
უდარესთა ვჰყო დასაბამ არა-ცნობილ,  
დავისაჯომცა განმხრწნელთაებრ განმყოფთა.

5. ვპირიდებ შენსაცა ესდენ უძლებებასა,  
ჩემ-ძლით ნუ სადა მსმენმან უფროსობისა  
ორად განჰკუეთო განუჭრელი ბუნება  
ყოველთა შორის უფრომისა კმევითა  
და განჭრა სამად ერთობა სამობისა.
6. მამა არათუ ბუნებითა არს უფროს,  
არამედ — უფრომს მიზეზობითა იგი,  
რამეთუ არცა არს თანა-არსთაგანი,  
არსებით უფროს, ანუ უმცროს მეორის,  
ფილოსოფოსთა სქესებრივითა თქმათაებრ.
7. მნებავს ძისაცა უფრომს პატივის-ცემა,  
ვითარცა ძისა, სულისა — უაღრესად;  
- არა შემინდობს მე წმიდა ნათლის-ლება,  
შესრულებული იგი სულისა მიერ,  
ვითარ ყოველნი განათლებულ ვართ ამით.
8. უფროსობაი ითქმის ესეგუართაგან:  
ანუ სიტყვითა, ანუ მიზეზობითა,  
ანუ ძალითა, ანუ აღმატებითა,  
ანუ სიზრქითა სიმდიდრისადათა კუალად.  
ისმინე, მსმენო კეთილ-მსახურო, ესე:
9. სიტყვითა — ვითარ არსება ზედ-შესრულთა,  
ძალითა — ვითარ თვით-მიმდრეკი სხეულსა,  
აღმატებითა — ვითარ საყდარნი სხუათა,  
სიმდიდრის სიზრქით — ვით განფენილი წერტილს,  
მიზეზით — ვითარ ნათესავი სახესა.
10. არცა ერთისა ამათგანისა სიტყუა  
შევიდეს შორის ზესთა ღმრთითა სამობის,  
ვინაითგან სიტყუა ეთქმის საკუთრად ძესა;  
მაშა, გონება უსიტყუო არა-ოდეს,  
არცა უსულო გუასმიეს სადაღამე.
11. თუ მყის თანად არს სამობა იგი წმიდა,  
მაშასადამე, უფროსობანი ივა  
წინათქმულები შევიდეს არცა ერთი.  
ამით დაიყავნ ჰირები მწვალებელთა —  
არიოსის და ეენომიოსის ბილწთა.

12. აღმსარებელნი შორის სამ-წმიდაობის –  
მამისა ღმრთისა, და ძისა და სულისა  
უფროსობისა თუთოთ აღსავალთაებრ  
ანუ პატივით, ანუ უაღრესობით  
შე-მცა-იჩუენენ სამ-წმიდითავე კმითა.
13. ზესთ-ღმერთთ-მთავრებრი ბუნება იგი წმიდა  
მებრ განცხადების საიდუმლოდ გამოჩნდა,  
იორდანეს რაჲ ნათელს-ილებდა სიტყუა;  
არ-გუამოვნების შერეენითა გუეცხადა,  
თუთებათ წესი, არა-ცვაღვითა მგები.
14. შეურეენელ არს სამ-გუამოვნება იგი  
და დამტკიცებულ თუთება-საცნობელად.  
არ-თუთებათა მიცვაღვით ურთიერთ-არს,  
რათამცა ნიშნი იცვაღვნეს ურთიერთ-არს.  
სწამებს თეატრო დიდებულთა მამათა.
15. ცვაღება ვითარ მამულისა ნიშისა  
იცვაღოს ძისად ან გარდვიდეს სულისად;  
კუალად, ანუ ძის სულს შეეთსოს რაჲმე,  
ანუ სულისა მიზეზსა, ანუ ძესა,  
ვინაჲთგან წესი თუთებათა მტკიცე არს.
16. ერთობითსა მას ბუნებისას რაჲ ვსჭურეტდე,  
არ-ზიარება თუთებათ მეცხადების,  
განყოფისათს თუთებათა სიმტკიცის,  
ესე იგი არს, შერეენა ანუ ცვაღვა.  
ეს გაიგონე, მსმენო კეთილ-მსახურო!
17. თუთება მამის არს არავისგან ყოფა,  
რომელი-ესე გუარწმუნებს მიზეზობას.  
ესე თუთება არც ძისა არს, არც სულის,  
ვინაჲთგან მამა მხოლო არს ორთა მიზეზ,  
და შეუძლებელ მათთს მიცემად ესე.
18. უკუეთუ სიტყუა შეიქმნა პირველ არსთა,  
რადღა საღამე ეწოდების მას სიტყუა?  
არცა საღამე უზენაეს იყოსმცა!  
ვინაჲთგან მზისა უცხო არს გამოკრთოღვის,  
რად შარავენად მზისა უწოდეს ცოფთა?

19. უკუეთუ სიტყუა მამისა არს სიტყუაი, უგონებოი არა იყოსმცა იგი! ნაწილ სადამე აქუს მამის გონებისა და ცხოვრებისა ზესთა მისისა ზიარ იყოსმცა, ვითარ თანა-არსი მამისა.
20. ევნომი ზიარ არიანოსთა, უწყით, რომელთა ჰგონეს სიტყუს შექმნა მამისგან, გარნა თქუა პირველ მათუს დამჯობად დავით: „საშოფთ, მთიების უწინარესო, გშეე შენ“, ხოლო სიტყუთა თქუა ცათა დამტკიცება.
21. სული წმიდა არს ღმერთი, ღმრთისაგან მამის მხოლოდსგან წყაროჲს გამოსრულ არს ძეგებრ, რომელსა ძისგან მოვიღებთ მორწმუნენი, ვითარცა ბროლსა, მდინარესა ცხოველსა, უკუდავების და განცხოველების მიზეზს.
22. ძე — მამისაგან, სულიც — მისგანვე მამის, ორნივე დაღათუ — სხუა და სხუა-გუარად ესე, ვით მკურვალეზა და ნათელი ცეცხლისგან სხუა და სხუა-გუარად ჩანან სახილველობით, მცნობელობითთა ძალთაებრ უწყებულნი.
23. დაღათუ სული ძისადცა იწამების, ვითარ ვისწავეთ საკრველისგან პავლშს, გარნა არა თუ გამოსლვა აქუნდეს ძისგან, არცაღა მიზეზ ძე სულისა არს იგი, რამეთუ მხოლო მამა არს ორთა მიზეზს.
24. სული წმიდაი ანუ თავით თვსით მდგმოდ, ან სხუსა შორის ჯერ-არს სახილველობად. ორთაგან ამათ ერთი ითქმის არსებად, ხოლო მეორე შემთხუევითად გამოჩნდეს, ღმრთის-მეტყუელისა გრიგორისთა თქმათაებრ.
25. ესე ყოვლისა გმობისა არს უძრეს, რათა შემთხუევა ითქუას ზედა ღმრთაების, ხოლო სული არს ღმერთი, ვითარცა მამა, და თანა-არსი მამისავე და ძისა. აღივსნედ კდემით მაკედონეთნი პირნი!

26. ითქმოდედ ესე და იგალობებოდედ,  
 ვითარმედ: სული — ღმერთ, ცათა ღამამტკიცვი,  
 მხოლოდ მამისაგან წარმო არს გამოშავალ  
 და არა ძისგან, ვითა იჩქურა ახლად  
 ფლორენცას კოლტმან მეგელთამან უსირცხლოდ.
27. ურთიერთიდთა დატეენისა მქონებელ  
 არს პირობითი სამობა იგი გუამებთ  
 და უჟამონი ერთად დაუსაბამოდ.  
 ამისთვის არა განწვალებასა ვპგონებთ  
 აღმსარებელნი განუყოფელობისა.
28. განწვალვას სამთა გუამთას არიოსისებრ  
 და შეწვალვას საბელიანთა წესით  
 განვადებთ, ვითარ გუასწავა სამღუდელომან  
 სამას ათრვამეტთ ნიკეას შეკრებამან  
 კოსტანტინესთა დროთა მეფობისათა.

## თ ა ვ ი II

თჳს საღმრთოფსა შვიერთიბისა  
 ანუ განაორციილეზისა სიტყჳსა ღმრთისა

29. საიდუმლოი საღმრთო შეერთებისა —  
 ძნიად სასიტყუელ, გამოთქმად — შეუძლებელ;  
 აუგებელის აგებულს შეზავება,  
 დაუწყებელის დაწყებად შთამოსლვაი —  
 გაბრიელისგან ნაზარეთს სცნა მარიამ!
30. უკანასკნელთა ჟამთა უჟამო იგი  
 სიტყუა იშენებს სისხლთაგან მარიამის  
 კორცთა ტამარსა, რათა მეორედ მქმნას ჩუენ  
 თჳთ კაც-ყოფითა ღმერთ-ქმნად დაძუელებულის  
 კაცთა არსების და განახლების ყოვლად.

<sup>1</sup> ლუკა 1, 26—35.

31. ქალწულსა სძალსა თესლისაგან დავითის, უქორწილოსა, დაწინდებულსა ქმრისად ქალაქს ნაზარეთს, საღმრთო განგებულებით ეტყევს გაბრიელ სახარებასა უცხოს, თარგმანებისა მიუწვთომელსა გუარსა.
32. რაი არს ესე საიდუმლო უცხოი? მისდა მოსრულსა უქორცოსა ქალწული განკრევებული ეტყევს განუცდებლობას. ამას გაბრიელ სულისა ღმრთის მოსლვასა აღვსებად მისდა დაარწმუნებს ხარებით.
33. ზესთა სიტყვსა უცხოი საიდუმლო იმოქმედების ზესთა ღმერთთ-მთავრებრივად მუცელსა შინა წმიდისა მის სძლისასა, რომელსა შინა შევალს განწმედად სული და თუსად სიტყუა აღაგებს კორცთა ტაძარს.
34. წულილ-მოგონებით შეუპყრობელ არს ესე, ზესთა ნათლისა სამ-პირად შესმენილის, ერთი სამთაგან შთამოვალს ხატსა შინა ზრწნილსა ცოდვითა დამდაბლებით მდიდარი, ვითა თქუა პავლე, ყოვლად ბრძენმან მოძღუარმან.
35. მიდგომილება უთესლო ქალწულისა არათუ გუამსა დაჰხატავს კაცისასა, გარნა იგივე ზეცით გარდამოსრული სიტყუა, შობილი ღმრთაებისაგან წყაროჲს, ჰყოფს შეერთებას ბუნებათასა უცხოოდ.
36. სისხლთაგან სძლისა უქორწილოჲსა სიტყუა კორცთა შეჰმზადებს საკუთარ თუსა ტაძარ და შეიერთებს მგონებელს თინა სულსა განუშორებლად თუსისა ღმრთაებისა, რომლით კაც-ქმნასა სრულსა ვსცნობთ სიტყვასა.
37. გუამი სიტყვსა შეზავდების, ისმინე, მარტივი იგი უცხო შეზავებისა, რაჟამს ორობა ბუნებათა მის შორის შემოკრებებიან შეერთებად მოსრულნი შეურევნელად და უცხოდ გარდაქცევის.



38. ორობა იგი ბუნებათა სიტყვსა  
 შეზავებულ ჰყოფს გუამსა გამოუთქმელად,  
 ამისი პირველ საღმრთო მან ისაია  
 „ევმანუილ“ თქუა სახელი შესაბამი<sup>2</sup>,  
 რომელ არს „ღმერთი ჩუენ თანა“<sup>3</sup>, მსგავსი ჩუენი.
39. შანთი ოქროსა ბუნებისაგან ოქროს  
 განცეცხლდეს, არა თუსსა წარსწყმედს ბუნებას,  
 გარნა სრულიად ცეცხლ იქმნების ბუნებით,  
 ხოლო ოქროსა და ცეცხლის ბუნებანი  
 შეაზავებენ ნაკუეთსა შანთისასა.
40. შეზავებისა ჯორცთა და ღმრთაებისა —  
 არტემონს, პავლეს, ფოტინოს, დიოდორეს,  
 თეოდორეს და ნესტორს — უღმრთო განმყოფთა  
 განაგდებს წმიდა ხალკიდონელთა კრება  
 და შეუდგების საზღვარსა კირილესსა.
41. შეურევნელად შემოკრებად მოსრულნი  
 ერთ-პირობითად ორობა ბუნებათა  
 შეაზავებენ აუგებელსა გუამსა,  
 ხოლო უკუეთუ შეზავდეს გუამი საღმრთო,  
 ვერღარა განჭრას ცნობამან ნესტორისმან.
42. პურია-ცნობა ნესტორის საძაგისა  
 იტყვს სხუა გუამად დაქსნილსა ჯორცთა ტაძარს,  
 ხოლო დაქსნილის ტაძრისა აღდგომასა  
 სხუა გუამისაგან სიტყვსა უსირცხლოდ  
 განჰკუეთს ორობას და არღუევს შეზავებას.
43. არათუ შედგა ნაწილებთაგან ერთი,  
 ყოვლადი რამე, ვითარ სახე კაცისა,  
 მგონებელის და მგრძნობელისაგან ერთი,  
 არამედ მრჩობლნი ბუნებანი ყოვლადნი  
 შეასრულებენ დაუწყებელსა გუამსა.

---

<sup>2</sup> ესაია 7, 14. <sup>3</sup> მათე 1,23.

44. უკუეთუ მეცნნი ღმრთიეთა მათ წერილთაგან  
ირწმუნებთ, ვითარ ღმრთად მყოფი სიტყუა ღმრთისა  
ძე კაცის იქმნა, სცანთ სამე: „ერთ არს ქრისტე,  
ღმერთი და კაცი, იგივე ერთი — ქრისტე“, —  
ესე გუასწავა საღმრთომან ათანასი<sup>4</sup>.
45. ვინაჲთგან ერთსა შეაზავებენ პირსა  
ორნი სადამე ბუნებანი ყოვლადნი,  
ვნებულისათა განითვისებს სადამე,  
უვნები იგი ამით შეერთებასა, —  
გუაცნობებს წრფელად სამღუდელო ამფილოქე.
46. ანტიოხოს თქუა, მწყემსმან პტოლემეაიდის:  
„შეურევნელად მეტყუელო ბუნებათა,  
არა მოჰმედგრდე შეერთებასა შინა!“ —  
ამით არათუ ორად განჰკუეთნა პირად  
ორბუნებანი მეფისა და მონისა.
47. კირილე დიდმან დროთა თეოდოსისთა  
მიმძლავრებულნი განმყოფთაგან ვეშაჰთა  
თავისუფალ ჰყვნა, ძენი კეთილ-მსახურნი,  
ბროლის სფერათა ცისა უვრცელესითა  
გონებითა და ღმრთივ-მეტყუთა ცნობითა.



48. განმზილველ თუ ვინ გამოჩნდეს კეთილ-მბჭობელ  
მარცუალთა, ლექსთა, სიტყუათა ვითარების  
ზემოწერილთა ერეტიკოსთა ცრუთა,  
ჰპოვებს სიმრავლეს გმობათა პირად-პირადთ;  
მაშინ სცნობთ სიბრძნით მწერალთა წერილთაგან.
49. მე კუალად ჩემსა სლვად ვიწყო მეგრ ძალისა,  
რომელსა ველიდი გზასა ზემო-წერილით;  
განვჰკუეთო ძნიად თქმულნი ესე სიტყუანი,  
ერეტიკოსთა მწვალებელთათუს რაცა  
მითქუამს აქა, მე, მოქმედმან თანა-წარსლვის.

<sup>4</sup> შტრ.: ათანასი ალექსანდრიელის „საკითხავნი წმიდისა ქრისტეს შობისანი“  
(სინური მრავალთავი 864 წლისა, 1959, გვ. 31—39).

თნს პორციულად შობისა სიტყვსა ღმრთისა და  
ჩხულ-შუენიერებათათნს განგებულებათა საღმრთოთა

50. შობა სიტყვსა მეშვისაგან უხრწნელის,  
კაცებრ ჩემისა მებრ ყოვლად ბუნებისა,  
ბაგასა შინა ქალაქსა დავითისსა,  
რომელსა სპარსნი მეფენი ძღუნის-მრთმელობენ,  
მეცნნი ვარსკულავით შეუქმნელისა მზისა;
51. ვალაამისგან სქესისა შთამოსრულთა,  
სამთა ქალდეას მეფეთა სპათა მყვანებთ,  
ვარსკულავთ-მრიცხუელთა ახლისაგან ვარსკულავის,  
ვარსკულავისაგან სიტყვერ-მოკუდავისა,  
შობილი ჰპოვეს მთიები პირველ მზისა.
52. გამოუთქმელი საიდუმლო შობისა  
მარიამისგან უქორწილომსა სძლისა,  
ზესთა სიტყვსა, წარმტოლვარე ცნობისა,  
ესე იგი არს სიტყვსა განზრქელება,  
ჯორც-ქმნა უჯორცომს, შობა აუგებელის.
53. ქალწულმან ბეთლემს პირველ-საუკუნეთა  
სიტყუა, შობილი მამისაგან უფამოდ,  
ჰშვა თანა-არსი მშობელისა და თუსი,  
გარნა უხრწნელად სასწაულთაგან თუსთა  
ვიცნობთ უაღრეს ცნობისა და სიტყვსა.
54. ცხოველთ-მოქმედი, რვისა დღისა ყრმა-ქმნილი,  
სჯულისა მექმი სჯულსა ერჩის ყრმებრვისა,  
წინა-დაიცუეთს დამწყები სხვს კერძოსა  
საიდუმლოსა ახლის დაბადებისას;  
იროდის ევლტის, ეგვპტის კერპთა შესძრავს.
55. ახალსა პტულსა ჰასაკსა უბიწოსა,  
ეფერატიეთთა ჩხულთა ახალსა ჯეჯლსა,  
ყოვლად მწუანვილსა, ნამქსა უღმრთოისგან მეფის,  
ითნებს ზიარი ყრმათა ჯორცთა და სისხლთა  
და იზიარებს წინათ ვნებასა თუსსა.

56. გამოწოდების ევკპტით გამო მერმე  
პირმშოთა სჯულსა ღმერთი ყრმა-ქმნილი ერჩის,  
სუმეონისთა მკლავთაგან შეიცვების  
დაუტევენელი ხერუვიმთა საყდართა  
და „ნაზარეველ“ ისახელ-წოდებს სიტყუა<sup>5</sup>.

#### თ ა ე ი IV

თჳს ნათლის-ღებინა საღმრთოღსა და ღმერთ-მამაკაცებართათჳს  
მოქმედებათა, და ვნებათათჳს და აღდგომისა, და ზეცად  
აბაღლებინა და მარჯუენით მაჳისა დაჯდომისათჳს

57. წყალთა შემკრები შესაკრებელსა ერთსა  
განშიშულეული წყალთა შთასლევითა განსწმედს,  
აღამს აღაგებს, დამალულთ დანთქამს ვეშაპთ;  
აქა და თაბორს „ქედ საყუარელ“ იცნობვის  
მამისა მიერ თანა-არსის მიზეზის.
58. ღმერთ-მამაკაცი, ერთი ორთა მოქმედი,  
ერთ-სახილველსა ერთ-ქუმედბარის გამო  
ორთა აჩუნებს, ვითა მახული ცეცხლი,  
სწუევედეს, ჰკუეთდეს სხუათ და სხუათა მოქმედი;  
ზღუას ბიჯებით ჰზომს თავისუფალი დანთქმის.
59. ახალთა თუალთა შობით ვერ-მხედსა შორის  
ნერწყვთ იქმს კაცი თიჯისა შეზელასა,  
ნათელს დაჰბადებს თიჯისა შორის ღმერთი,  
მეგობარს კაცებრ დასტირის სამარესა,  
მძორს დაყროლებულს ცხოვლად ავლინებს ღმერთი.
60. ერთი ორთავე იქმს ჩუენდა საცხოვრებელ,  
ილოცავს კაცებრ, თანა-წარჯდეს სასმელი,  
შეიოფლების ბუნებრითა შიშითა.  
ზედა-მოსრულთა, ვის ეძიებთ მკითხველი,  
დასცემს პირდაღმა, არ ევლტის შემპყრობელთა.

---

<sup>5</sup> მათე 2, 23.

61. უკუეთუ ღმერთმან არა იენომცა ვნება,  
უკუეთუ არა იეიცხვოდამცა სიტყუა,  
უკუეთუ არა მოკუდა უკუდავი იგი,  
სადა წარგუქდამცა სირცხვილი და ხრწნილება,  
სადალა – ცოდვა და სადა – სიკუდილილა?!
62. ღმრთისად ჯუარცმაი და ღმრთისად მოკუდომაი  
რაჟამს გესმოდეს, ჰოი კეთილ-მსახურო,  
გიქმს შენ რწმუნებად კირილე ნეტარისებრ,  
ხოლო არათუ უძნელისად შედგომა,  
ღმრთის ბუნებისად განჩემებად სიკუდილი.
63. კორციი ვინაფთგან არიან სიტყვსანი,  
კორცთა ვნებაცა უგიობელი სიტყვს  
ითქმის საკუთრად, გარნა შეუხებელად.  
ვითარ შობაი სიტყვსა, ეგრეთ – ჯუარცმა  
კორციელებრი; ესრეთ ჰრწამს ეკლესიას.
64. მრწოდედ უფსკრულნი და შეირყინედ მთანი,  
განცუფრდედ ცანი, დაქსნდებოდედ მნათობნი  
და ორიონნი ცისანი განკრთებოდედ,  
გარდაიქეცინ სიმყარისგან, ქუეყანა,  
ნერწყვსა მხედნი – ქმნილთაგან შემოქმედის.
65. სიონისანო ასულნო, განმავალთა  
იხილეთ სიძე სოლომონ ზესთა ღმერთთა,  
გურგუნოსანი ჟამსა სიძობისასა,  
დედისა მიერ წყევისა ნაყოფთაგან,  
გარნა სტიროდეთ თაეთა და შეილთა თქუენთა.
66. გუემულებათა ჩუენთა მტურთველი სიტყუა,  
ჩუენ ძლით გუემული, აღიღებს ჯუარსა ტურთვად,  
განვალს გარეშე ბანაკისა შეწირვად,  
მსხუერპლად ცოდვისა, რათა შექმსჭვალოს ჯუარსა  
კელით წერილი, ანტაკრად ჩუენდა ქმნილი.
67. აღქდების სიტყუა მაღალსა წარმოტყუენეად  
ტყვსა, რათამცა მოგუცა იგი ჩუენ ნიჭად  
და სადაფთ გამო, გარდა ქუესკნელად შთასლვით  
მოციქულთა და წინა-მეტყუთ, მახარებელთ,  
მწყემსთ-მომღუართ სამტკიც გუამისა ქრისტჳსისა.

68. მწარისა ჯუარზედ მსმელი ჰკურნავს აფსინდსა, სიკუდილით ღმერთ გუყოფს, სისხლითა გამოგვესნის და წყლითა განგუბანს სულითა განმწმედელი; დაფლვით აღმოგუშობს, აღდგომით გვზიარებს, ამაღლებული მარჯუენით თუსსა დაგუსხამს.
69. ესე ყოველი ჯორცითა განიგების.  
ქრისტესგან ჩუენდა ცხოვრების საიდუმლოდ;  
რომელმან იენო ჩუენითა მით ჯორცითა,  
მოკუდა და აღდგა ჯორც-შემოსილი სიტყუა  
და გზა გუყოცა აღსლვად მამისა მიმართ.
70. ამაღლდა ჩუენგან მითვე ჯორცითა ქრისტე,  
რომელი-იგი ღმერთი არს, ძე და უფალ,  
და შეიწყნარა მოციქულთა თუალთაგან  
ღრუბელმან ჩუენგან ამაღლებული იგი,  
ხოლო აღსრული ყოველთა ცათა ზედა.
71. სადაცა იყო პირველ სიტყუა მამისა,  
აღვიდა მუნვე, დაჯდა მარჯუენით მამის,  
სადა ჰშუენოდა ღმერთ-ქმნილსა შეერთებით  
ყოფა არსებას, არა ღმრთად გარდაქმნილსა,  
კაცადვე მყოფსა და ღმრთისად შეყოფილსა.
72. მანიქეველთა ვნებაი გონებისა,  
ტკივილი ცნობის ყრმათა უვალენტიისთა  
ათქმევს გრიგორის ტათეველსა ქრისტესთუს  
ზეციით მოზუმასა დედისაგანთა ჯორცთა,  
ხოლო ჯორცთასა ღმრთაებრ ყოველგან მყოფად.
73. ესე უფსკრული — პელეღო უღმრთოების,  
ერმანიტელთა ყოველთა ექმნა გუარსა  
მანინ სპარსისა მოწაფე-ყოფა ყოვლად,  
გარნა ჩუენ სიტყუა, ჯორც-შემოსილი ჩუენთუს,  
გუცავს ვნებისაგან ყოვლად ამის ხატისა.
74. ნესტორის მიმართ წყევა მეთორმეტე  
სანატრელისა კირილე ღმრთის-მეტყუელის,  
ვითარ გუასწაუებს ღმრთისად ვნება-ჯუარცმაი,  
ყოვლითურთ ჯორცით ჩუენცა ეგრეთვე გურწმენა  
კეთილ-მსახურთა განმღრთობილ გონებითა.

75. „მიტყევეთ, ძმანო, მსგავს-ყოფად ღმრთისა ვნების“, –  
 თქუა რაჲ ეგნატი, მწყემსმან ანტიოხიამს,  
 არათუ ყოელად შეუხებელისამი  
 თქუა ბუნებისა საღმრთოჲსა თჳსად ვნება,  
 ვითარ ეოცნა ეეტიქიანსა გუარსა.
76. ეგ სახედ ჩუენცა, აღმსარებელნი ამის  
 უმწუერვალესის შეერთებისა საღმრთოჲს,  
 რაოდენსაცა ჩუენსა ვიტყვთ საკუთრად,  
 ღმრთისად განჩენით ჳორცთ-საკუთრებისა ძლით  
 ჳორცთათჳს მეთქუნი ღმრთისადმი აღვიარებთ.

### თ ა ვ ი V

#### თჳს საღმრთოჲსა ეპსარიხტიისა

77. არსება პურის ფეშხუმსა ზედა საღმრთოჲს,  
 ხოლო სასმელსა განზაეება, განწმედილ  
 ღვნისა თანა წყლისა ღმრთიე-შუენიერად,  
 არსება-ყოფად გურწამს სრულად ჳორცთა სიტყჳს  
 გამოუთქმელი, საკვრველ საიდუმლო.
78. არა აზიმა, ესე იგი უცომო,  
 არამედ არტონ, პური შეზაეებული  
 ცომისა მიერ და შუენიერ მარილით,  
 ზაეებულიცა ღვნოი წყლიერ-ქმნილი  
 დაგებად ჳერ-არს შესაწირაჲად საღმრთოდ.
79. სათანადო არს მღუდეღეი მართლ-აღმსარე  
 მათ ყოველთაჲე სიტყუათა დოღმატებრთა,  
 რომელსა-იგი აღმოსაკლური წმიდა  
 ეკლესიაი მკუთნველი აღიარებს,  
 ესე წარდგომად, საღმრთო მღუდეღე-მოქმედებად.
80. საუფლოითა სიტყუათა კმა-ყოფითა  
 ხადილ-მყოფელი მღუდეღეი მამისა მიმართ  
 გარდამოვლენად მსხუერპლთა ზედა სულისა,  
 და რათა პური იქმნეს ჳორც ქრისტჳს მისის,  
 ხოლო სასმელი ქრისტჳს – მისისა სისხლად.

81. გამომსახველი თვით-თვითთა ჯუარის, ამათი მეთქუ, რომელი ითქუა ზემი, მერმე მესამედ ორთავე ზელა ნაკუეთთ<sup>ა</sup> სცვალეო სულით შენითა წმიდით ესე. აჰა, ქრისტესდა ჯორცად გარდაარსვა მყის!
82. ნიეთი ძღუენისა პური არის და ღვინო, გარნა ჯორცისა ქრისტესი, არცა სისხლის, რამეთუ იგი ვინაფთგან გარდაარსდენ არსებად ჯორცის და სისხლისა სიტყვსა, შემთხუევა დაშთა, სხუა არა რაიმელა.
83. კოპართა შინა პურისა და ღვინისთა იფარვის ჯორცი სისხლისა თანა სიტყვს; რაოდენობა აქუს თუთ მისვე ქრისტესი, რომელიცა აწ ზის მარჯუენით მამისა, ზოლო ერთი არს, რაზომცა სჭურეტდე მრავლად.
84. ტაბლა, რომელი დაიგებოდა პირველ ეზოსა შინა მეორესა მღუდელთათუს, გამოსახვიდა ტრაპეზსა ჭეშმარიტსა; ჯორცი სიტყვსა, სადაცა დაიგების მასპინძელ-ყოფად ღირსებით მიმღებელთა,
85. მღუდელთათუს იყო იგი, ლევიტელთათუს, არა სხუათადა, განალა რჩეულთათუს. ეგ სახედ აწცა ნამღვილ ჯორცი სიტყვსა და ზოლო სისხლი არს მხოლოდ წმიდათათუს არა დაფენით ძალლთადმი დასათრგუნველ.



86. საიდუმლოთა ეკლესიისა რიცხუნი შუდ-ნათელისგან სასანთლისა ვისწავეთ<sup>7</sup>; ვითარ „იგავთა“ შუდ-სუეტად თქუა სოლომონ<sup>8</sup>, ეგრეთვე კრება მსოფლიო მითვე რიცხუთ ეკლესიასა მოეცა მამათაგან.

<sup>7</sup> ნ ა კ უ ე თ თ — ესე იგი პურსა და სასამელსა ზელა. ანტონი.

<sup>8</sup> გამოცხადება 1, 20. <sup>8</sup> იგავნი 9, 1.



თქს უნდთა მსოფლიოთა კრებათა

87. ნიკეას პირველ ბრწყინვალესა ქალაქსა კოსტანტინეს ზე წმიდისა მონარხისა სამას ათრეამეტთ ირემთა სიტყუერთა, ერთმანერთისა მხილველთა სულისა ძლით დასცეს ახალი სხუაი ქოლოლა-გომორ<sup>9</sup>.
88. ამათ განმეკეს ღმრთივ-კრთოლვილთა ელვათა არიოს უღმრთო, განმჭრი თანა-არსების. ასერგასისთა მეორითა შეკრებით პორფირს ქალაქთას თეოდოსის ზე დიდის მაკელონიოს შთაჰხადეს ქუესკნელთადმდე<sup>10</sup>.
89. ასერგასისთა ამათ შეთქმულეზამან, რომელმან დასცა მაკელონ სულის მემობი აპოლინარით, ვინ ჯორცთა სიტყუსათა უგონებოთა წარჰრეედა უსირცხლოდ, მოგუცა სიმეოლი ათორ-ტაეპოვანი.
90. ორასთა შეჰკრებს თეოდოსი მეორე განხილვად საღმრთოჲს შეერთების განჭრისა, რომელი სთხია თხიერმან საძაგელმან ნესტორ, უკუმთქმმან მხოლოდ-შობილის სიტყუს განკაცებისა გამოუთქმელისამან.
91. კირილე საღმრთო აღმომზეობს ეგუპტით მიტროპოლიას ეფესელთა ქალაქსა ორასთა თანა მამათა კრებისათა; სიტყუსა ჯორც-ქმნას გარდამოსცემს ბრწყინვალედ, საკუთარ ღმრთის-მეშვს შეგუასწავებს მარიამს<sup>11</sup>.

<sup>9</sup> ეს კრება გაიმართა 325 წელს ნიკეაში.

<sup>10</sup> მეორე კრება გაიმართა 381 წელს კონსტანტინოპოლში.

<sup>11</sup> მესამე კრება გაიმართა 431 წელს ეფესოში.

92. ექუსას ოცდაათთ ვარსკულავთა სიტყვერთა  
 ესფეროების ქალაქი ქალკედონი,  
 ღამესა განჰქდის უღმრთოთა შემრეველთას;  
 ევტიქის, სხუასა მანენტოს დიოსკორეთ  
 წარჰგზავნის ფსკერად, ჯოჯოხეთისა სიღრმედ<sup>12</sup>.
93. მარკიანეს ზე და პულხერიას, ბრძენთა  
 მეფეთა იქმნა შეკრებულება ესე.  
 ორთაგან კუალად ორთა შინა ბუნებათ  
 სიტყუა ჰქადაგეს შემდგომად შეერთების  
 ძეგლ-დამდებთ ამის ლეონისთა სიტყუათა.
94. ექუსას ათხუთთა მამათა შეკრებულთა  
 აგუსტოსის ზე იუსტინიანესსა  
 შეჩუენებულ ჰყენეს წერილნი ორიგენის,  
 კუალად — წერილნი თეოდორიტეს, იბას,  
 ზოლო სევეროს მთუარით გუემულიც — მათთან<sup>13</sup>.
95. პოლონატისა ზედწოდებულის მეფის  
 მიერ შეყრილნი ასსამეოცდაათნი  
 სამეუფოსა ქალაქსა ერთნებათუს,  
 ორნი ნებანი, მოქმედებანიც სიტყუს  
 მოგუცეს რწმუნებად განმკუეთელთა სერგისთა<sup>14</sup>.
96. ერთ-ნებანთა კრებულთა შეჩუენება,  
 ორთ-ალსარება — ნებათ და მოქმედებათ  
 ქრისტესთა დადევს საღმრთოთა რაჲ მამათა,  
 კუალად სხუა მძაფრი აღატყდავე საწყმილი  
 იკონამახოსთ ლეონ ისავროფს გამო.
97. მზალოდ ლატრია ვისდაცა ჰმუენის, ვიციით;  
 სხუანი ყოველნი განჰყარნეს ხატთა მბრძოლთა.  
 ცხოველს-მყოფელის ჯუარისაცა ჰატივი  
 ღმრთის-მშობელისა სხუათა წმიდათა თანა  
 და ჯორცი სიტყუს თქუეს გარე-შეუწერელ.

<sup>12</sup> მეოთხე კრება გაიმართა 451 წელს ქალკედონში.

<sup>13</sup> მეხუთე კრება გაიმართა 553 წელს კონსტანტინოპოლში.

<sup>14</sup> მეექვსე კრება გაიმართა 680—891 წლებში კონსტანტინოპოლში.

98. კოსტანტინე და ირინა თუთ-მპყრობელთა  
კულად ნიკეას ჰქმნეს შეკრება მამათა;  
კოპრონიმოსის შეაჩუენეს კრებაი,  
წმიდანი ხატნი მოსცნეს ეკლესიასა  
და დაამტკიცნეს მათ მიერ უკუთქმულნი<sup>15</sup>.

99. ამათი რიცხუ არს სამას სამეოცი.  
ესენი ჰბეჭდვენ მსოფლიოსა კრებასა,  
ესე იგი არს, შემდგომად მათსა კრება  
დოღმატიისათჳს ცრუ არს, შეუწყნარებელ,  
ვითა ფლორენცას მგელთა შეკრებულება.

\* \* \*

100. ჩემ ან ტონის გან პირის-პირად ესენი  
დალექსულ იქმნნეს გუარსა ზედა დასდებლის,  
ხუთ-ტაეპოვან გალობად ჯმასა ზედა  
დმრთის-მეტყუელურად რიცხუთ ერთ-ასეულნი  
ქართველთ გონების დადებად საუნჯესა.

---

<sup>15</sup> მეშვიდე კრება გაიმართა 783—787 წლებში ნიკეაში.

## ნაწილი მეორე

### თჳს უზროდსად წმიდისა ღმრთის-გმობელისა

#### თ ა ვ ი I

თჳს უზროდსად წმიდისა ღმრთის-გმობელისა საიდუმლოთა  
სახით-მოსწავებანი კჳულთაგან საიდუმლოთა წერილთა

101. იაკობ, პირველ ლოდსა ზეთისა მცხებმან<sup>1</sup>,  
საშინელ-მეთქუმან, ადგილად წარსლვის მსწრებმან,  
ბჭედ ღმრთისად გთქუა შენ, კიბედ ღმრთისადმი მხედმან<sup>2</sup>,  
წინათვე გსახა საიდუმლოჲსა მწყებმან  
და სატრფო იტრფო მოლოდებისა მგებმან.
102. თანა-შთამოსლვის სიტყუამან კორცთა შესხმის  
შენ კიბედ გპოვა და ადგილად, ქალწულო,  
სადაცა ნივთნი კორცთა კარავისანი  
შეჰმზადნა, სისხლნი შენნი, ღმრთივ-კურთხეულო,  
დამკარებებელმან ჩუენ თანა შენ ძლით ღმერთმან.
103. ჯურღმულ<sup>3</sup> ფიცისა და ფრე არა-აღმოქმნილ,  
ხოლო ირისედ ჩუენდა ნიშად მშუღობის<sup>3</sup>  
იქმნა ქალწული, რათა დამაგნეს ღმერთსა  
და წარმკადნეს კულა რისხუაი ღმრთივ-აღძრული  
მომრთმელმან ჩუენდა მშუღობისა რტოჲსამან.
104. აღყუავილება კუერთხისა ჰარონისი<sup>4</sup>  
და კიღობანი უღპოლველისა ხისა,  
მოოქროვილი შინაგნით და გარეგნით<sup>5</sup>,  
კიდე მუშაკის ნაყოფისა სძლისაგან  
გამოღებასა ჰსახვიდა უწინარეს.

<sup>1</sup> შესაქმე 28, 18—19. <sup>2</sup> იქვე 28, 11—12. <sup>3</sup> იქვე 4, 12—14. <sup>4</sup> რიცხვთა  
17, 8. <sup>5</sup> გამოსლვათა 36, 1—2.

105. ოქრომს სასანთლე შუდ-ნათელი პირველად<sup>6</sup>,  
ტაკუკი, სავსე ზეციერთა პურით,  
სასაკმეველეთა მხოლოდ საღმრთო მსა ცეცხლის,  
ტაბლა, პურისა საღმრთო მსა დასაგები<sup>7</sup>,  
ქალწულისადმი წმიდისა იგავ იყვნეს.
106. შუდთაგან მადლთა სულისათა სიმდიდრეს,  
ტურთვას მანანას ზეციერისას ჩუენდა,  
მის შორის ყოფას ცეცხლისა განმლეველის  
და შეწყნარებას პურისა ცხოვრებისას<sup>8</sup>  
ქალწულისასა კსახვიდა საიდუმლოდ.
107. სუეტი ღრუბლისა, სადაით ღმერთი მოსეს,  
კუალად თუთ იგი სინა, ადგილი ღმრთისა,  
პირი მოსცხი, ხილვის მიმღებელი ღმრთის,  
დიდებულ-ქმნილი, შეუკადრები ჭურეტად<sup>9</sup>,  
საიდუმლონი იყვნეს ქალწულისანი.
108. ღრუბელი – ვითა შემწყნარე ბუნებითად,  
სინა – ადგილი ღმრთის გარდამოსლვის ჩუენდა,  
სად ჰზრახა ღმერთმან ბუნებასა კაცთასა,  
ნათლის შეხებით ვერვისგან სახილავი  
იქმნა მარიამ მხოლოდ დედათა შორის.
109. ეზო – მეორე წმიდა წმიდათა სძალი,  
საკურთხეველი საკმეველთა ქალწული,  
და კრეტსაბმელი შორის ორთა ეზოთა<sup>10</sup>,  
ხოლო ფიცარნი, ღმრთისა მიერ წერილნი<sup>11</sup>,  
ძუელადვე ესთა იქადაგა ჩუენ შორის.
110. სხუა არავინ არს სიწმიდითა ესე გუარ  
და მხოლოდ სიტყუა შევიდა ამის შორის,  
ხოლო არს მუნით შეწირვა ლხინებისა;  
კუალად არს შორის შემოქმედის და ქმნილთა  
და დაწერილ არს თუნიერ მწიგნობრისა.

<sup>6</sup> გამოცხადება 1, 12. <sup>7</sup> გამოსლვათა 25, 27—28. <sup>8</sup> იქვე 16, 31; რიცხვთა 11, 1—9. <sup>9</sup> გამოსლვათა 33, 9—10. <sup>10</sup> იქვე 27, 1—20. <sup>11</sup> იქვე 34, 1—8.

111. საწმისი, სადა ცროის უნივთო წჳმა<sup>12</sup>;  
 ჭურჭელი, სადათ იცხო სიტყუამან ღმრთისამან,  
 წყარო, სადა სმად გული უთქმიდა დაეითს<sup>13</sup>,  
 ხოლო ტაძარი განუთლელთა ქვათაგან,  
 შინაგან ქმნილი ოქროითა წმიდითა<sup>14</sup>.
112. ცროოდა წჳმა უსხეულო მას ზედა,  
 სისხლთაგან მისთა იქმნა ქრისტე ცხებული,  
 მისგან სმა იქმნა ცხოვრებისა მიმთხუევა,  
 არა შევიდა მას ზედა გამოცდადი,  
 შინაგან წმიდა იქმნა უფროჲს ოქროჲსა.
113. პილოს ძუალისა მოოქროვილსა საყდარს<sup>15</sup>,  
 სამეოცთ ძლიერთ შეცვეულსა მას ცხედარსა<sup>16</sup>  
 და გაეალაკსა ვეცხლ-სუეტოვანსა ბრძნულად,  
 ოქრო-სტოვილსა და პორფირ-აღსაეაღსა  
 სოლომონისსა<sup>17</sup> ემსგავსა სძალი წმიდა.
114. ძლიერ, და მტკიცე და სიწმიდით მოკრძაღულ,  
 და საგანმსუენო სიბრძნისა ზესთა ღმერთთაჲს,  
 ესთა შეცვეულად, რომელ მიუახლებელ,  
 ორბის და ღომთა და ძეთა მოქადულთა,  
 საყდარ ძერფასად გამოჩნდა სძალი წმიდა.
115. ღომთაგან შეცვეულ მენაკოვანად საყდრად<sup>18</sup>,  
 და კრეტსაბმელად<sup>19</sup> და ჰუნედ სოლომონის,  
 ფარაონისთა ეტლთა<sup>20</sup> შორის მსგავსებულ  
 ნელსაცხებელად<sup>21</sup> წარმოცლილად ქალწული  
 გამოისახა წინათვე საიდუმლოდ.
116. შეცვეულ არს ესე და მიუახლებელად  
 და შორის ღმრთისა და ჩუენსა შუამდგომელ.  
 ამით მოვიდა ღმერთი მაცხოვრად ჩუენდა  
 და ჭურჭლითა მით ნელსაცხებელისაჲთა<sup>22</sup>,  
 რომელ არს სძალი, წარმოიცალა ჩუენდა.

<sup>12</sup> მსაქულთა 6,37—40. <sup>13</sup> II მეფეთა 23, 15. <sup>14</sup> III მეფეთა 6,7; 6,21. <sup>15</sup> იქვე 10, 18. <sup>16</sup> ქება ქებათა 3, 7. <sup>17</sup> იქვე 3,9—10. <sup>18</sup> III მეფეთა 10, 19—20. <sup>19</sup> ქება ქებათა 1,4. <sup>20</sup> გამოსლვათა 15,4. <sup>21</sup> მარკოზ 14,3. <sup>22</sup> ლუკა 7,37.

117. მთად პოხილად და მთად შეყოფილად, მთად ღმრთის<sup>23</sup>,  
ქალაქად ღმრთისა<sup>24</sup>, ვისდა ითქუა დიდებულ,  
საყოფლად მალლის, რომლისა შორის ღმერთი,  
შუენიერებად იაკობისად — ამას  
გამოსახვიდა პირველი მამა თვისი.
118. სოლომონისად პალატად შუენიერად<sup>25</sup>,  
მტილად დაკშულად და წყაროდ დაბეჭდილად<sup>26</sup>,  
ასულთა შორის ყოველთა უმეტესად,  
ძლიერებითა და შუენებით შემოსილ  
ითქუა წინათვე დედა სიბრძნისა ღმრთისა.
119. ვეელმოანსა შინა ვენაკად წმიდად,  
სოლომონისა სიბრძნისა გამოძლებლად,  
რომლის ნაყოფი არს ათასისა ვეცხლის<sup>27</sup>,  
ყოვლად შუენიერ, უბიწოდ გამოუთქმელ —  
მრავალ-სახელობს ყოველთა შორის ესე.
120. საყდრად მზედ, ვითა წინაშე ღმრთისა ქმნილად,  
ხოლო მთოვარედ განმტკიცებულად სავსედ  
და მოწამედცა სარწმუნოდ ცათა შინა,  
ვისსა სიკეთეს გულმან უთქუა მეფესა,  
ასულად მეფის, შინაგან განშუენებულ,
121. მოიწოდების სიძისა მიერ ესე  
ლიბანით, კუალად — სენარით, აერმონით,  
საყოფელთაგან ლომთა და მათთა ვეფხთაჲს,  
რტოდ საკმეველის კუამლის უდაბნოჲთ გამო,  
ვისთა თითთაგან უხუად დამოსწუეთს მური.
122. აღმომჭვრვალედ ვარსკულაჲდ განთიადის<sup>28</sup>;  
კეთილ, ვითარცა მთოვარედ სავსედ მადლით;  
რჩეულად, ვითარ მზედ ტკბილად სახედველად;  
საკურველ, ვითა სამკაულად სფერაჲსად,  
რომელ არიან საკურველ-წესებულნი.

<sup>23</sup> ფს. 67, 15. <sup>24</sup> ესაია 60, 14. <sup>25</sup> III მეფეთა 7, 1—2. <sup>26</sup> ქება ქებათა 4, 12.

<sup>27</sup> იქვე 8, 11. <sup>28</sup> გამოცხადება 22, 17.

123. მტილად ნიგუზონად<sup>29</sup>, კუერთხით მოსწავებულად  
და ნარდიონად, გამოძღედ სუნნელების<sup>30</sup>,  
კუალად მანდრაგორ მასუნნელებულადე<sup>31</sup>,  
რომელი ჰკურნავს ახლისა რახელისა  
უშვილობასა წარმართთ ეკლესიისას<sup>32</sup>.
124. თუალად მხედველად ესეზინისა ტბათა,  
ანუ სისუფთით, ანუ უბიწოებით,  
ვითა ესებონს ტბანი კამკამიერნი<sup>33</sup>,  
რომლისა, ძმანო, დიდებულება დიდი  
ემსგავსა ფინიქს და სხუათა საიდუმლოდ<sup>34</sup>.
125. სკიპტრად მეფისა ასუერ არტაქსარის<sup>35</sup>,  
ესთერ სძლად წმიდად ზესთა ღმერთთა მეფისა,  
ფიცრად ეზდრაჲსა, რომელმან შეიწყნარა  
წერილ თვს შორის სიტყუა გამოუთქმელად<sup>36</sup>,  
ითქუა მარიამ წინათვე საიდუმლოდ.
126. სახლად აღესილად დიდებითა ღმრთისაჲთა  
და კუალად საყდრად, რომელსა ზედა მჯდომსა  
აქუს სერაფიმი მგალობლად მიდამოსა,  
სამ-წმიდაობით ერთ-უფლებით მგალობელ.  
ეჰა, რაბამ არს გუარი საიდუმლოჲსა!
127. ქარტად გრავნილად, სადა მალ მეიაერე,  
საწერელითა კაცისაჲთა იწერა<sup>37</sup>,  
ხოლო მიდგომილ სულითა მშობელ ძისა  
მსწრაფლ წარმომტყუენვის და მეიაერისა მის  
სულით ვინ ესე ათქმია ისაიას.
128. მთად და სახლ ღმრთისად მწუერვალთა ზედა მთათაჲს<sup>38</sup>,  
სადათ წარმართთა მისდამი მიმავალთა  
მოეთხრობის-ყე გზა მისი ყოვლად წმიდა,  
რათა სიონით იწარმოოსმცა სჯულმან,  
ხოლო სიტყუამან. — იერუსალემითგან.

<sup>29</sup> ქება ქებათა 6, 11. <sup>30</sup> იქვე 1, 11. <sup>31</sup> იქვე 7, 13. <sup>32</sup> შესაქმე 30, 22—23.  
<sup>33</sup> ქება ქებათა 7, 4. <sup>34</sup> იქვე 7, 7. <sup>35</sup> ესთერი 4, 10; 5, 2. <sup>36</sup> ეზდრა, 7, 11. <sup>37</sup> ესაია  
8, 1—3. <sup>38</sup> ზაქარია 8, 3—4.



129. კუერთხად, იესჳს ძირით აღმომცენარედ, შუდთა სადამე სულთა განსასუენებელ<sup>39</sup>, რათა ელინთა ზღაპრებული ცხად იქმნეს, საუკუნენი ოქრომსანი მოგუეცნეს — ძოენა მგელ-კრავთა და ვეფხუთა და თიკანთა.
130. ელინთ ზღაპარნი ოქრო-საუკუნენი და ჭეშმარიტნი მსგავსნი მოსწაეებანი; კარი და დათუ, ლომნი და ყრმანი ერთად, ასპიტის საშოფს ყმისაგან კელის-დება — მარიამის ძლით იქმნა ჩუენდა ესენი.
131. ქალაქი მტკიცე — მშუდობის საცხოვრები, ზღუდით, გარ-ზღუდით მიდმოვლებული მტკიცედ, სუბუქ ღრუბელი, რომელსა მჯდომარემან ეგვპტედ შესლვა განგებულ ჰყო, უფალმან, და კელით-ქმნილნი შესძრნა ეგვპტისანი.
132. შეურაცხ-ქმნილად ასულად გამოსახა, ახლად დანერგვად იერემია დიდმან, მაცხოვარებად, რომლისაცა გარემო უვიდოდესო მაცხოვარებას კაცნი, შეურაცხ-ქმნილსა ასულსა უღმრთოთაგან.
133. თეეიებნი მრჩობლ-ზომა, სწორნი ლელწმის, ესე იგი არს, იგივე სივრცე-სიგრძე, მუნ მდგომარენი, სადა ბჭე, აღმოსაელით შუდ-აღზარისხულთ ექუს-ექუს თეეის ზომათ<sup>40</sup>, გამოსახნეს სახედ მარიამისა.
134. ბჭედ აღმოსაველ, მხედად განუღებულად, არა ეისგანმე განსრულად, დაკშულ ოდენ, მხოლოდ უფლისა ღმრთისა ისრაელისა მიერ განსრულად, გარნა განუღებულად თქუა ეზეკიელ საიდუმლო ქალწულის:

<sup>39</sup> ესაია 11,1—4. <sup>40</sup> ეზეკიელი 40,5—10.

135. „ურთავად სახლის აღმოსავლად კერძო  
და კედლად სახლის მარჯულ საკურთხეველის,  
სადათ დიოდა წყალი საიდუმლოი,  
რომელსა განჰქდა წყალი მიტევებისა,  
სად წყრთის საზომით განიზომა ათასი.
136. კულად განზომა ათასისა მეორედ,  
ოღეს კულა კაცი ბარკლადმდე განჰქდა წყალსა,  
მერმე — წელადმდე და განზომა ათასი  
გარდამდულარე, სადათ დიოდა წყალი,  
ვერ-განსავალი ვისგანმე მებრ ძალისა“<sup>41</sup>.
137. ესე არს წყალი ცხოვრებისა მდინარე,  
წარმრღუნელი ჩუენთა ძნელ-სუნოვან მწვრეთა,  
გამომდინარე ჩუენებრ მარიამისგან  
გალილეაითგან აღმოსავლად მიმართ,  
ვიდრე ზღვს კიდედ წიაღვლ-განმწმედი წყალთა.
138. სადა მივიდეს წყალი, რათა განწმდესკე,  
იმრ და ამრ აქუს მას საჭამადნი ხეებნი,  
არა განმყრელი ფურცელთ, არცა კლებადი,  
რამეთუ წყალნი წმიდათაგან მოსდიან;  
აღმოცენება მათი იყოს სიმართლედ.
139. ესე არს: სად სწვთა სახარებაი საღმრთო,  
განწმდეს მიმღენი და განძღეს ნაყოფთაგან  
ხისა წმიდისა ჯუარისა ქრისტეისისა,  
რომელი-ესე აღმოცენა რწყვითა,  
კედლით მდინარით, ვინ ჰსახვიდა მარიაჲს.
140. მთად — სადათ ლოდი გამოეკუეთა, ქრისტე<sup>42</sup>;  
მთად — მაწთოლვებელ სიტკობებისა უზუად,  
ბორცუ — მადენ სძისა და სახლ — უფლისა, სადათ  
გამოვალს წყალი, ეკალთ ნალუარევისა  
მომრწყუელი, რათა განრყუნილ იქმნას ეგვპტე<sup>43</sup>;

<sup>41</sup> იეზუკ. 47,1—5. <sup>42</sup> დანიელ 2,34. <sup>43</sup> იოველ 3,8.

141. სიტკობებისა კუალად მთადვე მწოლოვარედ,  
 რათა ყოველნი ბორცუნი იქმნნეს ნერგოვან<sup>44</sup>;  
 და მთად უფლისა თხემთა ზედა მთათასა,  
 სადა ისწრაფეს ერთა მისლვად მისდამი<sup>45</sup>;  
 კუალად მთად ჩრდილოდ წმიდისა მოსლვად ჩუენდა<sup>46</sup>.
142. ამათ მთათაგან პირველად თქუა დანიელ,  
 მერმე — იოელ, მესამედ მერმე — ამოს,  
 მიქეა დიდმან — მეოთხედ შორის მათსა,  
 ზოლო მეხუთედ მოასწავა ამბაკომ  
 საღმრთო მარიამ — დედა ევმანუილის.
143. უკანასკნელი უდიდეს პირველისა,  
 დიდება დიდი სახლისა თქუა უფალმან,  
 წინა-თქმობითა მოასწავა ანგეა<sup>47</sup>,  
 რომელი იქმნა წმიდასა საყოფელსა,  
 ქალწულსა ზედა ღმრთისა სამკედრებელსა.
144. ქალაქ ჭეშმარიტ, მთად ყოვლისა მპყრობლისა,  
 ღმერთ დამკედრებულ და მთად წმიდად უფლისა  
 წინა-თქმობითა საღმრთომან ზაქარია<sup>48</sup>  
 მარიამი თქუა, სულითა წინა-მეტყუმან,  
 რომლისა შორის აღვეგენით მეორედ.
145. იერუსალიმ, სადაათ დის წყალი მცოცხლი  
 მრჩობლ ზღუათა მიმართ, რათა მხოლოდ უფალი  
 მეფობდეს ერთა ყოველთა ზედა ერთად,  
 ზაქარიასგან ძუელად მოსწავებული<sup>49</sup>,  
 სახვიდა სძალსა, მეშვსა მაცხოვრისასა.
146. ტამრად საკუთრად უფლისა მალაქია  
 სადა მყის მოსლვა შემდგომად ანგელოსის  
 ყოვლისა მპყრობის ღალადა წინა-თქმობით  
 სამიებელად სახლისა ისრაელის<sup>50</sup>,  
 მარიამისი იყო მოსწავებაი.

<sup>44</sup> ამოსი 9,13. <sup>45</sup> მიქია 4,1. <sup>46</sup> ამბაკუმ 3,3. <sup>47</sup> ანგეა 2,9. <sup>48</sup> ზაქარია 8,3.  
<sup>49</sup> იქვე 8,8. <sup>50</sup> მალაქია 3,1.

147. საყდრად სიბრძნისა ზედა ღრუბელთა სუეტის,  
სიონად, სადა დაიმკვდრა სიბრძნემან,  
საყუარელ ქალაქ, სიბრძნის განსასუენებელ,  
„ეკლესიასტეს“ შინა ზირაქის ძემან  
გთქუა წინათ, სძალო ყოვლად მიმადლებული<sup>51</sup>.
148. ღიბანად, სადა ამადლდა სიბრძნე ნაძუებრ,  
და აერმონად, სადა სიბრძნე — საროებრ,  
და იერიქოდ, ვარდის ნერგისა მეშუად,  
ზოლო ზეთის-ხის კეთილ-შუენიერისა,  
ველ მაცენებელ<sup>52</sup> მანვე გთქუა, კურთხეულო.
149. ვენაჯად, მადლის აღმომაცენედ, მანვე,  
ვისნი ყუავილნი — ნაყოფი დიდებისა,  
კუალად სამოთხედ, წყლისა გამომტევებელ  
მორწყევად თვთ სიბრძნის მტილის მწუანვილოვანის,  
გთქუა, კურთხეულო, „ეკლესიასტეს“ შინა<sup>53</sup>.



150. ამათნი თქმანი ძუელთა სახელთა მიერ  
ნათესავთაგან სანეტაროჲსა სძლისა,  
ტომთა ყოველთა შორის აღრჩეულისა,  
ოქროვილისა ულპოლველ კიდობნისა,  
ნიაჲ-წულილ-ჯმისა, რომლისა შორის — ღმერთი<sup>54</sup>.

## თ ა ვ ი II

თჲს დიდებაისა უზროდსად ჳმიდისა ღმერთის-მშობელისა

151. „გიზაროდენი“ სახარულევანისად  
კშუენის ბაგითა და გონებითა სძლისად  
ამადლებითა მისგან შობილისაჲთა.  
მიერთმოდედმცა ამას თაყუანის-ცემა  
მთასა წმიდასა, ვითა გუასწაჲა დავით.

<sup>51</sup> ზირაქ 24,3,10—11. <sup>52</sup> იქვე 24, 13—15. <sup>53</sup> იქვე 24, 19, 31—32.

<sup>54</sup> კიდურწერილობა ზეედან ქვევით ნიშნავს — „ანტონი“.

152. დიდება მისი არს მზისა დასარკება,  
რამეთუ ესე საღმრთო კათედრა სიბრძნის,  
ვითა მზე, ბრწყინავს ჩუენდა მეშარავანდე,  
აღმოსავალით მეფეთა შთამოებით  
აღმონაბრწყინი სოფლისა განათლებად.
153. წმიდა წმიდათა განესაკუთრა ამას,  
ღმრთისა მიგურილსა დიაკეულსა წმიდას,  
რომელსა შინა აღზრდა შესაბამ იყო,  
სადა მარტოდენ ერთ წელიწადსა ერთგზის,  
ლხინებისათჳს შევიდის მღუდელ-მთავარი.
154. საკვრველ იყო თვნიერ მღუდელ-მთავრისა  
ვისიმე შესლვა მღუდლისა წმიდა-წმიდათად  
და მისიც მხოლოდ ერთგზის სიმგრგულესა შინა,  
ხოლო მდედრისა ყოვლად შეუძლო იყო,  
გარნა მარიამ შევიდა შორის აღზრდად.
155. ჭეშმარიტება აიძულებდა მაშინ  
ზაქარიასა, საღმრთოსა დიდსა მღუდელსა,  
შეყვანებად მუნ ეზოსა შინაგანსა  
ყრმაასა სძლისა, სადა თუთ ერთგზის ოდენ  
ერთს წელიწადსა შევიდოდის ლხინებად.
156. ეჰა, განგება საღმრთოი საიდუმლოდ,  
რამეთუ აქა აღმოიჩინა საქმე,  
უფროჲს სიტყუსა ყოვლად დაზეეებული,  
ვინათგან ყრმაა სამ წლისა უაღრეს არს  
მღუდელ-მთავართაგან ცხებულთა უფლისათა.
157. მაშასადამე, უწმიდეს არს ყოველთა,  
რამეთუ მოსეს მუნ არა ეძლო შესლვად,  
რომელმან ზურგით უძლო მიხედვად ღმრთისა  
და პირის-პირად ზრახვიდის ღმერთსა მარად,  
რომლისა მსგავსი არავინ იპოვა სხუა.
158. მოსესა უფროჲს უაღრეს არს სადამე,  
ვინათგან ესე მუნ აღიზარდა, ვუწყით,  
სადაც მოსე ვერ იკადრებდა შესლვად,  
ვერცა სამოელ — ნიადაგ შორს ყოფასა,  
ვერცადა — იობ, ვერცა — დანიელ დიდნი.

159. ზემონი ჩუენგან წინადადებაენი  
 აღმოაჩენენ, ვითარმედ: უწმიდეს არს,  
 ყოვლად უაღრეს ყოველთა წმიდათაგან  
 საღმრთო მარიამ საქმეთაგან ცნობითა,  
 უგანწმედილეს თუთ წმიდის წმიდათადასაც.
160. დამაკლებს ღროი და უფროჲს საიდუმლო  
 თქმად აქა დიდთა დიდებათათუს მისთა,  
 რამეთუ ესე ყოვლად გამოუთქმელ არს,  
 რომელი მხოლოდ საუკუნითგან ღმერთმან  
 განზომა ოდენ არვისდა განცხადებით.
161. მთასა სინასა, თქმულ არს სარწმუნოდ ესე,  
 გარდამოვიდა ღმერთი საშინელებით,  
 წყუდიადით, კუამლით, აღმურით განსაკრთომელ,  
 კმით საყურისაჲთ და დიდებულ ჰყო ამით,  
 რომელ შემხები მოკუდის ისრით, ქვის სეტყუთ<sup>55</sup>.
162. მარიამ უფროჲს უაღრეს არს სინაის,  
 ამისთუს რომელ ხატი არს შემოქმედის,  
 არა უცხოველ, არცა ცხოველ უსიტყუო,  
 მუნ არარაი მიილო ღმერთმან მთისგან,  
 გარნა ამისგან არსება რომელიმე.
163. ანგელოსთაცა უდიდეს არს ქალწული,  
 ყოვლად უდიდეს, ვითა ვიცით ჰავლესგან,  
 არა სადამე იწყო ანგელოსთაგან,  
 უფროჲსდა სძლისა აბრაამიანისგან,  
 ესე იგი არს, იწყო აბრაჰამისით.
164. მრავალნი ვუწყით შობანი მშობელთანი,  
 უწყებულ-ქმნილნი ღმრთისა მიერ წყალობით,  
 ვისთესცა ჭვირან თქმანი ბრწყინვალედ წიგნთა,  
 რომელთაგანნი მოვიქსენნეთ ქუემორე,  
 ვერ-შესაბამნი ქალწულის საზარების.

<sup>55</sup> შღრ.: გამოსლვათა 19, 9—20, 20.

165. პირველ ნაუწყნი ვიდრე მუცლად-ღებადმდე, აბრაჰამისად, ანა მანოეთისად<sup>56</sup>, კუალად ანაჲსგან ცოლისა ელკანაჲსა<sup>57</sup>, ზაქარიაჲსა მღუდელ-მთავრისა დიდისა<sup>58</sup>, გარნა სხუაგუარნი იყენეს საზარებანი:
166. მოივლინების გაბრიელ ნაზარეთად, გალილეაჲსად ქალწულისა ყრმაჲსად, და ანგელოსად მისად ზედწოდებულებს, სახელსა დიდსა, დანიშნულსა ცნობითა მხოლოდ ღმრთისაჲთა, დაჰნიშნაჲს ესე კმითა.
167. კუალად სხუასაცა ცნობითაჲე ღმრთისაჲთა კურთხეულ-ყოფას დედათა შორის სძლისას დაჰნიშნაჲს კმითა საქმეთა ამათ დიდთა; მისსა სახელ-სდებს შიშით მეწიწუნეულე, რომელსა ლუკა დანიშნულ ჰყოფს წიგნითა<sup>59</sup>.
168. „გიზაროდენი“ და „მიმადლებულება“, ზოლო „უფლისა მის თანა“ თქმაცა ყოვლად, „კურთხეულება“ მდებრთა გუამებთა შორის, ყოვლად სადამე დიდ არს მიწისაგანის, ქმნილისა მიმართ „გიზაროდენად“ ესე.
169. მერმე სულისა ღმერთ-მთავრის გარდამოსლვა<sup>60</sup>, ზოლო ძალისა მალლის მაგრილებლობა<sup>61</sup> და შობილისა წმიდა ძე მალლის ყოფა<sup>62</sup> და სუფევისა არ-დასასრული ყოვლად<sup>63</sup>. ეჰა, დიდება ყოვლად გამოუთქმელი!
170. აღმსარებელთა ვუწყით სარწმუნოებით, ვითარმედ: ოდეს სანატრელმან ქალწულმან „აჰა, მკევალი“ თქუა მებრ თქმისა შენისა, სიტყუა ღმერთთ-მმთაერი ჯორც-იქმნა და განზრქელდა მისთა სისხლთაგან უბიწოთა ყრმა-ქმნილი.

<sup>56</sup> მსაჯულთა თ. 13. <sup>57</sup> I მეფეთა თ. 1—2. <sup>58</sup> ლუკა 1, 11—13. <sup>59</sup> იქვე 1, 19—35. <sup>60</sup> მათე 3, 16. <sup>61</sup> იქვე 17, 5. <sup>62</sup> ლუკა 1, 32; 1, 35; <sup>63</sup> იქვე 1, 33.

171. სისხლი უბიწო ყრმასა მარიამის  
 იცვალა უცხოდ უაღრეს მოგონების,  
 მარტივი სიტყუა შეიორკეცა ამით,  
 რამეთუ კორცად სიტყუერად სიტყუსა  
 იქმნნეს მიუწთოდ თარგმანებისა გუარათა.
172. ესე, საშოსა ქალწულისასა ქმნილი,  
 შეზავებაი მარტივისა სიტყუსა,  
 აგენიტონის გენიტონ-ქმნა ჩუენებრი,  
 უმწუერვალესი ბუნების შეერთება  
 ერთისად ოდენ ქუემდებარისა მიმართ.
173. გუამისა სიტყუს შინაი ბუნებაი  
 ზესთა ღმერთთ-მმთავრი ეგო, ვითარცა იყო  
 გუამის შინაი ბუნება კაცობრივი;  
 კიდე დანთქმისა მიიღო თუსად შინად  
 თუთ გუამოვანმან სიტყუამან მამისამან.
174. ორნი შემოკრბეს ერთის ქუემდებარისად —  
 ღმრთისა და მონის არსებანი უუთქუად,  
 იქუემდებარეს გუამი აუგებელი,  
 და შესმენილნი ორნი ერთისა მიმართ  
 არს შეერთება ესე უმწუერვალესი.
175. წარმოდგა სიტყუა ღმერთთ-მთავარი ცხებულად,  
 ორთაგან ერთი, ორთავე შინა იგი,  
 ვითარცა მამა და სული — ღმერთთ-მთავარი,  
 ვითარცა ადამ — კაცი მიწისაგანი,  
 შუამდგომელად ღმრთისა და კაცთა ქმნილი.
176. ესე ყოველი იქმნა ქალწულსა შორის,  
 მისგან ქმნად ეუწყით სულითა ყოველად წმიდით.  
 ესე თუნიერ საოცრებისა რაჲსმე  
 დაიბია მან და ეგო განუღვენელ,  
 ღმერთი. კორციითა გარეშეიცვა ამან.
177. ეჰა, დიდება დიდი მარიამისი,  
 რომლისა თუთვე თქუა ყოველად წმიდამან მან  
 ყოფა მის თანა დიდებულისა დიდის  
 ძლიერისაგან მდაბალთა ამაღლებად,  
 ძლიერთ დამკობად საყდართაგან და სხუანი



178. ქალწულისაგან ელისაბედის მიმართ  
მისლვა მოკითხვად, რომლისა შეხებაჲმან  
აღავსო მდებრი ელისაბედ სულითა,  
ყრმამან საშოსა იწყო კრთომით თაყუანი,  
ყრმაასა შორის ყრმისა ზესთა ღმერთთ-მთაერის<sup>64</sup>.
179. ქალწულებითა განმდიდრებაჲმან სძალსა  
მოსცა დიდება არვისგან ქონებული,  
რამეთუ ამან ქალწულმან მუცლად-ილო  
სიტყუა მამისა გამოუთქმელად ნამდვილ  
და ქალწულმან შვა ზესთა თარგმანებისა.
180. ვითა ღრუბელსა შარავანდელი მზისა  
განსრული გუწუთების განუკებლად ღრუბლისა,  
ევრეთვე სიტყუა მოვიდა ჩუენდა ღრუბლით  
ქალწულებრისა საშოსა უენებელად.  
ექა, ბრძენთა მათ განგებათა უფსკრულსა!
181. ზურუვიმთაგან საყდართა სერაფიმთა  
დაუტეენელი ხატი მამისა სიტყუა  
გარეშეწერით მკლავთა ქალწულისაჲთა  
მჯდომარე შესძრავს ეგვპტიისა კერპებთა;  
ყოველთა მზრდელი სძესა მიიღებს ყრმებრად:
182. ემორჩილების დედასა სიტყუა-ღმერთი,  
რომელსა ლუკა მოუთხრობს სახარებით<sup>65</sup>.  
კუალად მორჩილი კანას გალილეასა  
ქორწილსა შინა წყალსა ღვინოდ გარდაიქმს<sup>66</sup>.  
ექა, დიდება დიდი მარიამისი!
183. ჯუარით ზრუნვიდა დედისათჳს მოკუდავი,  
უკუდავი იგი, ჩუენთჳს ენებული ღმერთი,  
კორცნი ვისგანცა ენებულნი განითჳსნა  
და შემთხუევანი კორცთანი განიკუთნა  
შეუხებელად თჳსისა ღმრთაებისა.

<sup>64</sup> ლუკა 1, 39—41. <sup>65</sup>-ლუკა თ. 2. <sup>66</sup> იოანე 2,1—11.

184. ქალწულსა გუამსა თვისსა შეყუარებულსა მსახურად მისცემს დედასა „მედ“ წოდებით შესაბამისა საქმისა განმგებელი, ესე იგი არს, ქალწული. კშუენოლა მას ძეობილ-ყოფით მსახურად იოანე.
185. პირმშოი მკუდართა აღმოშობასა მკუდრეთით, ოდეს ცხოველად კაც-შემოსილი სიტყუა აღდგა ღმერთთ-მმთავრი კელმწიფე სიკუდილისა, მმუსრი ქუესკნელის ბჭეებთა ბნელოვანთა, დიდება დედასა მოსცა ამით მაღალი.
186. ამაღლებულმან დიდებითა უფალმან როს მოუვლინა აღთქმული მოწაფეთა — სული ღმერთთ-მმთავრი მხოლოდსა მამისაგან მეოხებითა დედისა თვისსადათა, აღთქმული სრულ-ჰყო, ვითარცა იტყვს ლუკა<sup>67</sup>.
187. ქუეყანა რაჟამს მდიდარ იყო თვს შორის მცხოვრებელ-ყოფით დედისა უფლისადათა, ეკლესიისა მოციქულთაგან ამას დიდებათაგან ქრისტესთა შესაბამად პატივი უფლებრ მიერთმოდეს ჯეროვნად.
188. მათგან დიდება დიდება არს ნამდვილი, მათგან პატივი უადრეს არს ყოველთა, მათგან ქებისა გალობა დიდებულ არს, მათგან დადება შესხმისა სჯულთა დიდ არს, რომელი-ესე დადევს დედოფლისათვს.
189. დედოფლად, კუალად უფალად.ყოველთაეე და ცხოვრებისა დასაბამად კაცთათვს, აღმატებულად ზეცისა მკედრობათა მრავალ-სახელად წინა-მეტყუთა თქმულთაებრ — ესე გუასწავეს კრავისა მოციქულთა.

<sup>67</sup> ლუკა 24, 46—51.

190. ოდეს განგება წინა-განმზადებული დედასა ზედა სიტყვასა სრულ იქმნა, რათა განვიდეს სასძლოით ქუეყნიერით აღსლვად ზეცისა სასძლოსა შესაბამსა, გიხაროდენებს კუალად გაბრიელ მისდა.
191. რათა განიღონ კიღობანი საღმრთოი დავითის სახლით დაკრძალვად ქუეყანასა, ამის საღმრთოჲსა საიდუმლოჲსა მსახურ კიდურებთაგან ქუეყანისაჲთ ღრუბლითა სიონს შემოკრბეს კრავისა მოციქულნი.
192. სხუანიცა მოსლვად გუასმიეს სიონს მაშინ, ვითარცა დასწერს საღმრთო დიონისიოს იეროთეოსს მუნ ღმრთის-მმეტყუელბელსა, რათა სწავლულთა ზილულითაცა ცნობით უგალობონმცა დედასა სიბრძნისასა<sup>68</sup>.
193. თუთოეულმან მოციქულთამან გუამჰან მისცნეს შესხმანი შესაბამნი ქალწულსა აღძრცულითა-რე ღმრთის-მეტყუელ-გალობითა, ხოლო ყოველთა ზოგად ერთითა კმითა აქეს მარიამ — დედა სიბრძნისა ღმრთისა.
194. იოანემან ქალწულმან, ძემან მისმან და პეტრე დიდმან პავლჳთ — ჭურით რჩეულით, ძმად ზედწოდებით ღმრთისად ბრძენმან იაკობ და ყოველთაჲე მოძღუართა სოფლისათა დედოფლად თუსად თაყუანის-სცეს მარიამს.
195. მიიღო სული სხეულისაგან წმიდა, ვინ ორნი ერთად შეაზავნა არსებად, ვინცა მის შორის ჯორცთა საღმრთო პორფირი სისხლთა მისთაგან შეიმოსა განგებით დაბადებისა მეორედ შემოქმედმან.

<sup>68</sup> შდრ.: პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, გამოსცა ს. ენუქაშვილმა, 1961, გვ. 27—28; მატსიმე აღმსარებელი, „ქება და დიდება მარიამისი“ (A 40, გვ. 219—225); ბასილი ქვისარელი, მიცვალება ღმრთისმშობელისა (მ. სპაბინი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 3—6).

196. ნელსაცხებელნი შემურვისა წესთაებრ  
სცხეს ჯორცსა იმას, რომელმანცა მირონი  
ზედ წარმოასხა, რათა განეცოცხლდეთ მკუდარნი;  
შემოსეს, ვინცა შეჰმოსნა ჯორცნი სიტყუას,  
მოციქულთ-მწყობრმან შესაბამ-გალობითა.
197. დაფლული აღდგა მეშვი შობილისაგან,  
რომელსა სწამებს მოციქულთა კრებული,  
ვერა მპოვნელი ღმერთთაჲსა სხეულისა,  
დაღათუ არა ნამდვილ ღმერთ-აუგებლის,  
არამედ ქმნილის ღმერთ სადამე თქმულთაებრ.
198. სულით და კორციით წარმოდგომილი სძალი  
ყოვლად უხრწნელად უგიობელთაგანცა,  
ვინ უხრწნელების წყარო არს ჩუენდა მდიდრად,  
სასუფეველსა უდიდეს სერაფიმთა  
დედოფლად მათდა დადგა მარჯუენით ძისა.
199. ეკლესიამან შეჰქმნა გალობა ესე,  
უპატიოსნეს ხერუემთა ყოველთა  
შეუსწორებელ და სერაფიმებთაცა,  
განუხრწნელ მშობელ სიტყუსა ღმერთთ-მთავრისა,  
მხოლოდ ღმრთის-მშობლად მარიამ დიდებული.
200. ესე კრებამან პირველად ეფესოხმან  
ესრეთ ადიდა, ვითა აღმოიჩინა,  
რაიცა ჰნებაეს, ყოველივე ძალ-უძს მას,  
მისდა მთხოველთა მაცხოვარებრ მსმენელსა.  
ესე დიდება გამოუთქმელი აქუს მას.

• • •

201. ანტონის მიერ უნდო ეპისკოპოსის  
ნათქუნი სურვილით მირთმად შენდა, ქალწულო,  
ტრფიალებითნი წყობილ-სიტყუაობანი,  
ოდენ უღირსნი, ბიწიერ-გონებისგან  
ნათხზნი, მიიღენ და მაგენ წყალობანი<sup>69</sup>.

<sup>69</sup> იდურწერილობა ზევდან ქვევით ნიშნავს — „ანტონი“.

თხს ცხოველს-მყოფელისა ჯუარისა

თ ა ვ ი I

თხს წინა-მოსწავებათა ცხოველს-მყოფელისა ჯუარისათა.

202. რათა ბაგენი უწმიდონი ვახენი,  
ხოლო ნათელნი დაუვალნი ენახენი;  
მნებაეს, წერილით დავსხნე მისნი სახენი —  
კეთილ-მსახურთა საამონი, ვა, ხენი!  
ვისგან დაიქსნნეს მტერთა ბოროტ-მახენი.
203. „შექმნათა“ შინა დიდმან მოსე სულითა  
წინაით თქუა ქრისტეს დიდება — ძელი წმიდა  
ხედ ცხოვრებისად საშუალ სამოთხისა,  
რომლისაგანი მაცხოვარ თქუა ნაყოფი,  
რათა თუნიერ ღროსა ვერ სჭამოს ადამ<sup>1</sup>.
204. ოთხ მდინარისა მაწყაროე ედემი<sup>2</sup>  
ჯუარსა ემსგაესა, სადაით დის ოთხ-თუალად  
სისხლი საუფლო, განმღრთობი ადამისი,  
კელით და ფერკით ქრისტესთაით მორწყვად სოფლის-  
დიდება შენთა წყალობათა უფსკრულსა!
205. ოთხ კედელ-ყოფა ძელთაგან კიდობნისა,  
სადა ცხოვრება არსებისა კაცთამსა  
განერა ძნელსა მომსრეელსა აღსპობასა<sup>3</sup>,  
ჯუარსა საღმრთოსა მოასწავებდა იგი,  
რომლით არსება ესნილ-იქმნა კაცობრივი.

<sup>1</sup> შესაკმე 2,8—9. <sup>2</sup> იქვე 2,10—14. <sup>3</sup> იქვე 6, 14.

206. ირისე ჭრელი მრავალ-ფერ-გამომცემი,  
 მშულდი მშედობის შორის ღმრთისა და ჩუენსა,  
 რათა არღარა წარმრღუნას მყის მოწვენულმან  
 ცოდვათა ძლითმან რისხუამან ზეგარღამო<sup>4</sup>,  
 გამოჰსახვიდა ჯუარისა თუსებათა.
207. ესე არს ესე, ვითარმედ: ძელი საღმრთო  
 სხუა და სხუა-გუართა ჰყოფს მაცხოვარებათა,  
 თუთო-თუთოთა ვნებათა ჩუენ შორისთა  
 აყენებს ესე ზეგარღამოთა ჩუენდა  
 ღირსად მოსლვადთა რისხუათა ღმრთიე-განსჯილთა.
208. მუხა მამბრესი, სადა აბრაჰამ დიდი,  
 აღმმართი კარვის, განისუენებდა ქუეშე,  
 სადა სტუმრობის ღმერთთ-მთაერისა სამობის  
 ღირს-ქმნილი ძისა აღთქმითა მამა იქმნა<sup>5</sup>,  
 გამოსახვიდა ღიდებასა ქრისტესსა,
209. ვითარმედ: ქუეშე აჩრდილსა ჯუარისასა  
 სამება ღმერთი არსებასა კაცთასა  
 ოდეს ესტუმრა, შვილობილ-ყოფა აღთქმის  
 განმრავლებითი მოიღო საუკუნოდ —  
 ძისა მკველითურთ განგდებისა მოქმედი.
210. შეშა რომელი დასდვა მამამან ისაკს,  
 წარმყვანებელმან მსხუერპლად ბრძანებისაებრ<sup>6</sup>,  
 ჯუარი მღებარე უფლისა ბეჭთა ზედა<sup>7</sup>,  
 ადგილად თხემის განსრულისა აღჯუარვად  
 დაისახვოდა წინაით-მოსწავებითა.
211. კიბე, ხილული ქუეყანით ზეცად მიმართ  
 იაკობისგან მამათ-მთაერის ძუელად,  
 სადა აღსლვაი და გარღამოსლვა მის ზედ  
 ანგელოსთაი იხილა იაკობმან<sup>8</sup>,  
 გზა ქუეყანით ცად დაისახვოდა ჯუარი.

<sup>4</sup> შესაქმე 9, 12—17. <sup>5</sup> იქვე 18, 1—2; 21, 2—3. <sup>6</sup> იქვე 22, 6—7. <sup>7</sup> იოანე 19, 17. <sup>8</sup> შესაქმე 28, 11—13.

212. კუერთხი ბრაწისა, ნიგუზისა და ძელ-ქვისა იაკობისი, საცხოვართა მამრავლე ნიშითა რათმე, განქურთნილი გარსისგან, სმასა წყლისასა წინ-დადებით ცხოვართა ფერადობასა მისცემდა ნაყოფთასა<sup>9</sup>.
213. ბელეკონისა ხე სიკიმათა შინა, სადა საყურნი და ღმერთნი საძაგელნი დაჰფულნა ისრაელ ყოვლად წარსაწყმედელად<sup>10</sup>, ჯუარისა ძლითი წარწყმედა საძაგელთა გამოისახა საღმრთოდ-რე საიდუმლოდ.
214. სამ-ნაწილელი ჯუარი, მპყრობელი ღმრთისა, რომელი განქურთნა სიტყუამან კუერთხად თუსად განმრავლებისა ცხოვართაჲსა მენიშედ მათდა, რომელთა ისმინიან ჯმა მისი, გამოისახა წინაძთვე საიდუმლოდ.
215. კუერთხი სამთავრო იოსებისი კუალად, რომლისა წუერსა თაყუანის-სცა იაკობ, შემდგომად ფიცის მისდა იოსებისგან<sup>11</sup>, ჯუარსა ქრისტესსა გამოსახვიდა ამით, სათაყუანოსა პირველთაგანცა მამათ.
216. ყრმათა ძის წულთა — ეფრემის და მანასეს კურთხევის ყოფა იაკობისგან კუალად ჰელთა შეცვალებით დასხმულთა თავთა ზედა<sup>12</sup>, ჯუარისა ძლითსა კურთხევასა ჰსახვიდა და ცვალებასა ერთასა ურთიერთ-არს.
217. მოსეს მპყრობელი კიდობანი ძელისა, განსარინები მკლველისაგან ბრძანების, მპყრობელსა ღმრთისას, ჩუენსა განსარინებესა<sup>13</sup>, მოასწავებდა სიტყუსა დიდებასა — წინათ-მსახველი ესეგუარ საიდუმლოდ.

<sup>9</sup> შესაქმე 30, 39—41. <sup>10</sup> იქვე 35, 4. <sup>11</sup> ებრ. 11, 21. <sup>12</sup> შესაქმე 48, 13—20. <sup>13</sup> გამოსლეთა 2, 1—11.

218. კუერთხი მოსესი სინას საღმრთოჲს ზილვისა ცეცხლ-მოსილისა მაყულისა შეუწველად, ნიშად საკურველ მიგდებითა გუელ-ქმნილი<sup>14</sup>, განკაცებისა საღმრთოისა წინაშე ჯუარსა საღმრთოსა ჰსახვიდა მდებარესა.
219. აპრონის, კუერთხი, შთამნთქი მოგუთა კუერთხებთა, მესასწაულე წყალთა სისხლად ცვალებისა, კუალად მყუართთა დამფარავი ეგვპტის და კუალად მუმლის მამრავლე საგუემელად<sup>15</sup> ჯუარსა ჰსახვიდა, ეშმაკთა საგუემელსა.
220. კონვილი სისხლსა უსუპი დასაწებლად დაკლულისასა ჰასექად საიდუმლოდ, საცხებლად წყრთილთა კარისათა ნიშებად, რათა მომსრველსა პირმშოთასა განერეს<sup>16</sup>, მოასწავებდა ცხოველს-მყოფელსა ჯუარსა.
221. რაჟამს ჰუნეთა ფარაოსთა ეტლები, წარმტაცებელთა ღერძებ-შეკრული რისხვით აქათ და იქით კერძოდ განწვალებულსა ზღუასა შესთხიეს ერითრუსა საზარელ<sup>17</sup>, გამოსახვამან ჯუარისასა ჰყო ესე.
222. ესრეთ ჰსახვიდა ზემო-გარდმოცემული საიდუმლოი ჯუარსა ცხოველს-მყოფელსა, რამეთუ კუერთხი მოსესი განაპობდა<sup>18</sup>, განჰყრობა კელთა, კუალად ღმრთის-მზრახველისა, ვითა ვისწავეთ საღმრთოთა მოძღუართაგან.
223. სუეტი ღრუბლისა და ცეცხლისა ოდესმე<sup>19</sup>, ისრაელიტთა ერისა წინა-მძღომი, სასწაულ-ქმნილი შემდგომად მეგზაურთა, ქუეყანად მიმართ აღთქმულად განგებული, ჰსახვიდა ბელსა ღმრთისად მიმყვანსა ჩუენსა.

<sup>14</sup> გამოს. 3, 2—4, 4. <sup>15</sup> იქვე 7, 10—12; 7, 20—21; 8, 6; 8, 18. <sup>16</sup> იქვე 12, 21—23. <sup>17</sup> იქვე 14, 25—28. <sup>18</sup> იქვე 14, 16. <sup>19</sup> იქვე 14, 24.



224. ულპოლეველისა ხისა საკურთხეველი  
და კიდობანი მისივე ოქროვილი,  
კულა მისვე ხისა კიდობნის აღსაღებნი  
კეტნი, გარემო ოქროითა მოსილნი<sup>20</sup>,  
ჯუარსა საღმრთოსა ჰსახვიდა საიდუმლოდ.
225. ოდეს სურისა უდაბნოით მერრანად  
იაკობისმან დაიბანაკა სახლმან,  
სადა სიმწარე წყლისა განჰკურნა მოსე  
ჩუენებულითა ძელითა უფლისაგან<sup>21</sup>,  
ძელი ჯუარისა დაიხატოდა საღმრთოდ.
226. განმპობი კუერთხი, რაფიდინს წყლის მადენი,  
მაცილობელად აღძრულთა ებრაელთა,  
ყოვლად ურჩ-ქმნილთა, რომელთაცა სწყუროდათ  
წარწყმელა თვისი, ღირსთა წარწყმელისათა<sup>22</sup>, —  
ჯუარისა იყო დახატვა იგავითი.
227. განჰყრობა კელთა მოსესთა მთასა ზედა,  
ოდეს აპრონს და ორს ეპყრნეს კელნი მისნი  
დაცემასა მას ამალეკიელთასა<sup>23</sup>,  
ჯუარისა იყო დახატვა საიდუმლოდ,  
სადაცა სიტყუა განირთხა ღმერთთ-მთაყარი.
228. მოხუმა კუერთხებთა თუთოთა ტომადისა  
კარავს წინაშე წამებისასა ძუელად,  
რომელთა შორის ლევიტელთ წილ — აპრონის,  
რათა ცხად-იქმნეს აღრჩეულება საღმრთო —  
მღუდელ აპრონ ოდენ მკმეველ შვილითი-შვილად.
229. ათორთა შორის კუერთხთა მხოლოდ აპრონის  
აღყუაენა კუერთხი, განედლდა საკრველად,  
გამომღე ფურცლის, ყუაეილის ნაყოფითურთ,  
რომლითა ჯუარი საღმრთო გამოისახა<sup>24</sup>,  
და ნაყოფ მისა არს სისხლი საღმრთო ჩუენდა.

<sup>20</sup> გამოა. 25, 10—14. <sup>21</sup> იქვე 15, 22—25. <sup>22</sup> იქვე 17, 1—7. <sup>23</sup> იქვე 17, 8—13.

<sup>24</sup> რიხეთა თ. 17.

230. გარე-მოდგომით ძუელ ოდესმე ოთხ-კერძო წამებითისა საღმრთოისა კარავის, ლევიტელთ ტომთა მებრ საღმრთოესა ბრძანების და მებრ ათორთა ნათესაეთაცა ღვთობით დაიხატვოდა ჯუარი — სიტყვს ღიღება.
231. ძურის-მსიტყუელთა უფლისა და მოსესთუს, უდაბნოსა რაჲ მოსრვიდა გუელი მწარედ, საზღუარსა ზედა დადება გუელის სახის, რომლისა მხედნი მყის განმრთელდებოდიან<sup>25</sup>, დაიხატვოდა ქრისტეთურთ ჯუარი საღმრთო.
232. ქუეშე ფინიკის, სადა სჯიდა ღებორა ისრაელიტთა ტომებთა საზოგადოდ<sup>26</sup>, ჯუარსა ზედაი მსჯავრი ქრისტე უფლისა ესე არს ესე — სოფლით განვრდომა მთავრის — დაიხატვოდა საღმრთოეთა განგებითა.
233. სისარას ყურსა განცმული მანა იგი იაილისგან ცოლისა ქაბერისა, რომლითა ცხონვა იქმნა ისრაელისა<sup>27</sup>, საიდუმლოი რაიმე იგავ იყო — კუდომვა გუელისა და ცხონვა ადამისი.
234. განემელი ძუალი, რომლითა მოსრნა სამფსონ ფილისტიმელთა ათასეულებანი და წარმო მისგან წყალი კურნვად წყურილის<sup>28</sup>, ეშმაკთ მომსრველსა ჯუარსა ჰსახვიდა საღმრთოდ და გუერდით საღმრთოეთ ცხორებისა სასმელსა.
235. გედეონ ოდეს ჯორცნი უცომოითურთ დააგნა კლდესა თქმისაებრ ანგელოსის და ჯორცთა მსხუერპლთა დაასხა წუენი კუალად, ხოლო წუერიითა კუერთხისა ანგელოსის შეხებით აღსწბეს ესენი ცეცხლისაგან<sup>29</sup>.

<sup>25</sup> რიკხ. 21, 6—9. <sup>26</sup> მსაჯულთა 4, 4—5. <sup>27</sup> იქვე 4, 17—21; '5, 24—27. <sup>28</sup> იქვე 15, 15—19. <sup>29</sup> იქვე, 6, 19—21.

236. განზრახვისა რაჲ დიდისა ანგელოსმან  
 ქორცთა, რომელნი მიიღო საკურველად,  
 ოდეს შეახო ჯუარი — დიდება თუსი,  
 აღანთნა მსხუერპლად მამისა ღმრთისა მიმართ  
 და დაწუნა ამით ცოდვათა მუჰარაკნი.
237. დავით, განსრულმან წყობად ჰასაკ-გრძელისა,  
 კელთ-მპყრობმან კუერთხის, შურდულით მღაბიოფურთ.  
 ხუთთაგან ქვათა, ტავარჯუხს მღებარეთა,  
 განტუნა გმირი<sup>30</sup>, რომლითა საიდუმლო  
 ხუთ-წყლულებითურთ ჯუარისა გამოსახა.
238. კიპაროსისა ხენი, მოოქროვილნი  
 შინაგან ტაძრის, ქმნილნი სოლომონისგან<sup>31</sup>,  
 საღმრთომან პირველ მაღალმან განგებამან  
 მოსწაუებითა დასახა ძელი საღმრთო,  
 მოოქროვილი სისხლითა სიტყუსაჲთა.
239. კუერთხი განგების საღმრთოის — ჯუარი წმიდა  
 და კუერთხ სუფევის სიბრძნისა გუამოვანის,  
 ზესთა ღმერთთ-მთავრის ჩუენდა გამოჩნდა ესე,  
 რომლით განიგო ცხოვრება ადამისი,  
 რომლით იმეფა სიკუდილსა ზედა კაცმან<sup>32</sup>.
240. კუერთხ ძლიერების სიონით გამო ქრისტჳს  
 რათა უფლებდეს კიროსს ქრისტე უფალი,  
 წარმართნი ერჩდეს, განსქდეს ძალი მეფეთა,  
 კარნი განეხუნენ და მთანი ვაკე იქმნენ,  
 მოქლონნი, ბჰენი უმტკიცესნი შეიფქუნენ<sup>33</sup>.
241. ესე მთაერობა ქრისტჳსი ჩუენდა დიდი  
 და მაღალთაცა შინა ყოველად უდიდეს,  
 ძლიერებისა დღესა ჯუარით პოენილი  
 ოდეს განბრწყინდეს, წმიდანიცა ქრისტჳსნი  
 საჩინო იქმნეს ყოველთა თუალთა მიმართ.

<sup>30</sup> I მეფეთა 17, 40—51. <sup>31</sup> III მეფეთა 6, 20—22. <sup>32</sup> [I V[მეფეთა 4, 29—37.  
<sup>33</sup> ესაია 45, 1—2.

242. ქნარი, რომელსა ზედა განჭიმულ იყენეს ძალნი ჟღერებად, ტკბილ კმათა გამომცემელ, რომელსა სძნობდის დავით — ღმრთისა მამაი განკდად სულისა ბოროტის საულისგან<sup>34</sup>, ჯუარით კმა-ყოფას დაჰხატვიდა სიტყუსას
243. ესრეთ, ვითარმედ: ჯუარს ზედა განჭიმულმან სიტყუამან ტკბილნი განუტევენა ჟღერანი, განჰკადნა სოფლით სულნი არა-წმიდანი, ოდეს თქუა: „მწყურის“<sup>35</sup> და „რად დამიტევებ მე“<sup>36</sup> და „კელთა შენთა, მამაო, მივსცემ სულსა“<sup>37</sup>.
244. კუერთხად რკინისა ურწმუნოთა სამწყსელად წინაფთ თქუა დავით საღმრთო ნაკუეთი ესე, მმუსრველ მათდამი, ვითა ჭურჭელთა კეცის, რათა მეფენი და მსჯელნი სოფლისანი განისწავლნენმცა ამით მონებად ღმრთისა<sup>38</sup>.
245. ლიბანისათა ძელთაგან გავალაკი სოლომონისი, ხოლო მისაწოლელი ძლიერებითა შეცეული იგურდივ ყოვლად<sup>39</sup> ცხოველს-მყოფელსა ჯუარსა გამოსახვიდეს — ზესთა ღმერთთასა სიბრძნისა დიდებასა.
246. ვეელამონსა ეენაკი სოლომონის, ათასის ვეცხლის სასყიდლის მენაყოფე<sup>40</sup>, იგაჲად ითქუნეს და ხატად საიდუმლოდ ქრისტეს ჯუარისა და ქრისტეს დიდებისა, რომლისა ნაყოფ არს სიმდიდრე უკუდავი.
247. ყრმისა ნაშვისა ძედ ჩუენდა მონაცემის მთავრობა ზედა მჯართა თქუა ესაია, ვითარმედ: ოდეს ზედ გამობრწყინდა ღმერთი, ამაღლება ჰყო ისრაელიტთა ნაშთთა ეკლესიობა ერთ-შეგუამებად საღმრთოდ<sup>41</sup>.

<sup>34</sup> I მეფეთა 16, 14—23. <sup>35</sup> ოთანე 19, 28. <sup>36</sup> მათე 27, 46. <sup>37</sup> ლტკა 23, 46. <sup>38</sup> ფს. 2, 9—11. <sup>39</sup> ქება ქებათა 3, 9—10. <sup>40</sup> იქვე 8, 11. <sup>41</sup> ესაია?

248. ესე არს: ოდეს აღანთნა ჯუარსა კორცნი, მოციქულ-მწყემსნი, მოძღუარნი, წინა-მეთქუნი, მახარებელნი სიტყუამან ჭეშმარიტმან, ერთ-მრწმუნებლობით მამაკაც სრულად საზომ ჰყო საესებისა ჰასაკისა თვისისა.
249. კლიტე, რომელი მოცემად იყო პირველ უფლისა მიერ სახლისადმი დავითის მიღებად მკარსა, დაკლუტად და განღებად თავისუფლებრივ, არვისგან დაყენებით, დიდებად დიდად, უცილობელ მთავრობად<sup>42</sup>,
250. ამან განაღნა დაჯშულნი, ვერვინ დაჯშნეს და, დაკლიტნა რამ, ვერ საკადრ არს განღებად. სიტყეს დიდება არს სახლისა დავითის, ამისთვის რომელ სიტყუა ძე არს დავითის. იგულქმე, ბრძენო, ძალი აქა წყუდეული!
251. ნაკრები შეშა სერეფთეს ქურივისაგან შესაცხობელად ყუერბეულის, გამოზრდად ბჭეთა ქალაქის დროსა სიყმილისასა შვილთა მისთა და იღია საკრველის<sup>43</sup>, სახენი იყენენ ჯუარისა უფლისანი.
252. გარეშე ბჭეთა იერუსალიმისთა შეჰკრიბნა ერთად სხუა და სხუანი შეშანი ღმერთმან განგებით და პური ცხოვრებისა — მხოლოდ-შობილი ცხოვრებისაგან სიკუდიდ, შეაცხო შვილთა უკუდავ-საზრდელად თვითა.
253. ოდეს მოსჭრიდეს ძენი წინა-მეტყუთანი შეშასა, რათა ჰქმნან საყოფელნი თვსად, იორდანესა შთანაგდი იგი ცული, ხით აღმონადი ელისესგან დიდისა<sup>44</sup> — ამისი იყო საიდუმლო სახითი.

<sup>42</sup> ესაია 22, 22. <sup>43</sup> III მეფეთა 17, 10—16. <sup>44</sup> IV მეფეთა 6, 1—7.

254. დანთქმული კაცი — ხატი მექმისა თვისს,  
 ამან შეშამან მიიღო რაჲ მისგანი,  
 დაღათუ არა ქუემდებარე დანთქმისა,  
 თან-აღმოცმული აღმოიქვა დანთქმული —  
 ცნობილ არს ესე საიდუმლო სარწმუნოდ.
255. ორ-განხეული ილიასი ხალენი,  
 ორ-ცემული რაჲ ელისე დიდისაგან,  
 იორდანესა განაპებდა ოდესმე<sup>45</sup>, —  
 ჯუარისა იყო საიდუმლო დასახვით,  
 წიალ-მელი ჩუენი ხრწნილებით უხრწნელებად.
256. ბეთილისა რაჲ ქალაქისა წინაშე  
 წამებისათუჲ მართლისა ხესა ზედა  
 ამონიეთი ახიორ განისხირპა<sup>46</sup>,  
 გამოისახა სარწმუნოი მოწამე  
 ჯუარსა ზედაი — პირმშო შესუენებულთა.
257. დავითის მიერ ნათქჳ შორის ქუეყანის  
 ცხოვრება, ქმნილი მეუფისაგან ღმრთისა,  
 კუალად თხოვილი სასწაული კეთილი,  
 რათა პრცხუენოდის მოძულეთა მხილველთა<sup>47</sup>,  
 დასახვა იყო იგავითი ჯუარისა.
258. სკიპტრა ოქროის არტაქსერქსის მეფისა,  
 შეხება ვისდაღ — ნიშანი შეწყალების,  
 ცნობილი ჩუენგან, წერილი „ესთერს“ შინა<sup>48</sup> —  
 საიდუმლოი იყო ესე ჯუარისა —  
 ქრისტეს შეხება და ჩუენი ცხოველ-ყოფა.
259. კუერთხად შუენიერ და კუერთხად წლის საზომად,  
 განგებულად-რე განქარებად აღთქმისა,  
 ზაქარიასგან იწინამეთქუა ჯუარი<sup>49</sup>,  
 რამეთუ ესე საიდუმლოი ნათქჳ  
 იუდიანთად ითქუა იგავითობით,

<sup>45</sup> IV მეფეთა 2, 8—15. <sup>46</sup> ივლითი თ. 5—6. <sup>47</sup> I მეფეთა <sup>48</sup> ესთერი 4, 10; 5, 2. <sup>49</sup> ზაქარია 11, 10—14.

260. ვითარმედ: მწყემსმან ისრაელთამან ღმერთმან  
კურთხით სამწყსოით დამცველითა მკეტაგან  
განაგდო სამწყსო, განაქარუნა აღთქმანი,  
ამისთვის რომელ ღირს იყენეს განგდებისა  
და მით ხადილ-ჰყვნა სხუანი ცხოვარად თუსა.

\* \* \*

261. მოსწაუებანი ხადმრთოჲსა ძელისანი  
ითქუნეს, ვინაჲთგან დაეშუერით აწ ნაშთათუს —  
ესე არს ესე საცხოერებელთა ნიშთა —  
და განკარგულ-ეჰყვნეთ წყობილ-სიტყუობითა  
ხადიდებელად ჯუარისა დიდებულის.

## თ ა ვ ი II

თჲს ცსოჲველს-გყოფილითა ჯუარითა  
ჰმნილთა საცსოჲრეჲველთა ნიშთა

262. ოდეს შეეხო ჯუარი მხოლოდ-შობილსა,  
ღამე დღე იქმნა, მნათობთა სცვალეს წესი,  
ხერუვიმთაცა იქცევისით მახვლით  
შესლვად სამოთხედ ავაზაკსა გზა უყვეს.  
დიდება შენთა განგებათა, სახიერ!

263. სიტყუს დიდება არს მპყრობი ღმრთისა ძელი,  
ვითარმედ: ითხოეს ამას დიდებას ქრისტე.  
მამა აღუთქუამს: „გადიდე, გადიდოვე“.  
ესე არს ესე: ამაღლებულმან ჯუარსა  
ყოველნი თუსად მიჰზიდნა მადიდებლად.

264. ჯუარმან ორნივე ერნი დააგნა ღმერთსა,  
ერთით რაჲ ჯორციით შეემსჭუალა მას სიტყუა,  
და მითვე მოკლა მტერობაიცა დიდი,  
რომლისაგან გუაქუს მიახლება მამისად,  
ერთით სულითა მშუდობა ხარებულთა.

265. ცხოველ-აღსრული ჯუარსა სიტყუა მამისა შთაჲდა ქუესკენელად ჯუარითა დიდებული, ერთ-ეკლესიად მექმი სიბრძნით განგებით მოციქულთ, წინ-მეტყუთ, მახარებთ, მწყემსთ და მოძღუართ — აღსაშენებელ გუამისა ქრისტესისა.
266. წარსწყმდა სიბრძნე ბრძენთ, მეცნიერთ — ცნობა ჯუარით, დაინთქა კუდომჲა ძლევეთა ჯუარის ძლითით. სადა არს შენი წერტა მკუდომი, სიკუდილო, ან ძლევა შენი, შთამნთქმელო ჯოჯოხეთო? — არღარ-ა ერთი მკელმწიფებელად კაცად.
267. შუდმან სიტყუამან ჯუარსა ზედა სატყუსმან შუდ-შუდეულთა ნამყოთა ქრისტესადმდე ქმნილნი კაცთაგან ცოდვანი და მამათა წყევანი დაჰქსნნა, შუდნი მოგუმაღლნა სულნი, ესე იგი არს, შუდნი სულისა მაღლნი.
268. აღრეული რაჲ სასმელი სიმწარისა სიტყუამან შესვა ჯუარსა ზედამან კორციო, მწარე მომკლველი ნაყროვნებითი გუელი, მახარებელი ადამის ღმერთ-ყოფისა, მოკლა და ადამ ღმერთ-ჰყო ქადებისაებრ.
269. ჯუარს ზედა აღსლეა შიშულივ ადამ მეორის, სირცხვილის ვნების ქუემდებარე ყოფაცა პირველსა ადამს მიჰკდის სირცხვილის ფურცელს, ღმერთ-ყოფითს პორფირს უქსოვს, შეჰმოსს შვილითურთ მეწამულ-წითელს სისხლითა სიტყუსაჲთა.
270. ჯუარსა ზედაი სახიერებით სიტყუა, უსჯულოთა რაჲ თანა-შერაცხვისათა ქუემდებარები წყევითსა ძელსა ზედა, სჯულსა, მამათად დადებულსა სამოთხეს, ჰკურნავს ახლითა ძელის ძლითითა წამლით.
271. ჯუარმან ოთხითურთ სამსჯულებით მახვლ-წუერით სიტყუა კაცობრივ განსწვალა ორ არსებად, დაღათუ ნებსით, მაგრა ჩუენებრ, ვითა ჩუენ. ღვრომილი სიტყუა ორთავე წვალებულთად უკუდავს თანა და მკუდარს ჰგიეს განუყოფლად.



272. ჯუარისა მიერ სიკუდილითა იესო  
კრეტსაბმელს ტაძრის აპობს საკერვოდ საცუფრ,  
ქუეყანას შესძრავს საზარელს, განჰქეთქს კლდეთა,  
გუამებს წმიდათ მკუდართ წამოაყენებს ცხოვლად,  
ხოლო ქუესკნელით სულებსა იესნის ღმრთაებრ.
273. ჯუარსა ზედაი ღმერთ-მამაკაცი ქრისტე,  
ჩუენტუს პასექად დაკლული ღმერთ-ტარიგი  
და ღმერთ-ზუარაკი, მსხუერპლი ღმრთად ცოდვათა,  
ბანაკს გარეგან შეწირული მამისად,  
ისაკ ღმერთთ-მთავარ კილითი შეგუკრებს კიდედ.
274. ჯუარსა ზედაი იესო ღმერთ-პასექი  
პასექს დააცხოვს, პასექ იდაკლულების;  
ძუალთა დამცველი საღმრთოთა უმუსრველად  
განიგმირების ღმრთითა გუერდსა შინა;  
საბანელ-სასმელ მწდე ჩუენდა ორწყაროებს.
275. ჯუარი არს მიზეზ საიდუმლოთა ამათ,  
სისხლისა და წყლის და სულის ჩუენდა მნიშთა;  
ქსნის და განბანის და განწმედისა საქმეთ —  
სისხლით, ერ-ყოფის — წყლით და სულით — ღმერთ-ყოფის  
და სამითავე — იესოს თანა-ყოფის.
276. ჯუარსა ზედაი იესო — სიბრძნე ღმრთისა,  
ხრწნილების ნიშთა ყოველთა მიმთუალველი,  
განაღა არა განხრწნილებისათაცა,  
თავ-მიდრეკილებს თუალითა დაწუხვილი,  
ჭეშმარიტებით არა საოცრად მკუდარებს,
277. რათა უხრწნელი და უკუდავი სიცოცხლე,  
რათა გებადი და დადგრომადი ყოფა  
ანგელოსებრი, მის თანა საუკუნოდ  
წარუპარველი და ყოვლად მიუქდელი,  
მომცეს ღმერთ-ყოფა სახიერებისათუს.
278. ესე ყოველნი ნიშნი საცხოვრებელნი,  
ჯუარისა საღმრთოდ ჩუენდა განცხადებულნი,  
რომლისა სიტყუა წარწყმედულთად სიცოფე,  
საცთურ ჰურიათ, სისუღლე ელინთად  
და ცხოვრებულთად ძალ ღმრთისა მოითხრობის.

279. ოდეს სიტყუამან, აღდგომილმან ჯორცითა,  
აღუთქუა მოსლვა სულისა მოციქულთა,  
მათთან განსრულმან ბეთანიადმდე და მთად,  
ალიპყრნა კელნი, აკურთხნა მოციქულნი —  
გამოსახვა ჰყო ჯუარისა, აღკდა ზეტად<sup>50</sup>.
280. მოციქულთაგან სნეულთა ზედა და მკუდართ  
ნიში ჯუარისა დაისახვოდა, უწყით:  
მკუდარნი ცოცხლებდენ, სნეულნი მრთელოობდენ;  
კელის დასხმაცა ან განტეხა ჰურისა  
\* ჯუარის დახატვით იმღუდელ-მოქმედებოდა.
281. პავლეს მდევარსა ჯუარსა ზედაი ქრისტე  
ჯუარით მოჰზიდაეს, ჯორციელ მიჰქდის ზედვას,  
აჭურ-რჩეულებს, ამოციქულთ-ზენაებს,  
ამახარებლებს ელინთა ბარბაროსთად,  
ამოციქულებს კიდიითი კიდეთადმდე.
282. ლაშქართა შორის მკედართა პრომაელთა  
დროსა ტიტეს და ვესპასიანესსა  
მბრძოლთა უღმრთოთა იუდიანთა მიმართ  
ყოველთად იყო ნიში ზედა ჯუარისა,  
რომლით აღსპოლვა იქმნა სასტიკად მათი.
283. კოსტანტინესა, ძესა კოსტა დიდისას,  
მბრძოლსა მტერთასა, მოწოდებულსა პავლებრ,  
ვარსკულავის ჯუარი, ცათა ზედა წერილი,  
კუალად წერილი — ამით სძლო მტერთა შენთა —  
ეცხადა, ნახეს ცხადად ყოველთა სპათა.
284. ამრითგან დიდმან კოსტანტინემან სიბრძნით  
ნიშანი შეჰქმნა ყოვლად წმიდისა ჯუარის,  
რომლითა ჰბრძოდის მტერთა მათი მათი,  
მძლე ექმნა ჯუარით, სთრგუნნა მტერნი ჯუარისა  
და იქმნა მონარხ, კეთილ-მსახურ მსოფლიო.

<sup>50</sup> შდრ.: ლუკა 24, 50—51.

285. პოვნილი ძელი — ჯუარი, ქრისტეს ღიღება,  
სიღრმით ქუეყანის აღმოღებული ზენად,  
მკუდარს ზედ-დადებით ცხოველ-ჰყოფს საკრველად,  
უბრწუნელებს ყოვლად საუკუნეთა შინა,  
სასწაულთ ცუარებთ აუფსკრულ-პელეღობს.
286. ნეანესა ჭაბუკსა მკედართ-მძღუნსა,  
ღამესა შინა მავალსა განმკედრებით,  
ბროლისა ჯუარი გამოუჩნდა საღმრთოდ-რე  
და ყოველნი სცნნა საღმრთონი საიდუმლო;  
ჯუარმან მღევარი შეჰქმნა ქრისტეს მოწამელ.
287. ორესტი მკედარს აქუნდა მფარველი ფარვით  
ჯუარი მსოფლიო, მცველი ქრისტიანეთა.  
განცხადებამან ფარულისა მფარველის  
იძულებითი ჰქმნა განცხადება მკედრის  
და რკინის ცხედრით აღაზეცის-სუფევა.
288. მრავალთა მომართ გამოჩნდა აქამომდე,  
ვითარმედ: ჯუარი დასახული სამსალას  
გესლს მიჰქდის ყოვლად, წყლებრ განელის შინაგანსა,  
ცხოვლად უტევებს მიმღებსა ყოვლად მრთელად  
ისტორიათა სხუათა და სხუათა შინა.
289. ჯუარის დასახვა ეშმაკთა, ვიცით, სღვენის  
ნინასგან, მრავალს განაცხოველებს მკუდარსა,  
ბერწთ შვილიერ ჰყოფს, ეშმაკთ ძალსა შეჰმუსრავს,  
არმაზს და ზადენს ბომონითურთ მტურად შეჰფქვავს,  
მეფესა ჰკურნავს, სნულთ ურიცხუთ ამრთელებს.
290. ჯუარი, ზოსრომსგან სპარსისა წარტყუენვილი,  
სპარსთა ადგილთა განჰფენს საკრველებთა  
და მოქცეული ჩუენდავე მორწმუნეთად  
ადინებს ნიშთა ურიცხუთა საკრველად,  
ანგელოსთაგან იპატივს-იცემების.
291. ჯუარი მმარხუელთა და მარტულ-მოღუაწეთა,  
აღმსარებელთა, ქალწულთა და მართალთა,  
ქადაგთა, მწყემსთა და მეფეთა და მღუდელთა,  
წარმმართველი ნამოქმედთა ქრისტესთვის,  
ყოველთა თანად და შორის საკრველებს.

292. მღუდელ-მმოქმედები საღმრთოჲსა ტარიგისა, შემდგომად სიტყუს საღმრთოისა ემა-ყოფის და მოწოდების სულისა ღმერთთ-მთავარის ტარიგს ზედასა ჰყოფს სასწაულსა ჯუარის, მამისად მთხოვი და მსხუერპლისა სრულ-ყოფი.
293. ესე საკრველ და უცხო მოგონების, ზესთა გონების დაზეებული ცნობის, უადრეს სიტყუს, წარმლტოლვარე გამოთქმის, გარეგან საზღვრის, საიდუმლო მიუწოთ სასწაულითა იქმნების ჯუარისაჲთა.
294. განბანადისა ყრმისა ზედაი ნიში, ანუ დაბეჭდვა ბეჭდითა სულისაჲთა, ანუ კელისა დასხმანი სამღუდელონი, და ანუ განცხნა მონანულთა კრულების და სიძე-სძალთა ქორწილი, ცხება ზეთის —
295. ესე ყოველნი — არა-ზილულნი მადლნი, მღუდელ-მოქმედისა მარჯუენითა სრულ-ქმნილნი, სიტყუათა თანა სასწაულითა ჯუარის სრულ-ყოფად ვუწყით სარწმუნოებით მრწმენთა და განწმედაცა ყოველი ამითავე.
296. თაყუანის-ცემა ტულია ჰშუენის ჯუარსა, ესფერ — ლახუარსა, გუერდს საღმრთოს შეხებულსა, მეზრევე — გერგენსა, ლელწამსა და ღრუბელსა, კუალად — სამსჭუალთა, ქლამინდსა და საბელსა, ტაფოსს საღმრთოსა ტილოთა სუდართურთ.
297. კუარცხლ-ბეკი ღმრთისა ჯუარი არს, ნიში წმიდა, ადვილი, სადა დგეს ფერკნი უფლისანი. ამისი წინაჲთ თაყუანის-ცემა დავით გუასწავა ესნილთა ძელისა მიერ საღმრთოჲს. თაყუანის-ვსცემთ და ამბორს ვუყოფთ სურვილით.

თოუესა ოკლობერსა 1.

თნს საღმერთოფსა კუართისა

აქებდითსა ზედა დასდებელი.

298. საჩინო-ქმნილმან თუსთა არ-მძიებელთა  
 კპოვნის, მიმცემმან თუსთა არ-განმკითხუელთა  
 და სახელისა მისისა არა-მკედელთა.  
 ღმერთმან ძალთამან არა-შეწყალებულსა  
 ერსა წინაძთვე მფარველად მოსცა კუართი.
299. კუართი, რომელი შეუხებელსა ღმერთსა  
 შეეზო ყოვლად საკურგოდ მასთან ზრდითა,  
 რომელი ოფლმან სიტყვსამან და სისხლთა  
 ფერ-ცვალებულად გამოაჩინეს ესე,  
 არს ქსული ჯორცთა კრეტსაბმელის მქსოველის.
300. მკედართა ბილწთა, სიცრუეისა მოქმედთა  
 დასდევს მოყუსობა ყოვლად მბოროტებელთა,  
 სამოსი — განჭრად, კუართი წმიდა — წილ-გდებად,  
 ვით პირველ დავით წინა-თქმობითა ცხად-ჰყო.  
 ესე დღეს მადლთა შარავანდელსა მოგუფენს.
301. დაღათუ, ბილწნო, ჩემისა იესოძისი  
 იზრახეთ ცუდი: შერევად ძელი პურსა,  
 უსახურებად სიკუდიდ უკუდავი იგი,  
 კუართი — წილ-გდებად, სამოსელი — განხვეად,  
 გარნა უკუდავებს, ღმრთაებით განუკუეთლობს.

თხს ყოველთა წმიდათა

თ ა ვ ი I

თხს ანგელოზთა

302. არსება საესე — მარტივე, არ-სიდიდის მქონ, არცა კერძოთა სიმრავლისა მიმთუალველ, გულის-ჯმიერი, კელმწიფებრ მნებებელი, მიუდრეკელი, უკუდავი, სხუა ნათელი, უზადოაგან ნათლისა ქმნილი ნათლად.
303. სული არს ესე მხოლოობასა შინა, უქცეველ-მდგომი ერთ-არსობასა შინა, არა თუ მრავლად განფენილი არსებად, არამედ თხსსა მხოლოობასა შინა უკუ-მსფერები, პირველი ხატი ღმრთისა.
304. ესე არსება ანუ ბუნება წმიდა სახეობითად სდეეს ნათესავსა თხსსა, არსებას მარტივეს, გულის-ჯმიერ მნებებელს და განეყოფის საესებით არა-საესეს, გულის-ჯმიერსა მნებებელს, სხუასთან შეკრულს.
305. განიფინების არსება ესე გუამთად, ვითარცა სახე თხსთა განუკუეთელთად, ნათესავი და სხუაობაი სახეთა წარმოსა ჰყოფენ განუკუეთელ გუამებთას, ვითა ვისწავეთ სხუათათხსცა სახეთა.

306. არსება ესე სახეს შინაობითი,  
შემკრები ერთად განუკუეთელთა მისგანთ,  
ყოვლადი საესე, მრთელი დაუკლებელად  
ზედ-წოდებულებს „ანგელოს“ სახელ-დებით  
და სათუთოდცა მიფენილ არს ყოველთად.
307. ეს სახედ ძალნი, ყოველთად სპცნაურ-ქმნილნი  
განუკუეთელთად სახითურთ ზედ-წოდებით,  
ვითა გუასმიეს „ზეცისა ძალნი“ თქმითა  
წერილთა შინა მოძღურებითთა მრავალჯერ,  
რომლითა ჩუენცა ესთა ზედ-წოდებულ ვპყოფთ.
308. ამისთვის იტყუს დაეით „ფსალმუნთა“ შინა  
სულად შექმნილად და ალად-რე ცეცხლისა<sup>1</sup>,  
რომელთამან თქუა ერთმან ტობიას შინა  
შედთაგანობა წინაშე-მდგომთა ღმრთისა<sup>2</sup>,  
რომლით ესცნობთ მათსა უსაშუალობასა.
309. სამსა სამობას შინა შეცეულ ესენი,  
თუთო სამობა — სხუა სამობასა შინა;  
პირველნი პირველ მიიღებენ მაღალსა  
არსებისაგან ნათლისა უზადოჲსა  
გამობრწყინებას ზესთა საესესა მდიდრად.
310. სამობა კუალად შემდგომი — საშუალი,  
პირველისაგან მიმღე გამობრწყინებების ,  
უკუდავებითის საღმრთოის ზესთა საესის,  
ხოლო შემდგომის სამობის გარდამფენი;  
პირველის — მბაძვე, შემდგომის — საბაძველი.
311. პირველსა შინა სამობასა შეცეულნი  
სამობანივე, მკულნი მახლობელობით  
უსაშუალოდ განათლებისა მიერ —  
სერაფიმნი და ზერუემნი, საყდარნი —  
მრავალ-თუალობით მრავალ-ფრთე-უწყებულნი.

<sup>1</sup> ფს. 103, 4. <sup>2</sup> ტობია 12, 15.

312. „სერაფიმ“ სახელ ებრაელებრი არს თქმა — „დამწველ“ ანუ თუ „განმაკურვებელ“ ცნობილ, „ხერუვიმ“ — ცნობის სიმრავლე, სიბრძნის ფენა, „საყდარნი“ — კუალად განფენავე სიბრძნისა, ანუ იგივე „განმაკურვებლობა“.
313. ესე სამობა — წესი ყოვლად წმიდაი, პირველ მღუდელ-მოქმედ საღმრთოს მემსხუერპლეობის, უსაშუალოდ ღმრთისა თანა მახლობელ, პირველ მიმღებელ ღმრთის გამოცხადებათა, უქუემოესთა მსგავსებად თვსად აღმყვან.
314. ამათ დასთათვს მეცნნი საყდარ-წოდების პირველ სამობათ მიმართ განკუთნვილად-რე არს უცხოობა ქუეშეთა სურვილთაგან, უკანაობის ზესთ ამაღლებულება, ვითა გუასწავებს საღმრთო ღიონვისიოს<sup>3</sup>.
315. საშუალობა საღმრთოთა მღუდელ-მთავართა, მეორესა-რე სამობასა პერობილთა, ერთ-სახელობით „ძალად“ იწოდების-ყე და სხუა და სხუათა სახელთა განიკუთნვენ, რომელსა ქუემო ვიტყვთ სახელწოდებით.
316. ამათგანისა ზენაისა მწუერვალის ეკლესიამან სცნა ესთა ზედ-წოდება, შესაბამ ვითარ მიილო მოძღუართაგან, როს „უფლებანი“ თქუა მათთვს ღიონვისი, პირველ შემკულნი საშუალ სამთა შორის<sup>4</sup>.
317. ესე არს ესე: ღმრთის სახეობა მათი და გარდმოხატვა უფლებრივობისა-რე, ვითარმედ ყოვლად დაუმონებელობა ქუეშეურისა ყოვლისა სურვილისა, აღპყრობილება — ყოვლად თავისუფალი.

<sup>3</sup> დ ი ო ნ ი ს ე ა რ ე ო პ ა გ ე ლ ი, ზეცათა მღდელთ-მთავრობისათვის (თავი მე-7).

<sup>4</sup> იქვე, თავი მე-8.



318. ღმერთთ-მთავრობისა უფალთ-დასაბამობის  
გარდმოხატელებნი, შემდგომთ მწუერვალნი, ესე  
სხუათაცა ხატვენ თჳს შორისითა ხატით,  
ხოლო შემდგომნი „ძალად“ ზედ-წოდებულნი  
ებაძეებიან მწუერვალ-აღმყვანებელთა.
319. ძალნი წულებრსა შეურყეველსა სიმცნეს  
ღმრთის-სახეობითს დამათშორისებენ  
შემძლებელ-ქმნილნი, რაიცალა მიფენა  
მიუღიეს-ყე მონებრ დატევისსაებრ  
ღმერთთ-მთავრობითის ზესთ-გამობრწყინებისა.
320. შემდგომთა აღმყვან ტრფიალებითისადმი  
ძალნი არიან საბაძველ მათდა მყოფნი,  
ესე იგი არს კელმწიფებათა დასის,  
ვინცა უფლებათ და ძალთა თანა საღმრთოთ  
მღუდელ-მთავრებრივსა ჰყოფენ თან-წესებასა.
321. ხატვენ საღმრთოსა წესსა კელმწიფებანი:  
პირველად — ვითა კელმწიფებრ აღმყვანობით  
კელმწიფებისა ღმერთთ-მთავრობითისადმი;  
მეორედ — ვითა საღმრთოს გამობრწყინების  
შემდგომთა თჳსთა მიმართ მღუდელ-მოქმედებენ.
322. დასასრულ, უკუე სამობა მღუდელ-მთავრებრი —  
მთავრობათა და მთავარ-ანგელოს-ანგელთ,  
შემკობილება — ღმრთის-სახეობით ნათელ,  
რომელთა-იგი წოდებანი დაჰნიშნენ  
სხუა და სხუასა-რე საიდუმლოს იგავით:
323. პირველი — ვითარ მთავრობა ღმრთის-სახებრი,  
ფლობა წესისა სამღუდელოისა საესედ,  
მომქცეველობა ღმერთთ-მთავრობითისადმი,  
სხუათა წინ-ძღუანვა სატრფიალოჲსა მიმართ  
ზესთ-დასაბამის, ღმერთთ-მთავრისადმი ნათლის.
324. მეორედ — ვითარ ზიარებულ ზემოის,  
ხოლო ქუემოის ანგელოსებრის დასის,  
ესე იგი არს, ვითარმედ მთავრებრ შემდგომთ  
უძღვან მთავრებრ არსებათ დასაბამის,  
ჩუენდა მათ მიერ ჰგზავნიან მადლთა საღმრთოთ.

325. ერთი არს სამთა მღუდელ-მთავრობითი წესი დასასრულისა საღმრთოთა სამობათა, რომელთა შორის უკანასკნელი დასი არს ანგელოსთა წმიდათა მცველთა ჩუენთა, ვითა ესცნობთ ამას საღმრთოთა წერილთაგან<sup>5</sup>.
326. ესენი მცველად კაცთათჳს განიჩინნეს, ესენი ჩუენდა უწყებისა მოქმედნი საიდუმლოთა საღმრთოთა სარწმუნოთა, ვით ისრაელთად მიხაილ მცველ-წინამძღუარ, ხოლო მადლისა მახარებელ გაბრიელ.
327. ესენი უკუე – მიმრთმელ ლოცვათა ჩუენთა, მღუდელ-მმოქმედებნი ზენა საკურთხეველსა წმიდისა მიმართ უზადოისა ღმრთისა და მომფენელნი ჩუენდა საღმრთოთა მადლთა საშუალობით საღმრთოდ მღუდელ-მთავრებრივად.
328. მიხაილ დიდი, ზილული ისუს მიერ, მკედართა მძღუანვის, ვინცა ენაცვლა მოსეს, თჳს შორის მომღე ღმრთის-მყოფისა მკედრობით ვით მოსეს თანა, ვით მოითხრობის ძუელად, ეინ დანიელცა იხილა დიდებულად.
329. კუალად რაფაილ, თქმული ტობიას შინა, ხოლო ახლისა აღთქმისა მსახარები, ქალწულისადმი ყრმაასა სიტყჳს შობის გაბრიელ დიდი და სხუათა ოთხთა თანა ანგელოს-ყოფად ვიგულ-ჯმებთ წერილთაგან.
330. ამათ საღმრთოთა ძალთად მინიჭებულებს ძნიად აღძრვაი სიბოროტისა მიმართ, წინა-მეთქუობა საიდუმლოთა დიდთა. საგონებელ არს ამათგან ყოფა მათი ბნელისა ძალთა, წარწყმედისა მშობელთა.

<sup>5</sup> იქვე, თავი მე-9.

თჲს მოციქულთა

331. ათორნი ლოდნი საკურთხეველისანი,  
მებრნივე რიცხუთ სპეკალნი სამლუდელონი,  
ესფერვე ბჭენი ზესთ იერუსალიმის  
და საფუძველნი მისეე ქალაქისანი,  
ათორ სპეკალნი — კრავისა მოციქულნი..
332. ყოელად ბრძენმან თქუა, საღმრთომან მოციქულმან,  
ეკლესიასა შინა თუსსა ღმრთისაგან  
უპირატესად დგომი მოციქულთა,  
მოცემა მისდა პირველად მოციქულთა,  
კუალად ქრისტესდა დიდებად ზედწოდება.
333. საღმრთო საწადე — სახარებისა ბადე  
სულით განშალეს, ზღუთ ზეცისად განსცვალეს  
მეორედ მბადე, სიტყუერთ დასაქადე,  
ცხად არა მალეს, გულნი აღატრფეს-ალეს,  
ქებად საკულადე, ყოველთა სათანადე.
334. ვინ ხილუად მეფეთ წინ-მეთქუთ უთქმიდა გული,  
მარად ჰხედვიდეს, მარად თანა ჰყვებოდეს;  
უკუდაე-მწთოლვარე სწთოდეს მათზედ სიტყუანი  
ღმერთთ-მთავრის სიტყუს, ჭეშმარიტად ჯორც-ქმნილის-  
მას ჰმსახურებდეს, მას თანა ჰგებდეს მარად.
335. მღევარსა საელეს — სიტყუა ჯორციელ-ქმნული,  
სრბითა ფერჯ-მალეს — მამის საყდართ აღსრული,  
ხილვას საცვალეს ღირს იქმს მისდა ჯუარცმული  
და მადლს საწყალეს, რომელსა სრულ-ჰყოფს სული,  
და ესთა ჰავლეს გუამი ექმნების ღმრთული.
336. პეტრე ნეტარი, ჭური რჩეული ჰავლე  
ძუელ გამოსახა ორ-ხემან უღბოლველის,  
ოქროისაგან წმიდისა შემოსილმან,  
ოთხ გრკალთა შინა განყრადმან აღსაღებლად  
საწამებოსა საღმრთოჲსა კიდობნისა.

337. გრკალნი ოქროის საღმრთოჲსა კიდობნისა  
 ივაჲ-ხატობდენ ოთხ-ხატედთა ცხოველთა,  
 ორ-ორ შეუღლევით მართებითად-რე მსლეველთა,  
 ოთხ-მახარებელთ ეკლესიისა გრკალთა,  
 კაც-ლომ-ზუარაკსა, არწივს აღმფრენ უზევს.
338. ვითარმედ კეტნი ოქრო-მოსილნი იგი,  
 მოციქულთ თავნი ოთხთ გრკალთა შორის ორქოჲს,  
 ესე იგი არს მახარებელთა შორის  
 ეკლესიისა არიან საყვანებელ  
 ნებისა მიმართ სიძისა უკუღავისა.
339. ჳმა მოციქულთა ყოვლ ქუეყნად სოფლის კიდედ  
 განისმა, განსწუთა სიტყუანი საყურებრად,  
 რამეთუ სიონს ამათ ცეცხლის ენანი  
 სულის მეუფებრ დადგრომითა მიიღეს  
 და უწიგნონი ბრძენთა აღსცილდეს სიბრძნეს.
340. არა-სადა არს თქმულ, არცა-სადა სიტყუა  
 მოციქულებრი, რათა არა მისწუთა ჳმა,  
 აღაესეს ყოვლი ცნობითა უფლისაჲთა  
 და წყალთ ვით მრავალთ დაჳფარეს უკუე ზღუები  
 ისაიას და ამბაკომის თქმათაებრ<sup>9</sup>.
341. ვით მოძღურისაგან თჳსისა და უფლისა  
 ისწავეს ცნობა კაცთ-მოყუარებრ აღძრცული,  
 გამოთქმის ჳესთა იგი ღმრთის-მეტყუელება  
 ყოვლად წმიდისა გუასწავეს სამებისა,  
 და სახელითა მითვე მეორედ გუშენეს ჩუენ<sup>1</sup>.
342. საყვრნი ესე სულისანი სიტყუამან  
 დაჳბერნა სულით ჩუენ განღჳმებად მკუდართა;  
 დაყროლებულნი სამარეთაგან მკუდარნი,  
 შიშუელნი ძუალნი განგუაცხოველნა სულით,  
 მიმგუარნა მამას ქსნილნი მკუდართა კერპთაგან.

<sup>9</sup> ისაია 11, 9; ამბაკუმ 2, 14.

343. საღმრთონი ესე მოციქულნი კრავისა,  
 მსოფლიო მწყემსნი პავლე — ჭურით რჩეულით,  
 ზიარ სიკუდილის და ტკივილისა მოძღურის,  
 გამოჩნდეს სისხლით და გურგუნი სხუა და სხუა  
 ღუაწლთა ერთ-პატიე მიიღეს ათორმეტთა.
344. სამეოცდაათ რიცხვთ რჩეულნი სხუანიც,  
 უფლისა მიერ წარვლენილნი ხარებად,  
 ხოლო ექუსნიცა საღმრთონი დიაკონნი —  
 ესე ყოველნი კრავისა მოციქულთა  
 ვიციით მოწაფედ, მოწამედ და მღუდელთ-მთავრად.

### თ ა ვ ი III

#### თსს მამათ-მთავართა

345. მამათ-მთავართა, პირველთ ქრისტეს მამათა,  
 მრწმენთა ღმრთისადმი და სჯულითა მართალთა  
 ტრფიალებითა და სუთა ღმრთის მომგეთა,  
 უმანკოების სარკეთა უბრყულოთა,  
 რომელთა შორის აბრაჰამ დიდ-მნათობებს:
346. ადამ და სეით, ენუქ და ნოე დიდი,  
 აბრაჰამადმდე პირველ მამებად თქმულნი,  
 აბრაჰამითგან დავითისადმდე მშუდის  
 შესაბამ თქმულნი, მამათ-მთავარ საღმრთონი  
 განათლებულნი სულითა ღმერთთ-მთავრითა.
347. რაიმე თქმანი საკადრ არიან შენდა,  
 აბრაჰამ დილო, ვინ ნათესავთა შორის  
 მარტომან ჰპოვე რწმენა შემოქმედისად?  
 ძე აღთქმის ისაკ რწმუნვით იბერწისწულე,  
 აძე მქვეალი ნაშობითურთ მკვდრისგან.
348. ისაკ წმიდასა, მენაცვლეს აბრაჰამის,  
 ისრაილ დიდსა, რჩეულსა უფლისასა,  
 იაკობს, ხედვის და საქმის შეუღლებულს,  
 რომელთაგანცა სიმრაელე ნაყოფისა  
 განპყდის ნივთიერ მქველის ნაყოფთ სიმრაელეს.

349. ყოველთა ზოგად კრებულნი მამათ-მთავართ  
ეკლესიას არიხ საქადულობა:  
მოსე დიდითურთ კაცით ღმრთის-მოუბნართ,  
ვინ დაჰფარვიდის პირსა საბურველითა  
ვერ შესაძლებსა ჭურეტად ებრაელთაგან.
350. სჯულისა მომღე ფიცართა ღმრთივ-წერილთა,  
კარავის მექმი, აპრონის მღუდელად მცხები,  
ღმერთი ფარაოჲს, ერითრუს კუერთხით მპობი.  
თან სამოელის და ისუს-ფინეზისა  
საქებელითა ძნობითა შეისხმიან.
351. იობ საღმრთომან, დიდ-სულობისა ხატმან,  
ჰმსთავრა ეშმაკთა, კორცთა და სოფლისათა  
ქრისტეს წყლულება გამოსახა თუს შორის;  
კორცით სძლო სულსა, შეზავებულით მარტივს;  
სხეულით სთრგუნა უქორცო სოფლის მპყრობი.

#### თ ა ვ ი IV

##### თჳს წინასწარ-მეტყუელთა

352. ვპრაცხ ესენებასა შესხმით ღმრთის-მეტყუელთასა.  
ტკბილ-საამოვნოდ, საწადელ-სასურვ-სატრფოდ,  
რომელთა სული მიიღეს ღმერთთ-მთავარი  
თუს შორის მკვდრად მზიარებელთა მისდა  
და სთქმიდეს საღმრთოთ აწთა წინა-მხილველნი.
353. საღმრთო შეწყობა ფსალმუნთ წინ-მეთქუელობით  
და შაირულთა სტიხირონებრთა თქმათა,  
სხუა და სხუა ფრასნი, დიდთა საიდუმლოთა  
წინა-თქმობითნი, მითვე ღმერთთ-მთავართ სულით  
დათხზეს, დაწერეს, დაჰბერეს საყვრებად:
354. ხილვანი დიდნი, ზეებულნი გონების  
თქმანი, ვით ქმნილთა-უქმნელთა უხილავთა,  
კადრნი ღმრთისადმი – სასწაულნი მაღალნი;  
ცხოვრება აქა არა-მდიდარი, წმიდა,  
არ-თნება, მეფეთ მძვინვარების არ-შიში.

355. ამათ სიტყვა ღმერთთ-მთავრის კორციით მოსლვა  
და გარემონი ამის საიდუმლოდსნი,  
აღსპოლვა ურჩთა, სხუად ადგიდ გარდასახლვა,  
უკ-მოწოდება, რისხვსა დამშუდება  
წინა თქუეს სულით, ვით ქმნილთა-რე ნივთთათს..
356. რომელი ჩუენთს განიგო საცხოვრებლად —  
თანა შთამოსლვა სიტყვსა, განზრქელება,  
ძედ ჩუენდა ყოფა, ჩუენი ღმერთობაი ხოლო,  
უგიობელთა ენებათა ქუეშე-ყოფა  
წინა თქუეს სულით, ვით ქმნილთა-რე ნივთთათს..
357. მოსლვა მერმეი არა მხოლოდ წყალობით,  
აღნთება ურჩთა თონესა შინა რისხვს,  
მართალთა — წმიდა სიონი ზეციერი,  
გვრგვნი, შუება, ცრემლთა ყოვლად მოსპობა  
წინა თქუეს სულით, ვით ქმნილთა-რე ნივთთათს..
358. ესენი სთქმიდეს სიტყვს კორციელ შობას  
და მით არსების კაცობრივისა ღმერთობას,  
ახლით-რე აღთქმით ძუელის აღთქმის დაცხრობას,  
დავითის საყდრის წინაშე ღმრთისა მზობას  
და ყრმაებულის საუკუნოდ-რე ფლობას;
359. ქრისტე უფლისა ჩუენებრსა შინა ჰყრობას,  
ენებათა ტკივილთ, მაგრა ყოველთა თმობას,  
ყოველთა მტერთა მუსრვას, მისგან დამკობას,  
ხოლო წარმართთა ყოველთა მისდა მკობას  
და ყრმაებულის საუკუნოდ-რე ფლობას;
360. ძალთა ღმრთისა-რე კორცთა კაცებრ მცრობას,  
ქურეტას კელთ და ფერკთ, ლურსმართა მიერ სობას,  
მონათა ქმნილთა ღმრთისადმი ესდენ მტრობას,  
ურჩთა, მბორგალთა წყუედას, სპოლვას, განქრობას  
და ყრმაებულის საუკუნოდ-რე ფლობას.
361. ბეჭედი საღმრთო წინასწარ-მეტყუელების,  
აბრაჰამისი და მოსეს უაღრესი,  
მოციქულებრსა მადლსა არა-კლებული —  
ნათლის-მცემელი, წინა-მსრბი და მოწამე,  
მართალი, მმარხუელთ გვრგვნი იოანე —

362. შორის მადლისა და წერილთა სჯულისა  
 ბრწყინავს მთიები, წინ-მსწრობი მზისა ღმრთისა,  
 ხედვითისა და საქმითისა მადლისა,  
 რეცა კავშირი, ანგელი კორციელი,  
 ზაქარიასი ძე, საღმრთო იოანე —
363. ანგელოსებრით ხარებითა შობილი,  
 ღმერთ-მამაკაცის შობით წინა-სწრობილი,  
 უაღრესთ ნაშეთა ყოფით ესთა მკობილი,  
 უდაბნოისა ცხოვრებითა თმობილი,  
 პურ საღმრთო წმიდა, მარხუთა შეცხობილი,
364. მამის უტყუების, დედის ბერწობის მესნელი,  
 ძალით და სულით ილიასითა მსლველი<sup>7</sup>,  
 მრუშთაგან კლული, ენებათა თვთ მომკლველი,  
 შობითვე სჯულის სიმართლით-რე დამცველი  
 და სიმრთელისა სჯულიერისა მცველი.
365. იორდანესა მდინარესა განბანად  
 ღმერთთ-მთაერი სიტყუა მივალს მისდა სიმდაბლით  
 და შეეხების თივა ცეცხლსა საღმრთოსა,  
 ინათლის-მცემლებს ამას სიბრძნე შამისა.  
 სიტყუა — ემასა და ნათელი — სასანთლესა!

## თ ა ვ

თვს მფყმისთა და მოძღუართა ეკლესიისათა

366. მწყემსნი რომელნი ენაცვლნენ მოციქულთა —  
 მომღენი მადლთა მოციქულთათვს შორის,  
 ეკლესიისა საღმრთო ფილოსოფოსნი,  
 ელნით ზღაპართა სამჭევრ-მეთქეოთა მარღუნი,  
 წვალების მოძღუართ წვალებითურთ განმმეყნი.
367. უხილავ იდგნეს თავს ზედ ცეცხლის ენანი,  
 ტკივილთ არ ჰრიდეს, ჰქმნეს ქრისტესთვს თმენანი,  
 სისხლით ილუაწეს, არად პრაცხნეს წყენანი,  
 მრჩობლნი წარგუჯადნეს ჭირნი, ჰკურნნეს სენანი,  
 წვალების დაჰქმნეს, საღამთ იქმნეს დენანი.

<sup>7</sup> ლუკა 1, 17.



368. მოციქულებრთა საყდართა მოსაყდრენი,  
საიდუმლოთა გამოთქმად მებრ მკადრენი,  
საჭკეთ-მმართვენი, ვრცელ ღელვათ დამაცხურენი,  
მადენნი ტკბილ თქმათ, მსმენელთა დამათურენი,  
კეთილთ-მშრომელნი, შედგომილთ დამაშურენი.
369. სიბრძნე მოიგეს, ეტრფიალნეს სიბრძნესა,  
სძლად დაიწინდეს მეძიებელთა დიდად;  
ხედვაი საქმეს ჰზავეს სიბრძნისა მიერ,  
წრფელ-იდოლმატეს, გულარძნილნი განაწრფელნეს,  
მთანი და ქეენი აწრფელ-ეპიფანიეს.
370. ერნი აახლნეს ცოდვითა ძუელეებულნი,  
ქრისტეს ემსგავსნეს, ჰაველეს ეთან-მოლუაწნეს,  
ტკბილ-ოქრო ჟღერდეს, ოქრო-ხუაეთა განჰყოფდეს,  
ოქრო-ნაკადთა სულთა მორწყუად აღენდეს  
ოქრო-ფიალნი ოქრო-შხეთა მადენნი.
371. მეფეთა მიმართ იქმნნეს სხუა ვინ ილია,  
ხოლო ერისად — იერემია კუალად —  
მამხილებელნი, არ-მეთნნი ქრისტეს მონებრ,  
არარად მრაცხნი დევნათა ექსორიათ,  
მომგებნი. ოდენ ნამდვილ სატრფიალოსა.
372. დაფარულება სამღუდელითა წერილთა  
ამათ აბრწყინვეს, აღჯსნნეს, განცხადებულ ჰყვენეს,  
ბნელნი ნათელ ჰყვენეს, ღირღლოვანი — ველოვან;  
სინანულისა საცხოვრებელნი თქმანი  
მდიდრად განჰფინნეს კიდითი კიდეთადმდე.
373. მღუდელ-მოქმედებდეს მამისა მიმართ ტარიგს,  
გულნი წმიდა ჰქმნეს, კელნი — უცხო ბრალთაგან  
და ესთა დადგეს ადგილს წმიდასა ღმრთისას,  
ძნელნი ადვილ ჰყვენეს, იწრო ბჭისად წარგვძლევს,  
მღუდელიობა წმიდა უბრალოდ მისცეს ღმერთსა.
374. რა არს, რომელი მათ მიერ არა ვიცანთ:  
ანუ უზადო, ანუ გარემო მისი,  
ან მეორენი ნათელნი ზეციერნი,  
ან ზეციერი წესი საეკლესიო,  
ანუ სოფლისა შინასა ეკლესიის;

375. ანუ არსება ქუეყნიერი რომელი,  
 ან თვსებანი არსებითნი ყოველნი,  
 ანუ სისტემა სოფლისა მოკიდული,  
 ნამდვილ სარწმუნო, გონებით ნაცნი ოდენ,  
 ან შემთხუევანი, არსების მეტ-ზედანი?

## თ ა ვ ი VI

### თხს მოწყამეთა და აღმსარებაელთა

376. ეჰა, რაბამ არს საიდუმლოის გუარი?!  
 ჰოი ტრფიალწო, ნამდვილ სატრფიალოდსნო,  
 მოვედო, მიხედეთ ტრფიალებითსა ცეცხლსა,  
 რომლის მიფენად მოვიდა ჩუენდა ღმერთი,  
 ზოლო მახულსა განმყოფსა ურთიერთ-არს.
377. აღტეხა ესე დაუესო, გაუქრობი,  
 აღსა ჰმრეტს მძაფრსა, პელელოსა აკმელებს,  
 მკეცებრთა კბილთა აბრჯგუებს და აწყნარებს  
 და საშიშართა რკინათა დააცულებს,  
 ღრმას და სიმაღლეს აერთ-ეპიფანიებს.
378. განძენებანი ტირანთა მეფეთანი,  
 ზოლო ზემონი საშინელებნი ნივთნი  
 მამრთა ჭაბუკთა — კუბასტი სირცხვლისა  
 და ჭაბუკათა — შიშულივ მოვლა ქალაქთა  
 ჰრაცხეს მარტულთა ქრისტესთეს სიტკობებად.
379. სიმკნე საკრვო, სურვილი განსაცვიფრო  
 რწმუნვასა ჰზავეს სასოებითა ღმრთისად,  
 ტკბილად ჰსუეს მწარე სიკუდილისა სასმელი,  
 ზუეტა და მუსრვა წებით შეიწყნარნეს ტკბილ  
 და ურმის თუალნი მიიღნეს სიამოვნით.
380. ტკბილ მათდა ყოვლად განწილვა ასოდ-ასოდ,  
 უტკბილეს ჯუარი, იავარ-ქმნა სიმღიდრედ,  
 ექსორიობა საამოვნო — ვერ საკმად,  
 ცეცხლნი, ყინელნი და სხუანი ზემო ნათქუნი —  
 სატრფო-საწყურად ბრძენ-მკნე მოწამეთათეს.

381. სისხლი მარტულთა ეკლესიისა მიმართ  
იქმნა პორფირად, იქმნა ნელსაცხებელად,  
იქმნა სიტკიცედ, იქმნა წინდად ღმრთისადმი,  
იქმნა მშულდ, ნიშან დასაყენებელ რისხვს  
და იქმნა ზიარ სისხლის ღმერთ-მამაკაცის.
382. გურგენი საღმრთო შუენიერ-მეფობითი,  
ხოლო სიკეთის შარაენდელი წმიდა,  
მდიდრად მიიღეს ქრისტესგან მოწამეთა  
და ჯილდო საღმრთო, მის თანა — ზიარება.  
ვინ-ა ღირს მირთმად გურგენი ყუავილელი?
383. რომელთა რწმუნვა კეთილ-მსახურებითი  
საჭიროით-რე სჯულით საეკლესიოთ,  
თვს შორის მკვდრი დაიცევს უგმობელად  
და მარტულებრნი თქმულნი მიიღნეს ვნება,  
ამათ ზედ-წოდებრ ეთქმის აღმსარებლობა.
384. ესენი წალკოტს საეკლესიოთს საღმრთოთს  
აღყუაენეს წმიდად, ცურეულნი ვნებათაგან  
ზიარ ქრისტესთა, ლატრიათა ტკივილთა  
და მოწამებრთა ჯილდოდ საესედ მიმღენი,  
განბრწყინდეს შუქთა დაუვსოთა მფენელნი.

## თ ა ვ ი VII

### თვს ღირსთა

385. კრძალულებასა წყაროსა მარხვასა  
ემიზეზების ტრფიალებათი თქმული  
მით, რომელ ოდეს აღევზის გულსა შინა  
სხუა და სხუა-სახედ სათნოებისა გუარად,  
ქუე-მდებარეთა ავლინებს ტრფიალებით.
386. ოდეს განჭრილი გული სურვილისაგან  
მირბის მისდამი, რათა ქრისტე თვს შორის  
მოიგოს ხოლო და ეზიაროს მისდა,  
მაშინ შიშისა სიბრძნისა დასაბამის  
ქუე-მდებარები მდიდრდების კრძალულებით.

387. კრძალულებისა სრულისა დასაბამი  
 სოფლით გამოსლეა, თუსთა განშორება არს,  
 აღება ჯუარის, შედგომა ქრისტესი და  
 ნიადაგ თუსთა ნებათა იძულება,  
 თავის განცემა, ქრისტესთუს მონა-ყოფა,
388. მარად მოკუეთა სიამოვნეთა ხრწნადთა,  
 მუცლის მოყმობა, კორცთ დამონება სულის  
 და განშიშულება, ნებსითი სიგლახაკე,  
 უმეუღლობა, კორცთ-აღძრვისა მოკუდომა  
 და დამდაბლება ქრისტებრი სრულიადი.
389. ესე ნეტართა მამათა, დედათაცა  
 პოვეს უღელვო ლიმენა მშუდობითი,  
 რომელ არს საღმრთო წმიდა მოქალაქობა,  
 ანგელოსებრი ცხოვრება უზაკუელი,  
 ჯუარით მორთხმულთა ჰქმნეს წყობა მტერთა მიმართ.
390. სძლეს ღირსთა ამათ კრძალულებისა მიერ  
 ეშმაკთა, კორცთა და სოფლისათა ყოველთ;  
 უსისხლო მარტულ გამობრწყინდეს სოფელსა,  
 შენნი — ცალიერ და უშენნი ქალაქ ჰყენეს  
 და ღირსად ჯილდო მიიღეს ღირსებითნი.

## თ ა ვ ი VIII

### თჳს ძალწულთა

391. კრებული სძალთა ქრისტესთა — საკრველი,  
 ბრძენ-შეკრებული ტრფიალებითა სიძის,  
 კელთა მქონები აღნთებულთა ზეთებთა,  
 მიგებებული სიძისად მოსრულისა,  
 არა-მრულები სიცონილისა ძილით.
392. აჰა, ჩანს სიბრძნე, ცხოვრება გონებისა,  
 უენებელობით პოენილი ქალწულთაგან,  
 ზეთი წყალობის, ყოველთა მიმართ სწორი,  
 მნთებარე ნათლით წმიდითა ზედვითისად,  
 გუამი ქალწული, ზეთისა შესაბამი.

393. ესე არს ესე ნათელი ხედვითისა,  
 ღმრთისადმი რწმუნება, სასოება, ტრფიალი,  
 რომელთა მიერ არს უენებელობაი,  
 მერმელა — დიდი გონების განათლება,  
 მარადის ხედვა ნამდვილ სატრფიალოდ.
394. ურულოდ ყოფა შუალამედმდე მათი  
 არს სიმკნე წმიდა, თრგუნვა სიცონილისა,  
 ხოლო არ-ცემა სხუათადმი ზეთისა მის  
 არს ენებათაგან არცა ერთით წარპარვა,  
 რომლით განწმიდეს ქალწულება გუამისა.
395. ეს გუართა ხოლო მოიგეს სიძედ ქრისტე  
 და დაეწინდნეს საუკუნოდ-რე ქრისტეს  
 არ სულიერნი, მხოლოდ — ქალწულნი ოდენ  
 და ქორწილისა უკუდავისად სასძლოდსა  
 განშუენებულნი მივიდეს სიხარულად.

## თ ა ვ ი IX

### თხს მართალთა და ჩინლთა

396. უმანკოება ყოველსა შინა წმიდა  
 სწმედს და მბზინვარედ სუფთა ჰყოფს გონებასა,  
 ასარკებს ღმერთსა, არსებას აიგივებს,  
 ესე იგი არს, ვითარიც შექქმნა ღმერთმან,  
 რწმენითთა სჯულთა სცავს განუგმობელად-რე.
397. სხუათაც სცავს სჯულთა სათანადოთა დაცვად,  
 მართალ სჯის მარად, არა მისდრეკს სიმრუმედ,  
 არვის თუალ-აღებს, არ-ვისდამი მიდრკების,  
 არ უყუარს ქრთამი, არცა დასჯის მოყუასსა;  
 ესთა მართლოის ყოველსა შინა მარად.
398. ესე მოიგეს მართალთა უფლისათა,  
 ყოველსა შინა მართალ გამოჩნდეს ამით  
 და სიმართლისა ითავდგმულნეს გვრგუნნი,  
 ყოველსა შინა მორჩილ-ქმნილნი ღმრთისადმი,  
 რომელთა სულნი კელთ-ა შინა ღმრთისათა.

399. ჩქვლნი ნეტარნი — საღმრთონი უმანკონი,  
არსადა ქმნილნი ვნებათა ქუე-მდებარედ,  
რომელთა კორცთ და სისხლთ ეზიარა სიტყუა,  
რომელთა ბრძანა ყოველთათუს მსგაეს-ყოფა,  
ზესთ აბრაჰამის შორის განსუენებულნი.
400. ნეტარ არს ესე კრებული უმანკოთა,  
მხოლოდ ზატნი ღმრთის — შეუგინებნი მწკრით,  
არა ცოდვისა, არცა ბრალისა ტყუენი,  
საბანელითა ნათლვისაჲთა ბანილნი  
და ძეობილნი ღმერთთ-მთაერისა მამისა.

\* \* \*

401. ჰოი კრებულნო პირმშოჲსა ეკლესიის,  
რომელთა შორის განსუენებულ არს ღმერთი,  
რომელთა შორის — საკურეელ ერთი წმიდა,  
ანტონის მაგეთ ნაწილი თქუენტანაი,  
სურვილით შემწყობს სტიხთა საქებთა თქუენტა.

**ნაწილი მესამე**  
**თხს ქართველთა წმიდათა**

402. განზომილებნი სიტყუანი შენაწყობნი,  
სტიხნი ზუთ-მუკლნი შაირსაგალობონი,  
კაზმულნი ჩემგან, უქმობის დასაცსნელნი,  
რთულნი ზემოთა წყობილ-სიტყუაობათა,  
სათანადო ვჰქმენ დადებად მსგაესთა თანა.

**თ ა ვ ი I**

თთუესა სეკემბერსა 13.

**თხს წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლისა  
ქეთავანისა<sup>1</sup>**

403. ჰშუენიან სძალსა უქმნელისა სიტყუსას  
ნიეთნი შესამკნი შესაბამ ქორწილისა —  
განსაშუენონი, საქებ-სალამაზონი,  
რამეთუ სიძე არა დაბერებადსა  
დროსა შინაობს, საუკუნეთა მეფობს.

---

<sup>1</sup> P ნუსხას არ მოეპოვება 403—406, 409—410 სტროფები (ფ. 52v). სამაგიეროდ მასში დაცულია ანტონის მიერ შეთხზული „კანონი“, რომელსაც აქვს ასეთი კიდურწერილობა: „მადლ-სიტყუებოდედ სამება ღმერთი; მამლეთი ჩემისა სატრფოსა მარტვილისა, რომელსა დღეს უგალობ დიდსა ქეთავანს ქეთავან მისთა მეცა, დაღათუ არ-საკადრ ანტონი, შემსხმი წმიდათა ღვაულთა მისთა, რამეთუ მაგოს ოხა, ვითარცა დელამან“.

404. თხემსა ლამაზ-ჰყოფს სიავე ცეცხლთ-მსროლელი,  
 ქედს — ზედ-სადგარი მანიაკ-საუკუდავოდ,  
 ძუძუთა — საჯნი ნაბერწყალ-მკროლოვარენი,  
 გულსა — ბარი, წელს — ჯაჭვ განცეცხლებული,  
 მუსკულთ — მარწუხნი, შამფურნი მკურვალენი.
405. სამკაულნი თუ არიან სასძლო-სამკნი,  
 ვინა ცხედარიც ჰვამს შესაბამი მათი!  
 ესე მუსმარნი მახელ-განცეცხლებულნი  
 და ნაკუერცხალნი დასაფარ-საბურაენი  
 ჰკაზმენ ქეთავანს შესაბამ სიძე-სძლობის.
406. ეს ქრისტეს სძალი, იასპ-მჭკვრვალი ლალი,  
 არ-ნათელ-მცხრალი, არ-ყუაველ-ფერით მზრალი!  
 აქუს საღმრთო ალი, ვითა ცხოველი წყალი;  
 გული უძს სალი, მით დასცა მძლავრი მწყრალი!  
 ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი.
407. ცეცხლით მოიწვავს კორცთა, ძარღვთურთ განჰლევს  
 სისხლს, ურთიერთარს სიკუდილ მისლვად აგზავებს,  
 ნაკუერცხლით იწვის და მათ სისხლითა დაჰმრეტს,  
 მაგრა სურვილთა საღმრთოთა ცეცხლისაგან  
 ღრუბლებრ ცურევეითა ქეთავან დიდ-სახელობს.
408. ალი საღმრთოჲსა სურვილისა საკმილთა  
 ნეტარმან სძალმან ქრისტესმან იგურდიე ჰღრუბლა;  
 ტრფიალებისა ცუარნი აწარმოა მით,  
 ოთხ-გუარ ნაკუეთთა რკინათა ცეცხლ-მსროლელთა  
 ნამვანი იგი აცურეინა ზემო-ნათქუნით<sup>2</sup>.
409. ბუნებით წებით ანთებ მზე ალ - შემოსილ,  
 ელვარებ მადლე, თუალთა უბინდო თ უ ა ლ ი,  
 თუალვით მირონსა მისცემ ძლუენ ნელსაცხებელს,  
 ნათელს, მექმს  
 ნათელთ ეს გუარსა უ ბ ი წ ო ს ა.  
 ანთებ თეთათ ჩემთა ეონად, მუნთ — ა ლ ი ს ა ლ<sup>3</sup>.

<sup>2</sup> ევრტიკალური კიდურწერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს — „ანტონი“.

<sup>3</sup> კიდურწერილობა აღმავალ-დაღმავალი წაკითხვით ნიშნავს: „ანთებ თეთათ ჩემთა ეონად, მუნთ — ალისად“ (მღრ.: აქვე სტრ. 570-ე).



410. მეფა მოწამე, თოვლ - ბრწყინ- ბრკიალ მნათობი,  
 ორიონ სამზო, უცხო საგანგ, ა დ ა მ ა ს,  
 წულებრ მტკი-  
 ცე, სამ ა ნ თ რ ა კ ა, ნათელ წმიდა,  
 ალო სუნნელი, ლაპ-ლაპ ლალ, ის სკარამანგ,  
 მეთნეობს მეტრფი ეთრი ო მ ა ლ ი ს ა გ ა ნ ო .

თოუესა სეკლეშებერსა 15.

თჳს ღირსისა მამისა იუენისა აბბა  
 იოსება ათორამეტაგანისა

411. შუა-მდინარით მონაბრწყინმან მთიებმან  
 სიზრქე ღამეთა სანახებთა კახეთის  
 ცისკრითა სდევნა, მზითა მცხინვარე-ქმნილმან,  
 ერნი აახლნა სწავლათა მოძღუარებითა  
 აბბა-მამამან - იოსებ დიდ-მნათობმან.
412. ცრემლთა წუკამან კშირთა გლოვათა ღუარმან  
 ვნებისა კერპთა წარპრლუნა სერტყთა ფესუებნი,  
 რამეთუ ვრცელთა სულთქმათა საქანელნი  
 განახუნა ღმერთმან შენ შორის, სანატრელო,  
 იოსებ ბრძენო, თუთ სიბრძნის-მოყუარეო.
413. ფილოსოფოსებდ სქესებრსა წარუვალსა  
 მარადის წურთასა, ბრძენო, სიკუდილისასა  
 და ღმრთის-მეტყუელებდ მდაბალი გონებითა  
 სახელსა მწურთელი უღამოასა მზისასა,  
 მადლით ღმერთ-ქმნილი ეშმაკთა ზედა, ღირსო.

დიდება

414. შეხუედ, მამაო, ნისლსა ღმრთის ხედვისასა  
 ყოვლად უბრალო, ყოვლად წმიდა გულითა;  
 დასდეგ ადგილსა წმიდასა კამლთ წარმედელი;  
 იხილე ღმერთი, რაოდენ ძალ-უმს ქმნილსა,  
 ხოლო აწ, ღირსო, ჰხედავ უკრეტსაბმელოდ.

<sup>4</sup> კიდურწერილობა ზეეიდან ქვევით ნიშნავს: „მოწამეო, მიითუალენ ვალობანი ძისაგან“.

თნს ჟმიღათა მოწამეთა ისაკ და იოსებისას

„ალეივსენითის“ დიდება

415. დაინაკუეთა სასანთლე მრჩობლ-ნათელი  
ოფაზისაგან ოქრო-განწმედლისა,  
იღმერთ-სახელა, ვით ზატმან და ზიარმან  
პირველ ნათლისა აუგებელისამან,  
ისაკ საღმერთომან ყოვლად ბრძნით იოსებით.

აწდა ჯუარისა

416. ჯუარი დიდება დღეს იესოს ჩემისა  
წინამდებარობს მორწმუნეთა მისთადა;  
მოვედით, ზოგად თაყუანის-ვსცეთ ყოველთა,  
შევეხნეთ ძრწოლით, ამბორს-ვეყოთ სურვილით  
და განვადილოთ ამაღლებული მას ზედ.

თოუესა სეკლემბერსა 18.

თნს ჟმიღათა დიდთა მოწამეთა მთავართა — ბიკინასი და  
ორთა კმათა ერისთავთა ძსნისათა ელისბარისა და შალვასი<sup>6</sup>

417. მენეთ სამობამან რჩეულთა მხედართამან  
სამება ღმერთი გამოჰხატა თუს შორის,  
რომლითა სპარსთა განაქიქეს ცრუ სჯული —  
ბილწ-ბარბაროსის მახმედის სჯულის-დება —  
ჯუარით ჭურვილთა მოწამეთა ქრისტესთა.
418. ქანდა ოქროის, წულილად-რე დახეული,  
სხებლა ვეცხლისა, განზიდული ბრწყინვალე,  
მორჩი ვაზისა, დაჭრილი კერძოდ-კერძოდ  
ბილწ-მუშაკთაგან დადებად უკუდავ-უნჯად,  
წინამდებარებს დღეს შესხმად მგალობელთა.

<sup>6</sup> P ნუსხას ეს იამბიკო (415—416 სტროფები) არ მოეპოვება. მასში არც ისაკ და იოსების მოსახსენებელია დატული (ფ. 65v—68v).

<sup>7</sup> P ნუსხას 418—422 სტროფები არ მოეპოვება (ფ. 75r).

419. ასოთ განთხსვა, თუ სთქუა, წულილ-კერძობად,  
რომლითა დიან მდიდრად სისხლთა ნაკადნი,  
ძნელთ ენებათ ტვირთუა დაითმინა ახონად  
და გონებითი სამთაურო განწმედილი,  
ანიშან-მსხვერპლნა წმიდა მოძრაობანი<sup>7</sup>.
420. ბიძინას დიდსა, მარტულთა შორის მენესა,  
სტომაქთა კიდე დაჭრილსა ყოვლით კერძოდ,  
თავის მექონსა, სადა გამოხატვანი  
ღმრთაებრნი, ძრვანი მიცემად გულსა ხლდომას  
ლახურით განგმერა ქრისტესა შეაერთებს.
421. ერისთავთაღმი შესხმად-ქებად ესტრფი სულით;  
რომელთა საღმრთო განაერცეს ტრფიალება,  
იქურიტნეს თოფით, აღედეს ზეცად მახულით,  
სრბა კეთილ სრულ-ჰყვეს, რომელთა შესხმას ვიტყვ,  
თავთა საქებთა თეს შორის მომგეთ ქრისტესს<sup>8</sup>.
422. ამათ მთავრობა სცვალეს აქაით ზენად,  
ნებასა აქას ჰმსთავრეს ჯუარითა ჭურვილთ  
ტრფიალებითნი მოგონებანი განსჯად,  
ორთავე ძმათა ჰქმნეს სიბრძნით სიმენით წმიდად,  
ნიაე-სუნნელნი აღინნეს კურნებანი<sup>9</sup>.

### დიდება

423. მსმენი ვინ არა განცუფრდეს, მენო, შენსა  
წებითთა ყოვლად განთხსვას კერძოდ-კერძოდ:  
კოპართ რღუევასა, სისხლთა ნაკადთ სიწმოსა,  
სხუა და სხუა-გუართა დანაკთა მიერ ჭრასა, —  
მარტულთ ქებაო, ბიძინა ბრწყინვალეო.

აწდა ჯუარისა<sup>10</sup>

424. მერრანს სიმწარე ტკებების ძელისა მიერ,  
ჰსახავს წყევითსა დატკობასა სიმწარის<sup>11</sup>,

<sup>7</sup> კლურწერილობა ზევიდან ჯვარდინი წაკითხვით ნიშნავს: „ანტონი დავითანი“.

<sup>8</sup> კლურწერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს — „ერისთავთათეს“.

<sup>9</sup> კლურწერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს — „ანტონი“.

<sup>10</sup> P-შია: „აწდა დღესასწაულისა“.

<sup>11</sup> გამოსლუთა 15, 22—25.

ძელი კლდით ადენს წყალსა, განაძლებს ერსა;  
ძელივე ლოდით თავსაკიდურთაჲთ მრჩობლსა  
აღმოგუცენებს საბანლად და სასმელად.

## თ ა ვ ი II

თთუესა ოკლომბერსა 2.

თჳს ჳმიღათა დიღთა მოწაჲმთა არგუჲთისა მთაჲართა —  
ღავით და კოსტანტინესი

425. შემრჩობლებულსა ოქროჲსა სასანთლესა,  
მრავალ-მნათობსა ქრისტეს ეკლესიისა  
სამყაროჲსასა, დღეს ერი წმიდა ღმრთისა,  
სიხარულითა გულისაჲთა მქებარე,  
უგალობს ღირსად, სურვილით მძნობი მისდა.
426. ძმობამან, წმიდად შეკრებულმან ქრისტესთჳს,  
დაჰკესნა საცთურნი; მწუხრნი, ღამენი ბნელნი  
განაცისკროვნა ბრწყინვალებითა მდიდრად,  
მართლ-აღსარების რწმუნვა — ჭეშმარიტებით  
კოსტანტინეს და ღაეითისთა წმიდამან.
427. უზადოსადმი ზესთ ერთისად ყოველი  
მიართუთ, წმიდანო, ცხოველისად ცხოველი  
და ვნების სისხლით საჭურველი სოველი,  
ხოლო ჯიღდოთა უკუდავ-უხრწნელ-მპოველი  
იქმნენით ხოლო მადლთა უხუად მთოველი<sup>12</sup>.

თთუესა ოკლომბერსა 5.

თჳს ღირსისა მამისა ჩუენისა  
ბრიგორი ხანიმთელინა<sup>13</sup>

428. იყოველისფერა გრიგორი თჳს შორისად  
სათნობითნი მოგებანი უნჯთანნი

<sup>12</sup> ეს სტროფი P-ში არ არის დაცული (ფ. 120v).

<sup>13</sup> P-ში 428—429 სტროფები არ არის დაცული (ფ. 125v), სამაგიეროდ 124r—  
125v გვერდებზე მოთავსებულია ანტონის „კანონი“, რომელიც მიძღვნილია გრი-  
გოლ ხანიმთელისადმი.

ანუ სიბრძნენი, შემაერთნი ორთავე,  
ესე იგი არს, საშუალო და დასასრულთ  
კეთილობათა, ჯორცთ შორის ანგელოსმან.

429. სფერა კეთილთა, საქმე კრძალულებათა  
გრიგორის შორის იმგრგულიეებს სწორ-სივრცითი;  
იანგელოსებს კაცი სხეულ-ნაზავი,  
იაბრაჰამებს გონებასა სიწმიდით,  
იისრაელებს ღმრთისაგან რჩეულებით.

## ღ ი დ ე ბ ა

430. გრიგორის — მარად მღვდარესა გონებას,  
ქართველთ ქებასა, მნათობსა კიდეთასა,  
მმარხუელთ სარკესა, მგლოვარებისა ხატსა,  
უვეცხლობისა კანონსა უცთომელსა,  
ღღეს ეკლესია ქრისტესი აქებს ღირსად<sup>14</sup>.

## თთუესა ოკლომბერსა 28.

თჳს ჳმიდისა მღუღელ-მორჳაჳისა ნეოჳიტიჳ  
ურბნისის ეაისკოარისისა

431. დაჳნატრა მარად სიტყუამან მოწამეთა;  
მიუზლო შესხმა ქადაგთა და მოძღუართა,  
„ვაჳა“ თქუა მათთუს, ვინ მმარხველ-მოწესებენ.  
შეამკო ჳილდო, მიღებული ქალწულთა;  
ამათ მომღები ღღეს აქო — ნეოჳიტი.
432. წინა-განგება მაღალ-გამოუთქმელი:  
საეღეს — ქადაგად, ამას განწმედილ მღუღელ ჳყოფს,  
მას — მოციქულად, ამას — მწყემს სიტყუერთა,  
იმას — ჳურ რჩეულ, ამას — მოწამედ თუსად.  
ღიდება შენთა განგებათა, სახიერ!

<sup>14</sup> ყველა ნუსხა ამის შემდეგ უმატებს ღვთისმშობლის საღიდებლად შეთხზულ სტროფს „მტირალი ღამე ტირილდა მწარედ სამე“ (იხ. აქვე, გვ. 102—103; აგრეთვე 441-ე სტროფის შენიშვნა).

433. დამასკოს მწყემსი ჰკურნავს სავლეს სიბრმესა, მმარხუელი შიო მოგუს განანათლებს მადლით: იგი — ცხოველი, ესე — განყრილი ჯორცთა; ორთავე ქრისტე ითნებს განათლებულთა. ეჰა, მდიდარი სიღრმე ცნობისა ღმრთისა!
434. აპრონიტელთა დასცხრა სქესი მღუდელობის, ვინაძთგან ქრისტე ნათესავით იუდაჲს აღმოგვბრწყინდა მზე-ღმერთი მელქისედეკ და მღუდელ თუსა ჰყენა აღმოშობილნი მისდა — სპარსნი და ინდნი, მისდამი წმიდა ქმნილნი.

დი ე ბ ა

435. პოდირი წმიდა მღუდელობისა შეჰღება პირფირად საღმრთოდ სისხლითა ნეოფიტე; სხუად კვპრიანედ, მოგვ — მღუდელ და მოწამედ, სიბრძნის-მოყუარედ, მწყემს სიტყუერთა არვეთ გამოჩნდა ესე შორის ღმრთისა და ჩუენსა<sup>15</sup>.

### თ ა ვ ი III

თთუესა ნოემბერსა 10.

თუს ფიდიისა დიდიისა მოფამისა კოსტანტინე მთავრისა

436. კოსტანტინემან მთავარმან ბრწყინვალემან ჯუარით მორთხმულ ჰყო თავი თუსი წყობასა არა-ხილულთა მტერთა სპარაზენთასა, ლახუარ კელთ-იდუა, უშიშ-ყოფა — ბრძენ-მცნემან და დასცნა ესრეთ სამ-მდგომნი უნივთონი.
437. ვითარმე ვსთქმიდე შესხმად მძრველი ბაგითა ანუ ღრამითა ნიშნოვანითა, მცნეო,

<sup>15</sup> P-ში (164r) ამას მოსდევს ღეთისმშობლის საფიდებელი სტროფი „მდგომი-ლება უთესლო ქალწულისა“ (იხ. აქვე, გვ. 102).

ვნებათა შენთა ყუავილთა ფერადობას,  
რომელი-იგი იყნოსა სუნად სუნნელ  
მეწალკოტემან, მზემან ზესთა ღმერთთამან?

438. სული ტრფის შენდა, გონება რბის მსწრაფლიად,  
ვინ სატრფიალოს ნამდვილსა ეტრფიალუე;  
კუალად გონება აკრთოლევებს არა-ღირსთა  
სიტყუათა; გარნა სურვილისაებრ ვითარ  
ღირსი რაიმე ძლუენი მიიღენ, მენეო.
439. გწყუროდა სიბრძნით სიკუდილი სიბრძნისათეს  
ანტლია-ქმნილსა წყლისა ცხოველისასა,  
ვინა შინაგნით გზადოდა, კოსტანტინე,  
მისლვად მამისა ნათელთასა, წმიდაო,  
რომლით სიზმარნი სცვალენ უკუდავ-ცხოვრებად<sup>16</sup>.

#### ღ ი დ ე ბ ა

440. მოსაგებელნი ძლევისანი მარტულმან,  
ძლევისა სიმენით მოყუარემან იკუთნა,  
სწამა ქრისტესი ღმრთაება ურცხუნენლად;  
ამისთვის ქრისტეს სუფევისა ზიარმან  
ნიეთნი აქ დაჰქსნნა, სულნი ალაღმრთის-კელა.

#### აწდა ჯუარ-ღმრთისმშობლისა,

441. ჯუარნი ვნებათა აღვიკიდენ მე ნებსით,  
ხოლო რომელი აღვსთქუ აღებად ჯუარი  
ჯუარცმულისა და ძისა შენისა, სძალო,  
დავსდევ, გარნა შენ მიძლოდე მისვე მიმართ  
და მყავ ღირს ტვრთვად მასკე, მიმადლებულო<sup>17</sup>.

<sup>16</sup> P-ში ამას მისდევს ღვთისმშობლის სადიდებელი სტროფი „სისხლთაგან სძლისა უქორწილოისა სიტყუა“ (იხ. აქვე, გვ. 102).

<sup>17</sup> P-ში ამას მისდევს ღვთისმშობლის სადიდებელი სტროფები — „უკუეთუ ღმერთ არს შობილი მარიაშის“ და „მტირალი ღამე“ (იხ. აქვე, გვ. 102-ე და 430-ე სტროფის შენიშვნა).

თჳს წმიდისა ღიღისა გოწაჲისა მისაილისა,  
რომელსა ეწოდა გოზრონ

442. განდიდნა ჯილდო ქრისტეს მკედართა მდიდრად,  
იმკო ბრწყინვალედ დიადიმა ქვათაგან  
უსასყიდლოთა, რამეთუ მათ გუელისა  
შემუსრეს თავი, მთხეველი წყალთა ბილწთა,  
რომელთა შორის საჩინოებს მიხაილ.
443. სისხლნი არმანად, ვნებანი ძურფას სჳეკლად,  
იგიც მისართმოდ მოისიბრძნა მიხაილ  
ქრისტესდა, მისმან ტრფიალმან ტრფიალებით;  
ცანი ქუემონი აღვლნა სიმჳნისა ფრთითა  
უზემოესად დადგრომილმან დიდებით.
444. მზეობს მიხაილ, ვარსკულავებენ მოყუასნი  
სფერასა ზედა ვნებისასა ბრწყინვალედ,  
სად-ა სჳექტ ქრისტე, სიბრძნე ღმრთისა მამისა;  
ეჳა, საკურგო საიდუმლო წყალობის,  
ვითარ მონანი ზიარ იქმნეს უფლისა!
445. მარტულთა ბრძენთა, ქრისტეს – ღმრთისა სიბრძნისა –  
ზიართა ვნების წარმოდგა ერის კრება,  
კელთა მქონენი შესხმისა ყუავეილებთა.  
განშუენდით ცანი, შეიმკვენით მნათობნი  
და ქუეყნიერნი აღივსენით მადლითა!

ღ ი დ ე ბ ა

446. ტკიბილ-საამებელ პირით შესხმის-მოქმედთა  
კსენება შენთა მოწამეთა, უფალო,  
რამეთუ ვნებად იტრფეს შენთუს და სიკუდიდ,  
ვითარ ესერა დღეინდელმან კრებამან  
მიხაილისნი ცხად-ჳყო შენთუს თმენანი.

აწდა ჯუარ-ღმრთისმშობლისა

447. ერმან ოდესმე მკუთნველმან ღმრთის-მკლველობის  
ტარიგი ვნებად, მტურთველი ჳირთა ჩუენთა



აღიღო ჯუარად. მაშინ ტარიგი წმიდა,  
უბიწოდ მეშვი, ტკივილთა ჯუარსა ზედა  
მენები, ისრითა მოწყულულ იყო მწართა.

თთუესა ნოემბერსა 19.

თჳს ღირსისა მამისა ჩუენისა ილარიონ საკჳრპელთ-მოქმედისა

448. ცისკარ ღიდ-ნათელ ჩუენდა გამოჰბრწყინდი შენ  
ელვითა მდიდრად მოძღურებათაჲთა, ბრძენო;  
წიგნთა თარგმნითა და სწაულათა ხუაევითა,  
წრფელ ღოღმატიითა აღგუავსენ მოწაფენი,  
ჩუენ — შედგომილნი შენთა მოძღურებათანი.
449. ნაპრალით კლდისაჲთ გარესჯისაჲთ, მამაო,  
აღმაღლდი ზენა სიმაღლედ, ილარიონ;  
ველით უდაბნოჲთ იორდანისაჲთ, ღიღო,  
ანგელოსთასა საზღვარსა მისწუეთ კნინდა.  
აქ დაჰხედ, მზეო; იჰსრბოლე ცად მესამედ.
450. საბუნებოჲსა სიყუარულისა სჯულსა  
ჰკუეთდ მახვლითა, რომელ მიჰფინა სიტყუამ,  
ცეცხლსა მათისა სურვილისასა სიბრძნით  
ცეცხლისა მიერ სურვილისა საღმრთოჲსა  
ჰშრეტდი სხუა ვინმე შეცურეული ბაბილონს.
451. აღმოსავალსა მიუთხრობს დასავალი  
და ცანი — ცათა შრომათა შენთა, ბრძენო,  
რამეთუ აქაჲთ დაღათუ აღმობრწყინდი,  
დასავალადმდე შარაევანდითა მისწუეთ  
და ეკლესიით — პირმშოდმდი ეკლესიად.
452. მძნობმან რა ი მსთო ა ქ ა ე თ გ ა ნ ცემაღ ალქატ,  
არ შენდა ლალმან, ვინ ზე ალჰკლი, ე ა ნ ტ ო,  
მამათა აწ სამ ილარიონ ღიდ, ვინ შენ  
ადგილთ მათგან რ ტ ო, შენ გარნა აქაჲთ წარჰკლი,  
ორ ი რ ი ს, ე რ მ ი ნიადაგ ძლეუას  
იმოს<sup>18</sup>.

<sup>18</sup> P-ს ეს სტროფი არ მოეპოვება (211v). კიდურწერილობა ზეუდან ქვევით ნიშნავს: „მამაო ილარიონ, მოსაეი შენი დაცეც. ანტონიოს“.

თჳს ჳმიღისა მღუღელ-მღჳამისა აბიგონ ნეკრესელ ეპისკოპოსისა

453. აბიბოს ბრძენსა, მცხინვარედ აღმოძჳესა,  
ნათლისა ძესა, ვნებათა ჴესთა-ჴესა,  
გონება-ღღესა, ცნობათა განმადღესა,  
ბრკმულთა მაგესა, მადლ-მადენსა ბაგესა,  
მმარხველთა მჴესა, ვუძღუნი ღღეს შესხმა-ღღესსა.
454. მარტულთა შენთა, სიტყუაო, სისხლ-ნადენთა,  
ყოვლად მრთელ-ბრძენთა, მკურნალ მარტთა სენთა,  
მარად საჯსენთა, მირონთ აღმომაცენთა,  
ბნელთა მათენთა, მადლთ სოლინარ-სადენთა,  
მეოხთა ჩუენთა ვუძღუნი სიტყუერ ძღუენთა.
455. პირ-ოქრო ქსული, ნივთი, ჴენაით ქმნული,  
არ-წმასნით სთული, მარტივ რაიმე თხზული,  
ღოღმატი თნული, შენი ჩუენდამო თქმული,  
შენ მიერ ჴმნული, მოძღურება საღმრთოდ ბრძნული!  
მას უკუე სული სწამებს ჴეცით მოსრული.

თ ა ე ი IV

თოუესა დეკემბერსა 2.

თჳს ჳმიღათა შორის მამისა ჩუენისა ისე ჳიღკენისა  
ეპისკოპოსისა, ათორმეტთაგანისა

456. შესხმისა სჯულსა დაუზევდების შენი  
ცხოვრება, ისე, ანგელოსებრ სასმენი,  
ნიშნი მაღალნი ქმნულნი, მარად საჯსენი,  
წყალნი ბორცუთადა, უეალთ გზათა ნადენი,  
სიკჳო კურნვათა, რომლითა ივლტის სენი.
457. ჴენა საყდრისა წინაშე მღგომარესა,  
მრავალ თუალებთა თან მგალობ-მკმობარესა,  
ისე — მღუღელ საღმრთოდ მსხუერპლითა მქებარესა  
გნატრი, ეშმაკთა მწყლველს, ლახუართ მსობარესა,  
მეც ოხა შენი ტრფიალით მმკობარესა!

458. აღმოსავალსა სამთენოსა სამოთხე,  
 ყუავილ-მრავალი ბევრი, არა სამ-ოთხე;  
 ღმრთივ-სწავლითისა გეჰქმენ, ისე, სა მოთხე,  
 არა ერთ კუთხედ, უფროსლა მებრ სამ-ოთხე?  
 სულთ მაგრილობელ, რტო-ფურცლოვან სამოთ ხე.
459. აბბაებ, დიდო, მღუდელ-მთავრებ წმიდად, ისე;  
 დოღმატებ წრფელად, ღმრთის-მეტყუელებ ზესთ, ისე;  
 მწყემსობ ურულ-თუალ, მგელთ სდეენი მათდა მქისე,  
 აღენ ნაკადთა, ნიშებ აწ მარადმდისე  
 და მსრბოლებ აქაით მუნ ზეცის კამარისე.

## თ ა ვ ი V

თოუესა იანვარსა 8.

თჳს ჳმიდისა მოჳამისა აბო სპარსისა,  
 ტჳილისს ვნებულისა<sup>19</sup>

460. აბო ბრძენ, გნომ დიდ ესთ, ვინ ზე ცე თუთ ირის,  
 კეთილ ლალ-მჭკრეალ, ნარდ-ოლუს-პაზიონებ,  
 ყირ- რაზარინებ, სუმბულ, ტეეანთ უფროს ფშვი,  
 ქარებ, ღრუბელთ ყრი, შლი ჩირთთა ციერ ძლიერთ,  
 წრთვით ჭირთ ხშირთა, კსნი, ჯუარით — ქავთ, შ წმიდაო.
461. ბნელს მშინაები ჰზაეებდ ნელ-საცხებელთა  
 მრავალ-სუნნელთა, დამადედლებელთ ყნოსის  
 სხუა და სხუათაგან ყუავილთა ერთ-ნაზავად,  
 მით შემკრებელობდ, აბო, საემარ-საჭიროთ,  
 განაღა მცელელი სიბრძნით ამათი სხუათად.
462. მზისა ღმრთისადმი ისრბე მისლვად ტრფიალმან  
 სხუა და სხუა ენებათ, ბოლოს-რე მახულითა  
 უხრწნელ-სუნნელი ჰქმენ არომატი საღმრთო —  
 სისხლი წმიდაი მრთმელმან უკუდავის მეფისად,  
 მიმღებმან ჯილდოდ მის თანა ზიარების.

<sup>19</sup> P ნუსხას ეს იამბიკო (460—462 სტროფები) არ მოეპოვება (ფ. 406v—409v).  
 460-ე სტროფი წარმოადგენს ანბანთქებას.

თჳს ღირსისა ღედისა ჩუენისა და ქალწულისა  
ნინა მოციქულთა სწორისა<sup>20</sup>

463. ტარიგი, რქითა მარტ წინ-მომზირალთა,  
დოღმატთა ბუტკით გამოზრდილ, მადლით პოხილ,  
მწუანვილოვანსა საღმრთოსა მძოვნელ სულით,  
აღმომცოხნ თქმითა ღმრთივ-წერილთა სიტყუათა,  
ესერა მოხლტის ჩუენდა სულამიტელებრ.
464. ასულთა შორის იერუსალიმისთა  
მიჰხედნა ნინა ზესთა ღმერთთა სიბრძნესა,  
ქორწინებულსა ჟამსა სიძობისასა,  
ევას ძლითითა ნივთ-ნათხზითა გვრგვნით  
მხედველი ერჩდა საიდუმლოდ ზედვასა.
465. შედგომილ-ყოფად სიძისა მყის ისრბოლა,  
ტკივილით ნათხზსა არ მიპრიდა გვრგვნსა,  
ტრფიალებისა ღება სისხლით პორფირი,  
გარე მოისხა, სასძლოდ წარმზადა თავი  
ნინა სძალმან და მოწაფემან ქრისტესმან.
466. მატყლი და სელი ჰქმნა საკმარად წარმართთა;  
ესე არს ესე — ზედვის საქმეს ზავება;  
გუწერთნა, განგემარტნა, გუკურნა, გუნიშნა ჯუარითა,  
ნები მტკიცე ჰყო სთვად ჩუენდა კუართი ნათლვის,  
გუმოსნა არდაგით ქანანელნი ცნობითა.
467. სიმდიდრე დიდი დასდვა უზრწნელი ჩუენდა,  
აღალო პირი, სადა იტყოდა ქრისტე,  
გარნა კრძალულად, არა-ლად-მომზრახემან  
წესი მცნებისა ადინა ენით თუსით,  
დაღათუ მდედრმან, გარნა ჰაველემან მადლით.
468. ადაგო ზეთი, არა გარეგან დროსა  
ერუენა სიძეს მით და მოციქულებით  
პირად-პირადნი ითავდგმულნა გვრგვნნი,  
ქალწულებასა ჰზაეა მოციქულება,  
ღელევანი განჭრნა ნაემან შორით მოსრულმან.

<sup>20</sup> სათაურის შემდეგ ABC ნუსხებში იკითხება 469-ე სტროფი.

469. ნელსაცხებსა შენსა აღმტრფი ვრბი, სიძეო, სთქუ; იყოვლისფერე ნიეთნი სასპლონი საკარგ, ნინა, ყოვლად მე, ტრფიალმან უკუდავისა, აქა საუკუდავ ოფლნი შექმნენ საცვალებელ-საღმბროთნი ნიჭნი — ბრძენთ საქებელ-საგალობ<sup>21</sup>.

თთუესა იანვარსა 19.

თჳს ღირსისა მამისა ჩუენისა ანტონი მარტოგჳოფისა, ათორმეხთა მამათაგანისა

470. მისდა რომლისა ი მ რ თ ე ლ ე სული შენი ა ქ ა მ თ გ ა ნ დიდ-ღ მ რ თ ი ვ, არ კარნი შენდა ღაქკაშ, მაგრა მეტ, აწ ხუთთ ხარ, ბრძენ, ღამ-პრისა აღმნთე. ანტონი დიდო, იოხდ შენთა ეს ოდენ, ო რ თ ა გ ა ნ ცულთ შენ, ღომებრ დიდ-მცვე-ლი ჩუენი<sup>22</sup>.

471. აღმოსავალით აღმოსრულმან მთიებმან სხიეთ კრთოლვანი რამ განუტევენა ათორმეტ, თუთომან სხიეთა მწუერვალმან ივარსკულავა თუთოეულთა თემებთა განცისკრებად, სადაათ ანტონი ინათელ-ცისკარ-მთენა.

472. მარტო ცხოვრების უზავებელ-სახელმან, რაჟამს მხოლოი მხოლოს ჰხედვიდა სარკით, იგურდივ მდებართა განუთუსა სახელი, მარტო-მყოფისა ანტონის მხოლოდ-მყოფის, ამის დანიშნეად მხოლოების სურვილსა.

473. ღუარითა ცრემლთაით ითრვებოდე მწყურვალი, სულთქმით ნეტარით აახლებდ შინაგანსა,

<sup>21</sup> კიდურწერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს: „ნინას ანტონი უგალობ“. ABC-ში ეს სტროფი იკითხება 463-ის წინ. P-ს იგი არ მოეპოვება. სამაგიეროდ მასში დაცულია ნინოსადმი მიძღვნილი „კანონი“, რომელსაც აქვს ასეთი კიდურწერილობა: „ტრფიალსა სძალსა სიძისა ზესთა ღმერთას, სელის ნათლითა ბნელის შინათ მნათსა მოციქულასა, ქალწულსა სანატრელსა, შესხმის ძლით სიტყუანი მფერთ-მოდედ ანტონის მიერ უნდო ეპისკოპოსის და მგალობლის, დაღათუ არა-შესაბამ“ (423r-427v).

<sup>22</sup> კიდურწერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს: „მამო ანტონი, დაიციე თანსახელი შენი“. P-ს ეს სტროფი არ მოეპოვება (442v).

მარად მყო გლოვით სიხარულსა შთაიცუმევედ  
წურთით სიკუდილისადათ საღმრთოდ ფილოსოფოსებდ,  
რომლით, ანტონი, აღიზეცის-სუფევე.

474. ელვარებაჲმან უნიეთობისაჲმან  
მოგიგო, ბრძენო, აქა სერაფიმ-ყოფა,  
აღეზებული რაჲ საკურთხეველსა სარკით  
დიდებით საესეს დიდისას მღუდელ-მთავერისას  
განწმედილ მსხუერპლთა მღუდელ-მოქმედებდ, ანტონი.

თთუესა იანვარსა 26.

თჳს ჴმიდისა კეთილ-მსახურისა მიჴისა ღავით მესამისა,  
ჴროლისა საჰართველოდსა და აჴსაჴეთისა, ჴედჴოდავით  
აღმაჴენაბელისაჲ

475. დავით ელვითა სულისა მაღლისადათ  
უმეცრებისა ღამეთა აცისკროვნებს,  
დაკსნილებასა სდვენის მცხინვარებითა  
მხიარულისა სულისადათ, ვითარცა  
დიდ-სული ვინმე, ბრძენი, სიბრძნის-მოყუარე.
476. უსწაელელობის შობილმან სილაღემან  
მოციქულებრსა სიბრძნისა მოგებასა  
შენსა, მეფეო, ვერ მიზედნა 'ვერ ოდეს,  
რომელი სულმან განავერცო ღმერთთ-მთავერმან  
ცეცხლებრითა მით გარღამოსლვითა შენდა.
477. ქუმედებარება — არა ჴიარებადი,  
ბუნება — მსიტყუ, არსება — განუჭრელი,  
ნათელ მესამე — ღმრთავერ მკელმწიფებელი  
დაუღგრომ ბიწთა არა აქუმედებარე  
ზედ შემომყვანმან მზისა მსგავსებისაჲმან.
478. წარსდიდი აქათ უკეანედ უზომოდ,  
მზისა სრბისათა დროთა სცვალებდი, დავით,  
ღამისა მიმართ მზისა აღიცისკრებდი

<sup>23</sup> სათაურს ABC-ში მისდევს 483-ე სტროფი. P-ში 26 იანვრის თარიღთან არ-  
შიაზე (463v) წითურად იკითხება: „ამასვე დღესა ჴმიდისა კეთილ-მსახურისა მეფისა  
დავით აღმ შენებლისა“. მას ერთვის შენიშვნა: „აკოლოჯია ამისი ღამრჩა და ამ წიგ-  
ნის დასასრულსა დავსწერე. მუნ იძიეთ და მე ამისთვის ნუ მწყევთ“. იამბიკო იხ.  
იქვე 842r ფურცელზე.

მწუხრიტ უმწუხროდ, ჟამით გარეგან ჟამის  
ტრფიალი სიბრძნით ნამდვილ სატრფიალოდსა.

479. რაი იხილეთ, ერნო ტფილისისანო? —  
გკითხავ, მითხართ-ყე უწყება ჭეშმარიტი:  
ოდეს საძაგნი განიგავოდეს თქუენგან,  
რაჲ იპყრა დავით ნინზად სკორესა დიდსა?  
იტყვან: „ელეა ვერ შესაპყრობი ხედვით“.
480. თქუენცა სთქუთ, ბილწნო, სიმყრალისა ვერ-მგრძნობნო,  
სკორესა შინა მომშთურისა მიერ მშთუარნო:  
„ოდეს ძაძითა მგლოვარენი ჰრბიოდით  
მეფისა მიმართ სპარსთასა მბავთებულნი,  
რაით განმტყიცდით უზომოდ შერყეულნი?“

დიღება

481. მითხრეს მართალი არ ოდეს მეთქუთა მართლის:  
„სპარსთა მეფემან გუაშემწეა რაჲ მდიდრად  
ოთხ-გზის უმრავლეს სენაქერემის სპათა,  
მაგრა დავითის რაიმცა გუექმნა ენება! —  
გარნა აღსპოლვა, ყოელად განქრევა ჩუენი“.

აწდა ღმრთისმშობლისა

482. ესენი შენმან საკუთარმან მონამან  
წარმართნა, სძალო, შენ ძლით ღმრთისა ყრმააო,  
სადიდებელად ძისა შენისა და ღმრთის,  
რამეთუ ამით ვიქსნენით გმოზათაგან,  
ხოლო ძედ დღისა ვიწოდენით, ქალწულო.

\* \* \*

483. საწინმეტყუ მტილსა ე მ ო რ ჩ ი ე რ ბრძენ წმიდა,  
ესგუარ ნამდულად იმ ძირით ელვონ შენ,  
ფსალმუნთ მექმისა, მ ა გ რ ა მ ქრისტებრძმა მძნობი,  
ე კ ლ ე ს ი ე ბ რ ი ვ, ს ა ღ მ რ თ ო დავით, მთან-ჰმაე  
მ მ უ ს ი, თუთ ტყბილად ერთ-სახელ მშუდი  
ესე<sup>24</sup>.

<sup>24</sup> კიდ ურწერალობა აღმავალ-დაღმავალი წაკითხვით ნიშნავს: „მეფესა და-  
ვითს მიერთმოდელ ქებანი ესე“. P-ს ეს სტროფი არ მოეპოვება (842r), ხოლო ABC-  
ში მოთავსებულია 475-ის წინ.

თ ა ვ ი VI

თთუესა აპრილსა 15.

თჳს წმიდისა მოწამისა სუჴიასი<sup>25</sup>

484. სისხლი მარტულთა ეზიარა სისხლს საღმრთოს,  
 უცხო რაჲ იქმნეს კორცთაგან მტკიცენი ღმრთივ;  
 ქუეყანა განწმდა, იქმნა ჰაერი წმიდა,  
 იდიდნეს ზენაჲს გურგუნთ მიმღებელნი აქ;  
 აღსცილდეს ცათა, ზრწნადნი სცვალნეს უკუღავებ<sup>26</sup>.
485. სუქია ბრძენმან მოისიბრძნა განზრახვა  
 აბრაჰამებრი, თუ სთქუა, — უზესთაესიც,  
 ღამტევებელმან, აქამთა ყოველთამან,  
 სადა აღუთქუა მსახურთ-ყოფა სიტყუამან,  
 ვნებით მივიდა მისთჳს ვნებულისადმი.

თ ა ვ ი VII

თთუესა მაისსა 7.

თჳს ღირსისა მამისა ჩუენისა იორანე ჴედაქენელისა  
 და ათორამბთა მოწაჴეთა მისთა

486. განწმდი, აქა მდგმო მამაო, სხუა მოსეი,  
 აღნი რაჲ გულსა აღატყინენ ზესთ-საღმრთო,  
 ქმნილ-ღმრთაებრ მუღამ მოპრაობითა წმიდა.  
 ელავ ბრწყინვასა, ამაონი განსთხიენ,  
 ბრძენ-განსაკურვო ოქროვან იოანე!<sup>27</sup>
487. შუა-მდინარით ისზენ ორმეუღლეა  
 ახალ იაკობ მამათ-მთაეარმან, ბრძენო,  
 ჳირით, წუხვით, მწყსით, უნიეთო მუშაკობით,

<sup>25</sup> P-ს ეს იამბიკო არ მოეპოვება. დაცულია მოსახსენებელი: „ამასვე დღესა წმიდისა მოწამისა სუქიასი და მისთანათა ქართველთა“. მას ერთვის შენიშვნა: „აკოლოტია ამათი ყოველივე მოწამეთა იძიე ჴიართაგან“ (572r).

<sup>26</sup> კიდურწერილობა ნიშნავს: „სუქიას ვაქებ“.

<sup>27</sup> ჴევიდან ქვევით კიდურწერილობა ნიშნავს: „ვაქებ, მამაო იოანე!“ P-ს ეს სტროფი არ მოეპოვება (596r).



რახელ-ლიასა სძლად იწინდებდი ამით,  
ხედვას — საქმითურთ უხრწნელ მქორწინებლობით.

488. ათორმეტ რიცხუნი ძენ ისხენ, იოანე,  
ათორმეტ ბჭენი ზეცისა ქალაქისნი,  
რომლით ქართველთა ქორწილისა ტაბლასა  
იმეინავეს, ითან-სერობ-პურის-მტეს  
სიძისა თანა იესო ღმერთთ-მთავერისა.
489. იოანესა, მწუერვალსა მმარხუელთასა,  
მადლ-ზედ-წოდებით ყოვლად მიმადლებულსა,  
ზედაზენისა მთისა სინა-ყოფელსა,  
სარკით ღმრთის-მხედსა, კმათ საყვრთ მარად მსმენსა,  
ვაქებდეთ, ერნო, წმიდა-ქმნილნი ცნობითა!
490. ელვანი, კუამლნი, ნისლნი, კმანი საყვრის  
თუალთა წინაშე გაქუნდეს და სასმენელთა,  
რომლით არათუ ზურგით ხედვასა ღმრთისას,  
გარნა პირის-პირ ღირს იქმენ, იოანე,  
და დიდებულ ხარ აწ ვერ-შესაძლო ხედვად.

#### თთუესა მაისსა 9.

თჳს ღირსისა მაჳისა რუჳინისა შიო მღჳმეღისა<sup>28</sup>

491. შენნი, მამაო, მიართუ სტიხნი საგალობ,  
იაკინთ-მჭკრვო, ვით მარგალიტ-ლალ-ალსხმულ,  
ოღენ გარნა აღქატი, არ-შესაბამი შენდა,  
სურვილით საგანგ-ქმნილი, სძლუნ აკროსტიხორ  
უფროჳს მნათობმან ჩუენმან დღის მნათობისა<sup>29</sup>.
492. მსურს შენდა მირთმად სტიხნი შაირებრივნი;  
ვინ მღუმე იფრთე, აღმყვანი სიბრძნით, შიო,  
ხრწნადნი დააჭუნენ ნაწილნი შენ შორისნი,  
გონება კმსთაერე მას ზედა განბრწყინებებით,  
ღმერთ-ქმნილი სული სდეე უზადოსა შინა.

<sup>28</sup> P-ში ეს იამბიკო 9 მაისის მოსახსენებელთან არ არის დაცული. არის მხოლოდ ასეთი შენიშვნა: „ამასვე დღესა მიცეალება ღირსისა მაჳისა ჩუენისა შიო მღჳმეღისა ათორმეტთავანისა. აკოლოტია ამისი ყოველივე მარხვანსა შინა იძიე, ხუთშაბათსა ყუელიერისასა“ (605r).

<sup>29</sup> კიდურწერილობა ვერტიკალურ-ჩაერდინად ნიშნავს: „შიოს უგალობ ანტონი“.

493. სირიამთ ქართლად მორჩილმან ბრძანებისა  
 მოციქულებრივ რჩევისამან, მამაო,  
 ფრთითა ოქროის ურჩეულისით მოხვედ;  
 კუერთხი ხალენებრ სხუამ ილიამ, ელისეს  
 განმპებ მდინარის, აქმნიე, ღირსო შიო.
494. ახალ-მაყულოვან შეუწველ-მოტყინარედ  
 ჰქმენ ჯელნი, შიო, განუცდელნი ბრალთაგან,  
 რაჟამს დამსხმელმან მის ზედა ნაკუერცხალთა  
 აღუტევე რად საკმეველთა რტო კუამლის,  
 ხოლო მგელნი ჰყვენ მწყემს კარაულთა, დიდო.
495. წყარო, ნიშებთა დიდთა აღმომდინარე,  
 ხარ შენ ნიადაგ, პირველ სიკუდილისაცა,  
 ხოლო შემდგომად სიკუდილისა უმრავლეს;  
 სპარსთ აბრმობ, მოგუსა მოიყვან ზედვად მზისა —  
 შენ ძლით მოწაფეს, შენ ძლით მწყემსს ნეოფიტეს.

თთუესა მაისსა 13.

თჳს ღირსისა მაჳისა ჩუენისა ევთიმი ათონელისა,  
 მთარგმნელისა

486. საქმე — საწადი; ზედჳა, რომელი შეამკუ, —  
 ლითონ ძურფასი სხუათა თან საქებელთა,  
 ნეტარ არს აღსახ, ევთიმი და საამელ,  
 ხატ წმიდა რამე, ვარდ — არა-ზრწნად მდგომი ზესთ,  
 იაკინთ, საკაზმ იად-ირისედ, დიდო<sup>30</sup>.
497. საზღვართ გუარობა მოქმედთაგან სიტყუსა,  
 ოდეს ზედჳაი იწულილ-ჭოგრ-მოქმედებდეს,  
 ღმრთის-მეტყუელისა ევთიმის ცნობ-მრთელობით  
 სიტყუათა მიმართ დაიდვას ღირს ყოვლითურთ,  
 რამეთუ იგი ზესთა სთქმიდა ძალისა.
498. ცრემლით ცურეულსა შენ ძლით აღაყუავილებდ  
 უდაბნოსასა ყუავილთა პირად-პირადთ,  
 ახალთ ენათა მომზრახობდ აღთქმულისებრ,

<sup>30</sup> მარჯნიდან მარცხნივ პორიზონტალურად იკითხება: „სიხარულისა თანსა-  
 ხელი ხარ, ევთიმი დიდო“. P-ს ეს სტროფი არ მოეპოვება (612r).

გუელს უპყრობდ კუდსა, ვარსკულავთ გარდამომყრელსა,  
რომლით, ევთიმი, აქაით იზეცის-კამრე.

499. სამყარო მადლთა, ზღუა საკრველებათა,  
სპერა სიტყუათა, აღსავსე ვარსკულავეითა,  
სიმგრგულე ხედვათა, შარავანდი საქმეთა,  
მთოვარე ღუაწლთა, ჰაერი მრთელ-ცნობაოა –  
დღეს ცად მესამედ იღმრთის-სახელებს ევთიმი.
500. უბრყვილო ბროლი, სარკე შეუმღურეველი,  
ესებონისა ტბისა წყალთა ანტლია,  
სიმარტივისა შემთხსებელ-მკუთნველი,  
აღ-აღმომადენ, ნათელთა მწველ ნათელი,  
ლოღმატი შენი ჰსაჩინოებს, ევთიმი.
501. შენნი ბაგენი, ქრისტესდა დამაგენი,  
მირით-ნაგენი, ევთიმ, უზუ-წარმაგენი,  
კეთილ-მკარგენი, წეალებათ მწველ-მდაგენი,  
ზესთ-აღმბარგენი, რომლით ჰქსნენ სიშმაგენი,  
ჰქმენ მოსაგენი და წარჰრღუენ სიძაგენი<sup>31</sup>.

თთუესა შაისსა 17.

თჳს ჳმიდათა მოწამითა ორთა ძმათა დაჳით და  
ტარიჰანისაჳ?

502. ორობა წმიდა მარტულთა უფლისათა  
ეწყო მთავრობას, ბნელისა კელმწიფეებას,  
ჭაბუკებრიენი უზესთაეს ჭაბუკთა  
სიმკნენი რაჟამს შორის ღმრთისა და კაცთა  
და ანგელოსთა აჩუენეს საკრველნი.
503. ყრმათა ჰასაკი არ მრავალ-ჟამებულნი  
სჯულთა საღმრთოთა სცვის მარად ქუე-მდებარე,  
ჩუეულებითა წმიდითა გამოცდილი,  
წულებრი გუამი, სულითა შემოსილი,  
არცხუენს მოხუცთა უღმრთოთა ცუდ-ბრძნობასა.

<sup>31</sup> P-ს ეს სტროფი არ მოეპოვება (612r).

<sup>32</sup> EP ნუსხებს ეს იამბიკო არ მოეპოვება. P-ში დატულია მოსახსენებელი და შენიშვნა: „ამასვე დღესა წმიდათა მოწამეთა ორთა ძმათა დაჳით და ტარიჰანისა. აკოლოტია ამათი ყოველივე მოწამეთა იმიე საზიაროთაგან“ (615r).

504. დავით საღმრთო მან, მკნე მან ქრისტეს მკედარ მან,  
 ტარიჭანი თურთ — ძმით ახალ-მოქასაკით —  
 სისხლი მიუპყრეს სიძესა ნელსაცხებელ;  
 დროსა სიძობის გორცნი ამონნეს სულსა,  
 ხოლო გურგუნი მოიღეს სიძისაგან.

თ ა ე ი VIII

თუესა იენისა 21.

თჳს წმიდათა დიდებულთა მოწამეთა  
 საქართველომსა მეშუთა — არჩილ და ლუარსაბისა .

505. მეფობა ბრწნადთა ბრძნად ზეცისად განსცვალეს;  
 ეკმნნეს, ვითა ვსთქუ, ეკლესიასა ქება.  
 ფას-დიდ სკარამანგ, ლიფ-ლიფ მისა მნათობ ღმრთივ,  
 ელევეთერ წმიდა, ირისედ იგურდივ ნაჩენ,  
 თეატრთ მის ნათელ, ყოვლად წესთა მამზე.
506. არჩილ ბრძენ საღმრთო ოღვისიობს ელევა-მკრთობ,  
 ყოვლად ზე მნათობ, ვარსკულავ, მთიები დიდი.  
 ორ უმცხინვარეს, ლუარსაბ დღის მნათობის,  
 ვინ ვნება საღმრთო აღილო ნებსით ქელსა,  
 ლომებრ კადნიერ, დიდ-სულ ქმნითა ესრეთ საბ.
507. არჩილ ხატ-იგავ ბრძნად გამოჩნდა მარტულთა,  
 დიდად მუნებელი, რომლით წინა-მსწრობ მეფეთ,  
 დიდ სახელ მპოვნელ წამებით, მეფე მშუდი.  
 იმასთან ბრძენი ყოვლად მნათობთა უმზეს  
 და ნათესავით იმთავრების მოყუასთა.
508. ერთმან ორობამ ნეტარმან ამათ დიდთა,  
 ბრძენ ერთმან, საგანგ ვითარმან მეფობისმან,  
 ორნი მტკიცე ჰყვანა ანდამატიისა უმეტ:  
 ლუარსაბ ბრძენ-ქუელ ლომებრ, არჩილი საღმრთო,  
 თემთ სამეოხო; იგ ყოველთა დამცველნი<sup>33</sup>.

<sup>33</sup> კიდურწერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს: „მეფეთა ყოვლად დიდებულთა უგალობ სურვილით მგალობელი ყოვლად ბრწყინვალისა ვნებესა მათისა. ანტონი“.

თჳს ღირსისა მაჳისა ჩუენისა  
გიორგი მთისა ჳმიღისა

509. ოქროს ეჳვან თ ქ ო რ ირისოვან იქმენ,  
ქართველთა ქება აქა აწ ორიონ მეტ,  
როს ესთა შუამჳ მი სა წყ, გიორგი ბრძენო,  
ოქიმოდ მზისა, ორონ — ჳე ი ა ს ჰ ო ვ ა ნ,  
სად მზადი მისა, გ, აქაჳ მდიდრად მინაღი<sup>34</sup>.
510. მუშაკი ბრძენი, თერძულს მთესი იფქლისა  
უხრწნელთა თესლთა სიტყუათა ღმრთიჳ-წერილთა,  
ღუარძლთა ავ-თესლთა მფიწლავ, ჰაერ-განმქრევი,  
ოქრომასა ჳუჳეთა ჩუენდა გამოზრდად მკრები —  
გიორგი აღუალს ათონით საყდრად ღმრთისად.
511. ოქრო-ნილოსი, მრწყეელი უზუად ქართველთა,  
ჰირად-ჰირადთა ნაკადულთა აღინებს,  
თჳსთა სწავლათა, ტკბილთა დამათრობელთა,  
ასწაჳებს ჰაველებრ, შუაწყობს უმიროსებრ  
მაზარებელად სიტყჳს ტრფიალთ გულუებსა.
512. სადაჳ ელვარე, მარგარიტთ შინა შემცეელ,  
წიად მდიდართა უნჯთა სამეუფოთა,  
სჳეტობა შენთა, ძერ-ფასობა სიტყუათა,  
ღმრთის-მეტყჳელების ყოვლად ძვილ-ჰოვნიღება  
ისაჩინოჳა გიორგი კიდეთადმდე.
513. ლითონ ოქრომსა, ადგილ იაკინთისა,  
უმდიდრეს იქმნნეს სიტყუანი შენნი, ბრძენო,  
ანდამატ ყოვლად, ანთრაკთა უბრწყინუალეს,  
გულის-სიტყუათა შენთა მიღმოებანი  
კაცთ-განსაკრთომელ, ძღუენ ღმრთისა მისათუალეელ.

<sup>34</sup> კიდურწერილობა ჳევიდან ქეჳეთ ნიშნავს: „ოქროს ნაკადითა მომრწყე, გიორგი. ანტონი“. P-ს ეს სტროფი არ მოეპოჳება; სამაჳიეროდ მასში დაცულია ვრცელი მოსახსენებელი. რომელსაც უძღვის წითურად ასეთი ჳედწარწერილი: „ამასჳე დღესა ღირსისა მამისა ჩუენისა გიორგი მთისა წმიღისა: ამას უკჳე დღესა შინა ჰყჳეს მამათა ქართველთა მთისა წმიღისათა აღმოღებაჳ ნაწილთა ღირსისა მამისა ჩუენისა გიორგისთჳ და დასხნეს საკრებულოსა ეკლესიასა შინა ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისასა მასჳე მონასტერსა მამათა თანა“ (665r).

თჳს ღირსთა მამათა ათონისათა – იოანესი,  
მამისა მეთიჳისი, და ბაბრიელიისი<sup>35</sup>

514. ჰჳუენის დღისასა მნათობსა ნათელთ კრთოლვა,  
ღრმად, სივრცედ, სიგრძედ ჰაერთა ნათლით ვსება,  
კმელთა და ზღუსა ეპიფანიათაცა  
და ეკლესიის სპერისა ქართველთამსა,  
ეგ სახედ ფენა იოანეს ნათელთა.
515. მთავრობა ღამის შესაბამ მთოვარისა,  
ხოლო უვიცთა მთავრობა იოანეს,  
კორცთა კრთომისა დიდ-სახელსა გაბრიელს,  
ვინამთგან ესე გამოჩნდა მისდა მფლობელ,  
რამეთუ სდევნა წინ-მეწყუე მრთელ-ცნობისა..
516. ირისე სიმგრგულედ იიგურდივა გაბრიელ,  
კორცთამსა ყოვლად ტრფიალმან ელვარების  
და მიდმოება თჳსისა გონებისა  
ოქროდ ოფაზად ელვარე ჰყო ბრძმედითა,  
ტრფიალებითა უზადომსა მზისამთა.
517. მმარხუელთა თუალნი, მხედნი მარად მზისანი,  
საიდუმლოთა სიკჳოთა წულილ-მეჭურეტნი,  
კიდეთა მნათნი სხივ-კჳირთა მწუერვალითა,  
სიტყუათა ტკბილთა ნაკადულთა. მასმეენი  
დღეს ცად მესამედ აღსრულნი იქებოდედ.
518. ანგელებრ კაცთა მმატ, ოდეს აკუდინენ კორცნი,  
დიდ მდგმო წმიდაო; ამით იქმენ ბრძენ საღმრთო,  
ვინამთგან ხარ შენ მზიარე კეთილისა.  
ცაცხლი შინაი აქავე ყოვლ აღანთენ.  
სჯულს კორცთას ხარ ზეს, მამაო იოანე!<sup>36</sup>

<sup>35</sup> ABC ნუსხებში ამის შემდეგ იკითხება 518—519 სტროფები.

<sup>36</sup> აღმავალ-დაღმავალი კიდურწერილობა ქვეყიდან ზევით ნიშნავს: „სცეველან-ტონის, მამაო იოანე!“ P-ს ეს სტროფი არ მოეპოვება (706r), ABC-ში კი იგი იკითხება 514-ე სტროფის წინ.

519. გონება სწმიდე, აბრწყინვე ზედეა, ბრძენო გაბრიელ, რომლით ღმრთის დედის იიოანე,	ქმენი უბრყვლო აელვე იგი ვინა ზღუათაცა ზედ სახე ლატრიათ ძღუნისმრთელობ აწ <sup>37</sup> .	სარკე, საქებ, მდგომ განისაკუთრე,
--	---	---

თთუხა ივლისა 29.

თჳს წმიდისა მოწამისა ეჳსტათი მცხეთელიისაჲ

520. ეესტათის თავი ვინათგან აქა სიმტკიცე, სიბრძნე, ტრფიალებითნი, აღთა გულისაათ	თავს ანდამატის წარქდა, იპოვების საკურველ სხუანი მიდმოებანი თუთ ზესთ გონების მტუფრევი, საესედ მცხადე ნიადაგ <sup>39</sup> .
--	--

521. ეესტათი მტილსა არა მეწალკოტისას,  
ზესთ ღმერთთ-მთავრისას იმორჩა, არამედ სხუთ  
საეკლისაგან აღმოვიდა ადგილით,  
გარნა მოირწყო ქრისტეს გუერდის წყაროჲსგან  
და შროშან იქმნა ეკალთა შორის საღმრთოდ.

522. ქალაქმან მცხეთა მიიღო თავი შენი,  
ძვირფას-რე სპეკალ, გერგუნ ქართველთ მეფობის,  
და სისხლი შენი — ტფილისმან საღმრთო პორფირ,  
ხოლო ნაწილნი შენნი — ივერიაჲმან  
უხრწნელ საუნჯედ, კეთილ-მდგმოო ეესტათი!

<sup>37</sup> აღმავალ-დაღმავალი კიდურჭერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს: „გაბრიელს ვაქებ მე აწ“. P-ს ეს სტროფი არ მოეპოვება (706r), ABC ნუსხებში კი იგი იკითხება 518-ე სტროფთან ერთად 514-ე სტროფის წინ.

<sup>38</sup> P-ში ეს იამბიკო არ არის, დატულია სხვა მოსახსენებელი: „ამასვე დღესა წმოდისა მოწამისა ეესტათი მცხეთელისა“ (739r) და იკითხება მხოლოდ სტროფი „მტორალი ღამე“ (741v). შდრ.: აქვე 430-ე და 441-ე სტროფების შენიშვნები.

<sup>39</sup> კიდურჭერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს — ეესტათისთვის“

თჳს ჳვიდისა ღიღისა მოწამისა რაჟღენისო

523. ეჰა, ჯუართიგან ესე ქროლაი საღმრთო,  
 ღენა სუნნელის, ბძარულით სისხლით საქებ,  
 ჟამს მსგავსებულ, ღმრთიე- განგებით განსაცუფრი,  
 არა ღღე-ყოფა, აერის ვსება ბნელით  
 რაჟღენისი აქ, ლალისა მჭურვალისა<sup>40</sup>.
524. ეღევეთერობ შენ შორის მრჩობლსა სოფელსა,  
 ქუეყანას განსწმედ სისხლით ქართველთას, რაჟღენ,  
 ზოლო ჰაერსა ჰფშვი ჯუართი სუნნელებას,  
 რაჟამს ყუავილი საღმრთო იწინიხე მას ზედ  
 ნელსაცხებელად, საცხებლად ქრისტეს კორცთა.
525. ჰბრწყინავ ბრძულთაგან მრავალთა ნაგუემთასა;  
 სცისკროვნებ ღაწუთა ნალები ყურიმლის ცემით,  
 ჰმზეობ აღჯუარვით ზიარ მზის შემოქმედის;  
 მიმსგავსებულეებ ამით ნათელთ მექმესა;  
 ისარ-განცმული ისართ განავლენ ნათლის.
526. ძკრის-მოქმედთა შორის სიკუდილ დასჯილი  
 ვისმე გამსგავსო, თვნიერ მზესა ღმერთსა?  
 კავშირთ განჯსნასა შენსა ვითარ პატიეს-ვსცე,  
 რომელს პატიეს-სცა მზის დაბნელებით ღმერთმან?  
 გარნა მასწავე: რად ჯერ-არს შენდა პატიევ?
527. არა წალკოტმან წმიდათა ყუავილთამან  
 აღგზარდა, ბრძენო, არამედ — საეკლემან;  
 გარნა ვინაფთგან ბრძენმან მეწალკოტემან  
 აღგილო მუნით და დაგმენა ძირსა წმიდას,  
 სუნნელებ, რაჟღენ, ქრისტეს სუნნელებასა.

<sup>40</sup> \*კიდურწყირილობა ქვევიდან ზევით და პირიქით: „რაჟღენს ვაქებ გალობითა“. P-ში ეს სტროფი არ არის დაცული (761r).



528. საიდუმლოსა, სინასა უადრესსა,  
თაბორი ძისა ღმერთ-მამაკაცისადასა  
მზის შემოქმედის უუთქუსა მცხინვარებას  
მოსეს ღმრთის-ზრახვის, ელიათივე კუალად,  
მოციქულთ თავთა მიიღებს მუნ დასწრებით.

თთუესა აგესტოსა 28.

თჳს ფიდიისა დიდებულისა მოწამისა შუშანიკ დედოფლისა<sup>41</sup>

529. სულამიტელთა თანა რაი იხილეთ  
მომავალისა, ვითარ ბანაკთა მწყობრის,  
ესე არს ესე, სრბად განსლვად წამებისად,  
დაღათუ ერთის, გარნა მებრ მრავალთა მძლის,  
მადლით ასულის ზესთ ღმერთთ ამინადაბის.
530. შუშანიკ გულსა ბეჭდად იდვა სურვილი  
ესოდენ ძლიერ ყოვლად, ვითარ სიკუდილი;  
უკუეთუ ვისი? — გარნა უკუდავ სიძისა,  
რომლით სიკუდილი ვერ აგრძნა, ჰგონა ძილად,  
ყოვლად დაწყულუმან სიძისა სურვილითა.
531. ღუარის სადენით სადა შევიდა სიძე  
მტილსა, რათამცა განიხილნეს ზილნარნი,  
მიეცი მუნ შენ ეტლად ამინადაბის  
და საჯდომელად — ღმერთთ-მთავრობითისა ღმრთის,  
შუშანიკ სძალო, სიძისა საყუარელო.
532. უბიწოება გონებისა შეჰზავე  
მალალ-ბრძნობასა ზედვითსა საქმიდთს თანა.  
უადრესისა აღმრჩევე გამოსჩნდი ამით,  
რომლით კრულეება განკაჟა ყოვლად მუცლის,  
ძელით განტუნებას შეაერთე შუშანიკ.

<sup>41</sup> შუშანიკის მოსახსენებელს P-ში აქვს ასეთი ზედწარწერილი: „ამასვე დღესა წმიდისა დიდებულისა მოწამისა დედოფლისა შუშანიკისა, რომელი იყო ასული ქართველთა მეფისა. ესე უკუე მოიკლა ქრისტესთვის ქმრისა მიერ თვისისა“ (809r).

ბრწყინვალესა კერიაკესა შემდგომად  
ორშაბათისა ვიღრე პარასკევადმღე.

თჳს ღირსთა მოწამეთა გარეხჯისა უღაბნოდსათა,  
რომელნი მოისრნეს უღმრთოთა აზარინათა მიერ<sup>42</sup>

533. ენებათა მიერ წმიდათა იმარტულნეს,  
მმარხუელთა ღირსთა მკნედ ძლევის-მოყუარებით  
ნიეთნი ბებკულნი აპორფირ-ძოწუელნეს,  
სისხლით ღებვითა ოლარ უსასყიდლო ჰყვენეს,  
ასონი დასჭრნეს, სულნი აღაღმრთის-ჯელნეს.
534. ესე თჳსება საკუთრად განიკუთნეს  
პასექისა მის უკუდავისა მჭამელთა,  
ზღუა საცთურისა განჰყვეს სიმკნის კუქრთხითა,  
წიაღვლნეს სიბრძნით მსრბოლთა აღთქმულისადმი  
და სრულ-ჰყვეს მრჩობლი პასექი თჳთ დაკლვითა.
535. სხუა და სხუა იყო მამული მოწამეთა  
და სავანენი ზოგად საცხოვრებონი;  
რომელნი სულმან ირემნი სიტყუერნი  
წარუწყმედელად შეჰკრიბნა, ურთიერთ არნ  
დაურღვეველსა ზეცისასა სიონსა.

ღ ი ღ ე ბ ა

536. ეკლესიასა პირმშოთასა ნეტარნი,  
აქ ზატიკობად მისრულნი ეკლესიად,  
აღფრინდეს ფრთითა წამებისაათა სიბრძნით  
მუნასა მიმართ ზატიკისათჳს აქაით  
და შეეერთნეს ზენათა იერარხთა.

<sup>42</sup> P-ში გარეჯელ მოწამეთა მოსახსენებელს უძღვის ასეთი ზედწარწერილი:  
„ბრწყინვალესა კერიაკესა შემდგომად ორშაბათისა, ვიღრე პარასკევადმღე, ოდეს  
სხუა დღესასწაული საღიდებელი არა აღესრულებოდეს რიგისა სათთუომასა, ვჰყოფთ  
ქსენებასა ღირსთა მოწამეთა გარესჯისა უღაბნოდათა, რომელნი მოისრნეს უღმრთო  
თა აგარიანთა მიერ მკვდრთა კიდეთა ზედა მღინარისა მტკურისათა დღესა თჳთ სა-  
უფლორასა დღისა დღესასწაულისა ქრისტეს აღდგომისასა. ხოლო აკოლოტია ამისი  
თჳნიერ ტროპარისა საღიდებელის წიგნისა «კონდაკისა» და «იკოსისა» და აქებდი-  
თისა დასდებელთა არს ქმნილი სხუა სახითა კიდურწერილობითა ანტონისგან, რო -

537. დიდსა მთიებსა დოდოს, ღამისა მნათსა  
მცხინვარებითა უზადოხსა მზისაჲთა,  
ყოვლად სავსესა ნათლისა ორღანოსა,  
უდაბნოთა და ქალაქთა მადლეესა,  
ვაქებდეთ ღირსად ღმრთივ-შუენიერ შემსხმელნი.

538. სიმგრგულე მთოვარებს ნაკუეთისა სრულისა,  
ყოველი ყოვლსა მიუპყარ უზადოსა,  
ნათელსა დოდოს; რათა აღივსოს მისგან,  
ყოვლად უბრყვილოდ უზესთაეს მთოვარის,  
დაუცხრომელად სავსეო ბრძენო, მისგან.

539. ცრემლნი ნაკადად მარად აღინენ დოდოს,  
რათა მედინსა ცხოვრებასა სცვალიდე  
წარუდენისად ყოფისა, საკურველო.  
ეჰა, სიბრძნისა დიდსა საიდუმლოსა,  
რამეთუ მრთელი მოიგების ტკივილით!

540. რწმუნვა აღზავე სიხარულსა ტრფიალმან,  
სატრფიალოხსა ნამდვილ უუთქესამან,  
და სასქეტონი ოთხნი კეთილობანი  
ტაკუკსა შინა კრძალვისასა შთაასხენ —  
მსმელმან სურვილით მის ამეროსიისამან.

დ ი დ ე ბ ა

541. ხატ კრძალულების, სარკე გულისკმის-ყოფის  
და იგავ გლოვის, სახე სიკუდილის კსოვნის

მელი-გი ოთხოვეს მის მიერ მამათა მონასტრისა წმლისა იოანე ნათლისმცემელისა  
გარესისათა მასვე მონასტრისა შინა ყოფასა მისსა, კმნილი ანბანთა ზედა“ (825r).  
ამას მისდევს თვით ანტონის აქოლოთია, რომელსაც ბოლოს ერთის აქ მოთავესებუ-  
ლი იამბიკო (533—536 სტროფები) (827r). მას უძღვის: „აწდა პასექისა. აქებდითსა  
ზედა დასდებელი აღდგომისა ჳ და წმიდათა ჳ, კჳა ღ“.

<sup>43</sup> P-ში უძღვის ზედწარწერილი. „ღიდება, აწდა დღესასწაულისა, აქებდითსა  
ზედა დასდებელი დღესასწაულისა და ღირსისა [დოდოსი]“ (831r). D-ში დოდოს  
ხსენების დღე დადებულა „ამაღლებითგან მეშველესა ოთხშაბათსა“.

არს შენი, ბრძენო, ცხოვრება მონაზონთა.  
ყოვლად ნეტარ ხარ ამისთვის, სამ-ნეტარო,  
ღოდოს მმარხუელთა საღმრთოთა სიკეთეო.

### აწდა ღღესასწაულისა

542. რომელმან კორცთა სიმძიმე არ-საოცარ  
მიღებად ითნო ჭეშმარიტებით, ღმერთმან,  
ხერუვიმებრთა ბეჭთავან ყვანებული  
სხეულით ჰაერს განჰკუეთს ღმერთ-მამაკაცებრ;  
ამაღლებული მამისად დაისაყდრებს.

### თ ა ვ ი XIII

#### აღვსებითგან მეშუღესა ზუთშაბათსა

თჳს ღირსისა მამისა ჩუენისა ღავით გარემსჯელისა<sup>44</sup>

543. დავითს მნათობსა, ორღანოს თჳთ ნათლისას,  
შარავანდითა რომელი ემზეების,  
არათუ ჩუენთა მამულთა ოდენ მარტოდ,  
უფროდსა სოფლის კიდეთა ვიდრე კიდედ  
სიტყუა-წყობითა თხზვათადათა შევასზმიდეთ.
544. ბუბაქარს განსცდი, გუელსა სდეენი ცეცხლითა,  
განცდილს აღმოშობ მეორედ, სამ-ნეტარო;  
ირემთ საკმარად აარებ შენდა, დიდო,  
უღალსა მყარსა ლოცვითა აწყაროებ  
და მგლოვარეთა ექმნები ზატ და სახე.
545. ითეზბიტელე უღაბნოთა, მამაო,  
ღმრთისადმი კადრთა მომღებმან, საკურველო,  
არა მოაკლდი, დუღდა რაჲ სავსებელი,  
ასაკებრივთა მიღმოქცევათა, ბრძენო,  
და ღირსად ჯილდო მიიღე მათ ყოველთა<sup>45</sup>.

<sup>44</sup> P-ში იამბიკოს უძღვებს: „ღიღება, აწდა ღღესასწაულისა, აქებდითსა ზედა  
დასდებელი ღღესასწაულისა და ღირსისა [დავითისი]“ (835r).

<sup>45</sup> P-ში ამას მისდევს „აწდა ღღესასწაულისა“ სტროფი: „რომელმან კორცთა  
სიმძიმე არ-საოცარ მიღებად ითნო ჭეშმარიტებით“ (შდრ.: სტრ. 542).

## ნაწილი მეთექვსმეტი

### თხზ ქართველთა როგველთაჲ მუჟათა ჩინებულთა

546. თუ ბარბაროსთა მივერჩდე ქება-სტიხით,  
ჰკამს მაშინ ქებად ფარნაეზ მეფე დიდი,  
ვინ ქართულებრსა შეეწია ენასა,  
სუფთა ქმნით, წმედით აუხუ-ალამაზ-ლექსნა  
და მეფობითნი სჯულნი დასდენა საქებელ.
547. ტყუენი ქართველნი ამან სიბრძნით-რე სიმკნით  
მაკედონთაგან ათაეისუფლნა ლომებრ;  
იაზონ მოკლა, აცხოველა მეფობა,  
მაგრა ვინაჲთგან არა აქებდა ღმერთსა,  
არ-საქებელ არს მსახურთაგან ღმრთისათა.

#### თ ა ვ ი I

#### თხზ მირიან I სოსროვანისა

548. მირიან დიდსა რჩეულს, სხუას ვისმე დავითს —  
ამად ვითარმედ იყენეს უმძლეს-უმკნესნი  
მეფენი პირველ სხუა და სხუათაგან ტომთა,  
მაგრა არა სთნდეს მონად თუსად უფალსა —  
ეშესაბამვის შესხმა მიცემად ქებით.
549. სხუა საელე იქმნა მირიან რჩეულ წმიდა,  
გუემული სიბრძნით, განგებით შთაჭრილ ცხენით  
ამის ტყვსაგან თავისუფალ, ტყუეობის  
მცნობელი და მსწრაფლ განდუქებული ღმრთისად,  
კერპთ-მმუსრი, ქრისტეს აღმმართვები ჯუარისა.
550. ესე არს პირველ და დასაბამ მეფეთა  
კეთილ-მსახურთა, ვინ მოიმაღლა ნიჭად  
ქრისტეს სახელი და მის შორისებაი;  
წინამძღუარ ექმნა ღმრთისა მიმართ ქართველთა,  
ხოლო გვრგვნი მიიღო მოციქულთა.

551. ვახტანგ ქებისა შესაბამ საქებისა  
 ღირს დიდებისა, უბრწყინვალეს ცებისა,  
 მარტულებისა მისთვის ზესთ-გონებისა,  
 დაუვსებისა ნათლის აუგებისა  
 არს მოღებისა, ცნობილ შეუხებისა.
552. ვახტანგ „მგელ-ლომი“ სიკისკას-სიჩაუქით,  
 დამცემი ორთა გოლიათთა ჯუართა,  
 მზე განმანათლი სამეფოჲსა თვისისა,  
 მლუდელ-მთავრობითთა საყდართ მკაზმე-მაკეთი,  
 ქრისტესთვის შორის ცხოველ ნიადაგ მომგე.
553. ვახტანგ სინდთა და სხუა და სხუა ბარბაროსთა  
 ზელა განმძქედრი, დამცემი კოსტანტინებრ,  
 მირიან დიდის შესაბამ ძის-წულობის,  
 ქრისტეს მოყუარე, ქრისტეს მიერ მმეფობი,  
 მონარხიისა შემაერთი, ბრძენ სიმცნით.
554. მფლობი კოლხიდიტ ვიდრე ირკანიადმდე,  
 მფლობი აზიურ სარმატიისა ყოვლის,  
 ბრძენი, მცნე მეფე, განმსჯი მართლიად მარად,  
 არ-მოთნე ვისდა, ყოლ არცაღა თუალ-მღები,  
 სისხლითა ზიარ ნამდვილ სატრფიალოის.

თქს არჩილ II ხონროვანისა

555. არჩილ სასურველ არს, ვითა იოსია,  
 სიმართლიტ მსღველი, სხუა ვინმე ეზეკია,  
 ქრისტეს თქს შორის ცხოველ-მყოფი, სხუა პაველი,  
 მეფეთა შორის ჩუენტა მარტულ დასაბამ,  
 შუენიერ ხატიტ, უღამაზეს გონებიტ.
556. არჩილ მეორემ ზედ-წოდებიტ ორგუარად  
 სახელიტ ხოლო და თანად მარტულობიტ,  
 პირად-პირადნი კეთილობათა გუარნი  
 ანგელოსებრნი ღმრთისადმი ტრფიალებიტ,  
 ხოლო კაცებრნი სავსედ დასდენა თქს შორის.

557. მონარხიითსა საყდარსა ვახტანგისსა  
 ღირსად ენაცვლა არჩილ, რათა ორთავე  
 გურგუნთა მისთა მიმღებელი განბრწყინდეს  
 მრჩობლსა სოფელსა მზისა უმცხინვარესად,  
 სიბრძნის-მოყუარე მეფე, მარტული დიდი.
558. შენ გშუენის, არჩილ, გურგუნი ყუავილელი,  
 შენ — ვარდსა ველის, შრომანსა ღელეთასა!  
 შენ პრეცხე სპეტაკ სამოსელი შეილების  
 სისხლითა ღმრთისა კრავისაჲთა უწმიდეს;  
 ხოლო სდგა მისსა წინაშე მძლე საყდარსა.
559. შენ ჰკასიაებ, ბალასან-კინამოებ,  
 მირონ-არომატ წარმოცლილ ჰნელსაცხებლებ,  
 ყარამფილ-ვარდებ, იაკოსტ-ყაყაჩოებ,  
 რტო-კიპარისებ, ია-შაშპრა-სოსანებ,  
 ხოლო წალკოტებერ მრავალ-ყუავილიერებ.
560. შენ — მორჩი ვაზის, ვარდი იერიქოის,  
 ტევანი მწიფე ყოვლად ნაყოფიერი —  
 ვნებისას, დიღო, იწინიხე საწნებელსა.  
 დაჰქედ მზე სოფლის, ამალღდი ზესთა სოფლის  
 მრჩობლთა სოფელთა სამკაულ-აღმომზებო.

## თ ა ვ ი II

### თჳს გურამ I ღაჳითიანისა

561. გურამ — რტო კუამლის, მურის, გუნდრუკ-სუნნელის,  
 უღაბნოთაგან აღმოვალს ჩუენდა სუნნელ,  
 ესე იგი არს, იუღეანთა გამო,  
 მაგრა დავითის ძირთაგან, თჳსი ქრისტჳს,  
 მორწმუნე მეფე, სხუა მირიან ან ვახტანგ.
562. ესე პირველობს მეფეთა დავითიანთ,  
 ხოლო პირველობს კეთილ-მსახურებითცა,  
 ამად ვითარმედ: აქამდე წინაპარნი  
 გურამ დიდისა მოსეანობდეს სჯულით,  
 კუალად ამისმდე უცხო იყვნეს მეფობის.

თჳს ბაზრატისა III, ძინსა გურგინისა,  
ღაჳითიან-ბაზრატოჳანისა

563. პაპათა ჩუენთა წინაპართა მშობელთა  
თანა მამს, რათგან მეფეთად კელ-ვჳყაე ქებად,  
კსენება მათი, ვის ჰშუენის მოკსენებად,  
რათა ქებისა ღირსნი — არ დავიწყების,  
რომელთა შორის ბრწყინაჳს ბაგრატ მესამე.
564. ეს ბაგრატ — მექმი სკიპტრისა, შემაერთი  
მონარხისა, ვახტანგ „მგელ-ლომ“ სახელის;  
კოლხიღით ვიდრე ირკანიაღმდე მმეფი,  
ძე გურგენისა, ახალ-ყუაჳიღიერი,  
მეფე ჭაბუკი, გონებით მოხუც ხოლო.
565. ბაგრატ — ღაჳითის შუენიერმან წალკოტმან  
შრომანი სუნით, შუენიერი ფერიტ-რე  
ეკალთა შორის, ესე იგი თან წარმსლველ  
მოჰასაკეთა ანუ თან-ნათესაეთა  
ყოვღად უკეთეს აცენა უსუნნელეს.
566. ოცღაათოთხთა წელწღღისა სიმგრგულეთა  
მმეფობი ბაგრატ — ამით საქები ევტიხს,  
ვითარმედ მის ზე მრავალნი ღიდებულნი  
აღყუაჳენეს, ბრძენნი ქართველთაგანნი ღირსნი,  
წიგნთა თარგმანნი, ღრამატიკოსნი საღმრთოდ.

თჳს ბაზრატ IV, ძინსა გიორგისა, ღაჳითიან-ბაზრატოჳანისა

567. ბაგრატ მეოთხე, ძე გიორგი პირველის,  
მეფე აფხაზთა შუენიერ მორფ-ნაკუეთით,  
ფილოსოფოსი, ბრძენი, ქრისტეს მოყუარე,  
კესარის მმზახლე, კურაპალატ-სეჳასტოს,  
შუებული, ომთა არ-განუცღელ მკედარი.
568. ამას ევტიხი აქუნღა ყოვღად ბედნიერ,  
ვითარმედ: ბრძენნი თარგმანნი, კუაღად სხუანი  
ამისსა ღროსა მეფობითსა განბრწყინღეს —  
გიორგი ღიდით ღმრთის-მეტყუ-ფილოსოფოსნი,  
გარნა ქართველნი, სოფლის კიღეთა მნათნი.



თჳს ღაჳით III [აღმაჳანებალისა],  
ღაჳითიან-გაბრატოჳანისა

569. აქა ღუმილი, თუ სთქუა, უმჯობეს ვპგონე,  
ესე საბრძნო არს წინადადება, რომელ:  
სადა სიტყუასა ყოვლად უზუედეს საქმე,  
ღუმილი ჰჳამს მუნ, რამეთუ ძლეულ — სიტყუა;  
გარნა ცხად-ყოფა ღმრთივ იღუმალთა ჯერ არს.
570. სარწმუნო მონად ბრძენი ღმრთისა იქმნა აქ,  
ელეეთერ წმიდა, ოლუსიონ ღირს საქმებ,  
ფიალ-სუნნელ ღმრთივ ნელსაცხებელ ნარღისა  
ესგუარს ჰშუენის, ვით ძისგან დიდება ღირსსა.  
მეფესა დაეთოს უძნობ ქებასა ამას!
571. ღავით მესამე — ფილოსოფოსი მეფე,  
ვინ ჰქმნა გონება უზადოჳსა მზის სეფე.  
სიტყუერს წალკოტს სულისა ყუაეილთ მკრეფე,  
მტერთა ჯუარითა მადენ, მდიდრად სისხლთ-მჩქეფე,  
ღმრთის-მეტყუელ მგალობ, იადონ მსტუნაე-მეფე.
572. აქა ჩანს ერთად იასპ-სადაფ-მინანი,  
მჭკრვალ-სპეტაკნი, სხუა ფერნი სალხინანი,  
მუღამ სიწმიდე, არ-ოდეს საწყინანი,  
ღამაზ-მჭკრვალნი, კრძალეანი სასმინანი,  
ხოლო სიმენენი, დაცსნილთ დასაკმინანი.
573. ღავითის ომთა კშირად ჰკრთიან ელვანი,  
შეტეეებითა მტერთ შეხუდების ქელვანი,  
სპარსთ სიმრავლისა ანაზდ ცხრების ღელვანი,  
მუსრვა უღმრთოთა, მათით ველთა სველვანი,  
ეს მძლეობს მუღამ, იმათ არ აქუსთ შველვანი.
574. საქართველოს შორის სპარსთა საესება,  
ადგილთა წმიდათ საძაგ მიზგითთ მსგაესება,  
მრავალთდ ადგიდ რწმუნენის ნათლის დაესება,

<sup>1</sup> ქვევიდან აღმავალ-დაღმავალი კიდურწერილობა ნიშნავს: „მეფესა დაეთოს უძნობ ქებასა ამას“ (იგივე იკითხება სტროფის მეხუთე ტაქტში). შდრ.: აქვე სტრ. 409.

საკურთხეველთა ქმნილი შეცვულ საესება,  
ესე შემთხუევა ჩუენდა ღამეს შავს ება.

575. მაგრა წარგუჯადნა დაეით ჯუარით მორთხმულმან,  
სიმჷნით კაზმულმან, უენებობით მორთულმან,  
აფხაზით ქართლად ჭირთა მიკლად მოსრულმან,  
სხუამ მოსემ, ისუმ, სხუა დაეით ვინ ყო სულმან,  
სხუამ ვინ გედონ, სიმჷნეთა შინა სრულმან.
576. ტფილისს პალატნი – ჩუენნი გოდოლ-ტაძარნი,  
სოფელთ ყანობნი, ვენაჯ-ორმო-ტაგარნი,  
სპარსთა, არ-ჩუენნი, ესე კსოენად საზარნი,  
ჩუენდა არ-გზანი, მთანი, კლდენი სატარნი,  
ესე საციენი არ ადვილ აღსაყარნი.
577. უკ-გუზლო დაეით სიბრძნით-სიმჷნით განქუელმან,  
მათ მძლავრ მიჷკადა შურის ცეცხლით დამწველმან,  
ჩუენდა აქცინა ესენი ჩუენმან მცველმან,  
თაეისუფალ გუყენა ანაზდად ადვილ მშველმან,  
განსწმიდა კალო ქრისტესი ბიწთ-განმგველმან.
578. გაენათისა შენება – წმიდათ ვანი,  
აქა სხუა ცაი, ზესთ სამეფოდ აღმყვანი,  
წვალებათ რღუევა, კეთილ-მსახურ დაცვანი,  
მიზგითთ ოკრება-ქცევა, ყურანთ დაწვანი  
ჷქმნა დაეით, ვინ გუყავს ქრისტეს მიმართ წარმძლუანი.
579. შესაბამ თუსთა სიბრძნედ მოძლუარ არსენი  
იყალთოელი ჷყვანდა, ღირსად საკსენი,  
რომლისა ფრასი არს შუენიერ სასმენი,  
ღმრთის-მეტყუელებრნი მისნი წერილ-საქმენი,  
გარნა დაეითის ქმნილნი არს ყოვლ საზენი.
580. რომელთა ზედა მეფობდა ვახტანგ ღიდი,  
ამანეე ჷპოვა მეფედ დაეითცა მშუდი,  
რომლით სახელი მიიღო განსადიდი,  
მაგრა ბოლოს-რე ვალი არ-განსაკიდი  
მიჷკადა ამას, შეჷხუდა სიკუდილი ფლიდი.

თქს ბიორგი III, კისა ღიმიტირისა,  
ღაჳიტიან-ბაბრატოჳანისა

581. გიორგის შეხუღა სკიპტრაი ღირსად, რომელ  
კჳუენოღა დავით გიორგის პაპა-ყოფად,  
ამად ვითარმედ საყდარი დავითისი  
ჯერ-იყო პყრობად მენისაგან მპყრობელისა,  
ვინა გიორგი სამართალ დაიპყრობს ღირსს.
582. გიორგი მენემან, დიდ-სულმან, მკედართ-მძღუანმან,  
სიჭაბუკისა ყუავილითა მორთულმან,  
შუენიერ-ყრმამან, ნაკუეთით მორფ-მღიდარმან,  
ორგულთ პატიჳნი ღირსად მიჳყადნა მეფებრ  
და მშუღობითნი განელნა ღრონი მეფობით.
583. ოცდართხთ წელთა მმეფობმან მონარხობით  
განაგნა ღირსად მეფობითნი საქმენი  
მონარხისა დავითისსა მენე-კაცმან,  
არ სცვალა წესი პაპისა სჯულ-ღებული;  
თამარ ნაცვალ ჳქმნა, მშუღობით დაიძინა.

თქს თამარ I, ბიორგის ასულისა,  
ღაჳიტიან-ბაბრატოჳანისა

584. ქალი მამრთა წილ, მენეთა მშობელთა დიდთა  
ნაცვალ საყდრის მპყრობ არ-ბედნიერობა არს;  
მაგრა დავითის თუ სადამე არა ნაკლ,  
გამოჩნდეს ქალი ყოველსა შინა საქმეს —  
კეთილ შემთხუევა, ვინა ზეედების აქა.
585. ასულთა შორის დავითიანთა თამარ  
სოლომონითნი მსგავსებანი ყოველნი  
იყოელისფერნა, მამრთ წარემატა მდეღრი,  
შუენიერ-ქმნილი შინაგნით და გარეგნით,  
ქრისტეს თუსება ქრისტებრით ამკო მადლით.
586. სოლომონითი სიბრძნე აქა ჳპოვო შენ,  
მისებრ სიმდიდრე, სიბრძნის ნაყოფი მისი,  
ქრისტეებრ მადლი, ცხებულება უფლისა,

შუენიერება, გონების მუდამ მზობა,  
პირველთა თვისთა უმეტესი განბრძნობა.

587. იტყვან ბუელად სემირამიდას ვისმე,  
მეფასა ვისმე, ცოლსა ნინოს მეფისას,  
კუროსის უძძლესს, ალექსანდრეს უდიდესს,  
პროპონტოს კიდით მფლობსა კიდედ ინდიას,  
შუენიერ-მდიდარს, უმდიდრესს ძლიერებით;
588. კუალად სხუას ვისმე მდედრსა ესგუარ დიდებით —  
ცოლსა ქსერქსისსა, დედასა არტაქსერქსისს,  
ხოლო მცირისა კუალად კუროსისასა,  
კუროს დიდისა საყდრისა დედოფალსა,  
შვილთა მბრძანებსა ნებისაებრ თვისსა;
589. კუალად ეგუპტის მეფასა კლეოპატრას,  
მოქსენებულსა იოსიპოსის მიერ,  
ძალითა დიდსა წინააღმდეგომთა მძლესა;  
კუალად კესარის დედასა ანტონიას,  
გაიოსისსა სარაცხსა თქმულთა თანა.
590. ესენი, რაცა კშუენის ქმნილთა მსახურთა,  
ესგუარნი იყვნეს: ოდენ კუამლებრ ნაცხადნი,  
გუშინ ჩნდენ და ღლეს განქარდენ, დასცხრენ ყოფით;  
მაგრა თამარის საქმენი ჩანნ ღმრთის შორის,  
ხოლო ნიადაგ განგრძელდეს უცვალებელ.
591. არა დაეიწყდეს გარეშემოთა ჩუენთა  
ბერძენთა ბრძენთა, სომეხთა, სირთა, სპარსთა  
დიდება მისი, სადიდებელი ღმრთისა,  
ხოლო ქართველთად — არ-სამართალ არ-ქსოვნა  
საქმეთა ბრძნისა მეფაის თამარისთა.
592. ესე ემსგავსა მარიაჲს, დასა მოსესს,  
დებორას — კუალად, ივდიტს, ესთერს და სხუასა,  
კეცის ჭურითა მომკლველს აბიმელიქის,  
ანას, ლოცვითა ღმრთისადმი აღმელენელსა,  
სხუას კუალად მხილველს ანას ანგელოსისას:
593. მარიაჲს — რომელ მოსცა ღმერთმან ერსა მძლუან,  
დებორას — რომელ ამან სხუა ვინ სისარა

ლაშქრითა დასცა ნუქარდინ ლოცვითა-რე;  
იაილ იქმნა, რამეთუ მას მანაი  
ჯუარი განჰმსჭუალა, აკუდინა, დასცა მძლავრი.

594. კუალად დებორებრ მსჯელი რჩეულის ერის,  
ივლითისაებრ მქსნელი განსაცდელთაგან,  
ესთერებრ ძელსა უხილავის ამანის  
მომშობი, ზოლო ერთა დამცველი მათი,  
ლოცვის აღმყვანი, მომღე თხოვის სრულ-ყოფის...
595. კეცის ჭურითა — ძლიერი აბიმელიქ,  
ხალიფა დასცა მდედრმან მამრი ანაზღად,  
ესე იგი არს, არა-სწორ ძლიერებით,  
კეცის ჭურს შინას ღმრთივის მეცნიერებით  
ეკლესიანი ამკვნა, ჰერცელა მეფობა.

#### თ ა ვ ი IV

თჳს დიმიტრი III, კისა ღაპითისა,  
ღაპითიან-ბაბრატოვანისა; თავდადებულ ზედწოდებულისა

596. დიმიტრი ღირს არს ქსოვნისა მარადობით,  
ვინაფთგან ესე ენაცელა განსაცდელით  
ერსა, რომელი ერწმუნა უფლისაგან;  
სისხლი სუბუქ-რე განსცა სულის დამდებმან,  
ზოლო გურგენი ძლევისა ითაეღმულა.
597. ამას წერილი ჩუენთა ისტორიათა,  
რომელთა შორის მოითხრობის მეფენი,  
ზედწოდებულ ჰყოფს საკუთრად თავდადებულ.  
სამეფო იქსნა, სული დასდვა აღრჩევით;  
ზოლო მარტულთა ზიარი იდიდების.

თჳს გიორგი V, ბრწყინვალედ ზედწოდებულისა,  
კისა დიმიტრისა, ღაპითიან-ბაბრატოვანისა

598. გიორგი მთიებრ განუტევენა ნათელი,  
ისახელწოდა ბრწყინვალე ან სანთელი,  
განსჯით ჰყო, რაც სხდა ცხოვრების კამათელი,

რწმუნეა ასპეტა, განსრია შავ-სათელი.  
აქე ეს, მქებო! ჯერეთლა ნუ სხუათ ელი!

599. აფხაზთ-ქართველთა სამეფო ვახტანგ დიდის,  
სხუა და სხუა ქმნილი, აერთეუამა გიორგი;  
მთიულნი სტუქსნა, სჯულნი დასხნა მეფობის;  
დავით მესამეს ემსგავსა ყოველგან მარად,  
თამარის სჯანი ამეორნა ყოველნი.

თჳს ბაგრატ V, ძისა დავითისა,  
დავითიან-ბაგრატოვანისა

600. ესე დიდ ბაგრატ ზედწოდებულ ჰყო საქმემ,  
ყოვლად მკნე-ქუელი, სხუა დავით ან სხუა ვახტანგ;  
პაპის შესაბამ გიორგი ბრწყინვალისა,  
მეფე ბრძენი, მკნე, მაგრა ტიხი-შემთხუევა  
ვერ-კეთილ ჰხუდა მარად ყოველსა შინა.
601. დასცნა დემურის სპანი სამარყანდელის,  
მაგრა ვერა სძლო ნიადაგ უღმრთო დემურს.  
საქმენი პირველ მეფობითნი განჰკარგნა  
წესიერ-მსჯელმან ყოვლად სიბრძნით და სიმკნით,  
ბაგრატ მკნე-ბრძენმან, ქართველთა დიდებამან.

თჳს ალექსანდრე I, ძისა გიორგისა,  
დავითიან-ბაგრატოვანისა

602. ალექსანდრესთჳს იგივე სათქმელ არსვე,  
რაიცა ითქუა დავით მესამისათჳს,  
და უმეტესიც ითქმის, მერწმუნე ესე,  
რამეთუ ამან ბრძენმან ქრისტეს მკედარმან  
მისნი ძლევანი ამეორნა სპარსთადმი.
603. დიდი არს ესე, ვითარმედ: ტრამა-ქმნილნი  
ქალაქნი აქა, სოფელნი ან დაბანი  
საესე ჰყვნა ქრისტეს შემწედ მომგემან თჳსდა;  
ეკლესიანი, ეპისკოპოსთ საყდარნი,  
საფუძეულითურთ აღმოთხრილნი, აღაგნა.

604. ესე ნემია ანუ სხუა ზორობაბელ,  
 სოლომონითი მისთავე ქუემდებარე,  
 სიბრძნე მდიდართა პსიხის მიდმოებათა,  
 სოლომონითსა მადლსა მოიღებს თუსად  
 ტაძრის აღმგე მცხეთისაჲს, მმეორები.
605. სიმცნით-შუენებით საქები ალექსანდრე,  
 სიბრძნის-მოყუარეთ სასურევი, ბრძენთ საწადრე;  
 მნებაეს, თუ სიტყუა შესხმითი მაქუს საკადრე,  
 არ მცონის შესხმად, მისდამი ვიმსთობ ადრე  
 ნიადაგ მმზობი – გუშინ, დღეს, აწ და კუალად-რე.
606. მონარხიამან ვახტანგ პირველისამან  
 საყდარმან მისმან ღირსად შეიწყნარა ეს –  
 ქრისტეს სჯულებთა მაბრწყინი, მცველი მტკიცედ,  
 ჭეშმარიტ მსჯელი, არა მიმდრეკი მრუმედ,  
 ღუარძლთ მწმედი, ეკალთ, მაახლი სიტყუთ წალკოტთ.
607. მონაზონებრთა ფილოსოფიისობათა  
 ქუე-მდებარები ალექსანდრე მართალი,  
 მმარხუელობის ხატ, იგავ-მსარკეებელი,  
 ამისთაც ზოლო გურგვნთა მომღებელი,  
 მიწას პრთავს მცხეთას, სულსა აღაღმრთის-კელებს.

თნს ღუარსაბ I, კინა დავითისა,  
 დავითიან-ბაბრატოვანისა

608. ღუარსაბ – სიმცნის ცასა შემომგრგუალები,  
 მზე სიტყუერი, მავალი ღერძსა სიბრძნის,  
 დიდ-სული კაცი, მეფე ჯუარით მორთხმული,  
 ქართლისა მცველი, სულის დამღები მისთუს,  
 მარტულებრ მენები, სისხლით აღსრული ზენად.
609. არა-მმონები მკველისაგანთა ბილწთა,  
 მთავისუფლები ქართლისა დროსა თუსსა,  
 მკნე, უცონელი, სპარსთა მღეწი ძუალებთა,  
 განსაკვრებთა ძლევათა წარმმართები,  
 ბრძოლით დაწყლული უფლისად დაიძინებს.

610. სემეონ დიდმან, ესთა ჴედწოდებულმან,  
ბრძენ-მენე-დიდ-სულმან, მეფემან ქართველთამან,  
აღმომზეებმან დავითის აღმოსაელით  
სიბრძნის და სიმენის განუტეენა რაჲ სზიენი,  
ანათლა ქართლი, იმერთა ემთოჳარა.
611. სემეონ დიდსა, სიბრძნით-სიმენით ფრიადსა,  
სამკედროს ქცეუით შეუსწორებელს ყოელად,  
განსაკურჳოთა ძლეუათა აღმადგენსა,  
ყოელად მძლე-ქუელსა, საქებ-საწადსა ყოელთად  
ეშესაბამეის კსენება სიტყუა-მკობით.
612. ესე ქებულ არს ორგულთაცა თუსთაგან,  
ვინამთგან ნაცილ არ იკეთილა საქმე;  
ერთგულებდიან შემდგომად სიკუდილისცა  
ამას ქართველნი სჯულითა უფლებისაჲთ,  
მაგრა შემთხუეჳა არ ბედნიერობს მისდა.

613. ლუარსაბს სისხლი ასარდიონ-ტოჳაზებს,  
ანთრაკ-იასპებს, აიაკინთ-მჭჳრუალებს,  
აოქრო-ქეაებს, აბივრიტ-ანიონებს,  
ხოლო სიწმიდე ასპეტ-ამარგარიტებს  
და სიმენე წმიდა ამეთუსტო-აქატებს<sup>2</sup>.
614. შენნი ბრწყინვანი, ჴაბუკო ბრძენო მეფე,  
განკდეს კიდედმდე, განანათლნეს ყოველნი.  
შენ ქალწულება მძაფრსა შინა დუდილსა  
აგე უხრწნელად სისხლითურთ ჴიარ ქრისტეს.  
მისცენ ძლეუნ საღმრთოდ. ამისთუს საქებელ ჴარ.

<sup>2</sup> აქ ჩამოთვლილი ძვირფასი ქვები ამკობდა არონ მღვდელთ-მთავრის ფეს-  
ვედს, რომელიც შეკერილი იყო საუცხოო მატერიისა და ოქრო-ქსოვილისაგან. ეს  
ქვები ამ ფესვედზე განლაგებული ყოფილა ოთხ რიგად: 1. სარდიონი, პაზიონი და  
სამარაგლონი, 2. ანთრაკი, საფირონი და იასპი, 3. ლიგვირონი, აქატე და ამეთუს-  
ტონი, 4. ოქრო-ანთრაკი, ბიერილიონი და ანუქიონი (გამოსლუათა 28, 17—20). შდრ.  
ეპიფანე კვიპრელის „თჳალთაჲ“ (შატბერდის კრებული, 1979, გვ. 127—175).



615. შენ — შროშან წმიდა, ვარდ-რაზარინ-ნარდიონ,  
 ალო-ბალასან, ზმირინ, გუნდრუკ აღკმეულ,  
 არომატ დაღურილ, ნელსაცხებელ წარმოცლილ,  
 სუმბულ-ყარამფილ, კასია, დაფნ მწუანოვან,  
 კიპაროს, ნეგო, კინამო, ია, შაშპრა.
616. შენ — ჰურ, შეცხოზილ ვნებისა საცხოზელსა,  
 შენ — ტევან, წნეხილ საწნახელსა ღუაწლისას,  
 შენ — ყუავილ, წურვილ საღმრთოდ-რე ნელსაცხებელ.  
 ლუარსაბ დიდო, ხარ ჩუენდა ქება მდიდარ,  
 ხარ ჩუენდა მცველად, მეოხად ქრისტეს მიმართ.
617. ლუარსაბისნი ყუავენ წალკოტ-იანი,  
 მწიფობენ მტილნი ნაყოფ-ხილნარ-ხიანი,  
 ესე სიტყვთნი და სხივ-ნათელ-მზიანი,  
 ჰკრთიან ელვანი, ერმი მთიებ-ციანი,  
 არ-ღამიერნი, ყოველ მაღლიერ ღღიანი.
618. სურვილი შენი ჩ ე მ დ ა ღ ალატყდა აწ ალ,  
 რამეთუ აქათ რ ბ ო ლ ა იახლა დიდი,  
 არ ანკანაკე, ა რ ა მ ე ღ რაგუარ საკეთ,  
 უცხო მმკობ, ხ დ ი ლ ხ ო მ, ფურიად საჭურვ, ვით  
 ლუარსაბ, ვინა ლ ა მ ე ალსლვად მუნა ვით  
 ზესთღ<sup>ა</sup>.

თ ა ე ი V

თჳს თეიმურაზ I, კისა ღაჳითისა,  
 ღაჳითიან-ბაგრატიონანისა

619. თეიმურაზის სიმკნეთა საცუფროთა  
 ჰქადაგებს სპარსთაც სტიხოზა-შაირ-თქმანი;  
 ესე საზეო, განსადიდი საზელი  
 მიილო ამან სხუა და სხუა თემთა შორის —  
 წარმართებანი ძლეუათა მაღალთანი.

<sup>ა</sup> კიდურწერილობა ქვევიდან ზევით ნიშნავს: „ლუარსაბ, კეთილ ხარ ჩემდა და ფრიად კეთილ“.

620. მოვედ, მეფეო, ძისადმი უნდოისა,  
მეც წილი მამებრ ძესა არ-შესაბამსა  
შენთა შუენიერ სტიხის-მოქმედებათა,  
რათა შენნივე უკმოგიზლო სიტყუანი;  
შენთა თქმათაგან, კამს, რათა იქებოდე.
621. თეიმურაზის წარმოება საწად არს,  
რამეთუ ღედა არს სისხლით ზიარ ქრისტეს,  
საღმრთო ქეთავეან მოწამე, ქრისტეს სძალი.  
რაიცა კშუენის სიმკნით მსგავსება ღელის,  
ძემანც მოიგო, ამით განმღიდრდა ფრიად.
622. თეიმურაზის ტკბილნი ფრას-შენაწყობნი,  
მისნი სიბრძნისა ტრფიალ-მოყუარებანი  
ღირს-არს შემკობად გალობით-სტიხით ხოლო.  
ესე ბრძენ საღმრთო, კეთილ-მსახური მეფე  
ღიღებად ძეთა საქადულებს ნიადაგ.

თჳს ვახტანგ V, კისა ლეონისა  
დაპითიან-ბაბრატოჲანისა

623. ვახტანგ — სიბრძნისა ტრფიალი, კაცი ბრძენი,  
ტკბილ-მოუბარი, უხუ-შუენიერ შემწყობი,  
ღრმად განმსჯი მარად, ზრდილი შესაბამ ტომის,  
სამეფოისა სარგებელისა მძებნი,  
ბეჭედთ მიზეზი, კეთილ-მზრდელი ჭაბუკთა.
624. ვახტანგს, ტრფიალსა სიბრძნისასა, კსუროდა  
ქართველთა შორის განფენა სწავლულების;  
შუება ჰქმნის, ეინმცა ნახის სიბრძნის მოყუარედ.  
ნიჭნი მიაგნის, ემადლიერის ფრიად,  
მაგრა ვერ მისწუთა. თავსა საწადისასა.
625. მისნი სასურნი ყოლა რეცა საწყურნი,  
სხუათა საშურნი, თჳსნი სენთა საკურნი,  
არა საურენი, შრომით ოფლთა საწურნი,  
მუდამ საყურნი, შიგ ნიადაგ საცურნი,  
სწავლა-საკურენი, იყენის სულის საჭურენი.

626. სამეფოს სჯულთა დამსხმელმან ამან ვახტანგ  
ტფილისის სიონი აახლა და სხუანიცა;  
მიპრიდა სპარსთა, დაუტევა მეფობა,  
ქრისტესთვის ზოლო აღირჩია მწირობა,  
მიწა მიწას პრთა, თვთ განეულთა ჯორცთაგან.

თჳს თეიმურაზ II, პისა ირაკლისა  
დაპითიან-ბაგრატიონისა

627. თეიმურაზსა, ცხებულსა უფლისასა,  
საწად-საქებსა, წრფელსა, დიდსულს მკედარსა,  
ქრისტეს-მოყუარეს, მეფესა ქართველთასა,  
შუენიერ ხატსა, მკედარსა გამოცდილსა,  
პშუენიან შესხმა სტიხის მოქმედებითი.
628. შენ — მზე ქართველთა სად დაჰხედ, ბრძენო მეფე,  
ბრძოლათა შინა ნიადაგ უძლეველ-მძლე,  
სხუა და სხუა-გუართა საქმეთა ასპარეზის  
ყოვლად მეცნიერ, მკმეველი საჭურველთა,  
ისარ-ჩოგანთა, იპოდრომს სამღერელთა?
629. მართალი მსჯელი, კეთილ-მსახური დიდი,  
ღმრთისად ტრფიალი, სიბრძნის-მოყუარე, მშუდი,  
ეკალ-ღუარძლთ მფხურელი, ეკლესიისა მწმიდი;  
ამით სახელი მოიგო განსადიდი.  
მისდა შესხმითი ჰჳამს განსაერც-განსაზიდი.
630. ამან ქრისტებრი არუნა სიყუარული,  
მეგობართათუს ანუ სამეფოასათუს  
სულის დადება ორგზის უცილობელად.  
ჯორცთა დამტევი სული მიჰგუარა ქრისტეს.  
ჯსენება მისი იყავნ უკუნისადმდე!
631. მეფეო, ჩემნი მიიღენ სტიხ-შაირნი,  
დაღათუ არა შესაფერ-შესაბამნი,  
მაგრა ოდესმე მოწლებითად მამობრივ  
გიყუარდეს ჩემნი. აწცა მებრვე მსგაესადვე  
ეპიტაფიებრ მიირთუ, კეთილ-სახეო.

თჰს ირაკლი II, კისა თეიმურაზისა,  
დავითიან-ბაგრატიონისა, რომლისა წილნი  
განამრავლენ კეთილ-შემთხუზვასა შინა, უშალოჲ

632. იზლაპარ-ქება ელინთ აღმოჩენანი,  
რომელ ღამეთა ატიკურათვს სთხზვიდეს  
ანუ სამუსთა ორფეოსის კმათავს,  
კრატისტოსისთა ნიეთათვსცა და სხუათა  
ლექს-მკობილებით განვრცომილთა რიტორებრ.
633. ირაკლის მიმართ თქმანი განსაერცომელნი  
მოლებად უქამს. არს გარდა მარტივთა-რე,  
ესრეთ პოენილთა მათცა ურჩეულესთა,  
ფენა დართულთა მათცა უსუფთავესთა  
ესგუარ შთასწერდა მცირეთა შინა დიდთა.
634. სოლომონთნი სირათა შთამოთხზვანი,  
აქა დავითის მესამისადმდე თხზულნი,  
ქმნილნი მიერით ბრწყინვალე გიორგიდმდე,  
ალამკო რთვამან ირაკლი მეორისმან,  
რომელსა შინა ესჭურეტთ დიდთა საქმეთა მათთა.
635. თუალი ურულო — შინამპლაერთა ზედ-მჭურეტი,  
უფრომად მსწრაფი ქრისტეს მიმართთა სრბათა,  
ელეეთერ-ქმნილი სხუა და სხუა კეთილებთა,  
ლომებრ წინ მეწყვ მტერთა ქრისტე-მესისთა,  
ორგზის მახლი წიგნთა საბეჭდავისა.
636. ლაკონიკებრთა ქსვათა შენაწრებთა  
ერიდებ დაღათუ აქა დალექსვა-ყოფად,  
ვითარმედ: მსურს მე ქებისა ძლითთა თქმათა  
განფეროვნება აზიატიკებრ ქსვითა,  
მაგრა ზევლების ნიეთი წინამდებარე.

4 632—635-ე სტროფების კიდურწერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს: „ირაკ-  
ლი მეფე საქართულოსა“. ეს „აქროსტიხურნი დასდებელნი“ პირველად დაიბეჭდა  
1764 წელს „კურთხევეანში“ (გვ. 1), რომელიც ერეკლე მეორის ბრძანებით გამოქვე-  
ყნდა თბილისში.

637. ორობა სკიპტრათ შეერთებულებს აქა,  
რომლით კანკლედნი მართებითად ღრამობენ,  
გულარძნილი ნიეთნი წრფელ-ეპიფანიობენ,  
დაქსნილებანი იდევენებიან შრომით  
და გან-რე-მზომობს განსჯა პირ-მოთნებისა.
638. იმეორებს საბეჭდავიცა, ტუფრეა;  
სხუა და სხუაობენ კეთილობათა გუარნი,  
ირაკლის მიერ მეორისა ნამოქმნი,  
ვინ დავითისით ძირით მოგუეცა მშუდი,  
ბრძენი განბრძნობად, დაქსნილების მკურნალი.
639. „მოვედ ევროპით, ანტონი, აზიადვე,  
შეერთე წევრსა, ბუნებით შენაერთსა,  
ეთუსე თუსსა მითვე შენათუსებსა,  
ეახლე მონებრ ძმასა, გარნა მეფესა,  
მიმრთმელი ამათ ხუთ-მუხლედთ დასდებელთა!“
640. ირაკლის ქება — ჩემდა პირველი შეება,  
ჭირთა დავსება, ჭმუნვის კუამლთა განქრება,  
ლხინის აღვსება, ბნეულთ ამოთ აღკრება,  
წუხილთ გარება, გონების სრულ ხარება,  
თუ ენა შურება, განალა ურეა სცხრება!
641. მენება შენი ესენება დიდ-სახენი,  
კალამს ვახენი, სათქმელ ამოა ხენი,  
განსჯით ენახენი ვახტანგ დიდის სახენი,  
ესჭურიტენ საქმენი, გონების განმათენი,  
ჭირთ დასაყენი, ქების სიტყუათ სადენი.
642. ძმობა და კუალად მეგობრობა შევადგი  
შენი, მეფეო, და ჩემი, შენის მონის,  
ძმობა უზევე, რამეთუ ეს ბუნების  
არს მონაცემი, ამით უპატიოსნეს,  
მაგრა მეორე ღმრთისაგან ნიჭად ვრაცხე.

\* \* \*

643. განზომილებთა სიტყუათა შენაწყობთა  
ვქქმენ შემოკრება გამოცდის მექმმან, რათა

არა დაჰვიწყდენ ღირსნი ქსენებისანი  
დიდნი მეფენი. ამისთვის მოცალება  
ამათთვის ვჰპოვე, სხუათადმი — შაბათობით.

644. მეფენი ქებად არ-მტერობით ვიდუმენ,  
რომელნი არა ვაქსენენ განცხადებით:  
პირველნი, რომელ არა განვრცეს წერილი,  
მეორეთათვის დუმილი მჯობად ვჰგონე;  
ამისთვის ნუ ვინ თან-მიგუაწერს ბრალობას.

## ნაწილი მეხუთე

### თქს ქართველთა სიბრძნის-მოყუარეთა კაცთა მწიგნობართა

645. რაბამ სატრფო არს ესენება კაცთა ბრძენთა,  
რომელნი სიბრძნეს ექუემდებარნეს წრფელად,  
რამეთუ სიბრძნე გონებისა და ზრახვის  
მეცნიერების თანა შეერთებულეს!  
ამისთვის ვინცა იძიეს, ჰპოვეს მადლი!

#### თ ა ე ი I

#### თქს მაჰისა იოანე კათოლიკოსისა, ოქროპირ ზედწოდებულისა

646. არა უკამს არს ესენება აქა მწყემსთა,  
ვინამთგან მოძღუართ ესენება მნებაეს სტიხით:  
იოანე ვთქუა მამათ-მთავარი პირველ,  
ვინ ოქროპირი ინართაულ-სახელა,  
მოძღუარი მწყემსი, მოციქულთ-მებრი კაცი.
647. იოანესა ოქრო-მოსახელესა,  
ოქრო-ეყვანსა, ოქრო-ნაკად-მომრწყველსა,  
ოქრო-სიტყუასა, ოქრო-მადინებელსა,  
ოქრო-მეტალსა, ოქრო-ქვა-ბრწყინვალესა,  
ვინ მოძღურებითა ემსგავსა მოციქულთა.

---

<sup>1</sup> ეს სტროფი ხელნაწერებსა და გამოცემებში მოთავსებულია პირველი თავის ქვესათურის შემდეგ.

648. პოი ოქროო, ერთ-სახელო დიდისა  
იოანესო, ოქრო-წყაროო პირო,  
ოქრო-საყურო, სულთა განმალუქებო,  
ოქრო-წინწილო, ტკბილ-საძნობელო სულის,  
მწყემსო საღმრთოო, მეც ტკბილი ოხა შენი!

თჳს მაჲისა არსენი კათოლიკოსისა

649. არსენი ტკბილსა აღინებს ნაკადულსა,  
არსენი ოხრის ეკლესიისა შორის,  
არსენი გალობს, ღმრთის-მეტყუელებს, რიტორებს,  
არსენი ჟღერავს გონებისა განსაცხროდ.  
ჴეშმარიტ ტკბილ არს პირსა ჴსენება მისი.

650. პოი მამაო, მამრისა ერთ-სახელო,  
მამრებრ-წულებრივ, ჴაბუკებრ მცნეო-ქუელო,  
მოციქულებრით მაღლით კაცო მდიდარო,  
ნების აღძრვათა განმალუქო რიტორო,  
საგულ-ქმო ძალთა, ბრძენო მომნადირებო,

651. განვრცომა შენი შუენიერ თქმათა შინა<sup>2</sup>,  
ხოლო კელყოფა ყოვლად სასურველ ჩემდა!  
შენთა ფრასთაგან დამეთრობის გონება;  
შენ გალობითა შეამკევე ეკლესია,  
მეცა გიგალობ, არსენი, ძალისაებრ.

თჳს მაჲისა ნიკოლაოს კათოლიკოსისა

652. ნიკოლაოსის საღმრთო მოქალაქობა —  
ანგელოსებრი სიწმიდე, მრთელ-ცნობობა,  
მარხვა-სიმაკრე, კრძალულება მაღალი,  
სიბრძნის ტრფიალი, მუდამ წურთა სიკუდილისა  
ვიციით „მეფეთა ისტორიათა“ შინა<sup>4</sup>.

<sup>2</sup> შტრ.: „(ცხოვრება იოანე ზედაზნელისა) განაახლა და განავრცო შმიდამან მამან ჩუენმან ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზმან არსენი“ (ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, 1955, გვ. 2—3).

<sup>3</sup> ეს იამბიკო (652—653 სტროფები) B-ს არ მოეპოვება.

<sup>4</sup> ივულისხმება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქ. ცხ., II, გვ. 115—150). ანტონი სარგებლობს „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციით.



653. იერუსალიმდ ბრძენ საღმრთო ნიკოლაოს მისრულმან თავი წმიდა ჰყო უცხოებით, მწყემსობა მისცა ქრისტესა მებრი ჰაელეს, მეფეთ განგებით მწყესა კუალად ეკლესია, ემთავრა კრებას, მრუდნი აწრფელნა. საღმრთოდ<sup>5</sup>.

თჳს მაჳისა იოანე კათოლიკოსისა<sup>6</sup>

654. სხუა იოანე ბრძენი, ქრისტეს მოწაფე, მმარხუელის შიოს ლოცვით შობილი ვინმე, ახალ სამოელ, ბერწის ძე, იოანე. წინამორბედის ვითამე ერთ-სახელი, ეაკსენოთ ღირსი ქსენებისა შესაბამ.
655. შენ, იოანე უდაბნოს მოყუარემან, სხუამ ბერწის წულმან, სხუამან მადლით ილია, უდაბნოებრნი ღუაწლნი იკმიენ ბრძმედად; გამოიკურვე, რომლით აწულილენ კორცნი, გონება ამზე, იტუფრე ერთ-კეთილი.
656. მწყემსობა ღირსად მიილე ღმრთიე, მამაო, არა გკდემოდა მძლავრთა უღმრთოთა ყოლა, სხუასა ვასილის, სხუსაგან ეპარხოზის მიიმადლე შენ ყოელ-კეთილობა, ბრძენო, რომლით გურგენი მიილე მოციქულთა.

თჳს მაჳისა არენანი კათოლიკოსისა ბულმაისის კისა

657. ბულმაისის ძე არსენი მწყემსთ-მთავარი, ბრძენ ღმრთის-მეტყუელი, წმიდა ფილოსოფოსი; მაღალ მჭევრ-მეთქე, საღმრთო პიიტიკოსი, ლამაზ მუსიკი, მეშაირ შუენიერი, ღირს არს ქსენებად სხუათა მამათა თანა.

<sup>5</sup> სხენებული საეკლესიო კრება გაიმართა 1184 წელს. თამარ მეფემ მის წინამძღვრად „აღმთუწოდა წმიდით ქალაქით იერუსალემით ნიკოლაოზ გულაბერსძესა, რომელსა სიმდაბლსა ძლითა ეგმნა ქართლისა კათალიკოსობსაგან“ (ქ. ცხ., II, გვ. 117—118).

<sup>6</sup> იხ. აქვე, გვ. 23—24.

658. შენ მეტაფრასნი, მამაო, აშაირენ  
 ოთხ თთუეთა შინა<sup>7</sup>; ჰგალობ რაჲ შუენიერად,  
 პეტრიწის სტიხთა აუკეთესენ, ბრძენო.  
 საწად არს ჩემდა შენთა ფრასისთა სმენა.  
 გაქებ თან-მსაყდრე, მძნობი ქების სურვილით.
659. არსენი, სურვილს ვარდანის, აბუსერის  
 სრულ-მყოფი, ჰგალობს ქრისტეს ხატისა მიმართ,  
 ნივთისად კეცის, ვერ-სათქმოდ დაბეჭდულის,  
 მალალ-ფრას-რიტორ სძნობს ღმრთის-მეტყუელურად-რე,  
 მგზავნი გელათით აბუსერ მთავრისადმი<sup>8</sup>.

თჳს მამისა ნიკოლას კათოლიკოსისა

660. ნიკოლასსა მამათ-მთავარსა დიდსა,  
 ბრძენ ისტორიკოსს, ქართველთა მნათსა მშუდსა,  
 გალობა-სტიხთა კეთილ-საქებ განმზიდსა,  
 სოფლისაგანთა შუებათა განმაკიდსა;  
 შაირსა ვუძღუნი არ-შესატყვის-ნამზიდსა.
661. ტკიბლ არს ვსენება ამისი ჩემდა, მსმენნო,  
 ვითა მამისა. ვინადთგან არა ღირსად  
 საყდრის პყრობაი მისი მივიმადლე მე,  
 ხოლო სიკეთე მისი ნაუწყ არს ჩემდა,  
 ამისთჳს ცხრომით, შუებით ვჰგალობ მისდამი.

თჳს მამისა ნიკოლას კათოლიკოსისა,  
 მუჳის ლეონის კისა, ბაბრატომანისა

662. ქება მოგვთხრეს განვრცომით წინაპართა  
 და თანმედროთა მაცხოვართა მართალი.  
 ნიკოლასის — ლეონ მეფისა ძისა;  
 სიწმიდეს, კმასა სიბრძნესა გუაუწყებენ,  
 ძნელთა ადვილად აღჯსნასა ამტკიცებენ.

<sup>7</sup> არსენმა გალექსა „სათვეო სვინაქსარის“ ოთხი თვის (თებერელის, მარტის, აპრილისა და მაისის) მოსახსენებლები (იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, 1968, გვ. 123—127).

<sup>8</sup> B-ს არ მოეპოვება ეს სტროფი. კომენტარი იხ. აქვე, გვ. 100—101.

663. შენ გვრგუნისა მეფობითისა ნაცვალ  
და მწყემსობითთა შრომათა წილ ჯილდო  
მიიღენ, ბრძენო, ღმერთთ-მთაურისაგან მწყემსის,  
ყოვლად საწადო, ყოველსა შინა დიდო,  
თან-წესებულო აწ ანგელოსთა თანა.

თჳს მაჲისა ბესარიონ კათოლიკოსისა,  
ორბელიანისა

664. ბესარიონმან — კაცმან მალალ-გონებამ,  
მონაზონებრთა შრომათაგან ნეტარმან,  
ჰმწყსა ეკლესია ქრისტესი წესიერად;  
სიტყუთ მგელთაგან სიტყუთა ჰმწყსიდა სამწყსოს,  
ლათინთ მეხ-ექმნა მზე სამწყსოჲსა თჳსისა.

665. ქადაგებანი შენნი, ნეტარ მამაო,  
წრფელნი ნაუბნი, გარნა მსგავსებნი პავლეს,  
ქართუელთ წმიდათა „მოთხრობა-ისტორია“<sup>9</sup>  
მაჯსოვან, რომელ საწად იყენეს მსმენელთა.  
თან-წესებულ ხარ გუნდთა მოციქულთასა.

666. ბესარიონის ქმნილი „კანონი კუართის“<sup>10</sup>  
არს სულით თქმული ღმრთის-მეტყუელ-რიტორებრი,  
ტიპიკონთ პოვნა, მკობა დღესასწაულთა<sup>11</sup>,  
ლათინთა მიმართ „გურდემლი“ განუჭედელი  
დამკობად მათდა საქებელ არს ბრძენთაგან<sup>12</sup>.

თჳს მაჲისა დომენტი კათოლიკოსისა,  
მეფის ძისა, დავითიან-ბაზრატიოჲანისა

667. ეჲა, სიმართლე თან-მოსახელე ქრისტეს,  
უმანკობა-სიმშუდე — მსგავსი ქრისტეს,  
ურისხუელობა, სიწრფობა, სიწმიდე,

<sup>9</sup> ჩვენამდე მოღწეულია ბესარიონის ავტოგრაფული კრებული S 3269 (მს მთერ გადაწერილია 227r—261v და 267r—275v ფურცლები), რომელიც შეიცავს ქართულ წმიდათა საკთხაეებს.

<sup>10</sup> იხ. „კანონი საჯალობელი ცხოველმყოფელისა“ კუართისა“ (A 387, ფ. 114v).

<sup>11</sup> იხ. ხელნაწერი A 59.

<sup>12</sup> იხ. ხელნაწერი A 119.

ლოცვა მაღალი — შემაერთი ქრისტესი  
დომენტის შორის მეტ-ზედ-შესმენილებენ.

668. დომენტი მტერთად საყუარელ იყო ყოვლად,  
წრფელი, უმანკო, ბრძენ, სული უბოროტო,  
კაცი მდიდარი ყოვლით-რე სათნობით,  
შუენიერ-ქმნილი შინაგნით და გარეგნით  
მიმადლებული, დაეითის ძობის ღირსი.

## თ ა ვ ი II

### თჳს მაჰისა არსენი ნინოფიქვილიისა

669. არსენი დიდსა, მთიებსა ქართველთასა,  
ეპისკოპოსსა, სიბრძნისა მოყუარესა,  
ორღანო-ქმნილსა სულისა ღმერთთ-მთავრისას,  
თარგმანს წერილთას, მწყემსსა მოციქულებრსა —  
ვაქებ სურვილით, ვუძნობ წადიერებით.
670. არსენი დიდი — ანგელოსებრი კაცი,  
სულთა ცად მყვანი, სწავლით მომრწყუელი სოფლის,  
ღრმათ გამომეტყვ, ძნელთა ადვილ აღმქსნელი,  
მმარხუელობისა უცთომელი კანონი.  
ღირსი ქებისა ჯეროვნად იქებოდენ!

### თჳს მაჰისა იოანე ბოლნეაღისა

671. იოანესა — ბრძენსა ფილოსოფოსსა,  
კაცსა მდიდარსა, აღძრკვილს ღმრთის-მეტყუელებით,  
სიტყუს-მოქმედსა და სწავლათა განმფენსა,  
მონაზონებრთა ქცევათა შინა დიდსა,  
ეშესაბამვის ქება მწყემსებრივები.
672. ამისნი ფრასნი ჯეროვან არს საწადელ:  
მოდღურება — საღმრთო, კეთილ-განსჯა — არ-მოკლე,  
აღმოჩინება — არ უბრძნო, უფროჲს დიდი,  
საქმენი — მაღალ, მიცვალება — საწადელ.  
ამისღა ღირს არს შესხმა-მირთმად გალობა.

673. ანტონი დიდი — ჭყონდიდის იერარხი, გარესჯვისათა უდაბნოთა მთიები, ივერიისა ყოვლისა განმანათლი, მეფეთა მიერ პოვნილი სარწმუნოდ-რე, ბრძენი, მანათლი უმეტრებისა ღამეთ.
674. ანტონი დიდმან მწყესა ეკლესია კეთილ, მმარხუელობისა უბრყვლომან სარკემან, ელვარემ ბროლმან, წმიდისა მოძღურებისა კრებასა შინა მკუეთრ-აღმომაჩინებმან სიმართლისამან, მეხმან ურჩთა ღმრთისათა.

თხს მაჰისა იაკობ აირეველისა შამოჰმადელისა,  
გურიულისა, არა-განღათინეაზულისა

675. იაკობ — კაცი სიბრძნის-მოყუარე ფრიად, კეთილ-გამომეტქმელ, მეშაირე შუენიერ<sup>14</sup>, მაღალ-გონება, საუნჯე მრავალთ ცნობათ, ღმრთივ-მომგე მაღლთა, კეთილ-მკმეველი მათი, ყოვლად საქებელ მაშინდელ-აწინდელთად.
676. იაკობ ღირს არს ვსენებისა, ვითარმედ: შურებოდა ესე სიბრძნის-მოყუარებისად, ღრმად გამოსტქმიდა, ძნელთა აღვსნიდა ადვილ; კეთილ-სულებდა მწყემსი მოციქულებრი, იერუსალიმს დაჰვდა, დაშრიტნა სხივნი.

თხს მაჰისა იოსებ ტფილელისა,  
სააკამს მისა

677. იოსებ თუმცა დაშურა ამოთათუს<sup>15</sup>,  
ვითარმედ ესე არა თანა-ედვა მას,

<sup>13</sup> B-ს ეს იამბიკო (673—674 სტროფები) არ მოეპოვება.

<sup>14</sup> იაკობ შემოქმედელმა გალექსა ბაგრატ მუხრან-ბატონის ანტიპაპადიანური შინაარსის პოლემიკური თხზულება — „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთა“. გალექსილ რედაქციას აქვს ასეთი სათაური: „უსჯულოს მუჰამედის და ქრისტიანეთ გაბაასება, ლექსად ნათქუამი შემოქმედელის იაკობისგან ბრძანებითა მეფის გიორგისაჲთა, ძისა მეფისა შამნაოზისაჲთა“. იხ. ლექსიკონში „იაკობ“.

<sup>15</sup> ანტონს არ მოსწონს იოსებ ტფილელის ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვის მას

მაგრა გონება მისი ქუემდებარებდა  
თავისუფალთა ცნობათა, რომლითაცა  
სთქმიდა შუენიერ საქებელ შეწყობითა.

678. იოსებ კმაღლა გამოცდილ იყო სრულად  
პიტიკოსთა კელოვნებათა მიმართ,  
საყუარულ იყო მეფეთა მაშინდელთა,  
საყუარულ იყო ერთაცა ყოველთაგან;  
აქებდეს მისსა სიბრძნის-მოყუარებასა.

თჳს მამისა ნიკოლარს რუსთაველისა,  
ჩარაქვისა

679. ნიკოლარისს მესმნეს ქადაგებანი  
სახლსა რად ჩემსა დროსა სიჭაბუკისას,  
განაკურვებდა მაღალ-უბნობა მსმენთა;  
აქებდეს, ჰრაცხდეს მის დროისა შინათა  
ყოველთა თქმულთა უმაღლეს-უმჯობესად.
680. უბრძნეს შეაწყყ სისტემა მოკიდულთა  
სიტყუათა, ბრძენო; შუენიერ, უხუ და მაღალ  
სატრფოდ აღმიჩნდის შენნი ნაუბნი ტკბილნი;  
აკოლოთიას გიქებ, რაიცა ჰქმენი;  
მზე დაჰქედ, წარხვედ წმიდათა გუნდთა თანა.

თჳს მამისა ნიკოლარს მროველისა,  
ორბელიანისა

681. შენნი ტაეპნი ურთიერთარს კიდულნი  
ძურფას არიან, ჩემდა ყოველად სიმდიდრე<sup>16</sup>;  
შენნი შაირნი საკურველ-შენაწყობნი  
საწად არიან, ჩემდა ფრიად სასურველ,  
ჰომ ნიკოლარს, შუენიერ მოუბნარო!

---

საერო-მხატვრული და საისტორიო მწერლობის განვითარებაში: მან გადაწერა ველ  
ხისტყოსანი, შეთხზა მისი ვაგრძელება, აგრეთვე პოემა „დიდმოუარეანი“. ეს მისი  
საქმე არ იყო, — დასძენს ანტონი.

<sup>16</sup> ამ შემთხვევაში ანტონი გულისხმობს აკროსტიქულ იამბიკობს, რომლებიც  
უხვად შეუთხზავს ნიკოლოზ ორბელიანს.

682. თუმცა ცოტა სთქუ, არა ავრცენ წერილნი,  
ჩუენათუს წმიდათ მარტულთა და მამათა  
საქებნ სიტყუანი, მაგრამ სხუათა უკეთეს;  
ფრიად განმერცომთა სიტყუათასა უხუებით  
შენნი, ლამაზობს თქმულნი ყოველთა მიმართ.

### თჳს მამისა იოანე მანგლელისა

683. იოანეს — მმარხუელთა დიდსა მზესა,  
სხუასა ილიას, უდაბნოთ აღმომზესა,  
ქებით სათქმელსა, გალობით აღსაზესა,  
მადლით საესესა, ბოროტთა განმაძესა —  
უაქებ სურვილით გონების განმადლესა.
684. შენნი შრომანი — მმარხუელთა ხატ და სარკე,  
მწყემსთად — მაგალით ქრისტეს მოწაფებრ ყოვლად;  
შენ სწან მცხინვარედ სხუა და სხუათა ნათლითა  
განმანათლები ჩუენდა, ჰოდ საკურველო.  
ანტონის მაგე ოხა, ჰოდ იოანე!

### თ ა ე ი III

### თჳს მამისა ილარიონ კახისა

685. ილარიონ არს თარგმანთა შორის პირველ,  
რაიცალა ესცანთ მომთხრობელთაგან ჩუენთა  
სახელნი ღირსთა მამათა თარგმანთანი;  
ვინცა განცხადნეს უწყებითა აქამდე,  
პირველ ამისა არავინ სადა ისმა.
686. იხარებს სული მსმენთა შენდა, მამაო;  
იშუებს გონება, გარე-მიაქცევს ჭმუნვათ.  
შენ მზე აღმოჰქედ აზიადთ განათლებად  
განჰფინენ სხივნი ევროპის კიდურებად,  
ახალს და ძუელს რომს ახარე შენდა მომართ.
687. დაღათუ ესე ფინიკიას მძოვრებდა,  
იორდანისა უდაბნოთა მყოვრებდა,

მკეცთა ახლვიდა, შორად კაცთა შოვრებდა,  
განემელ-გუალულთა ქუეყანათა ცხოვრებდა,  
მაგრა მნათობი სოფლის კიდელ მთოვრებდა.

688. სიბრძნის-მოყუარე, ყოვლად ბრძენ ილარიონ  
გარესჯას შთასჭრის მღუმეს საცხოვრებელად,  
წმიდას ქალაქსა მისრული იორდანელ  
მკეცთა საყოფელს თუსად-რე განიკუთნავს,  
თესალონიკით ზენად აღისუფეებს.

თჳს მაჳისა იოანე ათონელინა,  
მაჳისა ევთიჳისა

689. იოანესა — სულისა ორღანოსა,  
ფილოსოფოსსა საღმრთოსა, ღმრთის-მეტყუელსა,  
ლამაზ-მუსიკსა, შუენიერსა რიტორსა,  
კეთილ-შემწყობსა, ღირსად საკსენებელსა  
ეკლესიაი ქართველთა აქებს შესხმით<sup>17</sup>.

690. საგალობელ არს იოანე ბრძენთაგან,  
რამეთუ სიბრძნე შეიყუარა მარადის,  
ნიადაგ სტრფიდა, არ მოსწყენოდა მისდა,  
მისდა იშუებდა, მისდა სთქმიდა შუენიერ;  
სხუაფერ სცალოდა, მისდა უცალო იყო.

691. წიგნი ამრავლნა, ამცირა უმეტრება;  
სიბრძნე განჰფინა, ნათესავნი მდიდარ ჰყვნა;  
ტკბილ-მუსიკობდა, ქრისტესად ჟღერდა კშირად,  
მზეობდა ჩუენდა; განგუანათლნა ცნობითა.  
ათონს მზე დაჰკდა, მივიდა მზისა ღმრთისად.

თჳს მაჳისა თორნიკიოს ათონელინა

692. თორნიკ სიმენისა შარავანდედნი სოფლად  
განფინნა, მდიდრად, კმა განისმა ყოველგან;

<sup>17</sup> ეზრა მთაწმიდელმა შეთხზა XI საუკუნის მეორე ნახევარში „შესხმა იოანე ქართველისა, რომელმან აღაშენა მთაწმიდას დიდი ლავრა ქართველთა“ (ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადა ი. ლოლაშვილმა, 1978, გვ. 498—506).



იმპერიის ბერძენთა დიდებული  
იმპერატორით თავისუფალ ჰყო ბრძენმან,  
ხოლო სახელი მიიღო არა-მცირე<sup>18</sup>.

693. მონაზონება სიბრძნით შეამკო თორნიკ —  
წრფელ-მშუდმან სულმან, სიწმიდის მოყუარემან,  
სიყუარულისა ნაყოფნი განამრავლნა;  
მორჩილი მარად ჰხარობდა ქრისტეს მიმართ;  
სამყაროს აღჰჰდა, მისრული ზესთ სამეფოდ.

#### თნს მაჰისა მეთიმი ათონელისა

694. ოქრო-ტაკუკი, ოქრო-სასმელის მყრობი,  
ოქრო-ნაზავის მასმევი ჩუენდა მდიდრად,  
ოქრო-ქანდაკი, ოქრომსა ხუაეთა კალო,  
ოქრო-ფიწალი, განმქრევი ბზეთა კმელთა,  
თან-მოსახელე კეთილ-სისარულისა!
695. წყარო არს ღაწუნი ევთიმიისნი, მსმენელნო,  
ცეცხლისა ცუართა, აღისა შხეფთა წუმათ,  
ვინამთგან ცეცხლი მწველი — მანათი ნიეთთა;  
ამისი სიტყუა ნათლოის, სწუაესცა კუალად,  
ბრძმედავს სულებთა დიდებად, უკუდავ-უნჯად.
696. განბრწყინდა მთასა, წუერსა ათონისასა,  
მლუდელ-მმოქმედები ევთიმი ექუსს აგუსტოს,  
ენა ახალი სთქუა თუნიერ სწაელისა,  
იუდიანი უტყუ-ჰყო, მგმობი ბოროტი;  
წიგნი გვმრავლნა, ანგელოსთ თან-შეერთა.
697. ათანასისგან ათონელისა ესე,  
წინამძღურად მამად დადგინებული ძმათა  
ათონისათა, კმწყსიდა ქრისტეს არეესა,  
ღმრთის-მეტყუელებდა, სწერდა ეპისტოლეთა<sup>19</sup>  
სხუა ოქროპირი ჩუენდა ანუ სხუა პავლე.

<sup>18</sup> შტრა.: ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 45—48.

<sup>19</sup> იგულისხმება ევთიმე ათონელის ეპისტოლე იმ წიგნთა შესახებ, რომელთაც „ეკლესია არა შეიწყნარებს“ (ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, III, 1970, გვ. 5—18).

თქს მაჰისა იოანე ბრაჰლის კისა

698. გრძელის ძე ვინმე იოანე საქები —  
წიგნთა თარგმანი, წმიდა ღრამატიკოსი,  
კაცი რიტორი, ეუთიმის თანასწორი,  
ღმრთის-მმეტყუელები, საღმრთოდ ფილოსოფოსი,  
უღაბნოს მნათი, მზე ქართველთა გუარისა.
699. გუთხრობენ ამას სიბრძნისა ქუემდებარედ,  
კეთილ-რიტორად, შუენიერ-გამომთქმელად,  
კაცად ბრძენ-საღმრთოდ, მეფეთ-ერთა დიდებად,  
წინამძღურად სულთა, ცად მყვანად, კეთილ-მძღუნად,  
მმარხუელობისა ხატ-მაგალით-იგავად.

თქს მაჰისა იოანე ხახუღელისა, ოქროპირისა

700. ოქროპირ სახელ, ოქრო-ქმა იოანე —  
ხახულს აღმომზე, ქართველთ-აფხაზთ განმამზე,  
სიბრძნის-მოყუარე, ფრას-შუენიერ საქები,  
ოქრომსა სხივთა ოქროვნად გამომტევი,  
ღმრთის-მეტყუელ საღმრთო იქების ესე მარად.
701. ჰოი იოანე — თუალო ოქრო-მადენო,  
მესხთა მომრწყუელო, ქართველთა განმამდიდრო,  
იმერთ დიდებაჲ, გურიულთა გურგუნო,  
მეგრელთ საუნჯეჲ, კახთ მადლისა მომფენო,  
სვანთა, კავკასთა, აფხაზთა ნათლით მესებო!

თქს მაჰისა ზაქარია მირღატის კისა

702. ზაქარია, ძე მირღატ ჩინებულისა —  
კაცი მაღალი, სიბრძნის-მოყუარ-რიტორი,  
აღძრცულ ღმრთის-მეტყუელ, ზესთ-გამომთქმი საკრველ,  
წიგნთ მეთარგმანე, ბერძენთა შორის — დიდი,  
ქართველთა შორის — მზედ სათქმელ, ღირს-სამართალ.
703. ამას ჰშუენოდა თქმულთაგან თუსთა ქება,  
ვინამთგან რიტორ ქებულ არს ყოველთაგან

და საქებელ არს სიტყუსა მოქმედთადმი.  
მაშასადამე, თუსთა თქმულთაგან ჰქამდა  
ამისი შესხმა და არა უცებთაგან.

თჳს მამისა ბრიგორისა) ახალ აბრაჰამ  
ზედწოდებულისა

704. ახალ აბრაჰამს – მორწმუნეს ღმრთისად მარად,  
ყოველთა თუსთა და სოფლისა ნივთებთა,  
დამაყენებთა უფლისა ღმრთისად მისლვად,  
დამტევებელსა – გრიგორის საკურველსა  
ვაქებდეთ ღირსად ძალისაებრ მეთქუენი.
705. ცხოვრება წმიდა მოიგო ამან სიყრმით,  
გონება ამზო, იღმრთის-მეტყუელ-სახელა,  
იანგელოსა, ისიბრძნის-მოყურა კმად-ლა;  
ქართლი თუსთაგან სწაულათა მისცა ღმერთსა;  
ზე აღჰქდა სულით, მიჰრთო მიწა მიწასა.

თ ა ვ ი IV

თჳს მამისა ილარიონ თუალელისა, რომელი  
იყო მოძღუარი ბიორგი აონენელისა

706. ილარიონცა თუალელი – ბრძენი საღმრთო,  
კაცი მდიდარი არ-ზრწნადთა მიერ ნივთთა,  
სათნობისა სარკე, უბრყვილო ბროლი,  
მმარხუელობისა კანონი უცთომელი,  
სიბრძნის მოყურე, ბრძნად მეტყუ საიდუმლოთ.
707. ამან გიორგი – მოძღუარი საზოგადო  
ნათესავისა ქართველთა ყოველთაჲსა –  
სიბრძნისა სწაულად, ხოლო მმარხუელობისა  
თან მიინერგა ვერძმან საღმრთომან კრავი  
და გამოცდილ ჰყო მრჩობლ-ფილოსოფოსობით.

თჳს შაშისა გიორგი ათონელისა,  
დიდისა მოქალაქისა

708. მუშაკობანი შენნი, ბრძენო მამაო,  
ითნო მაღალმან ზესთ-ღმერთთ მეწალკოტემან.  
მცნებათა იყო ქრისტესთა დაცვა მარად  
და ქადაგება სახარებათა მისთა,  
სიტყუთ და საქმით ნიადაგ მოცლა მისდა.
709. იასკ-ლაპ-ლაპებ, ძურფასობ მრჩობლთა შინა  
ფილოსოფიათ, გიორგი ბრძენ-საღმრთოო,  
ესე იგი არს — ხედვითთა და საქმითთა,  
და საჴფირონებ მგლოვარებისა მიერ,  
ადამატინებ სიმცნით-რე უქცაველად.
710. სადაჴ არს შენნი წერილნი, საკრველო,  
მპყრობნი თჳს შორის ძვირფასთა მარგარიტთა,  
რომელნიცა ჰქმნნა ელვამან სულისამან,  
რაჴამს ცუარებნი მადლთა შთაყარნა შორის  
ჩუენდა სიმღიდრედ, ჩუენდა მადლ-უხრწნელ-უნჯად.
711. ღმრთის-მმეტყუელები დოღმატებ, მართალ და წრფელ,  
სიბრძნის-მოყუარებ, პიიტეიკოს-რიტორებ,  
ყოვლად უხრწნელის დედოფლისადმი ჰგალობ,  
წიგნთა გემრავლებ, გემკობ ეკლესიათა  
შენდა საქებრად. ამისთჳს იმსთობს სული.
712. ობოლთ მზრდელ იქმენ დროსა სიყმილისასა,  
ორთაგან მზრდელი, წარმკდელი სიყმილისა  
ნიეთიერისა და უნიეთოჴსა, ბრძენო;  
საკრველ ნიშებდ წყარო სასწაულებთა,  
ჰმწყსიდ ქრისტეს არეეს, მგელთაგან სცევედ გონიერ.

თჳს შაშისა არსენისა

713. არსენი — წიგნთა თარგმანი, ღმრთის-მეტყუელი,  
კაცი რიტორი, სიბრძნის-მოყუარე დიდი,  
მამათა დიდთა ყოვლად თანა სარაცხი,  
ქრისტეს მცნებათა დამცველი უქცაველად —  
ესეც იქების და ქებულ არს ბრძენთაგან.

714. ფრასი არსენის საქებელ არს ყოველგან;  
ბრძენთა შორის იქებოდაცა ესე,  
ამად ვითარმედ მუნ გაბრწყინდა ცნობითა,  
ხოლო ქართველთა შეამკო ეკლესია;  
ვორცნი მიწას ჰრთნა, ღმრთის შორის განისუენა...

თჳს მამისა ანტონი მნათისა

715. ანტონი მნათი — ქართველთა დიდებული,  
სიტყუთ და საქმით ბრძენი ყოველთა შორის,  
ხედვით და საქმით დიდი სიბრძნის-მოყუარე,  
წიგნთა თარგმანი, ბრძენ საღმრთო, ღმრთის-მეტყუელი,  
რიტორ უხუ, სიტყუა-შუენიერ, მჭევრ-მოუბნარ.

716. მოქალაქობა ჩემის თან-სახელისა  
ქებულ არს ფრიად მომთხრობელთაგან ბრძენთა;  
ქრისტეს შედგომა, ქრისტესდა მოქმედება,  
მისთა მცნებათა ნიადაგ დამცველობით  
აწ წესებულებს წმიდათა თანა მკედრად.

თჳს მამისა ვასილი ბაგრატიის ძისა

717. ვასილი — წარმო მეშუთაგან ჩინებულთა,  
ძე ბაგრატიისი, ვჰგონებ, რეცა მეფისა,  
ღმრთის-მმეტყუელები, ფილოსოფოს-რიტორი,  
თარგმანი წიგნთა, დიდ-დიდება ქართველთა,  
ფრას-შუენიერი, განმერცომ ფრიად ქებული.

718. მოქალაქობა ვასილისი — საქებელ,  
სახარებისა სჯულთა დაცვა — უქცეველ;  
ქრისტესდა მუდამ ვმევა სიბრძნეთა თუსთა;  
ეკლესიისა სამკაულ-ყოფა ამით  
ქებულ არს. აწცა იქების წიგნთა შინა.

თჳს მამისა ბიორბისა

719. გიორგი კუალად — სარაცხი ბრძენთა შორის,  
ქება ქართველთა, სოფლის მნათობი დიდი,

ღრამატიკოსი, რიტორ-ფილოსოფოსი,  
წიგნთა მამრაველი, ქართველთა განმამდიდრი,  
საღმრთო მეტყუელი, უხუ-მართალ-გამომთქმელი.

720. მონაზონების ნაწილნი ნაზაუბენი,  
მორჩილებითა წმასნილნი ურთიერთარს,  
სიყუარულისა სიზრქესა შინა საესედ  
მოიგნა ამან, განმდიდრდა მით საკურველ;  
აწ საწადელსა კეთილსა მიმთხუეულ არს.

თჳს მაჳისა გიორგი შაჳენაჳულისა,  
მთისა საჳრჳელისა

721. სჳმეონ დიდისა მთისა საკურველისა  
საცხოვრებოჳსა მესაჳანე გიორგი  
შეჳშული ნებსით, წყუდეუით ჰატიმრებული,  
სწაელათა იფჳლის განმყოფელი იოსებ,  
ბრძენი მოძღუარი, საღმრთო ფილოსოფოსი.
722. აჳებს ღუმილით ამას საჳმენი თჳსნი,  
რამეთუ საღმრთოდ მოჳალაჳობდა აჳა,  
არარა აჳუნდა, არ მიიღებდის ვისგან,  
არა სწადოდა დიდება, არც ჰატივი,  
განაღა ჳრისტე — ნამღვილ საწყური არსთა.

თჳს მაჳისა გაბრიელისა ათონელისა, რომელსა  
მოუცა სატი უჳროჳსად ჳმიდისა ღმრთისმოჳოგაელისა

723. სხუა იოანე წინა დაგუედჳა ჳებად,  
ჳრისტეს მოწაფე, ხოლო შეყუარებული  
ჳალწულ ღმრთის-მეტყუელ, მსახური ღმრთისა დედის,  
გამორჩეული დიდთა შორის მსახურად  
სერაფიმ-საყდართ დედოფალ უფალაის.
724. მრავალ ასეულთ ათონისა მამათა  
მხოლოდ გაბრიელ იჳმნა რჩეულ სარწმუნოდ  
მიღებად ხატის ანგელთგან დიდებულის  
მარიამისი, ღმრთისა საჳუთრად მშობლის.  
ამად გაბრიელ ღირსად საგალობელ არს.

თქს მაჲისა იოანე აატრიკ-ყოფილისა

725. პატრიკი პირველ, მთავარი დიდებული,  
ქართველთ დიდება, ნეტარი იოანე,  
მონაზონების მაგალითი საკმაო,  
წიგნთა თარგმანი, ფილოსოფოსი საღმრთო,  
ვაქოთ სამართლად, რამეთუ ჰმუენის მისდა.
726. იოანესა — ქრისტესდა შედგომილსა,  
მისთჳს განსრულსა სოფლისად, მისთჳს ჯუარცმულს,  
ეკლესიისა ქართველთასა გურგუნსა,  
ბერძენთა შორის ქება-ჳმა-განსმენილსა,  
სოფლისა მზესა ჰმუენის შესხმა-ქებანი.

თქს მაჲისა გიორგი ოლთისეელისა

727. ოლთისეელისა გიორგის განჰკდა ქება;  
აჳა ჩუენც მოგუწთა, ვერ დაჰფარა საფლაემან,  
დავიწყებისა საზარომან მიზეზმან.  
ჩუენდა ქება არს ამის საქებელ-ყოფა;  
ამისთჳს ჩუენცა ვაქებდეთ მეგრ ჯერისა.
728. გიორგის შორის საღმრთო მონაზონება  
აღყუაებულ არს თავისუფლით-რე ცნობით;  
კრძალულებისა მწიფე ქმნილან ნაყოფნი,  
მგლოვარებისა ეღვარებენ ბროლ-სარკე-  
ამისთჳს ჩუენცა ვაქებდეთ მეგრ ჯერისა.

თქს მაჲისა სტეფანესი

729. სტეფანე ბროლავს უმანკოებით ხოლო;  
სარკე უბრყვილობს კრძალულებისა მიერ;  
მზე შარაევანდობს მოძღურებითა ყოველგან;  
ნათელს სთოვს ჩუენდა ფილოსოფოსობისას.  
ამისთჳს ვითა ბრძენსა ჩუენცა პატივს-ვსცემთ.
730. მოძღურება საღმრთო, წიგნთ-თარგმანობა წრფელად  
ვიციით, მამაო, შენი ჩუენ, მოწაფეთა,  
ეკლესიისა ჩუენისა დიდ-შეწვენა,

მმართველობის კანონ, უცხოელ-ყოფა.  
ამად შევასხამ შაირ-სტიხთ-მოქმედებით.

## თ ა ვ ი V

თვს მაჰინა იოანე ფილოსოფოსისა,  
აეტირიფისა-ჭირჭიმიელისა

731. „ორთაგან ერთი უეჭველად თანა გუამს:  
ან ფილოსოფოს-ყოფა სიბრძნის-მოყუარედ,  
ან პატივს-ცემა სხუათა ფილოსოფოსთა“ —  
ამას გუასწავებს ღმრთის-მეტყუელი გრიგორი  
ირონის მიმართს შინა ფილოსოფოსის<sup>20</sup>.
732. აწ რაჲ შევეხე კალამსა, იოანნი,  
დამათრო შენმან ქსენებისა სურვილმან.  
რაჲ ვთქუა შენდამი განლიგებულმან ამით?  
ბრძანებისაებრ მოძღურის შენდა პატივი  
მწადს, მაგრა ღირსი სადა ვპოვომცა სიტყუა?
733. არ-შესაძლო არს ჩემდა ესე, მამაო,  
რათა ვამსგავსო ფრასთა შენთა სიტყუანი,  
ხოლო თუ არა ფრასთავე შენთა მაღალთ  
იქებოდემცა, რაი სამართალ ესე,  
ვინა ღუმილი სათანადოებს აქა?
734. მაგრა ვინაჲთგან სურვილი არს უდიდეს  
ყოველსა შინა და შენდა მსურის ფრიად,  
ამისთვის არა კადრისა ოდენ ქონვა  
არს შესხმად შენდა, უბრძნესო ბრძენთა შორის,  
არამედ თქმული შენდა ოდენ სურვილი.
735. ბზინვენ მარცუალნი კმეულნი შენგან, დიდო,  
რომელნი დაჰრთენ ლექსთა განმავითარად;  
ელვენ ლექსები ძვირფას სპეკალთ უმჯობეს;  
ბრწყინვენ სიტყუანი, ვარსკულავ-მდგომარეობენ,  
თავნი მზეობენ შარავანდთა განმტყენი.

---

<sup>20</sup> .იხ. აქვე, გვ. 28—29.



736. ცობენ წერილნი შენნი, სამყაროებენ;  
წინადადება ყოვლად დაურღუეველობს;  
აღმოჩინება — ყოვლად მიუახლებელ;  
დამტკიცებანი ძლიერებენ ყოვლითურთ,  
ხოლო უკუთქმა ვერაეინ დაამტკიცოს.
737. შენ ფილოსოფოს სამართლად იზედწოდე,  
ამად ვითარმედ: არათუ ოდენ ნივთნი  
იცნი განყოფით, არამედ — მიზეზნიცა  
მყოფთად და ქმნილთად ზედმიწევნილებ კმადლა.  
ამისთვის ხარ შენ ჭეშმარიტ ფილოსოფოს.
738. ასტრონომოსებ კეთილ-განუგმობელად  
ასტროლოლიათ ჭეშმარიტთ გარდმომცემი;  
დიადობსებ, პროკლეს განსაკურვებო:  
ვით იგი პლატონს ენაცვლა, იოანე,  
ეგფერ შენ პროკლეს ედიადოხე ღირსად.
739. განმარტებანი კავშირთ ღმრთის-მეტყუელებით<sup>21</sup>,  
ღმრთის-მეტყუელ აღძრციელ ჰქმენ, იოანნი დიდო-  
სტიხოლოლოსებ მოკლეთა შინა დიდთა:  
ათთა შაირთა შორის თუთოთა კიბეთ  
იოანესთა ერთსახელისა შენის<sup>22</sup>.
740. მეტაფრას-თქმანი სათუეთანი, დიდო,  
აპიიტიკე, აშაირ-ალამაზენ<sup>23</sup>;  
ატიკელობა ქართულებერ დალექსულ ჰყვენ,  
რიტორებისა აექსონ უმაგალითოე,  
ღრამატიკოსებ წიგნთ-მთარგმნე მაღალ-ფრასად.
741. იოანისნი ბრწყინვენ ლექსნი მზიანნი,  
წალკოტ-ყუაეიან, მწიფენ ხილნი ხიანნი;  
ფშვიან სუნნელთა მისნი შროშან-იანი;  
მისნი დათხზვანი დიოს-კრონოსიანნი  
სიმაღლით სხუათა უზეს, ყოვლად ციანნი.

<sup>21</sup> იხ. იოანე პეტრიწის შრომები, I (1940), II (1937).

<sup>22</sup> იხ. იოანე პეტრიწი, სათნოებათა კობე, 1968, გვ. 167—242.

<sup>23</sup> ივლისისებთა „სათუეო სვინაქსარი“ (იგივე „გალობანი ყოველთა წმიდათა-ნი“), რომლის სექტემბერ-იანერის თვეთა საკითხავები გალექსა იოანე პეტრიწთა (A 85, ფ. 196—212).

742. შენ ფილოსოფოსთ საქმე მონასმინანი,  
შენ სტოიკებრნი სიტყუთ სპეკალ-მინანი,  
შენ პერიპატოს ცნობანი სალხინანი  
მოაქართულენ, ქართლი ჰქმენ ათინანი,  
ჭირნი წარგუჟაღენ უმეცარ-საწყინანი.

### თჳს მაჳისა ეფრემ მცირისა

743. ეფერატა ესე სიტყუერი მომრწყუელი,  
აღმომდინარე ქართველთა წყაროჲსაგან,  
გუასავამ უხუებით ოქრო-ნაკადულებთა;  
წარღუნის უმეცარ ნაგვეთა განსწმედს კეთილ  
ეფრემ, საკურვი ბრძენთაგან, კაცი დიდი.
744. ეფრემ — რიტორი, შუენიერ-მოუბნარი,  
ეფრემ — უხუ-სიტყუა, განმერცომი უკეთილეს,  
ეფრემ — მკობილთა სიტყუათა გარდამოფენი,  
ეფრემ — ჯელ-მყოფი, უცხო მესილოგიზმე,  
ეფრემ — უძლეველ, აღმომაჩენ-მჰაექრი.
745. ეფრემ — განმსაზღვრი, მეაქსიომე ბრძენი,  
ეფრემ — ეტიმათ საღმრთოთა დიდ აექსონი,  
ეფრემ — ბუნებათ მეზესთ-ღმრთის-მმეტყუელები;  
განზომილთაცა უცხო პიიტიკოსი,  
წიგნთა თარგმანი, საღმრთო ფილოსოფოსი.
746. ამან სარწმუნოდ ისტორიკოსა ჩუენდა  
მოქცევისათუს კერპთაგან ქრისტეს ღმრთისად  
და ქალწულისა მოციქულაის ნინას  
ქადაგებისათუს ისარწმუნა-მომთხრობლა  
ქმნილთაგან დიდის თეოდორიტესგანთაჲთ<sup>24</sup>.
747. ეგ სახედ კუალად ავაზგიაისთუსცა,  
ესე იგი არს, აფხაზთა მოქცევისა  
თაღისუფლება არხიეპისკოპოსთა  
ავტოკეფალოსთა ჰქმნა კრებითა-რე საღმრთოდ,  
ხოლო სხუანიცა აისტორია ბრძნულად.

<sup>24</sup> იგულისხმება „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“ (გამოსცა თ. ბრეგაძემ, 1959, გვ. 3—12).

748. იტყვს თვთ ეფრემ მოძღუარ-ყოფასა თვსად  
იოანესა საღმრთო ფილოსოფოსის<sup>25</sup>.  
ესე განბრწყინდა მმარხუელობითაც საესედ,  
ძილი მართალთა დაიძინა ღმრთისადმი  
და ჩუენ განგუაბრძნო საიდუმლოთ სიბრძნით.

### თჳს შაჲისა თაოფილესი

749. თეოფილესა ვინაჲთგან დროსა იმათ  
წინათქმულთასა მამათასა ჰბრწყინვიდა,  
უცილოდ შისდა დაიმტკიცების სიბრძნე  
და მოძღურებითნი სწავლანი მისნი დიდნი.  
ქართველთა ექმნა სიმდიდრე წარუჰარველ.
750. ესე ბრწყინვალე — მრჩობლ-ფილოსოფოსობით  
და მმარხუელობით ყოვლად განთქმული კაცი,  
თანმედროვეთა თვსთა ფილოსოფოსთა —  
იოანეს და ეფრემის და არსენის  
თანრაცხვის ღირსი, წიგნთ მთარგმნე ჩუენდა სულით.

### თ ა ვ ი VI

#### თჳს შაჲისა არსენი იჲალთიოელისა

751. ოდეს იდეა განყოფითი, მამაო,  
შენდამი მაქუს მე საესედ და სრულად, ღირსო,  
ხოლო განსჯანი შემექმნების რაჲ შენთუს,  
შენდა მრავალთა შესმენილებთა ეპოევებ,  
წინაღამდები სურვილით ვრბი შენდამი.
752. ჭეშმარიტი ვთქუა აქ წინადადებანი:  
არსენის ფრასი — ბრწყინვალე, შუენიერი,  
ალილორიკა — განსაკურვო მაღალი,  
მვლთომი სიბნელის, ამაღლებული საღმრთოდ,  
ყოვლად საყუარი, ყოვლად საქები ბრძენთა.

<sup>25</sup> ცნობა ამოღებულია ფსევდო-დიონისეს „საღმრთოთა სახელათუს“ ტრაქტატის ქართული თარგმანის ანდერძიდან (იო ა ნ ე ჰ ე ტ რ ი შ ი, სათნოებათა კობე, 1968, გვ. 36—40). შდრ.: აქვე, გვ. 22—23.

753. ოქრო სდის, სკროის, სწუმს, შხეფავს საკვრველად არსენის ლაწუთაით სარწყველად გონებათა; ოქრო-საყური სცემს, კბერავს, განგუაღუძებებს, ილეკროს ფერად ელაგს, აკროთოლეებს შუქთა. ირის-ლაძაზებს მჭევრ-თქმობა არსენისი.
754. ერთბუნებიანთ სომეხთად ჰქუხს არსენი, სტყორცს ცეცხლთ, განჰმეკავს, სწევავს, აღნობს, განაქარებებს; სიტყუთ მპაექრი, სულის მომღები თუსად აღმოაჩინებს ჭეშმარიტთა დოღმატთა; ვერავის ძალ-უძს დარღუევა ან უკუთქმა.
755. არსენი ჰგალობს ტკბილი კანონთა შინა<sup>26</sup>; უხუ და შუენიერ და მმკობელ-შემწყობელი; არსენი სტუნავს ოქრო-მუსიკთა კმათა; არსენი ჟღერავს ოქრო-შუენიერ ეჟვან; არსენი უბნობს: „დასცხერინ ცრუნი კმანი!“.
756. ღმრთის-მეტყუელება ამისი არს საქებელ, ფისიკა — კუალად, ანატომია სხუანი, ფილოსოფია ხედვითი პრაქტიკაჲთურთ, გამოჩინება — სილოგიზმო ჭეშმარიტ, აღმოჩინება — ვერვისგან დარღუევადი.
757. არსენის კმნილნი პიიტიკა-შაირნი, დასდებელ-სტიხნი ოქრო-წახნაგებულნი, სპეკალთა მიერ ძვირფასთა მოოჭვილნი, მისნი სასმელთა სიტყუერთა მორეენი ყოვლად საკვროდ ჩანნ ყოველთადმი თემთა.
758. შიო მმარხუელის სამხოლოო სავანე მოისიბრძნე შენ საცხოვრებოდ, არსენი. მუნით მმზეები განჰბრწყინდი ყოველთადმი; დაჰქედ, მიგურიდენ კორციელად ნათელნი, მაგრა წინაშე სამებისა გუმეოხებდ.

<sup>26</sup> იგულისხმება ანდრია კრიტელის „დიდნი კანონნი“. რომელიც ქართულად გადმოთარგმნა არსენმა (სინ. 70).

თქს მაჲისა მის მონაზონისა, რომელი სკლჲვდა  
ტჲილისს მასმედინათა სიბრძნითა თჲსითა

759. ბერიცა იგი მონაზონი, ბრძენ-საღმრთო,  
არაბთა-სპარსთა ენის ზედმიწეენილი,  
ყურანის მარღუ, მუყრთა-მულამთ დიდად მძლე,  
მათთა საძაგთა დამტკიცებათ დამქსნელი,  
ყოელად ბრძნებრივად მჲაექრე სულისა ძლით.
760. სიმდაბლისა გზით მავალი წმიდა იგი,  
უთუალ-მღებელი მახმედინათ მთაერისად,  
რაცა ეიხილენ მისთჲს წერილნი<sup>27</sup>, მათგან  
უწყებულ ქმნილ ვარ, ვითარმედ: მაღალ იყო  
ცნობათა შინა და მმარხუელობათაცა.
761. კეთილ-შობილად თქმულ არს მოძღუარი ესე,  
კაც მაღალ ყოელად, სიბრძნის-მოყუარე ფრიად:  
ჩანს ესე მისთა სიტყუა-წერილთა შინა,  
გარნა სახელსა სდუმს ზედა წარწერილი,  
ოდენ ქართველად, ბრძნად და წმიდად გუაუწყებს.

თქს მაჲისა იოანე ტაიჭის ძისა

762. იოანემან, სიბრძნეთა შინა დიდმან,  
ზედვა განწმედილ აჩუენა, მაღალ — საქმე,  
გუთარგმნნა წიგნნი, შეგუემო ეკლესია,  
ცხოვრება თჲსი მოგუცა ზატად ცხოვრების,  
სწავლათა თჲსთა გუწღია სასმელები.
763. ტაიჭის ძემან იოანე ნეტარმან  
სიბრძნის-მოყუარა, იღმრთის-მეტყუელ-სახელა,  
რიტორ-იუბნა, შუენიერ იმჭვერ-მეთქუა,  
აპიტიკნა ლექსნი შუენიერ-თხზულნი,  
სწავლა განფინა, ქართველნი აღაყუაენა.

<sup>27</sup> იგულისხმება არსენ იყალთოელის „დოღმატიკონის“ დასასრულს „მოთავსებული სიტყეს-გება ქართველი მონაზონისა მამადინათა მიმართ“ (ი. ლ. ლ. ა. შქე ი. ლ. ი. არსენ იყალთოელი, 1978, გვ. 88—100).

764. საბასგან ქმნილი ვნახენ კანონი რამე,  
 კელით-უქმნელის ხატისათჳს ძნობალი;  
 მეკეთა ფრასი, გამიკურდა შენაქსვი  
 ფილოსოფოსებრ, გარნა — მარტივ, არ-მნელ,  
 პიტიკებრი საქები, უცხო-გუარი.
765. საღმრთო სუნგელი, მეთქჳ ფრას-საკურველი,  
 შუენიერ-მჭკვერი, უხუ-მკობით განმკარგველი,  
 ქართველთ დიდება, იმიერთა გერგვნი,  
 ოდიშართ მნათი, მესხთ-გურიელთ სიკეთე,  
 კახთა, აფხაზთა შუენიერება დიდი<sup>28</sup>.

თჲს მაჲისა იეზუიელიისი

766. იეზუიელს ვიცნობ თჳსით სიტყუებით,  
 სხუასა პეტრიწსა, სხუას დიდსა იოანეს,  
 სხუასა არსენის, ორთავე თანასწორსა;  
 უცხოდ გამომთქმელს, საკურველს პიტიკოსს,  
 ღმრთის-მეტყუელ-რიტორს, ჭეშმარიტ ფილოსოფოსს.
767. შენნი შაირნი, იეზუიელ დილო,  
 აკროსტიხორნი იასპ-სჭკრვენ, სარდიონ-  
 მარგარიტებენ, ურთიერთარს კიდულნი  
 ძურფას-სპეკლობენ. კმა ჩემდა განსამდიდრად<sup>29</sup>.  
 შეგეფერების ქებაი ბრძენთა თანა.

თჲს მაჲისა კატრღსა

768. სტიხნი პეტრესნი იეზუიელისთა,  
 ან იოანესთ ჰგუნან ფილოსოფოსის,  
 ანუ არსენის იყალთოელის დიდის,  
 ანუ ეფრემის ქართველთა მნათობთაჲსა.  
 ესე კმა ქებად, მირწმუნე ესე, მსმენო!

<sup>28</sup> AB და მათ მოყოლ ხელნაწერებში ამ სტროფის ნაცელად იკითხება სხვა სტროფი — „საბა, ვარდანის სურვილისა“ (იხ. აქვე, გვ. 100—101).

<sup>29</sup> იხ. აქვე, გვ. 64.

769. ვნახენ წერილნი პეტრე ფილოსოფოსის,  
რიტორ-ყოფა ესცან, ღმრთის-მეტყუელ-აღძრცვილ-ყოფა  
მეშუენიერეს; მელამაზ-მეკეთილნეს,  
პიიტიკანი პეტრე საკრველისნი.  
ამად მეტკება ვთქვ მისი მოკლეთ შინა.

#### თჳს მაჳისა იოანე შაჳთილისა

770. ნეტარი ესე — პიიტიკოსი კაცი,  
მალალ-გამომთქმელ, მოძღურებითა ბრწყინვალე,  
სიბრძნის-მოყუარე, მართალ-მესილოგიზმე,  
ღმრთის-მმეტყუელები, შეზმნილ ყოველსა შინა —  
იოანე ბრძენ, შავთელ ზედწოდებული.
771. შოთა თქუა მისთჳს: „უქესო ლექსი შავთელს“<sup>30</sup>,  
და თამარ დიდის „ისტორიათა“ შინა  
შაირთ-გამომთქმელ და წმიდად მოითხრობის<sup>31</sup>,  
განსწმიდა ამან სარკე უბიწოებით  
და მისცა ღმერთსა, რომლისა წინაშე დგას.

#### თ ა ვ ი VII

#### თჳს მაჳისა ვასილი ათონელისა, რომელი იყო გიგა ემთიმი კათოლიკოსისა

772. ვასილი ბრძენი — ათონით აღმომზები  
სულითა კუალად და ძალითა ილიას,  
განსრული სოფლით, მეფეთ მამხილებელი;  
ანუ ილია, ანუ სხუა ვინმე ნათან,  
კაცი ღიდ-სახელ, კმა-განსმენილ ყოველგნე.
773. ესე ქებულ არს მმარხუელობათა შინა,  
ხოლო სიბრძნეთა — ფრიად საჩინოებით;  
ღიდ იყო ესე წინაშე მეფეთა და  
ყოველთა კაცთა კადრისა მქონებელი  
სულისა მიერ, რომლითა განბრძნდა იგი.

<sup>30</sup> იხ. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (სტროფი 1669).

<sup>31</sup> შტრ.: ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 95.

774. პიჰენ სალოსი — ქრისტესთუს განკროთომილი,  
გონებით ბრძენი, ზეცით მომღე სიბრძნისა,  
მეფეთად დიდი მამხილებელი ნათან,  
ბრწყინვალე კაცი, ნეტარი, დიდ-სახელი,  
ზემო-წერილის ვასილის თანმზრახველი.
775. პიჰენ ბრწყინვიდა უდაბნოს გარესჯისას,  
განუტევებდა ყოველთა კიდეთად სხივთა,  
არა ჰკდემოდა მეფეთა შარავანდის;  
მოდღურება მისი დიდ-სახელ იქმნა ჩუენდა,  
ზოლო ცხოვრება — ყოვლად ანგელოსებრი.
776. პიჰენ ჰქადაგა ქრისტე ბარბაროსთადმი  
ლექთა, ვითარმედ: მოაქციენა ქრისტესად,  
იმოციქულა, ითეზბიტელა ამან,  
ბელაქანს ქუაბსა შეწყუდეულმან ნებითა  
ზე აღკდა ღმრთისად, კორცნი აქციენა მიწად.

თქს მაჰისა ანტონი ნაოხრაჰაჰლის კისა

777. ანტონი დიდი, მოღუაწე საკრველი,  
მესხთა მნათობი, მზე ყოველთა ქართველთა,  
პიჰენისაჰებრ მამხილებელი მეფეთ,  
სულით ბრძენ-ქმნილი, ქრისტესად მრიტორები,  
ღმრთის-მმეტყუელები წრფელ და მარტივად მაღალ.
778. თანმოსახელე ჩემი ესე ანტონი  
დიდ იყო მაშინ მეფეთა და მთავართად,  
მისნი საკრენი მმარხუელ-კრძალულებანი  
განსმენილ იქმნეს ყოველგან საკრველად,  
რომელიცა აწ ანგელთა თანა მკედრობს.

თქს მაჰისა ნიკოლაოს ქართველთა მნათობისა

779. ქართველთ მნათობად ზედწოდებულ ჰყო საქმემ.  
ღირსი წოდების ნეტარი ნიკოლაოს —  
აექსონი კანონთ მრავალ-აკოლოთიათ,



გონება ნამზი, სიტყუა-უხუ, მკობილ-მჭევრი,  
ანგელოსებრი მცხოვრი კორცთ შინაობით.

780. ამან უზომოდ წმინსა გარდამოსლვის  
დასაყენები შექმნა აკოლოთია,  
მკურვალ-საყედრი ღმრთისადმი ერისაგან,  
მაღალ-გამოთქმით ღმრთის-მმეტყუელებმან, სიბრძნით  
ფილოსოფოსმან ქრისტესთს, არა სხუათად.

თჳს მაჳისა დიმიტრი IV, მეფე-ყოფილისა  
მონაზონისა, დამითიან-გაბრატოვანისა

781. ესე გვხილვან დახატულ მონაზონად  
გარესჯისათა მონასტერ-უდაბნოთა.  
გამომთქმელ იყო სტიხთა მაღალ-შაირთა,  
რომელნი დღესაც ჩანნ აღწერილად სტიხნი;  
კაცი — ბრძენ საღმრთო, რიტორ-პიტიკოსი.

782. დიმიტრი მეფე — მმარხუელობისა ხატი,  
მეფეთ გურგუნი, ქართველთ დიდება დიდი,  
სიბრძნის-მოყუარე, ღმრთის-მმეტყუელები მარტივე,  
წინაპარ-მეშუ ჩუენი, დავითიანი,  
ორ-გურგუნოსან აღვიდა ქრისტეს მიმართ.

თჳს მაჳისა ნიკოლარს ფიდა ძალაქელისა,  
მართმელებისა. ჩოლოყადს კისა, არაზიანდრიტისა

783. ჩოლოყაის ძე ნიკოლარს საქები,  
მრავალ-ფერ ენათ გამოთქმელ შუენიერად;  
აზიას შინა, ევროპას და აფრიკას  
მავალი სიბრძნით, კაცი სიბრძნის-მოყუარე,  
ღრამატიკოსი, რიტორ-ფილოსოფოსი.

784. ესე ქალაქად წმიდად იერუსალიმდ  
მონასტერს — ვანსა წმიდისა ჯუარისასა —  
არკეთ კმსთავრობდა, სწავლათა თჳსთა მიერ,  
განაშუენებდა კახთა, მეგრელ-ქართველთა,  
ძე ჩინებულთა მთავართა კახეთისათ.

თჳს მამისა აებრე მონაზონისა, ჩსატარადს  
შვილისა, გურიულისა

785. პეტრე მესტიხე — მეშაირე მაღალი,  
ალექსანდრესთა დიდისათა მომთხრობი  
ისტორიათა შაირთა შინა სიბრძნით;  
კაცი რიტორი, შუენიერ-მოუბნარი,  
სიბრძნის-მოყუარე, სიბრძნისად შედგომილი.
786. პეტრე საქებ არს პიიტკათა შინა,  
ხოლო სხუათაცა აზნაურთა სწაელათა —  
მაღალ-გამომთქმელ სადიდებულად ღმრთისა;  
მონაზონებრთა ქცევათა შინა კჳაღლა,  
გამოცდილ ყოველად, ამით ჩუენდა საქებელ.

თჳს მამისა ბრიგორი ხუცესმონაზონისა დოდორჳქელისა,  
ვახვახადს ძისა, ანუ ბაზილართ-უხუცესის ძისა

787. გრიგორისთა ვარ წერილთა შესწავებულ:  
ამან, სიბრძნისა ქუემდებარემან კაცმან,  
ისტორიკოსა ქეთავან დიდისათუს,  
რამეთუ ღუაწლნი მოუთხრნა ამან მისნი —  
ვრცელ და წესიერ-ბრწყინვალედ, არა-ბნელად.
788. გრიგორი მისსა აკოლოთიამსაცა<sup>32</sup>  
გამომთქმელ იქმნა და სხუათაცა წმიდათა  
შუენიერ მსიტყჳ სათნოთა ბრძენთაცადმი;  
კაცი — მმარხუელთა საქმითა გამოცდილი  
და საქებელი ჭეშმარიტად ყოველთად.

თჳს მამისა კოსმა მფიგნობართ-უხუცესის ძისა,  
ქახისავე, ხუცეს-მონაზონისა მრავალმთიელისა

789. კოსმა სიყრმესა ჩემსა შევისწავე მე  
მოსრული სტუმრად დედისადმი ჩემისა;  
კაცი — უმანკო, წრფელი, — ესთა იტყოდეს, —  
კეთილ-მწიგნობარ, შუენიერ მეფსალმუნე,  
სიბრძნით გამომთქმელ, წერილთ ვეროვან აექსონ.

<sup>32</sup> ეს აკოლოთია დაცულია ანტონის „სადღესასწაულოში“ (S 1464, ფ. 47v—48r).

790. კოსმასგან ქმნილი ვნახე წერილი რამე —  
ქეთავან მეფას შესხმის-სიტყუაობანი;  
ბრძენნი აქებდეს, სთნობდეს, შეიყუარებდეს.  
ესე უღმრთოთა ბარბაროსთა კელითა  
მოიკლა, ხოლო დაიძინა ქრისტესად.

თჳს მამისა იოზ უიტარეთის  
წინამძღუარისა, ტფილისაელისა

791. შუენიერ იყო იოზ სიტყუათა შინა  
და სამღუდელოთა წერილთა ზედმიწევნილ;  
მწიგნობართანი ძვილ ესწორებოდიან.  
ქადაგებანი ვისმინენ მეცა მისნი;  
აქებდეს ბრძენნი, ითნობდეს, ჰკურობდესცა.

792. კეთილ-მწერალცა და შუენიერად მკითხველ,  
მუსიკობითა ქართულითაც — გამოცდილ,  
მონაზონებრნი კრძალულებანი მისნი,  
ხოლო შრომანი — საქებელ, ხატ — სხუათათვის.  
ბრძენნი ქებასა ღირსად დაამტკიცებდეს.

თჳს მამისა ბერმანე სუციისმონაზონისა,  
მეფეთა სულიერისა მამისა

793. გერმანე სიტყუთ იქების მსიტყუელთაგან;  
ცხოვრება მისი არს ფრიად-რე საქებელ:  
კაცი — მდიდარი სიტყუთ და სათნოებით,  
განმადლები დაკსნილთა ღმრთისა შიშართ,  
კადრის მექონი მეფეთა და მთავართად.

794. ამისნი იყენეს მსმენთად ქადაგებანი  
სასიამოვნო, არა — უმეტარ ნასიტყუ;  
უყუარდათ მეცნთა, არ-მხილველთ ჰსურდათ ხილვა;  
სიბრძნის-მოყუარედ იტყოდეს მაშინდელნი;  
მგალობელ იყო საქებელ, ახალ კმათ მექმ.

თჰს მეფისა თეიმურაზ I, ღაჰითიან-  
ბაბრატოჰანისა

795. არღაცა მათი კსენება დავიღუმო,  
რომელნი სიბრძნის ქუემღებარები სთქმიღეს  
ერის კაცთანი საქებელთა წერილთა,  
რომელთა შორის თეიმურაზ არს მეფე,  
შუენიერ-მეთქჳ, მაღალ-პიიტიკოსი.
796. ღმრთის-მმეტყუელები შორის პიიტიკათა,  
ღოღმატთა თჰსთა ბრძენ-საღმრთო თეიმურაზ,  
კეთილ-მსახური, ქრისტეს მოყუარე მეფე,  
რიტორი უცხო, მჭკვერ-მოუბნარი უხუად,  
მონაზონებით მისრული უფლისადმი.

თჰს არჩილ 11, იმერთა მეფისა, ღაჰითიან-  
ბაბრატოჰანისა

797. არჩილ მრავალნი თქუნა შაირნი ნაბრძნულნი,  
თარგმანება ჰქმნა „ხრონოღრაფისცა“ კეთილ —  
ბერძენთ მეფეთა ისტორია-წერილთა<sup>33</sup>,  
ხოლო ბიბღია — სამღუდელი წერილი  
ბნეული ჰკრიბა, თანად დააწყო სიბრძნით.
798. არჩილ ზრდიღ იყო ზნითა ქართულებრითა  
ესრეთ, ვითარმედ: კმა იყო ყოველთა შინა —  
ისარ-ჩოგანთა, ნადირთ-სრვათა და ოროლთ  
მღერათა ცხენით ყოველთაჲე, რაცა სთქუა,  
ღზინთა-ჰირებთა, რაცა საკმარ არიან.
799. მეფობითნი და საპატრონო-ყმობითნი  
ქცუელებანი განჰკარგნა აღწერილით<sup>34</sup>,  
მიჰრიღა შფოთსა, როსიად მიიწია,  
მუნებურთაგან მეფეთა პატივ-იცა;  
ძილი მშუღობის ღაიძინა მართალი.

<sup>33</sup> იხ. H 294.

<sup>34</sup> იგულისხმება „საქართველოს ზნეობანი“ (არჩიღანი, I, გვ. 3—16).

თქს ვახტანგ V მეფისა, ღაპითიან-  
ბაგრატიონისა

800. ვახტანგ შაირნი შეაწყუნა შუენიერად,  
სიბრძნის-მოყუარე დაემოწაჟა სიბრძნეს,  
ძნელნი გამოთქუნა აღფაეიტათა ზედა<sup>35</sup>;  
სხუანიცა თქსნი აღლესნა შაირობად.  
საქებ არს მისნი შაირ-სიტყუაობანი.

თქს თეიმურაზ II მეფისა, ღაპითიან-  
ბაგრატიონისა

801. თეიმურაზცა, კეთილ-მსახური მეფე,  
კეთილ-შუენიერ შაირთა კმოქმედების:  
ქცევანი მეფეთ, ანუ მთავართ, ანუ სხუათ,  
ან ნადირობის, ანუ ასპარეზობის  
შაირთა შინა შეაწყუნა შუენიერად<sup>36</sup>.

თქს შოთა რუსთაველისა

802. შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის-მოყუარე ფრიად,  
ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის;  
თუ სამ სწადოდა, — ღმრთის-მეტყუელიცა მაღალ;  
უცხო საკურველ პიიტეიკოს-მესტიხე;  
მაგრა ამაოდ დაჰშურა, საწუხ არს ესე.

თქს სარგის თმრგუაელისა

803. სარგის ესეცა შოთაებრი არს კაცი —  
სიბრძნის-მოყუარე, ფილოსოფოს-გამომთქმელ,  
რიტორ შუენიერ, პიიტეიკოს საქებელ.  
თუთ შოთა იტყუს: დილარგეთ უქია მას<sup>37</sup>.  
საქებ არს ესე თქმულთა მათთქს მიზეზთა.

<sup>35</sup> იგულისხმება „ანბანთქება“ (ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 1975, გვ. 68).

<sup>36</sup> იგულისხმება „სარკე თქმულთა“ (თეიმურაზ II, თხზ., 1939, გვ. 1—101).

<sup>37</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სტრ. 1669.

804. ჩახრუხაის ძე — უცხო პიიტიკოსი,  
თამარ დიდისა მძკობი შაირებითა;  
შოთას შაირთა, თუ სთქუა, უკეთესთაცა,  
მთქმელი მესტიხე, დიდი სიბრძნის-მოყუარე,  
ყოვლად საქები, რიტორთ-მესტიხთ გვრგვნი.

თქს სულხან-საბა ორბელიანისა

805. საბას არ ვაქებ, ამაღ ვითრმედ ესე  
ეკლესიასა წმიდასა მტერ-განუღგა,  
წინააღმდგომ-მბრძოლ ექმნა ჭეშმარიტებას;  
„სამოთხის კარი“, გარნა ჯოჯოხეთის ბჭე  
აღწერა სულთა წარწყმედად, თუთცა წარსწყმდა<sup>38</sup>.
806. მაგრა შაირნი მისნი საქებელობენ:  
შაირთა ვაქებ, სადაც არა ლათინთა  
განხეთქილება ან შეპრია წვალება;  
უცხო არს იგი საქებელ პიიტიკა,  
რაცა სოფლიოთ გამოთქუა სულხან-საბა.

თქს იესე ძსნის მარისთმის ძინსა

807. იესე სთქმიდის შაირთა შუენიერად;  
აკოლოთია შექქმნა პაპათა თუსთა  
მოწამეთათუს აკროსტიხორებრ ბრძნულად;  
მეცნნი უყუარდეს, სიბრძნისა ტრფიულ იყო,  
მეფეთ თუსება აქუნდა მახლობელობით.

თქს დიმიტრი ორბელიანისა

808. დიმიტრი, თუ სთქუა, შაირთ მაკეთთა თანა  
ესთა რაცხილ არს, ვითარმედ ზევედებესცა

<sup>38</sup> ანტონი იენოზს „სამოთხის კარის“ (ანუ „საქარსტიანო მოძღვრების“) შე-  
ორე რედაქციას, რომელშიც გამოამკარავებულია ავტორის კათოლიკური ტენდენ-  
ციები (ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, III, გვ. 227—334).

თანამედროვეთა თვსთა, გარდა ვახტანგის.  
უცხოდ შეაწყვის ფრასი, განკაკუზმის უცხოდ;  
ამო არს, კეთილ მისნი პიტიკანი.

#### თჳს ვახტანგ ორაბლიანისა

809. ვახტანგ შაირთა დაღათუ ამოთად  
შურებოდა, მაგრა საბას უკეთეს სთქმიდა;  
უცხოდ შეაწყუნის, განსაკურვოდ დალექსნის  
დასატკობელად მსმენელთა გონებისა.  
ჩემდაცა იქმნა მოძღუარ სწავლათა რათმე.
810. ვახტანგ — სიბრძნისა ქუემდებარები კაცი,  
რიტორ შუენიერ, მჭევრ-მეთქვ საკურველი,  
ფილოსოფოსი, პიტიკოსი უცხო.  
მგელთ წარიტაცეს ორთა მიერ წუხილთა.  
დავითი მე მისთვის; მირწმუნე ესე, მსმენო!

#### თჳს ვახუშტი ნათესავისა ჩემისა

811. ვახუშტის ვუქებ ლეოღრაფის ცნობასა,  
ისტორიათ თქმას, ერცელ-ბრძნად გარდამოცემას;  
ამან დაწყებით ქართველთა ისტორია —  
კახთ, მესხთ, აფხაზთა, მეგრელთა, სვან-კავკასთა  
აღწერა, დაშურა, შეეწია ქართველთა.
812. დავითიანთა მეფეთა ხე გუარისა  
შეჰქმნა ვახუშტი წესიერ და კეთილად,  
თუმცალა მდურვა მიიღო სამართლად-რე,  
რამეთუ ვითმე მტერობითნიცა თქმანი  
მისთა გამოჩნდეს წერილთა შინა მრავალ.

#### თჳს დიმიტრი მებოზრისა ჩემისა ციციის-შვილისა

813. ითქუა დიმიტრი, წამებულ ყოველთაგან:  
ესე სამართალ შენდა, პოი დიმიტრი,  
შენ ფილოსოფოს მაღალ გამობრწყინდი აწ,

მათემატიკოს კმად, ხოლო რიტორ — კეთილ;  
ჩემდა სასურველ არს პიიტიკა შენი.

814. ამან ჰქმნა წიგნი გეომეტრია რუსთებრ.  
ესე — ენათა ლათინ-ფრანცის-გერმანთა,  
ხოლო რუსთაცა და ქართველთა მეცნიერ,  
ქრისტეს მოყუარე, კაცი მაღალ-გონება.  
აგოს უფალმან ამას წელნი მრავალნი!

\* \* \*

815. აწინდელთათჳს ჩუენთა დავიდუმო მე,  
ამად ვითარმედ პირის-პირ ქება ცუდ არს.  
დაღათუ ვთქუცა, დიმიტრისათჳს ხოლო,  
მაგრა დიმიტრის ცნობა ფრიად მაღალ არს.  
ამისთჳს მისდა ითქუას და ნუ სხუათათჳს.



**გარდა უძლთა ნაწილთა წყობილ-სიტყუაობისათა  
ზედ დართვა[ნი] სხუათაცა რომელთაჲე საქმეთა,  
სტისოლოღოსაგითად ესე იგი შაირ-სიტყუაობით  
ჩაჲნივე ქმნილნი**

**თ ა ვ ი I**

**წინასიტყუაობა „განსაზღვრებისა უილოსოფიისა“  
ფრიდერიკოს ბაუმეისტერისა**

816. ფილოსოფოსმან ბაუმეისტერ ფრიდერიკოს  
საზღვარ-დებულ ჰქმნნა ნივთნი საბრძნოთ შინანი,  
ახალ კელ-ყოფით პაექრობითნი თქმანი  
სამ-მეოცდასამ და ორას და ათასნი —  
ესე ერთ წიგნად ქმნილი სარგებელად ბრძენთა.
817. როსიისასა პორფირსა ქალაქთასა  
თარგმანებითა ლათინთა ენისაგან  
გარდამოღებით ჩუენსა ზედა ენასა  
იმხარკა ესე ტკივილ-მოყუარებითა  
სარგებლად ჩუენთა ტრფიალთა სიბრძნისათა.
818. ანტონი ვშურები მთარგმანე სიყუარულით  
თქუენ-ჩუენთა მაგათ თანა-მოქალაქეთა  
ერთ-ნათესავთა, ერთ-მეეკლესიეთა  
ბრძენთა ქართველთა მირთმად ძღუენ-სიტყუერთთა  
ღროს მეფობითსა ირაკლი მეორისსა.

**თ ა ვ ი II**

**წინასიტყუაობა ახლად ქმნილისა  
„კატილორიისა“ ჩუენისა**

819. არ-სილალთმან კადრმან გუათანადა ჩუენ  
ახლად კელ-ყოფად ქუე-თქმულობანი ძუელნი,

რამეთუ ესე ძუელთა სხოლასტიკოსთა  
და ჩუენთაცა ჰქმნენს მრავალთა კმანი ჩუენდა,  
მაგრა თუსთათუს შრომაი სარაცხ ტკბილად.

820. მგონიეს, რომელ სათანადო არს ესე,  
ვითარმედ ახლად ცნობად მომზიდველობა —  
მოძღუართად მათი, რომელ თან მიინერგნეს  
თუსთა გნოსისტა მოწაფენი შედგომით,  
ვინცა ახლად მივსცნე ძუელნი ცნობანი.
821. იპყრობს თუს შორის წიგნი წინამდებარე  
შეყვანილებას ჩემ მიერსა ქუეთქმულთად  
ხოლო სამგუართა ფილოსოფიისათა:  
კატილორიათ — ახლად ქმნილთა ჩემ მიერ.  
და პორფირითთა — ნამეორებთა ჩემგან;
822. კულად — სიმეტნეს — სჯულითურთ ჩემით თქმულთა,  
რათა თქუენ ჩემთა მოწაფეთა გონება  
მკუეთრი აღვლესო უმკუეთრეს ცნობათადმი  
და მოგცნე ჩემნი ახლად ძუელნი ცნობანი  
საჯსენებლად ჩემდა თქუენ ჩემთა მაგათ.
823. სამ-მეოცესა და მერვესა პარადრაფს  
პორფირიოსისს ხეი დავანაკუეთე  
სქიმად ახლითა მორფითა არ-უმეცრად  
და მუნ ცხოველი სძეს მოზარდისა ადგიდ,  
ხოლო მშუნველი ცხოველისად ვანაცვლე.
824. მაგრა ესენი თუმცა კანონთა შინა  
ესთავე სქიმებრ იცხადებნიან ჩუენგან,  
გარნა მშუნველი გაიგონე ცხოველად,  
ხოლო ცხოველი მოზარდად გულის-ქმა ჰყავ.  
მიზეზ არს ამათ სხუათა ბრძენთა მიბაძვა.
825. სწერს პავლე საღმრთო კორინთელთ პირველსა შინა<sup>1</sup>:  
„პირველი ადამ — სამშუნველად ცხოველად“.  
აქა მშუნველი სძეს ნაცვლად ცხოველისა,  
ხოლო ცხოველი — ადგიდ მოზარდისაცა.  
ესფერ გუთარგმნეს ჩუენთა ღრამატიკოსთა.

<sup>1</sup> I კორ. 15, 45.

826. ვინაცა ვკბაძვე ჩუენთა წმიდათა თარგმანთ ზემოწერილთა სახელთა კმეულ-ყოფა, ამისთვის ნუ ვინ უმეცართად მიგუაწერს. ვიცით, მშენველი მშენვიერი არს პსიხი, ხოლო ცხოველი კაცისა ნათესავი.
827. იქმნა ჩუენ მიერ ცნობაი ესე დროსა ირაკლი ბრძნისა, მეორედ წოდებულის მეფისა — ძმისა ჩემისა სატრფოისა, ბრძანებითავე მისისა სიმალლისაჲთ დაღებად ესე ჩუენთა წიგნთა საცავსა.

### თ ა ვ ი III

შეყვანილება ანუ წინასიტყუარობა  
წიგნისა „კატეხიზისისა“

828. არ მომწყინდების თქუენ თანა საუბარი, ჰოი ქართველნო, სიბრძნის შემეყუარებელნო! ალტეხილება მაქუს ნიჭად თქუენდა მომართ — შრომად, უბნობად, წერად, მეშაირობად, ამად ვითარმედ მიყუართ ჭეშმარიტებით.
829. ნამდვილ ჭეშმარიტ ზესთა-ყო ისმენს ამას, ვითარმედ თქუენთვის შეჩუენებულ ვყო თავი. არარად მგამის, არად შემირაცხიეს არცა თქუენ თანა სიკუდილი, არცა ტანჯვა; ვშურები სურვილით. არ დაეცხრე, ვირე ვიყო.
830. ვქმენ „კატეხიზმოს“ სარგებლად თქუენდა, ძმანო — ჩემთ თან-ნერგულთად, შვილთა თქუენთა ძმათადმი მომწოდებელმან სათანადოისადმი, ქრისტეანეთად კეთილ-მსახურ მცხოვრებთა. მიირთუთ, სარგებელ ყავთ ჩემთვის თქუენ ლოცვაი.
831. ეს ალჰქსნის ტაეპთ სიმეოლოჲსათ ათორთა, ღმრთის-მეტყუელურად აღმოაჩინებს იმათ, ხოლო სხუათაცა საღმრთოთა საიდუმლოთ ეგსახედ მათსა ჰყოფს აღმოჩინებასა ფილოსოფოსებრ, ყოელად დაურღუეველად.

832. რაც-ა საჭიროდ, თანა გუამს ქრისტეანეთ:  
რასაცა მივსწუთ, არა რაჲ დაუტევე  
დაუღებელად კატეხიზმოსა შინა —  
თეორეტიკა ანუ საპრაქტიკო  
ღმრთის-მეტყუელება. ამისთვის ვშუერ უცები.

#### თ ა ვ ი IV

##### ვაიტაჟია ღედისა ჩივისა ღედოჟლისა ელისაბედისა

833. ამან იმორჩა ძირისაგან ღავითის  
და მასვე ძირსა ღაემენა ზესთ განგებით,  
მეფისაგანი მეფესა შეეერთა  
და გვრგვნითი მივიდა გვრგვნადვე,  
რომლით განგება ზენაობს საღმრთოდ ესე.
834. მეფეთა სძლობა ძმათა მეფეთა ღობას,  
მეფეთ შვილობა მწყემსისა მშობელობას,  
სკიპტრა ქუეყნითი სოფლისად ჯუარცმა-ყოფას  
ზესთ-განჩინებით ეზავენეს ამის შორის  
და ქუე გვრგვნი ზენაისად იცვალა.
835. ელისაბედმან — ჩემმან სატრფომან მეშემან  
მშობელობით და უფლებით კელმწიფემან,  
ჩემ ზედა, თუ სთქუა, ყოველგნით მუფლებელმან —  
როს იგი სხიენი, ჩემდა გამონატეენი,  
ღამე კქმნა, მრჩობლით დამფარა უღლეობით.
836. ეპიტაჟია მიითუალე, მეფაო,  
იმისგან ნაქმნი, ვისნიცა სიბრგულენი  
გიყუარდეს პირველ ნაწლევით მშობელობით  
მის გონებისგან, რომელიცა ღმრთისადმი  
მირთმად გსუროდა უზადო უზადოხსად.
837. მოვედით, მსმენხო, იხილეთ ანტონისნი  
ტრემლნი, ნაზაენი სიტყუათა გლოვისათა,  
ვინ მკედრად ვპეულე სეფეთა ჩუენ მშობელთა;  
ამან წიაღი ჩემი მით ცალიერ ჰყო,  
როს ჯუარით ჩემებრ ჩემთან განსლვად ისწრაფა.

ეპიტაფია ღათა ჩემთა, მეფის ასულთა —  
ანასტასია და მარიაშისა

838. ჰოი, რაბამ არს ამისთვის თქმანი ჩენნი,  
ვითარმედ: კელი შეხებული კაღმისად,  
აღმოწებანი ჩემნი უფროსად ნაჯღლის,  
ლექსთა შეწყობა, მნიშნველთა მოგონება  
ყოვლად მქისე არს, მწარე დაუთმენელი.
839. მოვედით, მეცნო სიყრმისა ჩემისანო,  
ნახეთ წალკოტი მშობელთა ჩუნთა მეფეთ,  
ყუაველნი, ძირით დავეთისით ნაცენნი,  
ეარდ-მეწამულნი, ია-შროშან-ნარეენი,  
მკილნი მანგლითა ხრწნალებისაჲთ მძუნვარედ.
840. ესენი ფშუდეს, სუნნელებდეს ჩემდამო;  
განკმეს, ლპეს, დაჯნეს; აღარ არიან, მე ეარ!  
სადაფნი იგი — ბუდენი. მარგარიტთა,  
სხეული მათი — მპყრობი შეენიერ ასოთ  
იხრწნა მძუნვარედ საბავთო-სატირაღად.
841. არ მრცხუნის თქმანი თქუნთუს მე გლოვისანი;  
ვინმცა ისმინონ, არ მკლემის არაეისგან,  
ამად ვითარმედ თქუნ — შეილნი მეფეიანი,  
ორ-მეფობითთა ძირთაგან ნაწარმონი,  
ყრმანი ჰასაკით, შეენიერ მორფ-ნაკუეთით.
842. ანასტასია — აღდგომის თან-სახელო,  
ეს ჯამდა შენდა, რათა გრძელს ცხოვრებასა  
მისწუეთ სიმრთელით, მოგესლო ჩემდა ცრემლნი;  
შენ დაჰქედ ადგიდ დაეიწყებისად მწარედ;  
მე დამიტევე მეცნთაგან შესაწყაღად.
843. შენდამი ჩემი, იცოდი, ტრფიალება  
არ-მცირე იყო, განდიდნებოდა ფრიად,  
ამად ვითარმედ მეფეთა შენთა მეშეთა  
შენ ჩემდა მოგცეს საკუთარ უსაკუთრეს.  
მწყუროდი, გტრფობდი, ეხარობდი, გახარებდი!

844. შენ მიყუავოდი კიპაროს ვარდ-დამყნილი;  
 შენ – შროშან ფერით; სპეტაკ-ნარევე ყარამფილ,  
 შენ – თმით ლადანა, იასპ-ნაზავე მარგარიტ,  
 შენ – ქრისტეს სჯულთა მეცნიერ, მკაცრვით დამცველ –  
 არღარა მივი, ვარ საწყალობელ ამით.
845. შენ – ჩემდა სუნნელ, ჩემდა შუენიერება,  
 ჩემდა დიდება, ჩემდა ნათელ-სიხარულ,  
 ჩემდა მზე-მნათობ, ჩემდა დღე დაულამო,  
 ჩემდა სიკეთე, ჩემდა ბედნიერობა –  
 არღარა მივი, ვარ საწყალობელ ამით.
846. მარიამ – კეთილ ტრედო სოლომონითო,  
 მადლის თან-სეხნავე, მოკრძალებული სიმკაცრით,  
 ჩემო წალკოტო, საცილებო არვისგან,  
 მე შენსა შენდა ნასაკუთრევს ბუნებით,  
 მახარე შენდა, იხარე ჩემდა მომართ.
847. შენ ასულობა დავითისი სამართლად  
 მოგმადლა ღმერთმან, რამეთუ შუენიერად  
 ხარ შენ აღგებულ, ლამაზ-მიმადლებულად;  
 გშუენის შროშანი, ნაზავე ფერით ვარდსა,  
 და მარგარიტნი – იაკინთს თანა კშირად,
848. ვაი არს ჩემდა, მივხედო რაჲ საფლავსა  
 შენსა შემცველსა, სად ნარნარ კიპაროსი  
 გარდაქცეულე, რტო დაცვივნულ-დალპობილ.  
 იანი შენნი აღარ ჰფშვიან სუნნელთა  
 და კბილთა ფერი ბავითურთ წარგქდომიეს.
849. შენ სადა წარხველ, ჩემდა მწუეთი მურისა?  
 მე სად დამაგდე მარტოდ მტერთაც შესაწყალ?  
 შენ თავსა ეჰფიცავ, შუენიერი სხუა ვინმე  
 ღაწუ-წარბ-წამწამთა, თუალთა ვნახე ვერავინ.  
 სად დაჰკედ, მზეო, ანტონის გულს-სალახუროდ?
850. თქვენ ორნი ეგე მართუენი ტრედისანი  
 სოლომონითმან შეგიწყნარნა ბუდემან,  
 აქა – წილმან სადავითომან ღირსად,  
 ზენა სიბრძნისა ღმრთისა სასუფეველმან,  
 ამაღ ვითარმედ ყრმანი წარხვედით აქამთ.

851. ვჯედ რად კელლინსა ჩემსა უქმად ოდესმე,  
 მოცლილი სხუათგან აზნაურთა სწავლათა,  
 დაცსნად უქმობის გამოვიხატე ესე  
 სტიხთ-მოქმედება, შესაქცევ გონებისა  
 ქუე-მდებარისა უქმთა მოძრაობათა.
852. ღმრთის-მეტყუელება დავსდევ წინასა შინა,  
 ამად ვითარმედ სათანადო არს ქმნილთად  
 ყოველსა შინა სიტყუასა პირველ ქება  
 ზესთ-არსის, ნათლის განუსაზღვრებელისა,  
 სამადლობელად მყოფელ-მარსებლობით.
853. საიდუმლონი საღმრთონი ჩუენდა მომართ,  
 თანა გუამს, რათა გუაქსოვდეს მარადისად.  
 ამას გუასწავებს სჯულთაცა შინა მოსე,  
 ისრაელთადმი მეტყუელი, ღმრთის-მზრახუელი.  
 ამად ვისიტყუენ მეცა საიდუმლონი.
854. სატრფიალო არს კსენება მისი, ვინცა  
 ნამდვილ სატრფოი შუა კორციელად ჩუენდა;  
 დიდება მისი ან მოსწავება წინამთ  
 თანა გუამს ცნობად, ყოველთადმი უწყებად.  
 ესე არს მიზეზ მეორისა ნაწილის.
855. ეგ სახედ ჯუარი — დიდება ქრისტე ჩემის  
 და მოსწავება მისი ბუელად იგავით,  
 ძლიერებისა მისისა ნიშ-მალლობა  
 ყოვლთა ვაცნობოთ, ვის თუთ ცნობა ვერ ძალ-უქმთ.  
 ეს დამიდვიეს ნაწილსა მესამესა.
856. მეოთხესა რად შინა ეპიტიკოსობ,  
 მეგობართათუს პირველისა ნათლისათ,  
 ან მეორეთა ანუ მესამეჲათუს,  
 ამად ვითარმედ მეგობარნი ღმრთისანი  
 სადიდებელად არიან მორწმუნეთად.
857. გვქმდა ესეცა ჩუენთათუსცა წმიდათა,  
 კსენება მათი არ-დაეიწყებად, ქებად,  
 ამისთუს ვჰლექსენ მათთუსცა განმკარგველმან;

ეგ სახედ — ჩუენთა მეფეთა ღირსთა ქების,  
მწერალთათესცა და თარგმანთა და ბრძენთა.

858. წილი მესუთე არს ქართველთა წმიდათად,  
ხოლო მეექუსე — მეფეთა ქართველთადმი,  
კუალად მეშუდე — მწერალ-დრამატიკოსთად  
და კაცთა ბრძენთად, ცნობად ქუემდეგბარებთად  
და ზედ-დართული სხუათათესცა მიზეზთა.

359. ჩემ ანტონისგან პირის-პირად ესენი  
დალექსულ იქმნნეს ასეულად ნაწილნი.  
წილი მესუთე და მეშუდე მრავლობენ  
ას მუკლთა ზედა რაოდენითმე ოცით,  
ანუ ათითა რაოდენითა რიცხუთ.

860. იყავნ შენდამი სადიდებელად, ქრისტე —  
სიტყუაო ღმრთისა, მხოლოდ-შობილო სიბრძნე,  
თანად მამითურთ და ყოვლად წმიდით სულით  
შენდა პატივად, შენდა თაყუანის-ცემად  
აწ და ნიადაგ და საუკუნოდ! ამინ.

---



ღ ა მ ა ო ე ბ ა

„წყობილსიტყვაობის“ ხელნაწერებში დაკრულია ანტონ ბაგრატიონის მოწაფეთა და გვიანდელ გადამწერთა იამბიკური ლექსები, რომლებშიც შექებულია თხზულების ავტორი, როგორც გამოჩენილი მწერალი და მოძღვარი. ეს პირები იძლევიან საინტერესო დაკვირვებებს „წყობილსიტყვაობის“ აღნაგობისა და შინაარსის შესახებ, აგრეთვე მნიშვნელოვან ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ ცნობებს ანტონის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე. მათს იამბიკობს დამატების სახით აქვე ვაქვეყნებთ.

ი. ლ.

## წინასიტყუაობა

წინამდებარისა წიგნისა ხუთთაეკოვანთა სტიხთა  
ანუ შაირთა, ქმნილი გაიოსის მიერ არხილიაკონისა

01. წინსიტყუაობით შეყვანილებათა რაჲ  
ვაწინმდებარებთ ანტონი ყოვლად ბრძნისთა  
შუენიერ თქმათა — სტიხთა წყობილ-სიტყუათა,  
შუდ-ნაწილედთა სხუა და სხუათ თავთა შეცვით,  
შუდ-ასეულთა შაირთ ხუთ-ტაეკ-ქმნილთა.
02. ესერა საღმრთო, ბრძნად-გამომეტყუ სტიხთა,  
ყოვლად სასურეთა ლექს-შუენიერ-წყობათა,  
ყოვლად სატრფოთა, ყოვლად ბიბინი ლექსთა,  
მსგავსებრ ანთრაქთა, მკამკამებელ სიტყუათა,  
შუენიერ თხზვათა, სტიხირონებრთა თქმათა.
03. ესერა მწყემსი სამლუდელო, მლუდელთ-მთავარი,  
ბუტკ დავითისი, მეფეთ შარაჲანდელი,  
არვეთა მმწყსელი, მსტუენი, ტკბილ-სასმენთ მოქმელი,  
ლექს-შუენიერი, არნადი შემხუაველი,  
სამ-დიდებული, ბრძენთ შორის ძუელებული.
04. ბრძენთა ვინ ქებით იტრფობის ჩუენდა ზედვით,  
უგალობს ჟღერვით, ლექსთა ძლით მკობილებით,  
სიბრძნისა ცემით, ყოვლად სასურე არს სმენით,  
აღძრცულით ზედვით, სიბრძნისა მონიჭებით,  
გრიგალი ქროლვით, ცეცხლებრ მბერვალებით.
05. მპყრობი თუხ შორის, წყობილნი თქმანი ესე,  
ქებით მსიტყუავეი ზესთ-არსისადმი ცნობის,  
ზესთ-სახიერის, ზესთა სავისისა ნათლის,  
ზესთ-მოგონების, ზესთა სიტყუსა წართქმის,  
ზესთ-წყარო მყოფის, ცხოვრების მქონებელის.

06. ერთ-მყოფ ნათელსა სამად ასხუაევებს ესე ართუ არსებით, ანუ კუალად ბუნებით, არცა ღმრთაებით, არამედ — ოდენ გუამით ერთსა მიზეზსა ორთ მიზეზიოვანთადმი, რომელ არს მამა, მიწეზ ძისა და სულის.
07. კუალად ზრახვათა, უკანასკნელთა უამთა, ერთ-სამთაგანის შთამოსლევს ხატსა შინა, სიტყუსა ღმრთისა, ჯორცთა ტაძრისა ქმნასა, შეერთებასა ორთა შინა ერთისა, ერთ ქრისტედ მკმობსა, მრჩობლადმი ცნობილსა.
08. ესთავე მისთა ღმერთ-მამაკაცებრ ქმნათა არა-შემრევი შემოქმედებრთა ქმნილთად, არამედ თვსთად მიმცემი განუყრელად, ვითარ უზნობენ თეატრთა მამათ კმანი მოცემით კრებით მსოფლიოთა წმიდათა.
09. მეორედ წევრად იქონებს მოსწაევებათ წინათა თქმათა ღელისა უფლისათა, უზრწნელად ვებად და ყრმისა მაწოებლად, ღელად წოდებად და ქალწულად შესქენად, უმაღლეს ყოფად ანგელოსთაცა წყობად.
010. ესთა შედგომით მძნობი სულით მბერვალით შესხმად მისდამი და მოსწაევებად წინაით, რომელი იქმნა დიდებად სიტყუსა ღმრთის ყოვლად წმიდაი სამ-ნაწილედ იჯუარი და საღმრთო კუართი, უკუდავების ქადაგი.
011. ეს სახედ გუაწევებს ძნობით ქებასა მათსა, რომელთ მეგობრად უწოდა ღმერთმან თვსად და კუალად შეილად თანა-მკედრობით თვსად, რათა მეოხად და მფარველ იქმნეს მისდა, რომელმან მათთვს ჰქმნნა სტიხნი შაირულად.
012. ესთა კარგსა ჰყოფს მათთვს განწესებითა, პირველ მძნობელ არს უკუდავთა, სხუა ნათელთა მიუდრეკლობით, თვთ მკელმწიფებელ ქცევით, ნათელ მეორე, მნებებელ-გულისკმიერ და ესთა მეცნავ ძალთა უხილავთათვს.

013. კუალად მებადურთ, სახარებისა ბადით, სიტყუსა ხილვით და კელით მსახურებით, ეს სახედ მსურველი მამათა ძისა ხილვის, წინასწარ-მეტყუელი კრებათა შეენიერთა უგალობს ქებით შესაფერ საკმაობით.
014. მოციქულებრთა მადლითა ქმნილნი მწყემსნი, ეკლესიისა ოზრვანი — მღუდელთ-მოძღუარნი, მოწამეთ გუნდნი, სისხლითა მეწამულნი და აღმსარენი ქრისტესნი, ყოვლად ბრძენნი, ღუაწლის დამდებნი, უბიწონი სულითა.
015. კორცებრთა ნებათ, ყოვლად ჭიმ-მეადურეთ, ღირსთა წმიდათა, ქრისტესად შემდგომელთა, არა მრულებთა, სიძისადმი მეჭურეტთა, საღმრთოთ ქალწულთა, ყოვლად ნეტართა გუამთა იმეოხ-მრთელებს ყოვლად ნეტარი ესე.
016. გონებათ მწიკულთა მფიწლველნი ყოვლად სრულად, მართალთა მწყობრნი, უნჯნი უმანკობად, ეს სახედ ჩივლნი, უბიწონი გონებით, კრებულნი, ქმნილნი იესოს ყრმაებულის მარად ღმრთისადმი წინაშე-მდგომელობით.
017. კუალადცა ყოვლად შეუდგების სჯულთავე, ღირსთა წმიდათა, ყოვლად ბრძენ-წინამეთქუთა, რათა ფარვითა არა-ღუმილ სცეს იმათ, რომელთა ელეს რა საჭირო ფართობით და თავნი თვისნი ჰყენეს შეწირვად უფლისა.
018. ესთა ტიხთათუს სიბრძნითა ჰკაზმავს სტიხთა, ადგილით თვისით აღმონამორჩთა მტილთა, ყოვლადვე რწყულთა სისხლითა მოწამებრთა, ანუ მართალთა და ახოვანთა მკნეთა, ღმრთისადმი მსრბოლთა, ქართველთა აღმომზეთა.
019. რტოთ მისდა ქმნილთა, ვინ მამად ღმრთისად ითქუა, ღირსთა საქსენთა მეფეთა ქართველთასა, ღუაწლ-შემოსილებრ დამდებთა სულებისა, თვისთა მამორჩთა, წალკოტთა შეენიერთა, შეთხზვით ყუავილთა მრთელობს მათდამი ქებათ.

020. კულად მზუებს ცუარებრ ყოვლად შუენიერ ლექსთა  
 მათდამი ოდენ, რომელთა სცეს მიზეზი  
 სიბრძნისა ქმნითა, წერილთ თარგმანებითა,  
 სტიხთა კმობითა, შაირთ-სიტყუაობითა  
 ტკბილ-საამოვნოდ, სასურე-საწადელ-სატრფოდ.
021. შუდ-ნაწილელი წიგნი წყობილ-სიტყუათა,  
 შუდ ვარსკულაე-მნათი, პერობილ ყოველთ მექმისათ:  
 ოთხნი კერძონი რიცხუთ რვა ერგასობენ,  
 ოთხთ ცხოველთ სახე, აღსავეს თუალებითა,  
 ზესთ-განცხადებით ხილული ღმრთის-მეტყუელთა!
022. პირველ ნაწილი რიცხუთა ასეული —  
 მსგავს ცხოველისა, ლომად წოდებულისა.  
 ესთა მეორე რიცხუთა მექონ არს მათევე  
 და მოაქუნ სახე მეორისა კუროის,  
 მჟღერნი ტკბილ-ჯმათა სამ-წმიდათ გალობათა.
023. კულად მესამე რიცხუთ ასეულობსევე,  
 მორფ კაცის მქონებ, სულითა შემოსილებ,  
 ხოლო მეოთხე რიცხუთა ასეულობათ  
 იფრთეჭუეშეობს სახითა არწივებრთა  
 ორთა თან-მკმებნი, მჟღერნი ტკბილებრთა ჯმათა.
024. ნაწილ შემდგომნი ხუთ-ექუსად-მეშუდენი,  
 სტიხნი ას-ასნი, რომელნიმე არნ მეტნი,  
 წერით საამნი, სმენით არ-საწყინანი,  
 გარდა წმიდანი ბაგენი არ-საახნი,  
 არცა ჩემებრნი, საკადრ უცენი თქმანი.
025. აღმცისკრებელი ორბობს, — აწ იხილე მჭურეტ,  
 ნ ა თ ლ ო ბ ს ბრწყინვალედ, არა ნაპარალობს და მეწყ,  
 ტ ა ლ ა ნ ტ საცნო- მყოფ აწვეა უფლისა მიმრთე;  
 ოქრო-ნე ქტარი, მრწყუელი ესე ს ა ხ ე დ ვ ო ;  
 ნათლისა ხარისხ, ოქროს ქვა აწ ი ჳ ვ რ ვ ო ბ ს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> 021—024-ე სტროფებში „წყობილისიტყუაობის“ სტრუქტურა აღწერილია იოანეს „გამოცხადების“ მე-4 თავის მიხედვით (შდრ.: 4, 5—8).

<sup>2</sup> კიდურწერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს: „ანტონი სტიხოზს, მოწაფე წინასიტყუობს“.

026. გონებას მჭურეტსა, უესოსა მას ნათელსა,  
არსსავით მხედსა, გარნა ნიეთთა მხილველსა,  
იხილავს ბრძენსა, სტიხთა ტკბილ-სასმენელსა,  
ორფეოს მთქმელსა, შემდგომთ არსთ უგრძნობელსა,  
სულისა მზესა გიძნობ მოწაფე მთქმელსა<sup>3</sup>.

---

<sup>3</sup> კილურწერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს: „გაიოს“.

## ა ნ ღ ე რ კ ი

### იაგზიკოვნად ქმნილი მცირისა ტრიფილესგან ღიაკონ-მონაზონისა

027. ეს წყობილ-სიტყუა განკარგულ-ქმნილ, თხზულ-ლექსულ არს ანტონისგან ყოვლად ბრძნის, ბრძენთ უბრძნესის. ვექუემდებარნეთ, ვაჩუენთ შესმენილად ჩუენ ზედა ესე საწად-სასურვ-სატრფოი, როს-იგი მივსწუთეთ, სისრულედ მივიწივნეთ.
028. ხუთნი საგრძნონი ორღანონი ამისთჳს ვიკმივნეთ, მსმენხო, რათა ვსცნათ ბრძნად აღნაქუსნი; თუალით ვიზილნეთ, ყურით ამოდ ვისმინნეთ სმენილნი ბრძნულნი, ვიყნოსნეთ სუნად სუნნელ, რათა მგემებთა მსწრაფლ შეხება ვჰყოთ ამისდ.
029. ეს ოქრო-ნილოს, უშრეი, უხუად მდინარი; ეს ოქრო-სიტყუა, სწავლათ წუმ-მომდინარი; ეს ქრისტეს პირი, მწურ-სავსთ ბაგეთ მკუდინარი; ეს ღმრთის-მზრახველი, გულ-მძიმეთთჳს მყსინვარი; ზესთ იარარხებს, აქ მრავალ-წყლულ-მთმინარი.
030. ჰოი ანტონი, პირო ოქრო-მაწუეთო, ოქროჲსა ნესტეო, ოქრო-სხიეთა მომფენო, ოქრო-ენაო, ოქროს ცუართა მაცურეო, ღმრთის-მეტყუელ აღძრცულ, ზესთ მეაკროსტიხ-სოფოს, კსენება შენი იყავნ უკუნისამდე!
031. რაბამ საკადრნი სიტყუანი გიძლუნეთ ძეთა სხუა ოქროპირსა ჩუენდა ანუ სხუას ჰავლეს: მეფის ძეებრნი ანუ მამათ-მთავრებრნი? ვინ აღჰკედ ჰავლებრ სიბრძნით ცადმდე მესამედ, მოწაფე-ქმნილი ზესთ-მყოს პირველის ნათლის.



032. დღეს ესე მსგავს არს დღისა მეერგასისა  
ჩუენთუს ანტონი, ახალ მეტაფიზიკოს;  
მუნ ზეცის-მეტყუელ ჰყენა სულმან მოციქულნი,  
აქა შენ მისებრ უვიცნი მეცნიერ გუქმენ,  
როს მზედ მეორედ ინათლის-მთენე ჩუენდა.
033. სახელწოდება შენ, უწმიდესის მაგის,  
ქმნილ-სიტყუერ არსთ ეზესთაების ყოვლად.  
არ მთქმელ ვარ მხოლოდ ჩემებრ გლან-გონებათაჲ  
რიტორთას ვიტყუ ფილოსოფოსთა რაღა,  
ჰოი ანტონი, მჰვერ-მეთქუ, სოფოსთ-სოფოსო!

## ეპიტაფია

უნეტარისა და უფმიდისა ყოვლისა საქართველოდსა კატ-  
რიარხისა და ჩლენისა უფმიდისა სინოდისა, დავითიან-ბაბრა-  
ტოვანისა, მუჟის კისა ანტონისი, ღიღასკალისა და ღირაქტო-  
რისა ყოვლისა ივარიისა და ყოველთა საქართველოდსა სპინა-  
რიათა, ქმნილი უღირისა მოწაჟისა მისისა იოანე ოსეს კისა  
მიერ, ხუცისა და იკონომოს-დეკანოსისა სინოდისა, შაბარვალსა  
29, წელსა 1788<sup>4</sup>

034. ნამდილ არაეინ მკადრე იქმნას შენდამი,  
ჰოღ უწმიდესო მამათ-მთავარო ჩუენო,  
ეპიტაჟიის თქმად ანუ გამოწერად,  
უკუეთუ არა მოეგოს გრიგორისი  
სული და მისებრ მახლობელობა შენდა.
035. მაგრა შენ, სავსე ვასილისებრიჲ სულით,  
ჰხედავ სულეზსა შენ-ძლით ნამუშაქვესა,  
თუ ვითარ შენგან ობლად დატყევებულნი  
მიმოიზილვენ და გეძიებენ მამას,  
მაგრა განეველტო ძიებული მძიებთა.
036. საჭიროდ ესე შეუდგეს მძიებელსა,  
უკუეთუ ვერდა მისწუთეს გულის-სათქმელსა,  
იქმნეს მწუხარე და ჭმუნვით აღვსებულ;  
გოდებანი და გლოვანი ედიადნეს  
და ცრემლნი ექმნეს შეუშრობ სიკეთეთა.
037. შენნი მძიებნი საქართველოდსა ერნი,  
ჰოღ უწმიდესო, მამათაო მამაო,  
ვერ მიმთხუეულნი გულის სათქმელისანი,  
სწუხან და სჭმუნვენ, იგლოვენ და გოდებენ,  
რომელთა პირად ვექმენ მე — მგლოვარეთა.

<sup>4</sup> ობეკლება C ნუსხის მიხედვით (ფ. 105r—112r).

038. და თუ რამე არს მგლოვარებაი მათი,  
 ანუ რაიმე მიზეზი მწუხარების,  
 ესე უწყიან ყოველთ მსმენთ გონებათა.  
 მზე მისდრკების, რა შემოვალს ღამე ბნელი,  
 და აღმოჰკდეს რა, კუალად — ღლე და ნათელი.
039. გამოგსახა შენ შენთ მხედთ და მსმენთ გონებამ  
 მზედ სიტყურად ერთა საქართველოჲსთა,  
 მთოვარედ სავსედ ევროპიისათა მათ,  
 მთიებად წმიდად აზიელთ ნათესავთა  
 და აფრიკელთა კრონოსებრ ზედ დამჭურეტელთ.
040. განმრავლდეს აჰად მგლოვარებანი ჩუენნი, ●  
 რამეთუ იქმს მზე მოელასა თუსსა იგურდიე —  
 ცისა თუსისა და მერიდიანისას  
 თთუესა ათ-ორსა, ოთხთ დროით განკაზმულსა,  
 ათ-ორთა ზოდთა ანუ ეტლთ გარეშეცვით.
041. ხოლო შენ, მზეო საქართველოსაო,  
 არღა მოიქეც მერიდიანსა აჰას.  
 სოფლისა ამის მო-რე-მგრეუალებისასა,  
 დაღათუ ეტლნი შენნიცა ათ-ორობენ,  
 რომელთათუსცა აღრიცხუად განვემზადო.

\* \* \*

042. ე ტ ლ მზისა პ ი რ ვ ე ლ ვ ე რ ძ ი ვიცანთ და შენი  
 სიყრმე ვამსგავსე ვერძისა ბუნებასა,  
 რამეთუ ვერძის ბუნებანი ეუწყნით ჩუენ;  
 სიმშდლითა და სიწრფოებით განკაზმით  
 ჰმსგავსებდა შენი სიყრმე ვერძის თუსებას.

\* \* \*

043. მ ე რ ე დ ვიცნობთ ე ტ ლ ა დ მ ზ ი ს ა კ უ რ ო ს ა ;  
 ესე კუროი აღრითგანვე ხილულ არს  
 ეზეკიელის ბრძნად წინა-მეთქესაგან  
 და კუალად ლუკას სახარებისაგანცა  
 შესაწირავად და მსხურჰლად გამოსაზულ.

044. ვამსგავსე ამას სიჭაბუკეი შენი,  
რამეთუ დასწვენ საკურთხეველსა ზედა  
ყოვლად წმიდასა ღმრთისასა მსხუერპლად წმიდად  
სიჭაბუკისა შენისა ყუაეილნი და  
როზულ-ფურცელნი და რტოვანი კუროებრ.

\* \* \*

045. მესამედ ცნობილ ეტლად მზისა კირჩხიბი.  
ამისნი ჩუენდა ცნობილ არს თუსებანი,  
რამეთუ ყოელით ძალითურთ შეემსჭვალვის,  
რაისადმიცა მოკიდულ არს ფერჯითა,  
და სხუსად ამის გარდაცელა არს საეჭველ.

046. ემსგავსა ამას მკცე-ყოფა შენი წმიდა,  
რამეთუ შენნი ფერკნი, მახარებელნი  
მშუღობისანი, დამსჭვალენ, რომელსაცა  
არღა სადავე გარდაუელმენ სხუადმი  
მიმოკუეთებად მკცისაგან სიჭაბუკედ.

\* \* \*

047. მეოთხედ გუთხრნეს მზისა ეტლობა მრჩობლის.  
ამისნი თუსნი და თუსებანი ტკბილნი  
ზედა წარწერამ და სახელ-ნართაულმან  
გუაცნობა ნათლად, რამეთუ შეუღლვილნი  
მრჩობლნი ერთობით დასტკებებიან თანა-სწორ.

048. აქა სივრცემან მაიძულა შემოსლვად,  
რამეთუ შორის შენსა მრჩობლედობანი,  
არა ერთგზისნი, არამედ სხუა და სხუანი,  
წარმოსდგებიან ფერად-ფერადად მშუენნი,  
რომელთასაცა შემსგავსება მიღირან.

049. ემსგავსებთან შენ შორის მრჩობლობანი  
მისსა შენნიცა მეფის ძეობისანი,  
რამეთუ დიდნი ტომთა შთამოსირვანი  
დიდთა მეფეთა შენ შორის შეიზაენეს,  
ვითარ ნეკტარი ორთა მდინარეთაგან.

050. სხუა მრჩობლედობა შენ შორისი მსგავსივე სულისა მაგის, ყოვლად ბრძნის უზადომა, და ჯორცთა მაგათ წმიდათა უმწიკულოთა შეერთებაი იქმოდენ მესამესა, არა-სავსესა სავსედ წარმოდგომილსა.
051. ესე ზოდღურება ვინმცა უწყნის სავსებით, თუ არა შენი სული უძლოდეს ამისდ? ამათგანისა ერთისა სულის ძალი, გონებად მგონედ ცნობილი გონიერთაგან, შემრჩობლედობდა შენი საღმრთოს ხედვისდა.
052. ესე ვამსგავსე მრჩობლედობაი წინათ თქმულესა, აჰად რამეთუ უსაშუველოდ შემსჭვალულ გაქუნდა გონება საღმრთოხსადმი ხედვისა ესრეთ, ვითა ჯორცნი სულისდა, და დასტკბებოდენ ნაცვალ-მიმცემელობით.

\* \* \*

053. მე ხუთედ ეტლად ვიცანთ ჩუენ ლომი მზისად, ესე ძლიერი და მეფე მკეცთა შორის. ამისნი თუსნი ცნობილ არს ცნობილთაგან. ესე სახე არს მეფობისა მალლისა და საუკუნოდ მეფობის ძისა ღმრთისა.
054. ამისი ჯმაი, ვით გუასმიეს, შემოჰკრებს მკეცთა ყოველთა და შეაძრწუნებს რისხუთ. წერილ არს: „ლომმან იყვირაო“ — და ვინ არ შეშინდეს მისგან, რომლისათუსცა ესე სახედ დაიდვა მალლისა საიდუმლოჲს?
055. შევარაბამე ამას მღუდელობა შენი, მღუდელობა იგი მოციქულებრი წმიდა, ყოვლადი ყოვლად და საყდარსა მდგომარე, მოციქულებრსა წმიდასა კათოლიკეს, რომლითა მდიდრად გარდასცემდი სხუათაცა.
056. მღუდელობა ესე წმიდა და უბრალოი, დაღათუ აქა წარდგომილი გრძნობადად
20. იე. ლოლაშვილი

ქუნასა ამის საკურთხეველისადმი,  
გარნა ხედვითა საცნაურობითითა  
ზენასა მიმართ წმიდისა წმიდათასა.

057. ამით მღუდულობით უსაშუალობითით  
წარსდგებოდი რა ხედვითა სულისაჲთა,  
ადიყვანებდი ოხასა ღმრთისა მიმართ,  
სწორ-ზომით მსგავსად გადმოიყვანებდი  
მეედრი ერისთვის ღზინებასა ზოგადად.
058. ხოლო კმა-ცემა საყვრისებრი მაღალი,  
გრიგორისებრი ანუ კრილეებრი,  
დოღმატთა მაღალთ სამართლ-მადიდებლოთა  
ზარ-სცემდა ლომებრ მკეცთა მათ მწვალებელთა  
და დაუქშიდა ჯოჯოხეთის ბჭებთა.
059. ესე ჩუენ შენგან განგუემარტა, მამაო,  
თუ ვითარ არს კლდე წმიდა და უბიწოი  
სარწმუნოება აღმოსავალისათა  
და პირნი იგი ბოროტად აღბორგვილნი  
მწვალებელთანი — ბჭენი ჯოჯოხეთისა.

\* \* \*

060. შევისწავეთ ჩუენ მ ე ე ქ უ ს ე დ ე ტ ლ ა დ მზისად  
ქ ა ლ წ უ ლ ი ს ზ ო დ ი, რომლისა თვისებაი  
საცნაურვე არს მრთელ-ცნობიერ კაცთაგან.  
ამას თუთ შენვე შეასწორ-არაბამე  
მონაზონება მიღებით საფლავადმდე.
061. ესე არა მე შეგიმსგავსე, არამედ..  
თუთ-ნებებითა და თუთ-ჯერჩინებითა  
ახატე შენი მონაზონება წმიდა,  
ანგელოსებრი მოქალაქობა იგი,  
ზოდიაქოსა ქალწულისასა წმიდად.
062. ქალწულსა შენი ვამსგავსო ქალწულება,  
მით რომელ შენი ცხოვრება, სამ-ნაკეცსა  
მღელვარებასა სოფლისასა შესრული,

შეიყვანე შენ ნაცსა ქალწულისასა  
და დაუნთქმელად წიად-ვლე მღელვარება,

063. ესრეთ ვითარმედ: შეემოყვსე სიყრმესა  
მონაზონებრსა სიმჭირსნესა ძლიერსა,  
ესე მოიგე მამად სიჭაბუკესა,  
ხოლო მეგობრად მოხუცებულობასა  
და სამარხოდცა თანა შთაისამარე.

\* \* \*

064. ვიცით მე შენ დედისასწორი ეტლად მზისად;  
ესე ასწორებს უმეტნაკლოდ ნივთებსა.  
მსგავსადე ესე დღესა და ღამესაცა  
ამარიოტებს თუსით გრკალით მხედველი  
და აძლევს სხეულთ სწორ-ზომით შესაბამებთ.

065. ვამსგავსო შენი რიტორ-მჭევრ-მეთქუეობა  
სასწორსა სწორსა, უელმოსა, მართებითს,  
უელლიპტიკოს ეკლიპტიკასა სრულსა.  
მჭევრ-მეთქუეობა ესე გაქუნდა უფრომსლა  
ყბა-ცოფიერთა მწვალებელთ კბილთ შთამუსრვად.

066. პონანნი შენნი — რიტორებრნი მალაღნი,  
წინა-აღმდგომთა გონებათ უძღურ-ჰყოფდენ  
და განკარგვანი სირცხვილით ალაესებდენ;  
უხუ-სიტყუაობა უკმო-ჰყოფდა თევზთაებრ,  
მეკსიერება განაცვიფრებდა ყოვლად.

067. გამოღებანი შენნი უსაკრველეს,  
თანხმობითა მით წევრისაფთა შუენიერ.  
ესე მისცემდა მხედთა და მსმენთ გულებსა  
შუებასა დიდსა და მოინადირებდა  
არა მხოლოდ მთნებთ, არა-მთნებთაცა მათთა.

\* \* \*

068. მერვედ ეტლად თქუეს ღრიანკალი მზისადე,  
რომლისა გესლნი ცხად-ჰყოფენ თუსებასა.

- ამისსა გესლსა, წარმოთხეულსა კაცთად,  
 ვითარითაცა აღსწებენ ჯელოვნებითა,  
 დააამებენ წერტასა და ტკივილსა.
069. ემსგავსა ამას ფისიკოსობა შენი,  
 ფისიკოსობა ხედვითი და საქმითი,  
 და უფროისდა ვნებათა სულისათა  
 მკურნალობაი სხეულთა წილ სულისა  
 მოიგე მდიდრად მოძღურებითა მაღლითა.
070. მკურნალთა მიმართ ფისიკოსთა მაღალთა  
 საჭირო არს-ყე, რათა უწყოდენ ძალი  
 ნივთთა ყოველთა და ბუნებაი მათი,  
 ცნობა სხეულთა და სენოვნებანიცა,  
 რომელთასაცა შეკმზადებდენ წამალთა.
071. შენი ამისდა დაჯელოვნება ესთა  
 გარდასცვალე, ვით გარდასცვალენ ჯორცითნი  
 დიდებანი და სოფლისა მეფობანი  
 სულითთა მიმართ, დიდება მეფობათა  
 და იქმენ მეფე სულთა და განმკითხველცა.
072. ფისიკოსობით სულთა მკურნალობითით  
 სულისა ღმრთისა მიერ მომადლებული  
 ნიჭი მოილე, რომელთა განკითხეა სულთ  
 ამით მაღლითა და დიდით ჯელოვნებით  
 ჰკურნებდი სულთა და სულთ ფისიკოს იქმენ.
073. რეანი არიან საკმარნი მკურნალთანი,  
 ორლანონი და მწმედნი სენოვნებათა,  
 რომელნი შენგან დალექსულსა კიბესა  
 აღმოსთქუენ იგი და შეარაბამენცა  
 სულითნი გუარნი მკურნალობისანი მას.
074. ესე შენგანი მოძღურებანი ჩუენდამო  
 აღასრულენ შენ თითოეულნი თითოდ  
 სნეულთა ზედა სულითთა და განჰკურნენ,  
 რომლისა ძლითცა მეცა სნეულთაგანი  
 აღმადგინე შენ მკურნალობითნი სულითით.



075. მ შ უ ლ დ ო ს ა ნ ი ც ა მ ე ც ხ რ ე დ ვ ს ც ა ნ თ მ ზ ი ს ა ე ტ ლ ა დ -  
არის ამისი თხეება სახელოვან:  
მოზიდავს მშულდსა. მკლავითა ძლიერითა  
ღერკულესებრით ანუ ღერკულეს მისგან  
და ჰმსჭვალავს ისარს გულსა წინა-მეწყუთასა.
076. ამისდა მიმართ შევამსგავსე მე შენი  
ნამდვილ მაღალი ფილოსოფოსობაი,  
ამის ნამდვილის ფილოსოფოსობისა  
მშულდის საბელსა მოზიდვიდი მკლავითა  
ყოვლად ძლიერით სიბრძნისა ღმრთისათადათა.
077. ესე საბელი მაღლი სულისა ღმრთისა  
მშულდსა მას ზედა სიბრძნისა მის ღმრთისასა  
მაღლისა ამის და შენ შორისებითა  
გარდააცუ ყოვლად განუგრეხელად მჭირსნედ  
და გიძლოდა შენ მარჯუენე მისი ამისდ.
078. მოვიცსენე რაჲ ფილოსოფოსობაი  
შენი, მამაო, უწმიდესო მეუფეე,  
გარნა თუ რაჲ არს, ანუ ვით განსაზღვრებულ,  
ესე შესმენა შენდა ქუემდებარისად  
მიღირან ცხადად წარმოთქმაი ამისი.
079. განსაზღვრებულ ჰყვეს ფილოსოფოსობაი  
კაცთა, რომელნი ქუემდებარეცა იქმნენს,  
თქუეს სამად ესე, — აჰა, ისმინოს მსმენმან, —  
პ ი რ ვ ე ლ ა დ: „არსო წურთაჲ სიკუდილისაო“,  
და მ ე ო რ ე დ თქუეს: „ცნობა არსო თავისა“.
080. მ ე ს ა მ ე დ მისთვის ისიბრძნისე-მოყუარეს,  
თქუეს: „არსო ცნობა ნივთთა მიზეზებითურთ,  
რომელნიცა არნნ და ანუ იქმნებიან“.  
ესენი შენდა ისახელ-ნართაულენ  
და ქუემდებარე სამ-გზის ფილოსოფოსობდ:
081. პირველი იგი წურთა სიკუდილისა ესრეთ  
იფილოსოფე, რომელ მონაზონებრის  
ღუაწლითა მოჰკალ ცოცხალმან თავი თსი;

და მეორეცა, ცნობა თავისა თვისის  
იმხარკე ესრეთ, ვითარ არაეინ სხუამან.

082. მესამე იგი ფილოსოფოსობაი,  
რომელ არს ცნობა ნიეთთა და მათთა მიზეზთ,  
შემოიმგრგუალე და შემოიკრიბ-სფერე  
საცნაურთა მათ სულითთა თუალთ წინაშე  
და წარმართე შენ მსგავსად სხოლასტიკოსთა.
083. შთასჭურეტდი მარად ნიეთთა კავშირთა შინა  
და განნახვიდი ნიეთთა მიზეზებითურთ,  
დაამტიციებდი დამტიციებადთა ყოვლად,  
რომელთანიცა უკუთქმა სხუათ შეუძლო  
და უკუთქმულნი დამტიციებადცა — ეგრეთ.
084. შეარაბამენ წინადადებანი შენ  
უმიროსისსა წინადადებათა მათ,  
რომელნი-იგი სპეკალ-მრავალ-ფასობდენ,  
დაამტიციენ რა აქსიომატიკებრად  
და შთასდენ იგი გულთა შენთ მოწაფეთას.
085. სკივრაკი იგი, ძვრფას და შუენიერი,  
ჰპოვა რაჲ დიდმან ალექსანდრე მონარხმან,  
შთასხნა მას შინა ომიროსისნი იგი  
წარმოსიბრძნულნი წინადადებანი და  
ჰყო სკივრაკისა პატივად ესე დიდად.
086. შენცა მსგავსადე შენნი წინადადებანი  
შთასხენ გულებსა შენთა მოწაფეთასა  
და ჰქმენ პატივად მისებრეე მოწაფეთა,  
რომლითა-იგი განმდიდრ-განათლებულნი  
და განძლომილნი იშვებენ და გმადლობენ.

\* \* \*

087. მ ე ა თ ე დ ე ტ ლ ა დ ვჰპოვეთ მზისად თ ხ ის რ ქ ა ი;  
თხნი ამისნი არა არს სადიდებელ.  
მნებავე მე თქმაი მეთედ რიცხვად შენი  
ღმრთის-მეტყუელებს, თუ შეეუძლე გამოთქმად,  
მაგრა ღუმილი შესაბამად ვჰგონე აწ.

088. ესე ჩუენ შენგან ვისწავეთ და ვიხილეთ:  
სადა სძლევდენო საქმენი სიტყუასა, მუნ  
დუმილი ღირსო. ვირწმუნე და დავიცაე,  
გარნა აღუპრიცხავ წიგნთა საღმრთისმეტყუელთ,  
შენგან ქმნილებსა განბრძნობად მოწაფეთა:

089. ჰქმენ პირველითა წიგნითა მოწოდება  
მოწაფეთ შენთა ღმრთისმეტყუელებისადმი  
და სხუანი იგი ოთხტომედნი წიგნები:  
დოღმატიკაი — საღმრთო დოღმატთა ცნობად,  
მისტიკა — საღმრთოთ საიდუმლოთ გამოთქმად,

090. მორალკაი — საღმრთოთავე საქმეთა  
და ითიკაი — ყოფა-ქცევობითისა  
ანუ მაღალთა სათნოებათ კანონთა  
გამოთქმად, ცნობად და შესწავებად შენთა  
მოწაფე-ქმნილთა და შედგომილთა სულთა.

091. იქმენ სჯულიერ ღმრთისმეტყუელ, აღადენ რაჲ  
ბაგენი შენნი აღმოთქმად იოანებრ  
ანუ გრიგორებრ ერთარსებისა ღმრთისა,  
რომელი-იგი სამ-ნათლად განბრწყინდების  
და მისთა საღმრთოთ განგებულებათა მათ.

\* \* \*

092. მეათერთმეტედ ეტლ მზის — წყლის საქანელი.  
ამის წილ შენდა — ღეომეტრისობაი;  
მეათორმეტედ ეტლად მზისად ესცანთ თეეზი.  
ამის წილ შენდა — მათემათიკოსობა,  
რომელთა შინა არ ნაკლ იყავ პირველთებრ.

\* \* \*

093. აჰა, წარმოდგა ჟამი ცრემლთა დენისა!  
აჰა განმრავლდენ გოდებანი და გლოვა,  
აჰა მსმენთ გულნი სულთქმით ურვეულ იქმნენ,  
აჰა მხედველნი დიდ-საღმობიერებდენ  
და აღმოჰკითხნი მწუხარებით აღივსნედ,

094. ამად ვითარმედ: ვჰქმენით რაჲ მზისა ეტლთა აღრიცხვაი და მისი მათ შორის მოვლა ათ-ორობასა თთუეთასა და წელიწდის მოქცევისა ერთგზის, ერთგზის ოდენ, არა მეტ, და კუალად მებრეე, ვიდრე სოფელი ესე.
095. ხოლო შენ, მზეო სიტყუერო და ჩუენო განმადღებო პირველ ბნელს მსხდომარეთა, რომელნი ესხედით ბნელსა უმეცრებისას, ერთგზისვე ჰქმენ შენ მოქცევა ეტლთა შენთა, რომელნი მზეებრ ათ-ორად აღგირიცხვენ.
096. ჰქონან პლანიტთა შუდთავე მოქცევისა თუსთა ცათასა თითონი რამე ნიჭნი ცხოველთა მიმართ და უცხოველთ ნიეთთა, რომელნი ჰმართვენ ოთხ-სტიხიოებასა ნიეთთა ნაზავთა და სხეულევანთასა.
097. ხოლო შენ, მზეო საქართველოისაო, მზეებრ თითონი ეტლნი რა წარმოსცალენ და პლანიტთამებრ ცანი რა შემოიმგრგულენ, გამოსცენ მუნით თითონი ნიჭნი შენნი და გარდამოსცენ შენთა მოწაფეთადმი.
098. ესე ერთგზისი მოვლაი შენი, მზეო, მისდერკა აწ ჩუქნგან და დაგვრუმნა თუალნი. მისდერკ და დაჰკედ, უფრომსლა აღჰკედ ზეცად, წარსდევ მზისა მის, მზისა შემოქმედისა, პირველისა მის ნათელთ-მექმის ნათლისა.
099. და წარდგომილი მისს წინაშე იხარებს. წმიდაი სული შენი, მუნასა არებს; ეესავთ, ვითარმედ ჩუენდამი მადლსა არებს და გუაამებს ჩუენ, არა თუ განგუამწარებს, და ჩუენსა ამას ვედრსა მუნ აღამყარებს.

\* \* \*

0100. ჰოი უფალო, უწმიდესო მამაო, იროიკონი ექუს-ათეულნი და შუდ

სახელ შენისა წელთა რიცხუსა დაეკესვენ  
და მოგიძლუანე ეპიტაფიად შენდა  
მგლოვარემან და მჭმუნვარემან სულითა.

[იამაზიკო ხუთიუღლი, თქმული ვახტანგ.  
ბატონიშვილის მიერ]<sup>5</sup>

0101. მაგრა რიცხუსა მას წელთასა თთუენი ხუთნი  
მეტნი წარმოვლენ, რომლისათუსცა ხუთნი  
მუკლნი წარვსწერნე და მოვიკსენე ორნი  
ნაშთნი, საქმენი არა-დასატევებნი,  
და ორად თუალად ეტლისად შეგიმზადო.
0102. შენ ისტორიკოს საკურველ და ტკბილ-მომზრახ.  
ქართველთა წმიდათ მარტურთა იქმენ და სთქუნენ.  
ხოლო თქმითა მით ღუაწლთა მათთაცა ზიარ  
სულითა იქმენ და მარტულებდი სულით,  
რომელთა მსგავსად გვრგვნიცა მიიღე.
0103. ესე მაღალი გუარი მეცნიერების  
ორ-სახელ იწყე გამოთქმად რიტორებრივ:  
ერთი — მოთხრობით ქართველთ სიმარტულესა,  
რომელთა შესხმა კმა გვრგვნებად მათდა,  
ხოლო მეორე — თხზულ იროიკოდ ბრძნულად.
0104. შენ, მომთხრობელმან წინაპართა ქართველთა  
ღირსთ-ქსოენისათა, არა ჰქმენ დაეიწყება  
წმიდათა, ბრძენთა და მკნეთთა და მეფეთა  
საქართველომსთა, რომელთ მაღიდებელი  
იდიდები აწ სჯულითა ჩუეულებრით.
0105. და აწ გლოვანი ჩუენნი ორ-მიზუზობენ:  
პირველ, რამეთუ მიგურიდე ბრწყინვალება,  
ხოლო მეორედ, ადავსენ მგლოვარებით  
ძმადი მეფე და სახლი მისი მაღალი  
და უფრომს შენი საკუთარი მეფისძე.

<sup>5</sup> იბეჭდება C ნუსხის მიხედვით (ფ. 112rv).

0106. ვიტყვ სხუასაცა ნიჭსა მას სულისასა,  
 ამბობს რაჲ პაელე — ენათა თარგმანებას:  
 ზუაენი ამისნი განამრავლენ წიგნებად,  
 ტევანნი მისნი აწღევენ ჩუენდა შვეებას,  
 ანგელთ თანასწორ დიდებულო მამაო!<sup>6</sup>

[ანდერპი, თქმული იამბიკოვნად იოანე  
 ოსეს ძის მიერ]<sup>7</sup>

0107. კათოლიკოსი ანტონი, თუთ მეფის ძე,  
 ანგელთ შენდას, ნივთთ იგურდივ იქმნა განმყრი,  
 თუალნი უმანკო ტრედსა აგუარნა არ-მეფე,  
 ორით არ-კინიაკ, ორანო დიდ ნამდვილვე,  
 ლტლვილი იგი, ნატრფი, იქმნა მუნ მიმღე<sup>8</sup>.

0108. იგი რომელნი მომცენ მე, უწმიდესო,  
 ორგზისნი შენნი მოძღურებანი ელვარებს.  
 აჰა, სჩანნ შენნი, შენდა რაჲ ვიძღუნისმრთელე,  
 ნაყოფნი შენნი, შენდა დამტკბობელ არს.  
 ესე სურვილით გიძღუნ, შიში განვაძე<sup>9</sup>.

0109. ხმაი რა ტკბილი დასდუმდა მეტყუელებად,  
 უქმნა მეტყუელთა ენათა დადუმება;  
 ციურნი ძალნი, კარგით უსამუალოთ  
 ერთ-არსისადმი ნოიმათ შემსჭუალულნი,  
 სიბრძნესა შენსა სიბრძნესა ღმერთს უძღუნიან<sup>10</sup>.

<sup>6</sup> კიდურწერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს: „ვახტანგ“.

<sup>7</sup> იბეჭდება C ნუსხის მიხედვით (ფ. 113r).

<sup>8</sup> დაღმავალ-აღმავალი კიდურწერილობა ნიშნავს: „კათოლიკოსი ანტონი და-  
 ვითიანი, მეფის ძე“.

<sup>9-10</sup> კიდურწერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს: „იოანე ოსეს ძე, ზუცეს-  
 ღვინოსი“.

დიდისა მის ავქსონისადმი გადაფერისა  
[ტარასი არქიმანდრიტისა] მიერ უპქვენაისი კადრი<sup>11</sup>

0110. ესევეთარი შეჰგუნდა მღუდელ-მთავარი:  
მწყემს — მკაცრ, არეეთ თუსთ — ოქროს მღელთ მაძოვნელ,  
შეთცამეტე მოციქულ, რჩეულ ქრისტვს,  
სადა არავინ შობილი უბრძნეს მისსა,  
არცა-ლა ვინ ჰშვას მსგავსი ნეტარისა მის.
0111. ესე შენ მიერ ქებულნი ღმრთისმეტყუელნი —  
მწყემსნი, მამანი, რიტორ-ფილოსოფოსნი  
გძლუნინან ერთ-კრებად უკმომზღუნე შენს შენდავე  
მათ რიტორთ-მწმასნელთ გარდამრევ-გარდამმატსა,  
ვინადთგან ჰშვენის მათ მიერ შენდა ქება.
0112. დავნატრი დროთა შენთა მოწაფეთასა,  
ოღეს ჰბრძმედევი მათ, რკინათ, ოქროდ წმიდად,  
და-ცა-აწრთობდი ზესთა ბუნების ტბასა.  
ვაჲ, თუ წელთ ჩემთაც ესწრაფა მათთან შერთვა  
და მკურებოდა უხუთ წყმათ შენთა ცუარნი!
0113. უკუეთუ შენნი მოწაფენი, სრულ-ქმნილნი  
და შენ-ძლით წნეხილს ტაგარსა ზედა მთურაღნი,  
იკდემდენ მორთმად შენდა ღირს-ქებულების,  
მე ვითარ ვუძლო უზრწნელმან კორდმან მყარმან?  
გარნა გვედრ, იძლუნ ჩემ გლახ-მონის სურვილნი.
0114. თუცა საკდემელ არს ჩემდა კადრი ესე,  
არამედ ამის მინდობითა ვიგულე:  
ვითარცა შენმან საყუარელმან მოძღუარმან  
უმსხუერპლნა ქურიესა საცხოვრებელნი მწუღილნი,  
ეგფერ შენ — ჩემნი ესე ლალობით თქმანი.

\* \* \*

0115. ტრფიალ სასური ესე შუენიერ ქსული,  
არ-ჰეშმარიტ მეთქუთ მანგალ, წერაქუ და ცული,  
რათა ლუარსაბს ეძღუნეს ჩემგან აღთქმული  
ანტონი ბრძნის ძმის, მეფის, ვინ არს ძისწული,  
სახსოვრად ჩემდა, ვეედრი, ექმნეს დაცული<sup>12</sup>.

<sup>11</sup> იბეჭდება K ნუსხის მიხედვით (გვ. 290—291):

<sup>12</sup> კიდურწერილობა ზევიდან ქვევით ნიშნავს: „ტარასი“;

## იოანესთვის პეტრიწისა ფილოსოფოსისა მოკლედ მოვსენებაჲ, თუ ვინ იყო იგი ანუ ვითარ იყო<sup>13</sup>.

იოანე უკუე, თეთალი სიბრძნისა, იყო ნათესავით ქართველი და სამეუფოთა სქესთაგან აქუნდა მას შთამოობაჲ. ამან უკუე ფილოსოფიაჲ, ე. ი. დრამმატიკაჲ და რიტორიკაჲ და გეომეტრიაჲ და ასტრონომიაჲ და მუსიკაჲ და ფიზიკაჲ და მეთეფიზიკაჲ, ვითა მზემან ზოდნი, ერთბამად მოელო, და ყოველსა ელლინთა ენამზეობითსა სიტყვოსა კელონებასა ზედმიწეენილ იქმნა; და თავად მან ინდალმასა და უმყოფსა არსისა და სიზმრისა ნაცსოვნებისა კიდევან ჰყო თავი თუსი და ოპიზას, მონასტერსა წმიდისა იოანე წინამორბედისასა, მიიწია ძმათა თანა, და მალალთა მათ ზესთ ღმრთის-მეტყუელებითთა სზოლიონთა წილ იმყო უნდოჲ კელლინი და სამეუფოთა წილ სამოსთა—ძაძაჲ. და რომელსა მორჩილებდეს მორჩილთა თანა ფიცხელითა მორჩილებითა თავდგმულებით გვრგუნოსან იქმნა და ესრეთ უფლად-მი მივიდა.

ესე იყო ჟამისა მცირედ პირველ და ვით მესამისა, მეფისა ქართველთაჲსა, კეთილ-მორწმუნისა ძისა გიორგისა დავითიანისსა, რომელი მოიჯსენების სახელწოდებით აღმაშენებლად.

ამან საღმრთომან იოანე გარდამოიღო ქართველთა ემასა ზედა საღმრთოჲ წერილი და მრავალნი ღმრთის-მეტყუელებითნი და ფილოსოფოსებითნი წერილნი და ეპგონებ, ვითარმედ—სამკურნალონიცა წერილნი; და მრავალნი ღმრთის-მეტყუელებანი უაღრეს ბუნების გამოთქუნა მრავალ-დალექსულთა იამბიკოვანთა გალობათა შინა. ზოლო მრავალნი გალობანი სათვეოთა და ტრიოდონისა და პენტეკოსტისა გარდამოიღო ბერძენთა ემათაგან ჩუენთა ზედა ემათა, და მრავალნი შესხმანი წმიდათანი ბერძულისაგან ქართულად გარდამოიღო.

<sup>13</sup> ამოღებულია ანტონ ბაგრატიონის „საქეალიდან“. პირველად გამოაქვეყნა კ. კეკელიძემ (თსუ შრ., I, 1936, გვ. 127—140; კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, 1956, გვ. 270—282). შდრ.: იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, ი. ლოლაშვილის გამოცემა, 1968, გვ. 12—13.



ამან განმარტა წიგნი პროკლე ფილოსოფოსისა, რომელ არს «კავ-  
შირნი ღმრთისმეტყუელებითნი», და ბერძულისაგანაცა ქართულად  
გარდამოილო იგი, და «კატილორია» არისტოტელისა და «პერი ერმე-  
ნია», და წიგნი ამონიოს ერმისიისა, რომელ არს «განმარტებაჲ  
პორფირი ფილოსოფოსისა ხუთათუს კმათა» და «[განმარტებაჲ]  
არისტოტელის შესმენათა», და წიგნი ნემესიოს ემესელისა «კაცისა  
არსებისათუს» და მრავალნი სხუანი წერილნი, და წიგნი იოანე სი-  
ნელისა «კლემაკსი», მონაზონათუს განმამდიდრი იგი საუნჯე მრ-  
ავალფასი, რომელი ოცდაათა კიბეთა აღიყვანს სიყუარულისადმი და  
შეაერთებს სიყუარულსა მას, უუთქუსა მზესა. ესე წიგნი იოანე სინე-  
ლისა ორგუარად არს გარდამოღებულ ამის ღიღისა მიერ: პირველი  
ვიდრემე — განკარგულად, ხოლო მეორე — იამბიკონად, გალობასა  
ზედა გარდამოილო ჩუენთა ზედა კმათა.

ხოლო მისთათუს წერილ-დალექსულთა რადლა საქმარ არს  
თქმაჲ? რამეთუ თუთ გუაჩუენებენ თაეთა თუსთა უტკბილეს თაფლისა  
და უფროდს ოქროთა ხუაეთა განმამდიდრებულად და გასაგონთათუს  
მასპინძელ-ყოფად უზრწნელითა მით სანოვაგითა.

ამის ყოვლად ბრძნისა მოძღუარისა იყვენეს მრავალნი მოწაფენი  
შედგომილ, მაგრა უფროდსლა ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი,  
რომელნი შესაფერო იქმნნეს ზედმიწევნილებითა მოწაფედ ესთა ღი-  
ღისა მოძღურისა.

## საფლავის ქვის წარწერა 14

საფლავსა ამას შინა მდებარე არს საქართველოჲსა მეფის იესეს ძე, კათალიკოზი ანტონი, მცხეთისა და ყოვლისა საქართველოჲსა და ჩლენი უწმიდესის სინოდისა, რომელმანცა შეამკო ეკლესია საქართველოჲსა სრულითა ტიბიკონითა და საეკლესიოჲთა ცერემონიითა, განაშუენა ენა ქართველთა კეთილითა მჭევრ-მეტყუელებითა და ღრამბატიკითა და წიგნნი საფილოსოფოსონი და საღმრთისმეტყუელონი რაოდენიმე თუთ ჰქმნა და რაოდენიმე გარდამოიღო სხუა და სხუათა ენათაგან ქართველთა ენასა ზედა. და ესევეითარიითა შრომითა დიდითა განმაშუენებელი ქართულისა ენისა და ეკლესიათა მიიცვალა საგლოეელად საზოგადოებისა წელსა ჩღჰჟ [1788], თითუესა მარტსა ა [1].

ქართველთ ერთ ექმნა მეორედ ოქროპირად,  
ჰავლედ მქუხარედ, უმეცართ განმაპირად,  
გრიგორად მლალად, მგმობთა განმანაპირად;  
აქუნდა, რა იყო, ქრისტესგან დანაპირად,  
და უტევა სამწყსო ღმრთისადმი შენაპირად.

---

<sup>14</sup> პირველად გამოაქვეყნა პ. იოსელიანმა „წყობილსიტყვაობისადმი“ დართულ შესავალ წერილში (გვ. XVI). შტრ.: А. Натроев, Мухета и его собор Свети-Цховеди, 1901, с. 327—328.

## ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები

ა\*

აბიბოს ნეკრესელი 453—455 ნეკრესის ეპისკოპოსი, ერთ-ერთი ასურელ მამათაგანი, შიო მღვიმელის მოწაფე; აწამეს მაზღდანებმა ქართლში VI საუკუნის მეორე ნახევარში. VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე უცნობ ქართველ აგიოგრაფს აღუწერია „წიგნი წამებისა მისისა“. ეს თხზულება დაკარგულია, ჩვენამდე მოღწეულია ე. წ. განახლებული რედაქცია „წმ. მღღელ-მოწამისა აბიბოს ნეკრესელი ეპისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლის მსახურთა მიერ ქართლს, თქმული არსენ დიდისა ქართლისა კათალიკოსისაჲ“ (X სტ.). მომდევნო საუკუნეებში აქედან გამოუყრებიათ მოკლე „სა-კითხავი“, ხოლო XVIII საუკუნეში ანტონ ბაგრატიონს შეუთხ-

---

\* პირველი ტიფრი უჩვენებს სტროფის ნომერს, მეორე ტაეპისას. რამდენიმე შემთხვევაში მითითებულა გამოცემის გვერდი („გვ.“).

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი: აგიოგრ. ძეგლები — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქციით: I (1963), II (1967), III (1971), და IV (1968). ათონის კრებული — ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, 1901. არქეტიპები — ასურელ მამათა ცხოვრების არქეტიპები, გამოსცა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ, 1928. ენის ქრესტ. — ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, 1970. კ. კეკელიძე, ქლი. — კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია: I (1960), II (1958). ლიტ. ქრესტ. — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1946. ლიტ. ძეგლები — ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადა ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა, 1978. ლ. შენაბღე, კერები — ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ძველი ქართული მწერლობის კერები: I<sup>1</sup> და I<sup>2</sup>, 1962. საქ. სამოთხე — მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, სპბ., 1882. ქრკ. — თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა: I (1892), II (1897), ქ. ცხ. — ქართლის ცხოვრება, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით: I (1955), II (1959), IV (1973). ძვ. რედაქციები — ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, 1955.

- ზავს ვრცელი მეტაფრასული მოთხრობა, რომელიც მოთავსებულია „მარტირიაში“ (Q 78, ფ. 83r—94v). არსენ კათალიკოსის რედაქცია გამოაქვეყნა 1882 წელს მ. საბინინმა (საქ. სამოთხე, გვ. 213—216), გამოკრებილი საკითხავი — ჯერ მ. ჯანაშვილმა (ОПИС., III, გვ. 24—28), მერმე — ს. კაკაბაძემ (არქეტებები, გვ. 42—46), შემდეგ — ს. ყუბანეიშვილმა (ლიტ. ქრესტ., I, გვ. 167—169; ჩვ. საუნჯე, I, გვ. 226—230). ორივე რედაქციის კრიტიკული გამოცემა ეკუთვნის ილ. აბულაძეს (ძვ. რედაქციები, გვ. 188—196; აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 240—248). შდრ.: ი. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, 1978, გვ. 96—102.
- აბიშელიქ 592,2 595,1 გედონის ძე, სვიქემელთა მეფე; მოკლა ერთმა დედაკაცმა კოშკიდან გადმოგდებული თიხის ნატეხით (მსაჯულთა თ. 9). შდრ.: აქვე, გვ. 73.
- აბო სპარსი, ტფილისს ვნებული 460—462 წმიდა მოწამე აბო ტფილელი; აწამეს არაბებმა 786 წლის 6 იანვარს თბილისში. მისი „წამები“ აღწერა 786—790 წლებში სამოელ ქართლის კათალიკოსის ბრძანებით იოვანე საბანისძემ (VIII ს.). თხზულება გამოცემულია რამდენჯერმე (საქ. სამოთხე, გვ. 333—350; წმ. მოწამე აბო ტფილელი, გამოსცა პ. კარბელაშვილმა, 1899: აღრ. ფეოდ. ლიტერატურა, კ. კეკელიძის რედაქ., I, 1935, გვ. 55—80; აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 46—81; ენის ქრესტ., I, გვ. 156—177; ლიტ. ძეგლები, გვ. 57—85). მეტაფრასული რედაქცია აღწერა ანტონ ბაგრატიონმა (Q 78, ფ. 185r—201r). იგი უშეებს შეცდომას: აბო, ეროვნებით არაბი, მიაჩნია სპარსელად, უწოდებს „აბო სპარსს“ (შდრ.: კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 129—132; ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, VIII, 1977, გვ. 76—85).
- აბრაამი, აბრაჰამი 163,5; 165,2; 208,1; 345,5; 346,2-3; 347,2; 348,1; 361,2; 704,1 ბიბლიური მამათათავარი (შესაქმე თ. 11—25). აბრაამინი 163,4 აბრაამის ჩამომავალი; აბრაჰამებრი 485,2 აბრაჰამისებრი; აბრაჰამებს 429,4 აბრაამივით იმოღვაწებს.
- აბუსერი 659,1 ვარდან და ტბელ აბუსერისძეთა ძმა, ერისთავთ-ერისთავი (XIII ს.); არსენ ბულმაისიძისძემ მას გელათიდან გაუგზავნა ფილოსოფიური შინაარსის ეპისტოლე (ქრკ., II, გვ. 108—110, 123; A ფონდის „ქარ. ხელნაწერთა აღწერილობა“, I, 1974, გვ. 289—290; აბუსერიძე ტბელი, გამოსცა ლ. მუსხელი-

შვილმა, 1941, გვ. 21, 69; ი. სიხარულიძე, ტბელ აბუსე-  
რიძე, 1963, გვ. 5—30). იხ. აქვე, გვ. 40—41, 100—101.

აგესტოსი იხ. იუსტინიანე.

ადამ 57,3; 175,4; 203,5; 204,3; 239,4; 268,4-5; 269,3; 346,1; 825,2  
ბიბლიური გადმოცემით, პირველი ადამიანი, რომელიც ღმერთმა  
სამოთხის მკვიდრად გააჩინა (შესაქმე, თთ. 1—5).

აერმონი 121,2; 148,2 მთა პალესტინაში. შდრ.: „მთა სიონისა, რო-  
მელ არს აერმონი“ (II შჯ. 4,47).

აფაზგია 747,1 აბაზგია, აფხაზეთი.

აზია 639,1; 686,3; 783,3. აზიატიკებრ 636,4 აზიურად; აზიური 554,2.

აზიური სარმატია 554,2 ჩრდილო კავკასიის ტერიტორია, გადაჭი-  
მული შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ცხოვრობდნენ მომთაბარე  
ტომები, მათ შორის ხაზარები და ალანები.

ათანასი 44,5 ალექსანდრიელი, IV საუკუნის გამოჩენილი საეკლე-  
სიო მოღვაწე და მწერალი (გარდ. 373 წ.), ძველ ქართულ მწერ-  
ლობაში დიდად ცნობილი უცხო ავტორი (კ. კეკელიძე, ეტი-  
უდები, V, გვ. 8—10).

ათანასი ათონელი 697,1 ათონის ლავრის წინამძღვარი (X ს.), რო-  
მელთანაც თავი შეაფარა იოანე ათონელმა ეფთვიმითურთ (აგი-  
ოგრ. ძეგლები, II, გვ. 44—45).

ათინა 742,4 სწავლა-განათლებისა და წარმართული ფილოსოფიის  
ერთ-ერთი დიდი ცენტრი ძველ საბერძნეთში.

ათონი 510,1; 696,1; 697,3; 724,1 ათონის მთა და მონასტერი, რო-  
მელიც X საუკუნეში ააგეს ქართველებმა მარიამ ღვთისმშობლის  
სანელობაზე: აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მწე-  
რალ-მთარგმნელნი, რომელთაც დაგვიტოვეს დიდძალი ლიტე-  
რატურული მემკვიდრეობა (А. Натроев. Иверский мона-  
стырь на Афоне, 1909; კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 98—101).

ალექსანდრე 587,3; 785,2 ფილიპეს ძე მაკედონელი (356—323 წწ.  
ჩვ. ერამდე).

ალექსანდრე I, ძე გიორგისა, დავითიან-ბაგრატიონი 602—607 სა-  
ქართველოს მეფე 1412—1443 წლებში, ქვეყნის მთლიანობისა  
და განმტკიცებისათვის დაუღალავი მებრძოლი; მან „განასხნა ყო-  
ველნი უსჯულონი საზღუართაგან საქართველომასათა“; დიდი  
დრო შეალია მტერთაგან „საფუძვლითურთ-დაქცეული და მოოყ-  
რებული“ ეკლესია-მონასტრებისა და ციხეების აღდგენა-განახ-  
ლებას. ამის შესახებ თვით ალექსანდრე წერს: 1440 წლამდე „რა-  
ოდენნი საქართველოსა ციხენი, საყდარნი და მონასტერნი არიან,

ყოველივე სრულიად აღვაშენ და შევაშენ“ (ქრკ., II, გვ. 248). მარტო სვეტიცხოვლის აღდგენას 19 წელი (1412—1431 წწ.) მონათობა. 1442 წელს ბერად შედგა ათანასეს სახელით, გარდაიქვალა იმავე წელს; დაკრძალულია მცხეთის ტაძარში, მის მიერვე გამზადებულ ეკვდერში (ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, IV, 1967, გვ. 15—40). ანტონს ცნობები ამოუკრებიდა „ახალი ქართლის ცხოვრებიდან“ (ქ. ცხ., II, გვ. 473—475), ვახუშტის „აღწერიდან“ (ქ. ცხ., IV, გვ. 278—281) და იმ საარქივო მასალებიდან, რომლებიც დაცული იყო მცხეთის საკათალიკოსო ბიბლიოთეკაში (ქრკ., II, გვ. 249—252).

ამბაკომ 142,4; 340,5 ბიბლიური წინასწარმეტყველი.

ამინადაბ 529,5; 531,3 იესეს ძე, რომლის სახლშიც იღვა უფლის კიდობანი (I მეფეთა 7,1-2). იხ. სულამიტელი.

ამონიეთი 256,3 ბიბლიური მამათმთავრის ამონის ჩამომავალი.

ამონიოს ერმისიისა გვ. 317 ალექსანდრიული ნეოპლატონური სკოლის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი (V—VI სს.) (იო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, სათნობათა კიბე, 1968, გვ. 75—84; ი. ლო ლ ა შ ვ ი ლ ი, „ფილოსოფიის განსაზღვრებათა“ ძველქართული თარგმანები).

ამოს 142,3 ბიბლიური წინასწარმეტყველი.

ამფილოქე 45,5 იკონიელი (IV ს.), საეკლესიო მწერალი. მისი რამდენიმე თხზულება თარგმნილია ქართულ ენაზე (ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, V, გვ. 11—12).

ანა 165,2 მანოეს მეუღლე, რომელმაც უფლის აღთქმით ხანგრძლივი ბერაობის შემდეგ შვა ყრმა—სამფსონი (მსაჯ. თ. 13). იხ. ანა, ანგელოსის მხილველი.

ანა 165,3 ელკანას მეუღლე, სამოელ წინასწარმეტყველის დედა (I მეფეთა, თ. 1).

ანა 592,4 წინასწარმეტყველი, ასული ფანოელისი, ქვრივი, ღმრთისათვის მარად მლოცველი და მვედრებელი (ლუკა 2, 36—37).

ანა, ანგელოსის მხილველი 592,5 მანოეს მეუღლე, სამფსონ ძლიერის დედა (მსაჯ. თ. 13).

ანასტასია და მარიამი 838—850 ანტონ ბაგრატიონის დები, რომლებიც მცირეწლოვანი გარდაიცვალნენ.

ანგეა 143,3 ბიბლიური წინასწარმეტყველი.

ანტიოქია 75,2 ქალაქი სირიაში.

ანტიოხოს 46,1 პალესტინის საბაწმიდის მონაზონი და მწერალი (VII ს.). 620 წელს დაწერა „პანდექტები“ (ანუ ყველაფრის შემ-

ცველი თხზულება), რომელშიც თავმოყრილია დიდაქტიურ-მორალური შინაარსის ექსცერპტები, ამოკრებილი საღმრთო და ეკლესიის მამათა წიგნებიდან.

ანტონია 589,4 რომის იმპერატორის ანტონისა და კლავდიას ასული; გაიოს კეისრის (37—41 წწ.) ბებია და კლავდიოს კეისრის (41—54 წწ.) დედა. იხ. აქვე, გვ. 39.

ანტონი 100,1; 201,1; 401,4; 639,1; 684,5; 818,1; 837,1; 849,5; 01,2; 027,2; 030,1; 032,2; გვ. 318 „წყობილსიტყვაობის“ ავტორი.

ანტონ მარტომყოფელი 470—474; 764,4 ერთ-ერთი ასურელი მამათაგანი, იოანე ზედაზნელის მოწაფე; მისი ცხოვრებისა და მოქალაქეობის ამსახველი ძველი საკითხავი არ არსებობს. XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე დაუწერიათ მოკლე მოთხრობა — „სუნაქსარი ზატისა მარტომყოფელისა და წმიდისა მამისა ანტონი მარტომყოფელისა“ (საქ. სამოთხე, გვ. 293—295; აგიოგრ. ძეგლები, IV, გვ. 393—398). იგი „ქართლის ცხოვრებაში“ ჩაურთავს ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიას“ (I, გვ. 212—214). XVIII საუკუნეში შექმნილა „ანტონის ცხოვრების“ მოკლე სვინაქსარული რედაქციაც (აგიოგრ. ძეგლები, IV, გვ. 398—399). გადმოცემით მან ჩამოიტანა საქართველოში ქრისტეს ხელთუქმნელი ზატი-ბარელიეფი, რომელთანაც დაკავშირებულია მრავალი სასწაული (П. Иоселиани, Описание Марткопского монастыря, 1847; ლ. მენაბდე, კერები, I, გვ. 347—348).

ანტონ მნათი 715—716 მოღვაწეობდა ხაზულის მონასტერში (XI ს.), რომელმაც აკურთხა ყრმა გიორგი მთაწმიდელი, როდესაც ეს უკანასკნელი ხაზულში მიიყვანეს აღსაზრდელად (აგიოგრ. ძეგლები, II, გვ. 116—117). სხვა ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. პ. იოსელიანი წერს: „ესე გარდაიცვალა მეფისა გიორგი I-სა დროსა 1085 წელსა. წერილთაგან მისთა მინახავს მხოლოდ ათონის მთასა, სადაც აღიზარდა იგი, საგალობელნი დღისათვის მოხსენებისა ევთიმი ათონელისა, პორტაიტისა მონასტრისა დამაფუძნებელისა“ (წყობ., გვ. 245). მაგრამ ასეთი თხზულება ჭერჯერობით ცნობილი არაა (კ. ქეკელიძე, ქლი, I, გვ. 332).

ანტონ ნაოხრებლისძე 777—778 წარმოშობით მესხი, „მოლუაწე კუმურდოჲსა უდაბნოსი“ (პ. იოსელიანი); დიმიტრი თავდადებულის (1271—1289 წწ.) თანამედროვე; იხსენიებს უამთაღმწერელი (II, გვ. 283). მცირეოდენი ბიოგრაფიული მასალა, რომელიც არსებითად ანტონის იამბიკოების გამეორებაა, დაუთავს იოანე ბაგრატიონს (კალმასობა, II, გვ. 178—180). იხ. აქვე, გვ. 49—50.

ანტონ ჰყონდიდელი 673—674 გლონისთავისძე, მწიგნობართ-უხუცესი, კაცი — გაზრდილი გიორგი III-ის (1156—1184 წწ.) მიერ, „ბრძენი და გონიერი, პატრონთათჳს სუანი და ერთგული და შემეცნებული საურავთა“ (ქ. ცხ., II, გვ. 33); „ნამდულვე კაცი ღირსი ქებისა, ჴეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული უზომოდ“ (იქვე, გვ. 123—124); იყო ჰყონდიდის ეპისკოპოსი. ეს თანამდებობა გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ მისტაცა მიქაელ კათალიკოსმა, რის შემდეგ იგი მოღვაწეობდა დავით-გარეჯაში; 1191 წელს, როცა მიქაელი გარდაიცვალა, ანტონი თამარმა სამეფო კარზე მიიწვია, „დასვეს ვაზირად, მისცეს ჰყონდიდი, სამთავისი, კისის-კევი და მწიგნობართ-უხუცესობა“ (იქვე). ანტონ ბაგრატიონს ცნობები მის შესახებ ამოკრებილი აქვს თამარ მეფის ისტორიებიდან.

აპოლინარი 89,3 ლაოდოკიელი ეპისკოპოსი (გარდ. 390 წ.), ცნობილი ერეტიკოსი, მონოფიზიტური მწველებლობის წარმომადგენელი.

არაბი 759,2.

არიოს 11,5; 28,1; 88,2 ალექსანდრიელი მღვდელი, ცნობილი ერეტიკოსი (გარდ. 336 წ.), რომელიც ამბობდა, რომ ძე-ღმერთი არ არის მარადიულად არსებული და მამა-ღმერთის სწორი. მისი მოძღვრება დაემო ნიკეის (325 წ.) და კონსტანტინოპოლის (381 წ.) მსოფლიო საეკლესიო კრებებმა (ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოლორაფი გიორგი მონაზონისაჲ, 1920, გვ. 263—267). არიოსი 20,1 არიოზის მიმდევარი.

არისტოტელი გვ. 317 გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი (388—322 წწ.).

არმაზი 289,4 ქართველ წარმართთა სალოცავი კერპი, რომელიც აღმართა ფარნავაზ მეფემ „თავსა ზედა ქართლისასა“ (ქ. ცხ., I, გვ. 25); ღმერთმა იგი ნინო განმანათლებლის ვედრებით უცბად დაამსხვრია (იქვე, გვ. 91).

არსენი 713—714 ფარსმან-ყოფილი, გიორგი მთაწმიდელის მოწაფე, რომელსაც შესაწირავი მიუტანია ათონზე (აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 136). ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება; მისი ლიტერატურული საქმიანობაც უცნობია. შეიძლება გვეფიქრა, რომ იგი არის ის არსენი, რომელსაც ეფთვიმე ათონელის თანამოღვაწედ იხსენიებს გიორგი მთაწმიდელი, მაგრამ ასეთი ვარაუდი საეჭვოდ მეჩვენება, რადგანაც ეს არსენი „წყობილისიტყვაო-



ბაში“ მოქცეულია XI საუკუნის იმ მოღვაწეთა შორის, რომელთა შესახებ ცნობებს გვაწვდის გიორგი მცირე (შღრ.: სტროფები 706—728)..

არსენ იყალთოელი 579,1-2; 750,4; 751—758; 766,3; 768,3; გვ. 317. ქართველი ფილოსოფოსი, დავით აღმაშენებლის (1089—1125 წწ.) მოძღვარი, მთარგმნელი და „საქართველოს ეკლესიათა განმანათლებელი“ (ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, 1978. ლიტერატურა იხ. სქოლიოებში).

არსენ კათალიკოსი 649—651 არსენ II, ქართლის კათალიკოსი 955—980 წლებში. იხ. აქვე, გვ. 24—25.

არსენ კათალიკოსი, ბულმაისისძე 657—659 არსენ ბულმაისიმისძე, ქართლის კათალიკოსი XIII საუკუნის 30—50-იან წლებში, გამოჩენილი მწერალი-ჰიმნოგრაფი (კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 326—329; გ. მიქაძე, არსენ ბულმაისიმისძე, ლიტერატურული ძიებანი, XV, 1963, გვ. 115—140). მისი თხზულებები დაცულია A 85 ხელნაწერში (A ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, I<sup>1</sup>, გვ. 286—290).

არსენ ნინოწმიდელი 669—670 ნინოწმიდის ეპისკოპოსი, მთარგმნელი და გადამწერი, ეფთვიმე ათონელის თანამოღვაწე (X—XI სს.). იყო „კაცი მაღალი სათნოებითა და მუშაკი ქრისტეს მცნებათაჲ“. თავისი ნებით „დაუტევა ეპისკოპოსობაჲ და დავით კურაპალატის [გარდ. 1001 წ.] წინაშე მოვიდა. ხოლო მან კეთილად-მოკსენებულმან ღირსად სიწმიდისა მათისა მოიკითხა და ოთხთა ეკლესიათა წარგზავნა“. აქ ის „დაყუდებით ცხოვნდებოდა თვისისა მოძღურისა თანა“; შემდეგ წავიდა ათონზე და ეფთვიმე ათონელის ლიტერატურულ სკოლაში დაიწყო მოღვაწეობა იოანე გრძელისძესთან ერთად („იოანე და ეფთვიმეს ცხოვრება“). იგი ეფთვიმეს დიდ დახმარებას უწევდა „თარგმანსა შინა წმიდათა წერილთასა“: სიბერის უამს მრავალი წიგნი გადაწერა თავისი ხელითა („გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“). გარდაიცვალა 1018 წელს ათონზე (კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 186, 280); პ. იოსელიანი მას მიაწერს რამდენიმე თეოლოგიური თხზულების თარგმანს (წყობ., გვ. 221), მაგრამ მისი ცნობა შეცდომაა. ამ არსენის სახელით ჩვენამდე არც ერთ თარგმანს არ მოუღწევია, თანაც მკვლევარს ერთმანეთში ერევა არსენი — ნინოწმიდელი და იყალთოელი (ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, გვ. 24).

არტაქსარი, არტაქსერქსი 125,1; 258,1 ებრაელთა მეფე, ესთერის მეუღლე (წიგნი ესთერისი).

არტაქსერქსი 588,2 არტაქსერქს II მემნონი კვიროს მცირის ძმა, სპარსთა მეფე 405—359 წწ. ჩვ. ერამდე (იხ. აქვე, გვ. 38—39).

არტემონ 40,2 ერთ-ერთი მწვალებელთაგანი (II—III სს.), ანტი-ტრინიტარისტი.

არჩილ II ხოსროვანი 505—508, 555—560 სტეფანოზის ძე, ქართლის მეფე-ერისმთავარი 668—718 წლებში. თავი მოჰკვეთეს არაბებმა მხედართმთავრის ჭიქნაუმ-ასიმის ბრძანებით. ბიოგრაფიული ცნობები დაცულია ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ (ქ. ცხ., I, გვ. 241—244) და „არჩილის წამებაში“ (იქვე, გვ. 245—248; საქ. სამთხე, გვ. 331—332). XVIII საუკუნეში დაიწერა მასზე მეტაფრასული საკითხავები: ბესარიონ კათალიკოსის — „შესხმა და წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, მეფისა მის ქართველთაჲსა“ (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, I, 1900, გვ. 253—292; ლიტ. ქრესტ., I, გვ. 246—252) და ანტონ I კათალიკოსის „წმიდისა არჩილისთვის“ (Q 78, ფ. 51r—65r).

არჩილ II, იმერთა მეფე, დავითიან-ბაგრატოვანი 797—799 შაჰნავაზის ძე (1647—1713 წწ.), გამოჩენილი ქართველი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე (თხზულებანი — „არჩილიანი“, I და II; ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ქლი, II, გვ. 512—522, 572—592; ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, II, 1940, გვ. 163—234; ქცხ., IV, გვ. 449—479, 602—893).

ატიკური 632,2 იგივეა, რაც ძველბერძნული.

აფრიკა 183,3.

აფხაზი 701,5; 765,5; 811,4 აფხაზი; 567,2; 599,1; 700,2; 747,2 დასავლეთ საქართველოს მკვიდრი; ა ფ ხ ა ზ ი თ ქართლად... მოსრულმან 575,3 დასავლეთ საქართველოდან ქართლში... მოსულმა.

ახიორ 256,3 წინასწარმეტყველი, რომელიც ოლომფრეს მონებმა ბეთილის მისასვლელთან მიაკრეს ხეზე ხელ-ფეხით მათთვის არასასურველი წინასწარმეტყველების გამო (წიგნი ივლითისი, თ. 5—6).

აპრონი 104,1; 219,1; 227,2; 228,3-5; 229,1; 350,2 ებრაელთა პირველი მღვდელთმთავარი, მოსე.წინასწარმეტყველის ძმა (გამოსლვათა, ლევიტელთა და რიცხვთა). აპრონიტელი 434,1 აპრონის ჩამომავალი.

## ბ

ბაგრატ III, ძე გურგენისა, დავითიან-ბაგრატოვანი 563—566; 717,2 გაერთიანებული საქართველოს მეფე 975—1014 წლებში (ქ. ცხ.,

- I, გვ. 272—283; IV, გვ. 137—142; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ-  
ველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 123—133). ანტონი სარგებ-  
ლობს ვახუშტის ცნობებით.
- ბაგრატ IV, გიორგის ძე, დავითიან-ბაგრატოვანი** 567—568 გაერთი-  
ანებული საქართველოს მეფე 1027—1072 წლებში (ქ. ცხ., I, გვ.  
291—315; IV, გვ. 144—152; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი  
ერის ისტორია, II, 1965, გვ. 136—158).
- ბაგრატ V, დავითის ძე, დავითიან-ბაგრატოვანი** 600—601 დავით  
IX-ის ძე, გიორგი ბრწყინვალის შვილიშვილი, ქართლის მეფე  
1360—1393 წლებში; პატრიოტული მოღვაწეობითა და თემურ  
ლენგის წინააღმდეგ გამართული ბრძოლების გამო დაიმსახურა მან  
ბაგრატ დიდის სახელი (ქ. ცხ., II, გვ. 326—331, 448—459; IV,  
გვ. 261—268; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია,  
III, 1966, გვ. 407—411; კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის  
ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეე-  
ბის მიჯნაზე, 1974).
- ბალაშ** 51,1 მოაბელთა დიდებული და მისანი (რიცხვთა 22,5—24).
- ბაუმეისტერ ფრიდერიკოს** 816 ქრისტიან (1705—1785), ვოლფია-  
ნელი ფილოსოფოსი (Г. М. К а л а н д а р и ш в и ლ ი, Очерки  
по истории логики в Грузии, 1952, с. 58—62; А. О. М а к о -  
в е л с კ ი წ, История логики, 1967, с. 440; В. З у б о в, Ари-  
стотель, 1963, с. 344—346).
- ბეთანია** 279,3 სოფელი იერუსალიმის მახლობლად, სადაც ცხოვ-  
რობდა ლაზარე დედიოტრთ. ქრისტე ზეცად ამალღების წინ მო-  
ციქულებთან ერთად მივიდა ბეთანიაში, „აღიპყრნა კელნი თჳსნი  
და აკურთხნა იგინი“, შემდეგ განემორა მათ და „აღჳდა ზეცად“  
(ლუკა 24,50—51).
- ბეთილი** 256,1 ისრაელთა სალოცავი ადგილი, სადაც იაკობმა ლო-  
დი აღმართა ძეგლად და უწოდა „სახლი ღმრთისაჲ“ (შესაქმე  
28,18—19).
- ბეთლემი** ქალაქი და გამოქვაბული იერუსალიმის მახლობლად, სა-  
დაც დაიბადა ქრისტე (მათე 2,1).
- ბელაქანი** 776,4 ლექთა სამკვიდრო დაბა, მდებარეობს ალაზანს გაღ-  
მა, კავკასიონის მთის კალთებზე, ლაგოდეხის აღმოსავლეთით.
- ბერძენი** 591,2.
- ბესარიონ კათალიკოსი** 664—666 ორბელიშვილი, ქართლის კათალი-  
კოსი 1730—1736 წლებში, მწერალი და საზოგადო მოღვაწე; აქ-  
ტიურად იბრძოდა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ; დიდხანს მოღვა-

წეობდა დავით-გარეჯის უდაბნოში (ნათლისმცემლის მონასტერში) მოძღვრად და ეწეოდა სამწერლო-საგანმანათლებლო საქმიანობას — ქართულ ხელნაწერთა რედაქტირებასა და გადაწერას. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე აგიოგრაფიული თხზულება და დოგმატიკურ-პოლემიკური შრომა „გრდემლი“, რომელიც კათოლიკური სარწმუნოების წინააღმდეგაა მიმართული (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქლი, I, გვ. 349—354; მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მზამბე, I, 1959, 75—113; მისივე, დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 100—118; მისივე, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან. XVII—XVIII სს., 1977, გვ. 60—80, 171—202).

**ბიძინა, ელიზბარი და შალვა 417—424** ბიძინა ჩოლოყაშვილი (სუფრაჯი), ელიზბარ ქსნის ერისთავი და მისი ძმა შალვა (ზაალ ერისთავის სიძე); თავდადებული ქართველი გმირები, რომელთაც 1659 წელს კახეთში სელიმხანის წინააღმდეგ მოაწყეს აჯანყება, აიღეს ციხე ბახტრიონი და განდევნეს სპარსი დამპყრობლები. ისინი შეიპყრო ყარაღაჯის მფლობელმა მურთუზალი-ხანმა და ყაენს გაუგზავნა. შაჰმა სამივე გადასცა მაზანდარელებს, „მკუდრის პატრონთა, ვითარცა წესი და ჩუეულება არს თათართა, რამეთუ მკულელს ხელში მისცემენ მოსისხართა“. სულტანმა ისინი სიკვდილით დასაჯა: ელიზბარსა და შალვას ჯერ წვივები დაუღუწეს, მერმე „თავნი წარკუეთეს“, ბიძინა კი ასო-ასო დაჭრეს (ქ. ცხ., II, გვ. 438—439; IV, გვ. 599—600). მათი წამების ისტორია აღწერეს ბესარიონ კათალიკოსმა (საქ. სამოთხე, გვ. 599—609) და ანტონ ბაგრატიონმა (Q 78, ფ. 136r—152v).

**ბუბაქარ 544,1** რუსთავის მთავარი, ბარბაროსი, რომელიც გააქრიტიანა დავით გარეჯელმა (ძვ. რედაქციები, გვ. 168—174).

### ბ

- გაბრიელ 29,5; 31,4; 32,4; 166,1; 326,5; 329,4** მთავარანგელოზი, რომელიც ნაზარეთში ღვთისმშობელს მოველინა და ახარა ძის ჩასახვა: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ (ლუკა 1,26—35).
- გაბრიელ ათონელი 514—519, 723—724** ათონის ივერიის მონასტრის ბერი, იოანე და ეფთვიმე. მთაწმიდელების თანამედროვე, მკაცრი ასკეტი, რომლის პირიდან, როგორც გიორგი მთაწმიდელი წერს, „მსოფლიოა სიტყუაჲ არა გამოვიდოდა“. ათონზე გავრცე-

ლებულია ლეგენდა, რომ ზღვაში მოტივტივე ხატი ლეთისმშობლისა მან ამოასვენა წყლიდან და დაასვენა ივერიის ქართველთა სავანეში (იხ. აქვე, გვ. 45—47).

გენათი 578,1 გელათი (იხ. აქვე).

გაიოსი 589,5 რომის იმპერატორი გაიოს კალიგულა (37—41 წწ.) (Гай Светоний Транквилл, Жизнь двенадцати цезарей, 1962, с. 104—127).

გალიღეა 137,4; 166,2; 182,3 პალესტინის ერთ-ერთი პროვინცია, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა ქრისტე.

გარეჯა 449,1; 673,2; 688,2; 775,1; 781,2 დავით-გარეჯის ლავრა, ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი აღრინდელი და დიდი ცენტრი (Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давида-Гареджи, 1948; ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, 1959; ლ. მენაბდე, კერები, I, გვ. 273—319; მ. ქავთარია, დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965).

გედეონ 235,1; 575,5 იოასის ძე, ისრაელთა მეშვიდე მსაჯული, მოსამართლეობდა 40 წელს (მსაჯულთა 6,11—8,32).

გელათი 659,5 ძველი საქართველოს ერთ-ერთი დიდი ლიტერატურული ცენტრი; XII საუკუნის დასაწყისში დააარსა დავით აღმაშენებელმა. აქ მოღვაწეობდა იოანე პეტრიწი, იოანე შავთელი, არსენ ბულმაისიმისძე. გელათში დაიწერა და ითარგმნა ბერძნულიდან მრავალი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ტრაქტატი (ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, 1948, 34 გვ.; ბ. ლომინაძე, გელათი, 1955, 84 გვ.; ვ. ჩაკვეტაძე, გელათის აკადემია, 1958, 52 გვ.; ლ. მენაბდე, კერები, I, გვ. 524—545; Р. Мелишашвили, Архитектурный ансамбль Гелати, 1966, 172 ს.).

გერმანე ხუცესმონაზონი 793—794 XVIII საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, მქადაგებელი და მგალობელი; „მღვდელობასა შინა ჩინებული კეთილისა ყოფაქცევითა, მეცნიერებით სრული და მოქადაგე მაღალი, მეფეთა და მთავართაგან პატივცემული, ...ახალთა ხმებთა და გილოთა დამთხზველი“ (კალმასობა, II, გვ. 182); „მოძღვარი მეფეთა თემურაზ მეორისა და ძისა მისისა კახთა მეფისა ირაკლისა. მოკუდა 1748 წელსა“ (წყობ., გვ. 279). მისი ვინაობა სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ გარკვევით არაა დადგენილი: ეს მოღვაწე არც გერმანე წინამძღვარია, რომელიც XVIII საუკუნის 70-იან წლებში ჩანს დავით-გარეჯში, და არც

გერმანე ხუცესმონაზონი, რომელიც ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში (ლ. მენაბდე, კერები I<sup>1</sup>, გვ. 311—312; ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 139—142; მ. ქავთარია, დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლა, გვ. 136—139, 171; კალმასობა, II, გვ. 196).

გერმანი 814,2 გერმანელი.

გიორგი ათონელი, დიდი მოძღუარი 509—513; 568,4; 707; 708—712 გიორგი მთაწმიდელი (1009—1065 წწ.), გამოჩენილი ქართველი მწერალი, მთარგმნელი, მეცნიერი და საეკლესიო მოღვაწე. ავტორი მრავალი ორიგინალური და თარგმნილი თხზულებისა. მისი „ცხოვრება და მოქალაქობა“ აღწერა გიორგი მცირემ. ანტონისთვის ეს თხზულება კარგად იყო ცნობილი; გამოცემულია რამდენჯერმე (საქ. სამოთხე, გვ. 437—487; ათონის კრებული, გვ. 279—351; ლიტ. ქრესტ., I, გვ. 189—214; ჩვ. საუნჯე, I, გვ. 337—412; აგიოგრ. ძეგლები, II, გვ. 101—207; ლიტ. ძეგლები, გვ. 270—351. ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები იხ. კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 213—234; ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, VIII, გვ. 142—151).

გიორგი დიდი 568,4 იხ. გიორგი ათონელი.

გიორგი მოძღუარი 707 იხ. გიორგი ათონელი.

გიორგი მთისა წმიდისა 509—513 იხ. გიორგი ათონელი.

გიორგი მამა 719—720 გიორგი ხუცესმონაზონი, რომელსაც ჩვენ მცირეს ვუწოდებთ; „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ ავტორი (კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 247—250; ი. ჯავახიშვილი, საისტ. მწერლობა, I, გვ. 145—151). პ. იოსელიანის მოსაზრებით იგი „იყო წინამძღვრად ათონისა პორტაიტისა მონასტრისა შემდგომად გიორგი მთაწმიდელისა და გარდაიცვალა 1098 წელსა. ამისსა დროსა იყვნეს 50 ქართველთა ყრმანი სასწავლებლად მისსა მონასტერსა და ამათითა შრომითა დიდად განამრავლნა საეკლესიონი წიგნნი. ამან აღწერა ცხოვრება წმიდა ევთიმი და გიორგი მთაწმიდელთა“ (წყობ., გვ. 247); აქ ერთმანეთშია არეული სხვადასხვა ისტორიული ფაქტი: როგორც ცნობილია, გიორგი მთაწმიდელის შემდეგ ათონის მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს გიორგი ოლთისარი; გარდაიცვალა იგი 1077 წლის ახლო ხანში. ექვთიმე მთაწმიდელის ცხოვრება აღწერა გიორგი მთაწმიდელმა, ხოლო ამ უკანასკნელის ცხოვრება — გიორგი მცირემ (იხ. გიორგი ოლთისელი).

გიორგი ოლთისელი 727—728 იგივე ოლთისარი, ათონის ივერიის

მონასტრის წინამძღვარი 1065—1077 წლებში. როგორც გიორგი მცირე წერს, იგი „წინამძღურად და მამასახლისად“ დაამტკიცა ბიზანტიის კეისარმა გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების შემდეგ, რადგანაც მხოლოდ მას „პშუენოდა სიწრფოებისათჳს და უმანკოებისა დაპყრობად დიდისა ამის ლავრისა“. პ. იოსელიანი მას მიაწერს რამდენიმე თხზულების თარგმანს, მაგრამ მისი სახელით არც ერთი თარგმანი არაა ცნობილი (აგიოგრ. ძეგლები, II, გვ. 200; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, II, გვ. 234).

გიორგი შეყენებული 721—722 მეცნიერი ბერი, იგივე დაყუდებული; მოღვაწეობდა XI საუკუნეში შავ-მთაზე; გიორგი მთაწმიდელის მოძღვარი; გარდაიცვალა 1068 წელს. გიორგი მცირემ მისი დაკვეთით დაწერა „ცხოვრება და მოქალაქობა გიორგი მთაწმიდელისა“ და მასვე გაუგზავნა შავ-მთაზე. ეს გიორგი დიდად განათლებული კაცი ყოფილა (აგიოგრ. ძეგლები, II, გვ. 101—207; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქლი. I, გვ. 215, სქ. 1). ანტონ ბაგრატიონი მას უწოდებს „საღმრთო ფილოსოფოსს“, თუმცა მისი ფილოსოფიური შრომები ცნობილი არაა. იგი იყო დიდი მეცენატი მწიგნობრობისა, მაგრამ თვითონ წიგნებს არცა წერდა და არცა თარგმნიდა.

გიორგი I 568,1 აფხაზთა და ქართველთა მეფე 1014—1027 წლებში (ქ. ცხ., I, გვ. 283—291; IV, გვ. 142—143; ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 133—136).

გიორგი III, დიმიტრის ძე, დავითიან-ბაგრატიონი 581—583 საქართველოს მეფე 1156—1184 წლებში, თამარ მეფის მამა (ქ. ცხ., II, გვ. 3—25; IV, გვ. 165—171; ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 228—245).

გიორგი V ბრწყინვალე, დიმიტრის ძე, დავითიან-ბაგრატიონი 598—599, 600,3; 634,3 საქართველოს მეფე 1299, 1314—1346 წლებში (ქ. ცხ., II, გვ. 304—325; IV, გვ. 255—260; ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1967, გვ. 251—274).

გობრონ 442—447 ყველის ციხის მთავარი, არაბთა წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი; აწამეს ამირა აბულ-კასიმის ბრძანებით 914 წელს. მისი „მარტილოზა“ აღწერა 914—918 წლებში სტეფანე მტბევეარ ეპისკოპოსმა აშოტ ერისთავთ-ერისთავის (ყუხის) ბრძანებით (საქ. სამოთხე, გვ. 393—400; ლიტ. ქრესტ., I, გვ. 80—85; ჩვ. საუნჯე, I, გვ. 83—94; აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 172—184; ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შესახებ იხ.

ქ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 145—146; ი. ჭავჭავაძის შვილი, თხზულებანი, VIII, გვ. 117—120).

**გრიგორი, ახალ აბრაჰამ ზედწოდებული 704—705 ათონის ივერიის მონასტრის ბერი, ეფთვიმე მთაწმიდელის თანამედროვე და თანამოღვაწე;** ამავე მონასტრის წინამძღვრობდა 1029—1039 წლებში; გიორგი მთაწმიდელის ცნობით, იგი „იყო ნათესაყუდელ ქართველთა ნათესავისა და ნუგეშინისმცემელ“.

**გრიგორი ტათეველი 72,3 ტათევის ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი მეთაური, ცხოვრობდა 1346—1410 წლებში (B. K. Чалоян, Развитие философской мысли в Армении, м, 1974, с. 201—206). ლ. მელიქსეთბეგის ცნობით, მისი ზოგიერთი თხზულება ქართულადაც ყოფილა გადმოღებული XVIII საუკუნეში (ძვ. სომ. ლიტ. ისტორია, 1941, გვ. 155—156). ანტონი იმოწმებს ამ ავტორის მწვალებლურ მოსაზრებას (72) და იქვე დასძენს: ეს არის „უფსკრული პელელო უღმრთოების“-ო (73,1). ხოლო „მზამეტყველებაში“ ვკითხულობთ: „ამან უსჯულომან ტათეველმან გრიგორი აღწერნა წიგნი მრავალნი, სავსენი საცთურითა. და რაოდენ ძალ-უცს, შეაჩვენებს ძველსა სულიერსა მოძღვრებასა ნეტართა მამათასა, მშობელი ახლისა მოძღვრებისა. ხოლო აღწერა წიგნი კითხვა-მიგებისა თვით-მკონებელმან, ვითარმედ ღმრთისმეტყველებაჲ არს იგი, არამედ უფროსლა უმეცრებად მისა საგონებელი ჭეშმარიტების მოყვარეთაგან. ესე ტათეველი ფრიად წინააღმდეგომ არს წვალებისა მთავართა შორის ერთბუნებიანთასა წმიდისა ხალკიდონის კრებისა“... (გვ. 111). მისი ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ იხ. М. Абебян, История древнеармянской литературы, Ереван, 1975, с. 553—558.**

**გრიგორი ღმრთისმეტყველი 24,5; 731,4 ნაზიანზელი (329—381 წწ.), კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსი, გამოჩენილი საეკლესიო მწერალი (Архимандрит Агапит, Жизнь св. Григория Богослова, СПб., 1869); ძველ ქართულ მწერლობაში დიდად ცნობილი უცხო ავტორი (ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 29—39; გ. გოზალიშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, 1965, გვ. 29—111; ი. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, 1978, გვ. 31—52).**

**გრიგორი ხანძთელი 428—431 ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის დიდი ორგანიზატორი, არქიმანდრიტი, შატბერდისა და**



ხანძთის მონასტერთა მაშენებელი (759—861 წწ.). 951 წელს გიორგი მერჩულემ დაწერა აგიოგრაფიული თხზულება „შრომა და მოღვაწეობა ღირსად-ცხოვრებისა გრიგოლისი არხიმანდრიტისა, ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებლისა და მის თანამრავალთა. მამათა ნეტართა“. გამოცემულია რამდენჯერმე (Г. Мерчул, Жизнь св. Григория Хандзтийского, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, 1911; ლიტ. ქრესტ. I, გვ. 98—156; გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, 1949; ჩვ. საუნჯე, I, გვ. 131—225; აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 248—319; ლიტ. ძეგლები, გვ. 125—221. მისი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 134—136, 152—157; ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, VIII, გვ. 121—131; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 7—544).

**გრიგორი ხუცეს-მონაზონი, დოდორქელი, ვახვახაისძე 787—786** დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი გვიანდელი წარმომადგენელი; ცხოვრობდა XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე და მოღვაწეობდა დოდოს მონასტერში; დაუწერია აგიოგრაფიული თხზულება „წამება ქეთევან დედოფლისა“ და რამდენიმე საგალობელიც (კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 342—343; ტ. რუხაძე, ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“, ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 229—267, მ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 64—71; მისივე, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან. XVII—XVIII სს., 1977, გვ. 142—163).

**გურამ I დავითიანი 561—562** ერისთავი და კურაპალატი (VI ს.), ქართველ ბაგრატიონთა გვარის მამათმთავარი (ქ. ცხ., I, გვ. 218—222, 374; IV, გვ. 120—121).

**გურგენი 564,4 ბაგრატ III-ის შამა (გარდ. 1008 წ.), ბაგრატ II რეგვენის ძე, მეფეთ-მეფე, რომელსაც ბასილი კეისარმა მიანიჭა მაგისტროსობა (ქ. ცხ., I, გვ. 272—278, 381—382; IV, გვ. 139—140; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 124—125).**

**გურიული 701,3; 765,4 გურული.**

## დ

**დავით 20,3; 31,1; 50,3; 111,3; 151,5; 191,2; 237,1; 242,3; 249,2; 250,3—4; 257,1; 297,3; 300,4; 308,1; 346,3; 483,4; 548,1; 561,4;**

565,1; 575,4; 584,3; 610,3; 638,4; 668,5; 833,1; 839,3; 847,1; 03,2 ებრაელთა მეფე და წინასწარმეტყველი, იესეს ძე (I მეფეთათა თ. 16—(II მეფეთათა თ. 2).

დავითიანი 562,1; 585,1; 782,4; 812,1 დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალი, ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტული.

დავით გარეჯელი 543—545 ერთ-ერთი ასურელი მამათაგანი, იოანე ზედაზნელის მოწაფე, დავით-გარეჯის სამონასტრო კერის ფუძემდებელი; მოღვაწეობდა VI საუკუნეში, ჰყავდა მრავალი მოწაფე. არსებობს მისი „ცხოვრების“ რამდენიმე რედაქცია, რომელთაგან ვრცელი საკითხავი ანტონისთვის კარგად ყოფილა ცნობილი (საქ. სამოთხე, გვ. 265—286; ძვ. რედაქციები, გვ. 144—187; აგიოგრ. ძეგლები, III, გვ. 170—207, 291—311; ქ. კეკელიძე, ეტიუდები, I, 19—50; ი. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, I, გვ. 349—375).

დავით და კოსტანტინე 425—427 არგვეთის მთავარი, რომლებიც აწამეს არაბებმა მურვან ყრუს ლაშქრობის დროს, 737—741 წლებში. მათი წამების კიმენური ტექსტი დაკარგულია. XII საუკუნეში დაუწერიათ ახალი გავრცელებული მოთხრობა — „წამება და ლუაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგუეთისასა, საბრძანებელსა ქართველთასა... უღმრთოესა მის მძლავრისა, სპარსთა მეფისა მურვან, აბულ-კასიმისგან, რომელსა ეწოდა ნართაულად ყრუ“ (საქ. სამოთხე, გვ. 323—330; აგიოგრ. ძეგლები, III, გვ. 248—263; ქ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 538—539). XVIII საუკუნეში ამავე მოწამეთა შესახებ ანტონ ბაგრატიონმა დაწერა მეტაფრასული საკითხავი — „შესხმა და მითხრობა“, რომელიც დაცულია „მარტირიკაში“ (Q 78, ფ. 123r—135v).

დავით და ტარიჭანი 502—504 ყრმა ძმები, რომელნიც ვერაგულად დახოცა მათმა ბიძამ თევდოსიმ „მეფობასა არშაკისსა და საბერძნეთს ერაკლისა“, VII საუკუნეში. მათი წამების ამბავი აღუწერიათ სომხურად IX საუკუნის შუა წლებში. ქართული ტექსტი სომხურიდან უნდა იყოს თარგმნილი; იგი ჩვენამდე მოღწეულია X საუკუნის ხელნაწერით; აღმოაჩინა ნ. მარმა 1898 წელს; გამოსცა ა. ხახანაშვილმა: „თუესა მაისსა იზ. წმიდათა ყრმათა ორთა ძმათა დავით და ტარიჭანისი“ (Материалы по грузинской агиологии, 1910, с. 72—77). მეორე გამოცემა ეკუთვნის ილ. აბულაძეს (ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთო-

- ბა IX—X საუკუნეებში, 1944, გვ. 178—184). ძეგლი ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით განიხილა ი. ჯავახიშვილმა (ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, 1935, გვ. 32—38).
- დავით III აღმაშენებელი 475—483; 569—580; 581,2—3; 583,3; 599,4; 600,2; 602,2; 634,2; გვ. 316 გიორგის ძე საქართველოს მეფე 1089—1125 წწ.; დიდი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერების მეცენატი და მწერალი. მისი დიდებითა, სიმხნითა და ახოვნებით ცხოვრებასა და მოქალაქობას გვაცნობს ანონიმური თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ. ცხ., I, გვ. 318—363; IV, გვ. 155—165; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 193—220. რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, 1965, 116 გვ.; მისივე, დიდნი საქმენი, 1978, 272 გვ.).
- დამასკო 433,1 ქალაქი სირიაში.
- დანიელ 142,1; 158,5; 328,5 ბიბლიური წინასწარმეტყველი.
- დებორა 232,1; 592,2; 593,2; 594,1 ლაფილოთის მეუღლე, ისრაელთა მსაჯული („დედაკაცი წინასწარმეტყველი“), რომელმაც იმკითხვა, თუ ისრაელნი როგორ გაანადგურებდნენ სისარასა და მის ლაშქარს (მსაჯულთა თ. 4—5). შდრ. აქვე, გვ. 71—72.
- დემურ სამარყანდელი 601,1—2 თემურ ლენგი (1336—1405 წწ.), საქართველოს დაუძინებელი მტერი, რომელმაც ჩვენი ქვეყანა „შუდგზის იავარ ჰყო“ (ქ. ცხ., II, გვ. 326—339, 446—472; IV, გვ. 263—276; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 408—424; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, I, 1962, გვ. 334—356; კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე, 1974; დ. კაციტაძე, საქართველო XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე, 1975).
- დილარგეთ 803,4 სარგის თმოგველის დაკარგული თხზულების „დილარგეთიანის“ მთავარი გმირი (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 229—232. ლიტერატურა იხ. სქოლიო-ებში).
- დიმიტრი III, დავითის ძე, დავითიან-ბაგრატიონი 596—597 თავდადებული, ულუ დავითის ძე, დიმიტრი II, გიორგი ბრწყინვალის მამა; მეფობდა 1271—1289 წლებში. მის მოღვაწეობას მოგვითხრობენ ჟამთააღმწერელი (ქ. ცხ., II, გვ. 237, 270—293) და ვახუშტი ბაგრატიონი (ქ. ცხ., IV, გვ. 228—237). შდრ.: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1966, გვ. 209—231.
- დიმიტრი IV დავითიან-ბაგრატიონი 781—782 დავით აღმაშენებ-

ლის ძე, დემეტრე პირველი (1125—1154 წწ.). მისი მეფობის ამბებს მოგვითხრობენ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ქცხ., I, გვ. 334, 363), ლაშა-გიორგისდროინდელი მემკვიდრე (იქვე, გვ. 365—367) და ვახუშტი ბაგრატიონი (IV, გვ. 125). საისტორიო წყაროებში მცირეოდენი ცნობაა დაცული (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 220—228; ი. ლოლაშვილი, ვედრებანი მეფისათვის დიმიტრისა, საიუბილეო კრებული ალ. ბარამიძეს, 1974, გვ. 145—149). ალბათ, ამით აიხსნება, რომ ანტონ ბაგრატიონს დიმიტრის ვინაობასა და ცხოვრების დროზე ნათელი წარმოდგენა არა აქვს (იხ. აქვე, გვ. 49).

**დიმიტრი ორბელიანი** 808 სულხან-საბა ორბელიანის ძმა, XVII—XVIII საუკუნეების მწერალი-პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ვახტანგ VI-ის ერთ-ერთი უახლოესი თანამოღვაწე (ლ. მენაბდე, დიმიტრი ორბელიანი, საიუბილეო კრებული „სულხან-საბა ორბელიანი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1959, გვ. 151—175; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 599—604).

**დიმიტრი ციციშვილი** 813—815 XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი, მათემატიკოსი. იოანე ბაგრატიონი წერს: იგი „აღიზარდა მოსკოვის სასწავლებელსა შინა. ამან მიიღო უცხოოდ სხვადასხვა ენათა სწავლანი და საფილოსოფოსო ხელოვნება, ისწავა მათემატიკა და სთარგმნა ქართულად ლეონეტრია და სხვებთაცა შეეწია თარგმანებასა ზედა წიგნთასა ქართველთა“ (კალმასობა, II, გვ. 206). მისი შრომები განხილული აქვს დ. ცხაკაიას (მათემატიკის ისტორია XVII საუკუნიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, 1965, გვ. 199—207; შდრ.: მისივე, XVII—XVIII საუკუნეების ზოგიერთი ქართველი მათემატიკოსი, თბილისის მათემატიკის ინ-ტის შრომები, XVI, 1948, გვ. 277—288).

**დიოდორე** 40,2 ტარსელი, ეპისკოპოსი 378 წლიდან (გარდ. 394 წელს). 499 წელს თეოდორე მომფსვეტელთან ერთად სცნეს მწვალებელად.

**დიონისი, დიონისიოს** 192,2; 314,5; 316,4 ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, ოთხი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტრაქტატისა და ათი ეპისტოლეს ავტორი. მისი თხზულებები ქართულად თარგმნა ეფრემ მცირემ. „წყობილისტიკვაობაში“ ანტონი იმოწმებს ფსევდო-დიონისეს მოძღვრებას ანგელოზთა დას-დასად განლაგების შესახებ (ი. ლოლაშვილი, არეოპაგეტიკის პრობლემები, 1972, გვ. 9—75. ლიტერატურა იქვე სქოლიოებში).

დიოსკორე 92,4 V საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, ალექსანდრიის პატრიარქი, მონოფიზიტი მოძღვარი, ევტიქი პატრიარქის მიმდევარი, რომელიც, როგორც მწვალებელი, 451 წელს ქალკედონის კრებამ მართლმადიდებლობიდან განკვეთა (История Византии, I, 1967, с. 194—198).

დოდო 537—542 დავით გარეჯელის მოწაფე, დოდოს მონასტრის დამაარსებელი (ძვ. რედაქციები, გვ. 166—167, 173—175).

დომენტი კათალიკოსი, დავითიან-ბაგრატიონი 667—668 ლევანის ძე, ვახტანგ VI-ის ძმა, ანტონ ბაგრატიონის ბიძა, ქართლის კათალიკოსი 1705—1724 და 1739—1741 წლებში; 1725—1738 წლებში გამწვავებული პოლიტიკური ვითარების გამო გააძევეს ოსმალეთში, იმყოფებოდა სტამბოლის მახლობლად ტენედოში. აქ ეწეოდა სამწერლო საქმიანობას (შეადგინა ქართველ წმინდანთა აგიოგრაფიული კრებული). გარდაიცვალა 1741 წლის მიწურულს (ქ. ცხ., IV, გვ. 481, 482, 493—494, 508—509, 516, 518; П. Иоселиани, Исторический взгляд на состояние Грузии под властью царей-магометан, 1849, с. 69—86; ტომოთე გაბაშვილი, მოხილვა, 1852, გვ. 29—31; ელ. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიული კრებული და მისი შემდგენელი, პი შრ., VIII, 1950, გვ. 415—420; მ. ქავთარია, დავით-გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 50—56; ლ. ძოწენიძე, ისტორიულ პირთა პორტრეტები ძველ ქართულ ეპისტოლეებში, ძვ. ქართ. მწერლობისა და რუსთაველოლოგიის საკითხები, VII—VIII, 1976, გვ. 246—263).

## ე

ეგნატი 75,2 ანტიოქიის ეპისკოპოსი 68 წლიდან; აწამეს რომაელებმა 115 წელს. მისი „ეპისტოლენი“ ქართულად თარგმნა გიორგი მთაწმიდელმა (ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 41).

ეგუპტე 54,5; 56,1; 91,1; 131,4—5; 140,5; 219,3; 181,4; 589,1.

ევა 464,4 ადამის მეუღლე (შესაქმე 1—5-ე თავები).

ევთიმი ათონელი 496—501; 0514; 0689; 694—697; 698,3 ექვთიმე მთაწმიდელი, იოანე ათონელის შვილი (გარდ. 1028 წელს); ათონის ივერიის მონასტრის ერთ-ერთი დამაარსებელი და წინამძღვარი; გამოჩენილი მწერალი, მთარგმნელი და საეკლესიო მოღვაწე (ქ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 184—223; ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, VIII, გვ. 142—151). „ცხოვრება იოვა-

ნესი და ეფთვიმესი და უწყებამ მოქალაქობისა მათისაჲ“ აღწერა გიორგი მთაწმიდელმა (საქ. სამოთხე, გვ. 401—432; ათონის კრებული, გვ. 1—68; ცხორებამ იოვანესი და ეფთუმესი, 1946, გვ. 13—55; ლიტ. ქრესტ., I, გვ. 177—189; ჩვ. საუნჯე, I, გვ. 292—336; აგიოგრ. ძეგლები, II, გვ. 38—100; ლიტ. ძეგლები, გვ. 222—269).

ევთიმი კათალიკოსი 0772 იგივე ევთიმიოზ (ეფემიოზ), ქართლის კათალიკოსი 1298—1310 წლებში (ქ. ცხ., II, გვ. 282; ქრკ. II, გვ. 169—170, 176).

ევმანუილ 38,4; 142,5 იესო ქრისტეს ზედწოდება, „რომელ არს თარგმანებით: «ჩუენ თანა ღმერთი»“ (მათე 1,23).

ევნომი, ევნომიოს 11,5; 20,1 კაბადუკიელი (გარდ. 392—395 წლებს შორის), მკაცრი არიანული ფრთის მეთაური.

ევროპა 639,1; 686,1; 783,3.

ევსტათი მცხეთელი 520—522 სპარსი ჭაბუკი; განძაკიდან ჩამოვიდა მცხეთაში, გაქრისტიანდა, დაცოლშვილდა და მთხოვ ხელი მენამლეობას. VI საუკუნის 50-იან წლებში შეიპყრეს ცეცხლთაყვანისმცემლებმა და ვეჟან ბუზმირის (მარზპანის) განკარგულებით თავი მოჰკვეთეს. მისი „მარტვილობა“ აღუწერია VI საუკუნის მეორე ნახევრის ანონიმ მწერალს. თხზულება გამოცემულია რანდენ-ჯერმე (საქ. სამოთხე, გვ. 313—322; საისტორიო კრებული, III, 1928, გვ. 80—94; ლიტ. ქრესტ., I, გვ. 44—54; ჩვ. საუნჯე, I, გვ. 28—42; აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 30—45; ენის ქრესტ., I', გვ. 144—156; ლიტ. ძეგლები, გვ. 41—54. ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 508—515; ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, VIII, გვ. 66—70; ი. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისები, 1978, გვ. 96—104). XVIII საუკუნეში ანტონ ბაგრატიონმა შეთხზა მეტაფრასული მოთხრობა (Q 78, ფ. 168r—184v).

ევტიქი 75,5; 92,4 კონსტანტინოპოლის არქიმანდრიტი, ნესტორის მოძღვრების წინააღმდეგ მებრძოლი, რომელიც თვითვე ჩავარდა ცთომილებაში; 451 წელს ქალკედონის საეკლესიო კრებამ სცნო ერეტიკოსად და მართლმადიდებლური ეკლესიიდან განკვეთეს (История Византии, I, 1967, с. 194—195).

ევფრათი 55,2; 743,1 მდინარე.

ეზდრა 125,3 ბიბლიური წიგნის ავტორი.

ეზეკია 555,2 ბიბლიური წინასწარმეტყველი.

ეკლესიასტე 147,4; 149,5 ძველი აღთქმის შემადგენელი წიგნი, რო-

მელიც მიეწერება სოლომონ ბრძენს (მითითებული კონტექსტით იგულისხმება: „წიგნი სიბრძნისა ისო ძისა ზირაქისა“).

ელია იხ. ილია.

ელიზბარი 417—424 იხ. ბიძინა, ელიზბარი და შალვა.

ელინი 129,3; 130,1; 366,4 ბერძენი.

ელისაბედი 178,1 იოანე ნათლისმცემლის დედა (ლუკა თ. 1).

ელისაბედი 833—837 ანტონ ბაგრატიონის დედა.

ელიხე 253,4; 255,2; 293,4 საფატის ძე, ილია წინასწარმეტყველის მოწაფე; იყო თვითონაც წინასწარმეტყველი აქაბ მეფიდან იოსა მეფემდე 65 წლის განმავლობაში (III მეფეთა თ. 9—22; IV მეფეთა თ. 1—14).

ელკანა 165,3 იერემელის ძე, ეფრემიანი, სამოელ წინასწარმეტყველის მამა (I მეფეთა თ. 1).

ენუქ 346,1 იარედის ძე; მათუსალას მამა; იცოცხლა 165 წელი (შესაქმე 5,19—22).

ერიორუ 221,4 იხ. იშვიათ და არქაულ სიტყვათა ლექსიკონში.

ერისთავნი 421,1 იგულისხმებიან ელიზბარ და შალვა ერისთავები (იხ. ბიძინა, ელიზბარი და შალვა).

ერმანიტელი 73,2 სომეხი.

ესებონი 124,1—3; 500,2 ისრაელთა ქალაქი; მდებარეობს იორდანის ნიდან 20 მილის მოშორებით: „დაეშენა ისრაელი ყოველსა ქალაქებსა შინა ამორეველთასა, ესებონს შინა და ყოველთა საზღუართა მისთა, რამეთუ ესებონი ქალაქი არს სეონ მეფისა ამორეველთაჲსა“ (რიცხეთა 21,24—25). უწინ მის შემოგარენში ყოფილა დიდი რეზერვუარები. აქედან წარმომდგარა გამოთქმა „ესებონის ტბანი“. შდრ.: „თუალნი შენნი ვითარცა ტბა ესებონსა შინა“ (ქება-ქებათა 7,5).

ესთერი 125,2; 592,2; 594,3 მარდოხეს ასული, მეფე არტაქსარის მეუღლე (იხ. წიგნი ესთერისი). „ესთერ“ 258,3 ბიბლიის ერთ-ერთი წიგნთაგანი.

ეფესო 200,1 ქალაქი მცირე აზიის აღმოსავლეთ მხარეში; ეფესელი 91,2 ეფესოს მკვიდრი.

ეფრემი 216,1 იაკობის ძე, ბიბლიური მამათმთავარი.

ეფრემ მცირე 743—748; 750,4; 768,4; გვ. 317 გამოჩენილი ქართველი მწერალი, მთარგმნელი და მეცნიერი; შავი-მთის ლიტერატურული სკოლის მეთაური XI საუკუნის მეორე ნახევარში; თარგმნა და შეთხზა მრავალი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ტრაქტატი; არსენ იყალთოელის მოძღვარი (კ. კ. კ. ე. ლ. ი. ძე, ქლი,

I, გვ. 250—269; ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, VIII, გვ. 158—175; იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, 1968, გვ. 36—44; მზ. შ ა ნ ი ძ ე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანისა, ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, II, საიუბილეო, 1968, გვ. 77—122. ლიტერატურა იხ. სქოლიოებში).

### 3

**ვარდანი 659,1** აბუსერისა და ტბელ აბუსერიძეების ძმა, ერისთავთ-ერისთავი (XIII ს.), რომლის თხოვნით არსენ ბულმაისიმისძემ შეთხზა ხელთუქმნელი ხატის საგალობელი (იხ. აბუსერი, არსენ ბულმაისიმისძე).

**ვასილი 656,3** ბასილი დიდი, კაპადუკიის არქიეპისკოპოსი (329—379 წწ.), გამოჩენილი საეკლესიო მწერალი (Архимандрит Агапит, Жизнь св. Василия Великого, 1873); ძველ ქართულ ლიტერატურაში დიდად ცნობილი ავტორი (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, V, გვ. 17—22; ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ბასილ დიდის ვინაობისათვის, სმგ მოამბე, 1962, № 3, გვ. 125—151; მ ი ს ი ვ ე, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, 1968; გ. გოზალიშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, 1965, გვ. 29—111; ი. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, 1978, გვ. 31—52).

**ვასილი ათონელი 772—773; 774,5** ეფთვიმე კათალიკოსის ბიძა (ქ. ცხ., II, 282—283): „იყო ქართველთა თავადთაგანი. სიყრმითგანვე თესით შეიყუარა ღმერთი და დაუტევა სოფელი და იქმნა მონაზონ. წარვიდა მთასა ათონისასა, მონასტერსა შინა ქართველთასა და მიიღო მუნ სწავლა სამეცნიერო და საღმრთო წერილთა. ისწავა ბერძული და იყო ფრიად მეცნიერ და მოყუარე წერილთა“ (კალმასობა, II, გვ. 179). ნიკოლოზ კათალიკოსის გარდაცვალების (1280 წ.) შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, მოღვაწეობდა დიმიტრი თავდადებულის სამეფო კარზე; ქართველთა შორის ჰქადაგებდა სიწმიდეს, „მარხვასა, გლახაკთ-მოწყალეებასა, და ღმობიერებასა და უხვებასა, მდინარეთა თანა მწვირიანთა და უყიანთა ღიაშალთა არა თანა შერევად ყოფასა“. სამცოლიანობის გამო დიმიტრი მეფეს (1271—1289 წწ.) „ესევეითართა სწავლათა ეტყოდა: უკუეთუ დაუტევენ უწესობანი ქორწინებათანი, მე თავს-მდებ გექმნე, რათა კეთილად წარემართოს მეფობა შენი. და მთავართაცა ამხილებდა უწესობათა და უმრავლესთა დაფა-



რულნი გულსისტიკუანი მიუთხრნის“. იოანე ბაგრატიონის ცნობით, მან „სთარგმნა რამდენიმე წერილი“, მაგრამ რას ემყარება ეს ცნობა, არ ვიცით. არც მის თარგმანებს მოუღწევია ჩვენამდე. ვახტანგ ბაგრატიონის ძე 717—718 XI საუკუნის მწერალი, გიორგი მთაწმიდელის უფროსი თანამედროვე, რომელსაც მიეწერება „გალობანი მამისა ეფთუმესნი“, გამსჭვალული ეროვნული სულისკვეთებით (ე. მ. ე. ტ. რ. ე. ე. ლ. ი., ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში, პი შრ., IX, 1952, გვ. 191—199, 208—214).

ვახტანგ I ხოსროვანი 551—554; 557,1; 561,5; 564,2; 580,1; 599,1; 600,2; 606,1; 641,3 გორგასალი, მირდატის ძე, ქართლის მეფე, ქ. თბილისის დამაარსებელი (ქ. ცხ., I, გვ. 139—204; IV, გვ. 100—115; ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერის ისტ., I, 1960, გვ. 239—242; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვახტანგ გორგასალი, 1959).

ვახტანგ V, ლევანის ძე, დავითიან-ბაგრატიონი 623—626, 800, 808,3, ვახტანგ VI, ქართლის განმგებელი 1703—1724 წლებში, გამოჩენილი მეცნიერი და პოეტი, ანტონ ბაგრატიონის ბიძა (ლექსება და პოემები, აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, 1975; ქ. ცხ., IV, გვ. 479—521; კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ქლი, II, გვ. 593—605; ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, II, გვ. 441—455; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ვახტანგ მეექვსე, 1966; დ. ბ რ ე გ ვ ა ძ ე, ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, 1974, გვ. 5—86).

ვახტანგ ორბელიანი 809—810 ვახუშტის ძე, პოეტი და მკვერამეტყველი, ანტონის მოძღვარი, კათოლიკურ სარწმუნოებაზე მიქცეული (შდრ.: „მგელთ წარიტაცეს ორთა მიერ წერილთა“ — 810,4), გარდაიცვალა 1752 წელს (გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 313—314; დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართული კულტურის მოღვაწენი რუსეთში, 1974, გვ. 159—179; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 604—606). მისი წერილები რომის პაპისადმი გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა (ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 349—351).

ვახუშტი 811—812 ვახტანგ VI-ის ძე, XVIII საუკუნის დიდი გეოგრაფი და ისტორიკოსი, რომელმაც დაწერა უკვდავი შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ცხ., IV, 1973; ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, VIII, გვ. 325—347; ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, 1946; Л. Маруашвили, Вахушти Багратиони, его предшественники и современники, М., 1956).

ვეელამონი, ვეელმონი 119,1; 246,1 ადგილი, სადაც სოლომონ ბრძენს ჰქონდა საკუთარი ვენახი (ქება ქებათა 8,11).  
ვესპასიანე 282,2 ღვათაბრივი, რომის იმპერატორი (9—79 წწ.)  
(Гай Светоний Транквилл, Жизнь двенадцати цезарей, 1966, с. 195—204).

ზ

ზადენი 289,4 ქართველთა წარმართული სალოცავი კერპი (ქ. ცხ., I, გვ. 106); დაამსხვრია ღმერთმა სეტყვით, როდესაც ნინო განმანათლებელი მოვიდა ქართლში (იქვე, გვ. 91).

ზაქარია 155,2; 165,4; 362,5 მღვდელი, ელისაბედის მეუღლე, იოანე ნათლისმცემლის მამა (ლუკა თ. 1).

ზაქარია 144,3; 145,4; 259,3 ბიბლიური წინასწარმეტყველი.

ზაქარია. მირდატისძე 702—703 ათონის ივერიის მონასტრის ბერი, ეფთვიმე მთაწმიდელის თანამოღვაწე, ცნობილი გადაწერი (X ს.) (დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, 1889, გვ. 256; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 1892, გვ. 166—167); გადაუწერია A 92 ხელნაწერის ერთი ნაწილი (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A ფონდი, I<sup>1</sup>, 1973, გვ. 328). თ. ჟორდანიას ფიქრობს, რომ ეს ზაქარია და ზაქარია მამათმთავარი სეინგელოში ერთი და იგივე პირია (ქრკ., I, გვ. 167), მაგრამ A92-ის მეორე გადაწერის, ბასილის, ანდერძიდან ირკვევა, რომ ისინი სხვადასხვა პირნი არიან. ბასილი წერს: „სანატრელო მამანო, გლახაკი ზ ა ქ ა რ ი ა მ ი რ დ ა ტ ი ს ძ ე კ ს ე ნ ე ბ უ ლ ყ ა ვ თ წ მ ი დ ა თ ა პ ა ტ ი ვ თ ა თ ქ ე ვ ნ თ ა... ი ე ს უ ქ რ ი ს ტ ე,... ა დ ი დ ე... ზ ა ქ ა რ ი ა მ ა მ ა თ მ თ ა ვ ა რ ი და დაასაყდრე წმიდათა შენთა თანა“ (აღწ., გვ. 331). შდრ. აგრეთვე A 1 ხელნაწერის ანდერძები (აღწ., გვ. 12—13 და ქრკ., I, გვ. 168—170).

ანტონი ზაქარია მირდატისძეს უწოდებს საკვირველ გამომთქმელსა და „წიგნთა მეთარგმანეს“, ხოლო პ. იოსელიანი იუწყება: „ამან აღჰსწერა“ სტოდიერი, კირილე ალექსანდრიელის „საუნჯე“, ნიკოლოზ საკვირველმოქმედის „ცხოვრება“ და ბასილი კესარიელის „ღმრთისმშობლის მიცვალება“ (წყობ., გვ. 239). გ. მთაწმიდელი ზაქარიას მთარგმნელობითს საქმიანობაზე არაფერს ამბობს (აგიოგრ. ძეგლები, II, გვ. 93, 95). პ. იოსელიანის მიერ დასახელებულ ძეგლთა მთარგმნელები ჩვენთვის ცნობილია კარგად: „სტოდიერი“ გადმოაქართულა 1042 წლის ახლო ხანში

გიორგი მთაწმიდელმა (ათონის კრებული, გვ. 208; ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 57), კირილე ალექსანდრიელის „საუნჯე“ უთარგმნიათ, როგორც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ვიცით, ჯერ კიდევ X საუკუნემდე, მაგრამ ის თარგმანი დაკარგულია; მეორედ გადმოუღიათ სომხურიდან XVIII საუკუნეში ანტონ ბაგრატიონსა და ფილიპე ყაითმაზაშვილს (A 3) (აღწ., გვ. 18—21; ქ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 470; მისივე, ეტიუდები, V, გვ. 87); „საუნჯის“ ფრაგმენტები დაცულია არსენ იყალთოელის „დოღმატიკონში“ (ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, 1978, გვ. 123—126); ხოლო „ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ცხოვრების“ კიმენტური რედაქცია გადმოუღია სეით თარგმანს (VIII ს.), მეტაფრასული — XI—XII საუკუნეებში. თეოფილე ხუცესმონაზონს (გელ. 5, ფ. 87r—107r); ასევე გვიანდელი თარგმანია ბასილი კესარიელის „მიცვალება ღმრთისმშობლისა“ (საქ. სამოთხე, გვ. 1—23).

ზედაზენი 489,3 მთა და მონასტერი საგურამოს თავზე, სადაც VI საუკუნეში დაემკვიდრა იოანე ზედაზნელი თორმეტი მოწაფით (ლ. მენაბდე, კერები, I<sup>1</sup>, გვ. 268—273).

ზირაქის ძე 147,4 ისო ზირაქის ძე; მას მიეწერება ბიბლიური „წიგნი სიბრძნისა“.

ზორობაბელი 604,1 სალათიელის ძე, იუდეველთა წინამძღვარი რომელმაც იერუსალიმში ღვთის ტაძარი ააგო (I ეზდრა თ. 5—6).

## თ

თაბორი 57,4; 528,2 მთა ნაზარეთის აღმოსავლეთით, სადაც ქრისტემ იცვალა ფერი.

თამარ გიორგის ასული, დავითიან-ბაგრატოვანი 583,5; 584—595: 771,2; 804,2 საქართველოს მეფე 1184—1213 წლებში (ქ. ცხ., I, გვ. 368—369; II, გვ. 1—150; IV, გვ. 171—192; მ. ჭანაშვილი, თამარ მეფე, 1917; ი. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 245—294; შ. მეხსია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, 1979).

თემურაზ I, დავითის ძე, დავითიან-ბაგრატოვანი 619—622; 795—796 ქართლ-კახეთის მეფე — 1605—1616 და 1623—1634 წლებში, კახთა მეფე — 1634—1648 წლებში (გარდ. 1663 წ.), გამოჩენილი ქართველი პოეტი, სპარსული პოეზიის მოტრფიალე,

მაგრამ სპარსთა დამპყრობელური პოლიტიკის მკაცრი მოწინააღმდეგე (ქ. ცხ., II, გვ. 382—433; IV, გვ. 424—427, 436—444, 579—602; არჩილიანი, II, 1937, გვ. 1—130; თეიმურაზ I, თხზ. სრ. კრებული, 1934; ქ. კეკელიძე, ქლი, II, გვ. 551—572; ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, 1940, გვ. 114—162; მ. გუგუშვილი, თეიმურაზ პირველის ცხოვრების გზა, 1979).

თეიმურაზ II, ირაკლის ძე, დავითიან-ბაგრატიონი 627—631, 801 ქართლის მეფე 1744—1761 წლებში, პოეტი და მწიგნობარი (საქართველოს ცხოვრება, II<sup>2</sup>, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913, გვ. 1—262; თეიმურაზ II-ის თხზულებათა კრებული, ა. ჯაკობიას რედაქციით, 1941; ქ. კეკელიძე, ქლი, II, გვ. 605—616; ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 466—473).

თეოდორე 40,3 მომფხვეტელი, დიოდორე ტარსელი ეპისკოპოსის მოწაფე, 499 წელს გაასამართლეს როგორც მწვალებელი.

თეოდორიტე 94,4; 746,5 კვირელი (393—457 წწ.), გამოჩენილი საეკლესიო ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი; დაგვიტოვა დიდძალი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მისი „საეკლესიო ისტორია“ შედგება ხუთი წიგნისაგან, შეიცავს 325—423 წლების ამბებს. დიდად ცნობილი ავტორია ძველ ქართულ მწერლობაში (ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 58—59). გვაწვდის ძვირფას ცნობებს ქართლის მოქცევის შესახებ (ეფრემ მცირე, უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, 1959, გვ. 3—12).

თეოდოსი 47,1; 88,4 თეოდოსი I დიდი, იმპერატორი (379—395 წწ.) (История Византии, 1, 1967, с. 178—181).

თეოდოსი 90,1 თეოდოსი II მცირე, ბიზანტიის იმპერატორი (408—450 წწ.) (История Византии, I, 1967, с. 185—199).

თეოფილე 749—750 ხუცესმონაზონი, ათონის ივერიის მონასტრის მოღვაწე და მთარგმნელი, ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თანამედროვე (ქ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 243—246).

პ. იოსელიანი აიგივებს მას თეოფილე ტარსელ მიტროპოლიტთან, მაგრამ, როგორც ქ. კეკელიძე შენიშნავს, ისინი სხვადასხვა პირნი არიან. შეცდომაა ისიც, თითქოს ამ თეოფილეს ზერძნულიდან ეთარგმნოს „ილარიონ ქართველის ცხოვრება“ (წყობ., 259). ეს ძეგლი დაიწერა ქართულად ბასილი პროტოასიკრიტის მიერ (იხ. ილარიონ კახი).

თესალონიკი 688,5 ქალაქი სალონიკი (მაკედონიაში), სადაც მოღვაწეობდა ილარიონ ქართველი.

თორნიკიოს ათონელი 692—693 იოანე თორნიკ-ყოფილი (სვინგე-

ლოზი), ჩორდვანელის ძე, ერისთავი, ეფთვიმე მთაწმიდელის ბიძა დედის მხრიდან; გამოჩენილი მხედართმთავარი, რომელმაც 979 წელს სასტიკად დაამარცხა ბარდა სკლიაროსი; იყო ათონის ივერიის მონასტრის ერთ-ერთი მაშენებელი. ბიოგრაფიული ცნობები დაცულია გიორგი მთაწმიდელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“. თორნიკეს სამხედრო და სამონასტრო მოღვაწეობას შეეხნენ დ. ბაქრაძე (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, გვ. 138—140; დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, 1889, გვ. 238—252), ა. ნატროევი (Иверский монастырь на Афоне, 1909, გვ. 28—48, 206—207), მ. კახაძე (ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, 1954, გვ. 33—45).

## 0

იაბრაჰამებს 429,4 იხ. აბრაამი.

იაზონ 547,3 აზონი, ძე იარედოსისი. ლეონტი მროველის ცნობით, ალექსანდრე მაკედონელმა ქართლოსიანთა პატრიკიოსად დაუტყვევა; მოკლეს ფარნავაზ მეფის მხედრებმა „ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მამინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“ (ქ. ცხ., I, გვ. 23).

იაილ 593,4 ქაბერ კენეველის მეუღლე, რომელმაც შეიპყრო და მოკლა მასთან თავშესაფარად მისული ისრაელთა დაუძინებელი მტერი სისარა. (იხ. აქვე, გვ. 71—72).

იაკობ 101,1; 117,4; 211,2; 212,2; 215,2; 216,2; 225,2; 348,3; 487,2 ისრაელთა მამათმთავარი, ისაკ და რებეკას შვილი (შესაქმე 25, 26—50).

იაკობ 194,3 ზებედეს ძე, იოანე მახარებლის ძმა (მათე 4,21).

იაკობ შემოქმედელი 675—676 დუმბაძე, მწერალი და საეკლესიო მოღვაწე, გიორგი XI-ისა (1675—1688, 1691—1695 წწ.) და იოსებ ტფილელის თანამედროვე, მათთან დაახლოებული პირი (Н. Ма р р, Из книги царевича Баграта, ИАН, 1899, X, № 2, გვ. 242—246; ლ. მენაბდე, კერები I<sup>2</sup>, გვ. 568—571; ლიტერატურა იქვე სქოლიოებში).

იბა 94,4 ივა ედესელი (V ს.), ნესტორიანელი. მისი ზოგიერთი წიგნი შეჩვენებულ იქნა მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით (История Византии, I, 1967, გვ. 280; Н. Пигулевская. Культура сирицев в средние века, 1979, с. 141—144).

იფეკიელი 134,5 ბიბლიური წინასწარმეტყველი.

იფეკიელი 766—767, 768,1 XII საუკუნის ქართველი პოეტი-ჰიმნოგრაფი (კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 306—307; იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გვ. 63—64). ცნობილია მისი რამდენიმე იამბიკო (ლიტ. ძეგლები, გვ. 536—537).

იერემია 132,2; 371,2 ბიბლიური წინასწარმეტყველი.

იერიქო 148,3 ქალაქი იერუსალიმის მახლობლად, მოფენილი პალმებითა და ვარდებით. იერიქოს ვარდი 560,1 ვარდი, რომელიც ხარობს იერიქოსა და მკვდარი ზღვის მიდამოებში.

იეროთეოს 192,3 დიონისე არეოპაგელის მოძღვარი (იხ. ტრაქტატ „სალმრთოთა სახელათუს“, II 10; IV 15—17).

იერუსალიმი 128,5; 145,1; 252,1; 464,1; 653,1; 676,5; 784,1.

იესე 129,1 დავით წინასწარმეტყველის მამა (I მეფეთა თ. 16 და შემდეგ).

იესე ქსნის ერისთავის ძე 807 XVIII საუკუნის პოეტი-ჰიმნოგრაფი, შალვა ერისთავის ძის (დავითის) შვილი, რომელსაც გმირი პაპის სადიდებლად შეუთხზავს ჰიმნი — „წმიდათა და დიდებულთა ორთა ძმათა მოწამეთა ქართველ ელიზბარ ქსნის ერისთავისა და ძმისა მისისა შალვასი და წმიდისა დიდებულისა მოწამისა ბიძინა კახისა“ (გამოაქვეყნა მ. ქავთარიაშვილი: მრავალთავი, III, 1973, გვ. 166—176; აგრეთვე, მ. ქავთარია, ძვ. ქართ. პოეზიის ისტორიიდან, 1977, გვ. 243—268).

ივლითი 592,2; 594,2 ბიბლიური გმირი ქალი, რომელიც მტრის ბანაკში შევიდა და მძინარე მხედართმთავარ ოლომფორეს თავი მოჰკვეთა ხმლით (წიგნი ივლითისი). იხ. აქვე, გვ. 72.

ივერია 673,3 საქართველო.

ითეზბიტელა, ითეზბიტელე იხ. ილია.

ილარიონ თუალელი 706—707 გიორგი მთაწმიდელის პირველი მოძღვარი (XI ს.); გიორგი მცირის დახასიათებით, „მიზეზი ყოვლისა კეთილისა“, „უმალღესი სათნოებითა და სულიერითა მოძღურებათა შინა განთქმული, ... რომელი-იგი მას ეამსა ვითარცა მთიები ბრწყინვიდა კრებულსა შორის მამათაჲა“ (აგიოგრ. ძეგლები, II, გვ. 116, 119). კ. კეკელიძე მას უწოდებს „თუალის მონასტრის (ანტიოქიის მახლობლად) მოღვაწეს, რომელიც ამ დროს (XI საუკუნის 20-იან წლებში, ი. ლ.) ხახულში ყოფილა დამკვიდრებული“ (ქლი, I, გვ. 214). მაგრამ „თუალელი“ არ უნდა ნიშნავდეს თუალის მონასტრის მოღვაწეს, არამედ იგი ზიანისმცემს

სადაურობას — თვალის მკვიდრს. „თვალი“ კი დღევანდელი საგარეჯოს ისტორიული სახელწოდებაა. ახლაც საგარეჯოს ხევს ადგილობრივი მკვიდრნი უძახიან თვალთხევს, ხოლო „სათავე“ თანამედროვე მცდარი გააზრებაა ძველი სახელისა „სათვალე“ ანუ წყლის სათავე, წყაროსთავე (თვალი).

• **ილარიონ კახი** 448—452, 685—688 ილარიონ ქართველი, საზღვარგარეთელი მოღვაწე და მეუღაბნოე (გარდ. 969/975 წ.). მისი „ცხოვრება და მოქალაქობა“ აღწერა ქართულად ბასილი პროტოასიკრიტმა ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის (976—1025 წწ.) ბრძანებით. ეს თხზულება ჩვენამდე მოღწეულია 1074 წლის ხელნაწერით (ათონის კრებული, გვ. 69—108; აგიოგრ. ძეგლები, II, გვ. 9—37). არსებობს „ილარიონის ცხოვრების“ მოკლე და მეტაფრასული რედაქციებიც (საქ. სამოთხე, გვ. 371—392; ჩვ. საუნჯე, I, გვ. 281—291; აგიოგრ. ძეგლები, III, გვ. 208—248). მათი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები განხილული აქვთ კ. კეკელიძეს (ქლი, I, გვ. 244—245; ეტიუდები, IV, გვ. 134—158), ე. გაბიძაშვილს (აგიოგრ. ძეგლები, IV, გვ. 134—154), მ. დოლაქიძეს (ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, 1974) და ი. ლოლაშვილს („ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ვრცელ და მოკლე რედაქციათა ურთიერთობისათვის, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII—VIII, 1976, გვ. 24—38). ანტონი ამბობს: „ილარიონ არს თარგმანთა შორის პირველ“ (685,1). ეს მოსაზრება მცდარია: „ცხოვრება“ ილარიონს არ ჰსახავს მთარგმნელად; მისი სახელით არც რაიმე თხზულებაა ჩვენამდე მოღწეული; მასზე აღრე სხვა მთარგმნელები მოღვაწეობდნენ.

• **ილია** 251,4; 255,1; 364,2; 493,4; 528,4; 655,2; 683,2; 772,2—4 თეზბიტელი, ბიბლიური წინასწარმეტყველი (III მეფეთა თთ. 17—19); **ითეზბიტელა** 776,3; **ითეზბიტელე** 545,1 იწინასწარმეტყველა (იწინასწარმეტყველე) ილია თეზბიტელის მსგავსად.

**იმერი** 701,3; 765,3 იმერელი.

**ინდი** 434,5 ინდოელი.

**ინდია** 587,4 ინდოეთი.

• **იოანე** 194,1; 654,1; 723,1 მახარებელი, ზებედეს ძე, ავტორი სახარების მეოთხე თავისა.

• **იოანე** 184,5; 361,4—5; 362,5; 654,3—4; გვ. 316 ზაქარიასძე, ნათლისმცემელი (წინამორბედი).

• **იოანე** 648,2 ოქროპირი, დიდი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი,

გაპოჩენილი ორატორი (გარდ. 407 წ.) (Архимандрит Агапит, Жизнь св. Иоанна Златоуста, СПб., 1874); ძველ ქართულ მწერლობაში დიდად ცნობილი უცხო ავტორი (კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 68—83); ი. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, 1978, გვ. 31—52).

იოანე ათონელი 514—519, 689—691 ეფთვიმე მთაწმიდელის (ათონელის) მამა (გარდ. 1005 წ.), ათონის ივერიის მონასტრის მამულებელი და პირველი წინამძღვარი. მისი მოღვაწეობის შესახებ უხვ ცნობებს გვაწვდის გიორგი მთაწმიდელი „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ (იხ. ეფთიმი ათონელი).

იოანე ბოლნელი 671—672 ქართველი საეკლესიო მკვივრმეტყველი X—XI (ზოგი მკვლევრის მოსაზრებით, VII თუ IX) საუკუნეებისა, ბოლნისის ეპისკოპოსი (იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, მ. ჯანაშვილის გამოცემა, 1911). ბიოგრაფიული ცნობები არ შენახულა. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ეს იოანე მოღვაწეობდა ბოლნისში, მერმე — ხახულში, 1019 წლის შემდეგ კი — ათონის ივერიის მონასტერში, სადაც მას იხსენიებენ ხახულელად და ოქროპირად (ქლი, I, გვ. 182). რ. ბარამიძემ ეს იდენტიფიკაცია ეკვის ქვეშ დააყენა: იოანე ხახულელი და იოანე ბოლნელი სხვადასხვა პირია; სხვადასხვა პირია აგრეთვე იოანე ხახულელი და ოქროპირი. სამაგიეროდ იოანე ბოლნელი და ოქროპირი ერთი და იგივე პირია, მაგრამ იგი არ არის ხახულელი (რ. ბარამიძე, იოანე ბოლნელი, 1962, გვ. 10—11). სწორია მოსაზრება, რომ იოანე ბოლნელი არ არის ხახულელი (ანტონი მათ ერთმანეთისგან ასხვავებს) და არც ოქროპირი. „იოანე და ეფთვიმეს ცხოვრებიდან“ ირკვევა, რომ იოანე ხახულელის ზედწოდება ყოფილა ოქროპირი (იხ. აქვე. იოანე ხახულელი ოქროპირი). იოანე ბოლნელს უმოღვაწია მხოლოდ ბოლნისში, იქვე გარდაცვლილა და იქვე ყოფილა დაკრძალული (ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიშკის მოამბე, III, 1938, გვ. 337—338).

პ. იოსელიანი წერს: იოანემ და „მოწაფემან მისმან კიპრიანე სამთავნელმან ეპისკოპოსმან ჰსთარგმნეს ბერძულიდგან ქართულად კურთხევანი; ეს უკანასკნელი მოუხსენებიათ კურთხევანისა მბეჭდავთა და არ ვიცო, რა მსათვის დაუტევებიათ სახელი იოანე ბოვნელისა, რომელიცა ორთა ძველთა ჯელწერილთა კურთხევანთა, ნახულთა ჩემგან ათონისა მთასა, არის მოხსენებული“ (წყობ. გვ. 222). აქ დასახელებული „კურთხევანი“ პირველად დაიბეჭდა



1713 წელს ვახტანგის სტამბაში; ბერძნულიდან თარგმნა და გამოსაცემად გამართა კვიპრიანე სამთავნელმა ეპისკოპოსმა, რომელიც ცხოვრობდა დომენტი კათალიკოსის (1704—1725 წწ.) დროს (ქართული წიგნი, I, 1941, გვ. 22—23). ეს კვიპრიანე (კოზმა) არაგვის ერისთავთა ოჯახიდან იყო, ბერძნული ენა შეისწავლა იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსისგან და XVIII საუკუნის დასაწყისში ეწეოდა სამთარგმნელო და საგამომცემლო საქმიანობას. ცხადია, იგი არ შეიძლება ვცნოთ იოანე ბოლნელის მოწაფედ, რომელსაც თითქოს მოძღვართან ერთად უთარგმნია ბერძნულიდან „კურთხევანი“. კ. კეკელიძის სამართლიანი შენიშვნით, „ეს არის ფაქტების ჩვეულებრივი აღრევა, რაც გაუგებრობაზეა დამყარებული“ (ქლი, I, გვ. 338).

**იოანე გრძელისძე** 698—699 ათონის ივერიის მონასტრის ბერი, მთარგმნელი და გადამწერი, ეფთვიმე მთაწმიდელის თანამოღვაწე. არსენ ნინოწმიდელ ეპისკოპოსთან ერთად ცხოვრობდა ათონზე სოხასტერში და აწარმოებდა ეფთვიმეს თარგმანთა გადაწერას. ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის გიორგი მთაწმიდელი („იოანესი და ეფთვიმეს ცხოვრება“) და გიორგი მცირე („გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“). ანტონი მას უწოდებს „წიგნთა თარგმანს“, ამბობს: იყო „კაცი რიტორი, ეფთვიმეს თანასწორი“-ო, მაგრამ რაზეა დამყარებული ასეთი მაღალი შეფასება არ ვიცით; პ. იოსელიანის ცნობებში აღრეულია სხვადასხვა ლიტერატურული ფაქტი (კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 187).

**იოანე ზედაძნელი** 486—490 ასურელი მამა, რომელიც VI საუკუნეში დამკვიდრდა ზედაზენზე და მოწაფეებითურთ შეუდგა ქრისტიანულ-საგანმანათლებლო პროპაგანდას. ჩვენამდე მოღწეულია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მეტაფრასული რედაქციები, რომელთაგან ერთი ეკუთვნის არსენ II კათალიკოსს (საქ. სამოთხე, გვ. 193—208; ძვ. რედაქციები, გვ. 2—68; აგიოგრ. ძეგლები, III, გვ. 83—107; კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 19—50; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 349—375; ლ. მენაბდე, კერები, I, გვ. 268—273. ლიტერატურა აქვე სქოლიოებში).

**იოანე კათალიკოსი** 654—656 გიორგის ძე, „რომელი ყოველითურთ იქმნა სწორ იოანე ოქროპირისა“. დაიბადა წარჩინებული კაცის ოჯახში შიო მმარხველის (მღვიმელის) ლოცვის შედეგად. მოღვაწეობდა შიო-მღვიმეში. აქედან აღყვანილ იქნა კათალიკოსის ხარისხში. მისი „საქმენი და სათნოებანი“ აღუწერიათ წიგნად X სა-

უკუნემდე. იგი ხელთ ჰქონია ბასილ ვაჩესძეს, შიო საკვირველ-  
მოქმედის სასწაულთა აღმწერს (იხ. აქვე, გვ. 23—24).

იოანე კათალიკოსი, ოქროპირა-ზედწოდებული 646—648 ქართლის  
კათალიკოსი XI საუკუნის შუა წლებში. შეილად აღუზარდია მელ-  
ქისედეკ კათალიკოსს; იხსენიება ხან იოანედ (ქრტ., I, გვ. 60—  
61, 80), ხან ოქროპირად (ქ. ცხ., I, გვ. 296). მან „მრავალნი ეკლე-  
სიანი აღაშენნა და განაახლნა“. პ. იოსელიანის ცნობით, „ამან  
განაშვენა ქადაგებითა თვისითა ეკლესია ქართველთა და ჰსთარ-  
გმნა ბერძულიდგან წიგნი «წინამძღუარი», ქმნილი ათანასი ან-  
ტიოხელისა პატრიარხისა მიერ, და წიგნი გრიგორი ნაზიანზელი-  
სა“ (წყობ., გვ. 208). იოანე რომ ორატორი ყოფილა, ცხადყოფს  
მისი ზედწოდება „ოქროპირი“, მაგრამ მას ხსენებული თხზულებ-  
ები არ უთარგმნია. ძველ ქართულ მწერლობაში „წინამძღვა-  
რის“ სათაურით, ცნობილია ორი ძეგლი: 1. ანასტასი სინელის  
თხზულება, რომელიც შესავლად უძღვის არსენ იყალთოელის  
„დოღმატიკონს“, იგი არსენმა თარგმნა მანგანაში და 2. იოანე და-  
მასკელის „ცოდნის წყაროს“ შემოკლებული ქართული რედაქ-  
ცია, რომელიც ეკუთვნის ექვთიმე მთაწმიდელს (ქ. კეკელიძე,  
ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 202 და 280). რაც შეეხება გრი-  
გოლ ნაზიანზელის წიგნს, გაუგებარია, პ. იოსელიანი მისი სახით  
რა თხზულებას გულისხმობს. გრიგოლის შრომათა მთარგმნელები  
არაიან დავით ტბელი, ეფთვიმე მთაწმიდელი, ეფრემ მცირე,  
მაგრამ შათ შორის იოანე კათალიკოსი არ იხსენიება (ქ. კეკე-  
ლიძე, ეტიუდები, V, გვ. 29—39).

იოანე მანგლელი 683—684 იოსებ გიორგის ძე სააკაძე (1666—  
1751. წწ.), გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე: ბერად აღიკვეცა  
დავით-გარეჯის ბერთუბნის მონასტერში იოანეს სახელით. ბაქა-  
რის მეფობის დროს გაამწესეს მანგლელ ეპისკოპოსად, შემდეგ  
მისიონერული მოღვაწეობა გააგრძელა ჩრდილო-კავკასიაში; იმ-  
ყოფებოდა 1724 წლიდან ჯერ დარუბანდში, შემდეგ — ასტრა-  
ხანში, ბოლოს — ყიზლარში, სადაც 1738 წელს ქართველ ყრმა-  
თათვის სკოლაც კი გახსნა. გარდაიცვალა 85 წლის ასაკში 1751  
წლის 28 მარტს. დაკრძალეს ჯერ ყიზლარში, ჯვარ-ამაღლების ეკ-  
ლესიაში, 1752 წელს გადმოასვენეს საქართველოში და დაკრძა-  
ლეს თბილისის სიონის ტაძარში (П. Исселнашв, Описание  
древностей города Тифлиса, 1866, с. 160—162; გაბრიელ  
მცირე, ქემუარული თხრობანი, ქართული ლიტერატურა  
XVIII საუკუნეში, გვ. 124—125).

იოანე პატრიკ-უოფილი 725—726 ათონის ივერიის მონასტრის მწიგნობარი, გადამწერი, რომელსაც, გიორგი მცირის ცნობით, გიორგი მთაწმიდელის წიგნები გადაუწერია; ასევე აღუწერია მის წიგნთა „ზანდუკი და ანდერძი“, აღურიცხავს „გალობაჲ და დასდებელი ფრიადითა შრომითა და გულსმოდგინებითა“ (აგიოგრაფიკლები, II, გვ. 148). ამის მიხედვით იგი შეიძლება ვცნოთ ერთ-ერთ ძველ ქართველ ტექსტოლოგად.

იოანე პეტრიწი იხ. იოანე ფილოსოფოსი, პეტრიწი-ჰიმჰიმელი.

იოანე საღმრთო ფილოსოფოსი იხ. იოანე ფილოსოფოსი, პეტრიწი-ჰიმჰიმელი.

იოანე სინელი გვ. 317 გამოჩენილი ასკეტიკოსი მწერალი (გარდ. 649 წ.), „კლემაქსის“ ავტორი (იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, 1968, გვ. 88—99; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 65).

იოანე ტაჰისძე 750,4; 762—763 XI—XII საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსი, რომლის ბიოგრაფია და შრომები ჩვენთვის უცნობია (კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 307—308). იხ. აქვე, გვ. 26.

იოანე ფილოსოფოსი, პეტრიწი-ჰიმჰიმელი 658,3; 731—742; 748,2; 766,2; 768,2; გვ. 316 დავით აღმაშენებლის ეპოქის გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი; მოღვაწეობდა ჯერ საზღვარგარეთელ ლიტერატურულ ცენტრებში, ბოლოს დამკვიდრდა გელათის აკადემიაში. აქ თარგმნა ნეოპლატონიკოსი პროკლეს „კავშირნი ღმრთისშეტყულებთნი“, რომელსაც დაურთო ვრცელი კომენტარები შესავლითა და ბოლოსიტყვით; ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა“, იოანე სინელის „კლემაქსი“; დაწერა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტრაქტატი „სათნოებათა კიბე“ და გამაქართულა მრავალი ფილოსოფიურ-თეოლოგიური, ბიბლიური და საისტორიო თხზულება (ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, 1914; იოანე პეტრიწის შრომები, I; 1940; II, 1937; იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, 1968; Н. Марр, Иоанн Петрицкии, 1909; მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, 1909, გვ. V—XLIV; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 284—305; ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1963, გვ. 261—264; შ. ხიდაშელი, იოანე პეტრიწი, 1956; Ш. Хидашели, Основные мировоззренческие направления в феодальной Грузии, 1962, გვ. 293—350; იოანე პეტრიწის შრომების აქ დასახელებულ გამოცემებს უძღვიან შ. ნუტუბიძის, ს. ყაუხჩიშვილის, მ. გოგიბერიძის და ი. ლოლაშვილის ნარკვევები).

იოანე შავთელი 770—771 თამარ მეფისდროინდელი ქართველი პოეტი-მეხოტბე, „აბდულმესიანის“ ავტორი. ჭერ მოღვაწეობდა გელათში, შემდეგ — ვარძიაში. 1203 წელს, როცა ქართველები რუქნადინის წინააღმდეგ იბრძოდნენ, თამარს თან ახლდა ორძხესა და ვარძიაში. ანტონმა არ იცის, რომ შავთელი არის თამარისა და დავითის მეხოტბე (ძველი ქართველი მეხოტბენი, II, იოანე შავთელი — აბდულმესიანი, ი. ლოლაშვილის რედაქციით, 1964. ლიტერატურა აქვე სქოლიოებში).

იოანე ხახულელი ოქროპირი 700—701 ეფთვიმე მთაწმიდელის თანამოღვაწე, გადამწერი და იოანე გრძელიძის სულიერი შვილი (დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, 1889, გვ. 254—255; თ. ყორღანია, ქრკ., I, გვ. 165—166). „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ გიორგი მთაწმიდელი იოანე ოქროპირს იხსენიებს ხახულელად. ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. პ. იოსელიანი ამბობს: „ამან აღჰსწერა ვრცლად წიგნი ერთბუნებიანთა მწვალებელთა (მონოფიზიტთა) და საზოგადოდ ხალკიდონისა კრებისა წინააღმდეგთა დასარღვეველად, რომელიცა მინახავს და დღესცა არს დავით გარეჰსჯისა უდაბნოში“ (წყობ., გვ. 238). მაგრამ ამგვარი ანტიმონოფიზიტური თხზულება ჭერჭერობით ცნობილი არაა. უფრო სავარაუდოა, აქ პ. იოსელიანს ერთმანეთში ერეოდეს ორი სხვადასხვა ფაქტი (თხზულება და ავტორი). მკვლევარი იქვე შენიშნავს: სომეხთა სუჯლის-მეცნიერის სოსთენის წინააღმდეგ საბაქროდ ბაგრატ მეფემ მოიყვანა „ხახულისა მთავარ-ეპისკოპოსისა [იოანე ხახულელის] თანა მყოფი ეფთვიმე გრძელი“, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეფთვიმე გრძელი ამ პაექრობის დროს ახალმოსული იყო იერუსალიმიდან და იმყოფებოდა „ეზოსა თანა მთავარეპისკოპოზისა, ან ჩ ს“ და ანჩელ მთავარ-ეპისკოპოზმან მოპგვარა იგი ბაგრატს (საქ. სამოთხე, გვ. 615). იოანე ხახულელს გადაუწერია თვენი (იერ. 35), რომელსაც ერთვის ანდერძი: „მე, გლახაკმან და უღირსმან იოანე ხახულელმან, დავსწერე ესე თთუენი“. ა. ცაგარელი შენიშნავს, რომ ეს გადაწერი არის „ცნობილი არქიეპისკოპოსი იოანე ხახულელი, ენაწყლიანობის გამო ოქროპირად სახელდებული, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბაგრატ III-ის დროს“. მასვე გადაუწერია კირილე ალექსანდრიელის „სწავლანი“, რომელსაც აქვს ასეთი მინაწერი: „იესო ქრისტე, შეიწყალე ივანე ხახულელი“ (А. Цагарели, Памятники грузинской старины..., СПб., 1888, გვ. 164 და 179). ანტონი აქებს იოანეს, როგორც მკვერ-

მეტყველსა და „ღმრთისმეტყველ საღმრთოს“. მისი წყაროა გიორგი მთაწმიდელის „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ (იხ. იოანე ბოლნელი).

იოზ 158,5; 351,1 ბიბლიური პერსონაჟი, „კაცი იგი ქეშმარიტ, უბიწო, მართალ, ღმრთისმსახურ, განშორებული ყოვლისგან ბოროტისა ნიეთთა“ (იოზ I,1); ცნობილია მრავალტანჯულის ზედწოდებით.

იოზ ფიტარეთელი 791—792 ფიტარეთის მონასტრის წინამძღვარი, XVII—XVIII საუკუნეების მოღვაწე (იხსენიება ის 1696—1730 წლებში), განათლებული მწიგნობარი და კალიგრაფი, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ მიუთვინებია (ლ. მ. ენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიიდან, მაცნე, 1965, № 2, გვ. 155—158; მისივე, კერები I<sup>1</sup>, გვ. 241—245).

იოილ 142,2 იოველ, ბიბლიური წინასწარმეტყველი.

იორდანე 13,3; 255,3; 365,1 მდინარე პალესტინაში, სადაც მოინათლა იესო ქრისტე; ველი (უდაბნო) იორდანისაჲ 449,3; 687,2; 688,3 იორდანის ხეობის ქვედა მხარე.

იოსები 215,1—3; 721,4 იაკობის ძე, „მშვენიერად“ ზედწოდებული, ეგვიპტის მეფე (შესაქმე 30,34—50,24).

იოსები 415—416 იხ. ისაკ და იოსები.

იოსებ ტფილელი 677—678 იოსებ სააკაძე, თბილისის მიტროპოლიტი XVII საუკუნის მეორე ნახევარში, „დიდმოურავიანის“ ავტორი, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერი და „შემგვსებელი“ (გ. ლეონიძე, იოსებ ტფილელი და მისი დიდმოურავიანი, წიგნში „გამოკვლევები და წერილები“, 1958, გვ. 65—127; კ. კეკელიძე, ქლი, II, 1958, გვ. 522—532; ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი, 1974, გვ. 130—156; მ. ასათიანი, იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“, ცისკარი, 1968, № 11, გვ. 122—128; მისივე, იოსებ ტფილელის ბიოგრაფიისათვის, მნათობი, 1968, № 10, 182—187; რ. ფირცხალაიშვილი, იოსებ ტფილელი და მისი «დიდმოურავიანი», 1978.

იოსებ ალავერდელი 411—414 ერთ-ერთი ცამეტი ასურელ მამათაგანი, იოანე ზედაზნელის მოწაფე, რომელმაც „ეკლესიად ალავერდისაჲ ალაშენა წოდებასა ზედა სახელგანთქმულისა მოწამისა გიორგისსა“. მის შესახებ ძველი კიმენური საკითხავი არ მოგვეპოვება. XVIII საუკუნეში შეუთხზავთ სვინაქსარული მოთ-

ბრობა „ცხოვრება იოსებ აბბა ალავერდელისა, რომელი იყო ათორმეტა მამათავანი“ (საქ. სამოთხე, გვ. 217—218; აგიოგრ. ძეგლები, IV, გვ. 403—406). კ. კეკელიძე და ე. გაბიაშვილი ფიქრობენ, რომ ამ მოთხრობის ავტორი უნდა იყოს მაკრინა მონაზონი (მარიამ-ყოფილი). მათ მხარს უბამს მ. ქავთარია (ძე. ქართული პოეზიის ისტორიიდან, გვ. 218—219). ეს ტექსტი მოთავსებულია S 3269 ხელნაწერში, რომელიც ბესარიონ ორბელიანის აგიოგრაფიულ კრებულს წარმოადგენს, და უნებურად იბადება კითხვა: სვინაქსარული ცხოვრების ავტორი თვით კრებულის შემდგენელი ხომ არ არის? ანტონის შესხმა დაწერილია ამ თხზულების მიხედვით (ლ. მენაბდე, კერები, I<sup>1</sup>, გვ. 335—347. ლიტერატურა აქვე სქოლიოებში).

იოსია 555,1 ამონისძე, იუდეველთა პეტეჟესმეტე მეფე (IV მეფეთა 21,24 და შემდეგ), რომელიც სახელმწიფოს განაგებდა სიმართლითა და სიკეთისმოქმედებით; დაუდგარი მებრძოლი კერპთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ; გარდაიცვალა 39 წლის ასაკში (II ნეშტა 35,20—25).

იოსიპოს 589,2 იოსებ ფლავიოსი (37—100 წწ.), ებრაელთა ისტორიკოსი, რომელმაც დაწერა იუდეველთა ომების ისტორია. მისი თხზულება „მოთხრობანი იუდაებრისა სიტყუადასაბამობისა“ XII საუკუნის დასაწყისში ბერძნულიდან გადმოაქართულა იოანე პეტრიწმა (Q 183). ანტონისთვის ეს თარგმანი ცნობილია.

ირაკლი II, თეიმურაზის ძე, დავითიან-ზაგრატოვანი 632—642: 818,5; 827,2 ჯერ კახეთისა და შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე 1744—1798 წლებში, ანტონის ბიძაშვილი. გამოჩენილი მხედართმთავარი და მეცნიერებისა და სწავლა-განათლების დიდო მეცენატი (საქართველოს ცხოვრება, II<sup>2</sup>, 1913; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 1973, გვ. 600—636, 648—663, 676—731, 754—777. ლიტერატურა იქვე სქოლიოებში).

ირინა 98,1 ათენელი, მეუღლე ბიზანტიის იმპერატორის ლეონ IV-ისა (775—780 წწ.), დედა კონსტანტინე VI-ისა (780—797); აქტიური და ენერგიული დედოფალი, რომელიც შეილთან ერთად მართავდა სახელმწიფოს. მისი ინიციატივით გაიმართა მეშვიდე საეკლესიო კრება, რომელმაც დაგმო ხატმბრძოლობა. 797 წელს მან მოაწყო შეთქმულება შვილის წინააღმდეგ, ახალგაზრდა კონსტანტინეს თვალები დასთხარეს, შემდეგ ირინამ თავი გამოაცხადა ერთმპყრობელურ იმპერატორად, მაგრამ

- 802 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს და იმპერატორად დაადგინეს ნიკიფორე I (802—811 წწ.). (История Византии, I, 1967, с. 60—66, Е. Липшиц, Очерки истории византийского общества и культуры. М—Л. 1961, ст. 170—212).
- ირკანია 554,1; 564,3 პირკანია, სპარსეთის პროვინცია, კასპის ზღვის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე (С т р а н о и н, География, 1964, გვ. 481—483; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი. სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 145—150).
- იროლი 54,5 პეროდე, ებრაელთა მეფე. (მათე 2,13—24).
- ირონ ფილოსოფოსი 731,5 გრიგოლ ღმრთისმეტყველის ერთ-ერთი ეპისტოლეს ადრესატი (იხ. აქვე. გვ. 28—29).
- ისაია 38,3; 127,5; 247,2; 340,5 ბიბლიური წინასწარმეტყველი.
- ისაკ 210,1; 273,5; 348,1 აბრაჰამის შვილი (შესაქმე თ. 22).
- ისაკ და იოსებ 415—416 კარნუ ქალაქის (ყარსის) მკვიდრნი, წარმოშობით სპარსნი, „აღზრიდნი დედისა ნებითა ქრისტიანედ“; ორივეს თავი მოჰკვეთეს, რადგანაც მათ არაბთა ამირასაგან ფარულად მოისურვეს ნიკიფორე კეისრისადმი (802—811 წწ.) სანსახური. ძველ მწერლობას არ მოეპოვება ამ მოწამეთა წამების ამსახველი კიმენური ტექსტი. პ. იოსელიანს ათონის მთაზე უნახავს „ქართულსა ძველსა საგალობელში“ მცირე მოსახსენებელი — „წმიდანი ისაკ და იოსებ, წამებულნი კარნუ ქალაქის ამირისაგან, საკინოზთა მთავრისა“ (წყობ, გვ. 117). XVIII საუკუნეში ანტონს დაუწერია მეტაფრასული საკითხავი „შესხმა და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წმიდათა მოწამეთა ისაკ და იოსებისი, ვნებულთა ქალაქსა შინა თეოდოსიპოლსა“ (Q 78, ფ. 289r—302r). „წყობილსიტყვაობაში“ შეტანილი იამბიკო. ამ საკითხავზე აღრეა დაწერილი. „შესხმა-მოთხრობის“ ტექსტი გამოსცა მ. საბინინმა (საქ. სამოთხე, გვ. 351—362).
- ისე წილქნელი 456—459 ერთ-ერთი ასურელი მამათაგანი, იოანე ზედაზნელის მოწაფე; მოღვაწეობდა შიო-მღვიმეში, შემდეგ დაადგინეს წილქნის ეპისკოპოსად. მისი ცხოვრებისა და მოქალაქობის ამსახველი ძველი საკითხავი არ არსებობს. მცირედენი ბიოგრაფიული ცნობები დაცულია იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის „ცხოვრებათა“ ტექსტებში. XVIII საუკუნეში დაუწერიათ ისეს „ცხოვრების“ სვინაქსარული და მეტაფრასული საკითხავები. პირველი დაბეჭდილია ორჯერ (საქ. სამოთხე, გვ. 209—211; აგიოგრ. ძეგლები, IV, გვ. 400—403), მეორე გამოუქვეყნებელია; მისი სათაურია „დაძინებაჲ წმიდათაგანისა

მამისა ჩუენისა ისე წილკნელ ეპისკოპოსისა საკურველთ-მოქმედისაჲ, რომელი იყო ერთი ათორმეტთა მამათაგანი, რომელნი შუამდინართ მოიწინეს“; ეკუთვნის ბესარიონ ორბელიანს (S 3269).

ისრაელი 213,3; 348,2 იაკობის სახელი, რომელიც ღმერთმა შეარქვა (შესაქმე 32,28). იისრაილებს 429,5 ისრაელივით იქნება.

ისრაელი 134,3; 260,1; 853,4 ებრაელი.

ისრაელიტი 223,2; 232,2 ისრაელი, ებრაელი.

ისუ 575,4 ნავინი, გამოჩენილი მხედართმთავარი, ისრაელთა მეთაური. მისი მოღვაწეობა მოთხრობილია ისუ ნავეს ძის წიგნში.

იუდა 434,2 იაკობის შვილი (შესაქმე 29,31; 25,23). იუდიანი-ი, იუდეანი-ი 259,5; 282,3; 561,3 იუდას ჩამომავალი, ებრაელი.

იუსტინიანი 94,2 ბიზანტიის იმპერატორი 527—565 წლებში, იუსტინე პირველის შვილობილი, დიდად განათლებული და ენერგიული თვითმპყრობელი (История Византии, I, 1967, с. 219—353).

### კ

კავკასი 701,5 კავკასიელი.

კახი 701,4; 765,5; 784,4; 0789; 811,4 კახელი.

კახეთი 411,2; 784,5.

კირილე 2,5; 40,5; 47,1; 62,3; 74,2; 91,1 ალექსანდრიელი პატრიარქი; მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების ერთ-ერთი მეთაური, რომელიც იბრძოდა ნესტორისა და მის მიმდევართა დასამხობად (გარდ. 444 წ.) (Ист. Византии, I, 1967, с. 190—191).

კიროს, კროს 240,2; 587,3; 588,4 კვიროს დიდი („მწყემსი“), სპარსთა სახელმწიფოს დამფუძნებელი (559—529 წწ. ჩვ. ერამდე); მის შესახებ ცნობებს გვაწვდის ჰეროდოტე (Геродот, История, 1972, кн. I, III и V; М. М. Дьяконов, Очерк истории древнего ирана, 1961, ст. 66—79).

კლეოპატრა 589,1 ეგვიპტის მეფე-ქალი (I საუკ.), პტოლომეის ასული, განთქმული სილამაზით, ჭკუითა და ცბიერებით (იხ. აქვე, გვ. 39).

კოზმა ხუცესმონაზონი 789—790 დავით-გარეჯის მონასტრის ბერი; დაუწერია „შესხმა ქეთევან დედოფლისა“, რომელიც დაკარგულად ითვლება. პ. იოსელიანის ცნობით, „მოიკლა ლექთავან გზად მიმავალი კახეთსა 1735 წელსა“ (წყობ., გვ. 277; შდრ.:



- კალმასობა, II, გვ. 182). მის ბიოგრაფიულ ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია (მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, გვ. 71, სქ. 144; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, კერები, I, გვ. 309).
- კოლხიდა 554,1; 564,3 კოლხეთი.
- კოპრონიმოსი 98,3 ბიზანტიის იმპერატორის — კონსტანტინე V-ის (741—775 წწ.) ზედწოდება (ბერძ. *κοιρανισμος* гноименитый), შერქმეული მისადმი მტრულად განწყობილ პირთაგან (История Византии, II, 1967, ст. 56).
- კოსტა 283,1 კონსტანტი, კონსტანტინე დიდის (306—337 წწ.) მე-სამე შვილი, იმპერატორი (337—350 წლებში). იბრძოდა არიანული მწვალებლობის წინააღმდეგ; მოკლეს შეთქმულებმა (История Византии, I, 1967, с. 170).
- კოსტანტინე 28,5; 283,1; 284,1; 553,2 კონსტანტინე I დიდი, იმპერატორი 306—337 წლებში (История Византии, I, 1967, с. 66—170).
- კოსტანტინე 98,1 კონსტანტინე VI, ლეონ IV-ის ძე, ბიზანტიის იმპერატორი 780—797 წლებში, მოკლეს ირინე დედოფლის ბრძანებით შეთქმულებმა (История Византии, I, 1967, ст. 60—63).
- კოსტანტინე 425—427 იხ. დავით და კოსტანტინე.
- კოსტანტინე მთავარი 436—441 კონსტანტინე-კახაძე, ქართლის წარჩინებული დიდებულთაგანი, არაბთა წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი. 853 წელს შეიპყრო ბულა თურქმა; იმავე წლის 10 ნოემბერს აწამეს ქ. სამარაში ჯაფარ ბაბილოვნელის ბრძანებით. წამების ამბავი აღწერა უცნობმა ქართველმა აგიოგრაფმა 853—856 წლებში (საქართველოს სამოთხე, გვ. 363—370; ლიტ. ქრესტ., I, გვ. 74—80; აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 164—172; ახალი კრიტიკული ტექსტი რუსული თარგმანითურთ გამოსცეს ნ. ვაჩნაძემ და კ. კუციაშვილმა 1978 წელს, უძღვის შესავალი და კომენტარები (Житие и мученичество святого мученика Костанти Грузина); ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე იხ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, VIII, გვ. 86—90, მისივე, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 98—99; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, I, გვ. 133—146; მისივე, ქლი, I, გვ. 520—522). XVIII საუკუნეში ანტონ ბაგრატიონმა შეთხზა მისი მეტაფრასული საკითხავი — „შესხმა და მოთხრობა“ (Q 78, ფ. 201r—229v).
- კროს დიდი 587,3; 588,4 იხ. კიროს.

კროს მცირე 588,3 სპარსთა მეფე 407—401 წლებში ჩვ. ერამდე (М. М. Дьяконов, Очерк истории древнего Ирана. 1961, ст. 101).

## ლ

ლათინი 666,4; 806,2 კათოლიკე; ლათინთა ენა 814,2; 817,2 ლათინების (ლათინური) ენა.

ლაკონიკები 636,1 ლაკონიური.

ლეი 776,2.

ლეონ 93,5 ლეონ I, რომის პაპი (V ს.), რომლის განმარტება ქრისტეს ორბუნებიანობაზე დაამტკიცა ქალკედონის კრებამ 451 წელს.

ლეონ ისავრი 96,5 ლეონ III ისავრი, ბიზანტიის იმპერატორი 717—741 წლებში, ხატომბრძოლობის ერთ-ერთი მოთავე (История Византии, II, 1967, ст. 47—56; Е. Липшиц, Очерки истории византийского общества и культуры, М.—Л., 1961, с. 170—212).

ლეონ მეფე 662,3 კახთ-ბატონი, კახეთის მეფე 1520—1574 წლებში, ავ-გოთრგის ძე (ქ. ცხ., II, გვ. 351—369, 490—515; IV, გვ. 571—576). მისი შვილი იყო ნიკოლოზ V ქართლის კათალიკოსი (1584—1591 წწ.).

ლიბანი 148,2; 245,1 სირიის ცენტრალური მთიანი მხარე, რომელიც დაფარულია შარად მწვანე ნაძვნარი ტყეებით.

ლუარსაბ I დავითისძე, დავითიან-ბაგრატიონი 608—609 ქართლის მეფე 1534—1558 წლებში (ქ. ცხ., I, გვ. 355—358, 363—366, 505—510; IV, 401—406; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 105—116).

ლუარსაბ II, გიორგის ძე, დავითიან-ბაგრატიონი 505—508, 613—618 ქართლის მეფე 1606—1615 წლებში, „ლუარსაბ წამებულის“ სახელით ცნობილი (ქ. ცხ., II, გვ. 384—399; IV, გვ. 420—427). XVIII საუკუნეში მისი წამების ისტორია აღწერეს ბესარიონ კათალიკოსმა ორბელიშვილ-ბარათაშვილმა (ლიტ. ქრესტომათია, I, გვ. 407—416) და ანტონ კათალიკოსმა (Q 78, ფ. 25r—50v). არსებობს სვინაქსარული საკითხავიც (საქ. სამოთხე, გვ. 580—582; აგიოგრ. ძეგლები, IV, გვ. 433—437).

ლუკა 167,5; 182,2; 186,5 მახარებელი, სახარების მესამე თავის ავტორი.

შაკედონი 547,2 მაკედონელი.

შაკედონ, შაკედონიოს 88,5; 89,2 კონსტანტინოპოლის პატრიარქი (496—511 წწ.) ერეტიკოსი; უარპყოფდა სულიწმიდის ღვთაებრიობას. მაკედონეთი 25,5 მაკედონიოსის მიმდევარი.

შალაქია 146,1 ბიბლიური წინასწარმეტყველი.

შამბრე 208,1 ადგილი ქებრონში, სადაც აბრაამმა დადგა თავისი კარავი (შესაქმე 13,18).

შანასე 216,1 იოსებ უშენიერის უფროსი შვილი, ეფრემის ძმა (შესაქმე 46,20—48,22).

შანენტოს 92,4 იხ. მანინ სპარსი.

შანინ სპარსი 72,3; 92,4 მანიქეველთა სექტის მეთაური. მანის მოძღვრება დაგმო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და მისი მიმდევრების მკაცრი დევნა დაიწყო (История Византии, I, 1967, ст. 274). მანიქეველი 72,1 მანის მიმდევარი.

შანოეთი 165,2 მანოიანი, მანონს ჯალაბობა (მსაჯულთა თ. 13).

შარიაჰ 838—850 იხ. ანასტასია და შარიაჰი.

შარიაჰი 592,1 მოსე წინასწარმეტყველის დაი (გამოსლვათა 15,20).

შარიაჰი 29,5; 30,2; 52,2; 108,5; 125,5; 130,5; 133,5; 137,3; 139,5; 142,5; 144,4; 146,5; 154,5; 159,4; 162,1; 171,1; 177,1; 182,5; 193,5; 194,5; 199,5; 593,1; 724,4 ღმრთისმშობელი, იესო ქრისტეს დედა.

შარკიანე 93,1 ბიზანტიის იმპერატორი 450—457 წლებში (История Византии, I, 1967, ст. 196—201).

შახმედი 417,4 მაჰმადი; შახმედიან-ი 0759, 760,2 მაჰმადიანი.

შეგრელი 701,4; 784,4; 811,4.

შელქიზედეკ 434,3 აბრაამის მკურთხეველი მღვდელი (შესაქმე 14,18—19).

შერანი 225,1; 424,1 ადგილი უდაბნოში, სადაც ეგვიპტიდან გამოსული ებრაელები გაჩერდნენ (გამოსლვათა 15,22—25).

შესხი 701,2; 765,4; 777,2; 811,4.

შთიული 599,3 შთიელი.

შირიან I ხოსროვანი 540—550; 553,3; 561,5 ქართლის მეფე, რომლის დროსაც ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად (ქ. ცხ., I, გვ. 60—130; IV, გვ. 71—84; აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 99—163; III, გვ. 7—83; ლატ. ძეგლები, გვ. 352—396; კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 271—292; გ. გოზალი-

შვილი, ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური, 1974; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 1973, გვ. 64—76).

მიქეა 142,3 ბიბლიური წინასწარმეტყველი.

მიხაილ 442—447 იხ. გობრონ.

მიხაილ 326,4; 328,1 მიქელ მთავარანგელოზი (გამოცხადება 12,7).

მოსე 107,1—3; 157,2; 158,1—3; 203,1; 217,1; 218,1; 222,3; 225,3; 227,1; 328,2—4; 231,1; 349,3; 361,2; 486,1; 575,4; 592,1 წინასწარმეტყველი (გამოსლვათა თ. 2-ე და შემდეგ). მოხეანობა: მოხეანობდეს სჯულით 562,4 მოსეს სჯულის დამცველი იყოს.

მოწამენი გარეჯის უდაბნოებსა 533—536 გარეჯელი ბერები, რომლებიც აღდგომის დამეს ლიტანიობის დროს აწამეს შაჰ-აბასას ნხედრებმა მოწამეთა ეკლესიაში. წამების ისტორია აღწერა ანტონ ბაგრატიონმა (საქ. სამოთხე, გვ. 568—579).

მცხეთა 604,5; 607,5.

## 6

ნაზარეთი 29,5; 166,1 ქალაქი გალილეაში, სადაც აღიზარდა ქრისტე. ნაზარეველი 56,5 ნაზარეთის მკვიდრი, ქრისტეს ზედწოდება.

ნათან 772,4 ბრძენი, დავით წინასწარმეტყველის ძე (II მეფეთა 5,14; III მეფეთა 1,33—46)

ნენეა 286,1 მხედართმთავარი.

ნეემია 604,1 ბიბლიური წინასწარმეტყველი.

ნემესიოს ემესელი გვ. 317 IV-V საუკუნეთა ნეოპლატონიკოსი. ემესის ეპისკოპოსი 400 წლიდან, ავტორი წიგნისა „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც გადმოაქართულა გელათში იოანე პეტრიწმა (გამოსცა 1914 წელს ს. გორგაძემ).

ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსი 431—435, 495,5 ომარ-ყოფილი: ამირ-მუმინის ნათესავის აჰმადის (VIII ს.) ერთ-ერთი სპასპეტთაგანი, რომელმაც ქართლში ლაშქრობის დროს შიო-მღვიმეში მისულმა ნახა სასწაული, რის გამოც უარყო სპარსთა სჯული და შედგა ბერად ნეოფიტეს (=ახალნერგის) სახელით. სამუელ ქართლის კათალიკოსმა დაადგინა ურბნისის ეპისკოპოსად. ცეცხლთაყვანისმცემლებმა შეიპყრეს და ქვით ჩაქოლეს. მისი მარტვილობის ისტორია შეუთხზავს მოკლედ ბასილ ვაჩეს ძეს და შიოს სასწაულთა აღწერილობაში შეუტანია მეცხრე თხრობად (საქ. სამოთხე, გვ. 258—260; ძვ. რედაქციები, გვ. 206—207). XVIII საუკუნეში ანტონ ბაგრატიონმა დაწერა მეტაფრა-

სული საკითხავი (Q 78, ფ. 95r—107v; საქ. სამთხე, გვ. 303—312). ამ ტექსტებში დაცული ისტორიული რეალები ბუნდოვანია; ამიტომ ნეოფიტეს ცხოვრების დრო ზუსტად არაა დადგენილი. პ. იოსელიანი წერს: „მსცვალა სახელი თვისი ომარ ნეოფიტედ 589 წელსა და იქმნა მონაზონ“ (წყობ., გვ. 127). მ. საბინინი შენიშნავს: კათალიკოსი სამუელი, რომელმაც ნეოფიტე აკურთხა, ცხოვრობდა 581—587 წლებში (გვ. 309 სქ.); მ. ბროსე კი ფიქრობს, რომ ეს სამუელ კათალიკოსი უნდა იყოს VIII საუკუნის დასასრულის მოღვაწე, რომელმაც იოანე საბანისძეს შეუკვეთა აბოს წამების აღწერა (Addit., გვ. 137—138). თ. ჟორდანი უარყოფს ამ ვარაუდს და აღნიშნავს: აჰმადის ლაშქრობა უნდა იყოს არაბთა პირველად შემოსევა, რომელიც მოხდა 705 წლის ახლო ხანში, ხალიფა ვალიდის (705—715 წწ.) თვითმპყრობელობის დასაწყისში (ქრკ., I, გვ. 343—344). მართლაც, ვალიდის ხალიფობის დროს სარკინოზთა მხედართმთავარი იყო მაჰმედ, რომელსაც თ. ჟორდანი აჰმადად თვლის. მან მოაოხრა სომხეთი და ქართლი. ამის გამო სუმბატ კურაპალატმა და სომეხთა დიდებულებმა მიატოვეს თავიანთი სამშობლო და სამეგრელოში დაიმაღნენ, ექვსი წელი ცხოვრობდნენ ფოთში (История халифов Вардапета Гевонда, 1862, გვ. 21—25). თუ ეს მაჰმედი არის იგივე აჰმადი, რომელსაც ნეოფიტეს „მარტვილობა“ იხსენიებს, მაშინ ნეოფიტეს წამების დრო შეიძლება განვსაზღვროთ VIII საუკუნის 10-იანი წლებით; თუ აჰმადი სხვა პირია, მაშინ მ. ბროსეს ვარაუდი უფრო ახლოს უნდა იყოს ქვეშაირიტებსა თან, რადგანაც აბოსა და ნეოფიტეს მარტვილობათა საკითხავებში მოხსენიებულ არიან ამირ-მუმინი და სამოელ კათალიკოსი, რომელნიც წამებულთა თანამედროვენი იყვნენ და მათი იდენტურობაც არაა გამორიცხული. ყოველ შემთხვევაში, ნეოფიტე VIII საუკუნის მოღვაწედ ჩანს. იგიც აბოს მსგავსად დაისაჯა მაჰმადიანობიდან ქრისტეს სჯულზე გადასვლის გამო, მაგრამ აწამეს არა ცეცხლთაყვანისმცემლებმა, არამედ არაბმა დამპყრობლებმა, რომლებიც სასტიკად სჯიდნენ გაქრისტიანებულ მაჰმადიანებს.

ნესტორ 40,3; 41,5; 42,1; 74,1; 90,4 ერეტიკოსი კონსტანტინოპოლის პატრიარქი 428—431 წლებში. აღნიშნავდა, რომ: მარიამმა დაბადა არა ღმერთკაცი, არამედ — ადამიანი, რომელსაც მიანიჭეს ღვთაებრივი დიდება; მარიამი ღვთისმშობელი კი არაა, ჩვეულებრივი ყრმის დამბადებელიაო. ეს მოძღვრება დაგმო მესამე

მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელიც გაიმართა 431 წელს ეფესოში (История Византии, I, 1967, გვ. 189—192).

ნიკეა 28,4; 98,2 ქალაქი, სადაც გაიმართა პირველი და მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებები.

ნიკოლოზ კათალიკოსი 652—653 გულაბერისძე, ქართლის კათალიკოსი (1150—1178 წწ.), მწერალი და საეკლესიო მოღვაწე. თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობით, 1178 წელს „სიმდაბლისა ძლით იჯნა კათალიკოსობისგან“ და იერუსალიმს წავიდა, მაგრამ 1184—1185 წლებში, როდესაც მიქელ კათალიკოსმა მწიგნობართუხუცესის სავაზირო მიიტაცა და თავისი კარიერისტული საქმიანობით მეფე და დიდებულები აიძვებდა, თამარის მოწოდებით იგი კვლავ საქართველოში დაბრუნდა და მიქელის წინააღმდეგ გამართულ საეკლესიო კრებას ჩაუდგა სათავეში (ქ. ცხ. II, გვ. 117—119). ნიკოლოზმა დაწერა „საკითხავი სვეტისა-ცხოველისა“, რომელშიც თამარის როგორც მეფე-ქალის, უფლებამოსილებისა და კანონიერების საკითხებს შეეხო „შეფარულად“ (საქ. სამოთხე, გვ. 69—117). გარდაიცვალა XII საუკუნის 90-იან წლებში (თ. ყო რ დ., ქრკ., I, გვ. 269—271; ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962, გვ. 91). მისი საერთო მოღვაწეობის შესახებ იხ. ქ. ქეკელიძე, ქლი, I, გვ. 318—322; ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 97—109).

ნიკოლოზ კათალიკოსი 660—661 ნიკოლოზ II ქართლის კათალიკოსი (1240—1280 წწ.), „კაცი მხილველი სულითა, ანგელოზთა შობაძპვი, და მრავალთა მოღუაწებათა შინა საკურველი, მართლმადიდებელი, ძლიერი და თუალუხუაყად მამხილებელი მეფეთა და მთავართა“ (ქ. ცხ., II, გვ. 224). იბრძოდა პატიოსნებისა და სიწმიდის დაცვისათვის, ბოლოს „სოფლისაგანთა შვებათა განმაკიდმა“ „დაუტევა კათალიკოსობა, ... წარვიდა მამულად თჳსად“ და სიკვდილამდე „ჴუნ იყოფოდა მრავლითა მოღუაწებითა, მარხვითა, მღუძარებითა და გლახაკთ-მოწყალებითა“ (იქვე, გვ. 282). ანტონი მის მოღვაწეობას ახასიათებს ზოგადად, ამბობს: „სიკეთე მისი ნაუწყყ არს ჩემდა“-ო, კონკრეტულ ფაქტებს კი არ ასახელებს. პ. იოსელიანი წერს: „ამან მიიღო საჭე ეკლესიისა განმგეობისა ჟამსა შეფისა კონსტანტინესსა, 1490 წელსა, და მრავლად იღვაწა ეკლესიისათვის, შემუსრვილთა ლანგ-თემურისგან“

(წყობ., გვ. 215). მაგრამ ეს ნიკოლოზი არის სხვა პირი (მდრ.: აქვე, გვ. 39—40).

**ნიკოლოზ კათალიკოსი, ლეონ კახთა მეფის ძე, ბაგრატიონი 662—663 ნიკოლოზ V, ქართლის კათალიკოსი 1584—1591 წლებში.** აღზარდა გედეონ მალალაძემ. მისადმი გაცემულ სიგელში ნიკოლოზ კათალიკოსი წერს: „სულკურთხეულმან დედოფალმან, დედამან ჩემმან, წარმოგიყვანა კათოლიკე ეკლესიით სახლად თჳსად კახეთად სწავლისა ჩემისათჳს, ხოლო შენს მიერ განსწავლულ ვიქმენ კითხეასა ღმრთივ-სულიერთა წიგნთასა და გალობასა ანგელოზებრივსა, რომელ აღწევნულ ვიქმენ თავსა სრულეზისაა, ვიდრე რიტორობად და ღრამატიკოსობად. და მამამან ჩემმან დიდმან მეფემან ლეონ დიდად პატივ-გცა კეთილად აღზრდისა ჩემისათჳს და მრავალნი საფასენი მოგანიჭა ცხორებასა შინა თჳსსა“ (ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, III, 1970. გვ. 272).

**ნიკოლოზ მროველი ორბელიანი 681—682 სულხან-საბა ორბელიანის ძმა, (1672—1732 წწ.),** საეკლესიო მოღვაწე და პოეტი, გადამწერი და რედაქტორი (ქ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 345—349; ლ. მენაბდე, ნიკოლოზ რუსთველი, საიუბილეო კრებული „სულხან-საბა ორბელიანი“, 1959, გვ. 147—186; თ. კუკავა, ნიკოლოზ ტფილელის ეთიკური შეხედულებები, მაცნე, 1971, № 2, გვ. 158—175).

**ნიკოლოზ რუსთველი ჩერქეზი 679—680 XVII—XVIII საუკუნეთა** საეკლესიო მოღვაწე და მწერალი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (ქ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 339—342; რ. ბარამიძე, მასალები ნიკოლოზ რუსთველის ბიოგრაფიისათვის, საიუბილეო კრებული ალ. ბარამიძეს, 1974, გვ. 15—20; მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, გვ. 268—306).

**ნიკოლოზ ქართველთა მნათობი 779—780 იხ. აქვე, გვ. 50.**

**ნიკოლოზ ჩოლოყაისძე არხიმანდრიტი 783—784** იგივე ნიკიფორე ირბახი (ქ. კეკელიძე, ეტიუდები, II, 1945, გვ. 292—313; გულჩინა აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი. — ნიკიფორე ირბახი, 1977).

**ნილოსი 029,1 მდინარე ეგვიპტეში.**

**ნინა, მოციქულთა სწორი 289,2; 463—469** ნინო განმანათლებელი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში. მისი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ ძველი თხრობა არ მრგვეპოვება. IX საუკუნიდან გავრცე-

ლებულა „ნინოს ცხოვრების“ ფრაგმენტული რედაქცია, რომელიც დაცულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში (მატბერდის კრებული, 1979, გვ. 320—355). ამის საფუძველზე XI საუკუნეში ლეონტი მროველმა დაწერა ნინოს მიმოსვლის ახალი ვითარობა, რომელიც შეიტანა მან „მეფეთა ცხოვრებაში“ (ქ. ცხ., I, გვ. 72—129). ქართლის მოქცევის შემცველი მასალების მიხედვით „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია შეუთხზავნ XII საუკუნის დასაწყისში არსენ იყალთოელს (ლიტ. ძეგლები, გვ. 352—396). სხვა ლიტერატურა იხ. აქვე, ლექსიკონში: მირიან I ხოსროვანი.

ნინო 587,2 ასურთა მეფე, სემირამიდა დედოფლის მეუღლე.

ნოე 346,1 ბიბლიური სამათმთავარი, რომელსაც მიეწერება კიდობნის გაკეთება და წარღვნისაგან სულიერ არსებათა გადარჩენა (შესაქმე თ. 6—9).

ნუქარდინ 393,3 იკონიის სულტანი რუქნადინი, რომელიც ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს 1203 წელს ბასიანთან (ქ. ცხ., II, გვ. 92—99, 131—140; IV, გვ. 186—183).

## ო

ოდიშარი 765,4 ოდიშელი.

ოპიზა გვ. 316 ხუროთმოძღვრების ძეგლი და მონასტერი კლარჯეთში (ლ. მე ნ ა ბ დ ე, კერები, I<sup>2</sup>, გვ. 383—396. ლიტერატურა იქვე სქოლიოებში).

ორ 227,2 მოსეს სიძე, რომელიც ხალხის ერთ-ერთ წინამძღვრად ითვლებოდა (გამოსლვათა 17,12).

ორესტი 287,1 წმიდა მოწამე, აწამეს სევასტიანში დეოკლიტიანეს დროს (გელ. 3).

ორიგენი 94,3 დიდი საეკლესიო მწერალი (185—222 წწ.), ერთ-ერთი მწვალებელთაგანი, მეცნიერული ქრისტიანული ტექსტოლოგიის ფუძემდებელი.

ორფეოს 632,3; 026,4 მითიური ზგოსან-მომღერალი, რომელსაც ჰქონდა მაგიური ძალის ხმა.

## პ

პავლე 34,5; 163,2; 194,2; 283,2; 335,5; 336,1; 343,2; 370,2; 467,5; 511,4; 555,3; 653,3; 665,2; 697,5; 825,1; 031,2 ქრისტეს მოცი-



- ქული, რომელსაც მიეწერება 14 ეპისტოლე (მათი კრებული ცნობილია „პავლენის“ სახელით).
- პავლე 40,2 კონსტანტინოპოლის პატრიარქი, სოლუნელი (გარდ. 350 წელს), ერთ-ერთი მწვალებელთაგანი.
- პეტრე 194,2; 336,1 ქრისტეს მოციქული.
- პეტრე მონაზონი ჩხატარაძეშვილი 785—786 პეტრე ჩხატარაძე, მწიგნობარი და პოეტი, „ალექსანდრიანის“ გამლექსავი (კ. კე-კელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 362—364; ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 235—246).
- პეტრე ფილოსოფოსი 768—769 პეტრე გელათელი, XII საუკუნის პოეტი-ჰიმნოგრაფი, რომელიც მოღვაწეობდა გელათში (კ. კე-კელიძე, ქლი, I, გვ. 331—334; იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, 1968, გვ. 63—68).
- პეტრიწი 658,3 იხ. იოანე ფილოსოფოსი, პეტრიწი-ჭირჭიმიელი.
- პიმენ სალოსი 774—776 XIII საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მოღვაწე, იხსენიებს ჟამთააღმწერელი (ქ. ცხ.; II, გვ. 283; შდრ.: აქვე, გვ. 49—50).
- პლატონი 738,4 გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი (427—347 წწ. ჩვ. ერამდე).
- პორფირიოსი 823,2 ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსი, პლატონისა და არისტოტელის თხზულებათა ერთ-ერთი კომენტატორი (232—305 წწ.).
- პოლონატი 95,1 კონსტანტინე IV პოგონატი („წვეროსანი“), ბიზანტიის იმპერატორი 668—685 წლებში (История Византии, I, 1967, ст. 369—374).
- პროკლე დიადოხოსი 738,3; გვ. 317 ათენის ნეოპლატონიკური სკოლის მეთაური (410—485 წწ.), მისი ძირითადი ფილოსოფიური ტრაქტატი „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“ ქართულად გადმოიღო და კომენტარები დაურთო იოანე პეტრიწმა (იოანე პეტრიწის შრომები, I, 1940; II, 1937; Прокл, Первоосновы теологии, перевод А. Лосева, 1972 (Тб.); А. Лосев, История античной эстетики, высокая классика, 1974, М., с. 431—536).
- პროპონტო 587,4 მარმარილოს ზღვა.
- პტოლემეშიდი 46,1 ქალაქი.
- პულხერია 93,1 ბიზანტიის დედოფალი, თეოდოსი დიდის (379—395) ასული და თეოდოსი მცირის (408—450) დაი, რომელიც 414 წლიდან განაგებდა ბიზანტიის სახელმწიფო საქმეებს. გათ-

• ხოვდა 52 წლის ასაკში ერთ გაუნათლებელ ოფიცერზე, მარკიანეზე, რომელიც 450—457 წლებში ითვლებოდა ბიზანტიის იმპერატორად. მათი მეფობის დროს გაიშართა ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრება (История Византии, I, 1967, ст. 186—196).

## რ

რაუდენ 523—528 ვახტანგ გორგასალის ცოლის აღმზრდელი, წარმოშობით სპარსი, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა და დასახლდა ქართლში. სპარსთა შეიპყრეს ერთ-ერთ ბრძოლაში, მოსთხოვეს ქრისტეს უარყოფა, მაგრამ „მან წმიდამან აღირჩია წარუვალი იგი დიდება და იწამა ქრისტესთვის“ (ქ. ცხ., I, გვ. 199). მისი წამების ისტორია ძველად აღწერილი ყოფილა, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია: XVIII საუკუნეში შეუთხზავთ ვრცელი საკითხავები ბესარიონ კათალიკოსს (საქ. სამოთხე, გვ. 169—179) და ანტონ კათალიკოსს (Q 78, ფ: 108r—122v) (მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 89; კ. კეკელიძე, ქლი, I, გვ. 351; ი. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, 1978, გვ. 72—78).

რაფაილ 329,1 ანგელოზი, რომელიც მოეკვინა ტობიას ჭაბუკის სახით (ტობია 5,17).

რახელი 123,4 რაჭილ ლაბანის ასული, იაკობის მეუღლე, იოსებ მშვენიერის დედა (შესაქმე 30,22—23).

რომი 686,5.

როსია 799,3; 817,1 რუსეთი.

რუსი 814,3.

რუსეთი 814,1.

## ს

საბა ხუნგელჩისი 764—765 კარის (ყარსის) ეპისკოპოსი; ცხოვრობდა XIII საუკუნეში; იყო არსენ ბულმანისიმძის თანამედროვე; შეუთხზავს „კანონი ხელთუქმნელი ხატისა“, რომელიც ანტონს უნახავს, წაუკითხავს და მოსწონებია; გამოუთქვამს „გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი“ (A 85, ფ. 295—298; შლრ.: ქრკ., II, გვ. 108—110; ლიტ. ქრესტ. I, გვ. 391—393).

3. იოსელიანის ცნობით, „საბა სინკელი ჰსცხოვრებდა 1150 წელსა. ამან გარდამოიღო ბერძნულიდამ ირმოლოლი ანუ ძლისპირი, რომელსა აწ ხმარობს ეკლესია ქართველთა“ (წყობ., გვ. 265). ავტორი წყაროს არ ასახელებს, საბას ცხოვრების დროს კი (1150 წ.) შეცდომით აღნიშნავს. არც მისი ძლისპირია ჯერ-ჯერობით ცნობილი. ზ. ჭიჭინაძის მიერ აღწერილი „ბიოგრაფია“ (ქართული მწერლობა XII საუკუნეში, 1887, გვ. 27—28) საერთოდ გაუგებრობაა: ან მასში სხვა საბა იგულისხმება, ანდა თვით ზ. ჭიჭინაძის მიერაა შეთხზული (შდრ.: ქ. კეკელიძე, ქლ., I, გვ. 329).

საბელიანი 28,2 საბელიოსის (III საუკ.) მწვალებლური სექტის მიმდევარი.

საველე 281,1; 335,1; 433,1; 549,1 წარმართი მოძღვარი, რომელიც გაქრისტიანდა ღვთაებრივი სასწაულის შედეგად (საქმე მოციქულთა თ. 9). შდრ.: აქვე, გვ. 36—37.

სამოელ 158,4; 350,4; 654,3 ბიბლიური წინასწარმეტყველი, რომელიც ღმერთმა ჯოჯოხეთში ჩააგდო (I მეფეთა თ. 1—3, 8—25).

სამფსონ 234,1 მანოეს ძე, ზღაპრული სიძლიერის ჭაბუკი, რომელიც ცოლის ღალატით დაიღუპა (მსაჯულთა თ. 13—16).

სარგის თმოგველი 803 გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსი, რომელსაც შეუთხზავს რომანი „დილარგეთიანი“. მასვე უთარგმნია სპარსულიდან „ვისრამიანი“ (ი. ლოლაშვილი, ფრაგმენტები, არმოღწეული ძეგლები და უცნობი ავტორები, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 229—232. ლიტერატურა მითითებულია იქვე).

სარმატია 554,3 იხ. აზიური სარმატია.

საულ 242,4; 244,2 ებრაელთა მეფე, რომელმაც ღვთისადმი ურჩობის გამო დაკარგა მეფობა (I მეფეთა თ. 9—31).

საქართველო 574,1.

სახარება 165,5 იგივე ოთხთავი.

სევეროს 94,5 ანტიოქელი ეპისკოპოსი, მონოფიზიტთა ერთ-ერთი თვალსაჩინო მოძღვარი. მისი ცხოვრება აღწერა ასურულად ზაქარია რიტორმა (VI ს.). ეს შრომა ფრანგული თარგმანითა და კომენტარებით გამოსცა მ. კუგენერმა (Patrologia Orientalis; I, 1907, პარიზი, გვ. 7—115).

სეთ 346,1 ბიბლიური პატრიარქი, ადამ და ევას შვილი (შესაქმე 4,25—26).

სემირამიდა 587,1 ლეგენდური მეფე-ქალი, ქალღმერთ ასტარტეს

- შვილი, მეფე ნინის მეუღლე, რომელიც ასურეთში გამეფდა ქმრის სიკვდილის შემდეგ (იხ. აქვე, გვ. 38).
- ხენარი 121,2 სუდანის ერთ-ერთი პროვინცია. ბიბლიური გადმოცემით, აქ ააგეს ბაბილონის გოდოლი (შესაქმე თ. 11).
- ხენაქერემი 481,3 მამა ბაგრატ IV-ის (1027—1072 წწ.) დედისა, მარიამ დედოფლისა (ქ. ცხ., I, გვ. 299).
- ხერგი 95,5 კონსტანტინეპოლის პატრიარქი 610—638 წლებში. მან აკურთხა იმპერატორი ირაკლი მცირე (610—641 წწ.). იყო მონოფელიტი (ამლიარებელი ქრისტეში ერთი ნებისა), რომელიც 680—681 წელს მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამ შეაჩვენა, როგორც მწვალებელი.
- ხერფთეს ჭვრივი 251,1 ხერფთელი დედაკაცი, რომელმაც შიმშილიანობის დროს დიდად უმასპინძლა ილია წინასწარმეტყველს (III მეფეთა თ. 17, 10—23).
- ხიკიმი 213,1 ქალაქი, „რომელ არს ქუეყანასა ქანანისასა“ (შესაქმე 33,17).
- ხინა 161,1; 162,1; 218,1; 528,1; 489,3 მთაგორიანი წმიდა ადგილი არაბეთში, სადაც მოსე წინასწარმეტყველს გამოეცხადა ღმერთი.
- ხინდი 553,1 სინდეთის (ინდოეთის ერთ-ერთი პროვინციის) მკვიდრი.
- ხიონი 65,1; 128,4; 147,2; 339,3; 357,3 ერთ-ერთი გორა პალესტინაში, სადაც აშენებულა იერუსალიმი.
- ხიონი 626,2 ტაძარი თბილისში, სადაც ამჟამად კათოლიკოსის რეზიდენციაა.
- ხირია 493,1 ასურეთი.
- ხირი 591,2 სირიელი, ასურელი.
- ხისარა 593,2 მხედართმთავარი, რომელიც მოიკლა იაილოს (იხ. აქვე) მიერ (მსაჯულთა თ. 4).
- ხოლომონი 65,2; 86,3; 113,5; 115,2, 118,1; 119,2; 238,2; 245,2; 246,1; 582,2; 586,1; 604,2—4; 634,1 დავით წინასწარმეტყველის ძე, ებრაელთა მეფე და ბრძენი (III მეფეთა).
- ხომეხი 754,1; 591,2.
- ხპარსი 50,4; 290,2; 417,3; 434,5; 480,4; 495,4; 573,3; 574,1; 576,3; 591,2; 602,5; 609,3; 619,2; 626,3; 759,2; 802,2.
- ხტეფანე 729—730 ათონელი მოღვაწე (XI ს.) (იხ. აქვე, გვ. 44—45).
- ხტოიკებრი 742,2 სტოიკური.

სულამიტელი 529,1 სულამიტის ჩამომავალი. ანტონი ამ შემთხვევაში იხსენებს „ქება-ქებათა“-ს და სტროფში იმონებს მე-7 თავის დასაწყისს: „რად იხილეთ სულამიტისა მომავალისა ვითარცა მწყობრნი ბანაკთა? რად განუენდეს სლვანი შენნი კამლთა შინა შენთა, ასულო ამინადაბისო?“ (7,1). სულამიტლები 463,5 სულამიტელივით.

სულხან-საბა ორბელიანი 805—806 ვახტანგის ძე (1658—1725), გამოჩენილი მწერალი, ლექსიკოგრაფი, სახელმწიფო მოღვაწე და მოგზაური (გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, 1958, გვ. 128—186; კ. კეკელიძე, ქლი, II, გვ. 449—458; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 446—484; ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, 1953; ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, 1959; ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, 1959).

სუქია 484—485 მესუქაველი („მარტოდ-მყოფი“), წარმოშობით ოსი. როდესაც ოვსთა მეფის ასული სათენიკა ცოლად გაჰყვა სომეხთა მეფეს, სუქია და თექვსმეტი ოსი თანამოღვაწე დაემკვიდრნენ სომხეთს, მთასა სუქავეანთასა, „კვესა ბაგრევანისასა“, და ასკეტურ მოღვაწეობას შეუდგნენ. ისინი აწამეს ოსმა მხედრებმა IV (თუ V) საუკუნეში. მათი წამების ისტორია აღწერა ბერძნულად (ზოგის მოსაზრებით — სომხურად) VI—VII საუკუნეების მეუღაბნოემ ანტონ ჰრომაელმა. თხზულება სომხურიდან გადმოთარგმნეს ქართულად IX—X საუკუნეებში. ქართული თარგმანი დაცულია X საუკუნის ათონურ „მრავალთაეში“ (№ 57); ბეჭდურად გამოსცეს ა. ხახანაშვილმა (Материалы грузинской агнологии по рукописям X века, М., 1910, გვ. XI—XIV, 10—24) და ილ. აბულაძემ (ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, 1944, გვ. 0131—0136, 22—61). XVIII საუკუნეში ანტონმა დაწერა ახალი მეტაფრასული თხზულება (Q 78, ფ. 279r—288v), რომელიც გამოაქვეყნა მ. საბინინმა (საქ. სამოთხე, გვ. 621—629). ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გარშემო იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგის „სუქაველნი ძველ ქართულ მწერლობაში“ (თუმი, VI, 1925, გვ. 123—135) და ი. ჭავჭავაძის „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ (1935, გვ. 4—19).

სვანი 701,5.

სვიმონ I, ლუარსაბის ძე, დავითიან-ბაგრატიონი 610—612 ქართლის მეფე 1558—1600 წლებში (ქ. ცხ. II, გვ. 366—380,

498—514, 532—537; IV, გვ. 406—419; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 129—150).

სუმეონ 56,3 ანდრეა მოციქულის ძმა, ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფეთაგანი, იგივე პეტრე მოციქული (ლუკა 1,40—42).

სუმეონ 721,1 საკვირველმოქმედი, მესვეტი (V—VI სს.), მოღვაწეობდა ანტიოქიის მახლობლად შავ-მთაზე, ჰყავდა მრავალი მოწაფე (მათ შორის ქართველებიც), რომელთაც ააგეს თავიანთი მოძღვრის სახელობის მონასტერი და იქ გააჩაღეს დიდი საგანმანათლებლო საქმიანობა. X—XII საუკუნეებში შავ-მთაზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი საეკლესიო პირნი — მწერლები, მწიგნობარნი. ჩვენს სიძველეთსაცავებს დაუცავს „სვიმეონ საკვირველმოქმედის ცხოვრების“ ვრცელი საკითხავი, რომელიც ბერძნულიდან არის გადმოღებული ადრეფეოდალურ ხანაში (კ. კეკელიძე, კიმენი, I, 1918, გვ. XLVI—XLVII, 215—340).

## ტ

ტარიჰანი 502—504 იხ. დავით და ტარიჰანი.

ტიტე 282,2 რომის იმპერატორი (41—81 წწ.), ვესპასიანე. მან 70 წელს დაანგრია იერუსალიმი.

ტობია 308,3; 329,1 ბიბლიური წინასწარმეტყველი.

ტფილისი 479,1; 522,3; 576,1; 626,2; 0759 თბილისი.

## უ

უვალენტი 72,2 აღმოსავლეთ რომის იმპერიის იმპერატორი (364—378 წწ.) არიანული სექტის მიმდევარი (История Византии, I, 1967. с. 174—180).

უმიროსი 511,4; 084,2 ჰომეროსი, ძველ ქართულ მწერლობაში დიდად ცნობილი ავტორი (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 248—250).

ურბნისი 0431 სოფელი ქართლში. ძველიდანვე აქ იჯდა ეპისკოპოსი.

## ფ

ფარაონი, ფარაო, ფარაოსი 115,3; 221,1; 350,3 ეგვიპტის მეფე, რომლის ეტლები და მხედრები დაძირა მეწამულის ზღვაში მოსე.

წინასწარმეტყველმა, როდესაც ამ უკანასკნელმა ეგვიპტიდან გამოიყვანა ისრაელნი (გამოსლვათა თ. 6—15).  
 ფარნავაჰ 546,2 პირველი მეფე ქართლისა ქართლოსის ნათესავთ-  
 გან. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ანბანის შემო-  
 ლება (ქ. ცხ., I, გვ. 20—26).  
 ფლისტიმელნი 234,2 ბიბლიური ტომი, რომელთა მეომრები გაა-  
 ნადგურა სამფსონ ძლიერმა (მსაჯულთა თ. 15).  
 ფლორენცა 26,5; 99,5 ქალაქი ფლორენცია, სადაც 1439 წელს გა-  
 იმართა ანტონის მიერ მოხსენიებული საეკლესიო კრება.  
 ფოტინოს 40,2 სირიელი ეპისკოპოსი (გარდ. 375 წ.), რომელიც  
 მისსავე სიცოცხლეში რამდენიმე გზის შეაჩვენეს, როგორც მწვა-  
 ლებელი.  
 ფრანცია 814,2 საფრანგეთი.  
 ფსალმუნნი 308,1, დავითნი (დავით წინასწარმეტყველის საგალო-  
 ბელთა კრებული).

### ჟ.

ჟალდეა 51,2 ბაბილონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი.  
 ჟალკედონი 92,2 ქალაქი წინა აზიაში, სადაც 451 წელს გაიმართა  
 მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება.  
 ჟართველი 566,4; 568,5; 591,4; 612,4; 624,2; 669,1; 689,5; 698,5;  
 702,5; 714,4; 715,1; 719,2; 743,2; 749,5; 761,5; 763,5; 765,3;  
 768,4; 779,1; 811,3—5; 814,3; 818,4; 828,2; 852,1—2 საქართ-  
 ველოს მკვიდრი.  
 ჟართველი 599,1; 610,2; 627,3; 628,1; 700,2; 701,2; 777,2; 784,4  
 ქართლელი.  
 ჟართლი 575,3; 608,4; 609,4; 610,5; 705,4 ჟართლი.  
 ჟართლი 742,4 საქართველო.  
 ჟართული 792,2; 798,1.  
 ჟეთევან დედოფალი, ჟეთევან დიდი, ჟეთევან მეფა 403—410;  
 787,3; 790,2 აშოთან მუხრან-ბატონის ასული, დავით კახთა მე-  
 ფის მეუღლე, თეიმურაზ პირველის დედა. 1624 წელს აწამა  
 სპარსეთში. შაჰ-აბასმა. მისი წამების შესახებ დაიწერა მრავალი  
 თხზულება, მათ შორის ანტონის „შესხმა და მოთხრობა ღუაწ-  
 ლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლისა ჟეთა-  
 ვანისთა“ (Q 78, ფ. 6r—24v; მ. საბინინი, საქ. სამოთხე, გვ.  
 583—598). ამ „შესხმა-მოთხრობის“ ავტორს მრავალი წყარო.  
 ჰქონია ხელთ: 1. ანონიმური მწერლის „ისტორიანი“, რომელსაც:

ჩვენამდე არ მოუღწევია; 2. თეიმურაზ I-ის „ქეთევანიანი“ (თხზულებათა სრული კრებული, 1934, გვ. 126—137); 3. არჩილის „თეიმურაზიანი“ (თხზულებანი, II, 1938), 4. გრიგოლ დიდორქელის „წამება ქეთევან დედოფლისა“ (ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 229—267), 5. ბესარიონ კათალიკოსის „დოდმატ-ისტორია“(?), 6. ვახუშტის „აღწერა“ (ქ. ცხ., IV, გვ. 579—592), 7. ჰიმნები და იამბიკოები. მასვე ხელთ ჰქონია უცხოური (მათ შორის სომხური) წყაროებიც. ანტონს ხსენებული „შესხმა-მოთხრობის“ გარდა შეუთხზავს აკროსტიქული საგალობელი და იამბიკური ხოტბაც, რომლებიც შეუტანია „სადღესასწაულოში“ (S 1464, ფ. 50v—52v). აქვე ჩაურთავს ნიკოლოზ ორბელიანის იამბიკოები და იოანე პეტრიწის ერთი სტროფი: „ძელი — სიმაღლედ, სიღრმედ, სივრცედ და სიგრძედ | მპყრობელი ღმრთისაჲ, სამ-ნაწილედ ი ნიში, | ამაღლებული მგრგულივ წმიდა ჰყოფს ეთერსა, | ხოლო აღმპრობად აქუს დღეს განჯსნილი მღდელი, | ოქრო-სახელი, ქერობინებრი პირი“ (A 1427, გვ. 10—11), ოღონდ ამ იამბიკოს მეოთხე და მეხუთე ტაეპები მას ასე შეუცვლია: „რომელმან ჰსძალი, მის-ზედა აღსრულისა, | თან-აღამალა, ქეთევან საკურველი“, ბოლოზე კი მიუწერია: „იოანე“ (ზღრ.: პ. იოსელიანის შენიშვნა: წყობ., გვ. 112—113), რის გამოც შეუქმნია შთაბეჭდილება, თითქოს იოანე პეტრიწმა (XI—XII სს.) საგალობელი შეუთხზა ქეთევან დედოფალს (XVI—XVII სს.).

ქსერაქსე 588,2 არტაქსერქს I-ის შვილი, ქსერაქსე II; სპარსეთში გამეფდა 424 წელს ჩვ. ერამდე.

## შ

შალვა 417—424 იხ. ბიძინა, ელიზბარი და შალვა.

შიო მმარხუელი (მღვმელი) 433,2; 491—495; 454,2; 758,1 ერთ-ერთი ასურელი მამათაგანი, იოანე ზედაზნელის მოწაფე, შიომღვიმის სამონასტრო კერის დამაარსებელი. ქართლში მოვიდა VI საუკუნის შუაწლებში. მისი ცხოვრება და სასწაულნი ძველადვე აღუწერიათ. ჩვენამდე მოღწეულია „ცხოვრების“ მოკლე და ვრცელი (მეტაფრასული) რედაქციები და ბასილი ვაჩესძის (X ს.) „თხრობა სასწაულთათჳს შიომსთა“ (საქ. სამოთხე, გვ. 219—264; ძვ. რედაქციები, გვ. 69—143; აგიოგრ. ძეგლები, III, გვ. 107—170; IV, გვ. 366—376; ქ. ქეკელიძე, ეტიუდები,



I, გვ. 19—50: ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 349—375).

შოთა რუსთაველი 771,1; 802; 803,1—4; 804,3 „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. ანტონი მას თელის ერისკაცად. ამიტომაც ათავსებს იმ მწერალ-მოღვაწეთა შორის, რომელნიც დახასიათებულნი არიან, როგორც საერო პირნი (მეშვიდე ნაწილის მერვე თავი).

შუა-მდინარე 411,1; 487,1 მხარე სირიაში.

შუშანიკ დედოფალი 529—532 „ასული ვარდანისი, სომეხთა სპას-პეტისაჲ“, ვარსკენ პიტიახშის მეუღლე. აღესრულა 476 წლის 17 ოქტომბერს. მისი წამების ისტორია აღწერა 476—483 წლებში მწერალმა იაკობ ხუცესმა. თხზულება გამოცემულია რამდენჯერმე (საქ. სამოთხე, გვ. 181—192; იაკობ ხუცესი, წამება წმიდისა შუშანიკისი, ს. გორგაძის რედაქციით, 1917; იაკობ ცურტაველი, მარტილობა შუშანიკისი, ილ. აბულაძის რედაქციით, 1938; 1978; ყველა მომდევნო გამოცემა იმეორებს აბულაძისეულ ტექსტს: აგიოგრ. ძეგლები, I, გვ. 11—29; ლიტ. ქრესტ., I, 34—44; ენის ქრესტ., I, გვ. 133—143; ჩვ. საუნჯე, I, გვ. 13—27; ლიტ. ძეგლები, გვ. 25—40; იაკობ ცურტაველი, წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, ც. ქურციკიძის გამოც., 1978). იაკობ ხუცესის თხზულების საფუძველზე ანტონმა შეთხზა მეტაფრასული „შესხმა და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა რანთა დედოფლისა სუსანასა, ზედწოდებით შუშანიკისა“ (Q 78, ფ. 66r—82r), რომელშიც შუშანიკის ვინაობა მეტად ორიგინალურად აქვს გააზრებული (ნ. ჯანაშია, „შუშანიკის წამების“ ანტონისეული რედაქცია, „მრავალთავი“, IV, 1975, გვ. 73—99). 1978 წელს აღინიშნა იაკობ ხუცესის თხზულების დაწერიდან 1500 წლისთავი („შუშანიკის წამება“: საიუბილეო კრებული. გამოკვლევები და წერილები; შ. ონიანი, იაკობ ხუცესის „წამება წმიდისა შუშანიკისი“. ი. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან; თ. კილაძე, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“; რ. ბარამიძე, ქართული მწერლობის სათავეებთან; მარიამ ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში და სხვა).

## • ჩ

ჩახრუხაისძე 804 თამარ მეფის მეხოტბე. 1203—1206 წლებში დაწერა ოცმარცვლოვანი სახოტბო თხზულება „ქება მეფისა

თამარისი“ (ძველი ქართველი მეხოტბენი, I, ჩახრუხაძე — „ქე-  
ბა მეფისა თამარისი“, ი. ლოლაშვილის რედაქციით, 1957.  
ლიტერატურა აქვე სქოლიოებში).

## ბ

ნახული 700,2 მონასტერი ტაოში, სადაც X—XI საუკუნეებში  
მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და მთარგ-  
მნელები (ლ. მენაბდე, კერები, I<sup>2</sup>, გვ. 454—458).

ზოსრო 290.1 ხვასრო II ფარევი („ძლევაშოსილი“), რომელიც  
მოკლა კავად მეორემ 628 წელს. 614 წელს, იერუსალიმის აოხ-  
რების დროს, მან წარიტაცა ძელი, რომელზედაც გაკრული იქნა  
ქრისტე (М. Дьяконов, Очерк истории древнего ирана,  
1961, გვ. 315—319). ეს ძელი ტყვეობიდან დაიხსნა ჰერაკლე  
კეისარმა და კვლავ აღმართა იერუსალიმში (წარტყუენვა იერუ-  
სალიმისაჲ, ნ. მარის გამოცემა: ТР., IX, 1909, с. ა-ფვ, 1—66;  
Н. Пигулевская, Византия и Иран на рубеже VI и  
VII веков, 1946, ст. 191—205).

## ჯ

ჯვარის მონასტერი 784,2 ერთ-ერთი დიდი საზღვარგარეთული  
ლიტერატურული ცენტრი იერუსალიმში, სადაც საუკუნეების  
განმავლობაში ქართველები ეწეოდნენ ინტენსიურ სამწერლო  
საქმიანობას; XVII საუკუნეში აქ მონასტრის ძმათა კრებულს  
წინამძღვრობდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (А. Цагарели, Па-  
мятники грузинской старины..., 1888; ტ. გაბაშვილი,  
მიმოსლვა, ელ. მეტრეველის რედაქციით, 1956; ელ. მეტ-  
რეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონის ისტო-  
რიისათვის, 1962).

## ჰ

ჰრომაელი 282,1 რომაელი.

## იხილეთ და არააული სიტყვები\*

## ბ

აბბა 411,5 აბბა, მამა; აბბაებ 459,1 მამობ.

აბიერიტ-ანიოხებს იხ. ბიერიტ-ანიოხი.

\* ყველა სიტყვა ახსნილია კონტექსტში არსებული მნიშვნელობით.

აგებულ-ი 29,3 დაბადებული, შექმნილი, გაჩენილი (შდრ.: აუგე-  
 ბელი).  
 აგენიტონ 172,3 აუგებელი, არა-ქმნილი.  
 აღმას 410,2 აღმასი (იხ. ანდამატი).  
 აღმატინებ 709,5 აღმასივით მაგარი ხარ.  
 ავტოკეფალოს 747,4 დამოუკიდებელი.  
 ავქსონ-ი 740,4; 745,2; 779,3; 789,5 ავტორი.  
 აზიმა 78,1 უცომო, უსაფუერო.  
 აზნაურ-ი 851,2 კეთილშობილი.  
 აკოლოთია 680,4; 779,3; 780,2; 788,1; 807,2 საგალობელი.  
 აკროსტიხორ-ი 491,4; 467,2 კიდურწერილობა.  
 ალილორია 752,3 იგაესიტყვაობა.  
 ალო 615,2 ალოე.  
 აღფავიტ-ი 800,3 ანბანი.  
 აღქატ-ი 452,1; 491,3 ღარიბი, უქონელი.  
 ამარიოტებს 064,4 ასწორებს, ათანაბრებს (ნაწარმოებია სიტყვი-  
 დან „მარიოტა“, რომელიც ნიშნავს დღისა და ღამის ბუნიაო-  
 ბას).  
 ამეთუსტო 613,5 ძვირფასი ქვის სახეობა (შატბერდის კრებული,  
 გვ. 136).  
 ამვროსია 540,5 ტკბილი ღვთაებრივი სასმელი.  
 ამრ 138,2 გამოღმა.  
 ანგელ-ი 778,5; 0106,5; 0107,2 ანგელოზი.  
 ანდამატ-ი 508,3; 513,3; 520,1 აღმასი (იხ. აღმას).  
 ანთრაკ-ი, ანთრაკა 410,3; 613,2 თვალი პათიოსანი ცეცხლოვანი  
 ფერისა.  
 ანიოხ-ი იხ. ბივრიტ-ანიოხი.  
 ანკანაკე 618,3 მზვობარი, ქედმაღლური.  
 ანტაკრად „წინააღმართვებულად გამოითარგმანების“ (საბა). შდრ.:  
 საქმე 7,51: „თქვენ მარადის სულსა წმიდასა ანტაკრად წინა-  
 აღუდგებით“ (Въ всегда противитесь духу святому). ამ კონ-  
 ტექსტში ეს სიტყვა ნიშნავს „მედომად, მოწინააღმდეგედ“, რო-  
 გორც ილ. აბულაძე განმარტავს (ძველი ქართული ენის ლექსი-  
 კონი). ანტონს იგი ესმის გადატანითი მნიშვნელობით, როგორც  
 „წინააღმართვებელი; საფარი, საცავი“: კელით წერილი, ანტაკ-  
 რად (წინააღმართვებულად) ჩუენდა ქმნილი 66,5.  
 ანტლია 500,2 ბასენი, საგუბარი; ანტლია-ქმნილი 439,2 საგუბ-  
 რად ქმნილი.

არღაგ-ი 466,5 წინსაფარი; შესახვევი ტილო.

არება ტარება: ირემთ საკმარად აარებ შენდა 544,3 ირემებს შენთვის მსახურად ატარებ.

არვე ფარა (ცხვრისა); გადატ. სამწყსო, სამონასტრო კრებული: არვეთ ჰმსთავრობდა 784,3 სამონასტრო კრებულს მეთაურობდა (წინამძღვრობდა); ჰმწყსილ ქრისტეს არვეს 712,5 ქრისტიანებს ჰმწყემსამდი; მწყემსთ სიტყუერთა არვეთ გამოჩნდა 435,4 სიტყუერთა არვეების (ქრისტიანების). მწყემსად გამოჩნდა.

არმადან-ი 443,1 ძღვენი, საჩუქარი.

არომატ-ი 559,2 სასიამოვნო სუნი.

არტონ 78,2 „პური შეზავებული ცომისა მიერ და შეუნიერ მარილით“ (ანტონი).

ასაკებრივ-ი სხეულებრივი: ასაკებრივთა მიღმოქცევათა 545,4 სხეულებრივ ცვლილებათა.

ასერგას-ი 88,3; 89,1 ასორმოცდაათი.

ასპეტებს იხ. სპეტი.

აუგებ-ი 551,4 აუგებელი, შეუქმნელი.

აუგებელ-ი 29,3 შეუქმნელი, რაც ღვთისაგან არ არის დაბადებული; აუგებელი გუამ-ი 41,3; 174,3 ქრისტეს ებითეტი; ნათელი აუგებელ-ი 415,4 მარადიულად არსებული ნათელი (ესეც ქრისტეს ებითეტი); შობა აუგებელის 52,5 ძე-ღმერთის განკაცება.

აფსინდ-ი 68,1 აბზინდო (ბეწუმოსილი სამკურნალო ბალახი, რომელსაც მწარე გემო აქვს).

აქატ-ი 613,5 ძვირფასი ქვა (შატბერდის კრებული, გვ. 135).

აღზავება შეზავება, შერევა: რწმუნვა აღზავე (შეზავე) სიხარულსა 540,1.

აღმგე 604,5 აღმგებელი, ვინც აგებს (აშენებს).

აღმნთე 470,3 აღმნთებელი, ვინც ანთებს.

აღმომაცენ-ი 454,3 აღმომაცენებელი, აღმომადინებელი (მირონისა).

აღმომზე 560,5; 683,2; 700,2 აღმომავალი მზე; აღმომზეებ-ი 610,3 იგივე აღმომზე; აღმომზეობს 91,1 მზესავით ამოდის.

აღმოქუმა: აღმოქვა 254,4 ამოიყვანა.

აღმოჩინება 736,3; 756,5 დედუქციური მტკიცება.

აღმსაარე 79,1 აღმსარებელი.

აღმტრფ-ი 469,1 მოსწრაფე.

აღმფრენ-ი: არწივს აღმფრენ უზეეს 337,5 არწივზე მაღლად აღმფრენელი.

აღსაზე 683,3 აღსაზევებელი, გასადიდებელი (გალობით).

აღსაოღვა 355,3; 481,5 მოსპობა, აღგვა (დედამიწის პირიდან).

აღსუფევება: თესალონიკით ზენად აღისუფევეებს 688,5 თესალონიკიდან სასუფეველში ავა დასამკვიდრებლად.

აღტეხა 377,1 ატეხვა, დაჟინება; აღბორგება, აღშფოთება.

აღტეხილება 828,3 ატეხვა, დაჟინება.

აღტრფობა: აღატრფეს-აღეს 333,4 აღატრფიაღეს და ააღეს.

აღტყდომბა: აღატყდავე საქმილი 96,4 აღტყინდა (აენთო და გაძლიერდა) ხანძარი.

აღტყინება აღდება, ანთება: აღნი რა გულსა აღატყინენ ზესთ-საღმრთო 486,2 უზენაესი საღმრთო ალი გულში რომ აინთე.

აღყუავება: ესენი... აღყუავენეს 384,2 ესენი... აყვავდნენ.

აღყუავეილება 104,1 აყვავება.

აღძრცვლი-ი 030,4 ახდილი; გადატ. განთქმული.

აღწხოლა შექმა, შეთქველფა: აღსწბეს ესენი ცეცხლისაგან 235,5 ცეცხლისაგან შეიქამნენ; გესლსა აღსწბენ 068,4 გესლს შეხვრეტავენ (შხამს დაღევენ).

აღხარისხულ-ი საფეხურებად დაყოფილი: ბჰე აღმოსავლით შჯღ-აღხარისხულთ 133,4. შღრ.: „შევიდა ბჰედ მხედველად აღმოსავლით კერძო შჯღთა შორის აღხარისხულთა“ (ეზეკიელი 40,6).

აღჯუარვა ჭვარზე გაკვრა: ჰმზეობ აღჯუარვით ზიარ მზის-შემოქმედის 525,3 შენ, მზის-შემოქმედის (ანუ ქრისტეს) ზიარი, ჰმზეობ ჭვარზე გაკვრით (იგულისხმება რაჟდენ პირველმოწამე, რომელიც ქრისტეს მსგავსად „ძელსა ზედა დამსკვალეს“).

## ბ

ბალასან-ი 559,1; 615,2 ბალასინი, ბალზამის ხე და მისგან დამზადებული სურნელოვანი ნივთიერება, რომელსაც ეკლესიაში აჰმევენ სურნელების დასაყენებლად.

ბანიღ-ი 400,4 განზანიღი.

ბებეკულ-ი დაბებეკული, დახეული და დაძველებული: ნივთნი ბებეკულნი 533,3 სახმარნი გაცვეთილ-დაგლეჯილი (იგულისხმება ტანისამოსი).

ბელეკონ-ი 213,1 „თერეინთო“ (ანუ ტერებიინთო), ერთგვარი ხე.

შდრ.: „ვითარცა ბელეკონი, განმყრელი ფურცელთა“ (ესაია 1,30). რუს.: „Как дун, которого лист опал“.

ბერწის წულ-ი ბერწისაგან შობილი: ისაკი რწმუნებით ი ბ ე რ წ ი ს-  
წ უ ლ ე 347,4 ისაკი (ღვთის) რწმუნებით ბერწისგან შეგეძინა  
(აბრაამის ცოლი სარა უშვილო იყო და ღვთის აღთქმით მას 90  
წლისას ეყოლა ისაკი — შესაქმე 17,15—19; 21,1—3). შდრ.:  
„ი ბ ე რ წ ი ს წ უ ლ ე ბ ს მრავლად უდაბნოს ესე“ (ლიტ. ძეგლები,  
გვ. 538).

ბივრიტ-ანიოხ-ი ბიერილი და ანუქიონი: ა ბ ი ვ რ ი ტ-ა ნ ი ო ხ ე ბ ს  
613,3 აბივრიტებს და აანუქიონებს (ანიოხ-ი იგივეა, რაც ანუქი-  
ონი. შდრ.: გამოსლვათა 28,20).

ბრაწ-ი 212,1 მაგარი ჯიშის ხე.

ბრკიალ-ი 410,1 ბრწყინვალე, ელვარე.

ბრკმულ-ი 453,4 წაბორძიკებული; შეცდენილი, მოტყუებული.

ბროლვა: ბროლავს 729,1 ბროლივით ბზინავს.

ბრძელ-ი 525,1 წყლულის (ან იარის) ნაკვალევი.

ბრჯუეზა: უმკვეთელობა, სიჩლუნგე: კბილთა ა ბ რ ჯ გ უ ე ბ ს 377,3  
კბილებს აჩლუნგებს.

ბჰე 101,3; 185,4; 240,5; 331,3; 488,2 კარი, მთავარი შესასვლელი.

## ბ

გავალაკ-ი 113,3; 245,1 ტახტრევანი.

გამო -დან: სიონით გამო 240,1 სიონიდან; იუდეანთა გამო  
561,3 იუდეანთაგან; ეგვიპტით გამო 56,1 ეგვიპტიდან.

გამომეტყვი-ი 670,3 გამომეტყველი, მწერალი.

გამომტევი-ი 700,4 გამომშვები, გამომფრქვეველი (სხივებისა).

გამომღე 229,3 გამომღებელი, გამომტანი (ყვავილების, ფურცელ-  
თა).

გამოჩინება 756,4 გამოცხადება.

გამოწოდება 56,1 გამოძახება.

განათლება 152,5 განათება.

განბანად-ი 294,1 რაც იბანება.

განგდება: გან ვ ა გ დ ე ბ თ 28,3 მივატოვებთ; უარყოფთ.

განგება: გან ი გ ე ბ ი ს 69,1 წესრიგდება, განიმართება.

განვრდომა 232,4 გავარდნა.

განწილულ-ი 418,2 გაზიდილი, გატანილი თავიდან ბოლომდის  
(ძაფი).

განზომილ-ი გაზომილი; წყობილი: განზომილნი სიტყუანი შენაწყობნი 402,1 გალექსილნი სიტყვანი; განზომილ ებთა სიტყუა-შენაწყობთა შემოკრება 643,1. შდრ.: წყობილ-სიტყუაობა, ესე იგი არს განზომილ-სიტყუაობა.

ვანჯრქელება გასქელება: სიტყუსა განჯრქელება 52,4 ქრისტეს განკაცება.

განთხვა განყოფა: ასოთ განთხვა... წულილ-კერძობად 419,1 სხეულთა გაყოფა წერილ ნაწილებად; განთხვა კერძო-კერძოდ 423,2 გაყოფა ნაწილ-ნაწილ; განთხვა სახელი 472,3 გაუჩინა სახელი.

განთხევა: განსთხეინ 486,4 გაჰყარე (ისინი).

განკარგვა: მეფობითნი და საპატრონო-ყმობითნი ქცეულებანი განკარგნა აღწერილით 799,1—2 აღწერილით (იგულისხმება არჩილის „საქართველოს ზნეობანი“) განაწესა სამეფო და საპატრონო-ყმობითი ქცევანი (ზნეობანი); განკარგულ-ყოფა: განკარგულ-ვჰყვენეთ 261,4 წესად შემოვილოთ (დავაწესოთ).

განკაფა: კრულება განკაფნა ყოვლად მუცლის 532,4 მუცლის (საშოს) კრულება (ბერწობა) სრულიად დახსნა (მოსპო).

განლიგებულ-ი 733,3 გაოგნებული, გაშტერებული.

განმადლე 453,3; 683,5 განმადლევებელი; განმანათებელი.

განმაკიდ-ი 660,4 განმაშორებელი, კიდეგან-მქნელი.

განმამიღრ-ი 719,4 განმამიღრებელი.

განმაძე 683,4 განმაძევებელი.

განმეკვა 754,2 მეხის ტყორცნა (დაცემა); განმეკეს 88,1 მეხი დასცეს.

განმზიდ-ი 660,3 განმზიდველი, გამტანი; გადატ. გამავრცელებელი.

განმკარგველ-ი 765,2; 857,3 გამრიგებელი; გალობის შემწყობელი.

განმმეკ-ი 366,5 მეხის დამკემი; მომსპობი.

განმმკედრ-ი 553,2 მოლაშქრე.

განმრთელება 231,4 გაჯანსაღება.

განმსჯ-ი 554,3; 623,3 განმსჯელი; ვინც სჯის.

განმტევ-ი გამშვები: შარავანდთა განმტევენი 735,5 სხივთა მფრქვეველნი.

განმქრევ-ი 694,4 გამქარებელი, გამფანტველი; ჰაერ-განმქრევი 510,3 ჰაერში გამნიაეებელი (გამფანტველი, განმქარებელი).

გამყრ-ი 0107,2 განმყრელი.

განმკრ-ი 88,2 გამკრელი, გამპობი; გადატ. უარყოფელი.  
 განმრხრწნელ-ი 4,5 მომსპობი, გამანადგურებელი, მომაკვდინებელი.  
 განმკედრება ამხედრება (ცხენზე აღჯდომა): მავალსა განმკედრებით 286,2 ცხენით მიმავალს.  
 განრემზომობა ფრიალი წინააღმდეგობა: განრემზომობს 637,5 ფრიად უპირისპირდება, სრულიად განსხვავდება. შდრ.: „განრემზომობით მზრძოლნი იყვნეს ურთიერთას ნესტორ და ევტიქი“ (არსენ იყალთოელი).  
 განრომა გადარჩენა, თავის დაღწევა: განერეს 220,4 გადაურჩეს, თავი დააღწიოს.  
 განსარინებ-ი 217,2.3 გადასარჩენი, თავდასაღწევი.  
 განსაცხრო 649,4 განსაცხრომელი, სასიხარულო, სალხინო.  
 განსრევა: განსარი 598,4 გაყარა.  
 განსრულ-ი გასული: განსრულმან წყობად 237,1 საბრძოლველად გასულმა.  
 განსხირპვა გაკვრა: ხესა ზედა ... განისხირპა 256,3 ხეზე გაკრულ იქნა.  
 განტვნვა 532,5 ჩაქოლვა, თავის გახეთქვა (ქვით, ძელით); განტვნა 237,4 თავი გაუხეთქა.  
 განუგმობელ-ი: სჯულთა სცავ განუგმობელად-რე 396.5 სჯულს იცავ ერთგულად (მტკიცედ, უმწიკვლოდ); ასტრონომოსებ კეთილ-განუგმობელად 738,1 ასტრონომობ უმწიკვლოდ (კეთილსინდისიერად).  
 განუცდელობა 32,3 უხილველობა.  
 განფენილ-ი 9,4 გაშლილი, მოდებული.  
 განფეროვნება 636,4 შეფერვა.  
 განქრევა 481,5 განქარება, გაქრობა, მოსპობა.  
 განქურთნა ქერქის გაძრობა: განქურთნა სიტყუამან კუერთხად თესად 214,2 (ჯვარს) ვარსი გააძრო ქრისტემ თავისი კვერთხისათვის; განქურთნილ-ი 212,3 ქერქგამძვრალი.  
 განჩემება 62,5 განკუთვნება.  
 განცდა გამოცდა: ბუბაქარს განსცდი 544,1 ბუბაქარს გამოსცდი.  
 განწვალება, განწვალვა 27,4; 28,1 გაყოფა, გაცალკეება; განწვალა 271,2 გაყო. განწვალებულ-ი 221,3 გაყოფილი, განცალკეებულნი.  
 განწრფელება 369,4 გასწორება.



განწუთომა გაწვდომა: გასწუთა 339,2 გასწვდა.  
 განჭრა 90,1 ვაჭრა, ვაპობა, გაყოფა; განჭრას 41,5 გაყოს, გა-  
 აოს; განჭრილ-ი ვაპობილი, ვაჭრილი: განჭრილი გული 386,1  
 დაჭრილი, განგმირული გული.  
 განხუმა გახსნა; გაღება: განახუნა 412,4 გახსნა (ისინი).  
 განკდა 242,4 გაძევება, გახსმა; გაჰკდა 727,1 განითქვა.  
 განკდომა გაძევება: განჰკადნა სულნი არა-წმიდანი 243,3  
 ქვეყნიდან გააძევა უწმინდური სულები.  
 განკმელ-ი 234,1 გამხნარი.  
 გარება 640,4 გაარება, გავლა.  
 გარდაარსება: გარდაარსდენ 82,3 არსება გამოიცვალეს.  
 გება მოცემა: ანტონის მაგეოხა 684,5 მე, ანტონს, მეოხ მეყავ  
 (მიშველე); მაგეთ 401,4 მომეცით.  
 გებად-ი 277,2 შენებადი, რაც იგება.  
 გზავება: აგზავებს 407,2 გზას აძლევს (ავზავნის).  
 გენიტონ 172,3 შექმნილი, დაბადებული.  
 გნომ-ი 460,1 ბრძნული გამონათქვამი, აფორიზმი.  
 გნოსის 820,4 გნოსტიკური ფილოსოფია.  
 გრკალ-ი 337,1,4; 064,4 რკალი; ოთხ გრკალთა შორის ოქროს  
 338,2 ოქროს ოთხ რკალთა (=მახარებელთა) შორის.

## დ

დაბეჭდულ-ი 659,3 გამოსახული.  
 დაგება<sup>1</sup> გაფენა, გაშლა: დაიგებოდა 84,1 გაიშლებოდა; დაი-  
 გების 84,4 გაიშლება; ჯორცი დააგნა კლდესა 235,2 ხორ-  
 ცი დადო კლდეზე. შლრ.: „გედეონ შევიდა და შეაგბო თიჯანი  
 თხათა... და ჯორცი დააგო ლაკანსა ზედა და წვენი მისი შთა-  
 ასხა ქოთანსა... ჰრქვა მას ანგელოზმან მან უფლისამან: მოიღე  
 ჯორცი ეგე... და დააგენ კლდესა იმას ზედა და წვენი  
 ეგე ახლოს დაახსი მას ზედა“ (მსაჯ. 6,19—20).  
 დაგება<sup>2</sup> შერიგება: დააგნა 264,1 შეარიგა; დამაგნეს 103,3  
 შემარიგეს.  
 დავება 574,3 ჩაქრობა.  
 დაზევება ზედგომა, ამაღლება: დაუზევედების 456,1 ზემდგო-  
 მობს, უფრო მეტია. დაზევებულ-ი ზემდგომი, ამაღლებული: აღ-  
 მოიჩინა საქმე, უფრომს სიტყუსა ყოვლად დაზევებულნი  
 156,3 აღმოჩნდა საქმე, რომელიც სიტყვაზე უფრო მეტია ყო-  
 ველნაირად.

დათხვა დაწვანა, ქსოვა: შისნი დათხვან 741,4 მისნი თხუ-  
ლებანი.

დამაგე 501,1 შემარიგებელი.

დამადეღლებელი-ი 461,2 დამათრობელი, გამაბრუებელი.

დამკარვებელი-ი 102,2 ხორცშემსხმელი.

დამტკიცება 736,4; 759,4 დასკვნა.

დამკსნელი-ი 759,4 დამარღვეველი.

დანაკ-ი 423,4 პატარა დანა (მახვილი).

დანაკუეთება ჩამოღვენთა: დაინაკუეთთა (ჩამოიღვენთა) სასა-  
ნთლე 415,1.

დანაშთ-ი 261,2 ნაშთი, დანარჩობი.

დანთქმა 57,3; 58,5 დაძირვა, ჩაძირვა. დანთქმული-ი 254,1,4 დაძი-  
რული.

დასაგებ-ი 105,4 გასაშლელი.

დასათრგუნველი-ი 85,5 გასათელი.

დასაკმინ-ი 572,5 დასაკვნესი.

დასარკება 152,1 სარკისებრი არეკვლა.

დასაქადე 333,3 დასაქადებელი, დასამუქრებელი.

დასაყდრება 542,5 საყდარზე (ტახტზე, სკამზე) დაჯდომა.

დასაკსნელი-ი 402,3 დასარღვევი, განსათავისუფლებელი.

დაუვსებ-ი ჩაუქრობელი: დაუვსებთა ნათელი 551,4 მარადიუ-  
ლი ნათელი (ქრისტეს ეპითეტია); დაუვსო 384,5 ჩაუქრობელი.

დაუწყებელი-ი რასაც არა აქვს დასაწყისი: დაუწყებელი გუა-  
მი 43,5 მარადიულად არსებული (დაუსაბამო) გვამი (იგულის-  
ხმება ქრისტე).

დაფლვა 68,4 დაკრძალვა, დამარხვა (მიცვალებულისა).

დაქსვა შეთხზვა: იროიკონი... დაეკქსვენ (შევთხზე) 0100,3.

დაღათუ 809,1 თუმცა.

დაყოფა დახშვა, დახურვა: დაიყავნ პირები 11,4 გაჩუმდნენ.

დაშრეტა ჩაქრობა: დაქშრეტს 407,3 ჩააქრობს; დაშრეტნა  
676,5 ჩააქრო (ისინი).

დაწუხვილი-ი 276,4 დაბრმავებული, დახუჭული.

დაჯდომა ჩასვლა: დაკვედ 758,4 ჩახვედი (გარდაიცვალე).

დაკსნა დაშლა, დარღვევა, მოსპობა: ნივთინი... დაკსნნა 440,5  
ელემენტები (კავშირნი) დაარღვია (გარდაიცვალა); დაკსნნა  
267,4 მოსპო (ისინი); დაკსნნეს... მახენი 202,5 დაარღვიეს  
(დაშალეს)... მახეები.

დაქსნილება 637,4 მოშვებულობა, მოშვება; სიზარმაცე. დაქსნილ-ი დარღვეული, დაშლილი: დაქსნილი ტაძარი 42,3 დარღვეული ტაძარი (იგულისხმება იესო ქრისტე); დაქსნილთ დასაკმინანი 572,5 დავრდომილთა (ზარმაცთა) საკვენესარი.

ღიაღმა 442,2 გვირგვინი.

ღიაღოხოლობა მონაცვლეობა: ღიაღოხოხებ 738,3 მონაცვლეობ; ეღიაღოხე 738,5 ენაცვლე. „ღიაღოხო“ ნეოპლატონიკოს პროკლეს ზედწოდებაა და ნიშნავს „მონაცვლეს“, „მემკვიდრეს“. ანტონი ამ სიტყვის შეპირისპირებით ქართულთან ასე მიმართავს იოანე პეტრიწს: „ღიაღოხოხებ (მონაცვლეობ), პროკლეს განსაკვირვებო: ვით იგი (პროკლე) ენაცვლა (ეღიაღოხა) პლატონს, შენ, იოანე, ეგფერ პროკლეს ეღიაღოხე (ენაცვლე) ღირსად (738,3—5). შდრ.: „ესე პროკლე, მონაცვლე საყდარსა საღმრთოჲსა პლატონისა, იყო ტომით ეონიელი“ (იოანე პეტრიწის შრომები, II, გვ. 4).

დოღმატ-ი 99,4; 455,3; 500,5 დოგმა, დოგმატი; სიტყუა დოღმატებრი 79,2 დოგმატისებური სიტყვა. დოღმატება 369,4 დოგმებით მსჯელობა, აზროვნება.

## ე

ეანტო 452,2 „მეცხრედ“ (K, გვ. 144).

ევტიხ-ი „ბედნიერი“ (K, გვ. 179): საქები ევტიხ 566,2 ბედნიერად საქები; ამას ევტიხი (წარმატება) აქუნდა ყოვლად ბედნიერ 568,1.

ეთრიო ეთერი: მეთმენობს მეტრფი ეთრიო ძალისაგან 410,5 შდრ.: „სფეროჲ ეთრიოჲსა ცეცხლისაჲ“ (იოანე პეტრიწის შრომები, II, გვ. 89).

ელევთერ თავისუფალი, დამოუკიდებელი; კეთილშობილი: ელევთერთერ წმიდა 505,4; 570,2; ელევთერ-ქმნილი 635,3 კეთილშობილი; ელევთერობა 524,1 კეთილშობილება.

ელეონ-ი 483,2 ერისიონი, ცისიერი (საბა).

ეონ-ი 409,5 ἤϊον, ზღვის ნაპირი (?).

ეპარხოზ-ი 656,3 ეპარქი; „ღიდი ვეზირი“ (საბა), „მეფის ნაცვალ“.

ეპიტაფიებრ 631,5 ეპიტაფიასავით.

ეპიფანია 514,3 ზედაპირი (იხ. წრფელ-ეპიფანიობა).

ერთბუნებიან-ი 754,1 მონოფიზიტი, ქრისტეს ერთბუნებიანობის აღმსარებელი.

ერთგუაშობა: აფხაზ-ქართველთა სამეფო... ა ერთგუაშობა 599,2 აფხაზთა და ქართველთა (ქართლელთა) სამეფო... გააერთიანა.

ერთეპიფანიობა: ა ერთეპიფანიებს 377,5 ათანასწორებს (ერთნაირად საჩინოსა ჰხდის).

ერთორუ მეწამული: ზღუასა შესთხიეს ერთორუსა 221,4 მეწამულ ზღვაში ჩაყარეს; ერთორუს კვერთხით მპობი 350,3 მეწამული ზღვის განმპობი კვერთხით (იგულისხმება მოსე წინასწარმეტყველი, რომელმაც ზღვა გააპო კვერთხით — გამოსლვათა 14,21—22).

ერმ-ი 452,5; 617,4 ოტარიდი.

ერ-ყოფა 275,4 განკაცება (მიწად ქმნა).

ეტიმა ეტიმონი: ეფრემ — ეტიმათ საღმრთოთა დიდი ავქსონი 745,2 ეფრემი არის საღმრთო სიტყვათა დიდი განმმარტებელი (ავტორი). იგულისხმება ეფრემ მცირე, რომელსაც, როგორც ცნობილია, თავის თარგმანებში, ორიგინალურ შრომებსა და სქოლიოებში მრავალი სიტყვა აქვს განმარტებული.

ექსორიობა 380,3 საშობლოდან გაძევება.

### 3

ვან-ი 578,1 სადგომი; მონასტერი.

ვედრება: ვვედრი 0115,5 ვევედრები; გვედრ 0113,5 გევედრები.

ვლტოლა: ევლტის 54,5; 60,5 გაურბის.

ვრცელ: ჰვრცელა 595,5 ავრცელა.

### ზ

ზატიკობა 536,2 დღესასწაულობა.

ზე: მარკიანეს ზე 93,1 მარკიანეს დროს.

ზედსადგარი-ი 404,2 ზედსადგმელი.

ზედ-შესმენილობა იხ. მეტ-ზედ-შესმენილობა, შესმენილობა.

ზედწოდება: შენ ფილოსოფოს სამართლად იზედწოდე 737,1 შენ სამართლიანად გეწოდა ფილოსოფოსი. (მიიღე ფილოსოფოსის ზედწოდება).

ზეებულ-ი დაზევებული, ზემდგომი: ზეებული ცნობის (293,2)

და ზეებულის გონების (354,1) სინონიმური ცნებებია და ნიშნავს — გონებაზე ამაღლებული (მაღლა მდგომი).

ზევება დაზევება, ზედგომა: ზევდების 584,5; 636,5 მაღლა დგას; ძმობა უზევე 642,3 ძმობა დავაყენე მაღლა (ძმობას მივეცი უპირატესობა).

ზესთაება: არსთ ეზესთაების 033,2 არსთაზე უზესთაესია.

ზესთ-ღმრთის-მეტყუელ-ი იხ. მეზესთღმრთისმმეტყუელები.

ზეცის კამარა ცის თალი: აქაფთ იზეცისკამრე 498,5 აქედან ცის თალზე ამაღლდი (ცაში ახვედი).

ზეცის სუფევა: აღიზეცის-სუფევე 473,5 ზეცის მეუფება მოიპოვე; ალაზეცი-ს-სუფევა 287,5 ზეცის მეუფება მიანიჭა.

ზეცისა ძალნი 307,3 ანგელოზები.

ზმირ-ი 615,2 ზურმუხტი.

ზმნულ-ი 455,4 გამორჩეული.

ზრახვა ლაპარაკი: ზრახვიდის ღმერთსა 157,4 ღმერთს ელაპარაკებოდა.

ზუარაკ-ი შესაწირავი მსხვერპლი: ღმერთ-ზუარაკ-ი 273,3 ღმერთ-მსხვერპლი (იგულისხმება ქრისტე, რომელმაც თავი თვისი მსხვერპლად დადო); კაც-ლომ-ზუარაკსა 337,5.

## თ

თავ-ი სტრიქონის, ტაეპის ან სტროფის პირველი ტაეპის დასაწყისი ასო, რომელიც აკროსტიქის შემადგენელი ნაწილია: თავნი (კიდურწერილობანი) მზეობენ 735,5.

თავდგმულება: გვრგვნი ძლევისა ითავდგმულა 596,5 გამარჯვების გვირგვინი დაიდგა თავზე; ითავდგმულნა გვრგვინი 468,3 თავზე გვირგვინები დაიდგა; ითავდგმულნეს (თავზე დაიდგეს) გვრგვინი 398,3.

თავ-მიდრეკილება თავის მიდრეკა: თავ-მიდრეკილებს 276,4 თავს ჰხრის.

თანად: გუათანადა 819,1 გვაძულა, გაგვაბედინა.

თან-მსაყდრე 658,5 თანამოსაყდრე, მოადგილე.

თან-მედრო 662,2 თანამედროვე.

თან-რაცხვა: არსენის თან-რაცხვის ღირსი 750,5 არსენის ღირსად მიჩნეული.

თან-სერობ-პურის-მტეობა თანამეინახეობა, თანამესუფრეობა, ერთად პურის ჭამა: ი თ ა ნ-ს ე რ ო ბ-პ უ რ ი ს-მ ტ ე ს 488,4 ერთად ჭამეს პური, იმეინახეს.

თან-წესებულ-ი 663,5; 665,5 დამკვიდრებული, დადგინებული ვინმესთან.

თარგმან-ი 566,5; 713,1; 715,4; 745,5 მთარგმნელი.

თარგმანება 31,5 განმარტება.

თეა ხედი, სანახაობა, შეხედულება: თ ე ა თ ა 409,5 „სახილველ არსებათ“ (K, გვ. 131).

თეატრო სამოღვაწეო სარბიელი: თ ე ა ტ რ ო დიდებულთა მამათა 14,5; ღმრთისმეტყუელთ თ ე ა ტ რ ო თ ა 3,5.

თეეა ღირე, კოჭი: ექუს-ექუს თ ე ე ი ს ზომათ 133,4; თ ე ე ი ე ბ ნ ი მრჩობლ-ზომა 133,1. ეს სიტყვა ამოღებულია იეზუეიელის წიგნიდან (40,13): „განზომა ბჭე წყრთილთგან თ ე ე ი ს ა თ ზღუდისა მიმართ თ ე ე ი ს სივრცე ოცდა ხუთთა წყრთათა, ესე ბჭე ბჭესა ზედა“.

თეზბიტელ-ი ილია წინასწარმეტყველის ზედწოდება: ი თ ე ზ ბ ი ტ ე ლ ე 545,1 თეზბიტელივით იწინასწარმეტყველე. იხ. ილია.

თერძულ-ი 510,1 ხნული.

თეორეტიკა 832,4 თეორიული მოძღვრება, თეორია.

თმოზილ-ი 363,4 მოთმენილი, ვინც მოითმინა (ან გაუძლო).

თნება მოწონება: ი თ ნ ე ბ ს 55,4 მრწონებს; ი თ ნ ო ბ დ ე ს 791,5 იწონებდნენ; ი თ ნ ო 542,2; 708,2 მოიწონა; ს თ ნ დ ე ს 548,4 სწადდა, ჰსურდა; ართნება 354,5 არმოწონება; თნულ-ი 455,3 მოწონებული.

თუთება 13,5; 15,5; 17,1,3. თავისებურება, სპეციფიკური თვისება.

თუთმიმღრეკ-ი 9,2 თვითმოძრავი.

თუსება მსგავსება; ნათესავეება: ეთუსე თუსსა 639,3 ემსგავსე მსგავსსა (ენათესავე ნათესავს).

თუალ-მღებ-ი პირფერი, მიმკერძებელი: ყოლ არცაღა თ უ ა ლ-მ ლ ე ბ ი 554,4 სრულიად მიუკერძებელი; უთუალ-მღებელ-ი 760,2 რილის არმკონე; მიუკერძებელი.

თქორ-ი 509,1 „წვიმა წვლილი და კაცთავან ძნიად სახილავი“ (საბა). თხემ-ი 404,1 თავი.

თხზულ-ი 634,2 დაწნული.

თხოვილ-ი 257,3 შერთული, გათხოვილი.

იაკინთე 496,5; 513,1 იაგუნდი მოლურჯო ფერისა; იაკინთ- მკვირვ-ი 491,2 იაკინთივით (ლურჯად, ცისფრად) მკვირვალე; იაკინთ- მკვირვალეზა: აიაკინთ-მკვირვალეზს 613,2.

იაკოსტა ია: იაკოსტ-ყაყაჩოვ 559,3 იასა და ყაყაჩოს ემსგავსები. იასპ-ი ჭრელ-მოწითალო ძვირფასი თვალი (შატბერდის კრებული, გვ. 133): იასპ-სადაფ-მინანი 572,1; იასპ-ნაზავი 844,3; იასპეზა: ანთრაკ-იასპეზ 613,2 ანთრაკსა და იასპს ემსგავსები; იასპოვან-ი 509,4 ჭრელმოწითალო; იასპ-ლაპლაპეზ 709,1; იასპ-ჭვირვენ 767,2; იასპ-მკვირვალ-ი 406,1 იასპივით მკვირვალე.

იბერწისწულე იხ. ბერწის წულ-ი.

იგავ-ი 699,5 ხატი, მაგალითი; იგავ-მსარკეებელ-ი 607,3 ხატის სარკისებურად ამრეკლავი. იგავითობა ნიშნება: ითქუა ი გ ა ვ ი - თ ო ბ ი თ 259,5 ითქვა სანიშნებლად.

იგურდივ 408,2; 505,4; 0107,2 „გვერდით“ (საბა), გუერდით კერძო (ი. აბულაძე), ირგვლივ; იგურდივ-მდებარ-ი 472,3 ირგვლივ მდებარე; იგურდივება: ირსე სიმგრგულედ ი ი გ უ რ დ ი ვ ა 516,1 ცისარტყელა გარშემო შემოივლო მრგვლად.

იდეა 751,1 აზრი, იდეა.

იერარხ-ი წმიდა მეთაური; უმაღლესი სასულიერო პირი: შეეერთ-ნეს ზესთა ი ე რ ა რ ხ თ ა 536,5; ჭყონდიდის ი ე რ ა რ ხ ი 673, i.

იკონა-მახოს 96,5 ხატმბრძოლი.

ილეკრო 753,4 ლითონი.

იმრ 138,2 გაღმა.

ირისე 103,2; 206,1; 542,5; 460,1; 496,5; 505,4; 516,1 ცისარტყელა. ირისოვან-ი: თქორ ი რ ი ს ო ვ ა ნ 509,1 ცისარტყელოვანი წვრილი წვიმა. ირის-ლამაზება: ი რ ი ს - ლ ა მ ა ზ ე ბ ს მკვერ-თქმობა არსენისი 753,5 არსენის მკვერმეტყველება ცისარტყელასავით ლამაზფეროვანია.

იროიკო იამბიკო: ი რ ო ი კ ო ნ ი ექუს-ათეულ და შვიდნი სახედ შენისა წელთა რიცხვისა დავპლექსენ 0100,2—3 შენი წლოვანების სახედ სამოცდა შვიდი იამბიკოური სტროფი ეთქვი ლექსად; თხზულ ი რ ო ი კ ო დ 0103,5 იამბიკურად შეთხზული.

ისარწმუნა-მომთხრობლა 746,4 სარწმუნოდ მოგვითხრო.

ისტორია: ა ის ტ ო რ ი ა ბრძნულად 747,5 აღწერა ბრძნულად; ისტორიკოს-ი: ისტორიკოსა ჩუენდა მოქცევისათჳს 746,1—2 აღწერა ჩენნი მოქცევის (გაქრისტიანების) ისტორია.

იფქლ-ი 510,1; 721,4 ხორბალი.  
იქცევის-ი 262,3 მბრუნავი.

კ

კადრ-ი 354,3; 819,1 კადრება, გაბედვა, შემართება.  
კავშირ-ი ელემენტი, ასო: განმარტებანი კავშირთ ღმრთისმეტყუელე-  
ლებითნი 739,1 „თეოლოგიის ელემენტა“ განმარტებანი (იგუ-  
ლისხმება იოანე პეტრიწის „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადო-  
ხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“).  
კამარა 459,5 თალი ცისა.  
კამკამიერ-ი 124,3 წმინდა, კამკამა, მოლივლივე.  
კანკლედ-ი 637,2 ცხაური, „ბადეედი“, ფანჯარა.  
კანონ-ი<sup>1</sup> 670,4; 706,4; 730,4 წესი.  
კანონ-ი<sup>2</sup> 755,1; 764,1; 779,3 საგალობელი.  
კარავ-ი 102,3 სხეული.  
კარაულ-ი 494,5 სახედარი.  
კასია 615,4 დარიჩინი; კასიაება: შენ ჰკასიაებ 559,1 დარიჩინ-  
ის სურნელებას აფრქვევ.  
კაც-ლომ-ი 337,5 ლომკაცი.  
კეთება: მეკეთა ფრასი 764,3 მომეწონა ფრაზა (გამოთქმა).  
კეთილება: მეკეთილნეს 769,3 მომეწონა (ისინი).  
კელინ-ი 851,1 სენაკი.  
კესარ-ი 567,4; 589,4 კეისარი, იმპერატორი.  
კეც-ი 244,3; 592,3; 595,1; 659,3 თიხა.  
კიდულ-ი 681,1; 767,3 დაკიდული.  
კინამო 615,5 დარიჩინი; კინამოება: კინამოებ 559,1 დარიჩინის  
სურნელებას აფრქვევ.  
კინაკ 0107,4 უმცირესი.  
კინლა 449,4 მცირედ.  
კოლტ-ი 26,5 ჯოგი, გროვა.  
კონვილ-ი 220,1 შეკონილი.  
კობარ-ი 83,1 „ტყავი“ (K, გვ. 135); საკრველი; კობართ რღუე-  
ვასა 423,3 საკრველთა რღვევას (დახსნას).  
კორდ-ი 0113,4 ყამირი მიწა.  
კრატისტოს-ი 632,4 საუკეთესო, უმშვენნიერესი.  
კრეტსაბმელ-ი 109,3; 115,2 ფარდა; კრეტსაბმელს ტაძრის



აპობს საკვროდ 272,2. შდრ.: „და დაბნელდა მზე, და განიპო  
კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის შორის“ (ლუკა, 23,45).  
კრონოს-ი 741,4 ვარსკვლავი.  
კუდომვა 233,5; 266,2 სიკვდილი.  
კურაპალატ-ი 567,4 სამეფო ტიტული, რომელსაც ანიჭებდნენ ბი-  
ზანტიის კეისრები ქართველ მეფეებს ადრეფეოდალიზმის ხა-  
ნაში.  
კურნვა 234,3; 456,5 კურნება, ექიმობა.

## ლ

ლადანა 844,3 სურნელოვანი ცვარი, რომელიც გამოედინება ყვა-  
ვილს.  
ლამაზება: მელამაზ-მეკეთილნეს 769,3 ლამაზად მომეჩვენა და  
მემშვენიერა.  
ლატრია 97,1; 384,3; 519,5 მსახურება, შრომა.  
ლიმენა 389,2 ნავთსაყუდელი, პორტი.  
ლიფლიფ-ი 505,3 ფანარი.

## მ

მაახლ-ი 635,5 განმაახლებელი.  
მაგალით-ი 699,5; 725,3 ხატი, იგავი.  
მაგე 453,4 განმამტკიცებელი, განმმართველი.  
მადენ-ი 571,4 განმდევნელი.  
მადლ-მადენ-ი 453,4 მადლის მომცემი, მადლიერი.  
მადღე, მადღეე 409,2; 537,4 მადღევებელი.  
მათენ-ი 454,4 განმათენებელი.  
მაკეთ-ი 552,4 მაკეთებელი, მაშენებელი; შაირთ-მაკეთ-ი 808,1 შა-  
ირთა მოხვეველი.  
მამბრე 208,1 мамре, მალალი (თუ განმარტოებით მდგარი).  
მამზე 505,5 მამზევებელი.  
მამრავლ-ი, მამრავლე 219,4; 719,4 განმამრავლებელი.  
მამრ-ი. 584,1; 585,3; 650,1 მამრავლი; მამრებრ 650,2 მამრავლით.  
მანა 233,1 პალო, სარი.  
მანათ-ი 695,3 მანათებელი.  
მანგალ-ი 0115,2 ნამგალი.

მანდრაგორი 123,3 ბალახი, რომელსაც აქვს ძილის მომგვრელი  
ნაყოფი.  
მანიაკი 404,2 ყელსაკიდი, ოქროს ან ვერცხლის სამკაული.  
მაოტი 284,3; 463,1 მაოტებელი, განმდევნელი.  
მარაღობა 596,1 მარადიულობა.  
მარღვ 366,4; 759,3 დამარღვეველი.  
მარცული 735,1 მარცვალი (სიტყვისა), აფიქსი.  
მარწუხი 404,5 მაწა.  
მასმევი 694,2 ვინც ასმევს.  
მაცურე 030,3 ცურის მადენი (მაჰურებელი).  
მაწთოღვებელი 140,2 მწვეთებარე, წვეთ-წვეთად მადინარი.  
მაწყაროე 204,1 მაწყარობელი, წყაროსავით მადენელი.  
მაქსოვარი 662,2 ვისაც ახსოვს.  
მბაღე 333,3 დამბაღებელი.  
მბავთებელი 480,4 ბოროტი მოენე, ცუდ ამბავთა მაცნე.  
მბორგალი 360,4 გაცოფებული, გაგიჟებული; მბორგავი.  
მგამის 829,3 მენალღება.  
მგრგულაღება: ი მ გ რ გ უ ლ ი ე ე ბ ს 429,2 გარშემო მრგვლად შე-  
მოველება.  
მღაღე 501,3 დამღაღველი; დამწველი.  
მღედარი 585,3; 588,1 დედაკაცი.  
მღგმო 24,1; 486,1 მღგარი.  
მეაქსიომე 745,1 აქსიომათა ავტორი.  
მეაღვირე 015,1 აღვირის მჭერი.  
მებრვე 631,4 ყოვლად.  
მედინი 539,2 წარმავალი, ცვალებადი.  
მეერგასე 032,1 ორმოცდამათე.  
მეზხთღმართისმმეტყუელე 745,3 უზენაესი ღმრთისმეტყველე-  
ბის მოძღვარი.  
მეთარგმანე 702,4 მთარგმნელი.  
მეთნეობა: მ ე თ მ ე ნ ო ბ ს 410,5 ითმენს.  
მეთქვ, მეთქუე 76,5; 81,2; 101,2; 481,1; 704,5; 765,1; 0115,2  
მთქმელი.  
მეიავრე 127,1,4 იავარის მქმნელი, მიმტაცებელი.  
მეინახობა: ი მ ე ი ნ ა ხ ე ს 488,4 ერთად ჭამეს პური.  
მენაკოვანი 115,1 ხარისხოვანი, საფეხურიანი.  
მენაყოფე 246,2 ნაყოფის გამომღები (მომცემი).  
მეოხება: გ უ მ ე ო ხ ე ბ ღ 758,5 შემწეობას გვიწევდა.

შესავანე 721,2 სავანის მკვიდრი, ბერი.  
 შესასწაულე 219,2 სასწაულმოქმედი.  
 მესია 635,4 მხსნელი (ქრისტეს ეპითეტი).  
 მესილოგიზე 744,4; 770,3 ლოგიკოსი.  
 მესტიზე 785,1; 804,5 მელექსე.  
 მეტაფიზიკოს-ი 032,2 ფილოსოფოსი.  
 მეტ-ზედა 375,5 უმეტესი.  
 მეტ-ზედ-შესმენილობა 667,5 უმეტესად შესმენილობა (მიხვედრი-  
 ლობა).  
 მეტყუ 706,5 მეტყველი.  
 მეფა 410,1 მეფე-ქალი.  
 მეფსალმუნე 789,4 ფსალმუნთა მკითხველი, ან მგალობელი.  
 მექმ-ი 265,3; 350,2; 643,2 შემოქმედი; შემქმნელი; ხატი მექმ ი-  
 ს ა თვისა 254,1 თავისი შემოქმედის ხატი (სურათი); სჯულისა  
 მექმ-ი 54,2 სჯულმდებელი; მექმი სკიპტრისა 564,1 მეფე; ფსალ-  
 მუნთ მექმი 483,3 ფსალმუნთა შემთხვევლი (იგულისხმება და-  
 ვით წინასწარმეტყველი); ახალ კმათ მექმი 794,5 კომპარზი-  
 ტორი.  
 მექონ-ი 420,3 მქონე.  
 მეშარავანდე 152,3 შარავანდთა (სხივთა) მფრქვეველი.  
 მეშვი-ი მშობი, წარმომშობი: ღვთის მეშვი 91,5 ღვთისმშობელი;  
 მეშვისა მაცხოვრისასა 145,5 ქრისტეს მშობელს; მეშვიმან  
 835,1 მშობელმან; ვარდის ნერგისა მეშვიად 148,3 ვარდის  
 ნერგის წარმომშობად (აღმომაცენებლად); უბიწოდ მეშვი  
 447,4 ნაშობი, შობილი (?) უბიწოდ; დაფლული აღდგა მეშვი  
 შობილისაგან 197,1 დამარხული აღდგა მშობელი შობილისაგან;  
 ვასილი წარმო მეშვითაგან ჩინებულთა 717,1 ვასილი წარმო-  
 შობილია წარჩინებულ მშობელთაგან.  
 მეცნ-ი 314,1; 794,3; 807,4; 839,1; 842,5 ნაცნობი, მცოდნე, მეც-  
 ნიერი.  
 მეწამულ-ი 269,5 წითელი.  
 მეწიწუნეულე 167,4 მეძრწუნებული.  
 მეწყვ-ი იხ. წინა-მეწყუე, წინ-მეწყუ.  
 მელთომ-ი 752,4 ვინც რამეს გაუბრბის.  
 მესებ-ი 701,5 აღმესები.  
 მზიარე 518,3 მოზიარე.  
 მზობა: გონებისა... მზობა 586,4 გონებანათებლობა; გონება ამ-  
 ზო 705,2 გონება მზესავით აბრწყინვა.

მზრდელ-ი 712,1,2 მასაზრდოებელი, მკვებავი.  
 მთავრობანი 322,2 მესამე ტრიადის ანგელოზები.  
 მთარგმნე 750,5 მთარგმნელი.  
 მთანჯმე 483,4 თანამეხმე.  
 მთეს-ი 510,1 მთესველი.  
 მთოვრება: მთოვრებდა 687,5 მთეარესავით ანათებდა.  
 მიღგომილ-ი 127,3 ფეხმძიმე, ორსული; მიღგომილება 35,1 დაორ-  
 სულეობა.  
 მიღმოქცევა 545,4 მიმოქცევა, ბრუნვა.  
 მიღმოება 604,3 იხ. ჰსიხის მიღმოება.  
 მიღრეკა გადახრა: არა მისდრეკს 397,2 არ გადახრის; არ ვის-  
 დამი მიდრეკების 397,3 არავისკენ გადახრება.  
 მიმღმ 0107,5 მუღმივად.  
 მიმღრეკ-ი 606,4 მიმქცევი, გადახრელი.  
 მიმთხვეულ-ი 720,5 შეყრილი, შეხვედრილი.  
 მიმღე 350,1; 384,4 მიმღები, მიმღებელი.  
 მინა 572,1; 742,2 მინის ჭურჭელი.  
 მინალ-ი 509,5 მიღებული, შეწყნარებული.  
 მინერგვა: თან მიინერგა 707,4 შეიწყნარა, შეიფარა თავისთან.  
 მირიდება: მიგურიდენ 758,4 მოგვაცილე.  
 მირჩოლა: თუ ბარბაროსთა მივერჩდე ქება-სტიხით 546,1 თუ  
 ბარბაროსებს მივაპყრო ყურადღება საქები ლექსებით.  
 მისართმოდ 443,2 შესაწირავად.  
 მიტროპოლია 91,2 სამიტროპოლიტო, მიტროპოლიტის სამრევლო.  
 მიუწთო 171,5 მიუწვდომელი.  
 მიწთომა 340,2 მიწვდომა; მისწუთე 449,4 მისწვდი.  
 მიკდა: მიჰკდის 269,3 მოსთხოვს; მიჰკდანა 582,4 მიუზლო;  
 მიკდად 575,3 ასარიდებლად.  
 მკაზმე 552,4 მკაზმელი, მმკობელი.  
 მკარგე 501,3 განმკარგველი.  
 მკმეველ-ი 228,5 ვინც საკმეველს აკმევს.  
 მკობა: ამკენა 595,5 შეამყო, მოკაზმა (ისინი).  
 მკრეფე 571,3 მკრეფელი.  
 მკუდომ-ი 266,3 მომაკვდინებელი.  
 მმკორებ-ი 604,5 განმაახლებელი.  
 მმეფობ-ი 553,4 ვინც მეფობს.  
 მმზახლე 567,4 მძახალი.  
 მმზეებ-ი, მმზობ-ი 605,5; 758,3 მზეებრ მაშუქებელი.

მშკობ-ი 804,2 მშკობელი, მაქებარი.  
 მმუს-ი 483,5 მსახიობი, მუსიკოსი.  
 მმუსრ-ი 185,4; 549,5 მმუსრველი, მმსხვრეველი.  
 მმუსრველ-ი 244,3 მმუსრი.  
 მნათ-ი 568,5 მანათებელი, მნათობი.  
 მნიშ-ი 275,2 სასწაულმოქმედი.  
 მოგვ 433,2; 435,3 ცეცხლთაყვანისმცემელთა მოძღვარი.  
 მოგება: მ ო ო გ ნ ა 720,4 შეიძინა, მოიპოვა.  
 მოთნე: ა რ - მ ო თ ნ ე 554,4 არმომწონე.  
 მოთხე 458,3 პატარა ყუთი, კოლოფი.  
 მოკიდულ-ი: სისტემა მ ო კ ი დ უ ლ თ ა სიტყუათა 680,1—2 ერთ-  
 მანეთზე დამოკიდებულ სიტყუათა სისტემა (ვფიქრობ, აქ იგუ-  
 ლისხმება აკროსტიქული იამბიკოები, რომლებიც შედგება შვი-  
 დი წყობისაგან და ეხება ღვთაების ერთგვამოვნებასა და სამპი-  
 როვნობას, მოძღვრებას ორი ბუნებისათვის, ანგელოზთათვის,  
 კაცთა დაბადებისათვის, მღვდელთმოძღვართათვის, მოწამეთა-  
 და მამათათვის). იხ კიდული.  
 მომგე 552,5; 603,3 მომგებელი, სასყიდლის მიმცემი.  
 მომედგრება: არა მ ო ჰ მ ე დ გ რ დ ე 46,3 არ გაზარმაცდე.  
 მომსრველ-ი 220,4 მომსპობი, გამანადგურებელი.  
 მომლე 774,2 მომლებელი, მომცემი.  
 მომშობ-ი 594,4 დამხრჩობი.  
 მომშთუარ-ი 480,2 დამხრჩვალი.  
 მონარხია 553,5 მონარქია; სახელმწიფო, რომელსაც ერთი პირი  
 განაგებს.  
 მონარხოზა 583,1 მონარქოზა, თვითმპყრობელობა.  
 მონასმინ-ი 742,1 მონასმენი.  
 მოოქვილ-ი 757,3 მოთვალული.  
 მორთხმულ-ი: ჯუარით მ ო რ თ ხ უ ლ მ ა ნ 575,1 ჯვარშემოსილი.  
 მორფ-ი 823,3 სახე.  
 მორფ-მდიდარ-ი 582,3 მდიდარი შესახედავობისა, გარეგნულად  
 ლამაზი.  
 მორფ-ნაკვეთ-ი 567,2 მშვენიერი შესახედავობისა, სახე-ნაკვეთებით  
 კარგი.  
 მორჩება: ი მ ო რ ჩ ა 833,1 ყლორტად აღმოცენდა.  
 მორჩიერება: ე მ ო რ ჩ ი ე რ 483,1 აღმოეცენე.  
 მოსრვა: მ ო ს რ ვ ი დ ა 231,2 სპობდა, მუსრს ავლებდა; მ ო ს რ ნ ა  
 234,1 ამოწყვეტა (ისინი).

- მოქალაქე-ი 114,4 ვინც იქადის (იმუქრება).  
 მოქლონ-ი 240,5 კლიტე.  
 მოქმედი სიტყვისა 497,1 მწერალი, გამომეტყველი.  
 მოქცევა 746,2 მობრუნება, შემოქცევა; ახალი რელიგიის მიღება.  
 მოყმობა 388,2 დამშევა.  
 მოციქულთა ზენაეზს 281,3 მოცი-  
 ქულთა თავად რაცხს.  
 მოძრავობა 419,5 აჯანყება.  
 მოწლებითად 631,3 მოწყალებით; სიყვარულით.  
 მოხუმა 72,4; 228,1 მოტანა.  
 მპაექრ-ი 744,5; 754,3; 759,5 მოკამათე, მოპაექრე.  
 მრთელეზა: ამრთელეზს 289,5 აჯანმრთელეზს.  
 მრუმე 606,4 ბნელი.  
 მრჩობლ-ი 43,4; 145,2 ორმაგი, ორკეცი, ორივე; მრჩობლ-ნათელი  
 415,1 წყვილად მანათებელი (ნათელი); მრჩობლი სოფელ-ი 560,5  
 ორი სოფელი (საქაო და საიქიო); მრჩობლი ფილოსოფია 709,1  
 ორი (საერო და საღმრთო) ფილოსოფია; მრჩობლ-ფილოსოფო-  
 სობა 707,5; 750,1.  
 მრწმენ-ი 345,2 მორწმუნე.  
 მსარკეებელ-ი 607,3 სარკესავით ამრეკლავი.  
 მსთავრება: გონება ჰმსთავრე 492,4 გონება აუფლე.  
 მსთობა: იმსთო 452,1 ისწრაფა; ვიმსთობ 605,4 ვისწრაფვი;  
 იმსთობს 711,5 იჩქარის, ისწრაფის.  
 მსიტყუ: შეენიერ-მსიტყუ 788,3 მკვირმეტყველი.  
 მსმენ-ი: მსმენთად 794,1 მსმენელთათვის.  
 მსწრებ-ი 101,2 მსწრებელი.  
 მტვფრვ-ი 520,4 მტვიფრავი, აღმბეჭდავი.  
 მულამ-ი 759,3 მულიმი, მაჰმადიანური სჯულის მოძღვარი.  
 მუნებურ-ი 799,4 იქაური.  
 მურ-ი 121,5; 561,1 მირტის ხისაგან გამოწერილი სქელი სურნელო-  
 ვანი მასა.  
 მურ-ი 759,3 მოლა.  
 მუსმარ-ი 359,3 ლურსმანი.  
 მუსრვა 359,3 მოსობა, ამოწყვეტა.  
 მუფლებელ-ი 835,3 უფლების მქონე.  
 მუცლად-ღება 165,1 დაორსულება; მუცლად ილო 179,3 დაორსულ-  
 და.  
 მუპარაკ-ი 236,5 მიწერილობა, წერილი.

მფიწლავ-ი, მფიწლველ-ი 510,3; 016,1 გამქარველი, გამნიავებელი.  
 მფხურელ-ი 629,3 ამომთხრელი, ამომგდებელი.  
 მქისე 459,3; 838,5 დამშხალული; მკაცრი; საწუხარი.  
 მყეფე 571,5 მყეფარი.  
 მყო: ზესთ-მყო 829,1 ზესთა მყოფი (იჯულისხმება ღმერთი).  
 მყოვარება: მყოვრებდა 687,2 ხანდაზმულად იმყოფებოდა.  
 მშთუარ-ი 480,2 დამხრჩვალნი.  
 მშინაებ-ი: ბნელს მშინაები 461,1 ბნელში მჯდომი.  
 მცოცხლ-ი 145,1 მაცოცხლებელი.  
 მცხინვარება 528,3 სიცხე-ჰაპანაქება.  
 მცხადე 520,5 გამომაცხადებელი.  
 მძებნ-ი 623,4 მძებნელი, ვინც ეძებს.  
 მძნობ-ი 425,5; 483,3; 658,5 მძნობარი, მგალობელი.  
 მძოვრება: მძოვრებდა 687,1 მეუღაბნოდ იყო (მკაცრ ასკე-  
 ტურ ცხოვრებას ეწეოდა).  
 მძლუნავა: მხედართა მძლუნავის 328,2 მხედართა წინამძღოლის.  
 მწღე 274,5 ლეინის დამსხმელი.  
 მწთოლვარე 141,1; 334,3 მწვეთარე.  
 მწმიდ-ი 629,3 განმწმენდი.  
 მწურე 137,2 ტალახი, ტლაპო.  
 მჭევრ-თქმობა 753,5 მჭევრმეტყველება.  
 მხარკება: იმხარკე 081,5 იზრომე; იმხარკა 817,4 იზრომა.

## 6

ნაგე 501,2 ნაკმევი.  
 ნაზავებ-ი 720,1 შეზავებული, შეერთებული.  
 ნათელ-ცისკარ-მთენ-ი: ინათელ-ცისკარ-მთენა 471,5 ცისკრის მნა-  
 თობივით ამოვიდა (გამონათა).  
 ნათლის-მცემელ-ი: ინათლის-მცემლებს... სიბრძნე მამისა 365,4  
 ქრისტე მონათლება.  
 ნათქ 257,1; 259,4 ნათქვამი, თქმული.  
 ნათხზ-ი 464,4; 465,2 დაწნული. იხ. ნივთთ-ნათხზ-ი.  
 ნალეზ-ი 525,2 დალურჯებული (ცემისაგან).  
 ნამვა 408,5 ნამი, მონამვა.  
 ნამზ-ი 779,4 ნამზევი.  
 ნამკ-ი 55,3 მომკილი.  
 ნამოქმ-ი 638,3 ქმნილი, ნამოქმედარი.

ნარდ-ი 570,3 ყვავილთა სურნელი; სუმბული.

ნარდიონ-ი 123,2; 615,1 ნარდისაგან დამზადებული სურნელოვანი ზეთი.

ნართაულ-სახელ-ი 646,4 ზედწოდება.

ნასიტყუ 794,2 შეთხზული.

ნატრფ-ი 0107,5 ყვარებული, ნანდომი.

ნაუბნ-ი 665,2; 680,3 ნათქვამი, ნაამბობი.

ნაუწყ-ი 165,1 უწყებული; ნაუწყ არს 661,4 უწყებულა, ცნობილია.

ნაყროვნებით-ი 268,3 გაუმაძღარი, ღორმუცელა.

ნაშუ 247,1 ნაშობი, შობილი.

ნაცენ-ი 839,3 აღმონაცენი, აღმოცენებული.

ნაცნ-ი 375,4 ცნობილი, შემეცნებული.

ნაცხად-ი 590,2 ცხადი, გამოჩინებული.

ნეგო 615,5 ერთგვარი ბალახი.

ნევთ-ი<sup>1</sup> 82,1; 636,5 საგანი.

ნევთ-ი<sup>2</sup> 102,3; 706,2; 737,2; 0107,2 კავშირი, ელემენტი.

ნევთ-ნათხზ-ი 464,4 დაწული.

ნევთიერ-ი 712,3 მატერიული.

ნიშ-ი 14,4; 15,1; 103,2; 220,3; 290,4; 294,1 სასწაული, ნიშანი.

ნიშან-მსხუერპლ-ი: ანიშან-მსხუერპლნა წმიდა მოძრავობანი 419,4 წმიდა მოძრავობანი სასწაულად და მსხვერპლად აქცია.

ნიშება 220,3 სასწაულის ქმნა; ნიშებად 712,4 სასწაულებს ახდენდი; გუნიშნა ჭუარითა 466,3 ჭვარით გვიქმნა სასწაული.

ნოიმა 0109,4 გონების ძალა და მოქმედება (იოანე პეტრიწი); გონება, აზროვნება.

## ო

ოლარ-ი 533,4 გრძელი ლენტი, რომელსაც ხმარობენ ღვთისმსახურებაში.

ოლეის 460,2.

ოლეისიობა: ოლვისიობს 506,1 განისვენებს, ნეტარებს.

ოლეისიონ 570,2 ბედნიერი, ნეტარი.

ორანო 0107,4 ცა.

ორგანხეულ-ი 255,1 ორად (შუაზე) გახეული.

ორ-გვრგვნოსან-ი 782,5 ორი (მეფისა და წმიდანის) გვირგვინის მქონე.



ორიონ 410,2; 509,2 მნათობი; „რა მზე აღმოჩნდებოდეს და შუქნი მოახლებულ იყოს“ (საბა).

ორმეუღლება 487,1 ორმეუღლეობა, ორგზის შეერთება ((ღვთაე-ბასთან).

ორონ 509,4 „ითარგმნების ძეგლად წერილისა და საზღვრად სიტყვისა საღვთოსა მის მოქალაქობისა“ (საბა).

ორცემულ-ი 255,2 ორჯერ დაცემული.

ორწყაროება 274,5 ორ წყაროდ მოდენა.

ოფაზ-ი 415,1; 516,4 ბაჯალო ოქრო.

ოქიმო 509,4 ეტლი.

ოქრო-სტოვილ-ი 113,4 ოქრო-თაღოვანი.

ოქრო-წახნაგებულ-ი 757,2 იხ. წახნაგებული.

ოხრა: ოხრის 649,2 ხმობს, ლალადებს.

### პ

პაზიონ-ი 460,2 თეთრი იაგუნდი (ძვირფასი ქვა).

პახეჟ-ი 220,2 ვნება, ტანჯვა, მოთმენა; პ ა ს ე ჟ ი ს ა მის უკუდავისა მჭამელთა 534,2 უკვდავი პასქის მჭამელებმა (იგულისხმებიან გარეჯელი მოწამენი, რომელნიც შაჰ-აბასმა ამოხოცა აღდგომის დამეს); პ ა ს ე ჟ ა დ დაკლული ღმერთ-ტარიგი 273,2 სააღდგომოდ დაკლული ღმერთ-კრავი (იგულისხმება ქრისტე); ჯუარსა ზედაი იესო ღმერთ-პ ა ს ე ჟ ი პ ა ს ე ჟ ს დააცხობს, პ ა ს ე ჟ -ი დაკლულე-ბის 274,1—2, ჯვარზე (გაკრული) იესო, ღმერთ-მსხვერპლი, მსხვერპლად დაიკვლება და ამით დღესასწაულს დააწესებს.

პელედო ზღვა, უფსკრული: უფსკრული პ ე ლ ე დ ო 73,1 უძირო ზღვა; პ ე ლ ე დ ო ს ა ავმელებს 377,2 ზღვას აშრობს: აუფსკრულ-პ ე ლ ე დ ო ე ბ ს 285,5 უძირო ზღვად აქცევს.

პერიპატო 742,5 პერიპატოული (არისტოტელური) ფილოსოფიური სკოლა.

პირად-პირად-ი 48,4; 468,3; 498,2; 511,2; 556,3 სხვადასხვანაირი, ნაირნაირი.

პოდირ-ი 435,1 გრძელი სამოსელი, ფესვედი.

პოვნილ-ი 285,1 ნაპოვნი.

პორფირ-ი 465,3 ძოწეული (მეფეთა და დიდებულთა წითელი ძვირფასი სამოსელი); პ ო რ ფ ი რ ა დ 435,2 წითლად; პ ო რ ფ ი რ ს ქალაქსა 88,4 კონსტანტინოპოლში; ა პ ო რ ფ ი რ -ძოწეულნეს 533,3 წითლად შეღებეს.

პოხილ-ი 117,1 მსუყე, ნაყოფიერი (მთა).

პროპონტო 587,4 („წინაზღვა“) მარმარილოს ზღვა.

პსიხის მიღმოება 604,3 სულის მიმოქცევა (მისი სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობა). შდრ.: „სულსა მდღმობასა შორის აქუსგაგონებად“ (იოანე პეტრიწის შრომები, II, გვ. 6).

პტულ-ი 55,1 პირველნაყოფი, პირველქმნილი, ნუგბარი.

## ჟ

ჟირ-ი 460,3 „შაქარი, ანუ თაფლწყალი, ანუ ვაჟინა, მეტად ტკბილი“ (საბა).

## რ

რაზარინ-ი როზმარინი (მარად მწვანე ბუჩქის ხე, რომელსაც აქვს მონაცრისფერო დახვეული ფოთლები და მოლურჯო ყვავილი. მისი ყვავილისა და ფოთლებისაგან ამზადებენ სპირტს, ზეთსა და მალამოს, რომელსაც იყენებენ სამკურნალოდ): ვარდ-რ ა ზ ა რ ი ნ-ნარდიონ 615,1; რაზარინება: ჟირ-რ ა ზ ა რ ი ნ ე ბ 460,3 შაქარტკბილობ და როზმარინის სურნელებას აფრქვევ (სიტყვა „როზმარინი“ ხელნაწერებში იკითხება დამახინჯებით როგორც „რაზარინ“, რომელიც მიღებულია რუსული розмарин-ის მცდარი ტრანსკრიფციის შედეგად).

რაცხილ-ი 808,2 შერაცხილი, ჩათვლილი.

რეცა 625,1; 717,2 თითქოს, ვითომც.

რთვა 634,4 დართვა; რთულ-ი 402,4 დართული, ჩართული.

რჩოლა: ერ ჩ დ ა 464,5 ისმენდა; ერ ჩ დ ე ს 240,3 უსმენდნენ.

რწმუნვა 383,1; 393,2; 540,1; 598,4 სარწმუნოება, რწმენა.

## ს

საბავთო-სატირალ-ი 840,5 ავად სატირალი.

საბეჭდავ-ი 635,5; 638,1 სტამბა.

საგანგ: უცხო საგანგ 410,2; საგანგ-ვითარმან მეფობისამან 508,2; საგანგ-ქმნილი 491,4.

საგანმსუენო 114,2 განცხრომისა და ნეტარების ადგილი, სამოთხესადავითო 850,3 დავითისა (იგულისხმება წინასწარმეტყველი).

სადაფ-ი 572,1; 710,1 მარგალიტის ნიჟარა.

საზენ-ი 579,5 საზენაო.  
 სათანადე 333,5 სათანადო, ჯეროვანი.  
 სათქმო 659,3 სათქმელი.  
 საკადრე 605,3 საკადრო.  
 საკაზმ-ი 496,5 შესაკაზმი, მოსართავი.  
 საკარგ 469,3 სარიგოდ, წესიერად.  
 საკმად 380,3 საკმარისად, საკმაოდ.  
 საკურნ-ი 625,2 საკურნებელი.  
 საკულადე: ქებად საკულადე 333,5 კვლავ (მარად) საქებელი.  
 საკურვი 625,5; 743,5 საკვირველი.  
 სამეუფო ქალაქი 95,3 დედაქალაქი (იგულისხმება კონსტანტინოპოლი).  
 სამეოხო 508,5 საშემწეო, საიმედო.  
 სამზო 410,2 სამზეო.  
 სამთენო 458,1 სამნათობო.  
 სამ-მდგომ-ი. სპარაზენი: სამ-მ-დგომნი უნივთონი 436,5 უსხეულო (უხილავი) მებრძოლნი (ეშმაკები და ავი სულელები)  
 სამ-ნეტარ-ი 541,4 სამგზის ნეტარი.  
 სამსჭუალ-ი 271,1; 296,4 ლურსმანი.  
 სამტკიც 67,5 დასამტკიცებლად.  
 სამუს-ი 632,3 სამუსიკო.  
 სამღერელ-ი 628,5 სათამაშო.  
 სამწყსელ-ი 244,1 დასამწყსელი.  
 სამხოლო 758,1 სამართლო.  
 საპფირონ-ი ღია ლურჯი გამჭვირვალე ძვირფასი ქვა: საპფირონებ 709,4 საფირონივით ლურჯდები.  
 სარდიონ-ი ძვირფასი თვალის სისხლის ფერისა: ასარდიონ-ტოპაზებს 613,1; სარდიონ-მარგარიტებენ 767,2—3.  
 სარაცხ-ი 589,5; 713,3; 719,1 შესარაცხი, ჩასათვლელი.  
 სარკე: სარკით 489,4 სარკიდან; სარკება: უმანკოება... ასარკებს ღმერთსა 396,3 უმანკოება ღმერთს აჩენს.  
 სასქეტო „სასქესო“, საბუნებო: სასქეტონი ოთხნი კეთილობანი 540,3 ოთხი ელემენტი (წყალი, ჰაერი, ცეცხლი, მიწა), რომელიც არსებას არსებობას ანიჭებს.  
 სატარ-ი 576,4 სავალი, სატარებელი.  
 საურვ-ი 625,3 საზრუნავი.  
 საქადულეზა: საქადულეზ 622,5 სასიქადულაო, საამაყოა.  
 საქანელ-ი 412,3 კარი, სარკმელი (ცისა).

საქმე: სიტყვით და საქმით 715,2; ხედვით და საქმით 71  
თეორიულად და პრაქტიკულად; საქმით-ი 709,3 პრაქტიკული.  
საყდარ-ი 9,3; 115,1; 557,1; 581,3 ტახტი; საყდარის მპყრ  
584,2 ტახტის მპყრობელი, მეფე.  
საყდარი 311,4 პირველი ტრიადის ანგელოზები.  
საყუარ-ი 752,5 საყვარელი.  
საყურ-ი 625,4 საყურებელი.  
საყურე რაც ყურისთვისაა განკუთვნილი: საყურნი 213,2  
ყურები.  
საშინელება 161,2 დიდება.  
საჩინოება: ისაჩინოვა 512,5 საჩინო იქმნა, გამოჩნდა.  
საცურ-ი: საცურნი 625,4 საცურენი, ცვარმადინებელნი.  
საცუფრ 272,2 განსაცვიფრებელ.  
საძაგ 759,4 საძაგელ.  
საძნობელ-ი 648,4 საქებელი.  
საწად-ი, საწადე, საწადრე 333,1; 496,1; 605,2; 663,4 საწადელ  
საწმის-ი 111,1 მატყლი.  
საწურ-ი 625,3 საწურველი.  
საწყურ-ი 380,5; 625,1; 722,5 მოსაწყურებელი.  
საჭურვი 625,5 საჭურველი, აღკაზმულობა.  
საჭურვი-ი 618,4 საჩენი.  
საკვი-ი 576,5 ბორკილი, ხუნდი.  
საკმილ-ი 96,4: 408,1 დიდი ცეცხლი, ხანძარი.  
საკსენ-ი 454,3; 456,3 სახსენებელი.  
საჩ-ი 404,3 ღუმელის ამობურცული ზედა ნაწილი, რომელზე  
აცხობენ პურს; მასვე იყენებდნენ საწამებლადაც.  
სევასტოს 567,4 სამეფო ტიტული, რომელსაც ანიჭებდნენ კეისრ  
ქართლის მეფეებს ადრეფეოდალიზმის ხანაში.  
სერაფიმ-ი 126,3; 198,4; 199,3: 311,4 პირველი ტრიადის ანგელო  
სერაფიმთ-საყდართ 723,5 სერაფიმებისა და საყდრების (ანგე  
ზების); სერაფიმ-ყოფა 474,2 ანგელოზება.  
სერტყ-ი 412,2 ტყე.  
სეფე 571,2 სახლი-სამეფო მზისა.  
სველევა 573,4 დასველება, დალტობა (სისხლით).  
სთვა 466,4 რთვა, გრეხა (აქ ნიშნავს ქსოვას). სთულ-ი 455,2  
თული, დაგრეხილი.  
სიავ-ი 404,1 სპილენძის ქვაბი.  
სიბრძნის-მოყუარება: სიბრძნის-მოყუარა 705,3 იფილ სოფოს

სიზრქე 720,3 სისქე.

სიკისკასე 552,1 სიბარდე, სიციციტე.

სილოგიზმო 756,4 სილოგიზმი.

სირა 634,1 ნათხზი, წნული; წყება.

სიტყუა<sup>1</sup> ჩვეულებრივი მნიშვნელობით: სიტყუანი შენაწყობნი 402,1 შეწყობილი სიტყვები; სიტყუათა შენაწყობთა 643,1; მოქმედთაგან სიტყუსა 497,1 მწერალთაგან.

სიტყუა<sup>2</sup> ლოგოსი, ძე-ღმერთი, ქრისტე: სიტყუა ეთქმის საკუთრად ძესა 10,3; სიტყუა მამისა 19,1; სიტყუს შექმნა მამისგან 20,2; უფამო იგი სიტყუა 30,2; შობა სიტყუს 50,1; ზეცით გარდამოსრული სიტყუა 35,4; 35,4; სიტყუა მოვიდა ჩუენდა ღრუბლით 180,3; გუემულებათა ჩუენთა მტურთველი სიტყუა 66,1; სიტყუა, ვორცშესხმული ჩუენთუს 73,4; სიტყუა ალაგებს ვორცთა ტაძარს 33,5; გუამი სიტყუსა შეზადების 37,1 და სხვა.

სიყმილ-ი 251,3; 712,1—2 შიმშილი.

სიჩაუქე 552,1 სიკისკასე, სიციციტე.

სიცონილ-ი 391,5; 394,2 სიზარმაცე.

სკარამანგ-ი 410,4; 505,3 მოსასხამი.

სკივრაკ-ი 085,1,5 პატარა სკივრი.

სკიპტრა 125,1; 258,1; 637,1 სამეფო კვერთხი.

სოსან-ი 559,4 მინდვრის ყვავილი.

სოფოს ბრძენი: სოფოსთ-სოფოს 033,5 ბრძენთა ბრძენი.

სპარაზენ-ი 436,3 სამ-მდგომი, მებრძოლი.

სპეკალ-ი 443,1; 742,2 ძვირფასი ქვა, თვალი პატიოსანი.

სპერა<sup>1</sup> 499,2 მიმოხვრა (სიტყვათა).

სპერა<sup>2</sup> 514,4 სარკმელი.

სპეტობა 512,3 ზემდგომობა; რწმუნვა ასპეტა 598,4. რწმენა ამთავრა.

სპეტ-ი ძვირფასი ქვა: ასპეტ-ამარგარიტებს 613,4.

სპოლვა 360,4 მოსპობა, განადგურება.

სრბა: ისრბე 462,1 ირბინე.

სრბოლა: ისრბოლა 465,1 ირბინა.

სტიხთ-მოქმედება 730,5 პოეტობა, ლექსების თხზვა (იხ. შაირ-სტიხი).

სტიხირონებრ-ი 353,2 ლექსითი.

სტიხოლოლოსება: სტიხოლოლოსებ 739,3 შაირსიტყვაობ.

სტოვილ-ი იქი ოქრო-სტოვილი.

სტოიკებრ-ი 742,2 სტოიკური.

სურვილ-ი 408,1 სიყვარული, ტრფიალი.

სვინგელ-ი 765,1 მესენაკე.

სფერა 47,4; 122,4; 444,2 სფერო.

სფეროება: ე ს ფ ე რ ო ე ბ ი ს 92,2 სფეროდ ექმნება, გარს ევლება.

სქეს-ი 51,1; 434,1; მოდგმა, ძირი, ჩამომავლობა; სქესებრივ-ი 6,5 ფიგურული; სქესებრ-ი 413,1 მდგომარეობითი.

სქეტ-ი 444,3 ბუნება.

სქიმა 823,3 ფორმა, სქემა.

სხებლა 418,1 თმა; წვრილი ბეწვისებრი მავთული.

სხუა 593,2; 604,1; 655,2; 766,2—3; 772,4 მეორე.

## ტ

ტაბლა 84,1 სუფრა.

ტაგარ-ი 576,2; 0113,2 საწნახელი.

ტავარჯუხ-ი 237,3 ხალთა, ტყავის ჩანთა.

ტაკუკ-ი 105,2 ღვინის ჭურჭელი; სარწყული; ოქრო-ტ ა კ უ კ ი 694,1 ოქროს სარწყული (ეფთვიმე ათონელის ეპითეტი); ტ ა კ უ კ ს ა შინა კრძალვისასა შთაასხენ 540,4 სიფრთხილის სარწყულში ჩაასხი.

ტალანტ-ი 025,3 ოქროს ან ვერცხლის ფული.

ტარიგ-ი 292,1—4; 447,2—3; 463,1 კრაეი. ხშირად იხმარება ქრისტეს ეპითეტად (იხ. ღმერთ-ტარიგი).

ტაფოს 296,5 საფლავი.

ტევან-ი 460,3; 0106,4 მტევანი.

ტიხ-ი 600,4; 018,1 შემთხვევა; ვითარება.

ტოპაზ-ი 613,1 ძვირფასი ქვა ანთრაქი.

ტრამა-ქმნილ-ი 603,1 ტრამალად ქცეული; აოხრებული. ✘

ტრაპეზ-ი 84,3 ტაბლა, სუფრა.

ტრფობა: . ი ტ რ ფ ე ს 446,3 მოინდომეს; ი ტ რ ფ ე 655,5 შეიყვარე.

ტულია 296,1 რბილი ქვეშაგები.

ტუფრვა 638,1 ბეჭდვა.

## უ

უბრყვილო 345,4; 500,1; 519,1; 674,2 უბუნდო, უბნელო; რაც კარგად აჩენს სახეს (სარკე, ბროლი); უ ბ რ ყ ვ ი ლ ო დ 538,4 ულა-

ქებოდ; უბრყვილობა: სარკე უ ბ რ ყ ვ ი ლ ო ბ ს 729,2 გაღატ.  
 სახე უბრწყინვალეებს.  
 უგობებელ-ი 63,2; 198,2; 356,4 უბოროტო; უგმობელი.  
 უელმო 065,2 უმრუდო, სწორი.  
 უზაკველ-ი 389,4 უბოროტო.  
 უზეს-ი 741,5 უზეესი, უმაღლესი.  
 უთუალ-მღებელ-ი იხ. თუალ-მღები.  
 უკუდავ-მწთოლვარე 334,3 უკვდავების მწვეთარე.  
 უკუთქმა 736,5 საწინააღმდეგო პასუხი; უკუთქმ-ი 90,4 მოპასუხე  
 დიალოგში (კამათში).  
 უკმოწოდება 355,4 გამოძახება.  
 უკრეტსაბმელო 414,5 რასაც ფარდა არა აქვს.  
 უმაგალითო 740,4 შეუდარებელი, უებრო.  
 უმუსრველ-ი 274,3 შეუმუსრველი, დაუმტვრეველი.  
 უნივთო 111,1; 436,5; 487,3; 712,3 უხილავი; უსხეულო, არამატე-  
 რიალური.  
 ურთავ-ი 135,1 სართული.  
 ურულ-თუალ 459,3. თვალმოუხევექელად; ურულოდ, ფხიზლად.  
 ურულო 635,1 ფხიზელი; ვისაც რული არ ეკარება.  
 უსასყიდლო 442,3; 533,4 უძვირფასესი. ფასდაუღებელი; რასაც სას-  
 ყიდელი არ მიეცემა.  
 უსუნნელეს-ი 565,5 ძლიერ სურნელოვანი.  
 უსუბ-ი 220,1 სასხურებელი.  
 უსხეულო 112,1 უხილავი.  
 უუთქვ 528,3 გამოთქმელი, რაც ენით არ ითქმის; უ უ თ ქ ვ ს ა -  
 მ ა ნ 540,2 გამოუთქმელისამ (ეპითეტია ღვთისა).  
 უფლებანი 316,4 მეორე ტრიადის ანგელოზები.  
 უქცეველ-ი 709,5; 713,4; 718,2 შეუცვლელად, მტკიცედ, ურყევად.  
 უღამო 413,4 დაუღამებელი („უღამო მზე“ ეპითეტია ქრისტესი).  
 უცებ-ი 703,5; 832,5 უვიცი, უმეცარი.  
 უცომო 78,1; 235,1 გაუფუფეებელი.  
 უცონელ-ი 609,3 დაუზარელი.  
 უძღებება 5,1 სიხარბე, გაუმადლობა, უწესრიგობა.  
 უბრწუნელ-ი 50,1; 277,1; 522,5 წაუმხდარი, გაუფუჭებელი; უკვდავი;  
 უბრწუნელება 198,3 უკვდავება; წილ-მვლი ჩუენი ბ რ წ ნ ი ლ ე -  
 ბ ი თ უ ბ რ წ ნ ე ლ ე ბ ა დ 255,5 ჩვენი წამყვანი სააქაო (დარღვე-

ვალი, დახსნადი) ცხოვრებიდან უკვდავი (მარადიული, საუკუნო)  
ცხოვრებისავენ.  
უხუ-წარმგე 501,2 უხვად წარმგებელი (მფლანგველი).

### ფ

ფერკ-მალე 335,2 ფეხმარდი.  
ფეშუმ-ი 77,1 საზიარებელი ჭურჭელი.  
ფინიკ-ი 124,5 დანაკის-კული.  
ფისიკა 756,2 ფიზიკა.  
ფრე 103,1 ჭა, ჭის წყარო.  
ფრთობა: მღვიმე ი ფ რ თ ე 492,2 მღვიმე გაიხადე საცხოვრებლად.  
ფრთეჭუეშეობა: ი ფ რ თ ე ჭ უ ე შ ე ო ბ ს 023,4 ფრთებს ქვეშ იფა-  
რავს.  
ფშვა: ფ შ ე ი 460,3; ჰ ფ შ ე ი 524,3 სურნელებას აფრქვევ.

### ჭ

ქადება: ქადებისაებრ 268,5 აღთქმისაებრ.  
ქანდა 418,1 ვარაყი.  
ქანდაკ-ი 694,3 ქანდაკება.  
ქარება: ქ ა რ ე ბ 460,4 ჰქრი.  
ქელვა 573,2 გათელვა, გალახვა.  
ქლამინდ-ი 296,4 წამოსასხამი.  
ქონვა 734,3 ქონა (რისამე).  
ქსვა 636,1—4 ქსოვა (გადატ. ლექსის თხზვა). ქსულ-ი 299,5; 455,1  
ნაქსოვი, მოქსოვილი.  
ქუაბ-ი 776,4 გამოქვაბული.  
ქუემდებარებ-ი 270,3 ძირს მდებარე. ქუემდებარება 477,1 დაქვემ-  
დებარება; არა ა ქ უ ე მ დ ე ბ ა რ ე 477,4 არ დაუქვემდებარე.  
ქუეშეურ-ი 317,4 მიწიერი.

### ღ

ღება: ღ ე ბ ა სისხლით 465,3 სისხლით შეღება.  
ღმერთ-ზუარაკ-ი 273,3 ღმერთ-მსხვერპლი (იგულისხმება ქრისტე).  
ღმერთ-პასეჟ-ი 274,1 იგივე ღმერთ-ზვარაკი.  
ღმერთ-სახელ-ი: იღმერთ-სახელა 415,3 ღმერთის სახელი მიიღო.



ღმერთ-ტარიგი 273,2 ღმერთ-კრავი (იგულისხმება ქრისტე).  
 ღმრთივ-მომგე 675,4 ღვთიურად მომცემი.  
 ღმრთის-მეტყუელის სახელი-ი: იღმრთის-მეტყუელ-სახელა 705,2;  
 763,2 ღმრთისმეტყველის სახელი მიიღო.  
 ღმრთის კელი: სულნი აღაღმრთის-ველნეს 533,5 სულები ღმერთს  
 ჩააბარეს. სული აღაღმრთის-ველა 440,5; სულსა აღაღმრთის-ვე-  
 ლებს 607,5.  
 ღრამა წერილობითი ასო-ნიშანი: ღ რ ა მ ი თ ა ნიშნოვანითა 437,2  
 ასო-ნიშნით, წერილობით. ღრამობა 637,2 ხატოვნება, სურათოვნ-  
 ნება.  
 ღრამატიკოს-ი 566,5; 719,3; 740,5 გრამატიკოსი, მეცნიერი.

## ყ

ყარამფილ-ი 559,3; 615,4; 844,2 მიხაკი.  
 ყოვლისფერება: ი ყ ო ვ ლ ი ს ფ ე რ ე 469,2 ყოველნაირად შეიფე-  
 რე.  
 ყოლ, ყოლა 554,4; 625,1 ყოვლად.  
 ყუფერბეულ-ი 251,2 ჰურის კვერი.  
 ყურიმლის-ცემა 525,2 სილის გაწნა.

## შ

შაირ-სტიხთ-მოქმედება 730,5 შაირსიტყვაობა, ლექსთა თხზვა, პო-  
 ეტობა.  
 შაშპრა 559,4 რეჰანი.  
 შეზავება 29,3; 37,1—2; 39,5; 40,1; 41,3 შერთვა, შერევა.  
 შეზნინი-ი 770,4 განკითხული; განსწავლული, მცოდნე.  
 შეთხევა: შე ს თ ხ ი ე ს 221,4 ჩაყარეს, ჩაახრჩეს (ზღვაში).  
 შემაერთ-ი 553,5 შემაერთებელი, გამაერთიანებელი.  
 შემრჩობლებულ-ი 425,1 გაორმაგებული, შეწყვეილებული.  
 შემსჭუალვა: შე ე მ ს ჭ უ ა ლ ა 264,2 მიემაგრა; შე ჰ მ ს ჭ უ ა ლ ო ს  
 66,4 მიამაგროს; შემსჭუალულ-ი 0109,4 მიჭედილი, მიამაგრებუ-  
 ლი.  
 შემუსრვა: შე მ უ ს რ ე ს თ ა ვ ი 442,4 დაჩეჩქვეს (დანაყეს) თავი  
 (გველისა); ეშმაკთ ძალსა შე ჰ მ უ ს რ ა ვ ს 289,4 ეშმაკების ძა-  
 ლას გააბათილებს.  
 შემურვა 196,1 ბალზამირება.

შემწეობა: გ უ ა შ ე მ წ ე ა 481,2 შემწეობა გაგვიწია.  
შენადას-ი 0107,2 დასში (გუნდში) შეერთებული (ჩათვლილი); და-  
სის წევრი.  
შენათუხებ-ი 639,3 შენათესავებული, შეთვისებული.  
შენაიწრებ-ი 636,1 შეწუხებული, გაჭირვებული.  
შენაწყობ-ი 402,1; 643,1 შეწყობილი.  
შეორკეცება 171,3 გაორმაგება.  
შეოფლება: შ ე ი ო ფ ლ ე ბ ი ს 60,3 ოფლს დააყრის.  
შერაბამება: შ ე ვ ა რ ა ბ ა მ ე 055,1 შევეუსაბამე; შ ე ა რ ა ბ ა მ ე ნ  
(შეუფარდე, შეუპირისპირე, შეუფარდე) წინადადებანი შენ უმი-  
როსისა წინადადებათა შენთა 084,1—2. შღრ.: დავითიანთა შემს-  
ხმელად კამს ომიროს მერაბამე იგი“ (ქ. ცხ., II, გვ. 2) დავი-  
თიანთა შემსხმელი უნდა იყოს პომეროს მერაბამე (შესაფერისი  
ქების მოქმელი). „შერაბამება“, „რაბამობა“, „შერაბამებული“ და  
„შეარაბამე“ პეტრიწული ტერმინებია, რომლებიც სწორად იხმა-  
რება პროკლეს „კავშირთა“ კომენტარებში.  
შესაბამობა: ე შ ე ს ა ბ ა მ ე ვ ი ს 548,5; 611,5; 671,5 ესატყვისება,  
შეეფერება.  
შესმენილობა 667,5 შეგნებულობა, მიხვედრილობა.  
შეფჳვა: შ ე ი ფ ჳ ე ე ნ 240,5 დაიმტერნენ, დაიმსვრნენ.  
შეუვანილება 01,1; 821,1 შესავალი.  
შეყოფილ-ი 117,1 დაყრდნობილი.  
შეჩვენება: შ ე მ ც ა ი ჩ უ ე ნ ნ ე ნ 12,5 შეჩვენებულ იქნენ, წყეულ  
იქნენ.  
შეცვა: შ ე ი ც ვ ე ბ ი ს 56,3 შემოხვეული იქნება.  
შეცხოვნილ-ი 363,5 გამომცხვარი.  
შეწვალება 28,2 წვალება, გაყოფა.  
შეკშულ-ი 721,3 დახშული.  
შთამოება 152,4 შთამომავლობა.  
შთამოთხვა 634,1 დაწნულობა, გრენილობა; გადატ. ჩამომავლობა.  
შთამოსირვა 049,3 შთამოთხვა; გადატ. ჩამომავლობა.  
შთამოსრულ-ი 51,1 ჩამოსული; გადატ. ჩამომავალი.  
შთანაგდ-ი 253,3 ჩაგდებული.  
შთაკდომა 88,5 ჩასვლა, ჩახტომა.  
შოვრება: შ ო ვ რ ე ბ დ ა 687,3 შორს იყო.  
შორისება 550,3 ვინმესთან შორის ყოფნა.  
შუელვა 573,5•შველა, საშველი.

შუენიერება: მე შ ე ე ნ ი ე რ ე ს 769,3 მომეწონა, შუენიერად მომე-  
ჩვენა.

შურომა: თუ ენა შ უ რ ე ბ ა 640,5 თუ ენას ჯათა ადგია.

## ჩ

ჩირთ-ი 460,4 ნორჩი ფოთოლი, კვირტი.

ჩქურება ბოდვა, როტვა: ი ჩ ქ უ რ ა 26,4 იბოლა, იჩურჩუტა.

## ც

ცალ-მუყან-ი 699,4 ცაში ამყვანი.

ცენება: ა ც ე ნ ა 565,5 აღმოაცენა.

ცურევა 407,5 სხურება, პკურება; ცურეულ-ი 384,2 სხურებულ-ი.

ცხოწვა 233,5 ცხონება; ხსნა, გადარჩენა.

## ძ

ძალ-ი<sup>1</sup> 242,2 სიმი, ლარი.

ძალ-ი<sup>2</sup> 315,3 მეორე ტრიადის ანგელოზი.

ძელ-ი<sup>1</sup> 245,1 ხე.

ძელ-ი<sup>2</sup> 270,3 ჯვარი.

ძვილ 791,3 ძლივს.

ძირ-ი 638,4 მოდგმა, ტომი.

ძლით შენ ძ ლ ი თ 102,5; 0113,2 შენს გამო.

ძლით-ი -თვის, შესახები: ქებისა ძ ლ ი თ თ ა 636,3 ქების შესახებ;

ძელისა ძ ლ ი თ ი თ ა წამლით 270,5 ჯვარისმიერი წამლით; ძ ლ ი თ ი თ 266,2 მიერ.

ძნობა გალობა: ს ძ ნ ო ბ დ ი ს 242,3 უგალობდა; უ ძ ნ ო ბ 570,5 ეუ-  
გალობ.

ძოწეულ-ი 533,3 წითელი ტანსაცმელი (იხ. პორფირი).

ძღუნის-მრთმელობა: მეფენი ძ ლ უ ნ ი ს-მ რ თ მ ე ლ ო ბ ე ნ 50,4 მე-  
ფეები ძღვენს მიართმევენ.

## წ

წარმზადება: წ ა რ მ ზ ა ლ ა 465,4 განმზადა, გაამზადა.

წარმლტოლვარე 52,3; 293,3 გამქცევი, თავის ამრიდებელი.

წარმო 26,3; 234,3; 305,4; 717,1 წარმოშობილი, წარმომავალი;  
წარმოობა: ი წ ა რ მ ო ს მ ც ა 128,4 წარმოიშვას.

წარმოსიბრძნულ-ი 085,4 ბრძნულად მოცემული (თქმული).

წარმოტყუენვა 67,1 ტყვედ წამოყვანა.

წარმძლუნ-ი 578,5 წინამძღვარი.

წარმკდელ-ი: კამლთა წ ა რ მ კ დ ე ლ ი 414,3 ვინც ფესხაცემელს იხ-  
დის; წ ა რ მ კ დ ე ლ ი სიყმილისა 712,2 შიმშილის მარიდებელი.

წარღუნა: წარპრღუნნა სერტყთა ფესუებნი 412,2 წალეკა ტყის ფეს-  
ვები.

წარტყუენვილ-ი 290,1 ტყვედ წაყვანილი, გატაცებული.

წარუდენ-ი 539,3 წარუდენელი, მუდმივი, მარადიული.

წარწყმედა: წ ა რ ს წ ყ მ და 266,1 გაუწყმედა, წაუხდა.

წახნაგებულ-ი 757,2 გამოქანდაკებული.

წებით 379,4; 409,1 წამებით; წებითთა 423,2 წამებითთა (აკრო-  
სტიქულ სტროფებში ზოგან ჩართულია დაქარაგმებული სიტ-  
ყვები).

წერილ-ი 258,3 დაწერილი.

წერტა 266,3 ჩხელეტა.

წესებულ-ი იხ. თან-წესებული.

წთოლა: სწთოდეს 334,3 ეწვეთებოდეს.

წიალ-მვლ-ი 255,5 გამყვანი, გადამლახავი (ზღვისა).

წინადადება 736,2 დასამტკიცებელი დებულება.

წინა-დაცუეთა: წინა დ ა ი ც უ ე თ ს 54,3 ჩუჩას წაიკრის.

წინა-თქმობა 144,3 წინასწარმეტყველება.

წინა-მეთქვ 248,2; 334,1 წინასწარმეტყველი; წინა-მეთქუობა 330,3  
წინასწარმეტყველება; ი წ ი ნ ა მ ე თ ქ უ ა 259,3 იწინასწარმეტყვე-  
ლა.

წინა-მეტყვ 67,4; 144,4; 253,1; 265,4 წინასწარმეტყველი.

წინა-მეწყუე, წინ-მეწყუე 515,5; 635,4; 075,5 წინამბრძოლი, მოწინა-  
აღმდეგე.

წინა-მსრბ-ი 361,4 წინამორბედი, წინამსრბოლი.

წინდება: ი წ ი ნ დ ე ბ ი ს 487,4 ინიშნება (სძლად).

წინწილ-ი 648,4 საკრავი ინსტრუმენტი.

წმასნა: ა რ - წ მ ა ს ნ ი თ ს თ უ ლ ი 455,2 არა დახლართულად დართუ-  
ლი; წ მ ა ს ნ ი ლ - ი 720,2 თხზული, ჩაწნული.

წნება დაწნება, დაწურვა: ი წ ნ ი ხ ე 524,4 დაიქვლიტე; ი წ ნ ი ხ ე  
საწნახელსა 560,3; წნეხილ-ი 0113,2 დაწნეხილი, დაწურული.

წრფელ-ეპიფანიობა: წრფელ-ეპიფანიობენ 637,3 ადვილად ჩნდებიან; მთანი და კეენი აწრფელ-ეპიფანიეს 369,5 მთები და ხეები გასწორეს, გაათანაბრეს (ერთ სიბრტყეზე წარმოაჩინეს).

წრფელ-ილომატეს 369,4 სწორი დოგმები შეიმუშავეს.

წულილება: აწულილენ კორცნი 655,4 სხეული განლიე (დაამქ-ლე).

წულილ-მოგონება: 34,1 ძნელად შესაცნობი.

წულილი ჰოგრიტ მოქმედება: ხედვაი იწულილ-ჰოგრიტ-მოქმედებდეს 497,2 თეორია წვრილი ჰოგრიტ იძიებოდეს.

წურთა წვრთა, სწავლა: წურთასა... სიკუდილისასა 413,2 მოძღვრებას სიკუდილის შესახებ. ანტონს მხედველობაში აქვს იოანე პეტრიწის თარგმანი ამონიოს ერმისის თხზულებისა — „მოსაცენებელი ხუთთა ემათადმი“, სადაც ნათქვამია, რომ „ფილოსოფოსობაჲ არს წურთა სიკუდილისა“, ან: „არს უკუე ფილოსოფოსობაჲ წურთაჲ სიკუდილისაჲ, ესე იგი არს წურთა სულისა სხეულისაგან განშორებისაჲ“ (S 2562, ფ. 75v, 78r). ამასვე იმეორებს იოანე პეტრიწი „სათნოებათა კიბეში“ — „ფილოსოფობა არს წურთა ამისი (სიკუდილისა) შარად“ (სტროფი 64).

წუხვა 487,3 დაღონება, წუხილი.

წურვილ-ი 616,3 დაწნეხილი, გამოწურული.

წუხილ-ი 810,4 დაბრმავებული.

წყობა 389,5 ბრძოლა; წყობად 237,1 საბრძოლველად.

წყობილსიტყუაობა 402,4 განზომილსიტყუაობა, შაირსიტყუაობა.

წყობილი სიტყვიტ (ლექსად) წერა.

წყრთილ-ი 220,3 ღირე, „კარის გადასაბიჯებელი“ (საბა).

წყუხედა 360,4 ამოწყვეტა, დახოცვა.

### ჟ

ჰვირობა: ჰვირან 164,3 ჩანან.

ჰიმ-მეაღვირე 015,1 ლაგამ-მეაღვირე.

ჰოგრ-ი 497,2 ღურბინდი.

ჰური რჩეული: აჰურ-რჩეულეებს 281,3 რჩეულ ჰურად ჰხდის..

### ხ

ხადილ-მყოფელ-ი 80,2 მხმობელი, ვინც უძახის.

ხალენ-ი 255,1 ტყავის წამოსასხამი; ხალენებრ 493,4 ხალენი-ვით.

ხატ-ი 699,5 მაგალითი, იგავი, სახე.

ხდილ-ი 618,4 მოხმობილი.

ხება შეხება: ვ ა ხ ე ნ ი 202,1; 641,2 შევახე (ზაგეები, ხელი).

ხედვა თეორია, მოძღვრება: ხ ე დ ვ ი თ და საქმით 715,3 თეორიულად და პრაქტიკულად; ფილოსოფიათ... ხ ე დ ვ ი თ თ ა და საქმითა 709,3; ფილოსოფია ხ ე დ ვ ი თ ი (თეორიული) პრაქტიკათურთ 756,3.

ხერუვიმ-ი 181,1; 199,2; 262,3; 311,4; 542,3 ქერობინი, პირველი ტრიალის ანგელოზი.

ხლომა 420,4 ხტომა.

ხომ-ი 618,4 თანავარსკვლავედი.

ხრწნად-ი 484,5; 492,3; 706,2 რაც ხრწნება; მოკვდავი.

ხრწნილება 255,5 დახსნილება, ხრწნალობა; კვდომა.

ხუეტა 379,4 ფხეკა.

### ჰ

ჰამლ-ი 414,3 ფეხსაცმელი.

ჰემწიფება 320,3; 321,1 მეორე ტრიალის ანგელოზთა დასი.

ჰმევა 5,4; 718,3 ტვირთვა; ი ჰ მ ი ე ნ 655,3 იტვირთე.

ჰმეულ-ი 735,1 გამოყენებული.

ჰმელ-ი 694,4 ხმელი, გამხმარი.

### ჟ

ჟაერ-განმქრევ-ი 510,3 ჟაერში გამქარვებელი (გამბნევი).

ჟასაკ-ი 55,1 სხეული.

ჟასაკ-გრძელ-ი 237,1 ტანდიდი, გოლიათი.

P. S. ბექდვის პროცესში 126-ე გვერდზე გაიპარა უნებლიე შეცდომა. ხელნაწერის ფოტოპირს აქვს ასეთი წარწერა: „H 2307 (F) ნუსხის. გადამწერის ანდერძი. ხვეულად იკითხება: ღალესისძე რექტორი დავითა“. უნდა იყოს: „H 2307 (F) ნუსხის დასასრული, გადაწერილი 1800 წელს თელავში დავით რექტორის მიერ (გაგრძელება იხ. მომდევნო გვერდზე)“.

ИСТОРИКО-БИБЛИОГРАФИЧЕСКИЕ СВЕДЕНИЯ О  
ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ.  
АНТОН БАГРАТИОНИ — «МЕРНОЕ СЛОВО»

(Подготовил к изданию, исследованием, комментариями и  
словарем снабдил И. А. Лолашвили)

Резюме

В изучении истории древнегрузинской литературы огромное значение имеет критический анализ тех историко-библиографических материалов, которые дают нам яркое представление о происхождении литературных памятников, жизни и деятельности их авторов, переводчиков и переписчиков. Эти материалы обыкновенно помещены не только в специальных библиографических трудах (напр. «Мерное слово» Антона Багратиони, «Краткие сведения о грузинских писателях» Иоанна Багратиони, «Грузинские духовные и светские книги» Теймураза Багратиони, Каталог Давида Ректора...), но и — в жизнеописаниях грузинских святых и светских художественных произведениях (напр. списки трудов Евфимия и Георгия Святогорцев, диалог Серапиона Сабашвили с Руставели, «Повесть о религии безбожных изманльтян» царевича Баграта Мухран-Батони, «О старых и новых стихотворцах Грузии» Арчила Багратиони...), в инвентарных книгах и других официальных документах (напр. списки книг Петрицонского монастыря и библиотеки Давида-Гареджи, грамоты приданного...), а также разбросаны в предисловиях, послесловиях и приписках разных древнегрузинских произведений и рукописных сборников (напр. «Краткое воспоминание о Симеоне Логофете» Ефрема Мцире, его же — «Повествование о великом Дионисии Ареопагите и его книгах» и «Вступление» грузинского перевода со-

чинения Иоанна Дамаскина «Источник знания», «Послесловие» Иоанна Философа, «Завещание» Григола Чахрухадзе, «Приписка» Захария Габашвили и др.).

Среди таких источников сочинение Антона Багратиони (1720—1788 гг.) «Мерное слово» (по груз. — «Цкобилситкვაоба»), научно-критический текст которого издается в предлагаемой книге, является одним из уникальных памятников древнегрузинской литературы. Во-первых, оно привлекает внимание как историко-библиографическое произведение, заключающее массу библиографических сведений о знаменитых отцах и мучениках грузинской церкви, о выдающихся царях Грузии и прославленных ученых, переводчиках и книжниках, подвизавшихся в разных очагах грузинской письменности, а во-вторых — как важнейший поэтический памятник, содержащий философско-теологические знания и мотивы о грузинском просветительстве.

«Мерное слово», написанное в 1764—1768 годах, состоит из богословского и исторического разделов: богословский — из четырех, а исторический — из трех частей. Первая часть посвящена троице и ее сущности, рождению, крещению, проповедческому хождению и смерти Христа, а также — евхаристии и семи вселенским соборам. Вторая часть трактует таинственные предсказания библейских пророков о богородице, третья — о чудесах святого креста и хитоне господне, четвертая — об ангелах, апостолах, пророках, наставниках, мучениках, исповедниках, блаженных, преподобных и праведниках.

Продолжением этих частей является исторический раздел: часть пятая — о грузинских святых, шестая — о царях Грузии и седьмая — о мужах, любящих мудрости. В этом разделе восхвалены:

1. Грузинские святые — Нина Просветительница (IV в.), Ражден Первомученик (V в.), царица Шушаник (V в.), Евстати Мцхетели (VI в.), 13 сирийских подвижников (VI в.), Або Тбилели (VIII в.), Илларион Чудотворец (IX в.), основатели Иверского монастыря на Афоне (X в.), царица Кетевана (XVII в.), Элизбар, Шалва и Бидзина (XVII в.) и др.



2. Цари Грузии: Мириан Хосровани (IV в.), Вахтанг Горгасали (V в.), Арчил I (VI в.), Гурам Курапалат (VI в.), Баграт III (975—1014 гг.), Баграт IV (1027—1072 гг.), Давид Строитель (1089—1125 гг.), Георгий III (1156—1184 гг.), царица Тамар (1184—1213 гг.), Дмитрий Самопожертвователь (1271—1289 гг.), Георгий Блистательный (1314—1346 гг.), Баграт V (1360—1393 гг.), Александр I Великий (1412—1443 гг.), Луарсаб I (1534—1558 гг.), Симеон I (1558—1600 гг.), Луарсаб II (1606—1615 гг.), Теймураз I (1605—1663 гг.), Вахтанг VI (1703—1724 гг.), Теймураз II (1744—1762 гг.) и Ираклий II (1744—1798 гг.).

3. Ученые, переводчики, книжники и др. — девять патриархов и восемь епископов, Евфимий Святогорец (+ 1028 г.) и его современники, находящиеся на Афоне; Георгий Святогорец (+ 1065 г.) и его современники; Ефрем Мцире (XI в.), Арсен Илактоели и Иоанн Философ (XI—XII вв.) и их современники, гимнографы XII—XIII вв., церковные деятели XIII—XIV вв., а также — светские поэты и прозаики XII—XVIII вв., среди них — Шота Руставели, Чахрухадзе и Саргис Тмогвели (XII—XIII вв.), Теймураз I, Арчил II, Сулхан-Саба Орбелиани, Вахтанг VI, Теймураз II (XVII—XVIII вв.) и другие.

Антон Багратиони, великий ученый и мыслитель, прославленный церковный деятель, был хорошим знатоком истории христианской церкви, сущности богословских догматов, особенно грузинской духовной литературы: библейских книг, агиографических и литургических памятников, гомилий церковных ораторов, философских трактатов, исторических и художественных сочинений. Таким большим знанием мог он овладеть в Грузии в придворном училище карталинского царя, в монастырях Давида-Гареджи и Гелати, в библиотеке Тбилисского Сионского храма, а также — в России, где был назначен епископом Владимирской епархии. Так что, Антон Багратиони имел хорошие возможности глубоко ознакомиться с рукописными фондами и печатными книгами, хранящимися в названных очагах культуры, и использовать их по мере надобности во время работы над «Мерным словом». И действительно, изучение источников этого произведения до-

казывает, что автор пользовался многими литературными памятниками, в том числе и не дошедшими до нас историко-библиографическими сведениями.

В древней Грузии было известно несколько настольных книг, таковы: «Картлис цховреба» (История Грузии) — сборник исторических произведений XI—XIV вв., «Великий синаксарий» Георгия Святогорца (XI в.), «Великий номоканон» Арсения Икалтоели (XII в.) и его же «Догматикон» — сборник философско-теологических и догматико-полемических трактатов, «Пролог-синаксарий» в стихах Иоанна Философа Петрици (XI—XII вв.), Арсения Булмаисимдзе (XIII в.) и Антона Багратиони (XVIII в.), агиографический сборник — «Жизнеописания грузинских святых», составлен в XVIII веке патриархами Грузии Доментием и Виссарионом, и «История царства грузинского» Вахушти Багратиони (XVIII в.). «Мерное слово» является также настольной книгой грузинской литературы. В XVIII веке оно давало ученикам духовной семинарии общее представление о литературной деятельности мудрых мужей древней Грузии, о мучениках и государственных деятелях, а ныне «Слово» считается одним из важнейших историко-библиографических источников для изучения истории древнегрузинской письменности.

Научно-критический текст «Мерного слова», установленный на основе данных всех имеющихся рукописей, публикуется впервые. Он снабжен исследованием («Мерное слово» как литературный, историко-библиографический источник и вопросы его текста), комментариями и толковым словарем собственных имен, редких и архаических слов.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა . . . . .	3
„წყობილსიტყვაობა“, როგორც ლიტერატურულ-ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული წყარო და მისი ტექსტის საკითხები (ფილოლოგიური ნარკვევი) ივ ა ნ ე ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი . . . . .	5
შესავალი . . . . .	7
„წყობილსიტყვაობის“ შინაარსი და აღნაგობა . . . . .	10
თხზულების დაწერის თარიღი . . . . .	16
„წყობილსიტყვაობის“ ლიტერატურული წყაროები. . . . .	20
„წყობილსიტყვაობის“ მხატვრული ანალიზი . . . . .	59
„წყობილსიტყვაობის“ ტექსტის საკითხები. . . . .	75
<b>წყობილსიტყვაობა (ტექსტი)</b>	
ნაწილი პირველი: ღმრთის-მეტყუელებისათვის . . . . .	135
ნაწილი მეორე: თვის უფრომასად წმიდისა ღმრთისა-შობელისა . . . . .	152
ნაწილი მესამე: თვის ცხოველს-ყოფელისა ჭუარისა . . . . .	169
ნაწილი მეოთხე: თვის ყოველთა წმიდათა . . . . .	186
ნაწილი მეხუთე: თვის ქართველთა წმიდათა. . . . .	203
ნაწილი მეექვსე: თვის ქართველთა რომელთაჲ მეფეთა ჩინებულთა . . . . .	233
ნაწილი მეშვიდე: თვის ქართველთა სიბრძნის-მოყუარეთა კაცთა მწიგნობართა . . . . .	251
ზედღართანი სხუათაცა რომელთაჲ საქმეთა, შაირსიტყუაობით ქმნილნი [დაბოლოება] . . . . .	285
	291
<b>დ ა მ ა ტ ე ბ ა</b>	
წინასიტყუაობა „წყობილსიტყვაობისა“, ქმნილი გაიოსის მიერ არქიდიაკონისა . . . . .	295
ანდერძი, იამბიკოდ ქმნილი ტრიფილესაგან . . . . .	300
თვის სახელწოდებისა მისის უწმიდესობისა . . . . .	301
ეპიტაფია... ანტონისი, ქმნილი მოწაფისა მისისა იოანე ოსეს ძისა მიერ . . . . .	302
იამბიკო ხუთეული, თქმული ვახტანგ ბატონიშვილის მიერ . . . . .	313
ანდერძი, თქმული იამბიკოვანდ იოანე ოსეს ძის მიერ . . . . .	314
დღისა მის აექსონისადმი ვადამწერისა მიერ უქვენაესი კადრი . . . . .	315
იოანესთვის პეტრიწისა ფილოსოფოსისა . . . . .	316
საფლავის ქვის წარწერა. . . . .	318
<b>ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი</b>	
პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები . . . . .	319
იშვიათი და არქაული სიტყვები . . . . .	374
<b>Р е з ю м с</b> . . . . .	411

# ИСТОРИКО-БИБЛИОГРАФИЧЕСКИЕ СВЕДЕНИЯ О ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ

АНТОН БАГРАТИОНИ  
МЕРНОЕ СЛОВО

Подготовил к изданию, исследованием, комментариями и  
словарем снабдил И. А. Лолашвили  
(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

\*

ИБ 888

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე  
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე  
მხატვარი ვ. ხ მ ა ლ ა ძ ე  
კორექტორი ე. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 14.9.1978; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.6.1980;  
ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 3; ნაბეჭდი თაბახი 26.0;  
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19,3;  
უე 01137; ტირაჟი 6000; შეკვეთა № 3149;  
ფასი 2 მან. 80 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19